

ქართულ მეცნიერ-ისტორიკოსთა

ეპისტოლური შეკვიდრება

ტომი II

ზაქარია ჭიჭინაძე  
თეოდორე ეორდანია

ქართულ მეცნიერ-ისტორიკოსთა

ეპისტოლური შეკვიდრება

ტომი II

ზაქარია ჭიჭინაძე  
თეოდორე უორდანი



გამომცემლობა „უნივერსალი“  
თბილისი 2021

უკ (UDC) 821.353.1-155+821.353.1-6  
ე-726



შოთა რუსთაველის საქართველოს  
ეროვნული სამეცნიერო ფონდი  
**Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia**



იაკობ გოგებაშვილის სახელობის  
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
**Iakob Gogebashvili Telavi State University**

სამეცნიერო პროექტი „ქართველ მეცნიერ-ისტორიკოსთა ეპისტოლური მემკვიდრეობის აკადემიური გამოცემა (I-II ტომები)“ (გრანტი №FR17\_257) ხორციელდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. წინამდებარე კრებულში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორთა კოლექტივს და, შესაძლოა, არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს.

The project „**Scholarly Edition of the Georgian Scientist-Historians' Epistolary Legacy (Volumes I-II**“ (Grant № FR17\_257)) is being made possible by financial support from Shota Rustaveli National Science Foundation. All ideas expressed herewith are those of the authors and may not represent the opinions of the Foundation itself.

**[www.rustaveli.org.ge](http://www.rustaveli.org.ge)**

ტომის რედაქტორები:

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი **ქეთევან გიგაშვილი**

ისტორიის დოქტორი, პროფესორი **გიორგი გოცირიძე**

© იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ყველა უფლება დაცულია.

გამომცემლობა „**უნივერსალი**“

---

თბილისი, 0186, ა. ჰოლიბაოვსკაიას №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com

ISBN 978-9941- (ყველა ტომისათვის)

ISBN 978-9941-26-957-8

## აძინარდები ზაქარია ჭიჭინაძის წერდლებიდან

„ჩვენს მიყრუებულს ცხოვრებაში, როდესაც თითქმის ზნეობრივი პატიოსნება მიწასთან გასწორდა, როდესაც ღვთაებრივი სიყვარული მხოლოდ ერთ საგნათ გარდიქცა და იმას გამოაცალეს ჩვენი მამულის სიყვარული, აბა ამ გვარ მონალმართებითი მოქმედების შემდეგ, ჩვენ ჩვენს საეკკლესიო ასპარეზე ყოველს თქვენ გვარს კაცებს ღმერთს უნდა ვავედრებდეთ და ვსთხოვდეთ მათს სიცოცხლესა, დღე გრძელობასა და სიმტკიცეობასა, რათა მით იგი სასარგებლო საქმეებს მოიმოქმედებდეს ჩვენის საყვარელი სამშობლოსთვის.“

„ოხ, რატო ღმერთი არ მისცემს სამაგიეროს და ან ერი, რომ საქართველოს დედა ქალაქში ქართველი ეპისკოპოზიც არ იყოს.“

„მე კვირას გიახელი თქვენთან, მაგრამ თქვენ ისეთი სტუმრები გაყავდათ, რომლის გამო ვერ შემოველ. ცუდათ მეცვა ტანთსაცმელი და მოვერიდე.“

„ჩვენში ყველას თხოვნა და საქმე გადის, ჩემსასკი არა ეძლევა რა, არ ეძლევა მით, რადგანაც მე უსწავლელი კაცი ვარ.“

„ახლა ჩემი საქმე მხოლოდ ჩემს შრომაზეა ჩამოტვირთული, მე ჩემით თუ მოვახერხებ რამეს, თორემ, როგორც გამოვცადე, ქართველობის განათლებული საზოგადოება მხოლოდ ოცნება არის. მიბეჭდავს წიგნები და ახლაც ვბეჭდავ. თანხა და ძალა არ მაქვს, მაგრამ მე მაინც ჩემსას არ ვიშლი.“

„წაღები მაქვს დასახსნელი, 20 მ. უნდა მივსცე, თორემ არ გთხოვდი, ძველებში წყალი შედის და ვეღარ დავდივარ.“

„თქვენთან ერთი დავალება მაქვს, იმედია, რომ ამ დავალებას უყურადღებოთ არ დასტოვებთ...“

„ამისთანა გათახსირებულ დროს, ასეთ უაღამიანობაში და უკაცობაში, შენ არ დაივიწყე ადამიანური ვალი, ერთმა თუ წიხლი მკრა,

ტალახში ჩამაგდო და კინალამ ყოველის ფერი წამართვეს, შენ მნახე და ამ გარემოებიდან ამომიყვანე და დამიხსენი.“

## აქონარდები თეოდორე კორდანას წყნობიდან

«...я считалбы справедливым не отнимать у меня чести авторства при издании документов, многими трудами мною открытых, прочитанных и разъясненных».

„მართალია გამხნელება მხოლოდ სუსტ გვამთა უნდა, მაგრამ არც ისე სულ-დიდი გახლავარ, რომ ამოდენა ცილისმწამებელთა გუნდნი სულს არ მიმფოთებდენ და სისხლს არ მიმღვრევდენ.“

„ჩაყვირე იმ ყრუებს და უგულ-უსულო-უსვინიდისოებს მოგვეშველნენ, თორემ მუნჯურმა მეთოდმა მთლად გამოაყრუა მეგრელობა და ჩვენს ეროვნობას დღითი-დღე აშორებს.“

„მომწყინდა ამისთანა გარემოებაში სამსახური და მზადა-ვარ აქიდან გავეცალო სადმე შორს.... რადგან „არავინ წინასწარმეტყველი შეწყნარებულ არს თვისსა მამულსა.“

„ქვეყანამ თუ შემოგდახოს ბრმა ხარო – „ბრმა ვარო“ უნდა უთხრაო. მეც ავიღე და გავჩუმდი, დეე ბრმა ვიყო! გარნა ღმერთმა მრავალი ათასი ჩემისთანა თავდადებით და ერთგულად მოსამსახურე „ბრმანი“ მისცეს ჩვენს ბედკრულს სამშობლოს.“

მე თუ გნებავთ თქვენც ქვით ჩამქოლეთ, მაინც ხომ ჩაქოლილი ვარ და ყველასგან განკიცხულ-განგდებული... მე მთელი ქვეყნისა კიცხვისაც არ მეშინია, რადგან შიგ გულში სვინიდიის მინათებს და მამხნელებს, როდესაც თქვენ ყველანი დამცინით, მტანჯავთ. ხშირად მახსენდება ტანჯული სიმართლისათვის ქრისტე ჩემი უფალი. აბა მე როგორ უნდა გავბედო ჩემი თავი მას შევაფარდო, მაგრამ მამულის წინ მე ისე უმანკო ვარ, როგორც ქრისტე იყო წმიდა ყოველს ცოდვისაგან. ცოდვები ბევრი მახლავს... გარნა მამულის წინაშე არ-

ცა ერთი, არც ნახევარი. ეს ჭეშმარიტებათა ჭეშმარიტებაა იცოდეთ.“

„აშკარად და ცხადად მოქმედება უნდა ეტვირთნა საზოგადოებას, მაგრამ სად არის საზოგადოება? განა საქართველოში ეძებთ ჭეშმარიტ პატრიოტულ წრეთა?! მე მხოლოდ ვხედავ თავმოყვარეობით გაბერილ მებულვარე-მოარშიყე-მემთვრალე-მეჭორე გვამთა, რომელნიც ენითა მხოლოდ ადიდებენ სამშობლოს, ხოლო გული მათი შორს არს...“

## შესავალი

ნინამდებარე მე-2 ტომით ვაგრძელებთ „ქართველ მეცნიერ-ისტორიკოსთა ეპისტოლური მემკვიდრეობის“ აკადემიურ გამოცემას. I ტომი გამოქვეყნდა 2019 წელს ამავე პროექტის ფარგლებში (იხ. წიგნის სატიტულო გვერდი), რომელშიც შევიდა პლატონ იოსელიანისა და დიმიტრი ბაქრაძის ნერილები.<sup>1</sup>

ამჟამად მკითხველს ვთავაზობთ ზაქარია ჭიჭინაძის (1853-1931) ეპისტოლურ მემკვიდრეობას და თევდორე ჟორდანიას (1854-1916) ნერილების I ნაწილს.

ზაქარია ჭიჭინაძის ბარათების რაოდენობა 77-ს შეადგენს. აქედან ერთი ბარათი შემონახულია სამი სხვადასხვა ვარიანტით. სამივე მათგანი ავტოგრაფს წარმოადგენს. მათგან ორი თარიღიანი (დანერილია 1927 წლის 16 ოქტომბერს) და ხელმოწერილია, ერთიც უთარილო და ხელმოუწერელი, თუმცა, სავარაუდოდ, ისიც ამავე დღეს არის დანერილი. სამივე ბარათი, რომლის ადრესატიც იაკობ ჭეიშვილია, რთული კალიგრაფიით არის შესრულებული. ამ დროს ავტორი 74 წლისა იყო, რაც ნაწერსაც ეტყობა. ენობრივად და სტილისტურად სამივე დასამუშავებელია, ტექსტებში ხშირია გამეორებები.

გამოცემაში ვბეჭდავთ ხელმოუწერელ და უთარილო ვერსიას, რადგან ხელნაწერის მეორე გვერდზე ნინო ჭეიშვილის მინაწერია, რაც ადასტურებს, რომ ავტორმა სწორედ ეს ვარიანტი გაუგზავნა იაკობ ჭეიშვილს. თარიღიანი და ხელმოწერილი, შედარებით მოცულობითი ვერსიის შემცველი ხელნაწერის მეორე გვერდზე ავტორს პიროვნებათა სახელები და გვარები აქვს მინერილი, ანუ მას ხელნაწერი სხვა დანიშნულებით აქვს გამოყენებული. აღნიშნული ვერსია და ასევე მე-

---

<sup>1</sup> გიგაშვილი, ქ. (რედ.), „ქართველ მეცნიერ-ისტორიკოსთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტომი I, პლატონ იოსელიანი, დიმიტრი ბაქრაძე“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2019.

ორე თარიღიანი და ხელმოწერილი ვარიანტი სამეცნიერო აპარატშია წარმოდგენილი. ეს შემთხვევა ადასტურებს, რომ ხელმოწერილი, თარიღიანი და შევსებული ვერსია შეიძლება ყოველთვის არ იყოს ავტორის საბოლოო ნების გამომხატველი.

ამდენად, აღნიშნული წერილის სამივე ვერსიის ჩათვლით, ზაქარია ჭიჭინაძის ეპისტოლური მემკვიდრეობა 79 ერთეულს აერთიანებს. აქედან გამოცემაში 77 წერილია დაბეჭდილი, ხოლო ამათგან ნახსენები ბარათის 2 ვარიანტი სამეცნიერო აპარატშია შესული. ყველა მათგანის ენა ქართულია. მათი ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავს 1880-1931 წლებს. წერილების აბსოლუტური უმრავლესობა ავტოგრაფია, ერთი ავტორიზებულია, ხოლო ერთიც ასლია.

წერილების ადრესატები არიან როგორც ცნობილი მწერლები, ისტორიკოსები და საზოგადო მოღვაწეები, პოლიტიკის, კულტურისა თუ ხელოვნების სფეროს წარმომადგენლები (აკაკი წერეთელი, ექვთიმე თაყაიშვილი, სოფრომ მაღლობლიშვილი, ანტონ ფურცელაძე, ალექსანდრე აბაშელი, რაჟდენ გვეტაძე, კონსტანტინე მამაცაშვილი, მარი ბროსე, ეგგენი დვალი, დომინიკა ერისთავი, კირილე ლორთქიფანიძე, მოსე ჯანაშვილი, სიმონ ხუნდაძე, ნიკო ნიკოლაძე, პეტრე მირიანაშვილი, დავით კარიჭაშვილი, გიორგი ზდანოვიჩი, ალექსანდრე ყიფშიძე, მალაქია ტოროშელიძე, ალექსანდრე ოქროპირიძე, ფილიპე მახარაძე, ალექსანდრე არაბიძე), ისე ქართველი მკითხველისთვის ნაკლებად ცნობილი თუ უცნობი ადამიანები.

წერილები, ძირითადად, დაცულია გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში (63 ერთეული. აქედან 3 სწორედ ზემოთ ნახსენები წერილის (იაკობ ჭეიშვილისადმი) ავტოგრაფებია), 7 წერილი ინახება ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, ხოლო 9 – კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.



გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში 5511-ხ ნომრით დაცულია კახელი ახალგაზრდების სახელით ზაქარია ჭიჭინაძის მიერ ფილიპე მახარაძისადმი მიმართული წერილის შავი პირები. როგორც ჩანს, მან ახალგაზრდებს დახმარების მიზნით თვითონ შეუდგინა წერილი. ავტოგრაფი გაკრული ხელით არის დანერილი, ენობრივად გაუმართავია, ხშირია გადახაზული ადგილები, რაც მთლიანობაში ართულებს მის ამოკითხვას. ცალხაზიან მოყავისფრო ფურცელზე სათაურად წერია: „კახელი სტუდენტების შესახებ წერილები მათ უნივერსიტეტში მიღებაზედ.“

წერილის ერთ-ერთ ვარიანტში ვკითხულობთ:

„ქართული მწერლობის და კომუნარული მთავრობის პატივცემულო და ღირსეულო ბელადო. ჩვენ კახელი მოწაფეები მოგმართავთ და გთხოვთ ჩვენს დახმარებას, როგორც ჩვენს განათლებულს მამასა და ღირსეულს დიდს მწერალს და პოლიტიკურ მოღვაწეს.

დაგვეხმარეთ და გვიშველეთ ნუ დაგვლუპავთ და ნუ ჩაგვყრი წყალში დასახრჩობად და დასალუპად.“

სხვა ვარიანტში ირჩევა შემდეგი ტექსტი:

„დიდათ პატივცემულო ფილიპე!

პატივცემულო ამხ. ფილიპე! ჩვენ უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ კახელი მოწაფეები თქვენი დიდის პატივის მცემლები ვართ, რადგანაც თქვენ ეს პატივისცემა ჩვენს გულსა და სულში, საქმით დაიმსახურეთ და გვაჩვენეთ ამის მაგალითები.

კახელი ახალგაზრდები თქვენს სამაგალითო სამსახურის ცნობებს ყოველთვის თავის გულში მკვიდრათ ატარებს, ჩვენ კახელი ახალგაზრდები გატაცებული ვართ თქვენი გმი-

რულის შრომით, როგორც მთავრობის ასპარესზედ ისევე ქართულ მწერლობაში, თქვენი სამაგალითო და მეცნიერულს შრომას ჩვენს გულში დიდი ადგილი აქვს მოპოვებული...”

აღნიშნული წერილები, ცხადია, ტომში არ არის შესული, რადგან ისინი სხვისი სახელით არის დაწერილი. შესავალში კი წარმოვადგინეთ იმის გამო, რომ ზაქარია ჭიჭინაძის შედგენილია და პათოსითა თუ ენობრივი თავისებურებებით მთლიანად მის წერილებს მიჰყვება.

ზაქარია ჭიჭინაძის ბარათებიდან დღემდე ერთია გამოქვეყნებული.<sup>2</sup>

თევდორე ჟორდანიას ეპისტოლურ მემკვიდრეობას ჩვენამდე მოღწეული 100-ზე მეტი წერილი შეადგენს. მათი სრული კორპუსის დაბეჭდვა საკმაოდ გაზრდიდა კრებულის მოცულობას და მას ძნელად მოსახმარს გახდოდა. ამის გამო წინამდებარე ტომში წარმოვადგინეთ მისი წერილების მხოლოდ I ნაწილს – 48 ერთეულს, შესრულებულს 1880-1905 წლებში. წერილების II ნაწილს კი, დაწერილს 1906-1916 წლებში, მკითხველს შევთავაზებთ გამოცემის მომდევნო (III) ტომში.

ამრიგად, წინამდებარე ტომში იბეჭდება ზაქარია ჭიჭინაძისა და თევდორე ჟორდანიას 125 წერილი.

ზემოთ აღნიშნული 48 ბარათიდან 14 რუსულია, დანარჩენი – ქართული. რუსული წერილების ადრესატები არიან: ნიკო მარი, დიმიტრი ბაქრაძე, გიორგი თუმანიშვილი, ალექსანდრე ოქროპირიძე, ელენე ტარსაიძე, ნიკო ტარსაიძე, პეტრე ბარტენევი, პრასკოვია უვაროვა.

სხვა წერილები, ისევე როგორც ზაქარია ჭიჭინაძის წერილების შემთხვევაში, მიმართულია ცნობილი ისტორიკოსების, მწერლების, სასულიერო თანამდებობის პირებისა და სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ადამიანების (მოსე ჯანაშვილი, დიმიტრი ბაქრაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, ნიკო მარი, თედო

---

<sup>2</sup> იხ. მარი ბროსე, პირადი მიმოწერა, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ეთერ ქავთარაძემ, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბ., 2016, გვ.: 320-321.

სახოკია, ნიკო ლომოური, ვასილ კარბელაშვილი, მიხეილ საბინინი, ალექსანდრე ყიფშიძე), ისე ოჯახის ახლობლების მიმართ.

წინამდებარე გამოცემაში დაბეჭდილი თევდორე ჟორდანიას წერილების უმრავლესობა დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (31 ერთეული), 16 ბარათი ინახება გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში, ხოლო 1 ბარათი – საქართველოს ეროვნულ არქივში. მათგან გამოქვეყნებულია 6 წერილი.<sup>3</sup>

გამოცემაში რუსული წერილები დაბეჭდილია ძირითად ტექსტებად, რომლებსაც ახლავს თარგმანები (დაბეჭდილი 1-ით ნაკლები შრიფტით). ქართულ წერილებში მოცემული რუსული ჩანართები (სიტყვები თუ ფრაზები) აღნიშნულია ვარკვლავებით და მათი თარგმანები ჩატანილია წერილის (და არა გვერდის) ბოლოს. თუ წერილში რამდენიმე ასეთი ფრაზაა, ვარკვლავების რაოდენობა იმატებს რიგითობის მიხედვით როგორც ტექსტში, ისე წერილის ბოლოს. მაგ., წერილში პირველად ნახმარ რუსულ სიტყვას ან ფრაზას ზედა მარჯვენა კუთხეში უზის ერთი ვარკვლავი და წერილის ბოლოსაც ის ერთი ვარკვლავით არის ჩატანილი, მეორედ ნახმარ სიტყვას ან ფრაზას ორი ვარკვლავი აქვს და ა. შ. ნათარგმნი არ გვაქვს ქართულ წერილებში მოცემული გაზეთების, ჟურნალებისა თუ გამომცემლობების სახელწოდებები, ასევე ქუჩების დასახელებები. შესაბამისად, მათ არც ვარკვლავი უზით.

გარდა ამისა, ტექსტებში შეგვხვდება ამა თუ იმ სიტყვასთან ინდექსად მიწერილი ნომერი, რაც შენიშვნებზე მიუთითებს და მკითხველმა საჭირო ინფორმაცია ამასთან დაკავშირებით სამეცნიერო აპარატში, კერძოდ, „შენიშვნების“ რუბრიკაში, უნდა მოიძიოს.

---

<sup>3</sup> „საისტორიო მოამბე“, 31-32, საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველო, თბ., 1975.

პასპორტების, კომენტარებისა და საძიებლების გარდა, გამოცემას ახლავს წერილების ენობრივი მიმოხილვა და ლექსიკონი. იმის გამო, რომ წინამდებარე ტომში თევდორე ჟორდანას წერილების მხოლოდ ნაწილი ქვეყნდება, მათი ენობრივი მიმოხილვა მოცემული იქნება „ეპისტოლური მემკვიდრეობის“ მომდევნო ტომში, სადაც დაიბეჭდება წერილების II ნაწილი. წინამდებარე ტომში კი განვიხილავთ მხოლოდ ზაქარია ჭიჭინაძის წერილების ენობრივ თავისებურებებს. ლექსიკონში კი, ცხადია, ზაქარია ჭიჭინაძის წერილების გარდა, ახსნილია თევდორე ჟორდანას წერილებში გამოყენებული საინტერესო ლექსიკური ერთეულებიც.

სიტყვების განმარტებისას გამოვიყენეთ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის,<sup>4</sup> საბიბლიოთეკო ტერმინების განმარტებითი ლექსიკონისა<sup>5</sup> და რუსულ-ქართული ლექსიკონის<sup>6</sup> ელექტრონული რესურსები.

ტომი მომზადდა იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიისა და ისტორიის დეპარტამენტებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტთან, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრთან და სოხუმის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით.

ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი, სამეცნიერო პასპორტები, შენიშვნები და რუბრიკა „ადრესატის მისამართი“ დაურთო ქეთევან გიგაშვილმა, ლექსიკონი და ენობრივი მიმოხილვა ეკუთვნით ქეთევან გიგაშვილსა და

---

<sup>4</sup> <https://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php>

<sup>5</sup> საბიბლიოთეკო ტერმინების ლექსიკონი/გიორგი გიორგიძე, გურამ კარტოზია; საქ. სსრ მეცნ. აკადემია, ცენტრ. სამეც. ბიბ-კა., მე-2 შვეს. და გადაამუშ. გამოც., თბ.: მეცნიერება, 1974:

<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=10&t=3520>

<sup>6</sup> <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=9&t=70572>

მზია გიგაშვილს, დათარილება და კომენტარები – მაია (მარი-ამ) ნინიძეს.

პირთა და გეოგრაფიულ სახელთა ანოტირებული სა-  
ძიებლები მოამზადა გიორგი გოცირიძემ. ქართული წერილები  
ავტოგრაფებიდან გადმოწერა და ხელნაწერები აღწერა ქეთე-  
ვან გიგაშვილმა, რუსულენოვანი წერილები დაამუშავეს ეთერ  
ბერუაშვილმა და ქეთევან გიგაშვილმა. თარგმანი რუსული-  
დან შეასრულეს ეთერ ბერუაშვილმა და ნათელა ლუდუშაურ-  
მა. მერი გაბედავამ შეისწავლა საქართველოს ეროვნულ ის-  
ტორიულ არქივში, ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტო-  
რიულ-არქიტექტურულ მუზეუმსა და ქუთაისის ისტორიულ-  
ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული წერილები, თუმცა თევ-  
დორე ჟორდანიას ბარათების გაყოფის გამო წინამდებარე  
ტომში ვერ მოხვდა ზუგდიდის მუზეუმში დაცული მასალა.

პროექტის სამეცნიერო ჯგუფი გულითად მადლობას  
მოახსენებს იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სა-  
ხელმწიფო უნივერსიტეტის „ტექსტოლოგიისა და გამოცემათ-  
მცოდნეობის“ სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებუ-  
ლებს: გიორგი ლეონიძის ქართული ლიტერატურის სახელმწი-  
ფო მუზეუმის დირექტორის მოადგილეს, ფილოლოგიის აკა-  
დემიურ დოქტორ **თეა თვალავაძესა** და კორნელი კეკელიძის  
სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერ თა-  
ნამშრომელს, ფილოლოგიის აკადემიურ დოქტორ **ესმა მანიას**,  
ასევე იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელ **ნანა ყარაულაშ-  
ვილს** პანდემიის პირობებით გამოწვეული სირთულეების დაძ-  
ლევაში ჯგუფისთვის აღმოჩენილი დახმარებისათვის და წარ-  
მატებებს უსურვებს მათ პროფესიულ საქმიანობაში.

ქეთევან გიგაშვილი

ზაქარია ქიქინაძე (1853-1931)



## მარი ბროსესადმი №1 (1)

მონყალო ხემწიფე,  
პატივცემულო ბროსე!<sup>1</sup>

აკადემი[ი]საგან<sup>2</sup> გამოგზავნილი წერილი მივიღეთ ჩვენა და გიგზავნით თქვენ[ი]დამ დაკლებულს წიგნებს, რომლებიც ამას წინეთ გამოგიგზავნეთ; ახლა ვგზავნით შემდეგ წიგნებს: 1. „გეოგრაფია“ – 2. „ნალკოტი“. 3. თან სატარებელი ლოცვანი, 4. საქრისტიანო მოძღვრება და „კატეხ[ი]ზმოსი“.<sup>3</sup> სხვები ჯერ არ მოგვსვლია და როცაკი მოგვივა მაშინათვე გამოგიგზავნით. გიგზავნი აგრეთვე ერთ ეგზემპლიარს წმ. ნინოს. თხუ. დიმიტრი ბაქრაძისა და გრ. ორბელიანის ლექსებს, რომლებიც ჩემი გამოცემულია. მე შეუდექი მთელი საქართველოს ისტორი[ის] ბეჭვდას, რომელიც უფ. დიმიტრი ბაქრაძემ გადმომცა. ამ ჟამად იბეჭვდება ბაგრატი მეოთხე<sup>4</sup> და ვახტანგ მეექვსე, ესენი დაიბეჭვდება თუ არა ამებსაც მოგართმევთ. ეს მემვიდე წელიწადი იქნება, რაც მე ძველ ქართულ[ის] მწერლობის შესწავლასა და შეგროვებას<sup>5</sup> შეუდექი და 300 ხელით ნაწერი წიგნებიც შევაგროვე, შევაგროვე აგრეთვე მთელი საქართველოს მონასტრ[ის] ბიბლიოტეკების „კატალოგები“ ივერი[ის] მონასტრისაცა და სხვა და სხვა კერძო პირებისაცა. ასე, რომ ესლა მე მაქვს 1200 ხელით ნაწერი წიგნების ცნობანი, რომლის შესახებ უფ. დ. ბაქრაძემაც იცის და კავშირიც აქვს ჩემთანა. მე ვიშოვე აგრეთვე ხუცური სახარება, რომელიც დაწერილია მე[ექვსე] საუკუნეში პერგამენტზე, უფ. დიმიტრი ბაქრაძეს აქვს ამ ჟამად. ეს სახარება სრულებით არ ჩამოჰგავს გიორგი მთაწმინდელის გადასწორებულს თუ ნათარგმნს XII საუკუნეში. ამას გარდა მე მოვამზადე 1881 წ. არხე[ო]ლოგიური სიეზდისთვის<sup>6</sup> რამდენიმე სხვა ძველი წიგნები, რომლებიც პერგამენტებზეა დაწერილი ზოგი მეთათე საუკუნეში ზოგი მეთერთმეტე და მეთორმეტეში, მეცამეტეშიაც, მაგრამ მხედრულის ხელით არეულებს,<sup>7</sup> სჩანს, რომ ჩვენ-

ში მხედრული მეცამეტეში შემოულიათ. ამ ორი წლის წინეთ მე დავიწყე ქართველი მწერლების ბიოგრაფიების წერა და დავწერე კიდევ რამდენიმე პირისა, მეცხრე საუკუნიდამ მეთვრამეტე საუკუნის დასასრულამდე, სულ სამი წიგნია 640 გვერდია. და 169 ბიოგრაფიას შეიცავს.<sup>8</sup> მეცხრე საუკუნის წინანდელს მწერლებზე მე ვერაფერი შევიტყვე, ვერც საქართველოს ისტორიებიდამა; ვერც გუჯრებიდამა, ვერც ეკლესიების ნაწერებიდამა, თუმცა მთელი საქართველოს მონასტრებიც კი დავიარე. ამ ბიოგრაფიებიდამ რამდენიმე „დროებაში“ დაიბეჭდა შარშან და შარშან წინ, როგორც ხოსრო თურმანიძეზე და იმის „როსტომიანზე“ შაჰ ნამე<sup>9</sup> და იოვანე ხახულელზე.

უმორჩილესად გთხოვ, თუ თქვენგან დაწერილს ფრანცუზულს<sup>10</sup> წიგნებში მოიპოვება სადმე რამ მერვე საუკუნის წინანდელის საქართველოს მწერლებზე, უმორჩილესად გთხოვ, რომ დამისახელოთ ის წიგნები, რომ იქიდამ რამ ვისარგებლო. დიდის გულის მოდგ[ი]ნებით გთხოვ აგრეთვე, რომ ამ შრომის შესახებ მომწეროთ თქვენი აზრი, როგორც საქართველოს ისტორიის მცოდნე აკადემიის წევრი და სრულიად დამფუძნებელი და საძირკვლის ჩამყრელი საქართველოს ისტორიისა. ღირსია ეს შრომა თუ არა? იქონიებს<sup>11</sup> რამ მნიშვნელობა[ს] თუ არა? გამოდგება ჩვენი ხალხისთვის თუ არა? უფ. ტაბიძე სად იმყოფება? 1881 წ. არხე[ო]ლოგიურს სიეზდზე ხომ არ მობძანდებით თბილისში?<sup>12</sup> –

თქვენი კეთილის მოსურნე და სიცოცხლის მნატვრელი ერთგული მონა მოსამსახურე და ღრმად პატივის მცემელი ზაქარია ჭიჭინაძე.

1880 წელსა 26 თებერ.

ქ. თბილისი.



## სოფრომ მგალობლივილისადმი №1 (2)

ძვირფასო სოფრონ!

შენი ერთი რამ მოთხრობის გამოცემა მინდა და არ ვიცი, რა დაგავალო და გთხოვო, პატარა კი უნდა იყოს. ასე „ალი“ს ტოლა. გამოიცემა სუფთათ, კოხტათ, ყვავილიანის ასოებით და ყოვლისფრით გამშვენიერებული, კაი სტამბაში დაიბეჭდება და კაი ქალაღზედ.

თუ თქვენი სურვილი იქმნება, მაშინ გამომიგზავნეთ რამე, ან იმაზე მიმითითეთ, თუ სად რა არის დაბეჭდილი, რომ იქიდან გადავბეჭდო. სახალხოთ კი გამოდგეს. თუ „ცეცო“ს ძალიან არ გააგძელებ ესეც შეიძლება რომ გამოვსცე. – ამის პასუხს ველი თქვენგან, თუ რას დამითმობთ გამოსაცემათ. ფასის მოცემა მე არ შემიძლიან, თუ ამის წინა[ა]ღმდეგი<sup>1</sup> არ იქმნებით, მაშინ მალე მაცნობეთ. ისიც თუ რა მოთხრობას მომცემთ. გამოცემა მეტის მეტი სუფთა იქმნება.

თქვენი პატივის მცემელი  
ზ. ჭიჭინაძე.

13 მაისს. [1883 წელი]

## ალექსანდრე ოქროპირიძისადმი №1 (3)

27 მაისს, 1883 წ.

თქვენო უსამღვდელოესობავ,<sup>1</sup>  
ყველასაგან პატივცემულო ალექსანდრე!

„ჩემგან გულით პატივცემულ მღვდელ-მთავრის წინაშე ვბედავ წერილის მიწერასა და იმედი მაქვს, რომ მის კაცთა

მოყვარე ხასიათი, ამ წერილს საწყენათ არ მიიღებს“ –. სწორეთ ზემორე აზრით ვიყავ შეპყრობილი ვიდრე ამ წერილს დავსწერდი და დღესაც თითქმის ასეთისავე შეხედულების გახლავარ. იმედი მაქვს, რომ ჩემი ჰაზრი და წერილი თქვენის მაღალ-გონიერებითი ხასიათისაგან გაკიცხული არ იქმნება. მაშ დავიწყობ: მოკითხვა დიდის სიყვარულითა, როგორათაც ჩემგან, აგრეთვე ყველა იმ ყმანვილკაცებისაგან, რომელნიც გარს გვახვევიან ჩვენა და ნამდვილი პატიოსანი შვილები არიან.

თქვენი მოქმედება და მრავალ-ნაირი მეცადინეობა თუმცა ჩვენის მხრიდამ გარდახვენილია უცხო მხარისკენ, თუმცა თქვენს მამობრივს საუბარს ველარ ვსმენულობთ ხოლმე, თუმცა თქვენი მჭექავი და მღელვარე ყვედრება აღარ გვატკობს ხოლმე, მაგრამ, თქვენი სახელის და მოქმედების მოგონება ნათელს ჰფენს ჩვენს უბადრუკს გონებასა და ათას ნაირ ტანჯვათა და წამებულთა მამათა ამბავთ გვიახლებს.

ჩვენს მიყრუებულს ცხოვრებაში, როდესაც თითქმის ზნეობრივი პატიოსნება მიწასთან გასწორდა, როდესაც ღვთაებრივი სიყვარული მხოლოდ ერთ საგნათ გარდიქცა და იმას გამოაცალეს ჩვენი მამულის სიყვარული, აბა ამ გვარ მონაღმართებითი მოქმედების შემდეგ, ჩვენ ჩვენს საეკკლესიო ასპარეზე<sup>2</sup> ყოველს თქვენ გვარს კაცებს ღმერთს უნდა ვავედრებდეთ და ვსთხოვდეთ მათს სიცოცხლესა, დღე გრძელობასა და სიმტკიცეობასა, რათა მით იგი სასარგებლო საქმეებს მოიმოქმედებდეს ჩვენის საყვარელი სამშობლოსთვის. აქ რასაკვირველია რომ თქვენა ბძანდებით ჩვენს სახეშია და თუ ვახსენებთ ვისმეს, მხოლოდ თქვენის სახელის შემწეობითა და სხვა.

ჩვენი ძველი დრო, მაშინდელი საეკკლესიო ასპარეზი და სამღვდელოება მიტომ იდგა მაღლა, რომ იმათ სარწმუნოებრივ სიყვარულს ზედგადაბმული ჰქონდა თავიანთი მამულის სიყვარულიც, ამიტომაც ჩვენის ისტორიიდან ცხადათ სჩანს, რომ საქართველოს სამღვდელოება ყოველთვის დაუც-

ხრომლად მოღვაწეობდა, იმას ცალკე სარწმუნოება უქეჯნი-  
და<sup>3</sup> გულს და ცალკე მამულის სიყვარული, ამ ორი მხარის  
დასაყურებლად იმათ სისხლის ღვრა მიაჩნდათ და პირის-პირ  
მტრის რაზმის წინაშე სიკვდილი... აი ასეთი ყოფილან ჩვენი  
სამღვდელონი.

დღეს – დღეს, ჩვენი სამღვდელოება სამღვდელოებათ  
აღარ არის, იგი დაცემულია, დავარდნილი და მიწასთან გას-  
წორებული, ამ უბედურების წყალობით თითქმის ქრისტიანო-  
ბაც კი მცირდება და ეს თქვენთვის საგრძნობელიც უნდა  
გახლდესთ. ჩვენის ამ გვარი დაცემულები<sup>4</sup> მალამოდ რასაკ-  
ვირველია, რომ თქვენისთანა მღვდელ-მთავრებია საჭირო,  
მაგრამ ჩვენ რომ არავინა გვქყავს (sic) აქ, რა უნდა უყოთ  
თფილისში.

თქვენის მამობრივის სიტყვებით ბევრს მღვდელს, თუ  
მთავარს გასთბობია გული, ბევრს ასძგერებია სამშობლო  
ქვეყნისადმი სიყვარული, ბევრს განახლებია გულში გამქრალი  
ნაპერწკალი და მით სამშობლო-მწერლობისთვისაც წვერი აღ-  
მოუჩენია.

ჩვენის ქვეყნისთვის დიდი სავალალებელია თქვენი  
აქედგან გარდახვეწა, მაგრამ რა ვ[უ]ყოთ, ვინ რა წამალს  
დაგვდებს, ღმერთია თქვენი პატრონი და ჩვენი გზის მჩვენე-  
ბელიც, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი თფილისის  
ქართველობა ერთობ დანატრდა ქართულს ენაზე მღვდელ-  
თმთავრის წირვასა, დიდი საყვედური ისმის ხალხში. ნეტა მა-  
ლე მაინც დაბოლოვდეს საქმე და ჩვენს დედა-ქალაქს თქვენი  
მნათობ ვარსკვლავი მოქმედება ისევ აღმოუბრწყინონ, რომ-  
ლითაც ბევრნი წმინდის სასოებით აღივსება.

ამ ბოლოს დროს თფილისში მოვიპოვეთ ერთი ხელ-  
თნაწერი წიგნი, შედგენილი მეთვრამეტე საუკუნეში, საქარ-  
თველოს კათალიკოზის ანტონ პირველისაგან. ამ წიგნს სახე-  
ლად „მარტირიკა“ ეწოდება, რომელშიაც აღწერილია ქარ-  
თველთ-წმიდათ ამბავნი, რომელთა მოქმედებითაც აღმობ-  
რწყინებულა ჩვენი ეკკლესიის ისტორიის სიბრწყინვალე. ან-

ტონ კათალიკოზი მშვენივრათ განმარტავს მამათა ამბავთა და ამიტომ კარგი იქმნება, რომ ეს წიგნი ნაწილ-ნაწილ დაიბეჭდოს, სახალხოთ, ეგები<sup>5</sup> გავრცელდეს ხალხში. ამ წიგნის შესახებ, თქვენ რომ აქა ბრძანდებოდით, მე მოგახსენეთ კიდევცა, თქვენც თან-ხმობა განაცხადეთ, ამასწინეთ მღვდელს კონჩოვეთან<sup>6</sup> მქონდა საუბარი, ჯანაშვილთან, მღებრივეთან და სხვებთან, მაგრამ არა იქმნა-რა. თუმცა მპირდებიან-კი, რომ მონაწილეობას მივიღებთო.

თითო წიგნის გამოცემას ასე 50 მანეთზე მეტი არ მოუნდება, დაიბეჭდება 1200 წიგნი. თითო წიგნი<sup>7</sup> ელირება 15 კაპ. პირველი წიგნი სულ ერთი თვის განმავლობაში შეიძლება დაიბეჭდოს. რასაკვირველია თქვენის სახელით და თქვენის წინასიტყვაობით, რომელსაც ან თქვენ დასწერთ, ან აქ შევადგენთ, თქვენს სამაგიეროთ, რომელსაც თქვენი მაღალ ყოვლად სამღვდელოების სახელი დაერთვის. წიგნს გასწორება არ უნდა, რადგანაც ანტონ კათალიკოზის ხელი ისეც მდიდარი ენაა და იმის გასწორებას ვერავინ შეუბედა. თუ თქვენთვის სასურველი იქმნება ესა და სასიამოვნო, რასაკვირველია, რომ პასუხის საკადრის გაგვხდით და მოგვწერთ<sup>8</sup> წერილსა. თუ თანხმობის წერილი მოგვივა, მაშინ გაზეთებშიაც დავბეჭდავთ. ახალი წიგნები უნდა გამამეგზავნა, მაგრამ დავსტოვეთ, რადგანაც ამ მოკლე ხანში ერთი დიდი წიგნი გამოვა და იმაებთან ერთათ მოგართმევთ. საბინინის წიგნის საქმე ერთობ ცუდათ მიდის, ძვირობენ 100 მანეთს არ გაიყიდა.

სხვაფრივ დავშთებით თქვენი პატივის მცემელი და წერილის მნატვრელი, მორჩილი მსახური  
ზაქარია ჭიჭინაძე.

27 მაისს, 1883 წ.

ქ. ტფილისს.

## ალექსანდრე ოქროპირიძისადმი №2 (4)

5 ივნისს. 1883 წ.

ქ. ტფილისს.<sup>1</sup>

თქვენო უსამღვდელოესობავ,<sup>2</sup>  
ყველასაგან პატივ-ცემულო ალექსანდრე!

ამ ერთი კვირის წინეთ წერილი მოგწერეთ, რომელიც ერთ გურულ ყმაწვილ-კაცს გამოვატანე. უეჭველია მიიღებდით. სხვათა შორის იმ წერილში მე დამავიწყდა მომენერა, რომ საბა სულხან ორბელიანის ლექსიკონს ერისთავი აჩქარებს, მაგრამ საქმე მაინც გვიანდება, რადგანაც ერთობ დიდ დროს თხოულობს მისი დაბეჭვდა. საბას სურათიც მოუმზადებიათ, ამ დღეებში ვნახე ერთი ეგზემპლიარი და სწორეთ საგანგებო რამ არის, დედანზე მშვენივრათ არის დაცული, გარდამეტებით მშვენიერია.

ამ ჟამად თფილისში ჩამოვიდა ფრანგის (პატრი) მღვდელი იოვანე (ვინმე მესხი „დროება“ში) გვარამაძე, რომელიც ამ ორ-კვირას დარჩება აქ. გვარამაძეს სურდა რომ ენახეთ, მაგრამ არ იქმნა, ამაზე ძალიან შესწუხდა, მაგრამ არა უშავსო, თუ ცოცხალი ვიქნენ შემდეგ ვნახავ მის მაღალ ღირსებასო. მოკითხვას დიდის მონივნებით გითვლისთ და სთხოვს ღმერთს, რომ დღეგრძელ იქმნეთ, რათა ჩვენს ღარიბ მწერლობასაც შეეწიოთ მითაო. გვარამაძე აქ ქართველ კათოლიკების საქმის შესახებ არის ჩამოსული, სომხის კათოლიკები ქართულს ენაზე წირვა ლოცვის<sup>3</sup> ნებას არ აძლევენ, ამაზე კარგა ხანია ბჭობაა ატეხილი, არ ვიცი როგორ გათავდება, დღეს რომში ორი გამოჩენილი ბერია წასული პაპის-კარზე, რომ ეგები როგორმე გაათავონ საქმე, ქართველ კათოლიკები ქართველებათ დარჩნენ და წირვა ლოცვის ნებაც მიეცეთ, რომ ქართულს ენაზე სწირონ ხოლმე. ამ საგნის შესახებ დიდი ბჭობაა ატეხილი რომის კარზე და ვნახოთ საქმე როგორ

ნავა, სინოდისამ<sup>4</sup> გამომძიებელი მოვიდა ახალციხისკენ და სოფლებში გამოუკითხავთ, თუ ვინ ხართ თქვენო, გლახებს უთქომთ, რომ ქართველ[ი]<sup>5</sup> კათოლიკეებო. ერთი მათგანი<sup>6</sup> ალექსანდრიაშია ნასული მღვდელი ნასყიდოვი, მისგან<sup>7</sup> ამ დღებში<sup>8</sup> მივიღეთ წერილი.

ბაქრაძე ბათუმისკენ გაიხლათ, თუ ნახავთ მოახსენეთ, რომ მღვდელ<sup>9</sup> გვარამაძეს დიდათ უნდოდა მისი ხილვა და საუბარი.

ამ ახალმა ეპისკოპოზმა თავი მოგვაძულა, ლაფი დაესხა მაკარის და მის კამპანია ჩლენებს, რომ თქვენი მყოფობა არ ისურვეს აქა და თქვენს ნაცვლათ ეს ჭარხალუა გადმოთრიეს. ოხ, რატო ღმერთი არ მისცემს სამაგიეროს და ან ერი, რომ საქართველოს დედა ქალაქში ქართველი ეპისკოპოზიც არ იყოს. ნეტა როდის რა იქმნება, ეგები მოგვწეროთ, თუ როდის ჩამობძანდებით აქ.

მართლა რა უნდა მოგახსენოთ, ამ დღებში ერთი ძველი წიგნი მომიტანეს კიდევ სულხან საბა ორბელიანისა, სახელად „სწავლა კიდობანთა“, რომელიც ჯერ არ დაბეჭდილა. შემდეგ რომ დაბეჭვდა ელირსოს ძალიან კარგი იქმნება.

ანტონ კათალიკოზის „მარტირიკის“ შესახებ უეჭველათ მოგვწერეთ, რომ ისურვებთ თუ არა? როგორც ბეჭვდაში ისე მოქმედებით, ამის იმედი გვაქვს, თქვენის კაცთა მოყვარეს საზოგადო ჩვეულებისაგანა. როგორც წინანდელი წერილიდამ შეიტყობდით იმას ასე 50 მანეთი ეყოფა. მაგრამ მშვენიერობა რამკი იქმნება. ჩვენი ყმანვილ-კაცობა დიდს მადლობას და მოკითხვას გითვლიან.

სხვაფრივ დავშთები თქვენი მარად მორჩილი  
და მარად პატივის მცემელი  
ზაქარია ჭიჭინაძე

5 ივნისს 1883 წ.

ქ. ტფილისს.

## ალექსანდრე ოქროპირიძისადმი №3 (5)

2 ს. აგვისტოს. [1884]

თქვენო უსამღვდელოესობავ,  
პატივცემულო ალექსანდრე!

გუშინდელს „დროების“ ნომერში მოწინავე სტატია[ა]<sup>1</sup> დაბეჭდილი, შესახებ თქვენის კეთილის განძრახვისა. თუ არ წაგიკითხავთ, გთხოვთ, რომ წაიკითხოთ. – იმ დღეს რომ მოგახსენეთ და გაგახსენეთ, რომ ფული უნდა გებოძებინათ. ღმერთია მოწამე, რომ ამ ბარათის მომტანმა მასესხა 14 მანეთი, როცა მინდოდა მისთვის. გრამატიკაში ერთ დროს 25 მანეთიც მაძლიეს, (არხე[ო]ლოგიური ს[ი]ეზდი რომ იყო 1881 წ.), მაგრამ როგორ გავყიდდი. იმედი მაქვს, რომ ამ ბარათის მომტანს უბოძებთ 14 მანეთს და მომაშორებთ, მე რომ საშუალება მექონდეს, თქვენს მალ[ა]ლ ღირსებას ისეთი განძრახვა აქვს, რომ ეს ფული კი არა და პირიქით მეც მოვალე ვარ, რომ დავეხმარო. თუ ჩემ ჩამოსვლას ინებებთ, ამ დღე[ე]ბში გაიხლებით შემდეგის საყურადღებო წიგნებით:

1, იამბიკონი, ნიკოლოზ თფილელისა.

2, ხმა მონანულისა, დავით<sup>2</sup> ბატონიშვილისა.

3, გრდემლი, არსენ კათალიკოზისა.

4, დარღვევა მაჰმადიანთა, იაკობ შემოქმედის მიტრაჰ.

ანტონ კათალიკოზის ცნობებს ვაგროვებ და ამასაც ამ დღე[ე]ბში მოგართმევ.

თქვენი პატივის მცემელი ზაქარია ჭიჭინაძე

## სოფრომ მბალობლივილისადმი №2 (6)

30 დეკემბერს. [1884 წელი]

ძვირფასო სოფრონ!

თქვენმა მოთხრობამ „ნობათი“ ერთი ათად დაამშვენა, სწორეთ შესანიშნავი იქმნება ამ გვარი<sup>1</sup> მოთხრობების წერა და ბეჭდვა, განსაკუთრებით „ნობათში“ სადაც ამ გვარი ხელოვნური ნაწარმოებნი ერთობ იშვიათად იბეჭდებიან. სწორეთ რომ ხალხის გულიდამ არის ამოგლეჯილი და უნდა გითხრა, რომ ამისთანა ხელოვნებით სავსე რამე მე „ნობათში“ არა მინახავს-რა.

ადრე მოთხრობა „ცეცოზე“ გწერდი და არ ვიცი რა ჰქენით? ამ მოთხრობის გამოცემა ერთობ კაი იქმნება ჩვენს სახალხო მწერლობაში და ამიტომ კაი იქმნება, რომ უყურადღებოთ არ დასტოვო,<sup>2</sup> გადაასწოროთ და შეჭველია დაბეჭდვას ეღირსება.

ანტონ ფურცელაძის მეორე წიგნი უნდა გამამეგზავნა, მაგრამ ფურცელაძემ გარდმომცა, რომ ერთი ეგზ. გარდავეციო. გიგზავნი ერთ ეგზ. ჩემგან ახლად<sup>3</sup> გამოცემულს კომედიას „ევგენი ევგენიჩ ზანზალოვს“, რომლის შინაარსიც გორელების ცხოვრებიდამ არის აღებული და იქმნება, როდისმე თქვენს „გორულს ფელეტონებშიაც“ მოიხსენოთ ზანზალოვისთანა განვითარებული ყვლეფია პირები. ამ კომედიის დამწერი თქვენებურია, გორელი, გვარად გრიგორი ცერცვაძე. სწორეთ დიდათკი დამავალებთ, თუ ამ პიესას წაიკითხავთ და ოდესმე რამე შენიშვნებს გაატარებთ სადმე. ამ წერილსა და წიგნს თვითონ „ზანზალოვის“ დამწერი მოგიტანთ, თუ გაიცნობთ და რამე შენიშვნებსაც ეტყვიოთ, სწორეთ რომ დიდათ დამავალებთ. ამის ერთი პიესაც ამას წინათ ითამაშეს, საზოგადოება ახტაცებაში მოვიდა, მხოლოდ თავადობას კი არად ეჭაშნიკა.



იმედია, რომ თქვენს მოთხოვნა „ცეცოს“ ყურადღებას მიაპყრობ, გაასწორებ და დასაბუქდავით მოამზადებთ.

გორელებს ერთი საყვედური უნდა მოგცეთ და უეჭველია, რომ ამ საყვედურს თქვენც საფუძვლიანათ მიიღებთ. საქმე აი რას შეეხება:

თქვენ ე. ი. გორელები მოსკოვის ქართველ სტუდენტებს ფულს უგზავნით და ისინიც იქიდან ბეთანიის მონასტერს სწირავენ.

თქვენი პატივის მცემელი  
ზ. ჭიჭინაძე.

## **დავით კარიჭავჭილისადმი №1 (7)**

ჩემო დათიკო!

თქვენთან ერთი დავალება მაქვს: დღეს, 20 აგვისტოს, თქვენს სკოლაში ეგზამენს იჭერს მონაფე არჩილ მაჭავარიანი. სანყალს აპრილში დედა მოუკვდა, ჩემი დგმურის შვილია, მე ვიცი მათი შინაური ვითარება. ობლობამ წელს ძრიელ შეარყია მისი საქმე, ისიც მაგარი მამის ხელში. ეგზამენი სამ საგანში აქვს: ფრანგულს, ალგებრას და გონი რუსულში, თუ რამ დიდი ნაკლი არ ექმნეს, შენ აღმოუჩინე დახმარება, იქნება არ ჩაიჭრას. იმედია შემდეგში ეს ბავშვი ყოველივეს კარგად შეისწავლის. მეტი თხოვნა თქვენთვის საჭირო არ არის.

თქვენი პატივის მცემელი  
ზ. ჭიჭინაძე

20 აგვისტო. [1885 წლის შემდეგ]

## დავით კარიჭავჭილისადმი №2 (8)

პატივცემულო დათიკო!

აქამდე მე ერთ ბინაზედ არ ვიყავ, უმეტეს აქეთ იქით მგზავრობდი. ეხლაკი გამუდმებით აქ ვარ. თქვენი სია მაქვს წიგნებისა, ამ სიაში მოხსენებული წიგნების თუ არ შეგიკრებიათ და თუ სურვილი გაქვსთ შეძენის, გთხოვთ მაცნობოთ და მე შეგიკრებავთ ყოველივეს, სია გადაშინჯეთ, თუ რამ იშოვნეთ, ის წაშაღეთ, ან თუ კიდევ გინდათ ისიც მიუმატედ და ამავე მონაფე მაჭავარიანს გამოათანედ.<sup>1</sup>

თქვენი პატივის მცემელი  
ზ. ჭიჭინაძე

12 დეკ. [1885 წლის შემდეგ]

## სოფრომ მგალობლიშვილისადმი №3 (9)

ჩემგან გულით პატივცემულო  
ძმაო სოფრომ!

ჩემი წიგნები ერთ ოთახშია მიყრილი 400 ფუთზედ მეტი არეულია ერთმანერთში. ამიტომ შენი ნაწერების ყველა ვერ ვიპოვნე. რაც ვნახე იმისას გიგზავნით. მალე გადავარჩევ და რასაც ვნახავ, იმასაც მოგაწოდებთ. საცალა მინყვია ერთად შეგროვილი, ჟურნალებიდან გამოკრებილნიცკი. მალე მოგინახავ. „დედა მია“ სულ აღარ მაქვს. ერთი ცალიკი არის საცალა, ვნახავ უსათუოდ.

რას გავალებ: ამ ბარათის მომტანი ნიკო ნადიბაძეა. თელავის სასულიერო სასწავლებლის 4 კლასის მონაფე. მთიელი ღარიბი გლეხის შვილია. სხვა და სხვა პირები ეხმარები-

ან და სამადლოთ იზდება.<sup>1</sup> ძრიელ ლატაკია. ეხლა თელავში ვალი აქვს გადასახდელი. თფილისში ჩამოვიდა. 21 მანეთი აკლია, ვალი აქვს. მე ჩემი წიგნების მივეცი. იქმნება მანდ რამე წიგნები გაეყიდოს, მაღლია. წიგნებიც იაფად ძრიელ, მანეთის წიგნი 40 კაპ. ვინც მანათისას აარჩევს, იმას იგი 40 კაპ. დაეთმოზა. იქმნება ამით მაინც დავეხმაროთ.

თქვენი პატივის მცემელი  
ზ. ჭიჭინაძე

23 მაისი. [1887, ან მის შემდეგ]

### **ანტონ ფურცელაქისაღმი №1 (10)**

ჩვენო ძვირფასო ანტონ!<sup>1</sup>

დღეს, კვირას, მოულოდნელათ, მე შენს ისეთ მოგონებებს შევესწარი, რომლის მსგავსიც, ჩემის ფიქრით, ჯერ აქამდის არც ერთ ქართველ მწერალს არ უნდა შესწრებოდეს, შენი მოგონება, დღეგრძელობა სიყვარული და სიცოცხლის სადღეგრძელო ისეთ ხალხმა სვა, რომლის წარმოდგენა მე არ ძალმიძს, მე თქვენთან გიახელ, მაგრამ როგორც მათგან ძრიელ მოვლილი, ანუ დაღალული თქვენთან ვერ დავრჩი და შინ წაველ. გვსურს ყველა ქართველებს თქვენი სიცოცხლე და დღეგრძელობა. მე განძრახ მოველ თქვენსას, რომ ამდენი ბრბო ხალხის თანაგრძნობა ქებ[ა]შიაც კი მეცნობებინა.

თქვენი სიცოცხლის  
მნატვრელი ზაქარია

[1890 წლის 14 ოქტომბერი]

## ანტონ ფურცელაძისადმი №2 (11)

ყველა ქართველისაგან დიდათ პატივისაცემო  
ბატონო ანტონ!<sup>1</sup>

თქვენის საქმით მე ისე შევწუხდი, რომ თქვენ დაგმართვიყოთ რამე, მე მას შემდეგ სულ სხვა საქმეზე უნდა გადავსულიყავ, მიტომ, რომ აქ შეუძლებელია კაცის დარჩენა, იქმნება თქვენ ისე არ გქეჯნით<sup>2</sup> გული, როგორც მე და ჩემთან მთელი თფილისის ქართველობას. მე კვირას გიახელი თქვენთან, მაგრამ თქვენ ისეთი სტუმრები გყავდათ, რომლის გამო ვერ შემოველ. ცუდათ მეცვა ტანთსაცმელი და მოვერიდე. იმედია მომიტევენ, ჩემი გული და გონება ყოველთვის თქვენს გარშემო ტრიალებს. გთხოვთ მომიტევეთ.

თქვენი ნახვა უნდათ ძრიელ ბევრს ხალხს, თუ ნებას მოგვცემთ, ეს ნესტორის პირით შეგვატყობინე, ვერ მოდიან, ვაი თუ შეწუხდესო, კვირას 40 კაცზე მეტი მოვიდოდა, მაგრამ მიზეზი ეს იყო. ბევრნი ისე არიან ამისაგან აღელვებულნი, რომ დიასამიძე სადმე ნახონ, სულ ნაჭერ ნაჭერ აქცევენ, მაგრამ ეს რა საქმე იქმნება. შერცხვეს მას. სწორეთ ხელი უნდა დადუნებოდა ამ ვილაც ოხერ თავადის შვილს, როცა თქვენზე აღიმალლა.

მარადის თქვენი პატივის მცემელი და  
თქვენი სიცოცხლის მნატვრელი ზ. ჭიჭინაძე

15 ოქტომბერს. [1890 წელი]

## სოფრომ მგალოზლიშვილისადმი №4 (12)

ძვირფასო სოფრომ!

ამ თვის ბოლოს შავშეთში და იმერხევს მივდივარ, არაფერი ღონისძიება არ მაქვს, ჩვენში ყველას თხოვნა და საქმე გადის, ჩემსასკი არა ეძლევა რა, არ ეძლევა მით, რადგანაც მე უსწავლელი კაცი ვარ... იყოს ასე. ახლა ჩემი საქმე მხოლოდ ჩემს შრომაზეა ჩამოტვირთული, მე ჩემით თუ მოვახერხებ რამეს, თორემ, როგორც გამოვცადე, ქართველობის განათლებული საზოგადოება მხოლოდ ოცნება არის. მიბეჭდავს წიგნები და ახლაც ვბეჭდავ. თანხა და ძალა არ მაქვს, მაგრამ მე მაინც ჩემსას არ ვიშლი. ახლა მოგმართავ და გთხოვ, რომ ჩემი წიგნების თუ რამე გაქვსთ, ყველა ის გამამიგზავნოთ და მით მომცეთ ღონის ძიება მგზავრობისა. გთხოვთ განმეორებით, რომ უბრალო წიგნების უბრალო ფასი არ დაიშუროთ. ტულუშისაც გამომირთვით.

თქვენი მარადის პატივის მცემელი

ზ. ჭიჭინაძე

4 ივნისს. [1895 წელი]

5. მ.<sup>1</sup> ჩემი ადრესი მარტივია. თფილისი და ჩემი სახელი და გვარის დაწერის მეტი სხვა არაფერი უნდა.

## ალექსანდრე ოქროპირიძისადმი №4 (13)

ყველა ქართველთაგან უღრმესად პატივცემულო  
და ქართველო ერის მამავ ალექსანდრე!

ამ ბარათის მომტანი სემენარიის 5 კლასელია, გამო-

რიცხული, ახლა პოლტავის სემენარიაში მიიღეს. მეტათ ლატაკი კაცის შვილია. არაფერი საშუალება არ აქვს. მე ვიცი ამათი ცხოვრება და თითქმის მშვივრები იხოცებიან. ვკადნიერდები და განუხებთ რომ ეგები რამე აჩუქოთ, თქვენი მალალ ღირსების და საქართველოს მამულის შვილობის ხსოვნას ეს არა დროს არ დაივიწყებს.

მარადის თქვენი ლოცვა კურთხევის და სიცოცხლის მნატვრელი ზ. ჭიჭინაძე.

1 დეკემბერს.

1895 წ.

ქ. ტფილისს.

## აღექსანდრე არაბიქისაღვი №1 (14)

ჩემო ძვირფასო აღექსანდრე!

შენ შენი ვალი ჩემს წინაშე გადიხადე. მაგრამ მე ისევ შენ გავალე. მიყავ სიკეთე, ერთხელ უნდა ნახო დიასამიძე და ჰკითხო, თუ იქმნება რამე ხომ კაი, თუ არ იქმნება და ეს მაინც ვიცოდე, მე მისი იმედებით წიგნების გამოცემას ვიწყებ<sup>1</sup> და აქ ამ დროს მოტყუ[ი]ლებაკი<sup>2</sup> არ გამოდგება. იმედი მაქვს, რომ ამას შემისრულე. ეს უკანასკნელი იქმნება შენი შენუხება.

ზ. ჭ.

[1897 წლის 13 აგვისტომდე]

## ალექსანდრე ხახანაშვილისადმი №1 (15)

ძვირფასო ძმაო  
სანდრო!

მოკითხვა წრფელის სიყვარულით, მსურს შენი კარგათ ყოფნა და სიმაგრე, ღმერთმა ქმნას რომ მაგ ენერგიით და წრფელის მიმართულებით დიდხანს დიდხანს დარჩე, მე ძრიელ გულ გატეხილი ვარ, ბევრზე გამიცუდდა შეხედულება და ხელ ცარიელი დავრჩით, შენზეკი ეს არ იქმნება, არავინ რას იტყვის, შენ უკვე გვაჩვენე შენი თვისების და საქმის მოყვარეობის ცნობები. მე შენი ორივე წიგნი სიამოვნებით გადავიკითხე, მენატრება რომ მესამე წიგნის წაკითხვასაც დროით მოვესწრა, ის რაც ამ 30 წლის წინეთ ცაგარელს უნდა გაეკეთებინა, იმას შენ დღეს აკეთებ. მაშ იყავ მხნეთ და კარგათ. მე ხანდისხან წერილებს მოგწერ. გიგზავნი გორელს პატრს ტულუკაანთ დავითას. მარის წერილს უწერ და ვნახოთ, გადამეკიდებაკი, მაგრამ რა გაეწყობა, მეტი აღარა აღარა<sup>1</sup> გვრჩება რა, მალე ნახავთ დასტამბულს, წერილში ცაგარელის ამბებიც იქმნება მოთავსებული.

მიხა პეტერბურგს მოდის და იქმნება რამე ეშველოს.

შენი ძმა და მეგობარი  
ზ. ჭიჭინაძე

15 სექტემბერს

1898 წ.

ქ. ტფილისს.

## ეგნატე იოსელიანისადმი №1 (16)

ძვირფასო ძმაო ეგნატე!

შენი ნახვა სულით და გულით მენატრება, მაგრამ მგზავრობაში ვიყავ, ვერ მოვახერხე თქვენი ნახვა, მალეკი გნახავთ. ეხლა შენთან ერ[თი]<sup>1</sup> დასავალბელი საქმე მაქვს და იმედია, რომ ეს დავალბა თქვენს წინაშე უყურადღებოთ არ დაშთება. საქმე აი რას შეეხება:

ამ ბარათის მომტანი ისაკა მაისურაძეა, მეტათ ყოჩალი,<sup>2</sup> მხნე კახელია, მასთან ქართული წიგნებით აღზდილი, ცოტა რუსული ლაპარაკი და წერა კითხვაც იცის. ეს თუმც დღეს ერთს საქმეზე სდგას, მაგრამ სურვილი აქვს, რომ სახელმწიფო საადგილ მამულო სამართველოს აბეშჩიკათ დადგეს. თვით მეტათ მხნე, მართალი ყმანვილი კაცია, ასეთს საქმეს კარგათ გაუძღვება.

მე კარგათ ვიცი, რომ თქვენ ბაქრაძის ცნობა კარგათ უნდა გქონდესთ, მეც ვიცნობ, მაგრამ ისე დაახლოვებითკი არა, ამას წინეთ თქვენ ერთათ გნახეთ, ამიტომ მოგმართავ და დაგავალბ ჩემს სამუდამო სამახსოვროთ, რომ მასთან წერილი მიუწეროთ და სთხოვოთ ჩემ<sup>3</sup> მაგიერთაც, რომ თუ მისთვის სამძიმო არ იქმნება, დახმარება გაუწიოს და როგორმე აბეშჩიკის<sup>4</sup> ალაგი აშოვიოს (sic) კახეთისკენ.

მე შენს შეწუხებას ვერიდები, მაგრამ რადგანაც ვიცი თქვენი მიმართულება და უანგარო შრომის სიყვარული, ამიტომ ვგზავნი და გავალბებთ. თუ ძმობა და სიყვარული გაქვს ჩვენის ძველის მეგობრობის, ნუ დაიზარებ და თქვენის მხრით თანაგრძნობა გაუწიე.

მარადის თქვენი პატივის მცემელი

ზ. ჭიჭინაძე

28 მარტს

1899 წ.

ქ. ტფილისს



## ეგნატე იოსელიანისადმი №2 (17)

ძვირფასო ეგნატე!

ამ ბარათის მომტანს როგორმე დაეხმარეთ, მოუხერხე რასაც გთხოვს, 10 მ. ეხლავე გადიხდის, დანარჩენსაც დროზე გადიხდის, მე კარგათ ვიცნობ, არა და[გე]კარგება<sup>1</sup> რა. გეთაყვა დაეხმარე.

თქვენი პატივის მცემელი  
ზ. ჭიჭინაძე

23 მაისს  
1899 წ.  
ქ. თფილისს

## კონსტანტინე მამაცაშვილისადმი №1 (18)

ყველა ქართველთაგან დიდათ პატივცემულო  
კონსტანტინე ქრისტეფორეს ძევ!

დიდის მონინებითკი, მაგრამ ვბედავ მაინც თქვენს შენუხებას: აჭარიდამ ორი ქართველი მოლა ჩამოვიდა, დიასამიძე და გეგიძე, მოსწავლეები არიან, აქედამ სახლში ველარ ბრუნდებიან, გზის ფული არა აქვსთ, ეგება ორი სამ[ი]<sup>1</sup> მანათი ხელი გაუმართოთ. თქვენ შენუხებას მე მით უფრო ვბედავ, რადგანაც ამათ თქვენს შესახებ აჭარაში სხვებს უამბნიათ, თუ გაგვიჭირდეთ მათ მიმართეთო. სულ მცირე რამ ესაჭიროებათ.

მაპატიეთ, მეტს არ შეგანუხებთ.

მარადის თქვენი ღრმად პატივის მცემელი  
ზ. ჭიჭინაძე

6 ივნისს

1899 წ.

ქ. თფილისს<sup>1</sup>

### **მიხეილ ბაჩიჩილაძისადმი №1 (19)**

ძვირფასო მიხა!

გიგზავნი 20 ც. „ქართლის ცხოვრების“ III ნიგნს. ზოგ-საც მომავალ კვირას გამოგიგზავნი და გთხოვ, რომ ყველა ისინი დროით გარდასცე ქუთაისს და მით დამავალო. მე მალე მომიხდება მაგრე ამოვლა, მეტი გზა არ მაქვს. ყიფიანმა 400 მ. მომი[...].<sup>1</sup> უბრალოთ დავიდე ამოდოლა ვალი. სხვაც კიდევ, ეჰ! რალა გითხრა, სულ ჩემი სიმჩატის ბრალია. შენს მეგობრებს სალამი. ვახ. ღამბაშიძეს შეეკითხე, თუ „კრებულში“ პავლე შაჰყულიანი იბეჭდება, ან ქართული ჟურნალ-გაზეთების ისტორია, მაშინ მას ქალაქის ფული 10 მ. თქვენ მიეცით და 600 – ან 800 ნიგნი ცალკე გადაბეჭდოს. დასაბეჭდს ფულს ჩემს მანდ მოსვლისას მე გარდავსცემ. თუ ხათრი გაქვს ნუ დაივინყებ ამას. იმედოვის ძმა ხომ მანდ არ არის. რას აკეთებს, მის<sup>2</sup> ფული ჩემთვის<sup>3</sup> შეინახე, აქ თვით მასაც ასე სურს, მავალებს, რომ შენ წერილი მოგწერო და ფული მე გარდმომცე. აბა შენ იცი.

თქვენი პატივის მცემელი  
ზ. ჭიჭინაძე

24 თებერვ.

1900 წ.

ქ. თფილისს

## მიხეილ ბაჩჩილაძისადმი №2 (20)

ძვირფასო მიხა!

სალამი წრფელის გულით, იყავით მხნეთ და კარგათ, ჩემი საქმეები ძრიელ აინუნა ვალების გამო, მიტომ ველარ მოვახერხე მანდეთ წამოსვლა. ეხლა გიგზავნი შემდეგ წიგნებს და იმედია ვალს დამდებთ და კუთვნილებისამებრ გარდასცემთ. ყველას წიგნს თავის გვარი აწერია.<sup>1</sup>

|                   |                             |
|-------------------|-----------------------------|
| თქვენ გეგზავნებათ | 10 ც. ისტორია.              |
|                   | 20 ც. თამარ მეფის სამკაული. |
|                   | 20 ც. ხელოსნები.            |
| ბეჟანეიშვილს      | 20 ც. ქართლის ცხოვრება      |
|                   | 20 ც. თამარ მეფის სამკაული  |
|                   | 20 ც. ხელოსნები             |
|                   | 10 ც. ისტორია სტამბისა.     |
| წერეთელს -        | 20 ც. ქართლის ცხოვრება      |
|                   | 20 ც. თამარ მეფის სამკაული  |
|                   | 20 ც. ხელოსნები             |
|                   | 10 ც. ისტორია               |
| ხეთერელს - -      | 20 ც. ქართლის ცხოვრება      |
|                   | 20 ც. თამარ მეფის სამკაული  |
|                   | 20 ც. ხელოსნები             |
|                   | 10 ც. ისტორია სტამბისა.     |

გენაცვა ყველა ეს წიგნები დროით გარდაეცით და თან ყველას ბარათები ჩამოართვით, თორემ ხომ იცით, რა კაცებიც არიან. თქვენ ხომ მიიღეთ „ქართლის ცხოვრება“<sup>2</sup> ამას წინეთ 20 ც. გამოვგზავნე. გთხოვ არ დაივიწყო, ვალი დამდე და დროით გარდაეცით. დამიმაღლებ, შენს ამხანაგებს მოკითხვა. ვეცდები მეც მალე გნახოთ.

ბარათები შენ შემინახე. ღამბაშიძეს და შენ წერილი გამოგიგზავნეთ არ ვიცი მიიღეთ თუ არა, წერილი მელექსე მიხეილ გორდაძეს გამოვატანე, იგი ჭიათურაში გადმოვიდა.

იმედოვნებ მამა დაეკარგა, მე ფულს არ მაძლევს, მაგას უცდის, მიშველეთ რამე და ეგ მამაძალი დროით გამოაგდეთ აქეთ. იმედოვი ვერ მექცევა კარგათ. ეს შეჩვენებული რას აკეთებს ამდენ ხან მანდეთ, სუსუნტ შანკირი ხომ არ გაუჩნდა? ამას ვფიქრობ, მიტომ აქ თავის ძმასთან ველარ მოდის, სცხვენთან, მანდ იქნება თავს ირჩენს. ჯანდაბას მის თავი, ნეტა აქ გაას-ნორონ საქმე, შენ ხომ ფული არ მიეცი?

იყავით კარგათ.

თქვენი<sup>2</sup> პატივის მცემელი  
ზ. ჭიჭინაძე

6 მარტს.

1900 წ.

ქ. თფილისს

### **მიხეილ ბაჩეჩილაძისადმი №3 (21)**

ჩემო ძვირფასო  
მიხეილ!

ჩემი საქმე მორჩა. წიგნები ავკრიფე და წიაღსა აბრა-მისას მივეცი საქმენი ჩემნი. დღეის შემდეგ თავისუფლდები. კარგა ჩავჯექ, ე.ი. კარგა ვიკბინე ნეკუხედ... სხვა, შენ როგორ ხარ, შენ შესახებ არაფერი ვიცი. მალე გნახავ, გაზეთებშიც აღარაფერს სწერ, რა ამბავია, რა დაგემართად ასე გაზარმა-ცებისთვის. რას გეხვეწები: ალექსანდრე არაბიძე თუ მანდ არის, დამდე ვალი და სთხოვე, რომ სია შემიდგინოს იმ წიგ-ნების რასაც ეგ ჩემზედ სთვლის, სულ ერთათ, ზოგი მაგის წიგნები მაქვს დაშენილი, ყველაფერს გაუსწორებ, მხოლოდ შენ დამდე ვალი, რომ ცნობა მოგცეს თუ რა წიგნებია მაგისი

ჩემზედ. ამას გავალებ და იმედია შემისრულებ. მეც გადაგიხ-  
დი სამაგიეროს, უსათუოდ. აბა შენ იცი ჩემო მიხა, თუ თხოვ-  
ნას შეასრულებ. მეც გადაგიხდი სამაგიეროს.

თქვენი სიკეთის მოსურნე  
ზ. ჭიჭინაძე

13 მარტს. [1900]

### **კირილე ლორთქიფანიძისადმი №1 (22)**

დიდათ პატივცემულო და საუკუნოთ ჩემგან  
დაუფიქრობო ბატონო კირილე ბეჟანის ძე!

მე, როგორც თქვენის კარგის საქმეების მცოდნე და  
მასთანვე იმ დიდის შრომის, რომელიც თქვენ მიგიძღვით  
ქართულს მწერლობაში და რომელიც თქვენ თითქმის თქვე-  
ნის სახელის მოუწერლობის გამო<sup>1</sup> დაუფიქრებულ ჰყავით, მე  
ამის მცოდნე გწერთ წერილს და მოგმართავთ ერთის თხოვ-  
ნით და სრული იმედი მაქვს, რომ თქვენი კაცთ მოყვარე გუ-  
ლი ამ თხოვნას უყურადღებოთ არ დასტოვებს, ამის იმედი მე  
თქვენგან მით უფრო მაქვს, რადგანაც თქვენც მიგიძღვით  
შრომა ჩემს შინაურს განვითარებაში და არა ერთხელ გისწავ-  
ლებიათ სხვა და სხვა რამეები ჩემთვის. საქმე აი რას შეეხება:

ამ ბარათის მომტანი ბ. თევდორო<sup>2</sup> სახოკია[ა],<sup>3</sup> აფხა-  
ზელი, სემენარიაში ნამყოფი და სამზღვარ გარეთ ყოფილი.  
მეტის მეტი ჩინებული ქართველი ბიჭია, ამ პირმა ტიხივეს  
აფხაზეთში ადგილი სთხოვა. ეხლა უთხრეს, რომ შენი თხოვ-  
ნა ქუთაისშია გაგზავნილი გამრეკელთან და იმაზეა დამოკი-  
დებული შენი ბედი და უბედობაო. ამიტომ მოგმართავთ და  
გთხოვთ, რომ როგორმე და[ე]ხმაროთ<sup>4</sup> ამ ყმანვილს და გამ-  
რეკელს ეგება ორიოდ რამ თხოვნა გარდასცეთ. ამის დახმა-

რებას მე ჩემს საუკუნო დავალებათ მივიღებ, მეორე ეს თვით ჩვენის მწერლობისთვისაც კაი საქმე იქმნება, რადგანაც ეს ყმანვილი მთელს რიგს წერილებს სწერს აფახაზეთის შესახებ, ბევრი ამისი წერილები და ფრანგულიდამ ნათარგმნი მოთხრობები „ივერიაშიც“ იყო ნაბეჭდი. საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ ეს პირი ღირსია დახმარების და თანაგრძნობისა. მე თქვენთან ამის მეტი დავალება არა მქონია რა და იმედია რომ ამ ერთათ ერთ ჩემს თხოვნას უყურადღებოთ არ დასტოვებთ. თქვენ შესახებ ამ ყმანვილისთვის ეთქვათ, რომ ქუთაისში კირილე ლორთქიფანიძე იცნობს გამრეკელსაო. ეს კი არ ვიცი და მე კი ის კარგათ მახსოვს, რომ თქვენ ვუჩინოს იცნობთ კარგათ და გონი რომ ვუჩინოსაც შეუძლიან რამე. ბევრი თხოვნა თქვენს თავის შენუხებათ მიმაჩნია, იმედი მაქვს, რომ ამ სანყალი ყმანვილი კაცის დახმარებას არ დაიზარებთ.

მარადის თქვენი პატივის მცემელი  
ზ. ჭიჭინაძე

20 სექტემბერს. [1900, ან მომდევნო წლებში]

## **აკაკი წერეთლისადმი №1 (23)**

ჩვენი ტომის მნათობო აკაკი!

რაფიელ ისარლოვმა თავის გამოცემის ერთი წიგნი მოგართვათ, თვით ავით არის, თორემ გაიხლებოდათ, გნახავდათ. გთხოვათ: ჩემთვის დიდი სასოება იქმნება, თუ თქვენი ბრწყინვალე კალამი პატარა წერილით ღირს გამხდის ამ წიგნის გამოცემის შესახებო. გიგოსაც ბოდიშს სთხოვს და თქვენ გარდაეცით მას, რადგანაც მე ვერ ვნახე, რომ პირადათ გარდამეცა მისი დავალება.

ძრიელ კარგს იზამთ, რომ წელს, 1901, ჟურ. „კრებულის“ ორი წიგნი მაინც დაიბეჭდოს, რათა მის საშუალებით უფლება არ დაკარგოთ, ამ წიგნების გამოსაცემად თუ თქვენ ვერ მოიცლით, მაშინ მე და სოსიკო გამოვსცემთ თქვენის სახელით, იქ ჩვენი ხსენებაც არ გახლდებათ, ოღონდ ქუთათურ ახალგაზრდობას მის გამოცემის ნებას ნუ დაუკარგავთ. მალე გნახავთ და პირადათ მოგახსენებთ.

მარადის თქვენი პატივის მცემელი  
ზ. ჭიჭინაძე

14 მარტს  
1901 წ. ქ. თფილისს

### **ეგნატი იოსელიანისადმი №3 (24)**

ძვირფასო ძმაო და მეგობარო  
ეგნატი!

თქვენთან ერთი დასავალბელი საქმეა და იმედია, რომ ამ დავალბას უყურადღებოთ არ დასტოვებთ. ამ ბარათის მომტანთ მიხეილ ქეშელაშვილს და გიორგი მჭედლიშვილს თქვენთან სამეურნეო საგნის შესახებ მოლაპარაკება<sup>1</sup> უნდათ და დიდს ხელმძღვანელობას გაუნევეთ, თუ ამათ დავალბას შეასრულებთ და რამე ახსნას და ცნობებს გარდასცემთ.

თქვენი პატივის მცემელი  
ზ. ჭიჭინაძე

13 იანვარს  
1902 წ.  
ქ. თფილისს.

## მოსე ჯანაშვილისადმი №1 (25)

ძვირფასო  
მოსე!

რომიდგან, კათოლიკის ბერი მიხეილ თამარაშვილი ისტორიულს წიგნებს ითხოვს. იგი საქართველოს შესახებ წერილებს სწერს ფრანგულს გაზეთებში, ახლა ცალკე წიგნებით აპირებს ისტორიული წერილების ბეჭდვას. იგი წიგნებს ითხოვს. შენი ნაწერების გადმოუწყე თითო წიგნი, ზედ წარწერით მიხეილ თამარაშვილს. ნასწავლი ბერია, აქედგან გაძვეებულია მთავრობისაგან. სებასტიანოშია,<sup>1</sup> სემენარიაში თუ საცალა სასულიერო კოლეგიაში მღვთის მეტყველების მასწავლებლათ. შენს ადრეს მივსწერ, მისგან მადლობაც მოგივა და ფრანგულს ენაზე დასტამბული საქართველოს შესახები წიგნები.

თქვენი პატივის მცემელი  
ზაქ. ჭიჭინაძე

1 თებერვალს. [1894-1902]

## კონსტანტინე ღვამიჩაშასადმი №1 (26)

ჩემო ძვირფასო კონი!

თქვენთან ერთი დავ[ა]ლება<sup>1</sup> არის და იმედია, რომ სამართლიანობის და სიბრალულის მხრით ამ დავ[ა]ლებას უყურადღებოთ არ დასტოვებთ. ამ ბარათის მომტანი არის ნინო ევსევის მეუღლე, ამ ქალის შვილი ქალი ვერა ევსევის ასული, გამოცდას იჭერდა, მე დამავ[ა]ლეს თქვენთან წერილის მოწერა და მეც უარი ვერ ვუთხარი.



გნერთ ამას და გთხოვთ, რომ ამ საცოდავ უპატრონო მონაფის დავ[ა]ლებას ყურადღება მიაქციოთ, ამის მამა 50 წელიწადი თუთუნის ქარხანაში მუშავობდა, ეხლა იგი 72 წლისა[ა] და კურტს ქვეშ მუშავობს. ჩემო კონი, შენი ცოლშვილის სადღეგრძელოთ, ნუ დაზარდები დაეხმარე ამ საბრალო თქვენს მონაფეს, იგი ღირსია სიბრალულის და დახმარების.

მე თხოვნით მომართეს და ამ თხოვნასაც თქვენ გიგზავნით[.]

თქვენი პატივის მცემელი  
ზაქ. ჭიჭინაძე

[1902 წლის შემდეგ]

## აღიქსანდრე არაბიქისაღვი №2 (27)

ჩემო ძვირფასო სანდრო!

„მოამბე“ მოგიტანე სულ 53 წიგნი. თითო 35 კაპ. ამაში სულ მერგება 18 მ. და 55 კაპ.

მოგზაური ოთხი წლისა არის. 1903 წ. ერთი წიგნი აკლია, მაშინ ღირდა სულ 20 მ. მე ვითხოვ ნახევარს, სულ 10 მ. 6 ცალი „ივერია“ არის

3 ც. მახარებელი 1866 წ. } ამაში რაც გინდა ის იყოს,

3 ც. „იმედი“ 1881 წ. თუნდ 3 მან.

წაღები მაქვს დასახსნელი, 20 მ. უნდა მივსცე, თორემ არ გთხოვდი, ძველებში წყალი შედის და ველარ დავდივარ, თორემ სირცხვილიც არის, რომ შენ ამაში ფული გამოგართოთ. იმედია, რომ მომცემთ.

თქვენი პატივის მცემელი

ზ. ქ.

18 დეკემ. [1904 წლის შემდეგ]

## გიორგი ზდანოვიჩისადმი №1 (28)

ჩემგან გულით პატივცემულ  
გიორგი ფელიქსისძე!

მომიტევით შენუხებისთვის. ვისაც თქვენი ცნობა აქვს, ვინც იცის თქვენი წარსული, ანმყო და მასთან საქმე და განვითარება, ყველა მათ აქეთკენ გულს დასწყდათ თქვენგან სამსახურიდამ გასვლა, თავის დანებება, გული დამწყდა თქვენი განძრახვისგამო, მაგრამ რას ვიქმთ, ალბათ თქვენ ასე არჩევთ უკეთ. გავკადნიერდები და კვალად ჩემს ღრმა მწუხარებას განვაცხადებ ზოგიერთ ჩვენებურს უგვანს და უმეცარს მწერლებსა და გაზეთებზედ, რომელნიც ხანდისხან ბოროტად და უკადრისად ხმარობდენ თქვენს სახელს და ღირსებას.

იმედია, რომ თქვენ ასეთ ჯურა ხალხის და გაზეთების ბოდვას ყურადღებას არ მიაქცევთ, რადგანაც მათს გარდა საზოგადოებაში არის დიდი ნაწილი ისეთის შესამენილის პირებისა, რომელთაც თქვენი ცხოვრების და მოქმედების ცნობები კარგად აქვსთ შესწავლილი და ესენი მით თქვენი პატივის მცემელნიც გახლავან და უფრო სამართლებრი დამფასებელნიც. იმედია, რომ ამის მეოხებით არც თქვენ იქნებით ამაზედ გულ დაწყვეტილი. თქვენ და თქვენს შრომას ჩვენ კარგად ვიცნობთ, მას ვერაფერი ვერ დაამცირებს.

ტუნის<sup>1</sup> წიგნი წავიკითხე, ასევე მეორე წიგნი, სადაც სხვათა შორის მოთავსებულია თქვენი სიტყვის ერთი პატარა შესანიშნავი ადგილი: – «из речи Здановича».\* ასევე წავიკითხე მესამე წიგნი, მოკლე ბიოგრაფია თქვენი სხვებთან ერთად

დაბეჭდილი. სხვებიც მაქვს გადაშინჯული, მომიტევეთ ასეთი ცნობების მოწერის გამო. ამ წიგნების წაკითხვით მე ისეთ[ი]<sup>1</sup> ალტაცებულ ვიყავ თქვენი და თქვენის შრომისგამო, რომლისა<sup>2</sup> გამო არ შემეძლო არ გამეზიარებინა ესეც, რადგანაც ასეთ წიგნებს მართო მეკი არ ვიცნობ, არამედ მთელი საუკეთესო ძალა ჩვენის განვითარებულის საზოგადოებისა.

ამიტომ ნუ გვიწყენთ და ნუ იფიქრებთ მას, რომ ჩვენი საზოგადოებრივი ძალა ისე იყოს გათახსირებული, და გაფუჭებული, როგორც მაგალითებრ თქვენს წინ აღმოსჩნდენ ზოგიერთები, რომელთაც უმეცრულად კიცხვა და გმობა იწყეს თქვენის ისტორიულის შრომის, ღირსების და ადამიანობის. უეჭველია ბატონო გიორგი, ეს უჩვენოდაც უნდა გეუნყებოდეთ, რომ ასეთ პირთა ბაირახს და იარაღს შეადგენდა და კიდევაც შეადგენს სუყველა ჩვენი უწარჩინებულეს მოღვაწე პირთა ლანძღვა, კიცხვა და გმობა. ამით ნეტარებენ იგინი და მით რაღაცა განკურნებასაც მოელიან მომავალში. დაე ბძანდებოდენ ასე, ხოლოდ ძრიელ შორსკი ვერ წავლენ, რადგანაც უმეცრებას ყოველთვის მეცნიერება და ჭეშმარიტება დასძლევს.

ამიტომ პატივცემულო გიორგი, ნუ დამძრახავთ და უადგილოთ ნუ ჩამომართმევთ ასეთ წერილის მოწერას. მე ყოველთვის უკმაყოფილო ვრჩებოდი მასზედ როცა თქვენს შესახებ არა კადნიერი ნაჯღაბნების კითხვა მიხდებოდა. ამის არ ჯავრი არც შეიძლებოდა, რადგანაც მე და ჩემთან ბევრნი სხვანიც კარგად ვიცნობთ თქვენს წარსულს, მწერლობას და მოქმედების ისტორიას. ბევრჯერ მინდოდა ამის შესახებ ჩემი მწუხარების განცხადებაც, მაგრამ ვერ ვბედავდი, ეხლაკი რაკი ისიც ნავიკითხე, რომ თქვენ გისურვებიათ საქმის დატოვება, ეხლაკი მოკლედ მოგახსენეთ ჩემი შენიშვნა და თან ვიტყვი კიდევ მას, რომ მე არ მეგონა და არც მოლოდინი მაქვნდა მის რომ სადღეისოდ ჩვენში ასეთი თავობა გაჩნდებოდა, ამას სულ არ მოველოდი. რის იმედიც გვაქვნდა, ის სულ არ განხორციელდა. ესეც იქნება მოვლენა არის რამე და გარდა-

მავალი ხანა, არ ვიცი, იქნება, თუ ეს ასე გახლავსთ, მაშინ კიდევ იმედს არ დავკარგავთ. ამიტომ ბოდიშს ვიხდი ჩვენო გიორგი და თან გიცხადებთ ჩვენს ღრმა მწუხარებას თქვენ მიერ<sup>3</sup> საქმის დატოვების გამო და მასთან ღრმა პატივისცემასაც თქვენის დაუფასებელის შრომის და მოქმედებისთვის, რომელიც თქვენის ახალგაზრდობიდან ჩვენ დრომდე უხვად განფენილია როგორც მწერლობით, ისევე სხვა და სხვა საქმით და შრომით.

მარადის თქვენი პატივის მცემელი  
ზ. ჭიჭინაძე

20 ივლისი.  
1907 წ. თფილისი.

\* ზდანოვიჩის სიტყვიდან

## **ბიორგი ზდანოვიჩისადმი №2 (29)**

ჩემგან გულთ პატივცემულო  
გიორგი ფელიქსისძე!

ბოდიშსკი მოვიხდი და თან შეგანუხებთ მცირე რამ დავალებით, თუ ეს თქვენთვის სამძიმო არ იქნება. კარგა ხანია მე არ მითხოვია რამე ვინაიდგან ვიცოდი საქმის ვითარება. ეხლა წიგნების ბეჭდვას შეუდეგი და თან მგზავრობასაც. დაგბეჭდე ჯერჯერობით მოკლე ისტორია „მუსულმან ქართველთ საქართველოსი“, მას დიდი საჭიროება აქვს ქართველ მაჰმადიანებში და ნამეტურ ჩვენშიც არის საჭირო. ქუთაისის გუბერნიაში 850 კაცზედ მეტი ყოფილა აჭარელ[ი]<sup>1</sup> სტრაჟნიკები. მათში „ყურანი“ ბევრს დაურიგე, კითხვა ბევ-

რმა ისწავლა ახლა ამ ისტორიის და სხვა წიგნების ბეჭდვა და მგზავრობაც მიხდება მათკენ.

ამიტომ დაგავალვით, რომ ამ მგზავრობის დროს, მომიხერხოთ როგორმე და 50 მ. მომცეთ იმ ფულში, რომელიც მე დამინიშნედ, რომლის ერთი ნაწილიც მივიღე. ამ ფულით მე შემეძლება მგზავრობა და წიგნების წაღებაც, თორემ წიგნები ბევრი მაქვს, რამდენიმე იაშუკია სავსე საბავშვო წიგნებით და გზის ფულიკი არ მაქვს. დიდათ დამავალვით თუ მომიხერხებთ ამას. საბავშვო წიგნები და სხვანი ბევრი მომიგროვდა, გაგზავნა უნდა მათ და მასთან კაი ხარჯიც. მეტი თხოვნა თქვენ არ გინდათ, ვინაიდან იცით კარგად ყოველივე. ეგ 50 მ. მეყოფა წიგნების გასაგზავნად და სამგზავროდ.

მოგართმევთ ამ წიგნაკებისას თითო ცალს თქვენ და თითოსაც<sup>2</sup> სხვებს, ბაქრაძეს და სხვათა. გთხოვთ გადასცეთ მათ. – „ქართული სტამბის ისტორია“ მიტომ დავბეჭდე, რადგანაც წელს სრულდება 200 წელიწადი, რაც ვახ. მეფემ თფილისში პირველად ქართული სტამბა გახსნა. რომშიკი 1627 წ. გახსნეს ქართული სტამბა. წელს 1909<sup>3</sup> დღესასწაულის გადახდა უნდათ და მიტომ გამოვეცი და ზედ ვახტანგიც დავბეჭდე, მხოლოდ სტამბისთვის.

ამ მოკლეს ხანში წამოვალ მანდეთ და თუ გზათ გადმომცემთ რამეს, ამას დიდათ დამავალვით.

ქართველ მაჰმადიანთ ვითარებას თვით მთავრობამაც უნდა მიაქციოს ყურადღება, თვით ამათვის შეადგენს დიდს საჭიროებას, რომ მათ მოსამზღვრე მეზობლები დაახლოვებული და გონება გახსნილები ჰყვანდესთ, იგინი ამას ყურადღებას არ აქცევენ და ჩვენ კიდევ გვიკიჟინებენ, რომ რევოლუციონერები არიანო. 1901 წ. შავშეთში ისე მოეწყო საქმე, რომ 800 კომლი გაიქცა შავშეთიდან ოსმალში. უმაღლესმა მთავრობამკი ამის მიზეზებიც არ იცოდენ, თუ რისთვის გაიქცნენ და მერე ჩვენს „წერა-კითხვის სამართველოში“ კაცი გამოგზავნათ და მე შემეკითხნენ თქვენ ხომ არ იცით, თუ ის 800 კომლი რათ გაიქცენ ოსმალეთშიო. დასამალი არაფერი იყო

და მეც ვაუწყე მიზეზები რასაც ყურადღებაც მიაქციეს და ეხლაკი შევიტყე, რომ პეტერბურგს დუმაში ულაპარაკნიათ თქვენზედ რაღაცაები და იქ მეც უხსენებიათ!

ღმერთმა მშვიდობა მისცეთ. ეხლა მანკი,<sup>4</sup> ვიდრე ეგ-ზარხი გახლდათ, კრება ყოფილა ქართველ მაჰმადიანთ შესახებ, ლაპარაკი ჰქონიად და ფულიც გადაუდვიათ, ამითი თურმე ჩვენი წმინდანების ცხოვრების ბეჭდვა უნდათ და მის გავრცელება. მაგრამ შეიტყეს რომ ეს უნაყოფო იქნება და ამიტომ თავი გაანებეს. რასაკვირველია წმინდანების წიგნებით მარტოდ მუსულმანობას ააღელვებდენ. ყველა ეს იმის გამო მოვიყვანე აქ, რადგანაც გამახსენდა პეტერბურგში ბრალის დადება, მადლობის მაგიერ თქვენი საყვედურების თქმა ჩემ გამო. საყვედურებიკი არა მათ მადლობა უნდა სთქვან ასეთის საქმისთვის. მეორე იქით არც ერთი ფურცელი და წიგნი არ წავა ისე რომ იგი რუსის მთავრობისაგან ნება დაურთველი არ იყოს, მასზედ პასუხი იყო საჭირო, მაგრამ ბევრმა სთქვეს: არ ღირს საპასუხოთო. მიტომ მეც არ მივაქციე ყურადღება, თორემ უნდა მიმეცა პასუხი.

მომიტვეთ წერილის ასე გაგრძელებისთვის, იმედია, რომ ამ მგზავრობისთვის მაგ დავალებას შემისრულებთ და 50 მ. მომცემთ სახსარს მგზავრობისას, მალე წამოვალ მან-დეთ.

მარადის თქვენი პატივის მცემელი  
ზ. ჭიჭინაძე

5 ივნისი  
1909 წ.  
თფილისი.

## ანტონ ფურცელაძისადმი №3 (30)

ბატონო ანტონ ნიკოლოზისძევ!

სახლში ვერ მოგისწარით, თუმც რამდენჯერმე ვიყავ. ამიტომ ასე გაუწყებთ ჩემს აზრს:

მე წავიკითხე ყველა ის წერილები და კიცხვანი, სადაც გეხებიან თქვენ, გკიცხავენ, გმობენ თქვენს შრომას, მამულისშვილობას, მწერლობას, იდეას, მოქმედებას და სხვაც ბევრი რამ. ამ ჯადოქრული შეუსაბამო და ჰარამზადული კიცხვის მიზეზები მე კარგად ვიცი, ამიტომ მათზე სიტყვის თქმა მეტია. თქვენი მწერლობის წარსულიც სჩანს და მათიც, თქვენი იდეური მოქმედებაც სჩანს და მათიც. თქვენც გიცნობენ მრავალნი და მათაც, ამიტომ ღმერთმა შვიდობა<sup>1</sup> მიაწოთ, ილანძღონ და იგინონ რამდენიც უნდათ, ხოლო იმასკი ვიტყვით, რომ იგინი ისეთის კიცხვით ძალიან შორს ვერ წავლენ. თქვენ წარსულს წინ ვერ გაუსწრობენ.

კარგი იქმნება რომ ასეთ მასხარულ კიცხვა გმობას ყურადღება სულ არ მიაქციოთ. არ ღირს მათზედ წერა. ძველი ამბებია ამათი საქმე და გმობის ისტორია. ცნობილი გვამნი გახლავან თქვენი მწერლობის გმობაში. ამიტომ მათთან საუბარი მეტია თქვენგან.

თქვენი პატივის მცემელი  
ზ. ჭიჭინაძე

12 სექტ. [1909 წელი]

## მიხეილ გაჩეჩილაძისადმი №4 (31)

პატივცემულო მიხეილ სპირიდონისძე!

ეს წიგნი მე თქვენ გათხოვედ; ჩარკვიანმა ასე დააბრუნა, მიხამ ამოსჭრა სურათებო. მე ეს წიგნი საპასუხოთ მაქვს მოცემული, თითო 3 მ. იყიდება და აღარც არის წერკითხვის მაღაზიაში, იქ მეტსაც იძლევიან. ხან 5 მანეთსაც.

ეხლა მაინც ამ წიგნის საფასურში ჩემი კლიშეები მომეცი, რომლისაც თქვენი მე არაფერი ვალი მაქვნდა, სინდისი არის მონამე, რომ იგი ნ. ზარიძეს ვათხოვე, მერე ეს კლიშეები თქვენ წამართვით იმის ვალში, მის მერე ეს კლიშეები მის ძმას მიჰყიდეთ, გამამირთვი და მომე ჩემი ოხრები. ქალვაჟიანი მე უკეთ მაქვს გადაკეთებული და უნდა დავბეჭდო.

ღმერთი რჯული, რომ ამ კლიშეების მე შენი არა მემართა რა. ეხლა მაინც გამოატანე ამ წიგნის სანაცვლოდ.

თქვენი პატივის მცემელი  
ზ. ჭ.

22 მარტი.  
1911 წ. თფილისი.

[მეორე გვერდზე ადრესატის ვინაობა წერია:]

მიხეილ სპირიდონისძე  
გაჩეჩილაძეს



## ეგნატე იოსელიანისადმი №4 (32)

ძვირფასო ძმაო  
ეგნატე!

გუშინ შენი წერილი წავიკითხე გაზ. „სახალხო გაზეთში“ და უნდა გამოგიტყდე, რომ დიდათ მესიამოვნა. ცაგარელს ის სიტყვები არ უნდა მოეყვანა, მართალია ლავროვი და მოლეშოტი ცაგარელი არ არის, მაგრამ მაინც მე ამ აზრიან მეცნიერ მსწავლულთ ნაწერებთა ავად ხსენებას არავის მოუწონებ. „სტარი ხლამერის“ ძახილის ხანა კარგა ხანია ჩვენგან გაფრინდა და მის გახსენება აღარ იყო საჭირო. მე ჩემგან მადლობას გიძღვნი, რომ ცაგარელს შენიშვნა მიეცი.

ამას წინედ „დავითიანი“ და მეორე წიგნი მოგიტანე, შინ დაგიტოვე, უეჭველია მიიღებდი. თუ არ მიგიღია აი ეხლა ინებეთ. „დიდმოურავის“ ახალ გამოცემას ვბეჭდავ, იქნება ამაზედაც მომინერო ხელი. ეხლა მალე გამოვა. ძვირად მიჯდება გამოცემა და მიტომ გავმართე ხელის მოწერა, წიგნი ერთი მანათი ღირს.

თქვენი პატივის მცემელი  
ზაქ. ჭიჭინაძე

30 ივლისი. [1911 წელი]

## ანტონ ფურცელაძისადმი №4 (33)

ძვირფასო ძმაო ანტონ!

თქვენი წერილი მივიღე. – ცოტა გვიან. წიგნი იბეჭდება, როგორც ნათქვამი გვექონდა, სადაც ჩამატებულია და ჩემთვის გაუგებარი იქმნება იმას უსათუოდ თქვენ გამოგიგზავ-

ნით. ბოლოსკი რაც ხელთნანერია დამატება, იმასკი სულ თქვენ გამოგიგზავნით, ეხლა 12 ფორმა ინყობა და ვეცდები მალეც გამოვიდეს.

გამოცემა იქნება სუფთა და კარგი, რაც შეეხება შეცდომებს ესეც ყოველივე თავიდან აცილებული იქმნება ისე, რომ არსად თქვენი ერთი სიტყვა და წერტილიცკი არ შეიცვლება. მე თვით მაქვს ამის სურვილი, რომ ახალი დაბეჭდილი ძველის ნამდვილი პირი იყოს, მაშასადამე ამის არც თქვენ უნდა გქონდესთ ფიქრი. იმედი მაქვს, რომ ღვინობის თვის ნახევრამდის გავათავო. კვირაში ორი ფორმა ინყობა. გიმეორებ რომ სადაც ხელთნანერის ჩამატება არის და ჩემთვის გაუგებარი იქმნება, იმას უსათუოდ გადასახედავად თქვენ გამოგიგზავნით, ჯერკი ასეთი არაფერია და მალეკი იქმნება ორი ფორმა მოგივათ, სადაც ხელთნანერს ჩამატება<sup>1</sup> აქვს.

დიდს სინანულში ვარ, რომ გამოსაცემად ხელის მოწერა გავმართე, იასონმა სულ 200 მ. მოიტანა და წიგნიკი 800 მ. მეტი ჯდება. კვიტანციები ბევრი დასტყუეს და არ ვიცი როგორ იქმნება საქმე, მაინც კარგი გამოცემა იქნება, სუფთა და შეუცდომელი.

თქვენ რომ ირბახის<sup>2</sup> გვარის გამოცვლაზედ ლაპარაკობდ,<sup>3</sup> ვიტყვი, რომ ასევე გამოიცვალა გვარი თამარაშვილმა და თამარათი დაირქვა, მიზეზი ამის ის ყოფილა, რომ ქართული შვილი იტალიურად კუილს ნიშნავს თურმე და ჩვენი კათოლიკის ბერებიც, რომელნიც იტალიაში სცხოვრებენ მიტომ იცვლიან თურმე გვარს ასე. ასე მარწმუნა ერთმა მღვდელმა ეხლახან, რომელიც იტალიიდან ჩამოვიდა თფილისს.

ქალაქში ახალი საყურადღებო არაფერია[.]<sup>4</sup> მალე მოგივათ კორექტურა.<sup>5</sup> იასონი მანდეთ წამოვიდა, წიგნები წამოილო და არ ვიცი ეხლა საით არის, ვახტანგს არაფერი ეშველა.

მარი მაისევენას სალამი და პატივისცემა.

თქვენი პატივის მცემელი  
ზ. ჭიჭინაძე

25 აგვისტო. [1911 წელი]

„ბათუმის ქართულ“ გაზეთში<sup>6</sup> „მოურავის“ შესახებ კაი განცხადება იბეჭდება. აი თვით განცხადებაც. ეს არისკი, რომ თქვენი წიგნის ფულით იასონმა და ვახტანგმა ისარგებლეს – იცხოვრეს.

იგივე.

### **ანტონ ფურცელაძისადმი №5 (34)**

ბატონო ანტონ ნიკოლოზისძე!

მე შენი სხვა ნაწერებიც მინდა გამოვსცე და შენკი მიკრძალავ, ეს როგორ იქნება. ეს მეორე გამოცემა გამოვიდეს, გაძლევ პატიოსან სიტყვას, რომ მესამე გამოცემასაც მალე გამოვსცემ. რადგანაც ეს მეორე გამოცემა ცოტა არის, მალე დაიფანტება. შევცდი, რომ ხელის მოწერა გავმართე, ფული სხვებმა შეჭამეს და მეკი წიგნები უნდა დავარიგო.

ამ მეორე გამოცემის სულ 300 ცალი დარჩება, ესეც დაიფანტება მალე, ამიტომ გაძლევ პატიოსან სიტყვას, რომ მესამედ მალე გამოვსცემ, მხოლოდ ეს გამოვიდეს. გამოსვლის შემდეგ ნახეთ ეს წიგნი, გადიკითხეთ, გინდ მიუმატეთ და ისე გამოვსცემ, როგორც თქვენ ისურვებთ.

ჩემზედ ცუდს ნურას ფიქრობთ, ამით სტყუვდებით, მე თქვენი არაფერი შური მაქვს, ამიტომ გიგზავნი თქვენ ერთ წიგნს გადაშინჯეთ, გაასწორედ,<sup>1</sup> მიტომ რომ უნდა გამოვსცე.

გიმეორებ კვალად, რომ მესამედ გამოვსცემ მოურავს მალე.

თქვენი პატივის მცემელი  
ზ. ჭიჭინაძე

23 თებერ. [1912 წელი]

## კირილე ლორთქიფანიძისადმი №2 (35)

ჩემგან გულთ პატივცემულო  
ძვირფასო ძმაო კირილ ბეჟანისძე!

სალამი. ბოდიშს ვიხდი მასზედ, რომ თქვენი გადმო-  
ცემული „მოამბის“ სია დავკარგე. რაც ციხიდამ გამოველ,  
სახლი ისე არეულ დარეული დამხვდა და წიგნები მიყრილ-  
მოყრილი, რომ სია ვედარ ვიპოვნე. ამ თვის 20-ს შემდეგ, ქუ-  
თაისში ჩამოვალ და მაშინ ახლად მოგიხდებათ სიის შედგენა,  
თორემ მეც არ მახსოვს რა წიგნები აკლია მათ. სხვა ფრივ<sup>1</sup>  
დავშთები თქვენ[ი]<sup>2</sup> კარგად ბრძანების მონატრე

ზაქ. ჭიჭინაძე

5 აპრილი  
1913 წ.  
თფილისი

## კირილე ლორთქიფანიძისადმი №3 (36)

დიდათ პატივცემულო  
კირილ ბეჟანისძევ!

სადაც „მოამბის“ ნომრები აქვსთ, იმ წიგნის მალაზიაში მოსწავლეებისაგან ისე აქვსთ არეულ დარეული, რომ ერთ ბენო დროს არ იძლევიან, რომ „მოამბე“ გადავარჩიო. მომავალ კვირასკი მომცემენ ნებას, მაშინათვე გადავარჩევ და გაახლებთ უსათუოდ. ეს გახდა მიზეზი, ამ ათი დღის განმავლობაში უსათუოდ გამოგიგზავნით სხვა ახალ წიგნებთან ერთად გამოგიგზავნით.<sup>1</sup> მომიტევეთ რომ წერილს სიჩქარის გამო ასე ვჯღაბნი.

მარადის თქვენი პატივის მცემელი  
ზაქ. ჭიჭინაძე

8 სექტ. [1913]

## ალექსანდრე არაბიძისადმი №3 (37)

ჩემო ალექსანდრე!

ის თუ ნახო დღეს, (თ. გ)<sup>1</sup> გადაეცი, რომ დიდს საჭიროებას შეადგენს ვახუშტის გეოგრაფიის გამოცემა, ამ წიგნს თვით ჩვენი მთავრობის მოხელენიც საჭიროებენ, უპირველესათ ეს საქართველოს გეოგრაფია უნდა გამოვსცე და ამიტომ ვსთხოვ დახმარებას.

ზაქარია.

[არა უადრეს 1913 წლისა]

## დავით კარიჭაშვილისადმი №3 (38)

ჩემგან გულით პატივცემულო  
ძვირფასო დათიკო!

ბოდიში უნდა მოვიხადო, რომ აქამდე მოუცლელობის და მგზავრობის გამო სამკითხველოში ვერ შემოვიარე. ვახუშტი მოვრჩი, იმ კვირას გამოვა და მეც თავისუფალი ვიქნები, გნახავთ უსათუოდ. ეხლა თქვენთან ერთი დავალება არის, იმედია ამ დავალებას უყურადღებოთ არ დასტოვებთ, ვინაიდან იგი შეეხება ერთ მეტად საყურადღებო მოსწავლის<sup>1</sup> პირობებს, ამ ბარათის მომტანი არის ერმოლოზ ვაჩაძე,<sup>2</sup> რაჭველი, გლეხკაცისშვილი, ღარიბი ხელოსნის, რომელსაც საშუალო სწავლა თავის შრომით გაუთავებია ისე, რომ არვინ დახმარებია, მამასაც შეძლება არ ჰქონია, მაგრამ თან უმუშავნია და თან უსწავლია. ეხლა უნივერსიტეტში არის. მეტად მდიდარი ბიოგრაფია აქვს. დურგალ და მიკიტნებთა[ნა]ც<sup>3</sup> უმუშავნია ბიჭად და ისე გაუტანია თავი. ამას გარდა, სხვა ფრივაც შესანიშნავი მოსწავლეა<sup>4</sup> და ქართულ წიგნების კარგად ნაკითხი ოცხელისაგან წერილიც აქვს თხოვნასთან ერთად, მასთან პ. ყიფიანის წერილი მდივანთან. სარაჯიშვილის სტეპენდიას ითხოვს. ყველა წევრებს დავავალედ და აუხსენით მი[სი]<sup>5</sup> განწირული გარემოება.

ამიტომ მოგმართავ ჩემო ძვირფასო დათიკო და გთხოვ, რომ ამ საყურადღებო გაჭირებულ ყმანვილკაცის დავალებას სიბრალულით შეხედოთ და თქვენც ხელი შეუწყოთ, რომ ეგება ამას არგუნონ ერთი სტიპენდია. დაგარწმუნებდ რომ იგი ღირსია ამის, თორემ მე თქვენ არ შეგანუხებდით. სხვა აბა მეტი რაღა შეგანუხო, თვით მიხვდებით ამ მოსწავლის დახმარების მნიშვნელობას. იმედია არ დაივინყებთ. ამის დახმარებას მე ჩემად მივიღებ.

თქვენი პატივის მცემელი  
ზაქ. ჭიჭინაძე

16 იანვარი  
1914<sup>6</sup> წ,  
თფ.

### დომინიკა ერისთავისადმი №1 (39)

ჩემგან გულით პატივცემულო  
ძვირფასო დომინიკე!

ჩვენს გათახსირებულს დროს, თქვენთან ერთი დავალება არის, იმედია, რომ თუ ეს დავალება სამძიმო არ იქმნება, მაშინ არ დაზარდებით კეთილ საქმეს. ამ ბარათის მომტანი ერმოლოზ ვაჩაძეა, რაჭველი ღარიბი გლეხკაცის შვილი. პეტერბურგს სწავლობს, ეხლახან თფილისში ჩამოვიდა, სარაჯიშვილის სტიპენდიის იმედი აქვნდა, ჰპირდებოდნენ კიდეც, მაგრამ კვირას კენჭის ყრით იქმნა განაწილება და ამას არ ერგო.<sup>1</sup>

თვითონ კარგი მეცადინე სტუდენტია, წიგნების მკითხველი და მასთან ზომიერი მიმართულების, წარსულიც ისეთი აქვს, რომ ერთ დროს მსახურად ყოფილა და იქიდან ანალები ფულით გემნაზია<sup>2</sup> დაუმთავრებია. ეხლა უნივერსიტეტში არის, სხვა გზა აღარა აქვს, ცოტ-ცოტას დახმარებას უჩენენ.<sup>3</sup> იქმნება თქვენც მოახერხოთ რამე და მანდ ბანკში ცოტ-ცოტა აჩუქონ. თუ იქმნა ხომ კაი თუ არა და რა გაეწყობა. დარჩეს ისე როგორც თქვენ დაინახავთ.

თქვენი პატივის მცემელი  
ზაქ. ჭიჭინაძე

31 იანვარი [1914]

## პატრა მირიანაშვილისადმი №1 (40)

ძვირფასო პეტრე!

თქვენი ნახვა მინდა და სახლი კი არ ვიცი სად დგებართ, ნეტა პატარა ქალაღდზედ დამინეროთ და შემატყობინოთ ეს და მასთან ისიც მაცნობოთ თუ როდისა ხართ თავისუფალი, შინ, ან იქნება წერა კითხვ. სამართველოში გნახოთ.

თქვენი პატივის მცემელი  
ზაქ. ჭიჭინაძე

13 თებერვალი  
1915 წ.  
თფ.<sup>1</sup>

## მიხეილ მაჩაბლისადმი №1 (41)

დიდათ პატივცემულო  
მიხეილ ვახტანგის ძეგ!

მოგართმევთ ერთ ჩემ მიერ დაბეჭდილ ახალ წიგნს, სახელდობრ: – „ქართველების გამაჰმადიანება“ რაც 10 წლის განმავლობაში ვკრიბე დიდის ცდით ქართველ მაჰმადიანებში. იმედი მაქვს, რომ ეს წიგნი თქვენს ჯეროვან ყურადღებას მიიქცევს და იქმნება 300-400 მ. დახმარება მომცენ რათა დანარჩენი წიგნებიც დავბეჭდო.

ჩემი მასალების დაუბეჭდავობა ცოდვა იქნება, მეკი ერთ კაცს მათი დაბეჭდვა ვერ შემეძლება. დაბეჭდვაკი აუცილებელია, ვინაიდგან ასეთ წიგნებს ჩვენს გარდა თვით ქართველ მაჰმადიანებიც კითხულობენ. აი, ერთიც, გაზეთ „ძმურ სიტყვის“ წერილებს ცხადათ დაეტყო ჩემი მასალებით სარ-



გებლობა და ცნობების მოყვანა. ამიტომ უფრო გავალებთ პატივცემულო მიხეილ ვახტანგისძევ, რომ ამ ისტორიულს დავალებებში მონაწილეობა მიიღოთ და სთხოვოთ იქ სადაც ჯერ არს რომ ჩემი დავალება უყურადღებოთ არ დასტოვონ.

მარადის თქვენი პატივის მცემელი  
ზ. ჭიჭინაძე

8 აგვისტო  
1915 წ. თფ.

[ბარათის წინა გვერდზე ადრესატის ვინაობა წერია  
მისამართის მითითების გარეშე:]

მიხეილ ვახტანგისძე  
ბატ. მაჩაბელს  
მიერთვას პატივისცემით  
ზ. ჭიჭინაძისაგან<sup>1</sup>  
1915 წ

## აღუქანდრა ყიფშიძისადმი №1 (42)

ძვირფასო სანდრო!

ამ ბარათის მომტანი სემენარიაში ნამყოფი პირია, თავის ნებით გამოსული, მე კარგათ ვიცნობ, რუსული წერაც კარგათ იცის, კაი ხელი აქვს. ამ ჟამად უაღაგოთ არის, ძალიან გაჭირებაში იმყოფება, ჩემთან დგას. ამას შეუტყვია, რომ კაზიონი პალატაში ერთი ადგილი ყოფილა ამჟამად, ამ ადგილის საქმე კარგათ იცის ბატ. გრიგორიჩიმ<sup>1</sup> და ამ პირის ცნობა თქვენც კარგათ გქონიათ, ამიტომ მოგმართავთ და გავალებთ, რომ ამ პირს დახმარება აღმოუჩინოთ, როგორმე წე-

რილით ან სიტყვით შრომა დასდოთ.

თქვენი პატივის მცემელი  
ზ. ჭიჭინაძე.

18 დეკემბერს. [1915 წლის ჩათვლით]

### **აქვთიმე თაყაიშვილისადმი №1 (43)**

ჩემგან გულით პატივცემულო  
ძვირფასო ექვთიმე სიმონისძევ!

აქამდე ცუდათ ვიყავ, ეხლაკი უკეთ ვარ. გიგზავნი ჩემ ახალ გამოცემას და ზოგ ძველ სურათებს. მუზეუმს წიგნებს მერე გადავსცემ. წიგნის ბეჭდვა შევაჩერე, ეხლაკი განვაგრძობ და დროითაც გამოვა კოხტა ტომი.

სიმონ ლოლობერიძეს ცნობები და სურათიც არ იქმნება მეტი. მალე ქუთაის წავალ. ამიტომ გნახავთ, თქვენ თუ გაქვს რამე ცნობები, მაშინ მე აღარას შევკრებ. თუ არა და მაშინკი მე არ დავესტოვებ უყურადღებოდ.

თქვენი პატივის მცემელი  
ზაქ. ჭიჭინაძე

5 თებერ [1916]

## კირილე ლორთქიფანიძისადმი №4 (44)

ჩემგან გულით პატივცემულო  
კირილ ბეჟანისძე!

ბოდიშს ვიხდი შენუხებისთვის. მოგვიტევეთ, მე მრავალნი მძრახავენ, უსწავლელი ხარო, დიახ, ეს მართალია, მაგრამ მე მაინც ჩემსას არ ვიშლი, ორი წიგნი დავბეჭდე, ერთი ოსეთი ქართულის წიგნებით და მეორე ქართული სტამბა 1627-1915 წლებში.

როგორც უსწავლელმა კაცმა ნება მივე ჩემს თავს და ოსეთის ისტორიის 36 გვერდზედ თქვენი ანბანის თეორიის შესახებ ვლაპარაკობ, აქ სხვა თქვენი შრომაც<sup>1</sup> გახლავს ანუ სხული. ასევე მოხსენებულია თქვენი სი[...].იუ[...].ი<sup>2</sup> ღვან-ლი სტამბის ისტორიაში, ამიტომ ვაძლევ ჩემ თავს<sup>3</sup> ნებას და მოგართმევთ ორივე ამ წიგნის თითო ცალს თავაზით, თქვენი სურათის<sup>4</sup> გამო ბევრი ვეცადე და ვერ ვიშოვნე თორემ დავსტამბავდი.

მარადის თქვენი კარგად ბრძანების მონატრე  
ზ. ჭიჭინაძე

28 თიბათვე  
1916 წ. თფილისი

პატივცემულო კირილ ბეჟანისძე!

ასე ჯლაბნა მომიტევეთ. დავბერდი, ველარ ვხედავ კარგად და ამის ბრალია, სათვალესკი ჯერ არ ვიკეთებ. მალე გნახავთ ქუთაისში. ღმერთმა კარგად გამყოფოსთ.

იგივე თქვენი პატივის მცემელი

„მომამბის“ ნომრები თუ კიდევ გჭირიათ, ახლა კი გი-

შოვნით უსათუოდ, ორ ალაგას მთელი კოლექციები გამოს-  
ჩნდა გასასყიდათ.

იგივე

## კირილე ლორთქიფანიძისადმი №5 (45)

დიდათ პატივცემულო  
კირილე ბეჟანისძე!

თქვენი წერილი მივიღე. ამ მოკლეს დროში, აქ გაისყი-  
დება ბუკინისტებზედ ერთი ქართველის კაცის (კვდარია) მდი-  
დარი წიგნთ საცავი, იქ ყველა ჟურნალები და „მოამბეც“<sup>[.]</sup><sup>1</sup>  
უსათუოდ ამოვარჩევ და მე რომ ჩამოვალ სექტემბერს, მაშინ  
მოგართმევთ პატივცემულო კირილე ბეჟანისძე! თქვენთან  
ერთი დავალება მაქვს, იქმნება ეს დავალება როგორმე შემის-  
რულოთ, დავალებას მე არ მოგწერთ აქედამ, მანდ გიახლე-  
ბათ ამ ბარათის მომტანი ვიქტორ შალამბერიძე, კარგი ყო-  
ფაქცევის ხელოსანი, მნიგნობარი და მასთან შეგნებული ქარ-  
თველი, ჩემთან გაზდილი და ჩემთანაც ბევრნაირად ამაგდა-  
რი, როგორც ჩემი შვილი, ეს გონიერი ხელოსანი თვით გამ-  
ბობსთ<sup>2</sup> თავის დავალებას, თუ შეგეძლებათ ხომ კაი, იმედიკი  
მაქვს, რომ თქვენთვის ამის თხოვნა მძიმე არ იქმნება და ად-  
ვილათ შეუსრულებთ.

სხვაფრივ მენატრება თქვენი მშვიდობით ყოფნა და  
დღეგძელობა.

მარადის თქვენი ღრმად პატივის მცემელი  
ზ. ჭიჭინაძე

14 აგვისტოს  
1916 წ.  
თფ.

## ალექსანდრე არაბიძისაღმი №4 (46)

ჩემგან გულით პატივცემულო  
ბატონო ალექსანდრე დიმიტრის ძეგ!

თქვენთან ერთი დავალება მაქვს, იმედია, რომ ამ დავალებას უყურადღებოთ არ დასტოვებთ, საქმე აი რაში გახლავსთ: [1] განსვენებულის ყარამან კიკნაველიძის სიტყვით, მის გარდაცვალებამდე, მისავე რჩევით, მე მივმართე სპარსეთში პატივცემულს და ქართველობაში კარგათ ცნობილს, ქველ მომქმედს აკაკი ხოშტარიას და დავავალე, რომ მათის დახმარებით მე გამომეცა ერთი ქართული წიგნი, სახელდობრ „ქართველ მაჰმადიანთ ცხოვრება“ სადაც მოთავსებული იქმნებოდა დღემდე არსად დაბეჭდილი წერილები.

უკანასკნელ მე გაუგზავნე წერილი და თან ვაახელ ჩემ მიერ გამოცემული წიგნების, უმეტესათ საქართველოს ისტორიული წიგნების თითო ცალი და ასევე დავალებანი აღნიშნული წიგნის გამოსაცემათ. ყარამან კიკნაველიძე რამდენიმე ხნის შემდეგ სპარსეთიდან დაბრუნდა თფილისში და მე გადმომცა შემდეგი ცნობა:

აკაკი ხოშტარია პეტერბურგში წასულა, წერილი და წიგნები მე მის მეუღლეს დაუტოვე. როცა ჩამოვა აკაკი სახლში, მაშინ გადასცემენ მასა და მე იმედი მაქვს, რომ იგი უარს არ გეტყვისო. მის შემდეგ ყარ[ა]მან<sup>2</sup> კიკნაველიძე გარდაიცვალა, ამის გარდაცვალებით მე მომესპო ღონის ძიება აკაკისთან მიმართვის, ამისთვის მოგმართავ ჩემო ძვირფასო ალექსანდრე და იმედი მაქვს, რომ თქვენ ამ საქმეში სათანადო სამსახურს გამიწევთ და აკაკი ხოშტარიასთან დამეხმარებით, რომ აკაკი ხოშტარიამ ეგება რამით დამეხმაროს, რათა მის დახმარებით გამოვსცე ერთი რომელიმე ისტორიული წიგნი. ამ დროის შესაფერათ მე მინდა გამოვსცე „სოლომონ ლეონიძის, ცხოვრება“ [“],<sup>3</sup> რაც ადრე ნება დართული არ იქმნა და ეხლა კი საჭიროა ამ მამულისშვილური წიგნის გამოცემა.

მეტის დავალებით აღარ შეგანუხებთ. წიგნების ფულის სულ 40 მ დახმარებას თუ არ იწებებს, მაშინ ამ წიგნების ფული მაინც გამოსთხოვეთ.

თქვენი პატივის მცემელი  
ზაქ. ჭიჭინაძე

8 ოქტ.  
1918 წ.  
თფ.

### **აღქსანდრე არაბიქისაღვი №5 (47)**

ძვირფასო სანდრო!

თუ არ იწყენ, ამ ბარათის მომტანს, დავალება აქვს შენტან და უყავ სიკეთე და მოუსმინე, სტამბაში ნამუშავარია, იცის ვერტელჩიკობა.

თქვენი სიკეთის მონატრე ზ. ჭ.

30 ნოემბერი  
1918 წ.

## ეგნატე იოსელიანისადმი №5 (48)

ძვირფასო ძმაო ეგნატე!

ამ ბარათის მომტან[ი]<sup>1</sup> მასწავლებელი თქვენ კარგად გიცნობდ,<sup>2</sup> ვინაიდან ერთ დროს, თქვენ ამას კაი დარიგებაც მიეცით. ეხლაც მოდის თქვენთან, საქმე აქვს საკითხავი, მე ვიცნობ მას სემენარიიდან, კარგი მუშაკი სოფლის სკოლის მასწავლებელია, შენ გეთაყვა, გთხოვთ დავალებით, მიიღოთ, გამოჰკითხოთ თვისი დავალება და მერე იქნება რამე აუწყოთ.

მარადის თქვენი პატივის მცემელი  
ზ. ჭიჭინაძე

14 იანვარი. [1919 წლის ამ თარიღამდე]

## ალექსანდრე არაბიძისადმი №6 (49)

ჩემგან გულით პატივცემულო  
ძვირფასო ალექსანდრე დიმიტრის ძე!

შენ აღმომიჩინე განუსაზღვრელი და დაუფასებელი სიკეთე, ოთხი თვე შემინახე, მასაზრდოვე, მაჭამე, მასვი, ჩამაცვი დამხურე და სხვაც ბევრი სიკეთე მიყავი თუ საქმით, თუ ნივთიერათ და თუ სიტყვით[.]<sup>1</sup>

მე აღვსილი ვარ შენის პურ-მარილით, სიკეთით და დავალებით, შენ თუ არა, ამ ზამთარში ჩემი საქმე ძრიელ ცუდად იქმნებოდა, მაგრამ ეს ასე არ მომიხდა და შენმა მოვლენამ მე დამიხსნა დიდის განსაცდელის და გაჭირებისაგან. სამადლობლო კაცი ხარ შენ მით უფრო, რომ თვით შენც შენის

შრომით სცხოვრობ, მასთან გაქვს ოჯახი, რომელიც კისერ-ზედ განევს და სხვაც ბევრი საზრუნავი გაქვს, მიუხედავად შენის ასეთის სიმძიმის და ტვირთვის, შენ მაინც იტანდი ჩემს ხარჯს და მავალეები ბევრნაირათ.

ამიტომ ვალდებული ვარ წინაშე სინდისისა და ნამუსისა, რომ შენგან აღმოჩენილი სიკეთე არას დროს არ დავივიწყო, მუდამ ვიყო მისი მახსოვარი და მასთანვე სამაგალითოთ ა[ლ]მნიშვნელი<sup>2</sup> შენის კეთილის საქციელის, რომ ამისთანა გათახსირებულ დროს, ასეთ უადამიანობაში და უკაცობაში, შენ არ დავივიწყე<sup>3</sup> ადამიანური ვალი, ერთმა თუ ნიხლი მკრა, ტალახში ჩამაგდო და კინალამ ყოველის ფერი წამართვეს, შენ მნახე და ამ გარემოებიდამ ამომიყვანე და დამიხსენი.

ამიტომ გწირამ განუსაზღვრელ მადლობას, მენატრება შენი კარგათ ყოფნა და დღეგრძელობა და მასთან მეც ვეცდები, რომ ვიქმნე მარად ჟამს შენი სიკეთის დამხსომებელი. თქვენი კეთილი დავალების დამხსომებელი და დიდათ პატივის მცემელი

ზ. ჭიჭინაძე

5 მაისი, 1919 წ. თფ.

## **ეგნატე იოსელიანისადმი №6 (50)**

ძვირფასო ძმაო ეგნატე!

თქვენთან ერთი დავალება მაქვს: ამ ბარათის მომტანი პარმენ ოქრომჭედლიშვილია, საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტი, მასთანვე კარგი თვისების არის, დაუცხრომლათ წიგნების მკითხველი და დიდი პატივის მცემელი განვითარების და მასთან ჩვენი ქვეყნის ამალღების და დანინაურების. ამათ ყვარელისაკენ ცოტა მამულიც ჰქონიათ და ამიტომ მას



სჭირია შაბიამანი.

თუ ძმობა და ხათრი გაქვს, დაეხმარეთ ამ გონიერ ყმაწვილ კაცს, რო ეგები<sup>1</sup> შაბიამანი მისცენ თქვენის სამართველოდამ, რისთვისაც მეც დიდი მადლობელი ვიქნები თქვენი.<sup>2</sup>

თქვენი პატივის მცემელი  
ზაქ. ჭიჭინაძე

16 მაისი  
1919 წ.  
თფ.

### **ეგნატე იოსელიანისადმი №7 (51)**

ძვირფასო ძმაო ეგნატე!

შენ გენაცვა, ეგები<sup>1</sup> თეთრაძის<sup>2</sup> ცნობა ბაქრაძეს გარდასცეთ. დიდათ დამავალეზთ, არ დავივიწყებ.

თქვენი პატივის მცემელი  
ზ. ჭიჭინაძე

14 ივნისს. [1919 წლის ამ თარიღამდე]

### **ალექსანდრე არაბიძისადმი №7 (52)**

ჩემო საყვარელო შვილო სანდრო დიმიტრის ძე!

შენ ბევრ რამეში დამეხმარე, გთხოვ კიდევ დამეხმარო, საქმე აი რაშია: ამ ბოლოს დროს ხუთ ნაირი წიგნი დავ-

ბეჭდე, ეხლა მეექვსე წიგნს ვბეჭდავ, რაც ვიპოვნე და ვიპოვნე სულ ამებში ჩავყარე. დიასამიძეც გამომტყუნდა, სულ ეს გარემოება იყო, რომ საცა ვხარჯავდი და პურს ვჭამდი, ისიც ორ დღეში ერთხელ, აქამდის ფული ვერ მივე. ეხლაკი იმედი მაქვს, რომ დროით გადაუხდი მათ.

მექვსე წიგნის გათავების უმალ მე იმერეთში წავალ და იქ ასალები მაქვს როგორც წინანდელი წიგნების, ისევე ამ ახალი წიგნებისაც მექმნება ასალები და იმედი მაქვს, რომ იქ ამას უსათუოთ ავიღებ, მალე ჩამოვალ და სულ გაუსწორდები. ეხლა ჩემი დავალება შენთან ის არის, რომ იგინი მდიდარი ვაჭრები არიან, შენ ნახო და სთხოვო, რომ მათ შიში ნუ ექმნებათ, ცოტა ოდენი ხანი მაცალონ და უსათუოთ სულ გაუსწორდები. იმედი მაქვს, შენიც მართებს მე და მაშინ შენც გადაგიხდი. ჩემი დავალება ეს არის შენთან, რომ შენ არ გადიხადო და მე ცოტა ოდენი ხანი მაცალონ,<sup>1</sup> იმდენი მაქვს ასალები, რომ მას ავკრეფ და ყველას გაუსწორდები. იმედი მაქვს, რომ ამ დავალებას შემისრულებ და ნახავ მათ და დაარწმუნებთ,<sup>2</sup> რომ მათ ჩემზედ დაკარგვის შიში არ აქვნდესთ.

თქვენი პატივის მცემელი  
ზ. ჭიჭინაძე

30 აგვისტოს  
1919 წ. თფ.

## ალექსანდრე არაბიძისადმი №8 (53)

სანდრო!

დღეს კიდევ შემოვალ აქ, მოეწყობა საქმე. დღეს ნებართვას<sup>1</sup> ავიღებ ბანკიდან, რომ გავყიდო. ამის ნებით ნოტარიუსთან წავალ და განუცხადებ გაყიდვას, მოვალ მალე და

გიაგობოზ.<sup>2</sup>

ზაქ.

[1919 წლის 27 სექტემბრამდე]

### **ალექსანდრე არაპიქისაღვი №9 (54)**

ჩემო სანდრო!

სტარში ნოტარიუსისაგან, დღეს, მივიღე კვიტანცია.<sup>1</sup> დღეს 27 სექტ. უქმე ყოფილა, ბანკი დაკეტილი იყო, იქ ვერ წარვადგინე. ორშაფათს წარვადგენ, ეხლა შემეძლება გაყიდვა კანონიერათ.

ზ—ია

[27 სექტ. 1919]

### **დავით ნახუცრიშვილისაღვი №1 (55)**

ძვირფასო დათიკო!

მე ვერ მოვიცალე თორემ თვით უნდა მოვსულიყავ. გიგზავნი მოკლედ გადმონერილ ძველ ცნობას, ესენი მე 1875 წ. დავსწერე. ხოლო მაგას არ შეუერთე ეხლაკი ამასაც დავბეჭდავ. მერე კიდევ შევავსებ. ამის გარდა შენთან ორი დავალება არის: ერთი ვაჩაძეს მეტრიკის საქმე არ დაივინყოთ, იმედი მაქვს, შენ იცი და მეორე აი კიდევ რა არის:

ამ ბარათის მომტანი ვანო ოქროსანიძეა, რუსეთში დაბადებული, მთელი ამათი ოჯახი რუსეთში 20 წელს იყვნენ,

შარშანნინ დაბრუნდნენ, სამი ვაჟი და ერთი ქალი. ადრე ამათ კაი ოჯახი ჰქონიად. ეს ვანო რეალურ გემნაზიაში<sup>1</sup> სწავლობს. ქართულს ახლა სწავლობენ. მეტად ღარიბათკი არიან, მამა რუსეთში ჰყავს დაკარგული. ამიტომ გავალებთ იქმნება თქვენში ვისმეს შვილებისათვის გაკვეთილები უნდოდეს. ან დროებით, ამ სამ თვეს კერძო რამ სანური საქმენი იქმნეს. მეტად გაჭირებაში არიან სწავლის ფულის მხრით და მიტომ გამოვგზავნე, თორემ არ დაგავალებდით. თვით კაი ბიჭიც არის. წიგნების მკითხველი. შენ იცი. დიდს მადლსკი უზავთ ქართულს ეხლა სწავლობს კარგად.

თქვენი სიკეთის მოსურნე  
ზ. ჭიჭინაძე

24 ივნისი [1921 წლის ამ თარიღამდე]

### **ფილიპე მახარაძისადმი №1 (56)**

ჩემგან გულით პატივცემულო  
ძვირფასო ფილიპე!

ალექსანდრე გოკიელი არის საუკეთესო ქართველი,<sup>1</sup> – 73<sup>2</sup> წლის მოხუცებული, მას მამულები ჩამოართვეს შოვში და თფილისში, დღეს მოხუცებული განიცდის დიდს სიღატაკეს, სადაც მას ჰყავს 11<sup>3</sup> სული შესანახი. ამიტომ ამის დავალება თხოვნა ეს არის, რომ<sup>4</sup> მე მოკლეთ გაუნყებთ თქვენ<sup>5</sup> ამ<sup>6</sup> პატიოსან ქართველ მშრომელ კაცს დი[დი] გაჭირება აქვს და მიტომ ეს გთხოვთ, რომ მას ან თავის სახლი დაუბრუნოთ, რომელიც კრილოვის ქუჩაზედ არის და ეს თუ არა ან პენსია მისცეთ, თუმცა ...<sup>7</sup> სახლის დაბრუნებას, რაზედაც დიდი შრომა აქვს დახარჯული, მას<sup>8</sup> სხვა რამ შეძლება და ცხოვრე-

ბის წყარო არ აბადია, ერთ ერთ[ი] ეს სახლია და თქვენ კეთილ გულში...<sup>9</sup>

[1921 წლის 25 თებერვლის შემდეგ]

## უსუფისადმი №1 (57)

ჩემგან გულით პატივცემულო  
ძვირფასო უსუფ!

სალამი, იყავი კარგათ შენ და შენის ცოლშვილით, შენი შენუხება მიხდება და იმედია, რომ ამისთვის არ დამემდურებით, გთხოვთ პატივის ცემით ჩემი თხოვნა რაკი აქამდის დარჩა თქვენთან, ეხლა მე დამიბრუნეთ. თქვენი წარსულის და მომავლის შესახებ მე ეხლა სხვა, უცხო აზრებს დავადექი და თქვენი წარსულის შესახებ აღარც არაფერს დავბეჭდავთ.

რადგანაც გაზეთ „აჭარაში“ ხულოს თემიდან წერილი დაუბეჭდიათ და ჩემი წიგნები დაუგმიათ, რომ მისი კითხვა არ შეიძლებაო, ეხლა ამიტომ მეც აღარავის შევანუხებ, იმედია, რომ ამაზედ არ დამემდურებით და მე მივმართავ ეხლა მოსკოვის რუსს კომუნისტებს და იმათ შევატყობინებ ჩემს ხარჯებს.

თქვენი პატივის მცემელი  
ზ. ჭიჭინაძე

ჩემი მისამართი:

ქ. თფილისი, IV კომისარიატი, რევაზოვის ქუჩა, სახლი V ნომერი. ზ. ჭ-ძეს.

იგივე თქვენი პატივის მცემელი.

ჩემო უსუფ, გთხოვ ამაზედ არ დამემდუროთ. როდისმე მთებში ამოვალ და ამის შესახებ გიამბობთ მიზეზებს.

იგივე თქვენი პატივის მცემელი.

[1921 წლის 18 მარტის შემდეგ]

## **ფილიპე მასარაძისადმი №2 (58)**

ძვირფასო ფილიპ!

სავაჭრო საქმეების მე დიდი მოტრფიალე არა ვარ, მაგრამ ამ ბუკინისტების საქმე კი ისეა მოწყობილი, რომ მათზედ ხმის ამოუღებლობა ცოდვა იქმნება: საქმე აი რაშია[.]<sup>1</sup> ამათ აქვს ბუკინისტის სახელი და მოსკოვში ესენი ჰგონიათ ისეთი მდიდრები, რომლებიც იქ<sup>2</sup> დღეში 1000 მ. ვაჭრობა აქუსთ და რომლის მსგავსი მდიდარი ბუკინისტებით სავსე არის მოსკოვი.

ესენიკი ეს სანყლები ერთი და ერთი შეჰკედლებიან ამ წიგნების გასყიდვას, ხანში შესულებს ისე შესთვინებიათ ეს ბუკინისტობა, რომ ეხლა მას ესენი ველარ სთმობენ და ამითი ატარებენ დროსა და მასთან დიდის ვაის ვაგლახით სცხოვრობენ, ესენი ეხლა თავიანთ ალებ მიცემის ცნობასაც გაძლევენ და იმედია ამას ყურადღებას მიაქცევ და ხმას აიმაღლებ იქ სადაც საჭირო არის, რომ ესენი მოსკოვის ბუკინისტები არ ეგონოთ და არ იქმნენ მით დასჯილები და დაღუპულები.

არც ერთ ამათგან[ს]<sup>3</sup> არასფერი უძრავი და მოძრავი ქონება და შეძლება არა აქვს, ერთს მხოლოდ შეუძლიან მათში ცოტაოდენი რამე, იგი არის რუსი, პეჩკოვი, მაგრამ მას ჩვენ ვერ ამოვიცნობთ, რადგანაც ჩვენ დავიძრახვით მაშინ და ამას ყურადღებას არ ვაქცევთ მის შიშით. დანარჩენებიკი სულ ღარიბ ღატაკები არიან და ძლივს დიდის გაჭირებით

სცხოვრობენ, ესენი დაილუპებიან ამ ხარჯის მომატებით. ცოდონი არიან, შენი იმედი აქუსთ. ამათში ორი ქართველია, ორიც საქართველოს სომეხი და ორიც რუსია.

[1921 წლის 14 ივლისის შემდეგ]

### **ფილიპე მასარაძისადმი №3 (59)**

ფოსტა-ტელეგრაფის გამგეობაში, ყოფილი რკინის გზის მუშათა კულტურულ განმანათლებელ სექციაში 1919 და 1920 წლებს, მე გადავეცი კომისიით, გასასყიდათ ქართული წიგნები, ამ წიგნებს გამგე ანტონ ჟღენტი<sup>1</sup> ყოველთვის თვლით იღებდა და სათანადო კვიტანციებსაც მაძლევდა.

ეხლახან მივედი ანტონ ჟღენტთან და მე ჩემი წიგნების ანგარიში მოვსთხოვე, გაყიდული წიგნების ფული და გაუყიდავი წიგნების დაბრუნება და მით სამუდამოთ საქმის გამოსწორება. ანტონ ჟღენტმა ასეთი პასუხი მომცა: – ჩვენი უფროსი ამბობს, რომ „ჩვენ<sup>2</sup> მენშევიკების ვალებს არა ვწყალობთ.“ მე ამის გამო უფროს მივმართე და ჩემი ანგარიში მოვსთხოვე, მან უარი არ მითხრა და იქვე გამგეობაში ვილაცა ხუბოვთან გამგზავნა.

მე წაველ ხუბოვთან, მაგრამ ის იქ არ დამიხვდა, სხვაგან იყო წასული. მის მერე მე ვნახე ანტონ ჟღენტი<sup>4</sup> და ამან მითხრა, რომ არასფერი იქმნება, არას მოგცემენო. თუ გინდა, მაშინ მთავრობის უფროს მიმართე და ის თუ მოინერება, რომ ანგარიში გაუსწორეთო, მაშინ ჩვენ ყველასფერს გადავიხდითო. ამ პირმა პირდაპირ თქვენზედ მომითითა.

ეხლა ჩემო ფილიპე, საქმე შენზეა, დამეხმარე კაცო, ასე როგორ შეიძლება 50 წელიწადია წიგნებსა ვბეჭდავ და ნუთუ ეხლა კომუნისტური მთავრობის ხელში მე იქამდის უნდა მივალწიო, რომ ჩემი წიგნები წამართონ. იმედი მაქვს, რომ ჩემს დავალებას თანაგრძნობით შეხედავთ და მიმიწერთ იქ,

რომ მათ ანგარიში გამისწორონ, მე სრული იმედი მაქვს, რომ ჩემს დავალებას უყურადღებოთ არ დასტოვებთ და საქმეს გამითავებთ, რომ მით მე არ ვიქმნე დაჩაგრული. ჩემი მდგომარეობა ამ წიგნების დაკარგვას და მისი ფულის შეჭმას და თქვენგან მითვისებას ვერ ავიტან, ეს მე დიდათ დამალონებს და მომსპობს და თქვენ კიდევ რათ უნდა ინდომოთ ჩემი დალუპვა და მოსპობა.

[1921 წელი]

### **ალექსანდრე არაბიძისადმი №10 (60)**

ჩემო ალექსანდრე დიმიტრისძევ!

შენი ნახვა ვერ იქმნა. გიტოვებ ამ მონოდებას. ხვალ, პარასკევს, 6 საათზედ, კრება აქვს დანიშნული სოლოლაკზედ, ხმოტარიას<sup>1</sup> სახლში, არ დაივიწყო და უსათუოთ მოდი, იმათ სიაში შენ ჩანერილი ხარ, მიტომ მოგიტანე ეს მონოდება. მეც იქ ვიქნები. გელი. არ დაივიწყო, ხვალ, 6 საათზედ, სალამოს.

ზ. ქ.

16 თებერვალი  
1922 წ.  
თფილისი.



## რაჟდენ გვეტაქისაღმი №1 (61)

ძვირფასო შვილო  
რაჟდენ!

მე უნდა მოვსულიყავ შენთან, მაგრამ ვერ მოვახერხე, რადგანაც ცოტათი ავათ ვარ, ამას წინეთ, გაზ. „კომუნაში“ გამოაცხადე, რომ ზ. ჭ. აპირებს ბათუმისაკენ გამგზავრებას და ქართველ სპარსელების შესახებ ლაპარაკის გამართვასაო. მე ვიყავი იქით და პირველათ ხაშურში გავმართე, მის მერე ქუთაის და სხვაგანაც.

ხალხს დიდათ მოსწონთ ამ ისტორიული პირობების გაცნობა, ყველგან დიდის აღტაცებით ისმენდენ, ეხლა მე ვაპირობ ფოთისაკენ წასვლას[.]<sup>1</sup> ასეთი საუბრები უნდა გავმართო სენაკს, ზუგდიდს, ფოთს, სამტრედიას, აბაშას, ხონს და სხვაგანაც.

გიგზავნი ამის აფიშას, ჩემთან იქმნება ორი სტუდენტი: გურალია და ნაჭყეპია.

ლექციებში დიდის პატივის ცემით და თავაზით ვიხსენებ კომუნარულ მთავრობას, რომელიც ხელს უწყობს ჩვენის ტომის ისტორიულათ განვითარებას. გიგზავნი ერთ აფიშას და გთხოვ, რომ ეხლაც გამოაცხადო გაზეთ „კომუნაში“[.]<sup>2</sup> პირველი საღამო სენაკში იქმნება.

თქვენი პატივის მცემელი  
ზაქ. ჭიჭინაძე

28 იანვარი,  
1925 წ.  
თფილისი.

## ფილიპე მახარაძისადმი №4 (62)

ჩემგან გულით პატივცემულო  
ძვირფასო ფილიპ!

იოსებ იმედაშვილს შენც იცნობ და მეც. იგი არის დიდი პროგრესისტი და მასთან თავისი მშობელი ქვეყნის უაღრესი მოყვარე. მისი შრომა ყოველთვის სდარაჯობდა ქართველი მუშა და გლეხის დაცემულ ცხოვრებას. იგი იყო და არის კიდევაც მხურვალე მოტრფიალე ქართველი ერის იდეური ამალლების, პროგრესიულად დაწინაურების, რაშიაც უაღრესად არის დაცული კომუნალური იდეაც.

მთელი 40 წელიწადი კაცი სდარაჯობს ქვეყანას, თავისი კალმით და თავის შრომით. მისთვის 4 წელიწადი მეტეხშიაც ზის. სხვა დროსაც არ აკმარეს მას დევნა. დევნა ცენზურის კომიტეტიდან, დევნა ჟანდარმერიისგან, დევნა მონარქიულ მთავრობისაგან, დევნა სხვათაგან. ამ კაცმა დაბეჭდა სხვათა შორის ერთი შენი წიგნი, მანვე დიდათ იმუშავა შენს კაუცკის წიგნზე ციხეში. იგია ერთი დამაარსებელი სახალხო თეატრისა ამ 33 წ. წინად. იგია შემდგენელი „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“-სა რომელშიაც მან პირველად დაბეჭდა ვრცლად „კომუნისტური მანიფესტი“. უკანასკნელ 15 წელიწადში უძღვებოდა სათეატრო ჟურნალს, „თეატრი და ცხოვრება“-ს რომელიც განსაკუთრებით მშრომელ ხალხს ემსახურებოდა, რისთვისაც ვალები წამოედო. ასეთ მდგომარეობაში მყოფი კვლავ აპირობს თავისებურ სამწიგნობრო მუშაობას.

ასეთი კაცის შრომის დავინწყება არ შეიძლება.

თუ ხათრი გაქვს, ჩვენი ქვეყნის სიკეთე გსურს, ამ კაცს გამოუნახე დახმარება, რომ ვალები გაისტუმროს და თავის ჟურნალის გამოცემა განაახლოს. მას არაფერი დახმარება არა აქვს, მისი შეგირდები პენსიასაც იღებენ და ამას გროშიც არ ეძლევა. ფილიპ! თუ ხათრი გაქვს და კაცი ხარ ნუ დაივიწყებ ამ ქართველ მუშაკს, ქართველი ერისას. შენ

იცი და შენმა ჭკვა-გონებამ, როგორ უპატრონებ ამ ერთგულ მუშაკს ქართველი ერის პროგრესიულ ამაღლების და დანინა-ურებისას. იმედია რომ ჩემს დავალებას არ დაივინყებ და ამ დამსახურებულ მუშაკს შენებურ ზნეობრივ და ნივთიერ დახ-მარებას გაუწევ.

ამის გულისათვის შენთან თორმეტი კაცი მოდიოდა, მათ მაგიერ მე მოვედი და გთხოვ შენ იზრუნო რომ ასეთი შრომის მოყვარე კაცი არ იქნეს დაჩაგრული.

თქვენი პატივის მცემელი  
ზაქ. ჭიჭინაძე

25 ოქტ,  
1925<sup>1</sup> წ.  
თფილისი.

## ევგენი დვალისადმი №1 (63)

პასუხათ  
ევგენი დვალს.<sup>1</sup>

მოქ. ევგენი!<sup>2</sup> გაზეთ „მუშა“-ს 910 №-ში გამოქვეყნე-ბულია თქვენი წერილი, რომლითაც მე მიწვევთ სამედიატო-რო სასამართლოში, იმ შეურაცჰყოფის<sup>3</sup> გამო, რომელიც თქვენ გიგრძნიათ ბროშიურა:<sup>4</sup> „ჩემი სიკვტილის<sup>5</sup> სამზადისი, სახლის უფულოთ წართმევის ამბავი და თავგადასავალი“-ს გამოცემის გამო.

მე მოხარული ვარ სამედიატორო სასამართლოსი და ჩემი მხრივ მედიატორებათ ვასახელებ: მიხა ჩოდრიშვილს, მოსე კვარანცხელიას<sup>6</sup> და მირ. ხუხუნაიშვილს. რაც შეეხება „რემედასს“ – სასარგებლოთ 200 მანეთის გადახტას და პრე-სის საშვალეებით ბოდიშის მოხტას, ცხადია მე ამის საწინააღ-

მდეგო არაფერი მექნება და ეს აუცილებელიც არის...

დღე და ადგილზე – ჩემი წინადადებაა, მედიატორები შეუთანხმდნენ ერთი მეორეს.<sup>7</sup>

30/XI – 1925 წ.

## ნიკო ნიკოლაძისადმი №1 (64)

ძვირფასო ძმაო და მეგობარო ნიკო იაკობის<sup>1</sup> ძვე!

სალამი, იყავ კარგათ. 1913 წ. შემდეგ, ჩვენში ყველას-ფერი დავიწყებას მიეცა. შენ ჩემს სახლში გაიზარდე, ერთ დროს, კარგი ამხანაგები და მეგობრები ვიყავით, მაგრამ მერე შენ დაივიწყე ჩემი ხსოვნა და აღარასფერს მწერდი,<sup>2</sup> მეც მიტომ აღარას გწერდი<sup>3</sup> და არ განუხებდი. ეხლა ვაახლებ შენთან მიწერ-მოწერას, და იმედი მაქვს, რომ შენც უყურადღებოთ არ დამსტ[ო]ვებ,<sup>4</sup> რადგანაც საქართველო დღეს განახლების გზაზედ სდგას, ამიტომ განვაახლე ჩემი წიგნების ბეჭდვა.

გიგზავნი ჩემს სამახსოვროთ ჩემის წიგნების წიგნებს.

ამ წერილს მოგართმევს შენ ჩემი ერთი კარგი ახალგაზრდა ქართველი მწერალი, რომელიც ჩემი საყვარელი შვილობილიც არის. ეს არის მირიან მიხეილისძე ხუბ[უ]ნაიშვილი<sup>5</sup>, ლანჩხუთელი; კარგი თვისების და ნიჭის პატრონი, ამისი წიგნები მან უკვე გამოიხსნა და დაამტკიცა, იგი არის მეცნიერული<sup>6</sup> მიმართულების მიმყოლი და არა კოსმოპოლური, მეც მიტომ ვსცემ მას პატივს და როგორც მოხუცებაში შესულ კაცს, იგი მიყვარს როგორც ჩემი საყვარელი შვილი,<sup>7</sup> იგი ღირსიც არის ამისი, რომ მე მიყვარდეს იგი და ვიყო მე მისი პატივის მცემელი.

ამ მირიან ხუბუნაიშვილს თქვენთან საქმე აქვს და ამი-

ტომ მოგმართავ და გთხოვ, რომ ამ ჩემს საყვარელ შვილობილს, ყურადღება მიაქციო, მოისმინო მისი დავალება და ყოველისფერი, რაცკი შენგან შესაძლებელი იქმნება, ის სიკეთე არ დააკლო მას. ყველასფერი აუსრულო იმიტომკი არა, რომ იგი ჩემი შვილობილია, არამედ მიტომ რომ იგი ღირსია თქვენი გაცნობის, თავაზის და პატივისცემის.

ამიტომ მოგმართავ ჩემო ძველო მეგობარო და ამხანაგო ნიკოლოზ იაკობის ძევ და გთხოვ, რომ თქვენ ეს მირიან ხუხუნა[ი]შვილი<sup>8</sup> ისე მიიღოთ, როგორც ღირსეული შვილი თავის ქვეყნის ნიჭიერი მუშაკი და მოსურნე ქართულის მწერლობის. შენგან ამის სიკეთე და პატივისცემა იქმნება ჩემი სიხარული და თუ ვიცოცხლე და არ მოვკვდი, მეც ვეცდები სამაგიერო გადაგიხადო.

ძმავო ნიკო, თუ ხათრი გაქვს, ერთი შენი წიგნი ძრიელ მჭირია, ეს არის ის წიგნი, სადაც შენი შეკრებილი ლაზური ლექსებია. აქ არსად იყ[ი]დება<sup>9</sup> თფილისში და იქმნება მანდ იყოს გასაყიდი. ამ მირიან ხუხუნა[ი]შვილს ასწავლე სად იყიდება და ეს მიშოვნის მე.

მარადის თქვენი პატივის მცემელი  
ზ. ჭიჭინაძე

7 სექტემბერს  
1927 წ.  
ქ. თფილისი

## იაკოვ ჭიჭვილისადმი №1 (65)

ჩემგან გულით პატივცემულო  
ძვირფასო იაკოვ მიხეილისძევ!

თქვენთან ერთი ძვირფასი დავალება მაქვს და იმედია,

რომ ამ დავალებას უყურადღებოთ არ დასტოვებთ.

მამაშვილობას, ჩემო ძვირფასო იაკობ, მამის თქვენის მიხედვით სახელის პატივის საცემლათ და მოსაგონათ, მეცით პატივი მეც და შეინყნარეთ ჩემი თხოვნა. მამაშვილობას ჩემო ძვირფასო<sup>1</sup> იაკობ, ნუ დასტოვებ უყურადღებოთ მღ. შიო ბათმანოვს. ქართველ კათოლიკეთა<sup>2</sup> და ქართული ტიპიკონით კურთხეულს, რაც იშვიათია ჩვენში.<sup>3</sup> მე კათოლიკე არა ვარ, მაგრამ საქართველოს კომუნარული მთავრობის პატივისცემა და სიყვარული მამბედვინებს შეგანუხით და გაუნყოთ, რომ შიო ბათმანოვს ჩვენი ქართული მთავრობის წინააღმდეგ არაფერი აქვს ჩადენილი,<sup>4</sup> ეს კიდევ არ იქმნება კარგი, რომ უდანაშაულო პირი და მოყვარე თავის მშობელი<sup>5</sup> ქვეყნის და მისი მთავრობის ერთგული კაცი ჩეკაში იჯდეს. გაუნყებთ, რომ კათოლიკეთა მღვდლებს არა აქვსთ ნება<sup>6</sup> პოლიტიკაში ჩარევის და ამიტომაც იგინი არც ერევიან ამაში. ამიტომ მე შემეძლიან თავდებათ დაუდგე შიო ბათმანოვს, რომ იგი არის უვნებელი პირი საქართველოს კომუნარული მთავრობის წინაშე, მამ აკმარეთ ამდენი პატიმრობა და მიიღეთ არზა<sup>7</sup> რომ განთავისუფლდეს, იგი აქ არ დარჩება და თავის გზაზედ წავა ისევე როგორც მოვიდა.

იმედი მაქვს, რომ ამ დავალებას უყურადღებოთ არ დასტოვებთ,<sup>8</sup> მოგართმევთ ჩემს დაბეჭდილს ახალ წიგნებს.<sup>9</sup>

[16 ოქტომბერი  
1927 წ.]

## ვასილ სულაძისადმი №1 (66)

ძმაო ვასილი!

თქვენის თხოვნისამებრ, გიგზავნი ამ ბარათის მომტანს და გავალებ რომ 4 მ. გადმოსცეთ. მეორე წიგნის ბეჭ-

დვას 600 მ. უნდება და ძრიელ მჭირდება.<sup>1</sup>

თქვენი პატივის მცემელი  
ზ. ჭიჭინაძე

3 ნოემბერს.<sup>2</sup>

[არა უგვიანეს 1927 წლისა]

### **გიგოსაღმი №1 (67)**

ძმაო გიგო!

1 იანვარს, 3 საათზედ შენთან მოვედი, მაგრამ შინ ვერ გნახე. მე ბათუმში ვარ ჩემი სახლის ჩამორთმევის გამო. საქმე გათავდა და მორჩა, მთავრობამ დაუმტკიცა მათ.

ეხლა შენთან მაქვს საქმე. მე ბათუმში ვარ და გროში არ მაქვს. შენ გმართებს ჩემი ათას ოთხასი მილიონი. ამ ფულში მე მიანგარიშეს 30 მ. მაგრამ მე ამას არ გთხოვ, 1400 მილიონში 14 მანეთს, მილიონში ერთ კაპეიკს.

ეს ფული უნდა მიშოვნო შენა. უსათუოთ თორემ წა-სასვლელი ფული არა მაქვს. ერთხელ 3 მ. მომეცი.. აბა მო-მიმზადე, გადადება და შენებური გადადება აღარ იქმნება, დროა, რომ გადმიხადო.

ზ. ჭიჭინაძე

1 იანვარს, 1928 წ.

## ალექსანდრე აბაშელისადმი №1 (68)

ჩემგან გულით პატივცემულო  
ძვირფასო სანდრო (საშა)!

ტერენტი გრანელის შენახვით მოვბეზრდი, მე ეხლა სახლი აღარ მაქვს, ერთ ოთახში ვდგევარ, აქვე მიწყვია ჩემი ნიგნები. ტერენტის ჩემთან დგომა აღარ შეიძლება, რადგანაც მე ალაგი აღარ მაქვს, ვინაიდან ჩემი ოთახი ისეთია, რომ შიგ ძალლი არ შეიგდება.

ტერენტის არა აქვს ლოგინი, არა აქვს კუშეტკა, მაგიდა, სკამი, პირსახოცი და სხვაც კიდევ ასეთინი. მე რომ ლოგინი წავართო, მაშინ იგი ამიტომ ძირს უნდა ეგდოს იატაკზედ ულოგინოთ. ამისთვის საჭირო არის, რომ 50 მანეთი იშოვნოს, რომ ლოგინი შეიძინოს, ტახტი, მაგიდა, სკამი, პირსახოცი და ნიფხავ-პერანგი.

იქონიეთ ამისი სიბრალული, ტიტველა იყო, ნიფხავ პერანგი ტანზედ სულ შემოხეულები აქვნდა, მე უყიდე, 3 მ. მივეცი, კალოშებიც მე უყიდე. მე არ მაქვს შეძლება და ამიტომ გატყობინებთ, რომ თქვენ უპატრონოთ ამ კაცს, რომ იგი ქუჩაში არ მოკვდეს. მისთვის საჭიროა სულ 50 მ. რომ ყველაფერი შეიძინოს და ოთახში ცალკე დადგეს. გთხოვთ შემატყობინოთ<sup>1</sup> პატარა წერილით, მოუხერხებთ თუ არა დახმარებას?

თქვენი პატივის მცემელი  
ზ. ჭიჭინაძე

18 იანვარს  
1928 წ.



## ჰანოსაღმი №1 (69)

ჩემგან გულით პატივცემულო  
ძვირფასო ვანო!

ჩემო ძვირფასო ვანო! შენთან ერთი დავ[ა]ლება<sup>1</sup> მაქვს და იმედია, რომ ამ დავ[ა]ლებას უყურადღებოთ არ დასტოვებთ, ვინაიდან იგი შეეხება ერთს ღარიბ ხელოსნის საქმეს.

ამ წერილის მომტანი არის ჩემი მეზობელი, პავლე ჯანაშვილი, ხელობით მეთონე. იგი არის დღეს თფილისში თონეების კეთების პირველი ხელოსანი, იგი არის ცოლშვილის პატრონიც და მასთან ღარიბი-მეუძლოც, რადგანაც ამათი ხელოსნობა ზამთრობით მცირდება ხოლმე.

ამ ხელოსანს უმუშავნია ზაგესში, ამის ფული დარჩენილა თქვენზედ, ეხლა რაღაც გამოურკვეველი მიზეზებით ამას აწვ[ა]ლებენ და არ აძლევენ თავის შრომის მხვედრს. როგორც შეუძლო მუშამ დამავალა თქვენთან წერილის მოწერა და მეც გწერ და გთხოვ და გავალებ, რომ ამ ხელოსან მუშის გაჭირებულ დავ[ა]ლებას ყურადღება მიაქციოთ და კაცთ მოყვარეობის პატივის საცემლათ დახმარება გაუწიოთ, რომ თვისი ნამუშავარი მიიღოს. ამ დავ[ა]ლებას იმედია სიბრალულით შეხედავ, ვინაიდან იგი ეხება ღარიბ ხელოსან მუშის<sup>2</sup> დავ[ა]ლებას.

თქვენი პატივის მცემელი  
ზ. ქიჭინაძე

21 იანვარი  
1928 წ.

## ფილიპე მასარაძისადმი №5 (70)

ზაქარია ჭიჭინაძის წერილი<sup>1</sup>

ძვირფასო ფილიპე!

შენი ავათმყოფობის ხმები გაისმა, შევწუხდი, მაგრამ მეც ავათ ვარ, თორემ გნახავდი, მე ავათ ვარ თავის ტკივილით, გულის ფრიალით და მუხლების კანკალით, ეხლა ცოტა უკეთ ვარ, ეხლა შენთან ერთი დავალება არის და იმედია რომ ამ დავ[ა]ლებას<sup>2</sup> უყურადღებოთ არ დასტოვებთ, საქმე აი რაშია:

მარტის 31, ჩულურეთში, გარდაიცვალა ნიკოლოზის ეკკლესიის<sup>3</sup> დეკანოზი სოლომონ შოშიაშვილი,<sup>4</sup> ეს დეკანოზი ამ ეკკლესიაში მსახურებდა 28 წელიწადი, ამ ეკკლესიის სახლები, გალავანი და ეკკლესიის გადიდებაც სულ ამას ეკუთვნის, ამის თავოსნობით არის გაკეთებული, ეხლა აქ სცხოვრობს 12 დგმური, საიდანაც<sup>5</sup> გამგეობა იღებს ქირებს. ამ პატივცემული მიცვალებულის დასაფლავება, მთელს მრევლს სურს, რომ იგი დასაფლა[ვე]ბული იქმნეს ეკკლესიაში. გთხოვთ რომ ამ საქმეში თქვენ ხელი მო[მი]მართოთ, თქვენი იმედი არის, რომ ამ დავ[ა]ლებას შეასრულებთ, რადგ[ა]ნაც იგი ღირსი არის ასეთის პატივის ცემის.

მე მას ვიცნობ სემენარია<sup>6</sup> რომ დაამთავრა იმ დროში პირველად ეს იყო მასწავლებლად გურიაში, მერე ეკურთხა მღვდლად, იგი არ იყო რუსოფილი მღვდელი და ქართული წიგნის ბეჭდვის საქმეებ[ში] დიდათ ხელს უწყობდა, იყო პროგრესული შეგნების, მეც<sup>7</sup> დაგავალებ ამას, ამ პატივცემულის დეკანოზის მოღვაწეობას პატივი სცეთ და მისცეთ დახმარება, რომ თავის ეკკლესიაში დასაფლავდეს.

[ხელნაწერის || გვერდზე წერია:]

საქართველოს კომუნარული მთავრობის  
„ცაკის“ თავსმჯდომარე, პატივცემულ  
ფილიპე მახარაძეს.  
თუ ფილიპე არ გახლავსთ მაშინ აკაკი  
მენაბდეს

[1928 წლის 31 მარტის შემდეგ]

## მალაქია ტოროშელიძისადმი №1 (71)

ძვირფასო მალაქი გიორგისძევ!

მე შენი დიდი მადლობელი ვარ, რომ შენ ამ კახელი მიქელასათვის ყურადღება მიგიქცევია. კაცო, თქვენი ვალია, რომ ესენი წაახალისოთ და ეგება დღეს მაინც მიეცეს დასაწყისი<sup>1</sup> კახელის გამოფხიზლებას, რომ ეს ჩამორჩენილი კუთხეც აღდგეს და დაწინაურდეს. თუ კაცი ხარ, ეცადე შენებურათ, ისე, როგორც წმინდა კომუნისტს შეჭფერის და ამ დაძინებული კუთხის შვილს შენ გაუხდი წინამორბედი და მოციქული, რომ ეს კუთხეც აღორძინდეს დღეს ისე, როგორც ივერიის ხალხია აღორძინებული, ღმერთმა გაცოცხლოს და ჯანი მოქცეს, რომ ამ დაძინებულის კუთხის შვილებს შენ გაუწიო მამობრივი მოციქულობა. კიდევ მადლობ და გმადლობ, რომ ამ დაძინებული კუთხის შვილებს მოციქულობას უწევ!

მარადის თქვენი პატივის მცემელი  
ზ. ჭიჭინაძე

25 აგვისტოს,  
1928 წ.  
ქ. თფილისი

## ალექსანდრე არაბიძისადმი №11 (72)

ალექსანდრე!

ორი ოზმა ქალაღდი, ორ თაბახიანი, მომიხერხე ორშაფათს. ამით მორჩება ჩემი დავა და შენუხება ყველასი.

ზ—ია...

[ხელნაწერის II გვერდზე ადრესატის ვინაობა წერია ავტორის ხელით]:

ალექსანდრე დიმიტრისძე  
არაბიძეს

[1929 წლამდე]

## სიმონ ხუნდაძისადმი №1 (73)

ჩემგან გულით პატივცემულო  
ძვირფასო სიმონ!

დიგაევის ამბავი არ იქმნა, ვერ მოვიგონე ვინ წაიღო, ამიტომ ბოდში უნდა მოვიხადო თქვენს წინაშე, ორს კაცზედ მაქვს ფიქრი, თუ იმათაც უარი მითხრეს, მაშინ მე ახლად დავწერ დიგაევის ამბავს, მაგრამ ამ აღწერაში იქმნება ანუსხული<sup>1</sup> მარტო დიგაევის ამბავი საქართველოში და რუსეთის ამბებსკი არ დავსწერ, რადგანაც რუსეთის ამბები რუსებს დანერილ დაბეჭდილი აქვსთ და საქართველოს ამბებიკი არა აქვსთ მათ ანუსხული.<sup>2</sup> თუ შენთვის ასე ივარგებს, მაშინ დავსწერ ასე თუ არა და თქვენ როგორც მოისურვებთ ისე დავ-

წერავ. თუ ასე არ ივარგებს, მაშინ რუსეთის ამბებსაც დაურთავ.

თქვენი პატივის მცემელი  
ზ. ჭიჭინაძე

1 მარტი. [1928-1931]

ძვირფასო სიმონ!

შენ წიგნის II ტომში სწერ, რომ თფილისში ლავროვის გაზეთი ვპერიოდი არ იშოვებაო. ფილიპე გოგიჩაიშვილს აქვს „ვპერიოდის“ ნომერი ორი წლისა ყდაში ჩასმული, რომელიც მე წამართვა და მიითვისა. სთხოვე მას და გათხოვებს.

ზ. ჭ.

## **ალექსანდრე არაბიძისადმი №12 (74)**

ძვირფასო სანდრო!

შენ გეთაყვა, თუ შეგიძლიან, იქმნება რამე უშველო. თუ არა და იქმნება ორი, ან სამი მანათი მისცე, შინ წავა, თორემ სამი დღეა პური არ მიჭამნიაო.

თქვენი პატივის მცემელი  
ზაქ. ჭიჭინაძე

[ხელნაწერის II გვერდზე ადრესატის ვინაობა წერია ავტორის ხელით]:

სანდრო დიმიტრისძე  
ბატ. არაბიძეს

[1931 წლის 27 დეკემბრამდე]

### **ალექსანდრე არაბიძისადმი №13 (75)**

ჩემო ძვირფასო ალექსანდრე!

ის ჭიჭინაძე შორს არის და ვერ ვნახე. ეს იმაზედ ნაკლები ხელოსანი არ არის, ყველასფერს გაუკეთებს, აქა დგას, ჩემს სახლში დგმურათ და ეს აჩვენე შენს ბიძას. კარგი ხელოსანია. გვარათ ბაგრატი ოქროპირიძეა.

თქვენი კეთილის<sup>1</sup> მდომელი  
ზ. ჭ.

[ხელნაწერის II გვერდზე ადრესატის ვინაობა წერია  
ავტორის ხელით]:

ალექსანდრე დიმიტრისძე  
ბატ. არაბიძეს

[1931 წლის 27 დეკემბრამდე]

## ალექსანდრე არაბიძისადმი №14 (76)

ჩემო ძვირფასო ალექსანდრე

ამ ბარათის<sup>1</sup> მომტანი ვანო სტეფანიძეა, სტალიარი, ყველასფერს გააკეთებს და კაი ხელოსანიც არის.

მე გნახავ დღეს, კიდევ ავით ვარ და ის საქმე უნდა მოვრჩეთ.

ზ. ჭ.

[ხელნაწერის II გვერდზე ადრესატის ვინაობა წერია  
ავტორის ხელით:]

ალექსანდრე დიმიტრის ძე  
არაბიძეს

[1931 წლის 27 დეკემბრამდე]

## მიმღები კომისიის წევრებისადმი №1 (77)

დიდათ პატივცემულო მიმღებო კომისი[ი]ს<sup>1</sup> წევრებო!

დიდის მორიდებით და მოკრძალებით უნდა დაგავალოთ შემდეგი დავალება:

თქვენის მაღალი გონებისათვის დარიგება საკადრის[ი]<sup>2</sup> არ არის, მაგრამ ჩვენი ისტორიისა და ეტნოგრაფიის<sup>3</sup> კილოთი გახსენება კი არ იქნება მეტი და არც თქვენი განათლებული გონებისათვის არ იქნება უმნიშვნელო. ქართველი ერის განათლების ასპარეზზე დიდის შუქით ბრწყინავენ იმერლები, მეგრელები, გურულები და სხვები, რაც არის ყველასთვის სასიამოვნო და დიდი სიხარული[.]<sup>4</sup> ნამეტნავად სასიხა-

რულოა ის, რომ იმერლები ასე გულმოდგინეთ მისდევენ სწავლა-განათლებას.

ამავე დროს კი დიდათ საგრძნობელია ჩვენთვის და სავალალოა ის, რომ დიდათ ჩამორჩენილია სწავლა-განათლების მხრივ. იმერეთი გავს საფრანგეთს.<sup>5</sup> ქართლი და კახეთი კი, როგორც ჩამორჩენილი კუთხე გავს ნამდვილ სპარსეთს და ტეტიებიც არიან.

[1931 წლის 27 დეკემბრამდე]



თევდორე ჟორდანია (1854-1916)



## მოსე ჯანაშვილისადმი №1 (1)

12 აგვისტო 1880 წელი  
თფილისი.

მოსე-ჯან!

ეტყობა, შენის ზაქათალის მთა-კლდეტ ტრფიალობამ კიდევ ვერ მოგაწყინა; მიკვირს, ამდენი ხნის უზრუნველი, უაზრო სოფლის ცხოვრებამ როგორ თავი არ მოგაბეზრა?! ადექ, დრო არის ეხლა ქალაქის მრავალ-ფეროვან<sup>1</sup> სიცოცხლესაც დააცქერდე, ჩვენს ბულვარებს, ქალებ-ვაჟებით გატენილს, მორთულ-მოკმაზმულ ბულვარებს შეხედო,<sup>2</sup> ჩვენს ლიტერატორებს, ახალგაზდებს ხელი მისცე, სულით გაუზიარდე, ჩვენს<sup>3</sup> თეატრებში შეხვიდე, ქორიძის კონცერტით დასტკბე..... ადექ, ადექ, დროა წამოსლვისა. კანიკულიც გათავადა.

მე შინ ვიყავი<sup>4</sup> სამ კვირით; 6 აგვისტოს ჩამოველ. მრთელი ეს<sup>5</sup> დრო მგზავრობაში წავიდა. ამბები: „გაფრინდას“ საქმე ისევ ისეა, როგორც იყო შენს დროს; ილურიძე რომ სმოტრიტლათ აირჩიეს ოზურგეთში, არ დაამტკიცეს, ეხლა აქ თხოულობს არითმეტიკის ადგილს; „ობზორი“ დაიკეტა; ნიკოლაძეს დასასჯელად სტავროპოლის გუბერნიაში აგზავნიან ორი წლობით; აქ უჩილიშჩისთვის ჯერ ბევრი არა გაგვიკეთებია რა.

ხმა დაუგდიათ, რომ შენ ბათუმში (ვითომ?) მიდინარ მასწავლებლად; მე კი არა მჯერა, რომ შენ ისე გაბრიყვდე, მშვენიერი თფილისი დააგდო და ხაშმიან ბათუმში გარდახვიდე, სადაც შენი ისეც სუსტი ბუნება ციებ-ცხელების მსხვერპლად გახდება.... მე სრულიად არა მჯერა ამის.

ჩამო მალე და მოვილაპარაკოთ „პირად-პირადად“.

შენი თედო

## ქვენე ტარსანიქისადმი №1 (2)

[ხელნაწერის I გვერდზე შემორჩენილი ტექსტი:]

Я [радуюсь], торжествую, восхищаюсь...<sup>1</sup> .....будущее докажет, какія крупныя послѣдствія ожидаются от них для нашего народа, порабощеннаго языка, для осмеянной его исторіи, растоптанныхъ человеческихъ правъ его.... Прости мне мое хвостовство, если мое разглагольствованіе наведетъ тебя на эту мысль, которой я чуждаюсь и плотью и духом.

В семинаріи также идутъ существенныя преобразованія, вводятся 7 уроковъ грузинской словесности, закрыта одна кафедра Греческаго языка (Грязная<sup>2</sup> исторія за штатами), думаютъ вывести препода[ва]ніе<sup>3</sup> философіи (sic!!!),<sup>4</sup> чего не дай Богъ дождаться. Посмотрим!... Уроки Грузинской словесности предлагаютъ мне, но я думаю уступить ихъ г. Татіеву, который сильно обижается этимъ обстоятельствомъ; нужно уважать стараго моего наставника и учителя, если онъ будетъ просить... Я..... [н]айдти гденибудь уроки. В первыхъ числахъ Сентября..... [пи]сьмо,<sup>5</sup> услышу твой го[лос]<sup>6</sup>..... ты меня обр..... востока,..... ма, само..... [с]колько раз.....

[ხელნაწერის II გვერდზე შემორჩენილი ტექსტი:]

.....это [с]трогое, сладкое ელო надъ пр..... силъ я истощилъ, чтобы вытеснить..... этого ელო, – оно, это ელო, какъ тень всюду сомною, манитъ и какъ тень неуловимо... О еслибы удалось уловить этого ელო, ябы его заперъ, задушилъ... скажи, научи, что мне с нимъ, с этимъ ელო сделать: оно – это ელო, – какъбы, не сбило меня с толку... Скажите, зачемъ оно, – это ელო, – пробирается, прокрадывается в мысль, когда ему – этому ელო,

– я предоставил обширное жилище – всю душу мою?...  
Несправедливое ელო!... Бежбожное ელო!...

Насморк мой, к великому сожалению моему, прошел; с ним, – с этим твоим подарком, – мне было веселее, я потом чувствовал свое одиночество, сиротство...

С Анетою мир заключен; трактат подписан. – Очень сожалею, что порша не поняла моих чувств: она, – эта противная порша, – некогда меня не понимала. – Вашего дядю Александра я не видел еще. Я теперь занят составлением программы по Грузинской словесности, которую поручил мне ректор: составить и представить до 31 Августа. – Зедгинидзе передал мне, ч[то] ..... новаго. Он.....

[ხელნაწერის III გვერდზე შემორჩენილი ტექსტი:]

.....[не]т веселья, нет цветов, нет..... уголка, гдебы я мог найти покой, укрыться от зноя, утолить высыхающий язык коплю холодной воды, – здесь нет тебя... Отсюда, из этой мрачной пустыни, мысль моя устремлена к тебе, к тому уголку, где счастливое небо оперлось шатром над тобою, где тебе смеются и стены, и деревья, и цветы, где вокруг тебя веется бабочка, где над тобою разливается соловей, забавляют птички, где около тебя летает, слегка касается, обнимает и ласкает ветерок... Как я ему заведую! Как счастлив этот уголок! Как там все счастливо!... Я один вдали от счастья и жизни далеко от тебя, но верь, душа моя всегда с тобою, как тень она всегда за Вами, блуждает около и вокруг тебя, она касается слегка Вас; тоскует на груди твоей, утопает в твоей душе, чистой, святой... Дайже ты ей этот приют святой, счастливый блаженный приют, она твоя, я ее подарил тебе всю, без остатка навсегда, навеки.... Нет, нет, чувства мои, Еля моя, невыразимы, Это буря, это – волны,

без слов, без речи, молчаливые, но грозные, глубокие, страшные... Поймиже:

[ხელნაწერის IV გვერდზე შემორჩენილი ტექსტი:]

[трудно], тяжело, – где нет тебя.... ангел мой живой, где ты? Где ты голубка моя, мое счастье, моя Еля, Еля, Ело?..  
Прошу, умоляю, не забывай, пиши, пиши...

Новостей у нас не мало и не простых, но не все тебя может интересовать. Поздравь меня искренно, от всего твоего сердца, от всех сил души твоей святой с радостью, которую я вкусил и вкушаю без тебя, источником которой не ты, богиня моя. Поздравь меня: мои проекты по преобразованию учебного дела в духовных училищах Грузинского Экзархотства прошли всецело, почти без изменения, неожиданно, негаданно в посрамление врагов их, они одобрены и утверждены свят[ым] Синодом и указом предписано ввести указанные в них преобразования во всех училищах Закавказья с Сентября сегоже года... Идет настоящий перелом, пертурбация в училищах. Грузинский язык сделан штатным и уроки увеличены вдвое, учитель груз[инского] языка будет состоять на казенной службе и получать такие же выгоды, как учителя штатные; греческий язык упразднен, из 2<sup>х</sup> кафедр латинского языка закрыта одна.

[I გვერდის მარცხენა არშიაზე მინაწერი:]

.....упразднится (по предположению) кафедра фило[софии]..... [при]вествуют Вас всех. Но особенно задушев[но]..... С..... ом любезно и долго разсуждали,.....

Прислали еще одного нового учителя..... мо. Она извиняется, что не поздравила нас.....

[II გვერდის მარცხენა არშიაზე მინაწერი:]

.....на руки и следовало бы принять меры... Если..... [над]лежащую инструкцию. Я, при свидетелях, опишу что ..... в получении их для хранения... Сделайте, как находите..... с горя и злости на Вас всех. Я буду часто посещать Вашу квар[тиру]..... из дачи в Тифлис, ему разрешим издание газеты „საქართველო“, Мадам Цхватадзе (научится чемулибо, чтоли?). Тифлис снова [ожи]вился; я посетил его, но не мог пробыть там не более 20 минут.

[III გვერდის მარცხენა არშიაზე მინანერი:]

.....вычитал в письме моей Елички, моей богини живой, сле..... [пер]естанете так звучать) извините меня, если найдете чтото [в] Вашем письме все так было умно, восхитительно, прекрасно..... у самого берега... Жаль, я Вам прощаю эти строки, – Вы вздумаете писать что либо подобное, – о, как ещё..... задушу, задушу..., несмейте больше. Вы безсовестны,..... которых заставляли писать эти слова на самой бумаге, на..... оскорбили. – Следуя Вашему примеру я то[же]...

[IV გვერდის მარცხენა არშიაზე მინანერი:]

[o]на не дошла до нея. Брат и невестка также прие..... Вас („სული მიმდისო ელენეს ნახვისა“). Но особенно интересное..... (двоюродной сестры), которая, невидя Вас, лично, приговаривает и мучит будущую кузиночку. Сколь[ко]..... оказывается, я карточку Вашу послал.

[არა უგვიანეს 1883 წლისა]

## ელენე ტარსანიძისადმი №1 (2)

[ხელნაწერის I გვერდზე შემორჩენილი ტექსტი:]

მე [მიხარია], ვზეიმობ, აღფრთოვანებული ვარ... .....მომავალი გვიჩვენებს, თუ როგორი დიდი შედეგები მოჰყვება ამას ჩვენი ხალხისთვის, დამონებული ენისთვის, მისი აბუჩად აგებული ისტორიისთვის, მისი ფეხქვეშ გათელილი ადამიანის უფლებებისთვის... მომიტევე ტრაბახი, თუ ჩემი ლაქლაქი შენში იმ აზრს გამოიწვევს, რომელსაც სულით და ხორციით გავუბრუნებ.

სემინარიაშიც არსებითი ცვლილებები ხდება, ქართული სიტყვიერებისათვის განზრახულია 7 გაკვეთილი, დაკეტილია ბერძნული ენის ერთი კათედრა (ბინძური ისტერია შტატებისათვის), ფიქრობენ ფილოსოფიის სწავლების გაუქმებას (sic!!!) – ღმერთმა არ მოგვასწროს. ვნახოთ!... ქართული სიტყვიერების გაკვეთილებს მე მთავაზობენ, მაგრამ ვფიქრობ, დავუთმო ბატ. ტატიევს, რომელიც ძალზედ განაწყენებულია არსებული გარემოებით, საჭიროა პატივი ვცე ჩემს ძველ მოძღვარსა და მასწავლებელს, თუ იგი მოითხოვს... მე..... ვიმოვნო გაკვეთილები. სექტემბრის პირველ რიცხვებში..... გავიგონებ შენს ხმას..... შენ მე [გამახარებ]..... აღმოსავლეთის..... რამდენჯერ.....

[ხელნაწერის II გვერდზე შემორჩენილი ტექსტი:]

.....ეს მკაცრი, ტკბილი ელო..... ძალ-ღონე შევალიე, რომ გავაძევო..... ეს ელო, – ეს ელო ჩრდილივით ყველგან თან დამყვება, მიხმობს და ჩრდილივით მოუხელთებელია... ო, დაჭერა რომ შემეძლოს ამ ელოსი, მე მას ჩავკეტავდი, დავახრჩობდი... მასწავლე, რა ვუყო მას, ამ ელოს: ამ ელომ ჭკუიდან არ გადამიყვანოს... მითხარით, რატომ შემოდის ფარულად ეს ელო ჩემს ფიქრებში, როცა მე მას, ამ ელოს მივუძღვენი დიდი სივრცე.... მთელი ჩემი სული?... უსამართლო ელო!.. უღმერთო ელო!..

ჩემდა სამწუხაროდ, სურდომ გამიარა; მასთან და შენს საჩუქართან ერთად უფრო მხიარულად ვიყავი, შემდეგ კი ვიგრძენი ჩემი მარტოობა, ობლობა...

ანეტასთან მოვრიგდი, ტრაქტატი ხელმოწერილია. – ძალიან ვწუხვარ, ამ „პორშამ“ ვერ გაიგო ჩემი გრძნობები: ამ საძაგელ „პორშას“ არასდროს ესმოდა ჩემი. – ზიდათქვენი ალექსანდრე ჯერ არ მინახავს. ახლა მე დაკავებული ვარ ქართული სიტყვიერების პროგრამის შედგენით, რომელიც რექტორმა დამავალა: უნდა შევადგინო და წარვადგინო 31 აგვისტომდე. – ზედგინიძემ გადმომცა..... ახალი.....

[ხელნაწერის III გვერდზე შემორჩენილი ტექსტი:]

.....არ არის მხიარულება, ყვავილები, არ არის..... კუთხე, სადაც სიმშვიდეს ვიგრძნობდი, დავემალეობდი პაპანაქება სიცხეს, ერთი წვეთი ცივი წყლით დავისველებდი გამშრალ ენას, – აქ არ ხარ შენ... აქედან, ამ მოსაწყენი უდაბნოდან, ჩემი ფიქრი შენკენ მოისწრაფვის, იმ კუთხისკენ, სადაც ბედნიერი ცა კარვად დაგხურვია თავზე, სადაც გიცინიან კედლებიც, ყვავილებიც, სადაც პეპელა დაფარფატებს შენ ირგვლივ, სადაც ბუღბული გიგალობს, ანცობენ ჩიტუნები, სადაც შენ გარშემო ქრის და გეალერსება ნიავი... როგორ მშურს მისი! რა ბედნიერია ეგ კუთხე!... რამხელა ბედნიერებაა მანდ! მარტო მე ვარ შორს ბედნიერებისგან, ცხოვრებისგან და შენგან, მაგრამ მერწმუნე, ჩემი სული მუდამ შენთან არის, ჩრდილივით თან დაგყვება ყოველთვის, შენ გარშემო და მახლობლად ტრიალებს, იგი მსუბუქად გეხებათ, თქვენს მკერდზე ნაღვლობს, შენს სუფთა, წმინდა სულში იძირება... მიეცი მას ეს წმინდა, ბედნიერი, ნეტარი თავშესაფარი, ის შენია, მე ის შენ მოგიძღვენი მთლიანად, სამუდამოდ, საუკუნოდ..... არა, არა, ჩემი გრძნობები, ელია, ელია, ენით გამოუთქმელია, ეს არის ქარიშხალი, ეს არის ტალღები უსიტყვო, ჩუმი, მაგრამ მრისხანე, ღრმა, საშინელი..... გაიგე ბოლოს და ბოლოს:

[ხელნაწერის IV გვერდზე შემორჩენილი ტექსტი:]

[რთულია], მძიმეა, – სადაც შენ არ ხარ..... ჩემო ცოცხალ ანგელოზო, სადა ხარ? სადა ხარ, ჩემო მტრედო, ჩემო ბედნიერებავ, ჩემო ელია, ელია, ელია?... გთხოვ, გემუდარები, არ დამივიწყო, მომწერე ხოლმე, მომწერე.



აქ ბევრი ახალი ამბავი გვაქვს და არა უმნიშვნელო, მაგრამ შენ ყველაფერი არ დაგაინტერესებს. მომილოცე გულწრფელად, მთელი შენი გულით, წმინდა სულის მთელი ძალით სიხარული, რომელიც მე უშენოდ განვიცადე და განვიცდი, რომლის მიზეზიც შენ არა ხარ, ჩემო ღვთაებავ. მომილოცე: ჩემი პროექტები საქართველოს საეგზარქოსო სასულიერო სასწავლებლებში ქართული სიტყვიერების სწავლების საქმესთან დაკავშირებით გავიდა მთლიანად, თითქმის უცვლელად, მოულოდნელად, ვერც კი ვიფიქრებდი, ამ [პროექტების] მონიშნულმდეგეთა სამარცხვინოდ, ისინი მონონებული და დამტკიცებულია წმინდა სინოდის მიერ და ბრძანებულებით დავალებულია მათში მითითებული ცვლილების გატარება ამიერკავკასიის ყველა სასწავლებელში ამა წლის სექტემბერში... სასწავლებლებში მიმდინარეობს ნამდვილი გარდატეხა, პერტურბაცია. ქართული ენა გახდა საშტატო და გაკვეთილების რაოდენობა გაორმაგდა; ქართული ენის მასწავლებელი იქნება სახაზინო სამსახურში და ისეთივე სარგებელი იქნება, როგორც შტატიან მასწავლებლებს აქვთ; ბერძნული ენა გაუქმებულია, ლათინური ენის 2 კათედრიდან ერთი დაიკეტა.

[I გვერდის მარცხენა არშიაზე მინანერი:]

.....(როგორც ჩანს), ფილოსოფიის კათედრა გაუქმდება..... ყველას მოკითხვას გითვლით, მაგრამ განსაკუთრებით გულითადად..... თავაზიანად და დიდხანს მსჯელობდნენ,..... გამოგზავნეს კიდევ ერთი ახალი მასწავლებელი..... იგი ბოდიშს იხდის, რომ არ მიულოცავს.....

[II გვერდის მარცხენა არშიაზე მინანერი:]

.....ხელზე და მიღებული უნდა ყოფილიყო ზომები..... თუ..... სათანადო ინსტრუქციას. მე მონმეების თანდასწრებით შემიძლია აღვწერო..... მათ მიღებაში შესანახად. მოიქეცით, როგორც საჭიროდ მიგაჩნიათ..... სიმწრისა და ყველა თქვენგანზე გაჯავრების გამო. მე ხშირად მოვინახულებ თქვენს ბინას]. ..... აგარაკიდან თბილისში, მას მივცემთ გაზეთ „საქართველოს“ გამოცემის უფლებას, ქ-ნი ცხვატაძე (ვერაფერი ისწავლა?). თფილისი ისევ [გა-

მო]ცოცხლდა, მე ვიყავი იქ, მაგრამ 20 წუთზე მეტხანს ვერ გავჩერ-  
დი.

[III გვერდის მარცხენა არშიაზე მინაწერი:]

.....ჩემი ელიჩკას, ჩემი ქალღმერთის წერილში ამოვიკით-  
ხე..... თუ [არ] შეწყვეტთ ასე ლაპარაკს, მომიტევეთ, თუ თქვენს წე-  
რილში ყველაფერი ისე ჭკვიანურად, აღმაფრთოვანებლად, მშვენივ-  
რად იყო..... ნაპირზე... დასანანი. მე თქვენ გპატიობთ ამ სტრიქო-  
ნებს..... და [თუ] თქვენ განიზრახავთ მსგავსი რაიმეს მოწერას, – ო,  
როგორ დაგახრჩობთ, დაგახრჩობთ და აღარ გაბედოთ, თქვენ  
უსინდისო ხართ,..... რომლებსაც აიძულებდნენ ამ სიტყვების დაწე-  
რას ქალაღდზე..... შეურაცხყოფა მომაყენეთ. – თქვენი მაგალითის  
მიხედვით მე ასე[ვე]...

[IV გვერდის მარცხენა არშიაზე მინაწერი:]

[მ]ან ვერ მიაღწია იქამდე. ძმა და რძალი ასევე..... („სული  
მიმდისო ელენეს ნახვისა“)..... თქვენ განსაკუთრებით საინტერე-  
სო..... (დეიდაშვილის), რომელსაც თქვენ პირადად არ უნახიხართ,  
ეტიტინება და აწვალებს მომავალ დეიდაშვილს. რამდე[ნი]..... ეტყო-  
ბა, თქვენი სურათი გამიგზავნია.

[არა უგვიანეს 1883 წლისა]

### **პეტრა გარტინევიძისადმი №1 (3)**

1 Март. 85 г.

г. Тифлис.

Не примет ли редакция Вашего журнала подробного  
исторического исследования: «Антоний I, архієпископ  
Владимирскій и каталикос Грузіи» (XVIII в.) с платою 20 руб. с  
печатного листа. Статья займет до 8 печат[ных]<sup>1</sup> листов.

Надеюсь редакция не оставит этого письма без ответа.

Θεოდор Жордания.

Адрес мой:<sup>1</sup> г. Тифлис. Преподавателю духовной православной семинарии Θεოდору Д. Жордания.

### პეტრე ბარტენევისადმი №1 (3)

1 მარტი. 85 წ.  
ქ. თფილისი.

ხომ არ მიიღებდა თქვენი ჟურნალის რედაქცია დაწვრილებით ისტორიულ გამოკვლევას: „ანტონ I, ვლადიმირის არქიეპისკოპოსი და საქართველოს კათალიკოსი“ (XVIII ს.) ყოველ ნაბეჭდ ფურცელში 20 მან-ის გადახდის პირობით. სტატია დაიკავებს 8-მდე ნაბეჭდ ფურცელს.

ვიმედოვნებ, რედაქცია უპასუხოდ არ დატოვებს ამ წერილს.

თევდორე ჟორდანია

ჩემი მისამართია: ქ. თფილისი. მართლმადიდებლური სასულიერო სემინარიის მასწავლებელს თევდორე დ. ჟორდანიას.

## ნიკო ლომოურისადმი №1 (4)

10 სექტემბ. 1886 წ.

ნიკა!

ძალიან მიკვირს, რომ ეგრე მალე დამივიწყე. რამდენჯერ იყავი თფილისში და ერთჯერაც არა მნახე. ეს მეტად მაკვირვებს და მანუხებს, მით უმეტეს, რომ ჩვენ ამხანაგებნი ვიყავით, მერე კარგი ამხანაგები, ერთის აზრისანი, ერთის ლტოლვილებისა... ნუთუ რაჟმე განყენინე რითიმე? ან ეგებ ჰფიქრობდე, რომ მე გამოვიცვალე, უღალატე ჩემს იდეალებს? სცდები. თუ როდისმე ნაპერწკალილა ღუოდა ჩემს გულში, ეხლა ცეცხლად გარდიქცა იგი და ღვთის მადლით ჯერ არ მიღალატინა ჩემის იდეალისთვის, თუმცა ბევრი შეურაცხ-ყოფა და დევნა დავითმინე. როდისმე შევხვდებით და გაიგებ ჩემს თავ-გარდასავალს. – რამდენი მტრები გამიჩნდენ და რა უკუღმართს<sup>1</sup> ავრცელებენ ჩემზე? გასაოცარია. ერთის სიტყვით, მე შემიძლიან წრფელის გულთ გარწმუნო და თუ საჭიროება მოითხოვს დაგიმტკიცო კიდევაც საბუთებით, რომ მე ჯერ არ წამიცხია ჭუჭყი<sup>2</sup> არც კაცობრიობით ღირსებისათვის და არც დამნაშავე გამხდარვარ ქვეყნისა და ქართველობისა<sup>3</sup> წინააღმდეგ.... მაგრამ ამაზე მერე. – ცუდი დრო მოგველის ჩვენ ამ რევიზიის შემდეგ. ხმა დააგდეს, რომ ქართველებს სემინარიიდგან ითხოვენო და დასაჯერიც არის. რევიზორმა ჩვენ არა გვკითხა რა, თუმცა ბევრი რამ ვიცოდით გამოსარკვევი ლალიევის ბოროტმოქმედებისა.

ნიკა! რად არასა სწერ? ყველას უკვირს და ვერ აუხსნიათ შენი გაჩუმება. მე მგონია, რომ შენ დიდ რაჟმე შრომას ამზადებ.

შენთან დიდი სათხოვარი მაქვს და სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ პატივსა მცემ და აღმისრულებ ჩემს თხოვნას.

შარშან დ. ავალოვმა (ჩემმა ნათესავმან) მთხოვა, რომ მეჩვენებინა კარგი, საიმედო და გამოცდილი მასწავლებელი და აღმზრდელი მისის შვილისათვის. მე შენზე მიუთითე, როგორც ფ<sup>დ</sup> ნიჭიერ მასწავლებელზე<sup>5</sup> (პირმოთნეობით არ ვიტყვი) და უმეტესად ცნობილს აღმზრდელზე<sup>6</sup> (ცუდი არა იფიქრო რა ჩემზე; ვამბობ იმას, რაშიაც მე ღრმად დარწმუნებული ვარ). წრეულს მე ვნახე ისინი და მადლობით და<sup>7</sup> ქებით გიხსენიებდენ. ესლა გაუგიათ, რომ შენ სხვაგან დაგიჭერია სახლი, შორს დამდგარხარ და თუმცა შენ პატიოსნური სიტყვა მიგიცია, რომ შენ არ დასტოვებ მათს შვილს, მაგრამ მაინც შიშობენ, რომ შორს ყოფნამ არ გათქმევინოს უარი მათის შვილის სწავლა-აღზრდაზედ. ძალიან დაღონებულნი არიან ამ შიშის ქვეშ.

ნიკო-ჯვან, გთხოვ ჩემის მხრით, არ დასტოვო ის ყმანვილი და თუნდაც რომ ძალიან ძნელი იყოს შენთვის იქ სიარული, თავს იდვა მისი სწავლა-აღზრდა, შენს სასახელოდ და ახალნორჩის სასარგებლოდ. ბავშვსაც თურმე საკვირველად უყვარხარ (ეს ბედი ხომ ყოველთვის გქონდა) და სიკვდილამდე ეყვარები. დარწმუნებული ვარ, რომ, ნიკა, შენ ამ თხოვნას აღმისრულებ. მაგრამ თუ არ აღმისრულე, შეგანუხებ წერილებით.

მომიკითხე თქვენი მეუღლე. დიდათ დამავალებ და გამახარებ, თუ პასუხს მომცემ და წერილს გამომიგზავნი.

შენი თევდორე ჟორდანია

## თედო სასოკიასადმი №1 (5)

28 სექდ. 1889.

პატივცემულო ძმაო და მეგობარო  
თედო!

დიდად ვწუხვარ, რომ შენს ქუთაისს ჩამოსლვაში შინ ვერ დაგიხვდი. შენგან წასაკითხათ დატოვებული საბუთები წავიკითხე. რომელიც ტყავზე არის დაწერილი ის არავითარს ისტორიულს წარწერას არ იპყრობს თვისს შორის და ნიმუშად მარტო რამდენიმე სტრიქონი ამოგინერეთ, ხოლო რაც ქვიდამ გადმოგიხატავთ ის წარწერა მეტად საყურადღებოა, რადგან მოიხსენებს ცნობილს ერისთავთა აბუსერისძეთა გრიგოლს, გიორგის და სხ. მაგრამ დაწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, რომ გადმოღების დროს რომელსამე ხაზს ან ნაწილს ასოხასს გამოუშვებდით ან ოდნავ შესცვლიდით. ეს მივიღე სახეში და ის წარწერა ესრე წავიკითხე: „ქრისტე (ქე) ადიდენ (ადენ)<sup>1</sup> ერისთავთ ერისთავნი (ეენი) გრიგოლ (გრგლ) და აბუსერი (აბსრი) და გი (გიორგი) და [ბე]შქენი<sup>2</sup> – – – (აქ ერთი სიტყვა სულ ვერ გავარჩიე) ზაქარია (ზქრ)“. აბუსერიძეთა შტო იხილე ჩემს „ქრონიკების“ მეორე ტომში გვერდი 122-123; 120-121<sup>3</sup> და იქიდან სცნობთ, ვინ როდის სცხოვრობდა. ჩემს შტოში მოხსენებული არ არის ბეშქენ. შეიძლება თქვენს წარწერაში მოხსენებული აბუსერნი შემდეგის დროისანი იყვნენ (XIV-XVI), რომელნიც ისტორიამ არ იცის, ანუ სულ უძველესის დროისანი (IX-XI საუკ.), რომელნიც ნაკლებ არიან ცნობილნი. აბუსერისძეთ სჭერიათ ოპიზა და მისი არემარე (აჭარა, შავშვეთი = ხიხათა საერისთავო).

ბევრი მაქვს შენთან მოსაწერი და სალაპარაკო, მაგრამ ისრეთი თვალის ტკივილი მაქვს, რომ ეს რაც დამინერია ძლივს შევსძელ, შავკისეთი (შავ დოლბენდით?)<sup>4</sup> თვალმოფა-

რებულმან; ორი წვეთი ცრემლიც ჩამივარდა გასივებულ თვა-  
ლისგან და ტკივილი ამიტყდა. მომიტევე.

ნუ დამეზარებთ: შარაძეს და თიფლისსკ[იი]<sup>5</sup> листок-ის  
რედაქციაში სთხოვეთ, რომ გაზეთი ქუთაისში გვიგზავნონ  
(Кутаис. Θ. Д. Жордания) და არა ბერშოეთში.

## დიმიტრი გაქრაქისაღმი №1 (6)

Многоуважаемый Димитрій  
Захарьевич!<sup>1</sup>

Поздравляя Вас с праздником, прошу Вас разрешить мне  
брать по десяти и более книг сразу из Музеума для составления  
каталога остающимся 20 книгам, так как неудобно по одной  
книге брать каждый раз. Придется перевезти в ящиках, так, как  
остались большія книги (გულანი), представляющія значи-  
тельную тяжесть.

Почитающій Вас  
Θеодор Жордания

27 Дек. [1889]

## დიმიტრი გაქრაქისაღმი №1 (6)

ღრმად პატივცემულო დიმიტრი  
ზაქარეას ძევ!

გილოცავთ დღესასწაულს. გთხოვთ დამართოთ ნება, მუზე-  
უმიდან სახლში წავიღო 10 და მეტი წიგნი დარჩენილი 20 წიგნის  
კატალოგის შესადგენად, რადგან თითო-თითოდ წაღება მოუხერხე-

ბელია. საჭირო იქნება მათი ყუთით გადატანა, ვინაიდან დარჩენილია დიდი წიგნები (გულანი), რომლებიც საკმაოდ მძიმეა.

თქვენი პატივისმცემელი  
თედო ჟორდანია

27 დეკ. [1889]

### **მიხეილ საკინენისადმი №1 (7)**

Многоуважаемый  
Михаил Павлович!

Посылаю Вам вторую половину проповеди Св. Нины, точно<sup>1</sup> списанной с манускрипта №95. Немного опоздал, но простите: весь я завален работою. – Найдите мне издателя «Каталикоса Антонія I» с гонораром приличным. Не можете ли найти в каком либо журнале места для издания конторских гуджаров на грузинском языке, без перевода?

Я имею намерение дать отчет о книге (Апостол) с датою 404 год (V век.), а также о выдающихся рукописях музея. Где дадут гонорар приличный? Не забывайте нас. – Да сохранит Вас Бог на пользу и славу Иверской Церкви, честно несшей Крест и несущей...

Ваш Жорданія

[1891 წლამდე]



## მიხეილ საბინინისადმი №1 (7)

დიდად პატივცემულო  
მიხეილ პავლეს ძე!

გიგზავნით წმიდა ნინოს ქადაგების მეორე ნახევარს, ზუსტად გადმოწერილს №95 მანუსკრიპტიდან. ცოტა დავაგვიანე, მაგრამ მაპატიეთ: მთლიანად ჩაფლული ვარ სამუშაოში. – მიშოვნეთ „ანტონ I კათალიკოსის“ გამომცემელი გვარიანი ჰონორარით. ხომ ვერ მომიძებნით ადგილს რომელიმე ჟურნალში საკანტორო გუჯრების გამოსაცემად ქართულ ენაზე, თარგმანის გარეშე?

განზრახული მაქვს ანგარიშის წარდგენა წიგნზე (სამოციქულო), რომელიც დათარიღებულია 404 წლით (V საუკ.) და აგრეთვე მუზეუმის ღირსშესანიშნავ ხელნაწერებზე. სად მომცემენ კარგ ჰონორარს? არ დავგივიწყოთ. – გფარავდეთ ღმერთი ჯვრის მუდამ პატიოსნად მატარებელი ივერიის ეკლესიის სასიკეთოდ და სადიდებლად.

თქვენი ჟორდანია

[1891 წლამდე]

## ალექსი გულისაშვილისადმი №1 (8)

1 დეკემბერ[რს]<sup>1</sup> 91 წ.  
თფილისით.

დიდად პატივცემულო  
პატიოსანო მამაო  
ალექსი!

მე თქვენთან მუდამ დამნაშავე ვრჩები, მაგრამ სულგრძელებით მაპატივეთ და შემინდევით წერილის დავგვიანება.<sup>2</sup>

– თქვენის წერილის კვალიც კი ვერ ვიპოვეთ რედაქციაში. სჩანს, რექტორს არ გარდაუცია და მისს<sup>3</sup> ქალაქებს ნაჰყო-ლია. ნუ გენყინებათ, უარესებიც ბევრი მოსდით რედაქციის მწვერებს. მე მათში არა ვარ ჩარიცხული და იმათი საქმისა არა ვიცი რა.

თქვენგან გამოგზავნილს შაგირდს მე ვურჩიე ხელახ-ლა უჩილიშჩაში შესლვა, რადგან ყოვლად შეუძლებელი იყო მისგან ეგზამენის დაჭერა. – კორესპოდენციები მოიწერეთ ჩვენის ყურნალისთვის მთიულებზე და მათის<sup>4</sup> ზნე-ჩვეულების და ქრისტიანობის მდგომარეობაზე.

დიდათ დავალებული ვარ თქვენგან და კიდე გთხოვთ არ დაივიწყოთ ჩემი სათხოვარი შესახებ სიგელ-გუჯრების შეკრებისა და ეკლესიებზე წარწერების გარდახატვისა. თუ ამისთანაებს მომანოდებთ, ამით სამსახურს გამინევთ მეცა და სამშობლო ისტორიას, რადგან მე ჩემთვის როდი მინდა და არც რას გამოადგება ჩემს კეთილ-დღეობას, მე შემიძლია მხოლოდ შრომა უსასყიდლო და უძილო, დანარჩენი უწყოდეს ღმერთმან. არც სახელის მოხვეჭა შემიძლია მე ჩემის შრო-მით, რადგან აწინდელს ჩვენს საზოგადოებას მხოლოდ ის მოსწონს და იმას აღამაღლ-გაადიდებს, ვინც ყველას აქებს და ვინც თვისს<sup>5</sup> თავ-მოყვარეობას უმეტეს ემსახურება, ვიდ-რე ჭეშმარიტებას. ეხლა თითქმის დამზადებული მაქვს და იანვრიდამ ბეჭდვას შევუდგები საქართველოს ისტორიის მა-სალებისას, რომელნიც მე შემეგროვებია ათის წლის შრომით და მეცადინეობითა და ამ ორის წლის განმავლობაში<sup>6</sup> ქრონო-ლოგიურად დამიწყვია, ამიხსნია და განმიმარტნია. თქვენის<sup>7</sup> „სულთა მატრიანესაგანაც“ თითო ოროლა ცნობები ამომიღია და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ თქვენს სახელსაც არ დავემალავ. თუ<sup>8</sup> მომანოდებთ რასმე თქვენის კუთხიდან<sup>9</sup> მე-ტად დამავალბთ. ბეჭდვა ერთს წელიწადს გაგრძელდება.

თქვენი თევდორე ჟორდანია

## ბიჭო მარინაშვილი №1 (9)

29 Декабря 1893 г.  
г. Тифлис

Высокоуважаемый профессор,  
Г. №№ Мара!

Извиняюсь, что при незнании даже Вашего имени и отечества (но вполне сведущий о Ваших несомненных качествах, определивших Вас на путь служения исторической науке (Востока), я осмеливаюсь обратиться к Вам с просьбою и за помощью.

После продолжительных перебиваний, я наконец успел издать первую часть моих «Хроники» с критическим разбором грузинской летописи в пределах Хроники. Посылая к Вам в дар один экземпляр «Хроники», покорнейше прошу Вас принять на себя труд внимательно прочитать ее и свой вполне беспристрастный отзыв о недостатках и достоинствах моего вышеозначенного труда, поместить в каком нибудь органе, и, если возможно, в возможно непродолжительном времени. – Чтобы понять, почему я осмеливаюсь<sup>1</sup> утруждать Вас, я должен сообщить Вам, что, к великому моему сожалению, я имел несчастье вооружить против себя некоторых влиятельных в сфере литературы господь, и ожидать беспристрастного суждения о своем труде в местной печати я не имею никакой надежды; а между тем от этого зависит все будущее взятого мною дела: продолжить ли мой труд или навсегда отказаться от дальнейшей работы в том же направлении. Местное общество только в том случае может дать мне возможность напечатать остальные части моей Хроники, если оно из уст компетентных

лиц услышит, что труд этот вполне достоин печати и может быть признан полезным для исторической науки.

Конечно, я далек от всякой мысли навязывать Вам свои мнения, но тем не менее я весьма убежден, что при внимательном разсмотрении всего сочинения Вы вполне должны убедиться, что труд наш представляет плод долговременных кропотливых работ, но моему крайнему разумению, долженствующих внести<sup>2</sup> хотя бы некоторый свет в грузинскую летопись, в ее хронологию, обогатить летопись новыми фактическими и хронологическими данными из истории и литературы Грузии, разъяснить<sup>3</sup> множество и темных вопросов, устранить ряд анахронизмов и противоречия, существующия в самой летописи или по отношению летописных известий с сведениями из армянских источников. Ваши указания мне могут послужить к исправлению и приготовлению к<sup>4</sup> лучшему ведению начатаго труда, а безпристрастный отзыв Ваш, надеюсь, откроет мне путь возможность и<sup>5</sup> средства к изданию сих трудов. Если мне не удастся напечатать остальную часть своего сочинения, особенно изданием<sup>6</sup> на грузинском языке,<sup>7</sup> то прошу Вас открыть мне какой либо из русских органов с тем, чтобы текст документов<sup>8</sup> был напечатан и<sup>9</sup> на грузинском<sup>10</sup> языке (при переводе на русском) и чтобы за труды мои былобы назначено какое либо вознаграждение, хотябы книгами, при чем последняя корректура должна быть исправлена мною. – Не оставляйте в себе ни малейшего сомнения в том, что моя просьба к Вам<sup>11</sup> вызвана не честолюбивыми моими стремлениями, а исключительно искренним желанием быть полезным родной истории, и Ваша поддержка будет помощью не мне, а родной истории, которой и Вы так искренно преданы.

Ваш слуга покорный Феодор Жордания.

[ხელნაწერის მარცხენა არშიის მთელ სიგრძეზე მინაწერია:]

Мои «Хроники» не должны быть лишены интереса и для Вас, как для армениста, так как в этой книге помещен отрывок из Агаангела, история Арсенія об отделеніи армян.[ской] церкви от грузинской.

### ნიკო მარისადმი №1 (9)

29 დეკემბერი 1893 წ.  
ქ. თფილისი

ღრმად პატივცემულო პროფესორო,  
ბატ.[ონო] №№ მარ!

ბოდიშს გიხდით, რომ თქვენი სახელი და მამის სახელიც კი არ ვიცი (თუმცა ჩემთვის კარგად არის ცნობილი თქვენი უდავო ღირსებები, რომლებმაც დაგაყენათ ისტორიული მეცნიერების (ალმოსავლეთის) სამსახურის გზაზე) და მაინც ვკადნიერდები და მოგმართავთ დახმარების თხოვნით.

ხანგრძლივი მცდელობის შემდეგ მოვასწარი ჩემი „ქრონიკების“ I ნაწილის გამოცემა, რომელსაც ახლავს საქართველოს მატიანის კრიტიკული გამოცემა ქრონიკის საზღვრებში. გიგზავნით საჩუქრად „ქრონიკების“ ერთ ეგზემპლარს და უმორჩილესად გთხოვთ, თქვენი სრულიად მიუკერძოებელი აზრი ზემოთ აღნიშნული ნაშრომის როგორც დადებით, ასევე უარყოფით მხარეებზე გამოაქვეყნოთ რომელიმე ორგანოში და, თუ მოხერხდება, შეძლებისდაგვარად მოკლე დროში. თქვენთვის ნათელი რომ იყოს, რატომ ვბედავ თქვენს შენუხებას, უნდა გითხრათ, რომ, ჩემდა საუბედუროდ, ჩემს წინააღმდეგ განვანყე რამდენიმე გავლენიანი ბატონი ლიტერატურის სფეროში. ამიტომ არავითარი იმედი არა მაქვს, ადგილობრივ ორგანოში დაიბეჭდოს ჩემი ნაშრომის მიუკერძოებელი განხილვა; ჩემ მიერ დაწყებული საქმის მომავალი კი ამაზეა დამოკიდებული: გავაგრძელო ჩემი მოღვაწეობა, თუ სამუდამოდ უარი

ვთქვა საქმიანობის გაგრძელებაზე ამ მიმართულებით. ადგილობრივი საზოგადოება მხოლოდ იმ შემთხვევაში მომცემს ჩემი „ქრონიკების“ მომდევნო ნაწილების დაბეჭდვის საშუალებას, თუ იგი კომპეტენტური ადამიანებისაგან მოისმენს, რომ ეს ნაშრომი ნამდვილად იმსახურებს დაბეჭდვას და შეიძლება ისტორიული მეცნიერებისთვის სასარგებლოდ იქნეს მიჩნეული.

რა თქმა უნდა, მე სრულიად შორს ვარ იმ აზრისგან, რომ თავს მოგახვიოთ ჩემი შეხედულებები, მაგრამ სავსებით დარწმუნებული ვარ, მთელი ნაშრომის ყურადღებით განხილვისას ნამდვილად დარწმუნდებით, რომ ის წარმოადგენს ხანგრძლივი და გამოწვლილვით ჩატარებული კვლევის ნაყოფს, რომელიც, ჩემი ღრმა რწმენით, ერთგვარ სინათლეს მაინც შეიტანს საქართველოს მატრიანეში, მის ქრონოლოგიაში, გაამდიდრებს მას ფაქტებითა და ქრონოლოგიური მონაცემებით საქართველოს ისტორიიდან და ლიტერატურიდან, აგრეთვე ნათელს მოჰფენს ბევრ გაურკვეველ საკითხს, განმნდს მთელი რიგი ანაქრონიზმებისა და ურთიერთსაპირისპირო აზრებისაგან, რომლებიც გვხვდება თვით მატრიანეში, ანდა დაკავშირებულია სომხურ წყაროებში არსებულ ცნობებთან. თქვენი მითითებები დამეხმარება დაწყებული საქმის უკეთესი მიმართულებით წარმართვაში, ხოლო თქვენი მიუკერძოებელი გამოხმაურება გამიხსნის გზას შესაძლებლობებისა და საშუალებებისაკენ ამ ნაშრომების გამოსაცემად. თუ ვერ მოვახერხებ ჩემი ნაშრომის დანარჩენი ნაწილების გამოცემას, განსაკუთრებით კი ქართული თარგმანით, მაშინ გთხოვთ გამიხსნათ გზა რომელიმე რუსულ ორგანოში იმ პირობით, რომ საბუთების ტექსტი დაიბეჭდება ქართულ ენაზეც (რუსული თარგმანის თანხლებით) და რომ ჩემი შრომის საფასურად დამენიშნება რაიმე სახის ანაზღაურება, თუნდაც წიგნებით. ამასთანავე, ბოლო კორექტურა მე უნდა გავასწორო. სულ მცირე ეჭვიც არ შეგეპაროთ, რომ ჩემი თქვენდამი თხოვნა გამოწვეულია არა პატივმოყვარული მისწრაფებებით, არამედ განსაკუთრებული გულწრფელი სურვილით, სასარგებლო საქმე გავაკეთო ჩემი სამშობლოს ისტორიისათვის. თქვენი მხარდაჭერა კი სასარგებლო იქნება არა ჩემთვის, არამედ ჩემი ქვეყნის ისტორიისათვის, რომელსაც თქვენ ასე გულწრფელად თანაუგრძნობთ.

თქვენი უმორჩილესი მონა თევდორე ჟორდანია.

[ხელნაწერის მარცხენა არშიის მთელ სიგრძეზე მინანქრია:]

ვიმედოვნებ, ჩემი ქრონიკები საინტერესო იქნება თქვენთვისაც, როგორც არმენისტისთვის, რადგან ამ წიგნში მოცემულია ნაწყვეტი აგათანგელოზიდან, არსენის „სომხური ეკლესიის ქართული ეკლესიისაგან გამოყოფის ისტორია“.

## **ნიკო მარისაღში №2 (10)**

17 Января 94 г.

Тифлис.

Милостив[ы]й Государь

Николай Яковлевич!

Только-что получил Ваше письмо и с удовольствием исполню все Ваши поручения на счет справок с подлинниками в скорейшем времени. Но пока считаю нужным отметить, что Ваши сомнения относительно неточности издания текста рукописей в моей книге преувеличены. Ваши замечания об искажениях собственных имен вероятно правильны, но в этих искажениях виновата не моя Хроника, а искаженные оригиналы. Впрочем не утверждаю, чтоб корректурных ошибок в моей книге небыло, но оне могут встретиться в простых словах, а не в собственных именах. Только до 32 страницы корректуру держал другой и попадаютя ошибки.

Корректуру первых листов я поручил другому, от этого на первых страницах попадаютя ошибки, впрочем самых нетерпимых ошибок мало.

На стр. 20, строка 1 в рукописи написано ვაჰარშაკის, которое тут же в скобке прочитано ვალარშაკის,<sup>23</sup> это последнее чтение безусловно верно<sup>24</sup> (ვალარშაკ – Вагаршак, оне Валаршак).

Письмо Арсенія Католикоса издано безусловно верно<sup>25</sup> непосредственно по оригиналу, но оригинал очень пострадал, и притом, кажется не верно списан. – Отрывок ჰატიმონითისაგან встречается в рукоп[иси] Общ. Грамотности, при напечатаніи я руководствовался своею рукописью, исправленною по 2<sup>м</sup> рукоп[исям] Общ. Грамотности, которых при изданіи под руками у меня небыло. Впрочем не думаю, чтобы крупныя ошибки вкрались, кроме указанных на стр. 337, строки 13-18.

Подробный указатель отсутствует в Хрониках потому, что он занял бы много места, а средств к изданію я не нашел. Это я оговорил в книге (стр. LIX)<sup>1</sup> и надеюсь в следующей части ее восстановить этот пробел.

Серьезныя опечатки указаны на страницах LIX-LX.

В двух рукописях употреблено „დეიბისა“ (это я хорошо помню; но скоро снова исправил по трем рукописям текста и вышлю Вам). Что за сочинение (нет автора?) ჰატიმონითი<sup>7</sup> мне совершенно неизвестно и очень жаль, что Вы хоть намеком неудовлетворили моего любопытства.

«Обращение Арменіи» представляет<sup>2</sup> довольно объемистую статью. Можно ли издать текст его в изданіи академіи Наук и необходимо ли требуется перевести его на русскій язык?

---

<sup>7</sup> В списке католикосов из ჰატიმონითი я часто указываю в примечаніях „ჩვენის ანგარიშით“: Я тут разумею этимологию по ჰატიმონითი, а не свое мнение (ტექსტში ეს სქოლიო ვარსკვლავით არის აღნიშნული. ქ. გ.).



Рукопись, в которой помещена статья об обращении Армении, описана кратко на стр. 19, 221-224, 236. Она принадлежит Обществу Грамотности и числится под №384 (а не 350), поступила из библиотеки Князя Мингрельскаго и написана рукою самага Ефрема Младшаго,<sup>3</sup> современника Давида Возобновителя (см. стр. 224). Другія мелкія признаки и сам почерк неоставляет никакого сомненія<sup>4</sup> на счет указанного времени написанія рукописи. Но интересно, что она написана на бумаге<sup>5</sup>. Впрочем у нас в Музее имеются две рукописи, написанныя на бумаге, одна в 1200 г., а другая в царствованіе Димитрія I, сына Давида Возобновителя. Рукопись №384 заключает жизнеописаніе свв. и несколько поученій. Подробно описать важность и содержаніе рукописи я скупился во имя экономіи.

Я совершенно ясно сознаю, что третировать и смеяться над другими в серьезных трудах неприлично. Относительно же Г.[осподин] Такайшвили я имел право и даже находил необходимым это сделать для его же пользы (пожалуйста необижайтесь!):<sup>6</sup> Когда Вы прочтете мой труд, Вы должны вполне убедиться, что он (Т[акай]швили) повинен в следующих в литературе нетерпимых<sup>7</sup> проступках: 1) Т[акай]швили<sup>8</sup> уверяет читателя, что он свои изданія тщательно<sup>9</sup> сличил с такими-то версиями; Вы, читатель, как человек науки, должны безусловно верить<sup>10</sup> такому заявленію. Между тем мне пришлось совершенно в том убедиться, что Г. Т[акай]швили, вопреки уверенію, несличил новаго варіанта жизни Св. Нины с теми рукописями, которыя он сам указывает. 2) Он же уверяет, что текст им изданных книг он издал без всякаго измененія,<sup>11</sup> между тем уже обнаружено, что текст искажен до невозможности и по местам имеются даже пропуски; – 3) Он же уверяет, что возстановленіе текста ქართლის მოქცევის ქრონიკის და ნინოს ცხოვრებისა ему пренадлежит, между тем теперь совершенно

доказано, что он издал мною восстановленный текст, а обо мне ни слова не сказал...<sup>12</sup> Самая моя тетрадь, которую он имел при издании, отобрана от него<sup>13</sup> и теперь находится у меня, как документ для подтверждения сказанного. К сожалению Г. Т[акай]швили по незнанию древне-грузинского языка и по слабости в чтении древних манускриптов, издал мою тетрадь с множеством непростительных ошибок; 4) Он же уверяет, что будто последняя часть Хроники Сумбата<sup>14</sup> не внесена в летопись Марии (მარიამ-დედოფ. ქ-ცხოვრება) и что будто поэтому эта Хроника внесена в ქ[ართლის] ცხოვრება Вахтангом VI<sup>m</sup>. Но оказывается, что эта половина Хроники Сумбата внесена в<sup>15</sup> Картлис-Цховре[б]а царицы Марии и Т[акай]швили, попросту, надул нас, когда утверждал, что он эти варианты сличил! Ужели подобные явления могут быть терпимы в науке, когда они нетерпят даже на улице? Я дорожу Вашим о себе мнением и поэтому вынужден на Ваш упрек указать все это. Нечего говорить о том, что Г. Т[акай]швили присваивает себе мысли Бакрадзе, Броссе, без указания источника (некоторые заметки о таковых свойствах Т[акай]швили см. в моей книге стр. 95-96)<sup>16</sup>. А что касается собственно ему принадлежащих мыслей, то оне совершенно опровергнуты в моем издании, как крайне поверхностны, чтобы не сказать – детскія. Слабость Т[акай]швили в логических заключениях поразительна, но зато самомнение его неимеет предела. Выше указанные качества Т[акай]швили не терпимы в науке и требует строгаго обличения, чтобы он исправился. Позвольте еще один пример представить: Т[акай]швили уверяет (აბალი ვარიანტი ნიხოს ცხოვრებისა), что между рукописями Мцхетской библиотеки, перенесенной в Церковный Музей (которым я заведую), будто не оказался манускрипт, где помещена статья Ефрема Младшаго, хотя он, Т[акай]швили будто тщательно пересмотрел рукопись Музея.<sup>17</sup> Между тем я сам ему предлагал в такое-то время придти и взять

эту книгу, самую статью я ему указал; да и в каталоге<sup>18</sup> Музея означенная рукопись и статья отмечены чуть если не на первых местах (№24).<sup>19</sup> Что заставило Г. Т[акай]швили так сочинять?... Подобные приемы меня возмущают и простите, если пришлось употребить колкие слова по адресу Т[акай]швили. Этим я вовсе неотвергаю, что Т[акай]швили может быть полезен для нашей истории; но человек науки прежде всего должен приобрести доверие: Но как доверить и поверить тому, кто много раз обманывал и вводил в заблуждение своими ложными уверениями?..<sup>20</sup> Снова извиняюсь, что пришлось опять нападать на Т[акай]швили (кажется бывшего Вашего товарища) и утруждать Вас длинными разсуждениями.

С почтением к Вам *Ө. Жордания*

Только-что я кончил самое внимательное<sup>21</sup> сличение написанного мною отрывком<sup>22</sup> текста სომეხთა მოქცევა с рукописью №384, XII в. и спешу отметить все ошибки,<sup>23</sup> допущенные в моей книге.<sup>24</sup>

| стр.    | строка | написано   | нужно читать                    |
|---------|--------|------------|---------------------------------|
| 20      | 25     | თვისთა     | თჳსთა                           |
| 23      | 3      | რითა       | რი~თა (ე. ი. რომლითა)           |
| -       | 8      | ანაკრი     | ანაკ რ~ი (ე. ი. ანაკ რომელი...) |
| -       | 15     | გონაკ      | ანაკ                            |
| -       | 27     | უფროსლა    | უფროსლა                         |
| -       | 32     | ყინულისასა | ყინელისასა                      |
| стр. 24 | 6      | მოკლს      | მოკლეს                          |

|         |    |                     |                                |
|---------|----|---------------------|--------------------------------|
| - 25    | 17 | ისწავლეს            | ისწავეს                        |
| -       | 27 | მისთვ               | მისთვს                         |
| -       | 31 | მხედრობითა          | მწედრებითა                     |
|         | 32 | მხედრობი-<br>თურთ   | მწედრები-<br>თურთ              |
| -       | 35 | ურთიერთარს          | ურთიერთას                      |
| -       | -  | რაოდენიცა           | რაოდენცა                       |
| -       | 37 | შემოსოს             | შეიმოსოს                       |
| стр. 26 | 7  | თრდად               | თრდატ                          |
| -       | 11 | ურთიერთარს          | ურთიერთას                      |
| -       | 26 | მამულისა            | მამულისა<br>მის                |
| -       | 29 | მსახურება           | მსახურებასა                    |
| -       | 30 | მსახურება-<br>თათვს | მსახურება-<br>თა მის-<br>თათვს |
| -       | 31 | ნაშითა              | ნებითა                         |
| стр. 27 | 9  | ულთოებათა           | ულთოებითა                      |

[I გვერდის ზედა კუთხეში მინაწერია:]

Адрес мой: Тифлис,  
Сололаки, Садовая  
ул., дом №47,  
Феодору Давидовичу Жордания

[V გვერდის მარცხენა არშიაზე მინაწერია:]

Прочтите, пожалуйста, стр. XXV-XXVI моей книги. Ужели после этого можете верить, что я одолжил Такайшвили свою тетрадь для издания?<sup>27</sup>

[X გვერდის მარცხენა არშიაზე მინანერია:]

Все можно простить человеку науки, но не простительно ему только одно – лгать. Вот источник моих колкостей по отношению Т[акай]швили, как человеку общественному (о част[н]ых наших отношениях я замалчиваю).

[X გვერდის მარცხენა არშიაზე მინანერია:]

Рукопись №384, откуда списана статья Обращение Арменii, написана в два столбца, старым почерком Хуцури, довольно крупными буквами, в каждом столбце помещены 34 строки. Вся указанная статья занимает в рукописи листы 114-136 (т. е. 22 листа, или 44 стр.)

## **ნიკო მარისაღმი №2 (10)**

17 იანვარი 94 წ.  
თფილისი.

მონყალეო ხელმწიფეე  
ნიკოლოზ იაკობის ძეე!

ეს-ეს არის მივიღე თქვენი წერილი და მე სიამოვნებით და უმოკლეს დროში შევასრულებ თქვენს დავალებას ორიგინალებთან დაკავშირებული ცნობების თაობაზე, მაგრამ თავდაპირველად საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ თქვენი ეჭვები ჩემს წიგნში გამოცემული ხელნაწერების ტექსტის სიზუსტესთან დაკავშირებით გადაჭარბებულია. თქვენი შენიშვნები საკუთარ სახელთა დამახინჯებას-

თან დაკავშირებით, ალბათ, სწორია, მაგრამ ამაში დამნაშავეა არა ჩემი ქრონიკა, არამედ დამახინჯებული ორიგინალები. სხვათა შორის, არ ვამტკიცებ, რომ ჩემს წიგნში არ იქნება კორექტურული შეცდომები, მაგრამ ისინი შეიძლება მხოლოდ უბრალო სიტყვებში შეგვხვდეს და არა საკუთარ სახელებში. 32 გვერდამდე კორექტურას სხვა აკეთებდა და ამიტომ გვხვდება შეცდომები.

პირველი ფურცლების კორექტურა სხვას დავავალე, ამიტომ პირველ გვერდებზე გვხვდება შეცდომები, მაგრამ მნიშვნელოვანი შეცდომები ცოტაა.

გვ. 20, სტრიქონი 1: ხელნაწერში წერია „ვაჰარშაკის“, რომელიც იქვე, ფრჩხილებში, წაკითხულია „ვალარშაკის“, ეს ბოლო წაკითხვა უდავოდ ზუსტია (ვალარშაკ – ვაგარშაკ, იგივე ვალარშაკ).

არსენ კათალიკოსის წერილი უდავოდ ზუსტადაა გამოცემული უშუალოდ ორიგინალის მიხედვით, მაგრამ ორიგინალი ძალიან დაზიანებულია და, ამასთანავე, ეტყობა სწორად არ არის გადაწერილი. ნაწყვეტი „პატიმონითისაგან“ გვხვდება „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ხელნაწერში. მისი დაბეჭდვისას მე ვხელმძღვანელობდი ჩემი ხელნაწერით, რომელიც შესწორებული იყო საზოგადოების ორი ხელნაწერის მიხედვით, რომლებიც გამოცემისას ხელთ არ მქონდა. სხვათა შორის, არ ვფიქრობ, რომ მნიშვნელოვანი შეცდომები გაპარულიყო, გარდა იმისა, რაც მითითებულია გვ. 337, სტრიქონები 13-18.

დანვრილებითი საძიებელი არ არის ქრონიკებში იმიტომ, რომ იგი დიდ ადგილს დაიკავებდა, მე კი გამოსაცემად სახსრები ვერ ვიშოვე. ამის შესახებ პირობა დავთქვი წიგნში (გვ. LIX) და ვიმედოვნებ, რომ მის შემდეგ ნაწილში შევავსებ ამ ხარვეზს.

სერიოზული ბეჭდური შეცდომები მითითებულია გვერდებზე LIX-LX.

ორ ხელნაწერში გამოყენებულია „დენისა“ (ეს მე კარგად მახსოვს, მაგრამ მალე გავასწორე სამი ხელნაწერი ტექსტის მიხედვით და გამოგიგზავნით). რა თხზულებაა „პატიმონითი“<sup>8</sup> (ავტორი

---

<sup>8</sup> პატიმონითი დასახელებული კათოლიკოსების სიაში შენიშვნებში ხშირად ვხმარობ „ჩვენის ანგარიშით“: აქ მე ვგულისხმობ ქრონოლოგიას პატიმონითის მიხედვით და არა საკუთარ მოსაზრებას.

არა ჰყავს?), ჩემთვის სრულიად უცნობია და ძალიან დასანანია, რომ გადაკრული სიტყვითაც კი არ დააკმაყოფილეთ ჩემი ცნობის-მოყვარეობა.

„სომხეთის მოქცევა“ წარმოადგენს საკმაოდ ვრცელ სტატი-ას. ხომ არ მოხერხდებოდა მისი ტექსტის გამოცემა მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობაში და აუცილებელია თუ არა მისი გადა-თარგმნა რუსულ ენაზე?

ხელნაწერი, რომელშიც მოთავსებულია სტატია სომხეთის მოქცევის შესახებ, მოკლედაა აღწერილი გვ-ებზე: 19, 221-224, 236. ის ეკუთვნის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას და აღ-რიცხულია №384-ით (და არა №350-ით), აქ ის მოხვდა თავად მინ-გრელსკის ბიბლიოთეკიდან და დაწერილია თვით ეფრემ მცირის, დავით აღმაშენებლის თანამედროვის, ხელით (იხ. გვ. 224). სხვა უმ-ნიშვნელო ნიშნები და თვით ხელწერა არავითარ ეჭვს არ იწვევენ ხელნაწერის დაწერის მითითებულ დროსთან დაკავშირებით. მაგრამ საინტერესოა, რომ ის დაწერილია ქალაქდზე. სხვათა შორის, ჩვენ-თან, მუზეუმში, არის ორი ხელნაწერი, დაწერილი ქალაქდზე, ერთი – 1200 წ., ხოლო მეორე – დავით აღმაშენებლის შვილის, დემეტრე I-ის, მეფობის პერიოდში. ხელნაწერი №384 შეიცავს წმინდანთა ცხოვრებებს და რამდენიმე ქადაგებას. ხელნაწერის მნიშვნელობისა და შინაარსის აღწერასთან დაკავშირებით ვიძუწნე ეკონომიის მიზ-ნით.

მე სავსებით ნათლად მესმის, რომ სხვების აბუჩად აგდება და დაცინვა სერიოზულ ნაშრომებში ურიგო საქციელია. რაც შეეხე-ბა თაყაიშვილს, მე მქონდა უფლება და აუცილებლადაც მიმაჩნდა ასე მოქცეულიყავი მისივე სასარგებლოდ (გეთაყვა, არ გენყინოთ!). როცა ჩემს შრომას ნაიკითხავთ, სავსებით დარწმუნდებით, რომ იგი (თაყაიშვილი) დამნაშავეა ლიტერატურაში მიუღებელი ქმედებების გამო: 1). თაყაიშვილი არწმუნებს მკითხველს, რომ მას თავისი გა-მოცემები გულმოდგინედ აქვს შეჯერებული ამა თუ იმ ვარიანტთან. თქვენ, მკითხველმა, როგორც მეცნიერმა კაცმა, უპირობოდ უნდა ირწმუნოთ ასეთი განცხადება. ამ დროს მე სავსებით დავრწმუნდი, რომ ბატონ თაყაიშვილს, მიუხედავად მტკიცებისა, წმინდა წინოს ცხოვრების ახალი ვარიანტი არ შეუჯერებია იმ ხელნაწერებთან, რომელზეც თვითონ მიუთითებს; 2). იგი აგრეთვე ირწმუნება, რომ მან თავის მიერ გამოცემული წიგნების ტექსტი დაბეჭდა ყოველგვა-

რი ცვლილების გარეშე, ამ დროს კი უკვე აღმოჩენილია, რომ ტექსტი უკიდურესად დამახინჯებულია და ალაგ-ალაგ გამოტოვებული ადგილებიც არის; 3). ის ასევე ამტკიცებს, რომ ქართლის მოქცევის ქრონიკისა და ნინოს ცხოვრების აღდგენა მას ეკუთვნის, მაგრამ ამჟამად ნამდვილად დადასტურებულია, რომ მან გამოსცა ჩემ მიერ აღდგენილი ტექსტი და ჩემზე კი ერთი სიტყვაც არ უთქვამს. ჩემი რვეული, რომელიც მას ჰქონდა გამოცემის დროს, გამოვართვი და ახლა ჩემთან მაქვს, როგორც ჩემი ნათქვამის დამადასტურებელი საბუთი. სამწუხაროდ, ძველი ქართული ენის უცოდინრობისა და უძველესი მანუსკრიპტების ნაკითხვაში სისუსტის გამო ბ-ნმა თაყაიშვილმა ჩემი რვეული გამოსცა უამრავი მიუტყვებელი შეცდომით; 4). იგი ასევე ამტკიცებს, თითქოს სუმბატის ქრონიკის ბოლო ნაწილი არ არის შეტანილი მარიამის მატრიანეში (მარიამ დედოფლის ქართლის ცხოვრება) და თითქოს ამიტომ ეს ქრონიკა შეტანილია ქართლის ცხოვრებაში ვახტანგ VI-ის მიერ. მაგრამ აღმოჩნდა, რომ სუმბატის ქრონიკის ეს ნახევარი შეტანილია მარიამ დედოფლის ცხოვრებაში და თაყაიშვილმა უბრალოდ მოგვატყუა, როცა ამტკიცებდა, რომ მას შეჯერებული ჰქონდა ეს ვარიანტები! განა შეიძლება მსგავსი მოვლენების მოთმენა მეცნიერებაში, როცა მას ქუჩაშიც კი არ პატიობენ? ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია თქვენი აზრი ჩემ შესახებ და ამიტომ იძულებული ვარ თქვენი საყვედურის პასუხად განემარტო ყველაფერი. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ბ-ნი თაყაიშვილი ითვისებს ბაქრაძის, ბროსეს აზრებს წყაროს მითითების გარეშე (თაყაიშვილის ასეთ თვისებებზე ჩემი ზოგიერთი შენიშვნა იხილეთ ჩემს წიგნში გვ. 95-96), ხოლო რაც შეეხება პირადად მის საკუთარ აზრებს, მე ისინი უარყოფილი მაქვს ჩემს გამოცემაში, როგორც ძალზე ზედაპირული, შეიძლება ითქვას – ბავშვურიც კი. გასაოცარია თაყაიშვილის სისუსტე ლოგიკურ დასკვნებში. სამაგალიეროდ, მის წარმოდგენას საკუთარ თავზე საზღვარი არა აქვს. ზემოთ მითითებული თვისებები თაყაიშვილისა აუტანელია მეცნიერებაში და მოითხოვენ მკაცრ მხილებას, რომ გამოსწორდეს იგი. ნება მიბოძეთ, წარმოგიდგინოთ კიდევ ერთი მაგალითი: თაყაიშვილი ირწმუნება (ახალი ვარიანტი ნინოს ცხოვრებისა), რომ მცხეთის ბიბლიოთეკის ხელნაწერებს შორის, რომლებიც გადმოტანილია საეკლესიო მუზეუმში (რომელსაც მე განვაგებ), ვითომცდა არ აღმოჩნდა მანუსკრიპტი, რომელშიც მოთავსებულია ეფრემ მცირის სტა-



ტია, თუმცა თითქოს მან, თაყაიშვილმა, გულმოდგინედ გადაათვალიერა მუზეუმის ხელნაწერი. სხვათა შორის, მე მას შევთავაზე გარკვეულ დროს მოსულიყო და ნაელო ეს წიგნი, თვით სტატია კი მივუთითე. აღნიშნული ხელნაწერი და სტატია მუზეუმის კატალოგში მითითებულია დასაწყისშივე (№24). რამ აიძულა ბ-ნი თაყაიშვილი, ასეთი ჭორი შეეთხზა? მსგავსი ხრიკები ჩემთვის აღმაშფოთებელია და მომიტყვევთ, თუ თაყაიშვილის მისამართით ასეთი ღვარძლიანი სიტყვების გამოყენება დამჭირდა. ამით მე სულაც არ ვუარყოფ, რომ თაყაიშვილი შეიძლება სასარგებლო იყოს ჩვენი ისტორიისთვის, მაგრამ მეცნიერმა ადამიანმა, უპირველეს ყოვლისა, ნდობა უნდა მოიპოვოს. მაგრამ როგორ ვენდოთ და დაუფჯეროთ იმ ადამიანს, რომელმაც ხშირად იცრუა და შეცდომაში შეიყვანა მკითხველი თავისი ცრუ მტკიცებულებებით? კიდევ ერთხელ გიხდით ბოდიშს, რომ კვლავ დამჭირდა თაყაიშვილზე თავდასხმა (მგონი, თქვენს ყოფილ ამხანაგზე) და თქვენი შეწუხება ვრცელი მსჯელობებით.

თქვენდამი პატივისცემით თ. ჟორდანიას

ეს-ეს არის დავასრულე სომეხთა მოქცევის ტექსტიდან ჩემ მიერ დანერილი ნაწილის ძალზე ყურადღებით შეჯერება №384 ხელნაწერთან, XIII ს. და ვჩქარობ ჩემს წიგნში დაშვებული ყველა შეცდომის აღნიშვნას.

| სვ.     | სტრ. | დანერილია  | უნდა წავიკითხოთ                              |
|---------|------|------------|--|
| 20      | 25   | თვისთა     | თვსთა  |
| 23      | 3    | რითა       | რი <sup>~</sup> თა (ე. ი. რომლითა)           |
| -       | 8    | ანაკრი     | ანაკ რ <sup>~</sup> ი (ე. ი. ანაკ რომელი...) |
| -       | 15   | გონაკ      | ანაკ   |
| -       | 27   | უფროსლა    | უფროსლა                                      |
| -       | 32   | ყინულისასა | ყინელისასა                                   |
| სტრ. 24 | 6    | მოკლს      | მოკლეს                                       |
| - 25    | 17   | ისწავლეს   | ისწავეს                                      |
| -       | 27   | მისთვ      | მისთვს                                       |

|         |    |                |                           |
|---------|----|----------------|---------------------------|
| -       | 31 | მხედრობითა     | მწედრებითა                |
|         | 32 | მხედრობითურთ   | მწედრებითურთ              |
| -       | 35 | ურთიერთარს     | ურთიერთას                 |
| -       | -  | რაოდენიცა      | რაოდენცა                  |
| -       | 37 | შემოსოს        | შეიმოსოს                  |
| სტრ. 26 | 7  | თრდად          | თრდატ                     |
| -       | 11 | ურთიერთარს     | ურთიერთას                 |
| -       | 26 | მამულისა       | მამულისა მის              |
| -       | 29 | მსახურება      | მსახურებასა               |
| -       | 30 | მსახურებათათჳს | მსახურებათა მის-<br>თათჳს |
| -       | 31 | ნაშითა         | ნებითა                    |
| სტრ. 27 | 9  | უღთოებათა      | უღთოებითა                 |

[I გვერდის ზედა კუთხეში მინაწერია:]

ჩემი მისამართია: თფილისი,  
სოლოლაკი, ბალის  
ქ., ბინა №47,  
თევდორე დავითის ძე ყორდანას

[V გვერდის მარცხენა არშიაზე მინაწერია:]

ნაიკითხეთ, გეთაყვა, ჩემი წიგნის XXV-XXVI გვერდები. ნუ-  
თუ ამის შემდეგ შეგიძლიათ დაიჯეროთ, რომ მე თაყაიშვილს ვათ-  
ხოვე ჩემი რვეული გამოსაცემად?

[IX გვერდის მარცხენა არშიაზე მინაწერია:]

მეცნიერ კაცს ყველაფერი შეიძლება აპატიო, მაგრამ მიუ-  
ტევებელია მხოლოდ ერთი რამ – ტყუილი. აი, წყარო ჩემი ღვარ-

ძლიანი სიტყვებისა თაყაიშვილის, როგორც საზოგადო მოღვაწის, მიმართ (ჩვენს პირად ურთიერთობებზე არაფერს ვამბობ).

[X გვერდის მარცხენა არშიაზე მინაწერია:]

ხელნაწერი №384, საიდანაც არის გადმონერილი სტატია სომხეთის მოქცევა, დაწერილია ორ სვეტად ძველი ხუცურით, საკმაოდ მსხვილი ასოებით. ყოველ სვეტში მოთავსებულია 34 სტრიქონი. აღნიშნულ სტატიას ხელნაწერში მთლიანად უკავია ფურცლები 114-136 (ე. ი. 22 ფურცელი, ანუ 44 გვ.).

### ნიკომარისაღში №3 (11)

24 янв. 1894 г.

Тифлис

Согласно Вашему поручению я сличил тексты письма Арсенія Каталикоса и პატიმონითისაგან с оригиналами. Письмо Арсенія напечатано точно, без всякаго измененія против аритиана, который у меня был под рукою при изданіи (корректурa). Но в статье პატიმონითისაგან встречаются ошибки нижеследующіе:<sup>1</sup>

| Страницы | Строк и | Написано                           | Нужно читать                   |
|----------|---------|------------------------------------|--------------------------------|
| 336      | 8       | პატიმონითისაგან                    | პატიმონითისაგან <sup>2*9</sup> |
| –        | 9-13    | Эти строки исправлены на стр.13-18 |                                |

<sup>9</sup> \*Так в №№248 и 312; но в моей рукописи написано პატიმონითისაგან, что ближе к фонетике груз. языка.

|     |    |                           |   |
|-----|----|---------------------------|---|
|     |    |                           |   |
| 337 | 25 | აღსარებისა                | აღსრულებისა <sup>3</sup>  |
| 339 | 4  | შგომადემდ....<br>პატრიკნი | შემდგომად პატრიკი   |
| 339 | 12 | ებისკოპოსთა               | ებისკოპოსთა სომეხ-<br>თა <sup>4</sup>   |
| –   | 14 | იულიანენი                 | იულიანელნი  |
| 340 | 8  | იქმნა                     | აქვნდა <sup>5</sup>   |
| 340 | 20 | არა ვნამნეს<br>ეზრას      | После этой фразы, к сожалению, опущена одна строка рукописи: „გარნა იგინიცა ენამნეს, მაშინ იოანე აყუჭდრებდა მათ და ემტერებოდა მათ და შემდგომად ეზრას აღსრულებისა...“ <sup>6</sup> Этим последним подчеркнутым словом следует заменить слово აღსარებისა. |

При издании текста პატიმონითისაგან я держался текста №312, как наилучшего и притом наистарейшей рукописи (написана 1541 г.). В рукописе №248 (писана в конце XVIII в.) встречаются следующие отступления от текста №312:

|          |        |                                     |                                  |
|----------|--------|-------------------------------------|----------------------------------|
| Страницы | Строки | Написано в №312 и в<br>тексте книги | Следует<br>читать по<br>рукописи |
|----------|--------|-------------------------------------|----------------------------------|

|     |    |   |  |
|-----|----|---|--|
|     |    |   | №248                                       |
| 336 | 18 | ვრამშაპკოს  | ვრამშაპკოს                                 |
| –   | 20 | გარდაადგეს  | გარდაადგი-<br>ნეს<br>(вєраж?) <sup>7</sup> |
| 337 | 5  | ასური   | ასული (?)                                  |
| 338 | 2  | არტაშისა  | არტაბისა                                   |
| –   | 3  | მუსლი   | მუსალი (?)                                 |
| –   | 3  | წელთა: 6  | წელთა<br>30*) <sup>10</sup>                |
| –   | 4  | კურავიტელი  | კურავცელი<br>(? неясно)                    |
| –   | 18 | არასტონელი  | არასხონელი<br>(?)                          |
| –   | 20 | ნიგაელი   | ნაგაელი (?)                                |
| 339 | 3  | ვალარბის... არტაშირი <sup>8</sup>   | ვალარშის..<br>არტაშარი.. <sup>9</sup>      |
| –   | 5  | ტოტრუსი ორუსტუნი  | ტოტერუსი<br>ორესტონი                       |
| –   | 6  | ბაგრატუნი   | ბაგრატუნი-<br>ანი                          |
| –   | 9  | კოსტანტიპოლედ<br>(Во всех вариантах так,<br>вместо<br>კო[ნს]ტანტინეპოლედ) <sup>10</sup> |  |
| –   | 17 | ალვანელთა   | ალვანთა                                    |

<sup>10</sup> \* Это «30» написано неясно: можно читать «30», но буква 3 в тексте №248 пишется почти также, как 5 (Арабскими цифрами отмечены года в №248).

|     |    |                 |                 |
|-----|----|-----------------|-----------------|
| 340 | 6  | ნეშტი           | ნაშტი           |
| –   | 13 | ჰერაკლე         | ირაკლი          |
| 341 | 7  | -სა ბერძენთათჳს | -სათჳს ბერძენთა |

341 – 12 безсмыслица, встречающаяся тут (где стоит вопрос), обща всем вариантам.

В №312 везде пишется დეინი (а не დუინი) вместо დვინი других вариантов „დეინი“ я исправил как очевидную ошибку. По той же причине слово დასცინეს (338 стр. II строка) я заменил<sup>11</sup> словом დასძინეს, как в других вариантах.

Я не могу опять не вспомнить Вашего упрека, что я не имею никакого основания<sup>12</sup> третировать Г-на Т-[აკაი]швили. Это меня очень встревожило и я снова стал давать себе отчет в том, ужели я ошибался и руководствовался одною личною ненавистью к нему, вызванною во мне им рядом неправильных действий его по отношению ко мне [1]<sup>13</sup> присвоение моего труда, 2) изгнание мое из комиссии по составлению каталога библиотеки Общ.[ества] расп.[ространения] Грамотности, будто я не работал по описанию этой библиотеки, между тем всем и особенно Т-[აკაიш]ვილი, как в то время близкому ко мне лицу, хорошо было известно, что я имею до 600 страниц описания этой библиотеки, – 3) нападение на меня<sup>14</sup> в газете „ივერია“ с дерзкими выражениями: შურიაბი. ბრაზიაბი и т. п. и с разными темными выражениями; 4) распространение слухов и даже прямое заявление в его же издании, будто из Музея я ему не выдал книг, между тем как все ценнейшія книги и гуджары я ему выдал под расписку его<sup>15</sup> (до сих пор имеющуюся у меня)<sup>16</sup>

и он их держал целый год слишком)].<sup>17</sup> Не касаясь этих и подобных личных счетов между нами, я нашел и нахожу, что у меня были и есть полныя основанія утверждать, что Г-н Т-[акаи]швили в своем предисловіи и в примеч[ании]<sup>18</sup> 1) присваивает чужія мысли без указанія источников, 2) его собственныя<sup>19</sup> заключенія (о редакціи Вахтанга VI, Шатбердском монастыре, мысли о Сумбатовской Хронике, предположенія его о писателе მეცხური დავითობისა и пр. и пр.) поражают своею неосновательностью и крайнею степенью поверхностности и верхоглядства. Все это я ясно доказал в своей Хронике и частью<sup>20</sup> в газете ივერია 1891, №№228-232. Все эти мысли до основанія, окончательно<sup>21</sup> и безповоротно<sup>22</sup> опровергаются в тексте и предисловіи моей книги. Самое сличеніе Сумбатов.[ской] Хроники с ქართლის-ცხოვრებას и открытіе вставок не принадлежат Т-[акаи]швили]; Это он списал у Д. Бакрадзе, который сделал собственноручную запись об этом в тексте Сумбатов.[ской] Хроники в рукописи №31, как это мною указано в своей книге (стр. 138, 139).<sup>23</sup> Словом мне представляется, что Т-[акаи]швили питается похищенными<sup>24</sup> чужими мыслями и увлечен не интересами науки, а видами самолюбия. Это негодное обстоятельство в соединеніи с фактами, которыя я имел честь сообщить Вам в соем предыдущем<sup>25</sup> письме, дает мне основаніе третировать Г. Т-[ака]ишвили до тех пор, пока он неперестанет держаться этого ложнаго пути.

Во всяком случае смею уверить Вас, что личное отношеніе мое к Т-[акаи]швили не может ослеплять меня по отношенію к достоинствам его труда, если такіе достоинства в нем найдутся и я с полным уваженіем буду относиться к его будущим трудам, если Г. Т-[акаи]швили в будущих его изысканіях окажется более или менее основательным.

Прошу Вас рекомендовать мне из армянских историков относящиеся к истории Грузии. Если в С. П[етер]бур[г]ских библиотеках найдутся нижеследующия книги и Вы их потрудитесь распорядиться выслать мне наложенным платежом,<sup>26</sup> то премного обяжете меня. Я их немог здесь найти: 1) История Арменіи Каталикоса Иоанна (на франц.[узском] яз.[ыке], особое издание?),<sup>27</sup> 2) История Вардана Великаго (я пользовался чужою, казенною<sup>28</sup> книгою; выписал ее на имя эконома дух.[овной] Семинариі<sup>29</sup> из библиотеки Еггерса, но досих пор не получаю и деньги невозвращены мне), 3) Е. Такайшвили, «Еще один из источников истории Грузии царевича Вахушта», 4) Описание Гелатскаго монастыря Г. Церетели, 5) Себеоса История в переводе на русск.[ий] яз.[ык].

Экзарх Грузии поручил мне препроводить в С-П[етер]б[ург]ское Импер.[аторское] Археологич.[еское] Общество<sup>30</sup> фотографическія снимки с 2<sup>x</sup> древних гуджаров с переводом их на русскій яз.[ык]. Эти гуджары уже напечатаны в моей книге, стр. 204; 277. Фотографированіе кончится 30 Января, а 31<sup>го</sup> вышлю. Вероятно там ждут.

Ө. Жорданія

### ბიკო მარისაღში №3 (11)

24 იანვ. 1894 წ.

თფილისი

თქვენი დავალების თანახმად, შევაჯერე არსენ კათალიკოსის წერილისა და პატიმოთინისაგან-ის ტექსტები ორიგინალებთან. არსენის წერილი დაბეჭდილია ზუსტად, ყოველგვარი ცვლილების გარეშე არითიანის საწინააღმდეგოდ, რომელიც მე ხელთ მქონდა



გამოცემის დროს (კორექტურა). სტატიაში „პატიმონითისაგან“ გვხვდება ქვემოთ ჩამოთვლილი შეცდომები:<sup>11</sup>

| გვერდები | სტრიქონები | წერია                                 | უნდა წავიკითხოთ  |
|----------|------------|---------------------------------------|--|
| 336      | 8          | პატიმონითი-საგან                      | პატიმონითისაგან <sup>2*12</sup>  |
| –        | 9-13       | ეს სტრიქონები გასწორებულია გვ. 13-18. |  |
| 337      | 25         | აღსარებისა                            | აღსრულებისა  |
| 339      | 4          | შგომადემდ...პატრიკნი                  | შემდგომად პატრიკი  |
| 339      | 12         | ეპისკოპოსთა                           | ეპისკოპოსთა სომეხთა  |
| –        | 14         | იულიანენი                             | იულიანელნი   |
| 340      | 8          | იქმნა                                 | აქვდა  |
| 340      | 20         | არა ვნამნეს ეზრას                     | ამ ფრაზის შემდეგ, სამწუხაროდ, გამოტოვებულია ხელნაწერის ერთი სტრიქონი: „გარნა იგინიცა ენამნეს, მაშინ იოანე აყუჭდრებდა მათ და ემტერებოდა მათ და შემდგომად ეზრას აღსრულებისა...“ ამ ბოლო ხაზგასმული სიტყვით უნდა შეიცვალოს სიტყვა აღსარებისა. |

<sup>11</sup> ტექსტში ცხრილის სახით არ არის მოცემული (ქ. გ.).

<sup>12</sup> \*როგორც №№248 და 312-შია; მაგრამ ჩემს ხელნაწერში წერია პატიმონითისაგან, რაც ახლოსაა ქართული ენის ფონეტიკასთან.

„პატიმონითისაგან“-ის ტექსტის გამოცემისას მე ვეყრდნობოდი №312 ტექსტს, როგორც უკეთესსა და, ამავე დროს, უძველესი ხელნაწერისას (დანერილია 1541 წ.). №248 ხელნაწერში გვხვდება შემდეგი გადახრები №312 ტექსტიდან:

| გვერდები | სტრიქონები | წერია №312-ში და ნიგნის ტექსტში                                  | უნდა წავიკითხოთ №248 ხელნაწერის მიხედვით |
|----------|------------|--|--|
| 336      | 18         | ვრამშაპოს  | ვრამშაპოს                                |
| –        | 20         | გარდაადგეს   | გარდაადგინეს (вєраж?)                    |
| 337      | 5          | ასური  | ასული (?)                                |
| 338      | 2          | არტაშისა   | არტაბისა                                 |
| –        | 3          | მუსლი  | მუსალი (?)                               |
| –        | 3          | წელთა: 6   | წელთა 30*) <sup>13</sup>                 |
| –        | 4          | კურავიტელი   | კურავცელი (? ნათელი არ არის)             |
| –        | 18         | არასტონელი   | არასხონელი (?)                           |
| –        | 20         | ნიგაელი  | ნაგაელი (?)                              |
| 339      | 3          | ვალარბის... არტაშირი   | ვალარბის.. არტაშარი..                    |
| –        | 5          | ტოტრუსი ორუსტუნი   | ტოტერუსი ორესტონი                        |
| –        | 6          | ბაგრატუნი  | ბაგრატუნიანი                             |
| –        | 9          | კოსტანტიპოლედ (ყველა ვარიანტში ასეა, ნაცვლად კო[ნს]ტანტინეპოლედ) |  |
| –        | 17         | ალვანელთა  | ალვანთა                                  |

<sup>13</sup> \* ეს „30“ დანერილია ბუნდოვნად: შეიძლება წავიკითხოთ „30“, მაგრამ ციფრი „3“ №248 ტექსტში იწერება თითქმის ისევე, როგორც „5“ (არაბული ციფრებით აღნიშნულია წლები №248-ში).

|     |    |                |                |
|-----|----|----------------|----------------|
| 340 | 6  | ნეშტი          | ნაშტი          |
| -   | 13 | ჭერაკლე        | ირაკლი         |
| 341 | 7  | -სა ბერძენთათს | -სათს ბერძენთა |

341 – 12. უაზრობა, რომელიც აქ გვხვდება (სადაც დგას საკითხი) საერთოა ყველა ვარიანტისთვის.

№312-ში ყველგან წერია „დვინი“ (და არა დუინი), ნაცვლად სხვა ვარიანტების „დვინი“-სა. მე „დვინი“ გავასწორე, როგორც აშკარა შეცდომა. იმავე მიზეზით სიტყვა „დასცინეს“ (გვ. 338, სტრ. 11) შევცვალე სიტყვით „დასძინეს“.

არ შემიძლია, კვლავ არ გავიხსენო თქვენი საყვედური, რომ მე არავითარი საფუძველი არა მაქვს აუგად მოვიხსენიო ბ-ნი თაყაიშვილი. ამან ძალიან შემამოფოთა და ისევ დავუსვი ჩემს თავს კითხვა – ნუთუ ვცდებოდი და ვხელმძღვანელობდი მხოლოდ პირადი სიძულვილით მის მიმართ, რომელიც გამოიწვია ჩემში მისმა მთელმა რიგმა არასწორმა საქციელმა ჩემთან დამოკიდებულებაში: 1) ჩემი ნაშრომის მითვისება; 2) ჩემი გარიცხვა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკის კატალოგის შემდგენელი კომისიიდან, თითქოს მე არ მემუშაოს ამ ბიბლიოთეკის აღწერაზე, მაშინ როცა ყველასთვის და, განსაკუთრებით, თაყაიშვილისთვის, იმ დროს ჩემთვის ახლობელი პიროვნებისთვის, კარგად იყო ცნობილი, რომ მე მაქვს ამ ბიბლიოთეკის აღწერილობის 600 გვ; 3) ჩემზე თავდასხმა გაზეთ „ივერიაში“ უხეში გამონათქვამებით: „შურიანი“, „ბრაზიანი“ და ა. შ. და სხვადასხვა ბუნდოვანი სიტყვებით; 4) ხმების გავრცელება და პირდაპირი განცხადებაც კი მისივე გამოცემაში, თითქოს მე მას წიგნები არ მივეცი მუზეუმიდან, მაშინ როცა ყველა ძვირფასი წიგნი და გუჯარი მივეცი მისივე ხელწერილით (რომელიც მე დღემდე მაქვს) და თითქმის წელიწადზე მეტხანს ჰქონდა წაღებული. არ ვეხები რა ამ და მსგავს პირად ანგარიშებს ჩვენ შორის, მიმარჩნდა და მიმარჩნია, რომ მე მქონდა და მაქვს სრული საფუძველი ვამტკიცო, რომ ბ-ნი თაყაიშვილი თავის წინასიტყვაობასა და შენიშვნებში: 1) ისაკუთრებს სხვის აზრებს წყაროების

მიუთითებლად; 2) მისი საკუთარი დასკვნები (ვახტანგ VI-ის რედაქციასთან დაკავშირებით, შატბერდის მონასტერზე, აზრები სუმბატის ქრონიკის შესახებ, მისი ვარაუდები „მესხური დავითნის“ მწერლის შესახებ და ა. შ. და ა. შ.) გვაოცებენ უსაფუძვლოდ და ზერელობის უმაღლესი ხარისხით. ეს ყველაფერი მე ნათლად დავამტკიცე ჩემს „ქრონიკებში“ და ნაწილობრივ – გაზეთ „ივერიაში“, 1891 წ., №№228-232. ყველა ეს აზრი საფუძვლიანად, საბოლოოდ და შეუქცევადად უარყოფილია ჩემი წიგნის ტექსტსა და წინასიტყვაობაში. არც სუმბატის ქრონიკის შედარება „ქართლის ცხოვრებასთან“ და არც ჩანართების აღმოჩენა არ ეკუთვნის თაყაიშვილს; ეს მან გადაინერა დ. ბაქრაძისგან, რომელმაც ამის შესახებ საკუთარი ხელით ჩაწერა №30 ხელნაწერის სუმბატის ქრონიკის ტექსტში, როგორც ეს მითითებული მაქვს ჩემს წიგნში (გვ. 138, 139). ერთი სიტყვით, მე მგონია, რომ თაყაიშვილი იკვებება სხვათაგან მიტაცებული აზრებით და გატაცებულია არა მეცნიერების ინტერესებით, არამედ თავმოყვარეობის დაკმაყოფილებით. ეს უვარგისი გარემოება იმ ფაქტებთან ერთად, რომელთა შესახებაც მქონდა პატივი მეცნობებინა თქვენთვის ჩემს წინა წერილში, მაძლევს საფუძველს, აუგად მოვიხსენიო ბ-ნი თაყაიშვილი მანამდე, ვიდრე არ მიატოვებს ამ მცდარ გზას.

ყოველ შემთხვევაში, თავს ნებას ვაძლევ დაგარწმუნოთ, რომ ჩემი პირადი დამოკიდებულება თაყაიშვილის მიმართ ვერ დამახუჭვინებს თვალს მისი ნაშრომის ღირსებებზე, თუკი ისინი მოიძებნება და მე სრული პატივისცემით მოვეკიდები მის მომავალ ნაშრომებს, თუ ბ-ნი თაყაიშვილი შემდგომ გამოკვლევებში აღმოჩნდება მეტ-ნაკლებად საფუძვლიანი.

გთხოვთ მირჩიოთ სომეხი ისტორიკოსებიდან ისეთები, რომლებსაც შეეება აქვთ საქართველოს ისტორიასთან. თუ სანკტ-პეტერბურგის ბიბლიოთეკაში აღმოჩნდება ქვემოთ ჩამოთვლილი წიგნები და შენუხდებით და გამომიგზავნით ფასდაკლებით, ძალიან დამავალდებთ. ისინი აქ ვერ ვიშოვნე: 1) კათალიკოს იოანეს „სომხეთის ისტორია“ (ფრანგულ ენაზე, სპეციალური გამოცემა?); 2) ვარდან დიდის „ისტორია“ (სხვისი წიგნით ვსარგებლობდი; გამოვიწერე ეგერსის ბიბლიოთეკიდან სასულიერო სემინარიის ეკონომის სახელზე, მაგრამ ამ დრომდე არ მიმიღია და არც ფული დაუბრუნებიათ; 3) ე. თაყაიშვილის „კიდევ ერთი წყარო ვახუშტი ბატონიშვილის

„საქართველოს ისტორიიდან“; 4) გ. წერეთლის გელათის მონასტრის აღწერა; 5) სებეოსის „ისტორია“, თარგმნილი რუსულ ენაზე.

საქართველოს ეგზარქოსმა დამავალა, რომ სანკტ-პეტერ-ბურგის საიმპერატორო არქეოლოგიურ საზოგადოებას გადაეუგზავნო ორი ძველი გუჯრის ფოტოსურათი რუსული თარგმანით. ეს გუჯრები უკვე დაბეჭდილია ჩემს წიგნში, გვ. 204, 277. გადაღება დამთავრდება 30 იანვარს და 31-ში გამოვგზავნი. მანდ, ალბათ, ელოდებიან.

თ. ჟორდანია

## **ანეჭა მაიაცაჰვილ-ბაქრაძისადმი №1 (12)**

დიდად პატივცემულო  
ანნა იოსების ასულო!

გთხოვთ ამ წერილზე წარწერით დამიმონწმოთ, რომ თქვენის განსვენებულის მეუღლის დიმიტრი ზაქარიას ძის ბაქრაძის სიკვდილის შემდეგ, ერთის ანუ ორის კვირის ხან გამოშვებით, მე გეახელით თქვენს სახლში და სხვებთან თან დასწრებით გამოგიცხადეთ, რომ დიმიტრი ბაქრაძისაგან საჩუქრად მაქვს ერთი ნაწილი ისტორიულ რვეულისა (გვ. 1-184; 191-277; 342-583; 973-978), რომელშიც მოქცეულია სხვა და სხვა ხელით დაწერილი მასალა და რომლის დანარჩენი ნაწილი, ამ წიგნის შუაგულიდამ ამოხეული (გვ. 185-190, 278-341; 584-972), იპოვება განსვენებულის არქეოლოგის წიგნთსაცავში, ახალს ყდაში. ამასთან გამოგიცხადეთ, რომ თუ თქვენ იმ ხელნაწერის დაბრუნებას მიბრძანებთ ამისი წინააღმდეგი არ ვიქნები მეტი. თქვენც ამიხსენით მაშინ, რომ განსვენებულს თქვენს მეუღლეს ის ხელნაწერი სყიდვით შეუძენია. შარშან თქვენ მომთხოვეთ ის ხელნაწერი და ჩემის თხოვნით დამადროვეთ იმ ხელნაწერის დაბრუნება, სანამ

სრულიად არ დაისტამბებოდეს ჩემი რუსულ ენაზედ დაწერილი სტატია ანტონ კათალიკოზზე 1894 წ. 14 მარტს.

თქვენი პატივის მცემელი თევდორე ჟორდანია.

შემონმების დროს დაესწრნენ:

- გ. იოსელიანი
- ა. ქუთათელაძე
- დ. ეპიტაშვილი
- ნ. მთვა.
- ა. ნათაძე
- რ. ჯაჯანაშვილი

[1894 წლის 14 მარტის შემდეგ]

## **ანეცა მამაცაშვილ-ბაქრაქისადმი №2 (13)**

29 მარტი 1894 წ.

თქვენო აღმატებულება,  
ანნა იოსების ასულო!

დიდს ბოდიშს ვიხდი, რომ ჩემდა საუბედუროდ იძულებული ვარ უარი მოგახსენოთ თქვენს წინადადებაზედ: კრებულის გამოგზავნა და დათმობა ყოვლად შეუძლებელია ჩემთვის ამ ჟამად, რადგან ჩემი სიმართლე და აგრეთვე ძვირფასი სახსოვარი თვითონ თქვენის მეუღლის დიმიტრისი სწორედ ამ კრებულზე არის დამოკიდებული. მე ამოდენა ქორების გამავრცელებელთ ისე არ დავტოვებ, რომ სასამართლოს მფარველობას არ მივმართო. როდესაც საქმე გათავდება, მაშინ დიდის მაღლობით მოგართმევთ ამ კრებულს, თუმცა იგი მაჩუქა საკუთრებად განსვენებულმა დიმიტრიმ, როგორც

თქვენც მოგეხსენებათ. კვლავ დიდს ბოდიშს ვიხდი, რომ ამ დროებით თქვენი სურვილი ვერ შევასრულე.

თქვენი ღრმად პატივის მცემელი თევდორე დავ. ჟორდანია.

(ხელმოწერილია 5 აპრილს 12 საათზე) იქ იყვნენ გიორგი იოს. რაჟდენი, მთვარელიშვილი, ალექსი აგლაძე, ქუთათელაძე.

შემონებებაში დაესწრნენ:

გ. იოსელიანი

ა. ქუთათელაძე

დ. ეპიტაშვილი

ნ. მთვარ.

ა. ნათაძე

რ. ჯაფანაშვილი

## გიორგი თუმანიშვილისადმი №1 (14)

Письмо в редакцію.

(В ответ на письмо вдовы пок.[ойнаго] арх.[еолога] Д. З. Бакрадзе)

М.[ногоуважаемый] Г.[осподин] Г.[лавный] Редактор!

В<sup>1</sup> №3533 вашей газеты было напечатано письмо<sup>2</sup> вдовы покойнаго арх. Д. Бакрадзе, в котором она категорически<sup>3</sup> заявляет, что все изложенное в моем частном к ней письме,<sup>4</sup> и в особой статье моей, напечатанной в «Новом Обоз». №3522, ей решительно небыло известно, а именно, она отвергает:<sup>5</sup> 1) что после смерти<sup>6</sup> Д. Бакрадзе я<sup>7</sup> заявлял ей, что у меня находится часть его исторического сборника, подаренная мне<sup>8</sup> покойным; 2) что другая часть<sup>9</sup> того же сборника (стр. 185-190, 278-341; 584-972) находится в библиотеке покойнаго археолога, в новом

переплете; 3) что я<sup>10</sup> сам добровольно отказался от права на эту рукопись и, с ее согласия, продолжал держать ее у себя временно, впредь до напечатания<sup>11</sup> моей статьи: «Антоній І, кат. Груз.», 4) она отрезает, что<sup>12</sup> я мою [статью],<sup>13</sup> помещенную в Нов. [Обоз. №3]522,<sup>14</sup> ей пред[...] ее напечатанія, 5) показывали ей спорную рукопись.

Для восстановления истины считаю своим долгом: 1) изложить краткое<sup>15</sup> обстоятельство дела, 2) анализировать упомянутое<sup>16</sup> письмо г.[оспожи] А. І. Бакрадзе в связи с<sup>17</sup> последующими обстоятельствами и 3) обратиться к свидетельству<sup>18</sup> ниже сего поименованных почтенных лиц, которых, надеюсь, разъяснят изложенные<sup>19</sup> обстоятельства этого [...] <sup>20</sup> для меня прискорбнаго явления.

При этом не могу оговор[ить],<sup>21</sup> что я совершенно далеко от мысли, чтобы<sup>22</sup> выше-упомянутое письмо А. І. Бакрадзе<sup>23</sup> было плодом<sup>24</sup> собственного ея<sup>25</sup> убеждения. Напротив я<sup>26</sup> убежден, что<sup>27</sup> эта печальная исторія<sup>28</sup> создана тою интригою, которая под именем несуществующаго Ушанга Корсикозова, анонимнаго «Почитателя П. Йоселіани» и других недоброжелательных<sup>29</sup>, силится<sup>30</sup> набросить тень на меня, вовлекая в свои сети невинных жертв.<sup>31</sup>

Вот обстоятельство дела. После смерти Д. Бакрадзе, спустя недели две, я явился к вдове<sup>32</sup> пок.[ойнаго] и заявил<sup>33</sup> ей, что у меня находится одна часть историческаго рукописна[го]<sup>34</sup> сборника, подаренная мне<sup>35</sup> покойным, но<sup>36</sup> что если она пожелает<sup>37</sup> возвратить ее себе, я согласен это сделать по напечатанію<sup>38</sup> начатаго моего труда «Антоній І, Каталикос Грузіи». Встретив ее еще раз, я<sup>39</sup> повторил ей свое заявленіе, извиняясь, что вслѣдствія задержанія печатанія вышеупомянутаго моего труда, я<sup>40</sup> долго задержал<sup>41</sup> рукопись у себя. На что она мне ответила, что пусть остается рукопись у меня,<sup>42</sup> но просила меня<sup>43</sup> не терять ее.



После появления письма Ушанга Корсикозова, объявившего известную читателю небылицу,<sup>44</sup> что спор[ный]й сборник принадлежал П. Иоселиани, пожертвован Дворянской школе, оттуда «исчез»,<sup>45</sup> и «Какими-то путями» попал в руки Бакрадзе, а от него он достался другому, котор[ый] печатает его от своего имени, я счел<sup>46</sup> своею обязанностью<sup>47</sup> заступиться за честь покойного Д. Бакрадзе и обнаружил настоящее положение дела. Читателю уже известно, что заявление У.[шанга] К[орсикоз]ова уже опровергнуто во всех деталях. За тем<sup>48</sup>, в видах защиты себя от клеветы,<sup>49</sup> я явился к вдове покойного А. И. Бакрадзе и просил ее засвидетельствовать<sup>50</sup> все вышеизлож[енные]<sup>51</sup> обстоятельства,<sup>52</sup> равно как и то, что другая часть сборника находится у нее. Вдова согласилась на все это, но объявила мне, чтобы я принес наперед заготовленное письмо с указанием страниц моего сборника<sup>53</sup> и тех страниц, которые попали в другую<sup>54</sup> имеющуюся у нея часть ея.<sup>55</sup> Такое письмо и было доставлено ей<sup>56</sup> мною.<sup>57</sup> Это то самое письмо, которое напечатано ею в «Новом Обозре». <sup>58</sup> Тогда вдова объявила мне, что<sup>59</sup> по случаю перехода ея в другую квартиру все ея книги и вещи уже<sup>60</sup> уложены и что на новой квартире она сличит указанные в моем письме стр.[аницы] с другою частью тогоже сборника.<sup>61</sup> Через два дня она возвратит мне мое письмо, засвидетельствованное ея подписью, при чем снабдила<sup>62</sup> меня собственноручно ею написанным адресом новой ея квартиры. Так как, как я убедился,<sup>63</sup> вещи ея действительно были уложены, то я не имел никаких оснований не верить искренности ея заявлений и оставил<sup>64</sup> у нея мое письмо для засвидетельствования.

В указанный срок я поручил своему тестю, полковнику Д. Гарсаидзе<sup>65</sup> взять от нее<sup>66</sup> требуемое засвидетельствование.<sup>67</sup> Тогда она чрез тестя моего<sup>68</sup> уведомила меня, что вторая часть<sup>69</sup> означенного сборника<sup>70</sup> как она теперь припомнила, находится у полковника<sup>71</sup> Христофора Мамацова в с.[еле] Мухровани и что

она по<sup>72</sup> депеше вытребовала означенную рукопись и по получении ея незамедлит<sup>73</sup> дать мне требуемое засвидетельствованіе. Когда я еще раз зашел к ней, она<sup>74</sup> сообщила мне, что рукопись еще не доставлена ей, но что для возобновления в память<sup>75</sup> она желала бы видеть ту<sup>76</sup> часть сборника, которая у<sup>77</sup> меня имеется, что мною и было исполнено: все листы моего сборника были пересмотрены мною<sup>78</sup> в присутствій вдовы и<sup>79</sup> ея дочери Ольги Дмитриевны.<sup>80</sup>

Ни вдова, ни ея дочь ничего не выражали против напечатанія ея в той самой редакціи, в какой она появилсь в печати.

Между тем я увидел, что выше упомянутое письмо мое, одресов.[анное] на имя А. І Б.,<sup>81</sup> по непонят. мне<sup>82</sup> причине<sup>83</sup> попало в руки<sup>84</sup> недоброжателя<sup>85</sup> Антона Пурцеладзе, который, как<sup>86</sup> я слышал<sup>87</sup>, читал его в собраниях, давая ему<sup>88</sup> ложное толкованіе. Затем я получил от вдовы письмо след. с-д. и я: «<sup>89</sup>

[1894 წლის 9 აპრილის შემდეგ]

## ბიოგრაფიული მონაცემები №1 (14)

წერილი რედაქციას

(პასუხად ან განსვენებული არქეოლოგის, დ. ზ. ბაქრაძის, ქვრივის წერილზე)

ღრმად პატივცემულო ბატონო მთავარო რედაქტორო!

თქვენი გაზეთის №3533-ში დაბეჭდილი იყო მისი უდიდებულესობის, ან განსვენებული არქეოლოგის, დ. ბაქრაძის, ქვრივის წერილი, რომელშიც იგი კატეგორიულად აცხადებს, რომ ჩემ მიერ მისთვის მიწერილ კერძო წერილსა და „ნოვოე ობოზრენიეში“ და-

ბეჭდილ ჩემს სპეციალურ სტატიაში მონათხრობის შესახებ მან ნამდვილად არაფერი იცოდა, კერძოდ, იგი უარყოფს: 1) რომ დ. ბაქრაძის გარდაცვალების შემდეგ არაერთხელ განვუცხადე, რომ მე მქონდა მისი ისტორიული კრებულის ნაწილი, ნაჩუქარი თვით განსვენებულის მიერ; 2) რომ იმავე კრებულის მეორე ნაწილი (გვ. 185-190, 278-341, 584-972) არის განსვენებულის ბიბლიოთეკაში, ახალი ყლით; 3) რომ მე თვითონ ვთქვი უარი ამ ხელნაწერის საკუთრებაზე და მისივე თანხმობით დავიტოვე დროებით, ჩემი სტატიის „ანტონ I, საქართველოს კათალიკოსი“ დაბეჭდვამდე; 4) ის უარყოფს, რომ „ნოვოე [ობოზრენიე“ №3]522-ში მოთავსებული ჩემი სტატია მას წარუედგინე დაბეჭდვამდე; 5) ვუჩვენე მას სადავო ხელნაწერი.

ჭეშმარიტების აღსადგენად ჩემს მოვალეობად მიმაჩნია: 1) მოკლედ აღვწერო საქმის ვითარება; 2) გავაანალიზო ქ-ნ ა. ი. ბაქრაძის ხსენებული წერილი თანმდევ გარემოებებთან დაკავშირებით და 3) მივმართო ქვემოთ დასახელებულ საპატიო პირებს დამოწმებისთვის. ვიმედოვნებ, რომ ისინი მოგვცემენ განმარტებას ამ ჩემთვის ძალზედ სავალალო შემთხვევასთან დაკავშირებით

ამასთანავე, უნდა ვთქვა, რომ მე ძალიან შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ზემოთ ნახსენები ა. ი. ბაქრაძის წერილი მისი საკუთარი რწმენის ნაყოფია. პირიქით, დარწმუნებული ვარ, რომ ეს სამწუხარო ისტორია შექმნილია იმ ინტრიგის შედეგად, რომელიც არარსებული, ანონიმი უშანგი კორსიკოზოვის სახელით, რომელიც პ. იოსელიანისა და სხვა ჩემდამი არაკეთილგანწყობილ პირთა თაყვანისმცემელია, ცდილობს, ჩრდილი მომაყენოს, ითრევს რა თავის ქსელში უდანაშაულო მსხვერპლთ.

აი, საქმის ვითარება: დ. ბაქრაძის გარდაცვალებიდან ორი კვირის შემდეგ მე მივედი ქვრივთან და ვუთხარი, რომ ისტორიული ხელნაწერი კრებულის ნაწილი, რომელიც თვით განსვენებულმა მაჩუქა, არის ჩემთან, მაგრამ თუ იგი მოისურვებს მის დაბრუნებას, მე თანახმა ვარ დაეუბრუნო ჩემი დაწყებული ნაშრომის „ანტონ I, საქართველოს კათალიკოსი“ დაბეჭდვის შემდეგ. შემდეგი შეხვედრისას მე მას გავუმეორე ჩემი წინადადება და ბოდიში მოვუხადე, რომ ზემოთ აღნიშნული ჩემი ნაშრომის ბეჭდვის შეფერხების გამო დიდხანს დავიტოვე ხელნაწერი. ამაზე მან მიპასუხა, რომ თანახმაა ხელნაწერის დატოვებაზე ჩემთან, მაგრამ მთხოვა, არ დამეკარგა.

უშანგი კორსიკოზივის წერილის გამოჩენის შემდეგ, რომელიც მკითხველს აცნობდა არარსებულ ამბავს – თითქოს სადავო ხელნაწერი ეკუთვნოდა პ. იოსელიანს, რომელმაც ის სათავადაზნაურო სკოლას აჩუქა, საიდანაც იგი „გაქრა“ და „რალაცნაირი გზებით“ აღმოჩნდა ბაქრადის ხელში, ხოლო მისგან ის ერგო სხვა ვილაცას, რომელიც მას ბეჭდავს თავისი სახელით – მე ჩემს მოვალეობად მივიჩნე, დამეცვა განსვენებული დ. ბაქრადის ღირსება და გავარკვიე საქმის ნამდვილი ვითარება. მკითხველისთვის უკვე ცნობილია, რომ უშანგი კორსიკოზივის განცხადება უარყოფილია ყველა დეტალში. ამის შემდეგ ცილისწამებისგან დასაცავად მივედი განსვენებული არქეოლოგის ქვრივთან – ა. ი. ბაქრადისთან და ვთხოვე, დაედასტურებინა ყველა ზემოთ აღნიშნული ვითარება და ისიც, რომ კრებულის მეორე ნაწილი არის ჩემთან. ქვრივი ყველაფერზე დათანხმდა, მაგრამ განმიცხადა, რომ მისთვის მიმეტანა წინასწარ მომზადებული წერილი ჩემი კრებულის გვერდებისა და იმ გვერდების აღნიშვნით, რომლებიც მოხვდა მის ხელთ არსებულ ნაწილში. მე მას მივუტანე ასეთი წერილი. ეს ის წერილია, რომელიც მან გამოაქვეყნა „ნოვოე ობოზრენიე“-ში. მაშინ ქვრივმა გამომიცხადა, რომ ახალ ბინაში გადასვლასთან დაკავშირებით მას ყველა წიგნი და წივთი უკვე ჩალაგებული აქვს და რომ ახალ ბინაში იგი შეადარებდა ჩემს წერილში აღნიშნულ გვერდებს მეორე ნაწილთან და ორი დღის შემდეგ დამიბრუნებდა ჩემს წერილს, დადასტურებულს მისი ხელმოწერით. ამასთანავე, მომცა მისივე ხელით დაწერილი ახალი ბინის მისამართი. დავრწმუნდი რა, რომ მას ყველაფერი ჩალაგებული ჰქონდა, მე აღარ მქონდა საფუძველი, ეჭვი შემეტანა მის გულწრფელობაში და დავუტოვე ჩემი წერილი დასამონმებლად.

დათქმულ დროს მე დავავალე ჩემს სიმამრს, პოლკოვნიკ დ. ტარსაიძეს, რომ წამოეღო მისგან დამონმებული წერილი. მაშინ მან ჩემი სიმამრის პირით შემომითვალა, რომ აღნიშნული ხელნაწერის მეორე ნაწილი არის პოლკოვნიკ ქრისტეფორე მამაცოვთან სოფ. მუხროვანში და რომ მან დეპეშით მოსთხოვა აღნიშნული ხელნაწერი და მისი მიღებისთანავე იგი დაუყოვნებლივ მომცემდა დამონმებულ წერილს. როცა ამის შემდეგ მე კიდევ ერთხელ მივედი მასთან, მან მითხრა, რომ ხელწერილი ჯერ არ მიუღია და სურდა, რომ გასახსენებლად კიდევ ენახა კრებულის ის ნაწილი, რომელიც ჩემთან იყო, რაც შევესრულე; ჩემი კრებულის ყველა გვერდი გადავათვა-

ლიერე ქვრივისა და მისი ქალიშვილის, ოლლა დიმიტრის ასულის, თანდასწრებითა. არც ქვრივისა და არც მის ქალიშვილს სანიხალ-მდეგო აზრი არ გამოუთქვამთ მის დაბეჭდვასთან დაკავშირებით იმავე რედაქციაში, რომელშიც იგი ადრე გამოქვეყნდა.

სხვათა შორის, შევიტყვე, რომ ზემოთ ნახსენები ჩემი წერილი, დაწერილი ა. ი. ბ[აქრაძის] სახელზე, ჩემთვის გაურკვეველი მიზეზით მოხვდა ჩემი არაკეთილისმსურველის, ანტონ ფურცელაძის, ხელში, რომელიც, როგორც გავიგე, კრებებზე კითხულობდა მას ყალბი განმარტებებით. შემდეგ ქვრივისგან მივიღე წერილი...

[1894 წლის 9 აპრილის შემდეგ]


## **პრასკოვია უვაროვასადმი №1 (15)**


Ваше Сіятельство,  
высоко чтимая Графиня!

Считаю своим долгом принести Вам глубочайшую благодарность за драгоценный подарок, которым Ваше Сіятельство изволили почтить меня. Предмет, котораго касается так тщательно обработанный изданный Ваш грандіозный труд настолько меня интересуєт, что я не могу оторвать от него глаз, весь поглощен им, и даже забыл ответить Вам. Небудучи посвящен в тайны архитектурнаго искусства и науки, мне остается только учиться у Вас, удивляясь Вашему терпенію и необычайной енергіи, давшим Вам возможность в короткое время так основательно изучить почти все главнейшіе памятники архитектурнаго искусства православной Грузіи, описать, возстановить или составить планы, фотографировать и так роскошно издать. При варварском отношеніи к этим памятникам местнаго населенія недалеко то время, когда

памятники эти исчезнут с лица земли и придется изучать их лишь на основании данных, Вами собранных и обнародованных.

О некоторых из описанных в Вашем труде памятниках у меня имеются клочки сведений, но боясь утомить внимание Вашего сиятельства, я все же позволил себе обратить внимание Вашего сиятельства на следующие:

1) В Моквском<sup>1</sup> храме (в Абхазии) г. Поливанов не нашел ни одной надписи; но в 1875 г., будучи еще учеником семинарии и проводя каникулы в с. Мокви у своего отца, бывшего миссионера Абхазии, я видел большой камень во дворе собора, судя по форме представлявший отломок от оконных плит  (такой формы). Этот камень на одной стороне имел надписи древними церковно-грузинскими заглавными буквами, между которыми ясно различались буквы ЁТ (Ле), которые я запомнил потому именно, что отец мой предлагал читать их «Ле [он]», предполагая в надписи указание на строителя храма Абхазского царя Леона. При посещении этого храма в 1891 г. я не мог найти означенного камня, который, вероятно, брошен куда нибудь. Но за то мною найден был под колокольнею большой камень пополам разбитый, с следующей надписью церковно-грузинским алфавитом XV в.



т. е. «Пресвятая Богородица, будь заступницею и покровительницею Григорія Моквеля (т. е. епископа Моквского) Магдзниеде»<sup>2</sup> (фамилія).

Вероятно еп.[ископ] Григорій есть строитель колокольни и могила, ясно замечаемая в середине колокольни, скрывает в себе его останки.

2) О построении Бедійскаго<sup>3</sup> храма в 999 г. царем Багратам III и Мартвильскаго<sup>4</sup> в 908 г. царем Георгіем, воцарившимся, по указанию собранных мною «Хроники», именно в 908 г.,<sup>5</sup> собраны мною новыя сведения («Хроники» стр. 84 и 137). – На север.[ной] стене Кутаисскаго<sup>6</sup> храма дата арабскими буквами указывает окончание его<sup>7</sup> постройки в ??? (т. е. 229 короникона или 1009 г.), а не в ??? году (1003 г.), как это у Броссе и Дюбуа, которые допускают ошибки и в самом чтении надписей храма.

3) О построении малаго Гелатскаго<sup>8</sup> храма во имя св. Георгія Победоносца в 1057 г., а большаго собора<sup>9</sup> в 1106 г. (закладки здания) и 1130 г. (окончание постройки), ровно как и о построении Самтавскаго<sup>10</sup> собора в 1030 г., мною добыты новыя сведения, изданныя в моих «Хрониках» (стр. 171, 238-246 и 202).

4) Тигвскій<sup>11</sup> храм построен в 1152 г. Тамарою, дочерью Давида Возобновителя, которая в том же 1152 г. приняла монашество, оплакивая свои грехи (так как она была замужем за магометанскаго<sup>12</sup> Ширванскаго царя Агсартана). Об этом говорится в моих<sup>13</sup> «Хрониках», стр. 254-255. Самую надпись на храме, помещенную в Вашем труде (стр. 120), я читаю так: «Каясь (в прошлой жизни моей) в сем мире, я приступила к построению дома Божія со всеми его принадлежностями во имя распятаго на тебе (т. е. на кресте: так как храм построен во имя Креста) Христа, Бога, чрез Котораго в

то время (т. е. в день страшного Суда) ты (крест)<sup>14</sup> будь помощником мне, почитательнице твоей, Тамаре.»

5) Недавно мною найдена копия с полного акта 1020 г.<sup>15</sup> каталикоса Мелхиседека, до настоящего времени известного только в отрывках. В этом акте, вопреки существующему мнению, Мелхиседек называет себя не строителем, а только «возобновителем Мцхетского храма,<sup>16</sup> построенного при Вахтанге Горгасале.»

6) Что Никорцминдский Храм<sup>17</sup> построен Багратом IV<sup>M</sup>, это видно (кроме надписей храма) из одного пергаментного акта без начала и без даты, но по характеру почерка без всякого сомнения<sup>18</sup> XI в., что, впрочем, подтверждается и самим содержанием акта. Кроме того на том же акте имеется позднейшая запись, гласящая, что имеретинский царь, Баграт, второй раз<sup>19</sup> построил (т. е. возобновил „მეორედ აღაშენა“) Никорцминдский храм, пришедший в ветхость, сделал его Кафедральным и поставил там<sup>20</sup> епископа Мануила. Из двух других актов (одна подлинная на пергаменте, а другая копия с изящным<sup>21</sup> изображением иконы св. Николая Чудотворца) видно, что это было в 1534 г., а не в 1434 г., как это ошибочно сказано у Д. Пурцеладзе, введшего Ваше Сиятельство в заблуждение. –

Я уже сообщал Вашему сиятельству о существовании вышеозначенного акта и других документов XI в., и Вы велели мне представить Вам самые<sup>22</sup> подлинники.<sup>23</sup> Но так как для этого<sup>24</sup> необходимо было предпринять путешествие в Имеретию, что сопряжено с непосильными для меня, человека многосемейного, при весьма ограниченных средствах к жизни, расходами,<sup>25</sup> то поручение это не могло быть мною исполнено к величайшему моему сожалению и горю, в чем я весьма и весьма извиняюсь пред Вашим сиятельством, не скрывая и того, что я считал бы справедливым не отнимать у меня чести авторства при



изданий документов, многими трудами мною открытых, прочитанных и разъясненных.

Эту последнюю свою претензию я считаю тем более законною, что около Вас я не предполагаю ни одного человека, сколько-нибудь сведущаго в чтении древних письмен грузинскаго алфавита, что, к сожалению, так наглядно, резко и неприятно отразилось и на Вашем превосходном во всех других<sup>26</sup> отношеіях труде. Приводимыя в Вашем труде надписи нетолько часто оставляются без исторических объяснеіий или снабжаются ложными историческими толкованіями, но и, весьма нередко, совершенно произвольно или неверно прочитываются. Чтобы не утомить вниманіе Вашего сіятельства и вместе с тем не быть голословным, приведу несколько случаев последняго<sup>27</sup> рода:

1) На стр. 166 Вашего труда прекрасно воспроизведена совершенно ясная<sup>28</sup> надпись (по палеографическому характеру XI в.), гласящая: „უფალო ღმერთო შეინყაღე სული გიორგი მროველ ეპისკოპოზისაჲ, რომელმან აღაშენა წმიდა ესე ეკლესიაჲ“, т.е. «Господи, Боже, помилуй душу Георгія, Мровельскаго<sup>29</sup> (он же Руисскаго) епископа, который построил святой сей храм (Руисскій еп.[ископ] Антоній в надписях упоминается ок.[оло] 918 г.). У А. С. Хаханова же надпись не так читается.

2) Такая же ясная надпись XI в.<sup>30</sup> на стр. 138 читается так: «Я, Кирилл, в міре (т. е. в монашество)<sup>31</sup> Кахабер, сын благословеннаго душего (т. е. умершаго) Эристава над Эриставами Рати<sup>32</sup> оковал сей образ распятія в утешеніе и облегченіе души моей грешной и для долгоденственной жизни сына моего, эристава над эриставами, Рати». Сличите с чтением г. Хаханова, на стр. 138.


3) Палеографическій снимок надписи храма Вале мною разобран был и отпечатан в газете<sup>33</sup> «Обозреніе» в 1888 г.

и зате[м п]овторен<sup>34</sup> г. Т[акаи]-швили в его «Трех Хрониках» (стр. 139). Судя по моему чтению г. Хаханов повторил почти все ошибки Броссе и даже пропустил в груз.[инском] тексте<sup>35</sup> имя атабека<sup>36</sup> «Мзечабука», которое встречается у Броссе и в моем чтении, а последнюю часть надписи прочитал произвольно. Вместо фразы (стр.72):<sup>37</sup> «Дедис-Имеди высоко<sup>38</sup> построила сей Св. храм» нужно «второй раз<sup>39</sup> построила (მეორედ აღვაშენე)<sup>40</sup> и пр. Фразу г. Хаханова «даровала Тамаре долгоденствие, дажде войти в царство небесное»<sup>41</sup> я читаю так: «Сохрани Тамару в долгие дни, а сестру ея, Елену, утверди в царствии небесном».<sup>42</sup> Надеюсь Вам совершенно ясно, и свое чтение я читаю точным.

Также не точно прочитана вышеприведенная надпись на храме Тигвском и др. Опасаясь обидеть высоко мною уважаемого А. С. Хаханова своими замечаниями, не могу однако умолчать пред Вашими сиятельством об обстоятельствах, для Вас, как служительницы науки, интересных и нужных.

---

В Шiomгвимской монастырь Роинов ездил 1 окт.[ября], но в церкви было очень темно и невозможно было фотографировать каменного иконостаса. Во время второй поездки удалось фотографировать иконостас при искусственном освещении. К сожалению, большая половина иконостаса не освобождена от покрывающей его гаджи. Необходимо иметь полномочие открыть весь иконостас, обмыть его и потом уже фотографировать. Иконостас представляет приблизительно<sup>43</sup> следующий вид.



### Иконостас

Сев.<sup>44</sup> дверь      Распятие      Алтарная дверь

Изображ. Св. Симеона      Изображение Св. Шю и Евагрия

юж. дверь

под этими тремя изображениями под штукатуркою, вероятно, скрываются две или три других изображения. – Снимки эти сегодня высланы Вам.

В учебное время я не мог выехать с Роиновым и потому не могу дать более обстоятельных объяснений, но по характеру буквы надписи иконостаса принадлежат к XII в., что, впрочем, подтверждается и подлинным<sup>45</sup> актом царя Давида Возобновителя, из которого видно, что этот храм (и стало быть и иконостас) заложен был царем после взятия им Зедазенской крепости, т. е. скоро после 1101<sup>го</sup> года, а в 1122 г. постройка<sup>46</sup> церкви почты была закончена.

Поручение Вашего сиятельства относительно описания и снятия надписей Цромскаго и Самтависскаго Храмов мною будет точно исполнено; но для этого необходимо приказать г. Роинову выехать со мною и принять на себя все расходы по сему поручению. Тогда же будут собраны мною подробности относительно места для предполагаемой<sup>47</sup> раскопки, недалеко от Црома. Если Вашему Сиятельству угодно будет поручить мне произвести раскопку, то такое поручение я могу принять на себя только в том случае, если мне будет дан в помощники г. Роинов с его фотографическим аппаратом, при чем необходимо будет снабдить нас открытым местом.

Считаю своим долгом при этом обратить внимание Вашего Сиятельства на следующее обстоятельство: в летописи Грузии повествуется о поглощении<sup>48</sup> землю города Шемахи,<sup>49</sup> столицы тогдашняго Ширванскаго царства при царице Тамаре. По документам, мною собранным, не только подтверждается факт этот, но и указывается год этого события – 1192 (См. мои «Хроники», стр. 280-285). Я совершенно уверен, что раскопка древняго города Шемахи даст прекрасный результат для науки: будет открыт древній город под землею и найдены будут археологическіе предметы, характеризующіе быт восточных народов X-XII вв. Ужели это обстоятельство не обратит просвещеннаго Вашего вниманія? – Есть еще<sup>50</sup> историческое указание о том, что 1000 семейств монголов в XIII в.<sup>51</sup> были

погребены обвалом на берегу Чороха, в Аджарии и что Аджарцы раскапывали это место и находили дорогія вещи. Место это не очень трудно найти.

С особенным удовольствіем высылаю Вам по желанію Вашего Сіятельства, свои труды.

Вашего Сіятельства нижайшій раб  
Θеодор Жорданія.

[1893 წლის დასაწყისიდან 1895 წლის 25 სექტემბრამდე]


### **პრასკოვია უპაროვასადმი №1 (15)**


თქვენო ბრწყინვალეზავ,  
ღრმად პატივცემულო გრაფინია!

თავს ვალდებულად ვთვლი, უღრმესი მადლობა მოგახსენოთ იმ ძვირფასი საჩუქრისათვის, რომლითაც თქვენმა ბრწყინვალეზამ დამლო პატივი. საკითხი, რომელსაც ეხება თქვენი ასე გულმოდგინედ დამუშავებული გრანდიოზული ნაშრომი, იმდენად საინტერესოა ჩემთვის, რომ თვალს ვერ ვწყვეტ, და ისე ვარ ჩაფლული მასში, პასუხის მონერაც კი დამავინყდა. ვინაიდან მე არა ვარ ღრმად ჩახედული არქიტექტურული კულტურისა და მეცნიერების საიდუმლოებებში, ისღა დამრჩენია, ვისწავლო თქვენგან, გაოცებულმა თქვენი მოთმინებითა და არაჩვეულებრივი ენერგიით, რომლის წყალობითაც მოკლე დროში ასე საფუძვლიანად შეძელით მართლმადიდებლური საქართველოს არქიტექტურული ხელოვნების თითქმის ყველა უმთავრესი ძეგლის შესწავლა, აღწერა, აღდგენა ან გეგმების შედგენა, ფოტოგრაფირება და ასე შესანიშნავად გამოცემა. ამ ძეგლების მიმართ ადგილობრივი მოსახლეობის ბარბაროსული დამოკიდებულების გამო შორს არ არის ის დრო, როცა ისინი აღიგვებიან პირისაგან მიწისა და მათი შესწავლა შესაძლებელი იქნება მხოლოდ

თქვენ მიერ მოპოვებული და გამოქვეყნებული მონაცემების საფუძველზე.

თქვენს ნაშრომში აღწერილი ზოგიერთი ძეგლის შესახებ მეც გამაჩნია პატარ-პატარა ცნობები და მიუხედავად იმისა, რომ არ მინდა თქვენი ბრწყინვალეების გადაღლა, მაინც მივეცი თავს უფლება, თქვენი ბრწყინვალეების ყურადღება გავამახვილო შემდეგზე:

1) მოქვის ეკლესიაში (აფხაზეთი) ბატონმა პოლივანოვმა ვერ ნახა ვერც ერთი წარწერა, მაგრამ მე 1875 წელს, როცა ჯერ კიდევ სემინარიის მოსწავლე ვიყავი და არდადეგებს სოფ. მოქვში ვატარებდი მამაჩემთან, აფხაზეთის ყოფილ მისიონერთან, ტაძრის ეზოში ვნახე დიდი ქვა, რომელიც ფორმის მიხედვით უნდა ყოფილიყო ფანჯრის ფილების ნატეხი  (ასეთი ფორმის). ამ ქვის ერთ მხარეზე იყო წარწერა ძველი ქართული ხუცური ასომთავრულით, რომელშიც მკაფიოდ იკითხებოდა "ხ" (ლე) და რომელიც განსაკუთრებით დამამახსოვრდა იმიტომ, რომ მამაჩემი მთავაზობდა მათ ნაკითხვას, როგორც „ლე[ონ]“, რადგან, მამაჩემის აზრით, წარწერაში მითითებული იყო ტაძრის აღმშენებელი – აფხაზეთის მეფე ლეონი. 1891 წელს, ტაძრის მეორედ მონახულებისას, აღნიშნული ქვა ველარ ვნახე, რომელიც, ალბათ, სადღაც იყო მიგდებული, მაგრამ სამაგიეროდ სამრეკლოს ძირში აღმოვაჩინე შუაზე გადატეხილი დიდი ქვა, XI ს-ის ქართული ხუცური ანბანით შესრულებული შემდეგი წარწერით:



ანუ „ყოვლადწმიდაო ღვთისმშობელო, მეოხ და მფარველ ექმენ გრიგოლ მოქველ (ე. ი. მოქველ ეპისკოპოსს) მაგძნისძეს“ (გვარია).

როგორც ჩანს, ეს ეპისკოპოსი გრიგოლი არის სამრეკლოს აღმშენებელი და სამრეკლოს შუაში მკაფიოდ გამოსახულ საფლავში, ალბათ, მისი ნეშტი განისვენებს.

2) 999 წელს მეფე ბაგრატ III-ის მიერ ბედიის ტაძრის, ხოლო 908 წელს გიორგი მეფის მიერ მარტვილის აგების შესახებ, რომელიც ჩემ მიერ მოძიებული ქრონიკების მიხედვით, ზუსტად 908 წელს გამეფდა, მაქვს ახალი ცნობები („ქრონიკები“, გვ. 84 და 137). ქუთაისის ეკლესიის ჩრდილოეთ კედელზე თარიღი არაბული ციფრებით მიუთითებს მისი მშენებლობის დასრულებაზე (ე. ი. ქორონიკონი 229 ანუ 1009 წ.) და არა 223 (1003 წ.), როგორც ეს მოცემულია ბროსესთან და დიუბუასთან, რომლებიც შეცდომებს უშვებენ აგრეთვე ეკლესიის წარწერების წაკითხვაში.

3) 1057 წ. წმ. გიორგი ძღვევამოსილის სახელზე გელათის პატარა ტაძრის, 1106 წ. დიდი ტაძრის აგების (საძირკვლის ჩაყრის), 1030 წ. მშენებლობის დამთავრებისა და ასევე 1030 წ. სამთავისის ეკლესიის აგების შესახებ მოძიებული მაქვს ახალი ცნობები, რომლებიც გამოცემულია ჩემს „ქრონიკებში“ (გვ. 171, 238-246 და 202).

4) თიღვის ეკლესია აგებულია 1152 წ. დავით აღმაშენებლის შვილის – თამარის მიერ, რომელიც იმავე 1152 წ. მონაზვნად აღიკვეცა თავისი ცოდვების მოსანანიებლად (რადგან იგი გათხოვილი იყო მაჰმადიან მეფე აღსართან შირვანშაჰზე). ამის შესახებ წერია ჩემს „ქრონიკებში“ – გვ. 154-155. თვით ეკლესიის წარწერას, რომელიც თქვენს შრომაშია გამოქვეყნებული, მე ასე ვკითხულობ: „მონებულმან რე? აქაჲსა სოფლისაგან სახლისა მლთისა? დანყება ყოფდის? მოქმედებითა შენზედა ჯვარცმულისა ქრისტეს ღვთისათა, რელსა (რომლისა) მერთ (მიერ?) ჟამსა მას შემწე მექმენ მსახურსა შენსა თამარს“.<sup>14</sup>

5) ცოტა ხნის წინ მე მივაგენი მელქისედეკ კათალიკოსის სრული სიგელის ასლს, რომლის მხოლოდ ნაწყვეტები იყო აქამდე ცნობილი. არსებული აზრის საწინააღმდეგოდ, ამ სიგელში მელ-

---

<sup>14</sup> წარწერაში არსებული გაუგებარი სიტყვები და კითხვის ნიშნები ავტორისაა (ქ. გ.).

ქისედეკი თავის თავს უწოდებს არა აღმშენებელს, არამედ განმაახლებელს სვეტიცხოვლის ტაძრისას, რომელიც აგებულია ვახტანგ გორგასლის მიერ.

6) ნიკორწმინდის ტაძარი რომ აგებულია ბაგრატ IV-ის მიერ, ჩანს (გარდა ეკლესიის წარწერებისა) ეტრატზე ნაწერი ერთი სიგელიდან, რომელსაც არც დასაწყისი აქვს და არც თარიღი, მაგრამ ხელწერის მიხედვით ამკარაა, რომ XI ს-ისაა, რაც, სხვათა შორის, თვით სიგელის შინაარსითაც დასტურდება. გარდა ამისა, იმავე სიგელში არის გვიანდელი ჩანაწერი, რომელშიც ნათქვამია, რომ იმერეთის მეფე ბაგრატმა მეორედ ააშენა (ე. ი. განაახლა, „მეორედ ალაშენა“) დანგრეული ნიკორწმინდის ეკლესია, გამოაცხადა საკათედრო ტაძრად და მის ეპისკოპოსად განაწესა მანუელი. ორი სხვა სიგელიდან (ერთი – ეტრატზე დაწერილი დედანი, ხოლო მეორე – ასლი წმ. ნიკოლოზ სასწაულმოქმედის შესანიშნავი გამოსახულებით) ჩანს, რომ ეს მოხდა 1535 წ. და არა 1435 წ., როგორც ეს ნათქვამია დ. ფურცელაძესთან, რომელმაც შეცდომაში შეიყვანა თქვენი ბრწყინვალეობა.

მე უკვე ვაცნობე თქვენს ბრწყინვალეობას ზემოთ აღნიშნული სიგელისა და XI ს-ის სხვა საბუთების არსებობის შესახებ და თქვენ მთხოვეთ, მომეწოდებინა დედნები, მაგრამ, ვინაიდან ამისთვის აუცილებელი იყო იმერეთში მოგზაურობა, დაკავშირებული დიდ ხარჯებთან, რაც შეუძლებელია ჩემთვის, მრავალწევრიანი ოჯახისა და ძალზე შეზღუდული საარსებო პირობების მქონე ადამიანისთვის, ჩემდა სამწუხაროდ, თქვენს დავალებას ვერ შევასრულებდი, რისთვისაც დიდ ბოდიშს ვიხდი თქვენი ბრწყინვალეობის წინაშე. ამასთანავე, ვაღიარებ, რომ მე სამართლიანად ჩავთვლიდი, თუ ჩემ მიერ დიდი ძალისხმევით აღმოჩენილი, ამოკითხული და განმარტებული საბუთების გამოქვეყნებისას შემინარჩუნდებოდა ავტორობის უფლება.

ამ ჩემს ბოლო პრეტენზიას კანონიერად მივიჩნევ მით უფრო, რომ თქვენ გარშემო არ მეგულება არც ერთი ადამიანი, რამდენადმე გაცნობიერებული ძველი ქართული ანბანის ნაკითხვაში, რაც, სამწუხაროდ, ასე თვალსაჩინოდ, მკვეთრად და უსიამოვნოდ აისახა სხვა მხრივ ყველანაირად შესანიშნავ თქვენს ნაშრომში. თქვენს წიგნში მოცემული წარწერები ხშირად არამართო მოკლებულია ისტორიულ ახსნას, ანდა განმარტებულია არასწორად, არამედ არ-



ცთუ იშვიათად წაკითხულია სრულიად თვითნებურად ან შეცდომით. რომ არ გადავლავლო თქვენი ბრწყინვალეობა და, ამასთანავე, უსაბუთო მტკიცება არ გამომივიდეს, მოვიყვან რამდენიმე მაგალითს:

1) თქვენს ნაშრომში, გვ. 166-ზე, მშვენივრად არის ასახული სავსებით მკაფიო წარწერა (ხელწერის მიხედვით XI ს-ის), რომელშიც ნათქვამია: „უფალო ღმერთო, შეინყაღე სული გიორგი მროველ ეპისკოპოზისაჲ, რომელმან აღაშენა წმიდა ესე ეკლესიაჲ“, ანუ „უფალო ღმერთო, შეინყაღე სული გიორგი მროველ (იგივე რუისის) ეპისკოპოზისა, რომელმაც აღაშენა წმ. ესე ეკლესია“ (რუისის ეპისკოპოსი ანტონი წარწერებში მოხსენიებულია დაახლოებით 912 წ.). ა. ს. ხახანოვთან ეს წარწერა ასე არ იკითხება.

2) ასეთივე მკაფიო წარწერა XI ს-ისა (გვ. 138) ასე იკითხება: „მე ან განსვენებული კურთხეული ერისთავთ-ერისთავ რატის შვილმა, კირილემ, ერისკაცობაში კახაბერმა, მოვაჭედინე ეს ჯვარცმის ხატი ჩემი ცოდვილი სულის საოხად და ჩემი შვილის, ერისთავთ-ერისთავ რატის, დღეგრძელობისათვის“. შეადარეთ ბ-ნ ხახანოვის წაკითხულს, გვ. 138.

3) ვალეს ეკლესიის წარწერის პალეოგრაფიული ფოტო ამოვიკითხე და დავბეჭდე გაზეთ „ობოზრენიეში“ 1888 წ. შემდეგ თაყაიშვილმა გაიმეორა თავის „სამ ქრონიკაში“ (გვ. 139). ჩემი წაკითხულის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ბ-მა ხახანოვმა გაიმეორა ბროსეს თითქმის ყველა შეცდომა და, ამასთანავე, ქართულ ტექსტში გამოტოვა ათაბეგის სახელი „მზეჭაბუკი“, რომელიც გვხვდება ბროსესთან და ჩემს წაკითხულში, ხოლო წარწერის ბოლო ნაწილი წაკითხა თვითნებურად. ფრაზის ნაცვლად (გვ. 78): „დედისიმედმა მალლად აღვაშენე ეს წმ. ეკლესია“ უნდა იყოს „მეორედ აღვაშენე“ და სხვ. ბ-ნ ხახანოვის ფრაზას „უნყალობა თამარს დღეგრძელობა და ზეციურ სასუფეველში შესვლა“ მე ასე ვკითხულობ: „დიდხანს აცოცხლე თამარ, ხოლო მისი და – ელენე დაამკვიდრე ზეციურ სასუფეველში.“


ვიმედოვნებ, რომ თქვენთვის ყველაფერი ნათელია, ამასთანავე, ვთვლი, რომ ჩემი წაკითხული სწორია.

ასევე არასწორადაა წაკითხული თიღვის ეკლესიის ზემოთ ნახსენები წარწერა და ა. შ. მიუხედავად იმისა, რომ არ მინდა ჩემი შენიშვნებით გავანაწყენო ჩემ მიერ დიდად პატივცემული ა. ს. ხახანოვი.

ნოვი, მაინც არ შემიძლია არ ვაცნობო თქვენს ბრწყინვალეობას ისეთი გარემოებების შესახებ, რომლებიც ძალზე საჭირო და საინტერესოა თქვენთვის, როგორც მეცნიერების მსახურისათვის.

როინოვი 1 ოქტომბერს იყო შიომღვიმის მონასტერში, მაგრამ ეკლესიაში ძალიან ბნელოდა და ქვის კანკელის გადაღება ვერ მოხერხდა. მეორედ წასვლისას კანკელის გადაღება შესაძლებელი გახდა ხელოვნური განათებით.

სამწუხაროდ, კანკელის დიდი ნაწილი დაფარულია გაჯით. საჭიროა ნებართვა, რომ კანკელი მთლიანად გაიწმინდოს, ჩამორეცხოს და შემდეგ მოხდეს გადაღება. კანკელს დაახლოებით ასეთი სახე აქვს:



ეს ფოტოები დღეს გამოგიგზავნეთ.

წასვლის პერიოდში მე ვერ წავედი როინოვთან ერთად, რის გამოც არ შემიძლია უფრო დანვრილებითი ცნობების მონოდება, მაგრამ ხელნერის მიხედვით, კანკელის ასოები XII ს-ს უნდა ეკუთვნოდეს, რაც, სხვათა შორის, დავით აღმაშენებლის სიგელის დენითაც დასტურდება, რომელშიც ჩანს, რომ ამ ეკლესიას (და, შესაძლოა, თვით კანკელსაც) საფუძველი ჩაუყარა მეფემ მის მიერ ზე-

დაზნის ციხის ალების შემდეგ, ე. ი., 1101 წლიდან მალე, ხოლო 1122 წ. ეკლესიის მშენებლობა უკვე დამთავრებული იყო.

თქვენი ბრწყინვალეების დავალებას წრომისა და სამთავისის ეკლესიათა წარწერების აღწერისა და გადალებასთან დაკავშირებით ზედმიწევნით შევასრულებ, ოღონდ ამისთვის საჭიროა, რომ ბ-ნ როინოვს ებრძანოს ჩემთან ერთად წამოსვლა და ამ დავალებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯის ანაზღაურება. მაშინ მე სასწრაფოდ შევკრებ დანვრილებით ცნობებს გათხრისთვის სავარაუდოდ მიჩნეულ ადგილთან დაკავშირებით წრომის მახლობლად. თუ თქვენი ბრწყინვალეობა მოისურვებს, რომ გათხრა მე ვანარმოო, ასეთი დავალების ჩემს თავზე აღება შემძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამხმარედ მეყოლება ბ-ნი როინოვი თავისი ფოტოაპარატით. ამასთანავე, ჩვენ უნდა გამოგვიყონ ღია ადგილი.

თავს ვალდებულად ვთვლი, თქვენი ბრწყინვალეების ყურადღება მივაქციო ერთ გარემოებას: საქართველოს მატთანში მოთხრობილია მაშინდელი შირვანის სამეფოს დედაქალაქის – შემახის მიწის ქვეშ მოყოლის შესახებ თამარ მეფის დროს. ჩემ მიერ მოძიებული ცნობებით, არამარტო დასტურდება ეს ფაქტი, არამედ ამ მოვლენის თარიღიც კი არის ცნობილი – 1192 წ. (იხ. ჩემი „ქრონიკები“, გვ. 280-285). სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ უძველესი ქალაქის – შემახის გათხრა მეცნიერებისათვის საუკეთესო შედეგს მოგვცემს. გაიხსნება უძველესი მიწისქვეშა ქალაქი და აღმოჩენილ იქნება X-XII სს-ების აღმოსავლეთის ქვეყნების ხალხთა ყოფისთვის დამახასიათებელი არქეოლოგიური საგნები. ნუთუ ეს გარემოება არ მიიტკეცვს თქვენი ბრწყინვალეების – ასეთი ღრმად განსწავლული ადამიანის ყურადღებას? არსებობს აგრეთვე ერთი ისტორიული მითითება, რომ XIII ს-ში 1000 მონღოლური ოჯახი ზვავმა ჩაიტანა ქოროხის პირას აჭარაში და რომ აჭარლები თხრიდნენ ამ ადგილს და პოულობდნენ ძვირფას საგნებს. ამ ადგილის მოკვლევა არცთუ ძალიან ძნელია.

განსაკუთრებული სიამოვნებით გიგზავნით ჩემს ნაშრომებს.

თქვენი ბრწყინვალეების უმდაბლესი მონა  
თევდორე ჟორდანია.

[1893 წლის დასაწყისიდან 1895 წლის 25 სექტემბრამდე]

## პრინციპული უპასუხის №2 (16)

25 Сентября 1895

г. Тифлис.

Ваше Сіятельство!

Прошу извинить меня, Ваше Сіятельство, что я так опоздал ответом на Ваше письмо (от 7<sup>го</sup> Сентября), которым Вам угодно было почтить меня. Всякое Ваше поручение, касающееся покровительствуемой и разработаваемой Вашим Сіятельством Науки, близкой и к моему сердцу и занятіям, я считаю первым своим долгом исполнять с величайшею готовностью.

Причиною опозданія моего ответа послужила то, что армянин, продававшій предмет древности, не был в Тифлисе до 14 Сентября. Когда же он приехал, я предложил ему за шесть кусков избранных Вашим Сіятельством археологических предметов 25 руб. и за тем 35 р., но он не согласился уступить их меньше чем за 90 руб. Затем я поручил другому лицу расположить его уступить означенные предметы за 35-40 руб., но и это неудалось.

Сегодня он объявил мне, что он продаст имеющіеся у него предметы древности все вместе (из 13 кусков) за 190 руб. и что он не согласен продавать их отдельными кусками. О чем имею честь, с сожалением, известить Ваше Сіятельство.

Наднях я с фотографом Роиновым выезжаем в Шіомгвимскій монастырь для фотографирования каменнаго иконостаса этой церкви. При этом считаю долгом известить Ваше Сіятельство, что такой же иконостас имеется в Зедазенском<sup>1</sup> монастыре (из краснаго камня); где иконостас этот, по распоряженію Экзарха Грузіи Евсевія, находившаго

барельефныя изображенія святых католическими,<sup>2</sup> приказан заштукатурить их.

В развалинах Цромской церкви мною найдены три части от большого каменного креста с надписью, свидетельствующею о происхождении его при католикосе Фаворе<sup>3</sup> (по летописи Грузии жившем в конце VII в.), при котором воздвигнут был самый храм Цромскій в царствованіе Стефаноса II<sup>го</sup> Ипатіоса. Под обвалившеюся штукатурскою этаго храма мною найдена приписка, свидетельствующая (согласно с летописью Грузии) о построении храма вышеупомянутым Стефаносом II Ипатіосом и такая же надпись на камне над южным входом в храм, совершенно не верно прочитанная Академиком Броссе. На подножии вышеозначеннаго каменнаго Креста имеется грубое<sup>4</sup> рельефное изображеніе нескольких молящихся особ.

Подобный же каменный крест с надписью, свидетельствующею о происхождении его в 1030 г., мною найден во дворе Самтависскаго собора и описан в изданных мною «Хрониках» (стр. 178).

В Выше упомянутом селеніи Цроми, на берегу Куры, находятся много предметов древности в могилах, ежегодно открывающихся после весенних разливов Куры, по свидетельству местных жителей ежегодно уносящей с собою массу глиняных сосудов. Обстоятельство это, по моему крайнему разумению, достойно Вниманія Вашего Сіятельства, дабы своевременно приняты были меры к раскопке означенной местности и к огражденію сокрытых в недрах земли предметов древности от дальнешаго истребленія. Из найденных в этой местности предметов древности я имел случай приобрести бусы, сделанныя из глины светло-сераго цвета с белою эмалью вокруг.

На с.[еверно]-Зап.[адней] стене Атонскаго Храма построеннаго в VIII в., имеется рельефное изображеніе охотника

с натянутым луком, прицеливающегося в группу оленей, также рельефом изображенных несколько дальше от него.

Отношение Вашего Сіятельства на имя экзарха Грузіи о печальном состояніи церковнаго Древнехранилища уже получено, и из него, к моему горю, экзарх сделал заключеніе о неспособности моей<sup>5</sup> к делу, которому я от всего сердца предан. Смею уверить Ваше Сіятельство, что пока во главе Древнехранилища не будет поставлен человек независимый<sup>6</sup> и вліятельный<sup>7</sup> (например г. Вейденбаум) и не будут изысканы спеціальныя средства<sup>8</sup> для устройства Древнехранилища, церковный Музей не выйдет из того печальнаго состоянія, в котором Ваше Сіятельство застали его.

С глубочайшим уваженіем и преданностью имею  
честь быть слугою Вашего Сіятельства  
Ст.[атскій] Сов.[етник] Θεодор Жорданія.

## **პრასკოვია უპაროვასადმი №2 (16)**

25 სექტემბერი 1895  
ქ. თფილისი.

თქვენო ბრწყინვალეზავ!

გთხოვთ მომიტევოთ, რომ ასე დავაგვიანე პასუხი თქვენს (7 სექტემბრის) წერილზე, რომლითაც პატივი დამდეთ. მე ჩემს უპირველეს მოვალეობად ვთვლი, ყოველი თქვენი დავალება, რომელიც ეხება თქვენი ბრწყინვალეების მფარველობის ქვეშ დამუშავებული მეცნიერების დარგს, ასე ახლოს მყოფს ჩემს გულთან და საქმიანობასთანაც, უდიდესი პასუხისმგებლობით შევასრულო.

ჩემი პასუხის დავაგიანების მიზეზი ის იყო, რომ სიძველეთ გამყიდველი სომეხი 14 სექტემბრამდე თბილისში არ იმყოფებოდა. როცა ჩამოვიდა, თქვენი ბრწყინვალეების მიერ შერჩეული ექვსი არ-

ქეოლოგიური საგნის საფასურად მე მას შევთავაზე 25 მან., შემდეგ – 35 მან., მაგრამ 90 მან.-ზე ნაკლებზე არ დამთანხმდა. ამის შემდეგ სხვა პიროვნებას დავავალე, რომ აღნიშნული საგნების 35-40 მან-ად გაყიდვაზე დაეთანხმებინა, მაგრამ არც ეს გამოვიდა.

დღეს მითხრა, რომ თავის ხელთ არსებულ სიძველეთა საგნებს ყიდის ყველას ერთად (13 ნაჭერი) 190 მან-ად და რომ ნაწილ-ნაწილ გაყიდვაზე თანახმა არ არის, რაზეც გულდანყვევით ვაცნობებ თქვენს ბრწყინვალეობას.

რამდენიმე დღეში ფოტოგრაფ როინოვთან ერთად მივემგზავრები შიომღვიმის მონასტერში იქ არსებული ქვის კანკელის გადასაღებად. ამასთანავე, ვაღიარებულად ვთვლი თავს, ვაცნობო თქვენს ბრწყინვალეობას, რომ ასეთივე კანკელი არის ზედაზნის მონასტერში (წითელი ქვის), სადაც საქართველოს ეგზარქოს ევსევის მიერ, რომელმაც კანკელზე არსებული წმინდანთა რელიეფური გამოსახულებები კათოლიკურად მიიჩნია, ნაბრძანებია მათი გადაღეს-ვა გაჯით.

წრომის ეკლესიის ნანგრევებში აღმოვაჩინე დიდი ქვის ჯვრის სამი ნაწილი წარწერით, რომელიც ადასტურებს, რომ ეს ჯვარი არის კათალიკოს თაბორის დროინდელი (საქართველოს მატეანის მიხედვით, იგი ცხოვრობდა VIII ს-ის ბოლოს), რომლის დროსაც იქნა აგებული თვით წრომის ეკლესია სტეფანოზ II ვიპატოსის მეფობისას. ჩამოშლილი გაჯით ნაღესის ქვეშ ეკლესიაში აღმოვაჩინე მინაწერი, რომლის მიხედვით (საქართველოს მატეანის თანახმად), ეკლესია აგებულია სტეფანოზ II ვიპატოსის მიერ და ასეთივე წარწერა ვნახე ეკლესიის ჩრდილოეთით მდებარე შესასვლელის ზედა ქვაზე, რომელიც სრულიად არასწორადაა წაკითხული აკადემიკოს ბროსეს მიერ. ზემოთ ნახსენები ქვის ქვედა ნაწილზე არის რამდენიმე მლოცველი ადამიანის უხეში რელიეფური გამოსახულება.

ასეთივე ქვის ჯვარი ვნახე სამთავისის ეკლესიის ეზოში, რომელზე არსებული წარწერიდანაც ჩანს, რომ იგი აგებულია 1030 წ. ზემოთ მოხსენიებულ სოფელ წრომში, მტკვრის პირას. ყოველ გაზაფხულზე მტკვრის ადიდების დროს იხსნება სიძველეთა საგნებით საესე სამარხები და, ადგილობრივთა თქმით, ადიდებულ წყალს მიაქვს დიდი რაოდენობით თიხის ჭურჭელი. ჩემი ღრმა რწმენით, ეს გარემოება იმსახურებს თქვენი ბრწყინვალეობის ყურადღებას, რათა

დროულად იქნეს მიღებული ზომები აღნიშნული ადგილის გასათხრელად და მიწის წიაღში ჩამარხული სიძველეთა საგნების დასაცავად შემდგომი განადგურებისაგან. ამ ადგილებში ნაპოვნ სიძველეთა საგნებს შორის მე მოვიპოვე ღია ნაცრისფერი თიხისაგან დამზადებული და თეთრი მინაქრით გარშემოვლებული მძივები.

VIII ს-ის ათონის ეკლესიის ჩრდ.-დასავ. კედელზე არის მონადირის რელიეფური გამოსახულება, ხელში მოზიდული მშვილდით, რომელსაც უმიზნებს აგრეთვე რელიეფურად გამოსახულ, რამდენადმე მოშორებით მყოფ ირემთა ჯგუფს.

თქვენი ბრწყინვალეების მიერ საქართველოს ეგზარქოსის სახელზე გამოგზავნილი მოხსენება საეკლესიო სიძველეთა საცავის სავალალო მდგომარეობის შესახებ უკვე მიღებულია, მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, ამ მოხსენებიდან ეგზარქოსმა გამოიტანა დასკვნა, რომ მე უუნარო ვარ იმ საქმეში, რომელზეც მთელი გულით ვარ მიჯაჭვული. თავს ნებას ვაძლევ, დავარწმუნო თქვენი ბრწყინვალეება, რომ, ვიდრე სიძველეთა საცავის სათავეში არ დაინიშნება დამოუკიდებელი და გავლენიანი ადამიანი (მაგალითად, ბატ. ვეიდენბაუმი) და არ გამოინახება სპეციალური საშუალებები სიძველეთა საცავის მოსაწყობად, საეკლესიო მუზეუმი ვერ გამოვა იმ სავალალო მდგომარეობიდან, როგორშიც იხილა ის თქვენმა ბრწყინვალეებამ.

ულრმესი პატივისცემითა და ერთგულებით მაქვს პატივი ვიყო  
თქვენი ბრწყინვალეების მონა-მორჩილი,  
სამოქ[ალაქო] მრჩ[ეველი] თევდორე ჟორდანი.



## კატრა ბარტანევისაჲნი №2 (17)

30 Сент. 1895 г.

г. Тифлис.

Милостивый Государь,  
Г. Редактор!

В начале текущаго 1895 г. я имел честь послать в контору «Русскаго Архива» рукопись: «Последный Грузинский летописец Г-н Николай Дадіанов[»].<sup>1</sup> Досих пор я остался<sup>2</sup> в неведеніи относительно того, получена ли в редакцію означенная рукопись и если получена, то будет ли напечатана. Если она не удостоится печати в Вашем журнале, то прошу Вас возвратить мне рукопись, или почтить меня извещеніем.

Портрет летописца Николая Дадіани мною найден в доме предводителя дворянства Горійскаго уезда Д. Сулханова. Может быть редакція непрочь будет снабдить летопись Дадіани его портретом.

Адрес мой:<sup>3</sup> Тифлис; Православная Семинарія.  
Преподавателю Семинарії Ст. Сов. Θ. Д. Жорданія.

Готовый к услугам  
Θеодор Жорданія.

## პატრი ბარტენევისადმი №2 (17)

30 სექტ. 1895 წ.  
ქ. თფილისი.

მონყალეო ხელმწიფევე,  
მ[თავარო] რედაქტორო!

მიმდინარე 1895 წლის დასაწყისში პატივი მქონდა „რუსული არქივის“ კანტორაში გამომეგზავნა ხელნაწერი „უკანასკნელი ქართველი მემატიანე ნიკოლოზ დადიანი“. დღემდე არაფერი ვიცი იმის შესახებ, მიიღო თუ არა რედაქციამ აღნიშნული ხელნაწერი, და თუ მიიღო, დაიბეჭდება თუ არა იგი თქვენს ჟურნალში? თუ არ დაიბეჭდება, მაშინ გთხოვთ დამიბრუნოთ ხელნაწერი, ან პატივი დამდოთ და შემატყობინოთ.

მემატიანე ნიკოლოზ დადიანის სურათი მე აღმოვაჩინე გორის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლის, დ. სულხანოვის, სახელში. იქნებ რედაქცია დათანხმდეს, რომ დადიანის ქრონიკას მისი სურათი დაერთოს.

ჩემი მისამართია: თბილისი, მართლმადიდებლური სემინარია. სემინარიის პედაგოგს, სტ[ატსკი] სოვ[ეტნიკს] თ. დ. ჟორდანიას.

თქვენი მონა-მორჩილი  
თევდორე ჟორდანია.

## ექვთიმე თაყაიშვილისადმი №1 (18)

ბ. ევთიმე!

ამ ბარათის მომტანის ხელით გამომიგზავნეთ მუზეუმ-მიდგან თქვენმიერ წაღებული გუჯრები, ორ-სამდღეს უკან დაგიბრუნებთ, სიტყვას გაძლევთ. თუ არ გინდათ უსიამოვნება შემამთხვიონ თქვენის გულისთვის ნუ დაიზარებთ, მოსძებ-

ნეთ და გამომიგზავნეთ ეხლავე. სწრაფს რევიზიას მოველი, ეს-ეს არის ნაცნობმა მითხრა, რალაც გიპირობენ მუზეუმის შესახებ. ხვალ გათენებისას მუზეუმში უნდა გავიქცე, ყოვლისფერი იქ დავალაგო და არ შევრცხვე. რამდენი უსიამოვნება მომაცენეს ამ მცირეს ხანს და ეხლა ესეც არ დამემატოს უბრალო საქმისგამო. ქალაქში შეახვიეთ ყველა გუჯრები, ზედ დაანერეთ ცხადათ რამდენი გუჯრებია და ხელიც მოაწერინეთ ამის მომტანს, ისე არ მისცეთ. უსათუოდ მიეცით, თორემ ვერ დამშვიდდები და თვითონ უნდა გეახლოთ. დაღლილი ვარ და ნუ გამრჯით. ორ-სამდღეს უკან ისევ მოგართმევთ პირადად, თქვენ არ გაგრჯით. არ დაიზაროთ, უსათუოდ მოსძებნეთ, თუნდ ბევრს ხანს მოუნდეთ და საშური საქმეები გქონდეთ.

თქვენი თევდორე  
ჟორდანიას

[არა უგვიანეს 1896 წლის სექტემბრისა]

## თედო სასოქიასაძე №2 (19)

6 ნოემბერს 96 წ.  
ქუთაისით.

პატივცემულო ძმაო თეოდორე!

ნუ დამემდურები პასუხის დაგვიანებისათვის. შენი წიგნი გვიან მივიღე, რადგან სარევიზიოდ დავდიოდი და გვიან გადმომცეს. გარდა ამისა ეს ორი კვირაა, რაც „ქრონიკების“ მეორე წიგნის მასალის დაწყობას მოუნდი და ერთის საუკუნისა (მე-XVII<sup>სა</sup>) ძლივს გავაგზავნე გუშინ.

დიდად გმადლობ თანაგრძობისა და თანაძმობისათვის. დიდად ვნუგეშობ, რომ ამ ყველასგან დევნულობისა და ათ-ვალნუნების დროს შენისთანა მეგობრები აქა-იქ თითო ორო-ლა გამომიჩნდენ და მამხნევებენ. მართალია გამხნევება მხოლოდ<sup>1</sup> სუსტ გვამთა უნდა, მაგრამ არც ისე სულ-დიდი გახლავარ, რომ ამოდენა ცილისმნამებელთა გუნდნი სულს არ მიშფოთებდენ და სისხლს არ მიმღვრევდენ...

დიდად მომწონს, რომ ჩვენს არქეოლოგიას მისდევთ და სჩხრეკთ. ლიხინის<sup>2</sup> ფეშხუმზე წარწერილი სოლომონ შარვაშიძე მოხსენებულია აგრეთვე ბიჭვინტის სახარების წარწერაში, სადაც სწერია: „მეფესა (და) დადიანს წინა გავიმარჯვეთ გურიელს და ლიპარი დადიანზედა და ამისთვის მოვაჭედინეთ ეს პატიოსანი სახარება“ (Rap. ბროსესი VIII, გვ. 132). იქვე მოხსენებულია სოლომონის ძე არზაყან და აგრეთვე შარვაშიძენი სოუსტან და ძე მისი სავარები. რადგან ლიპარიტ I დადიანობდა 1414-1470; ხოლო ლიპარიტ II – 1474-1512, ამისგამო სოლომონი ამ დროებში უნდა ყოფილიყოს, უფროკი ლიპარიტ II-ის დროს. შეიძლება ამ სოლომონის გამარჯვებამ გამოიწვია ის გარემოება, რომ მამია დადიანმა და მამია გურიელმა 1533 წელს ჩხუბი აუტეხეს აბხაზთა და ჯიქთა და საშინლად დამარცხდენ, იქვე დაიხოცნენ.

საზოგადოდ შარვაშიძეებზე ფრიად ნაკლე<sup>3</sup> ცნობებია შენახული და თუ რასმე გამოაჩენ, დიდი სამსახური იქნება თქვენგან ჩვენის ისტორიის წინ. ბიჭვინტის გუჯრებში, რომელნიც მე მაქვს, სჩანს: ყვაპუ შარვაშიძე 1666-1696 წლებში; ის რუხში მომკვდარა; სჩანს ყვაპუსძე ქერექიმ.

მე XVIII საუკუნეში ჩემს გუჯრებში სჩანან ძმები (?)<sup>4</sup>

1779 წ. ლევან, – ზურაბ, – ქელიმბეგ, – ბეკიორბეგ<sup>5</sup>

ქელიმბ-ბეგ (ქელიმბეგ?)<sup>6</sup> † 2 მაისს 1806 წ.

რუსტან † 1808    საფარ-ბეგ (იგივე გიორგი)    ბათალ    ჰასან    ასლან

ბეკორბეგ<sup>7</sup>

1811 წ.    ალიბეგ ანუ გიორგი,    სოსლანბეგ  
გენერალ-მაიორი

გრიგოლ

აბხაზეთზე მასალა ნაკლე მაქვს. უსათუოდ უნდა იქონიოთ სელეზნევის და ზუბოვის გამოკვლევანი; მე ვერ ვიშოვე. აკტებში ბევრი რამ მოიპოვება და დიდად გამოგადგება ნიკო დადიანის მატთან, რომელიც მე განმარტებით რუსულად გადავთარგმნე და რუსულს ჟურნალში არ დაბეჭდეს; ხელნაწერი საბინინსა აქვს.

„შიომღვიმის საბუთები“ ალექსანდრე ეპისკოპოსმა გამოსცა და იმას აქვს. მე რამდენიმე ცალი (თანა?)<sup>8</sup> მქონდა და სულ დავარიგე. „მწყემსს“ ჩემს ცალს (თანას?)<sup>9</sup> გავუგზავნი, ხოლო „მომბეგში“ ალექსანდრემ უნდა გაგზავნოს.

ჩემის „ქრონიკებისაგან“ დღეს დაბეჭდილია მარტო 430 გვერდი. რაც აქ გადმოველ ძლივს სამი ფორმა დაიბეჭდა, რადგან მეც გზაში ვარ და სტამბაც გვიან მიგზავნის.

როგორც ლექსიკონის მოყვარემ ჩაინერეთ „სავადი“,<sup>10</sup> რომელიც ძველს გუჯარში ხმარებულია Kopio-ს მაგიერ: „ეს სავადი გადმოვიღეო ასლიდამ“ (დედნიდამ).

არ ვიცი ახლა სადახარ, რადგან ილორში გამგზავრებას ინერები და დარწმუნებული არავარ, რომ ეს ბარათი მოგივიდეს.

იმედი მაქვს წერილებს არ დაიშურებ და აქითობას გამოგივივლი. მე ძალიან მიშლის ახალი თანამდებობა. სულ თრევა-სიარულს ვუნდები.

გიგო აქ გადმოვიყვანე და პირველ შეგირდად მიდის ჯერჯერობით. ფელიკოც პანსიონში მივაბარე. ძალიან გაგვიჭირდა აქ გადმობინავება და დიდძალი ვალი დამეღვა. შენ რომ ქუთაისში დაბინავდე და სახალხო წიგნების ბეჭდვას ხელი მიყო ძალიან კარგი და საშვილისშვილო საქმე იქნება, არც შენ დაზარალდები. იანვრიდამ შენი წიგნაკი „წა“<sup>11</sup> ეკატერინეს<sup>12</sup> ცხოვრება“ რომ გამოგვიგზავნო, ბევრს დავარაგებდით შკოლებში. თუ „წერა-კითხვის საზოგადოებამ“ ხელი შემინყო რვეულ-წიგნებით ბევრს школа Грамот\* -ის გავხსნით, მაგრამ ჩემის მტრობით დაბრმავებულნი, უეჭველია, ხელს არ<sup>13</sup> გამიმართავენ ამ დიადს საქმეში..

შენი პატივისმცემელი  
თევდორე ჟორდანიძე.

\* წერა-კითხვის სკოლა

## პასილ კარბელაშვილისადმი №1 (20)

7 ნოემბერს 1896 წ.  
ქუთაისით.

ძვირფასო მამაო ბასილ!

შენდობა ჰყავ ჩემზედა, რომ ამდენს ხანს წერილი არ მოგწერე. დიდი ხანია ერთი წერილი მომივიდა მეტად საეჭვო თქვენის ხელმოწერით. მაგრამ თქვენს ხელს მე კარგად ვიცნობ და თქვენი-კი არ იყო.. ვაისგან გაქცეულმა აქ ვუის შევეყარე და ეს იყო უმთავრესი მიზეზი, რომ წერილი ვერ მოგწერეთ.

მუზეუმის შესახებ მე არავისთვის არ მიმიწერია, მხოლოდ ელიევს ვაცნობე დღეს, პასუხად მისის წერილისა, რომ დამიბარეთ და მუზეუმი ჩემგან ჩაიბარეთ მეტქი. უჩემოდ თქვენ არა დაანებოთ რა და ნურც ეტყვი, რომ კლიტეგასაღებები თქვენა გაქვთ.

აურაცხელი თქვენი და თქვენის ძმის პოლესი პატივისცემა და ძმობა საფლავშიც-კი ჩამყვება, ხოლო სანამ სული მიდგას არ დამავინყდება, მაგრამ როგორ უნდა გარდავიხადოთ მე უძღურმა და ზარმაცმა?..

მარიამ თეოფანისასული ჩემზე მართლა რომ გაბრაზებოროტებული იქნება და აბა შენ იცი, როგორ დამიმშვიდებ.. „მწყსნე იგინი კვერთხითა რკინისათა“.<sup>1</sup> მართლაც მიზეზი აქვს ჩემზე გულნაკლე იყოს, რადგან მადლობის წერილიც კი ვერ გავუგზავნე ამდენის პატივისცემისათვის. მაგრამ ის კი ძალიან მწყენს, რომ შტუკა მიყო და „მადამ“ ჩამომიგდო ოთახში... მე თქვენ არ შეგარჩინთ ესრეთს ბოროტს ხუმრობას, რომ პირში ჩალა გამომივლეთ... სოსო მისის მეუღლით პატივისცემით მომიკითხეთ; „მადამს“ ხელზე მიკოცეთ, მისი ჯავრი ჩამყვა.. შალიკოს თვალ-შუბლ-ლოყებზე კოცნა; თამროც არ დამივიწყოთ ელიზბარითურთ. ახალ შექნილი თქვე-

ნი ვაჟი (ზოგმა სთქვა ქალიო) ღმერთმან გაგიზარდოთ. როჟ-ბიცკიმ თითო ოროლა ცნობა მომცა თქვენზე; ის კარგი კაცია და გთხოვ, ზურგი არ უჩვენო. ატიესტია, მაგრამ მით უმეტეს უნდა დაუახლოვდე, რათა მოინადირო.

მე აქ დიდს საქმეს ვკიდებ ხელს და იმედი მაქვს შენც, როგორც ყოველთვის, შენის მხურვალის გულით და წრფელის სიყვარულით ხელს მომცემ... საჭიროა სამეგრელოში წერაკითხვის შკოლების გამრავლება და თუ ქართველი საზოგადოება საკმაო რვეულ-ნიგნებს მომანოდებს (ისე-კი, რომ გამოქვეყნებულ არ იქმნას), მაშინ სასწაულებს გიჩვენებთ. დატრიალდი ჩემო ცეცხლ-ნაპერწკლიანო ბასილ და შენ იცი... „წერა-კითხვაში“ მეკლიაუზებების მეტი არა მყავს რა და მათი ცუდი იმედია.. რომ მომანოდონ რამე, მერე საკლიაუზოდ გამოიყენებენ და ყობია-ყუბიები უსახელო წერილებს მიაყრიან „სადაც ჯერ არს“. ხუცური ლოცვანი რად არ გამოეცი ანბანითურთ.. ბევრს გაგისალებდი. საჭიროა წმიდანების ცხოვრება იაფ-ფასიანი და საზოგადოდ სახალხო ნიგნები. შენი გამოცემა რატომ არ გამომიგზავნე?

სადაგლისშვილს რომ ბერობით თვისი გვარი დაუფარავს დიად მიამა და მიულოცავ. ამისთანა მსხვილ-მსხვილი ამბები რომ არ მომწერე, ძალიან მაფიქრებს და მანაღვლებს: ნუთუ გულმწყრალად ხარ ჩემზე და ორიოდ სტრიქონი ვერ გამოიმეტე ჩემთვის? როგორც კეთილს მწყემსს გმართებს შეცოდებათა შენდობა და მიტევება და არა გულ-მწყრალობა...

თუ წერა-კითხვის საზოგადოება ნიგნებს და რვეულებს გაიმეტებს სამეგრელოში წერა-კითხვის გავრცელებისთვის, შენ მოგანდონ და შენ მე გამომიგზავნე. სხვანაირად არ ვარგა. ამაზე შენ საიდუმლოდ თითოთითოდ გამოკითხე და დააჯერე, რომ საქმე დასაწყისშივე არ გამოქვეყნდეს და შენც ნუ გააქვეყნებ.. დიდს საქმეს დიდი სიფრთხილე მართებს, მერე ამ ჩვენს კლიაზნურს დროს. ანგარიშს მე შენ გამოგიგზავნი და არა სხვებს, რომელთაც ვერ ვენდობი.



„ქრონიკებისა“ მარტო სამი ფორმა დაიბეჭდა რაც მე თქვენგან წამოველ. – გაიმეტე ერთი ბარათი თუნდ ოთხ-ხუთ სტრიქონიანი; მართლა ხომ არ მიწყრები? ჩემი ადრესი ეს არის: «Кутаис, Гагаринский пер. д. Сидава, №56 Ө. Жор»

შენი პატივისმცემელი თედო

P.S. გიორგი ჩაგუნავა და დავით დავითაშვილი ძმითურთ მომიკითხე; საშა ყიფშიძეს გრიგოლითურთ უმდაბლესად მოვიკითხავ.

[I გვერდის მარცხენა არშიის მთელ სიგრძეზე მინანერია:]

ერთი რომ მოახერხო და ერთად თქვენის ოჯახით ჩამობრძანდე დიდად გვანუგეშებ. თუ სტეპკოს და ყიფშიძეებს გიორგი ჩაგუნავათურთ ჩამოიტან უფრო გავაჩაღებთ „მრავალჟამიერებს“. ელენემ თვისის შვილებით მოგიკითხათ. გიგო პირველი შაგირდია აქ.

[III გვერდის მარცხენა არშიის მთელ სიგრძეზე მინანერია:]

ამაში ჩადებულ ტალონებით კაზნაჩეისტვოდამ აიღე სამი მანეთი და ვალერიან გუნიას გადაეცი, რომ თვისი გაზეთი მიგზავნოს. დანარჩენს მერე მოვართმევ. შენიჭირიმე არ დამიზარდე ვასოჯან! წრეულს თუ არ აიღე, მერე ფულს არ მოგცემენ.

### **თედო სახოკიასაძე №3 (21)**

ბატონო თეოდოტ!<sup>1</sup> კორრექტურას თვალ-ყური ადევნეთ და დააჩქარებინეთ. ცოტაოდენი სასყიდელიც რომ ანგარიშში შე-

ატანილო მაქსიმეს არა უშავსრა, ოლონდ მუხრანბატონს არ ვანყენიოთ<sup>2</sup> რა.

„ცნობის ფურცელს“ გამოავზავნიე დაპირებული<sup>3</sup> საქართველოს კალენდარი, რადგან სრული ფასი შევიტანე იმთავითვე 1896 წელს. – თედო

[ამის შემდეგ წერილი გრძელდება ბარათის | გვერდზე:]

სრულიად ნუ დამივიწყებთ. თითო-ოროლას იქაურსა ამბებს გამიზიარებდეთ ხოლმე ამ ქვეყნისგან მონყვეტილს და გამოკლებულს.

[1897 წლის 20 იანვრის შემდეგ]

## **ალექსანდრე ყიფშიძისადმი №1 (22)**

სასურველო და საყვარელ-სატრფიალო ძმა-მეგობარო ბატონო ალექსანდრე.

ყელთამდი აღსავსე ვარ მადლობითის გრძნობის თქვენთამდი (sic) იმ ძმურის შემწეობისა და მფარველობისათვის, რომელიც თქვენ გამიწიეთ „ჟამსა ჭირისა და იწროებისასა“. მრავალ ჟამიერ იყავნ თქვენი ცხოვრება და დაუვიწყარ თქვენი სახსენებელი. ათასი ენა რომ მქონდეს, მაინც ვერ გამოვთქვამ იმ უდიადეს სიხარულს, რომელიც დაიბადა ჩემში იმ დღიდან, როდესაც ჩვენს სამწერლობო და საზოგადოებრივს ასპარეზზე გიხილე შენ და შენისთანა ხუთიოდე გვამნი, რომელთაცა ამოქმედებს არა თავმოყვარეობა (თავმოყვარეობის მეტი არა აბადიათ რა ჩვენებურ „ძველს ბულვარ-ბაშურ ბატონებს), არამედ გულწრფელი<sup>1</sup> სიყვარული სამშობლოსადმი (sic). მე თქვენ არც კი მიცნობდით, მაგრამ მომძებნეთ და შემიტკბ-შემიყვარეთ მარტო ჩემის ძალითად-

რის სამშობლო ისტორიისადმი მუშაკობით; თქვენ შემიტკბეთ მე არა ჩემობით, არამედ სამშობლოს სიყვარულით, და სწორედ ეს მახარებს და მანეტარებს მე... მე ვნეტარებ იმისგამო, რომ თქვენისთანებმა „ახალმა გუნდმა“ მაგრძნობინეს, რომ გამოჩნდა<sup>2</sup> ცისკარი ახალთაობისა და ნიშნები მკვდრეთი[თ]<sup>3</sup> აღდგომისა. ცხადად ვხედავდი აქამდი, რომ „ძველი თაობა“ მკვდრებში პოტილობდენ და სიცოცხლისა არა ეტყობოდათ რა; ისინი შორს არ იდგნენ იმ უსულო-უგრძნობო გვამთაგან, რომელნიც თქვენ გამოგვიხატეთ თქვენს დიად უტყუარს პირველს თქვენს საისტორიო შრომამი, სადაცა მე ცხადად დავინახე თავაზიანურს და თავდაჭერილს მოთხრობის ქვეშ დუღილი ნამდვილის ძლიერის პატრიოტულის გრძნობისა, ჭემმარტის მამულისამდი სიყვარულისა; თქვენს ოსტატურს სიფრთხილის იარაღს ვერ სძლევეს მთელი ჯარი ცენზურულის ხრიკებისა და ჩინოვნიკურის შარებისა.. რამდენადაც თქვენთვის ძვირფასი იყო თქვენი პატრიოტული გრძნობა და ანგარიშები, იმდენად უმეტეს დაგიფარავთ და მიუვალ გიქმნიათ იგი ყოველგვარის ქარტეხილებისაგან, რომელნიც ან მძლავრობენ ჩვენს დროში, ჩვენთა მოძულეთა მძლავრობაში...

რაც მე აქეთ გადმოველ, „ქრონიკების“ ბეჭდვა ძალიან ნელ-ნელობს. შემდეგის ტომის დაბეჭდვა მე აქ ქუთაისში უნდა გადმოვიტანო, თუ კონიას დამითანხმებ. დაბეჭდილია 430 გვერდი და ამდენი სხვაც იქნება. ცოტა ავჩქარდი, მაგრამ შემდეგის ტომით შევავსებ დანაკლისს.

ახლა მინდა ერთს დიდს საქმეს მოვჭიდო ხელი – აქ სამეგრელოში დევნულს ქართულ წერა-კითხვის გავრცელებასა. ათასჯერ-ათასი მტერი ჰყავს ამ საქმეს შინაურ-გარეულნი... იმდენად უფრო სიფრთხილით უნდა მოვკიდოთ საქმეს ხელი და აქაც შენისთანა კაცები თუ ხელს არ მომცემენ და ზურგს არ მომიყუდებენ, არა იქნებარა. ამ საქმის გასამარჯვებლად ბევრი არამჭირია რა: მინდა მხოლოდ სრულიად საკმაო რვეულ წიგნები უფასოდ და გარდა ამისა (ეს ყველაზე

საჭიროა), რომ ჩვენი პლანები და განზრახვანი არავინ იცოდეს გარდა რაოდენთამე მამულისშვილთა, რომელთაც შეუძლიათ არ იყვირონ და არ გაამჟღავნონ დაუწყებელი საქმე სანამდი არ დაგვირგვინდებოდეს... მე იმედი მაქვს შენი და ბასილ კარბელოვისაც, რომელსაც ვაცნობე ჩემი აზრი, რომ „წერა-კითხვის საზოგადოებიდამ“, გინა სხვა წყაროდამ იშოვით რვეულ-წიგნებს, თქვენ გექნებათ ესენი და რადგან მე მარტო თქვენ გენდობით (რადგან წერა-კითხვის მწვერნი, ჩემთან<sup>4</sup> პირადობით დაბნელებულნი, საკლიაუზოდ და ჩემდა სანინააღმდეგოდ მოიხმარებენ ჩემს წერილებს და ანგარიშებს, – თუ დასჭირდათ უსახელო წერილებით აცნობებენ „ვისდა ჯერ არს“) ამისგამო სჯობია ისე მოვახერხოთ, რომ თქვენ<sup>5</sup> თვითონ მიგზავნოთ და მე ანგარიშებს არა-აფიციალურად ჩაგაბარებთ. თუ საკმაო ქართულ<sup>6</sup> რვეულ წიგნებს (რუსული Русское Слово-ც უნდა) უფასოდ გამომიგზავნით, აქ სასწაულებს გიჩვენებთ; თუ არა-და იცოდეთ, რომ საშინელს მდგომარეობაშია ქართული ენა სამეგრელოში ამ ბარბაროზობის დროს, და თქვენ იცით!..

გიგა გარდი-გარდმომიკოცნე...

შენი ყურმოჭრილი ყმა-მეგობარი  
თევდორე ჟორდანიას.

[IV გვერდის მარცხენა არშიის მთელ სიგრძეზე  
თავდაღმა მინაწერია:]

ჩემი ადრესი: Кутаис. Гагаринский переул., д. Сидава №56.

[1897 წლის 31 ივლისამდე]

## თედო სახოკიასაღში №4 (23)

24 ოქტომბერ[ს]<sup>1</sup> 97  
ფოთი.

ძმაო და მეგობარო თედო!

შენი წერილი ეს-ეს არის გადმომცეს და ნუ დამემდურები პასუხის გვიან მოსლვისთვის, არ გეგონოს დაზარებით მომსვლოდეს.

შენის დინჯიანობისაგან მეტად გამიკვირდა, რომ გაზეთის კიტრიკანობას ეგრე შეუნუხებინარ, აშფოთებულხარ, თითქოს მართლა უცნაური რა მომხდარა. მე მარტო ერთი (უკანასკნელი) ნაწილი ამოვიკითხე თქვენდა საწინააღმდეგო ფელეტონისა, მაგრამ იმდენი ძალა მაინცდამაინც არ ჰქონია მას. კრიტიკანი არ გიჯერებს შენს ახალ სიტყვებს, რადგან მაგიერი გვაქვსო: ეს იმას არ ნიშნავს, რომ შენგან დასხმული სიტყვები ქართულები არ იყვეს. აქ შენ არავითარი დანაშაული არ გედება იმ შემთხვევაში, როდესაც შენ მართლა ძველ სიტყვებს აწვდენ ახალ საზოგადოებას (და არა ახლად<sup>2</sup> „მოგონილებს“), როგორც საუკეთესოს<sup>3</sup> გამოსარჩევად. მიიღებს ამას მწერლობა თუ არა შენ მაინც ხომ ღვანლი გაგინევია და საზოგადოებას მადლობის მეტი არა მართებს რა. ასე შეხედავს თქვენს შრომას ყველა შეგნებული ახალგაზდა, ხოლო „ბრბოსი“ შენ, ვგონებ, იმდენად არ გეშინოდა და არც თაყვანსა სცემდი და ახლა კი არ ვიცი... ზოგს შემთხვევაში მეც თანახმა არ გახლავარ თქვენი, მაგრამ თქვენს შრომას, როგორც კეთილშობილურის<sup>4</sup> მისწრაფების ნაყოფს, აუცილებლად პატივსა ვცემ და ღმერთმან ქნას, რომ ყველა ჩვენი ახალგაზდები ისრეთის წყურვიელებით ენაფებოდენ ქართულ ენის წყაროთა, როგორც შენ. ვინც არას აკეთებს, იმას შეცდომაც არ მოუა; ხოლო ვინც ბევრს მართალს გამოიკვლევს, მას ბევრი ტყუილიც გამოერევა: კრიტიკამ აქ ის უნდა გასინ-

ჯოს, თუ რამდენი მართალი თქმულა და<sup>5</sup> იმითი უნდა დააფასოს შრომა რუსთაველები: „კარგი რამ<sup>6</sup> მჭირდეს – გიკვირდეს: ავი რა საკვირველია“. ჩვენში-კი (ე. ი. ჩვენებურ კიტრიკანებში) მარტო შეცდომათა აქცევენ ყურადღებას, ხოლო ნამდვილს მონადვან-გამოძიებულს<sup>7</sup> ჭეშმარიტებას თვალს ამორებენ, და მართლაც ეგრე უნდა მოიქცეს ყველა მცონარე, რომელიც თვით<sup>8</sup> არას აკეთებს, მაგრამ მაინც სახელი უნდა გაითქვას იაფ საშვალეებით: სხვებს დაუნუნოს შრომა და მათზე ბრძნად გაიბრწყინოს თვისი სახელი.

რაც შეეხება სიტყვას „ჯვართმოსილი“, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობა არი Крестоносец, როგორც ღმერთშემოსილი – Богоносец, მაგრამ კერძოდ ჯვართმოსილად იწოდებოდნენ ის ბერები, რომელნიც მთლად მოშორდებოდნენ ქვეყანას და დაეყუდებოდნენ: ამისთანა ბერებს კურთხევის დროს („დიდის სქემის კურთხევა“) თვალს აუხვევდნენ, თავზე ჯვარს მიაკრავდნენ და ისე გაისტუმრებდნენ თვისს სამყუდროში (Затвор) და უწოდებდნენ ჯვარ-მოსილად. რაც შეეხება ევროპიელთა ჯარს, რომელთაც ტანსაცმელზე<sup>9</sup> დაკერებული ჰქონდათ ჯვარი, ვახუშტი უწოდს მათ ჯვაროსნებად და მე მგონია ეს სახელი უფრო დაახლოვებულია ქართულ ენის თვისებასთან და კანონებთან, რადგან ნაკვეთი „ოსანი“ მუდამ მიემატება სიტყვებს აღსანიშნავად გარეგნულის შემთხვევის<sup>10</sup> ნიშნისა<sup>11</sup> და არა არსებითის თვისებისა (შუბოსანი, თოფოსანი, ჩოხოსანი, ქუდოსანი,<sup>12</sup> მშვილდოსანი, გვირგვინ-ოსანი და სხ.). – მე აქ ფოთში „ქრონიკები“ არა მაქვს და არ მახსოვს, სად იხმარება ჩემს ნიგნში ჯვაროსანი და რა აზრით. არც ის ნომერი მაქვს გაზეთისა, სადაც თქვენ წინააღმდეგ გაილაშქრნენ. ეხლა „ანგარიშებს“ ვადგენთ მთელის წლისას და თავმოსაფხანი დროც არა გვაქვს, თორემ ჩემს აზრს უფრო დანვრილებით გამოვთქვამდი იმ „კიტრიკანის“ შესახებ.

ჩვენს ეპარქიაში ჩემს მოსლვამდი ითვლებოდა 93 სკოლა. ახლა ითვლება 143 სკოლა და სეკდემბრიდან კიდევ ოციოდე მოემატა. გასულს სამოსწავლო წელს შაგირდთა

რიცხვი აღვიდა ექვს ათასამდი (5.910) და მომავალს წელს ხომ ბევრი მოემატება. ზაფხულს რომ მასწავლებელნი გავარჯიშდენ ამან დიდი გავლენა იქონია თვით ხალხზედაც (ნღობა) და თვით მასწავლებლებზე, რომელთაც წელს გამოუვიდათ 6,000 მანეთი ჯილდო ხაზინიდან. აურაცხელი დაბრკოლება გვაქვს ლევიცკისგან და პოლიციიდან, „დონოსებს“ აგზავნიან „სადაც ჯერ არს“, „პატრიოტობას“ მაბრალეებენ და მთავრობა ეჭვში შეჭყავთ, ლამის ხელი შეგვიკრან. – თუ „ყოზია“ (გოგებაშვილი)<sup>13</sup> მართლა შერიგებულია, სთხოვე რომ უსასყიდლოდ დაგვითმოს წერა-კითხ. საზოგადოებამ „კოკორი“ და „დედაენა“, „Рус. Слово“, რვეულებიც რამდენიც შეიძლება და მაშინ მე გიჩვენებთ, თუ რამდენი სკოლა დავხსნა და წერა-კითხვა მოვფინო... პატრიოტები თუ არიან აჰა ბურთი და მოიდანნი,<sup>14</sup> აბა გამოვიდნენ!

შენი თედო

[IV გვერდის მარცხენა არშიაზე უკულმა მინაწერია:]

ყველაზე უდიდესი დაბრკოლება არის სახელმძღვანელოების და რვეულების ნაკლულებანება სილარიბისგამო და თუ ამაში ხელს მომიმართავენ, დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, დიდს საქმეს ვიზამ ღვთით; ნუ დაიშურებენ! ნუთუ „საზოგადოებას“ ესეც არ შეუძლია ისე დაუძღურდა?!

#### **ნიკო მარისაღში №4 (24)**

Милостивый Государь  
Николай Яковлевич!

Возвратившись сегодня из поездки, по ревизии церковных школ, я нашел Ваше письмо у себя с приглашением

принять участие в Вашем ученом предприятии. Дай Бог Вам успеха, а я, чем могу, готов содействовать успешному окончанию Вашего серьезного предприятия. Но не могу скрыть от Вас, что я совершенно завален служебными делами и серьезной помощи обещать не могу в том случае, если Вы торопитесь издать Ваш труд в ближайшем будущем. Я...<sup>1</sup>

[ლია ბარათის სატიტულო გვერდის შუა ნაწილში ადრესატის  
ვინაობა წერია:]

Его высокоблагородію  
Николаю Яковлевичу  
Г-ну Марру.

[ამავე გვერდის ქვედა ნაწილში კი უკუღმა მისამართია მინერილი:]

Rue d. l. Sublime Porte, 46.  
Arakhel Totslean».

[1897 წლის 5 ნოემბრამდე]

## **ნიკო მარისადმი №4 (24)**

მონყალეო ხელმწიფეე  
ნიკოლოზ იაკობის ძეე!

დღეს დავბრუნდი საეკლესიო სკოლების რევიზიასთან დაკავშირებული მოგზაურობიდან და ვნახე თქვენი წერილი, რომლითაც მთავაზობთ თქვენს სამეცნიერო ნამოწვევაში მონაწილეობის მიღებას. ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, მე კი მზად ვარ, რითაც შემოძლია, დაგეხმაროთ თქვენი სერიოზული ნამოწვევის წარმატებით დამთავრებაში, მაგრამ ვერ დაგიმალავთ, რომ ძალიან დაკავებული ვარ სამსახურის საქმეებით და სერიოზულ დახმარებას ვერ შეგპირ-



დებით იმ შემთხვევაში, თუ თქვენი ნაშრომის გამოცემას უახლოეს მომავალში აპირებთ. მე...

[ღია ბარათის სატიტულო გვერდის შუა ნაწილში ადრესატის ვინაობა წერია:]

მის მაღალკეთილშობილებას  
ნიკოლოზ იაკობის ძე  
ბ-ნ მარს.

[1897 წლის 5 ნოემბრამდე]

## თედო სასოკიასადმი №5 (25)

1897. [25 დეკემბრამდე]

ჩვენო დიდო იმედო ბ. თედო!

ერთად სახლობით დიადს მაღლობას გიძღვნიტ მოლოცვისათვის შენ და გიორგი ჩაგუნავას. ხორციტ აქ ვიყავიტ, თორემ სულიტ-კი იმ დღეს ჩვენს მეგობრებტან გახლდით თფილისში, თუმცა ზოგიერთ თფილისელ მეგობრებტმ მთლად დამივიწყეს, მაგ., „ძმათა ყიფშიძეტ“. ნუთუ საშობაოტ მანინც არ მოგვიგონებენ!

გოგებტშვილი თუ არ ცრუობს ახლა ვნახოტ: დღეს ვუგზავნი საზოგადოებტს თხოვნას, რომ 37 შკოლას უფასოდ დაუთმონ სასწავლო ნივთები. ის სკოლები რომ გავხსენით (ასე უამბე გოგებტშვილს) მაშინ პირობა და აღტქმა დაუდევიტ სოფლელებტ, რომ წიგნებიტ და რვეულებიტ შეგენვეითო და სხ. და სხ. მეც მაგათის აღტქმის იმედი მქონდა და პირს ნუ გამატეხინებენ. მეტად ლარიბია ხალხი და თუ „საზოგადოებტმ“, რომელსაც უტვირთნია „წერა-კითხვის გავრცელებტ“ თვისი მოვალეობტ არ შეასრულტ, მამ რად ატარებტ ესრეტს

მაღალფრასოვანს სახელს? აბა შენ იცი და შენმა კაცობამ რამდენად დაფაცურდები, რომ ის „ჯირკის კაცები“, უსულ-უგულონი გონს მოიყვანო და ამ დიადს საქმისთვის ხელი მოაკიდებინო. მე იმედი მაქვს, რომ შენი სიცოცხლით აღსავსე ენერგია და განუდრეკელობა „ხესა ხმელსა შეიქმს ნედლად“, ესე იგი ამ „შეშის კაცუნებს“ რასმე აგრძნობინებს და გამოაღვიძებს. შენ ჩემზე კარგად შეგნებული გაქვს (პირველად თვით შენგან გამიგონია) ამ საქმის დიადობა და რასაჭიროა ბევრი ჩიჩინი და განმარტება. ყიფშიძეებიც და თუ გაჭირდეს „სტეპკაც“ მოიშველიე, რომ გაატანიო საქმე და უარი არ გვითხრან ან ნათხოვნს რამე არ მოსჭრან. ჩემს ოფიციალურს ქალაქს დ. კარიჭაშვილი წაგაკითხებს. ჩემ მაგიერ დათიკოსაც სთხოვე, რომ დროზე მოახსენოს ის ქალაქი გამგეობას და რაც<sup>1</sup> განაჩენი იქნება დროზე შეასრულოს.

სხვა შენ რომ „კვალის“ ჩემდამო ქება-დიდებაზე მწერდი, დიად მეუცხოვა. ქება კი არა დიდი ძაგება იყო ჩემი „კვალში“ დაბეჭდილი. აზრი იმ წერილისა ის იყო, რომ მართალია ბევრი უშრომნიაო ჟორდანიას, მაგრამ ამ შრომას (იმ მასალებს)<sup>2</sup> ხელახლა გამოცემა სჭირიაო და ვინც კაცნი ხართ და ქუდი გხურავთ, საშვალეა გამოიღეთ, რომ ის საბუთები „მეცნიერულად“<sup>3</sup> („კვალისტების“ მეცნიერება!!) გამოვცეთო, რადგან ჟორდანიას უმეცრულად გამოუციაო...

ნასიძისგან არც ქება მიამება და არც გინება მენყინება მას შემდეგ, რაც მან უსვინ[დ]ისო<sup>4</sup> „კრიტიკა“ დასწერა ჩემს გრამატიკულ შრომაზე: მას სრულიად გული არ ეწვის ჩვენს მწერლობაზე, ის დღეს ასე იტყვის, ხვალ ისე იმის მიხედვით, თუ საით ქარი ჰბერავს და საითკენ<sup>5</sup> რას გამოელის. ბუნებითად მძულს ამ ჯურის ინტელიგენტი, რომლის რიცხვი ლეგეონია თფილის-ქუთაისის ბულვარ-ქუჩებში. მისის კრიტიკის და ანტიკრიტიკის დაბეჭდვის შემდეგ მან (თუ სვინიდისი უჭრის) სულაც არ უნდა მოკიდოს კალამს, რადგან უპირველესი და აუცილებელი მოთხოვნილება კრიტიკოსისა – ნამუ-

სიანობა<sup>6</sup>, ხოლო მაგ ვაჟბატონისთვის ნამუსი ცარიელი სახელია<sup>7</sup>, ცარიელი „ქართა ცემა ენითა.“<sup>8</sup>

არიქნა, ვერ მოვიცალე ორიოდ სტრიქონი დამეწერა „ცნობის ფურცლისთვის!“ მეტად რთული და ძნელი ყოფილა „ნაბლიდატლობა“; სულ ოფიციალურ<sup>9</sup> ქაღალდების წერას ვუნდები.

მთელმა ოჯახობამ მოგიკითხათ. ბიჭუკანები კარგათ არიან; გიგო საუცხოოდ სწავლობს, ფელიკო-კი მიჯაგლაგობს.

გიორგი ჩაგუნავას აუარებელი მოკითხვა მთელის ოჯახობით. დავით ლუარსაბოვიჩი გაგვებუტა და ახლა ვგონებ თფილისში იქნება როჟბიციკისტან. ჩვენის მხრით პატივისცემის მეტი არა მოაგონდება-რა, მაგრამ მოსწყინდა ჩვენთან ყოფნა, და მადლობა ღმერთს!

შენი „სტატია“ ჯერ არ წამიკითხავს „მომამბეში“. რიგი იყო, რაკი მოამბემ ჩემი გაზეთური<sup>10</sup> შენიშვნა<sup>11</sup> იერუსალიმის ქართველთაგან<sup>12</sup> ხმლით ალებაზე სასაცილოდ აიგდო ცაგარლის ნანერების ძალით, ჩემი პასუხიც უნდა გადმოებეჭდათ „ქრონიკებიდან“ 1527 წლის ქვეშე.<sup>13</sup> რაკი ასრე არ მოიქცნენ, ამით საცნაურ ქმნეს, რომ მათ საქმის ინტერესი კი არ ჰქონებიათ, არამედ მხოლოდ ჩემი ყბადალება სწყურებიათ: იყავნება მათი!

თედო

P.S. მადლობელი ვარ წერილებს რომ მომანოდებ ხოლმე და გთხოვ კვლავაც ნუ დამივიწყებ. თუ შენი აფრიკაში გაგზავნა გადანყვეტილია ჩემ მხრით ორს თუმანს შემწეობად იმედოვნებდე.

## ალექსანდრე ყიფშიძისადმი № 2 (26)

საშაჯან!

ეს-ეს არის შენი წერილი მივიღე გუჯრის პირით. ეხლა ხელთ არა მაქვს ჩემი გუჯრის წიგნი და ისტორიული საბუთები, რადგან სხვა და სხვა ყუთებში, შკაფებში და საკუჭნაოებში დაფლანგულია, ამიტომ იმ გუჯრის პირის პოვნას კარგა ხანი მოუნდება, მე კი ამ დროებში მოუცლელი ვარ. თვით დედანი იმ გუჯრისა მე მინახავს, რამდენად მახსოვს ოკრუჟნი სუდის არხივში, მოკლე ნუსხა გადმონერილი მაქვს და არა მთელი გუჯარი. მთელი გუჯარი შეიცავს ერთს უზარმაზარ გუჯარს, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ შუატანის წიგნს<sup>1</sup> ას გვერდამდი, თვით მეფის იმამყულიხანის ხელით<sup>2</sup> დაწერილს, მისგანვე შეთხზულს. ეს გუჯარი მთელი თხზულებაა, სადაც მეტად საინტერესოდ აღწერილია დედამიწის ბუნება, სეტყვაქარ-თოვლის<sup>3</sup> მიზეზი (ფიზიკაა იმდროინდელი), ცისსარტყელისა, მეხისა<sup>4</sup>, წვიმისა და სხვა ბუნების მოვლენათა ახსნა ღვთის საქებად აღწერილი. სამ კარად ანუ სამ თავად. მეოთხე თავში მოთხრობილია ისტორია ვახტანგ გორგასლანის მიერ რუსთავის საყდრის კათედრის<sup>5</sup> დაფუძნებისა და მოკლე ისტორია ამ კათედრისა მე XVIII საუკუნემდი და სხ. და სხ. ბოლოს ჩამოთვლილია რუსთავის მამულები, სწორედ ისე, როგორც თქვენს ნუსხაშია მცირე ნაწყვეტი. მხოლოდ ამ თქვენს ნუსხაში სიტყვა შეცვლილია, მაგ. სადაც<sup>6</sup> კარანდაშით შენიშვნა<sup>7</sup> აქვს „ქართლისა კნიაზთა“ – იქ სწერია „ქართლისა კუზთა“<sup>8</sup> ესე იგი „ქართლისა კათოლიკოზთა“<sup>9</sup> და არა კნიაზთა. ეს შენიშვნები<sup>10</sup> შემიტანია ჩემს „ქრონიკაში“ 1722 წ. 4 აგვისტოს ქვეშ, რომელიც ჯერ დაბეჭდილი არ არის და მესამე ტომში შევა. მთელის გუჯრის დაბეჭდვა დიდად საჭიროა, რადგან წიგნი მეტად საყურადღებოა და თუ ის თქვენი „ჩლენი“ აქიმოვი დაბეჭდავს, მარტო იმ პირობით მიეც ნება, რომ<sup>11</sup> თვით დედანი იპოვოს... ეს მისგან ქრთამად ავიღოთ ჩვენის

მწერლობის სასარგებლოდ. – ცოტა არ იყოს, ქვეყნის მტრობა იქნება, რომ სომეხს<sup>12</sup> აქიმოვს გლდანი ჩვენის შემწეობით<sup>13</sup> ხელში<sup>14</sup> ჩავუგდოთ. მე მგონია უფრო ის სჯობია მაგას გზაკვალი დაუბნოთ... თუ შენ არ გენყინება ასე უნდა სჯობდეს, რადგან შენც ძალიან არ გიყვარს ვგონებ ეს უნამუსოები. ხაზინა იმის მეასედაც ვერ შეაწუხებს გლეხებს, რასაც ერთი სომეხი იზამს. მაინც სანამ შენი პასუხი არ მომივა ამ უკანასკნელის კითხვის ასახსნელად, მანამ იმ გუჯრის პირის ძებნას არ შევუდგები. – რამდენადაც მახსოვს წერა-კითხ. საზოგადოებაშიც ინახება ნაწყვეტი ამ გუჯრის პირისა (მოძებნე №№ 1500-1700 შუა; ნამდვილ არ მახსოვს).

მიკვირს, როგორ დაგიჯერებია იმ უნამუსო „ცილის-მწამებელთა“, რომელთაც უთქვამთ, ვითომ დედანი იმ გუჯრისა მე უნდა მქონდეს გატანილი!<sup>15</sup> ამით ხომ ქურდობას მწამებთ! მაღლობა ღმერთს, რომ შენგანაც ესრეთი ბრალი დამდებია... მე მრწამს პირველად ღმერთი და მერე პატიოსნება, და ჩემდა რწმუნებულ მუზეუმიდამ ნივთების<sup>16</sup> გატანას დიადაც არ ვიკადრებდი... სჩანს, ვინც თფილისიდამ მე გამაძევა ცილისმწამებათა იარაღით, ისინი აქაც არ მაყენებენ და თავისუფლად ჰქადაგებენ ჩემის პატიოსნების განსაქიქებელს მოძღვრებას. ქურდი მე კი არა ვარ, არამედ თვით ისინი, რომელნიც მე მწამებდენ ქურდობას; რამდენიმე კიდევ დავამტკიცე და დანარჩენი საბოლოოდ შევიწინაზე, ეგებ გამომადგეს ოდესმე.

დიდად ვნანობ, რომ თფილისიდამ ფეხი გამოვადგი. ახალი ჩემი<sup>17</sup> თანამდებობა აღმოჩნდა მეტად რთული, ისე რომ დრო არა მაქვს ჩემი შრომა გავაგრძელო. ეს რომ მცოდნოდა, არასგზით არ ვიტვირთავდი ამ თანამდებობას. თუ მესამე ტომი ჩემის ქრონიკისა არ დაიბეჭდა, პირველ ტომებს მეათედი ფასიც არ ექნება.

შენ და გიგას ახალწელიწადი მოგილოცეთ. პასუხი ვერ მივიღე. საშობაოთ გელოდით სახოკიასთან ერთად – ესეც არ იქნა. მართალი ყოფილა ძველთა ნათქვამი: „თვალი

შორს – გული შორს“.

## შენი თედო<sup>18</sup>

[IV გვერდის მარცხენა არშიის მთელ სიგრძეზე  
თავდაღმა მინაწერია:]

დამავიწყდა: შენგან გამოგზავნილს ნუსხას რომ აწერია არშიებზე ორგან: „სტ. 47 იო 50“ და „სტ. 68 ი 69“, ეს იმას აღნიშნავს, რომ ამ ნუსხაში რაც სწერია ის ზემოხსენებულს გუჯრის წიგნის მე 57-58<sup>19</sup> და 68-69 გვერდებზეა დაწერილი. მაშასადამე ეს ნუსხა ნამდვილად იმ დედნიდან ყოფილა გადმონერული. მაგრამ სომეხს მაინც უნდა უთხრა „ხელი შორს“ მაგ გუჯრიდგანათქო... ვინ შენ და ვინ სომხის ქომაგი!

[II გვერდის მარცხენა არშიის მთელ სიგრძეზე  
თავდაღმა მინაწერია:]

სამეგრელოში ოთხმოცზე მეტი ახალი შკოლა<sup>20</sup> გავსენი, მაგრამ იმ იმედით, რომ რვეულებს, კალმებს, და წიგნებს წერა-კითხვის საზოგადოება მუქთად<sup>21</sup> მოგვანოდებს მეთქი; ასე დავარწმუნე ყველა. ჩემი იმედი და დაპირება თითქმის გაცრუვდა. მარტო დედა-ენა მოგვივიდა და სხვა არა-რა. ჩაყვირე იმ ყრუებს და უგულ-უსულო-უსვინიდილოებს მოგვეშველნენ, თორემ მუნჯურმა მეთოდმა მთლად გამოაყრუა მეგრელობა და ჩვენს ეროვნობას დღითი-დღე აშორებს. ახლა თანხას ვადგენთ 60,000 მანეთს, მაგრამ შვიდ წლამდე არ შესდგება. მანამდე ხელი მოგვიმართეთ თუ მართლ-ქართველნი ხართ!

[III გვერდის მარცხენა არშიის მთელ სიგრძეზე  
თავდაღმა მინაწერია:]

ერთი მეტად საყურადღებო პროექტი შევიტანე სი-

ნოდში, რომელიც რუსის ჩინოვნიკობას სულ არ მოეწონება, რადგან ვამტკიცებ, რომ ეს ჩინოვნიკობა მეტად რუსეთისთვის მავნებელს პოლიტიკას მისდევს მეთქი და სხ. და სხ. ვრცელია; დავბეჭდე, ეპისკოპოსს ხელი მოვანერინე და რუსეთს დავურიგე. საბლერმა მადლობა მოგვწერა მაგ პროექტისთვის. მინდოდა შენთან ერთის ცალის გაგზავნა, მაგრამ მეშინიან გაავრცელო, და მტრებმა დაგვასწროს და საქმე ჩაგვიფუშოს.

[1897 წლის 25 დეკემბრის შემდეგ]

## **პასილ კარბელაშვილისადმი №2 (27)**

დაუვინყარო მამაო და ძმაო ბასილიოს!

აღტყინებულის სიყვარულით მოგილოცავ თქვენ და თქვენს ოჯახობას შალიკოთურთ დამდგარს ახალწელიწადს და ვისურვებ თქვენდა ბედნიერებით, სიმრთელით და გამარჯვებით ყოფა-ცხოვრებას მრავალ და მრავალთა წელთა, ამინ!

წერილისთვის დიდად გმადლობ. პოლემ მომწერა ცოტაოდენი სამდურავი შენზე გალობის შესახებ და ღმერთმა ქნას, რომ ამ ახალს წელიწადს განბნეულიყოს ის ნისლი, რომელიც გარშემოხვევია თქვენს ძმობას და ერთობას. თქვენს<sup>1</sup> გალობას სულ ერთია ვასილ ეწერება თუ პოლიევკტოს: იმისი სახელია „კარბელოვი“, ყველა კარბელიშვილთა დიდებაა,<sup>2</sup> ყველა ძმების კუთვნილებაა და ძეგლი. გააგდეთ ეს მიწიური<sup>3</sup> ეშმაკი, ძმათა შორის მთესველი განხეთქილებისა და ნუ იყოფინ ძმათა შორის კარბელოვთა სამდურავი! მარიამ თეოფანეს ასულს გადაეცით ჩემი უგულითადესი ჭეშმარიტი პატივისცემა და სიმდაბლით მოკითხვა. მამა იოსებ ჩიჯავაძეს მეუღლითურთ მოახსენეთ ჩემგან მოკითხვა და ახალწლის მო-

ლოცვა: ღმერთმან სიბერემდი მიატანოს იოსებს ის უზაკვე-  
ლობა და აღფრთოვანებული სიყვარული მამულისა, რომე-  
ლიც<sup>4</sup> მას აქამდი ჰქონდა და შემინიშნავს სიყრმიტგან მისით.

[1898 წლის იანვრის პირველი რიცხვების შემდეგ]

### ალექსანდრე ყიფშიძისადმი №3 (28)

სასურველო ძმაო და მეგობარო  
ალექსანდრე!

ქრისტე აღსდგა! დიადის სიყვარულით მოგიკითხავ და  
მაგ შაქრიანს პირს გააკოცებ. ამასთან დიდს ბოდიშს ვიხდი  
შენთან, რომ ამდენს ხანს დანაპირი ვერ აღგისრულე იმ გუჯ-  
რის შესახებ, შენ რომ წინა-წერილით შემიკვეთე. ჩემი საბუ-  
თები დომხალივით არეული იყო, აქამდი ვერ მოვიცალე, რომ  
მომეძებნა ის თქვენთვის საჭირო გუჯარზე ცნობა. ეს თით-  
ქმის ერთი კვირაა, სულ მტვერით ავივსე და როგორც იყო  
მოვძებნე. ის გუჯარი ყოფილა შენახული Управление Госуд.  
Имуществом-ში,<sup>1\*</sup> თფილისში, წიგნათ არის შეკრული 99  
გვერდი<sup>2</sup> და Инвентар-ში («Книга Гуджаров»)<sup>3\*\*</sup> ჩანერილია  
1021 ნომრის ქვეშ, სადაც ჩანერილია «Книга Гуджаров  
Русской церкви»<sup>\*\*\*</sup> №4, და იქიდან გადმოანერინეთ.

შენი ჭირიმე, საშაჯან, ნუ გამიწყრები დაგვიანების-  
თვის, გარწმუნებ საქმეთაგან მოუცლელობით მომივიდა და  
არა სიზარმაცით... შენ რომ მიწყრები ამას მე იქიდან ვიგუ-  
ლისხმებ, რომ ერთი სტრიქონიც ვერ გამოიმეტე ჩემთვის მო-  
გენერა პასუხად ჩემის წერილისა. მე სულ ოთხიოდე მეგობა-  
რი მეგულვის და ამათში უპირველესად შენ, და დიად დავ-  
ლონდები, თუ ჩემმა გაუთლელობამ შენი კეთილი სულიც და-  
მაშორა.



ჩემი ახალი თანამდებობა მეტად რთული გამოდგა, ვერ ვიცლი საბუთების დაბეჭდვისათვის. მესამე ტომი თუ ვერ დავბეჭდე ისე მოვკვდი, ჩემს შრომას მეასედი ფასიც არ ექნება. თუ პენსია გავათავე, „ატსტავკას“ მივირტყამ მაშინვე და იმედი მაქვს უნაყოფოთ არ გავატარო დანაშთი ჩემი სიცოცხლე.

აკაკის („აკაკუნეს“) და მარრის ცილობა მეტად საინტერესო იყო და მიკვირს. არ ვინ ჩაერია. დიდი მასალა იპოვებოდა მარრის კასანკებად და გასამათრახებლად. ის ვაჟ-ბატონი, ეტყობა, ჯერ მეტად სუსტი ყოფილა ან განზრახ ჰმალავს საბუთებს და სომხებს ყალბ საბუთიანობით, გადამახინჯებულ ხრიკებით ექომაგება. „აკაკუნეს“ რომ პირი დააყოფინონ უვიცობით,<sup>4</sup> რატო თქვენ მეცნიერნი<sup>5</sup> გაჩუმებულხართ?

სამეგრელოს ჩემი სამსახური ჯერჯერობით ნაყოფიერი შეიქნა: მრავალი ახალი სკოლები გავხსენით, სადაც ქართულს ენასაც აქვს თვალსაჩინო ადგილი. სამინისტროს ისე საქმე გაუჭირეთ, რომ იძულებულნი შეიქმნენ აქა-იქ (ფორმისთვის კი!) ქართული შემოეღოთ, რადგან უამისოდ მათი სკოლები განსაცდელში ვარდებოდნენ. მთავრობასთან რამდენიმე დიალ საყურადღებო ქალაქები გავაგზავნეთ დასაცველად ენისა და ადგილობრივ<sup>6</sup> ეკლესიურთ ჩვეულებათა თითქმის ყველა შეწყნარებულ იქნა. ახლა ალექსანდრე ეპისკოპოსის ხელში იმედი მაქვს უფრო გავიმარჯვებთ.

გიგზავნი ანგარიშს ჩვენის სკოლებისას, რომელთა რიცხვი დღეს აღვიდა თითქმის ორასამდე და გთხოვ მიიღოთ „პოპეჩიტლობა“ ბომბოთის სკოლისა (რომელიც გახსნილია მარტვილის ახლო: ფოჩთის ადრესი: Хони,<sup>7</sup> учителю діакону Сильвестру Жорданія).\*\*\*\* ეს სკოლა მეტად საყურადღებო ადგილზეა ახლად გახსნილი და თუ თქვენ მფარველობას გაუნევთ, უსათუოდ ისახლებს თავს. თქვენი მფარველობა და მზრუნველობა იმაში უნდა გამოიხატოს, რომ საკმაო რვეულები, წიგნები და სხვა სამასწავლო<sup>8</sup> ნივთები უშოვოთ სკოლას. ოდნავაც რომ დაფაცურდეთ და სიით თითო გროში

შეკრიბოთ ნაცნობთაგან, თქვენი სახელი ამ სამეგრელოს კუთხეში არ გაქრება და წირვა-ლოცვაში მიუწერ, რათა ყოველდღე მოგიხსენიონ. იმედი მაქვს თხოვნას არ გამიცუდებ და „მზრუნველობას“ ბომბოთის სკოლისას იკისრებთ და პასუხს მიბოძებთ.

შენი ღრმად პატივისმცემელი ძმა და  
მეგობარი თევდორე ჟორდანიას.

[1898 წლის 30 ოქტომბრამდე]

\*სახელმწიფო ქონების სამმართველო

\*\* გუჯრების წიგნი

\*\*\* რუსული ეკლესიის გუჯრების წიგნი

\*\*\*\* ხონი, მასწავლებელს, დიაკვან სილვესტერ ჟორდანიას

## თედო სასოკიასადმი №6 (29)

30 ღვინობისთვე 1898 წ.

სასურველო ძმაო თეოდოტ!

შენი ნახვა რაჭაში მოგზაურობის შემდეგ დიალაც მსურდა, მაგრამ არ ვიცოდი სად იყავ, და ახლა დიდად ვისიამოვნე, შენი წერილი რომ დამხვდა ქუთაისში. ელენემ მიაბო შენი ამბავი და სწუხს, რომ კასპში ვერაფრით<sup>1</sup> ვასიამოვნეთო. ახლა აქ არიან, ბავშვებს აციებთ და თვითონ ელენესაც.

ლესურის ხეობაში კასპიდან ექვს ვერსტზე<sup>2</sup> რომ მონასტერი არის, ის მონასტერი („წითელი მონასტერი“)<sup>3</sup>, როგორც წარწერათაგან სჩანს, აღშენებული ყოფილა წმიდა იოანე ნათლისმცემლის სახელზე 1032 წელს ბაგრატ IV დროს, მთელი უდაბნო ყოფილა, მრავალი ქვაბები ან ჩამორეცხილია

ნიაღვრისაგან. პლატონ იოსელიანს რომ აუნერია პანანა ნიგ-  
ნაკში:<sup>4</sup> «Сваты[н]я Мамеба» სწორედ ამ მონასტერზე უნდა<sup>5</sup>  
ამბობდეს (ვითომ წა<sup>6</sup> თათეს მონასტერი იყოს), თუმცა ეს<sup>7</sup>  
აღწერილობა წარწერებს არ მოიხსენიებს. ჩემგან გადმონერი-  
ლი წარწერანი ქარუმიძეს დაუტოვე და მიკვირს, რად არ  
გადმოცა? ვგონებ ბროსსეს მოხსენებული აქვს და ჩემს პირ-  
ველს ქრონიკებშიც უნდა იყოს, როგორც მახსოვს ბროსსეს-  
გან. ახლა ნიგნები არეულია და ვერ შემიმონმებია.<sup>8</sup>

მდივანისთვის ადესაში რომ ტემების (sic) გაგზავნას  
მთხოვ,<sup>9</sup> ახლა უსათუოდ დაგვიანებულია და ამასგარდა არ  
ვიცი რა ხასიათის ტემა უნდა – საეკლესიო, თუ საეროვნო.  
მე მაინც მივწერ, თუმც გვიანია და თვალსაჩინო გამოძიებას  
ახლა ვერ მოერევა – ზაფხულიდან უნდა დაეწყო.

„მოამბეს“ დიდი ხანია არ ვკითხულობ და შენი ბოლოს  
დროს<sup>10</sup> „სტატიები“ გაცნობილი არა მაქვს. ბარაქალა, რომ  
ამდენ უკუღმართობას შენთვის ენერგია არ დაუკარგავს და  
კლდესავით დგახარ, კალამ[ს] არ აგდებ. პირმოთნეობით არ  
გეუბნები და მე ის დიდ ნუგეშად მიმაჩნია, რომ შენს ნაწე-  
რებს საქმიანობა, დაკვირვება და შრომა ეტყობა; ცხოვრების  
გზას ადგებარ და ფხიზლად, გულიანად ეკიდები და არა ისე,  
როგორც მთელი გუნდი ჩვენის „ბულვარბაშებისა“ – გარეგ-  
ნობით მოწიპულმოკაზმულნი, შინაგან მყრალნი<sup>11</sup> არანმიდე-  
ბით: მათი წყურვილი საქმე კი არ არის, რომელიც მათ არ შე-  
უძლიათ, არამედ მუქთად უსაქმურად მწერლობის სახელის  
მოხვეჭა, რომელნიც თვისს კაბინეტში თხზავენ<sup>12</sup> მას, რისაც  
ინჩი არ გაეგებათ... მაგრამ რალა გავაგრძელებ, შენ უკეთ იც-  
ნობ ამ ჯიშს ჩვენის ინტელიგენციისას, მათს შარლატნობას,  
ქარაფშუტობას, არა-რაობას,<sup>13</sup> გონება-ზნეობით გარყვნილო-  
ბას.

დიდ ნაყოფს მოიტანდი, რომ „საქმეთაშორის“ პატარ-  
პატარა სახალხოდ საკითხავ ნიგნაკებსაც თავს არ დაანებებ-  
დე: რათ გვინდა სკოლა, თუ ნიგნები არ გვექნება.

სულით და გულით მომილოცნია მეგრელთათვის ქართულ წირვა-ლოცვის შემოღება. შენს მეცადინეობას ამ საქმეში დიად დიდი ადგილი ეჭირა, და გეშინოდეს, სოხუმიდან ეპისკოპოსმა ეტაფით არ გაგისტუმროს.

„ვას გავეყარეთ და ვუჲს შევეყარეთ“ – ეს ჩვენს ეპარქიაზე ითქმის. გრიგოლ გავისტუმრეთ, მაგრამ ალექსანდრემ ლამის ჩვენ გაგისტუმროს. ამას კი არ ველოდი, რომ ალექსანდრე ქურდობას ხელს დააფარებდა. ამას წინათ ბლალოჩინების კრება იყო. გამოჩნდა რომ კოჭლს სოფრომ მგალობლიშვილს 2630 მანეთი და 3600 მანეთის სანთელი ჩაუბარებია სამღვდელოებისაგან და თან წაუღია, ანგარიშს არ გვაძლევს. გარდა ამისა რაც თვითონ სანთელი გაუსაღებია სანთლის ქარხნიდან (ოდესიდან ფუთი<sup>14</sup> 10 მანეთიანები გამოუწერია და 40 მანეთად გაუყიდნია) ამას ვინ ჩივის. გაიტენა ჯიბე და წავიდა. ამასაც არ დასჯერდა და ყალბ სანთლების ყიდვა გრიგოლს შესწამა. სოფრომისგან თურმე ფოთის დეკანოზს გამოუგლეჯია სანთლის საქმე და ამასაც ხელი მოუთფია. სამღვდელოებამ ფიცხელი ძიება დანიშნა და რევიზორად მე და ხოფერია დაგვნიშნა, როგორც მოუსყიდელნი პირნი. წარმოიდგინე, სანდრომ არ ქნა: ხელი დააფარა კოჭლსაც და დეკანოზსაც, სამღვდელოების დადგენილობა გააუქმა და იმისთანა კაცები დანიშნა ამ საქმეში, რომელნიც უსათუოდ ჩაფარცხავენ საქმეს. ყველა ეპარქიაში სანთელი უძღვება სკოლებს, ობლებთა სამზრუნველოს და უმთავრესს საეპარქიო<sup>15</sup> ხარჯს. ახლა ჩვენს სკოლებს რა ეშველება არ ვიცი: ორასამდი გავხსენით სკოლა და სახსარი-კი შენახვისა არა გვაქვს, ბევრი ვეჩიჩინე სანდროს, მაგრამ როგორც სჩანს მას ჰშინებია კოჭლისა, როგორც კანტორის სეკრეტრისა, ხოლო აქაურ დეკანოზის ხათრი აქვს. იმასაც გაიძახის თურმე, „მეგრელები ქართველებს სდევნიანო“ და ამისთვის საქმეს წარმოებაში არ აძლევს. მომწყინდა ამისთანა გარემოებაში სამსახური და მზადა-ვარ აქიდან გავეცალო სადმე შორს.... რადგან „არავინ წინასწარმეტყველი შეწყნარებულ არს თვის-

სა მამულსა“. თუმცა სამღვდელთა დიდად მენევა და მხარს მიდგას, მაგრამ ესრეთი უგვანი ქცევა ეპისკოპოსებისა ძირს უთხრის საქმეს.

წერა-კითხვის საზოგადოების მწევრთ სთხოვე, რომ ორ-სამ წელიწადში ხელი მოგვიმართონ და წიგნებ-რვეულები ბლომად გამოგვიგზავნონ, თუ მათ მართლა ჰსურთ სამეგრელოში ჩვენის ენის და განათლების გავრცელება. მერე გვიან იქნება. სამის წლის შემდეგ საქმე ისე მიგვყავს, რომ საშვალეობა გვექნება და არავის შევანუხებთ. სამეგრელოში ახლა 192 სკოლაა (ორ წელს სამად იქცა სკოლების რიცხვი!) და საჭიროა 1400 დედაენა, ამდენივე Русское Слово, რვეულები ქართულ-რუსული ათიათას ცალი. რამდენიმე მაინც შეგვეწიგნენ. სენაკში ძიმისტარიშვილს გაუგზავნონ გადასაცემად «Сенакскому Отделению Училищ. Совета».<sup>16\*</sup>

თუ საშა ყიფშიძე ჰნახო, სთხოვე, რომ ის მზრუნველია ბომბოთის<sup>17</sup> სკოლისა და 35 ბავშვებისთვის წიგნები და რვეულები გამოგზავნოს. რადგან ეს სკოლა მის სახელობაზეა გახსნილი, მე ჩემის მხრით, დიდ-ყურადღებით ვიქნები. ახლავე სახლი და მიწა შევაძენიე და თუ სასწავლო ნივთებს არ დაგვიკლებს სკოლა ისე წავა, რომ თავი მოიწონოს. ხოლო სამის წლის შემდეგ წითელ ჯვარზედაც წარვადგენთ; მისთვის, როგორც ჩინოვნიკისთვის, წითელ ჯვარს მნიშვნელობა ექნება და თვითონაც აფასებს, რამდენად ვიცი.

[IV გვერდის მარცხენა არშიის მთელ სიგრძეზე  
თავდაღმა მინანქრია:]

რას შვრება შენი კრება<sup>18</sup> ქართულ ანდაზებისა? არ შეუდრკე, განაგრძელე; იცოდე მარტო იმ კრებულით, სხვა რომ არა იყოს რა, დიდს ღვანლს გაუწევ ჩვენს საერო მწერლობას, საუკუნო სახელს დასტოვებ. თუ არ ახლა, მერე გვიან იქნება: ანდაზები ერის ხსოვნისადამ იკარგება, სხვაფერდება, ირყვება, როგორც ყოველივე კეთილი მამაპაპეული....

[| გვერდის მარცხენა და ზედა არშიის მთელ სიგრძეზე მინანურია:]

ელენემ დიდის პატივისცემით სალამი მოგახსენათ. ტასო ისევ ფოთშია. სულ ტყუილი გამოდგა, რაც მისს გათხოვებაზედ მოჭორეს – სამახარებლო მერგება!...

ეს-ეს არის ნავიკითხე „ცნობის ფურცელში“<sup>19</sup>, მოსიკო ჯანაშვილს „აღმოჩენია“<sup>20</sup> ახალი საბუთები“ საეკლესიო მუზეუმში და იმ „ახალ აღმოჩენილ“ საბუთებით საქართველოს საეკლესიო ისტორია დაუწერია და ექსარხოსს უბრძანებია მისი დაბეჭდვა. – მოსიკო რომ ნაქურდ-ბაცაცეებით შეადგენდა „ისტორიას“ ეს დასაჯერებელია, მაგრამ ის-კი ყოვლად შეუძლებელია, რომ საეკლესიო მუზეუმში მას „აღმოჩენოს“ იმისთანა რამ, რაც ჩემგან არ იყოს აღმოჩენილი და დასახელებული. სწორედ მოსიკოს ისეთივე აღმოჩენა მოუვა, როგორც მან მოგვალორა, როდესაც მისი „საქართველოს ისტორიაზე“ ბუკი დაგვიკრა „სიგელ-გუჯრებიდამ“ შევადგინეო, ხოლო ნამდვილად-კი, როგორც გიგა ყიფშიძემ დაამტკიცა, ბარათაშვილიდამ სიტყვა-სიტყვით ეთარგმნა, ხოლო მეორე ნაწილი – „გოლოვინის ისტორიიდან“. აი აღმოჩენაც ამას ჰქვია! მაგრამ ვნახოთ!.. „ღმერთმან ქნას ჩვენს ხბოს მგელი დაეჭიროსო“ – ნათქვამია. მაგრამ მე მაინც იმ აზრისა ვარ, რომ ხბო მგელს ვერ დაიჭერს, მხოლოდ მოგვალორებს.

[|| გვერდის მარცხენა არშიის მთელ სიგრძეზე და ზედა არშიის ნახევარზე მეტ სივრცეში მინანურია:]

ყიფშიძეები, კარბელიშვილები, ჭრელაანთი მომიკითხე, ყოვია გოგებაშვილს უთხარ, რომელიც რომ P-СЛОВО დაგვპირდა ასი ცალი იმას სამასი სხვა დაადვას და გამომიგზავნოს, მაშინ-კი უსათუოდ შევრიგდებით. ჩემისთანა დამცველი მისს სახელმძღვანელოებს მას არ ჰყოლია, მაგრამ იგი ბრმო-

ბით ვერასა ხედავს. უსათუოდ ნახე ყობია და სთხოვე, რაც ნერა-კითხ. საზოგადოებასთან<sup>21</sup> სათხოვარს გწერ, „პოლო-ლუსტა“ არ დაგავინყდეს. აქ ვერ ვიშოვე და თუ ერთს ცალს მოსე<sup>22</sup> ჯანაშვილის მიერ საეკლესიო მუზეუმის (რუსულ-ქართულად) აღწერილობას მომანოდებ დიდად დამავალეზ.

[III გვერდის მარცხენა არშიის მთელ სიგრძეზე მინანერია:]

ხვალ მე ფოთში მივდივარ, იქ ვიქნები 9 ნოემბრამდი; სამის დლით ქუთაისში დავბრუნდები და 13-იღამ ისევე ფოთში ნავალ; იქიდან სარევიზიოთ 21<sup>h</sup> ნოემბერს. თუ ფოთში მომწერ ამ აღრესით მომწერე: Священнику Зосиму Жорданія, с передачею...\*\* და სხ. თუ გამომივლი მეტად დამავალეზ, სალაპარაკო მეც ბევრი მაქვს.

შენი თედო

\* სასწავლებელთა საბჭოს სენაკის განყოფილებას

\*\* მღვდელ ზოსიმე ჟორდანიას გადასაცემად

## აღქსანდრე მოროპირიძისადმი №1 (30)

Ваше Преосвященство!

Гурійско Мингрельская епархія, в управление котораго Вы вступаеи волю Всевышяго Міроправителя и повелением бого хранимаго Самодержца нашего Государя Императора, основана Свв. Апостолами Петром и Андреем, орошена кровью их учеников, Мужей Апостольских и вселенских учителей, взлелеяна слезами и подвигами сонма местных мучеников и возрощена трудами вселенских и местных отцов и учителей церкви.

Вам, посвященному всей мудрости богословской и ц.-[ерковно] исторической науки, конечно, известно, что Понтийская церковь, в состав которой некогда<sup>1</sup> входил нынешний Батумский Округ, основана Ап.[остолом] Петром, а остальные части управляемой Вами епархии – первоначальным учеником Господа, Ап. Андреем, воздвигшим крест Христов на месте разрушенного им языческого капища в селении Мартвили (где был епископом чтец Господа Гермоген еп. Мингрельс.[кий])<sup>2</sup> и спутником его, Ап.[остолом] Симоном Кананитом, кончившим свою жизнь мученической смертью в<sup>3</sup> Абхазии. Память св. Климента<sup>4</sup> мученика, мужа апостольского, сосланного в конце I<sup>го</sup> века в Херсонес и поддерживавшего Христианство по всему берегу Черного моря, особенно чтится местной церковью несомненно за его особенные труды по утверждению Христианства на восточном берегу Черного моря. Делу евангельской<sup>5</sup> проповеди в сем крае посвятили свои труды и такие<sup>6</sup> светила вселенской церкви, каковы<sup>7</sup> Свв. Иоанн Златоуст и Максим Исповедник с его учениками, кончившие жизнь свою<sup>8</sup> в нашей стране. Святые мощи вселенского учителя и<sup>9</sup> мученика Максима Исповедника и сорока Севастийских мучеников (память коих вселенская церковь празднует 9 Марта), покоятся в пределах богохранимой Вашей епархии, преданные, впрочем, почти полному забвению.

Неимоверными трудами сонма мучеников, пастырей и учителей местной церкви Православие в пределах управляемой вами епархии окончательно восторжествовало в III и IV в., а в V в. оно находилось в цветущем<sup>10</sup> состоянии в крае, управляясь несколькими епископами, из которых Фазский или<sup>11</sup> Потийский епископ Феодор и Петронийский (Цихидзирский)<sup>12</sup> еп.[ископ] Иоанн подписывают акты V<sup>го</sup> Вселенского собора таким образом: «Я, Феодор, недостойный епископ Фазский из страны Мингрельской, определил<sup>13</sup> и подписал»; «Я, Иоанн,



недостойный епископ Петронійскій из страны Мингрельской, определил<sup>14</sup> и подписал». Таким образом еще в VI веке обе бывшія епархіи – Гурійская и Мингрельская, из которых в 1885 году составлена одна Гурійско-Мингрельская епархіа, имели своих представителей на вселенском соборе в лице вышеупомянутых епископов: Потійскаго Іоанна и Цихидзирскаго (Петронійскаго)<sup>15</sup> – Іоанна.<sup>16</sup>

Правда, впоследствии оба эти<sup>17</sup> города были поглощены морем, залившим восточные берега и кафедра Потійская упразднилась с перенесеніем Свв. Икон и др. достопримечательностей ея в г. Кутаис, где донныне, в кафедральном соборе, красуется знаменитая Икона бывшей Потійской кафедральной церкви, так называем[ая] Палеастомская чудотворная Икона Богоматери, но<sup>18</sup> Православная Христіанская церковь крепла и развивалась,<sup>19</sup> украшаясь великолепными храмами и монастырями, выдерживая кровавыя столкновенія со своими бичами человеческого рода, ярыми распространителями ученія алкорана (арабами, турками, Сельджуками, татарами, Османами), пока в XV в. не пал<sup>20</sup> под мечом Магомета II<sup>20</sup> Константинополь, этот ключ могущества Православнаго Христіанства на Востоке. Но и с захватом этой матери Христіанских городов Турками и водвореніем на пепелищах бывшей славной Византійской Имперіи Оттоманскаго царства поглотившаго все Православныя царства Востока, Христіанское населеніе края в теченіи 3<sup>1/2</sup> веков, отстаивало веру Отцов в непрерывной и неровной борьбе с магометанскими полчищами, покрывшими Черное море своими<sup>20</sup> судами и наводившими ужас на прибрежныя и пограничныя части<sup>21</sup> Гуріи и Мингреліи. Больше 2/3 всего населенія погибло в этой геройской<sup>22</sup> борьбе за Православіе.<sup>23</sup> Поредели ряды христовых воинов, но горсть оставшихся в живых<sup>24</sup> Христіан успела донести святое<sup>25</sup> знамя Православія до

порога XIX в. и вручить его в мощные руки великого Православного Русского<sup>26</sup> Народа, напоследок дней<sup>27</sup> призванного Провидением на защиту и восстановление<sup>28</sup> Православия на Востоке – для воздвижения Креста на полумесяце!

Княжества Гурійское и Мингрельское одновременно повергли пред носителями этой великой идеи – Российскими Самодержцами – все регалии своей власти и присоединившись к постоянным полчищам Христолюбиваго Российскаго войска, геройски проливали кровь во имя торжества Христіанкой идеи в рядах<sup>29</sup> непобедимых русских войнов.

Почти все отторгнутыя<sup>30</sup> Оттоманскою Имперією области древней Православной Грузіи силою меча возвращены и присоединены к обширной Православной Имперіи после последней Русско-Турецкой войны, но увы, – уже совращенные в магометанство. Таковы<sup>31</sup> Батумскій округ, Артвинская область, част Озургетскаго уезда. В 1885 г. из этих областей с присоединением к ним упраздненных епископских ка<sup>32</sup>едр, Гуріской и Мингрельской, образована новая<sup>32</sup> нынешняя Гурійская-Мингрельская епархія. Настало время мирнаго процветанія края.<sup>33</sup>

Первый епископ этой новой<sup>34</sup> епархии, Преосвященнейший Грігорій, приложил все свои<sup>35</sup> силы к устройению новой епархії, к врачеванію вековых ея ран. Но раны наши столь многочисленны и серьезны, что требуют врача опытнаго и неутомимаго для вершенія начатаго<sup>36</sup> болящим Преосвященным Григоріем для устройства епархії, которая по настоящее время неимеет ни одного прочно организованнаго учреждения для управления.

Провиденію угодно было прислать к нам, в лице Вашего Преосвященства, врача опытнаго, молодого, полнаго сил и энергій,<sup>37</sup> умудреннаго в науках богословских и светских,

испитанного в делах житейских, багато одаренного природными способностями при всем известном безкорыстии и чистоты нравов, снисхожденій к подчиненным и любвеобилии ко всем, вообще нуждающимся, при присущей Вашему Преосвященству приветливости, кротости и смиренія.

С светлыми надеждами и упованием взирая на будущее, приветствуем, Владыка, Ваше вступленіе на епископскую кафедру, учрежденную Св. Первозванным Ап.[остолом] Андреем, которой под управленіем В.[ашего] Преосвященства суждено подняться на прежнюю высоту в деле внутреннаго устройства и укрепления в вере и нравственности пасомых, с призваніем в лоно церкви тех, из бывших наших по вере братьев, которые силою меча совращены в магометанство, по сіе время<sup>38</sup> сохраняют уваженіе к Православно-Христіанским обычаям. С своей стороны я считаю своим долгом засвидетельствовать, что<sup>39</sup> в среде местнаго духовенства (неблистающаго, впрочем, учеными степенями) Вы имете немало помощников вполне послушных и деятельных, способных с увлеченіем вершать всякое доброе начинаніе, когда имеют во главе Кормчаго мудроаго, правоправящаго.

[1898]

## ალექსანდრე ოქროპირიძისადმი №1 (30)

თქვენო ყოვლადუსამღვდელოესობავ!

გურია-სამეგრელოს ეპარქია, რომლის მმართველობაც თქვენ დაგევალათ ყოვლად უზენაესი გამგებლის ნებითა და ჩვენი ღვთივდაცული, თვითმპყრობელი ხელმწიფე იმპერატორის ბრძანებით, დაარსებულია პეტრე და ანდრია მოციქულების მიერ, მორწყულია მათი მონაფეების, მოციქულების, მსოფლიო მოძღვართა სის-

ხლით, სათუთად ნაფერები ადგილობრივ ნამებულთა ცრემლებითა და თავგანწირვით და აღორძინებულია მსოფლიო და ადგილობრივ მამათა და ეკლესიის მოძღვართა ღვაწლით.

თქვენ, მთელ საღვთისმეტყველო სიბრძნესა და ისტორიულ მეცნიერებას ნაზიარებ ადამიანს, რა თქმა უნდა, მოგეხსენებათ, რომ პონტოს ეკლესია, რომლის შემადგენლობაშიც არასდროს შედიოდა დღევანდელი ბათუმის ოლქი, დაარსებულია პეტრე მოციქულის მიერ, ხოლო თქვენს მმართველობაში არსებული ეპარქიის დანარჩენი ნაწილები – უფლის მონაფის, ანდრია მოციქულის, მიერ, რომელმაც ქრისტეს ჯვარი აღმართა თავის მიერვე დანგრეული, წარმართული საკერპოს ადგილზე, სოფ. მარტივლში (სადაც ეპისკოპოსი იყო გერმოგენი, სამეგრელოს ეპისკოპოსი), და მისი თანამგზავრის – მოციქულ სიმონ კანანელის მიერ, რომელიც ნამებით აღესრულა აფხაზეთში. წმ. კლიმენტი ნამებულს, მოციქულს, რომელიც I ს-ის ბოლოს მოვლენილი იყო ხერსონესში და ქრისტიანობას იცავდა მთელი შავი ზღვის სანაპიროზე, განსაკუთრებული პატივით მოიხსენიებს ადგილობრივი ეკლესია მისი თავდადებული ღვაწლის გამო ქრისტიანობის განსამტკიცებლად შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. სახარების ქადაგების საქმეს მიუძღვნეს ამ მხარეში თავიანთი მოღვაწეობა აგრეთვე მსოფლიო ეკლესიის ისეთმა მნათობებმა, როგორებიც იყვნენ წმ. იოანე ოქროპირი და წმ. მაქსიმე აღმსარებელი თავიანთ მოწაფეებთან ერთად, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში აღესრულნენ. მსოფლიო მასწავლებლისა და ნამებულის – მაქსიმე აღმსარებლისა და 40 სებასტიელი ნამებულის (რომელთა მოხსენიებას ეკლესია 9 მარტს დღესასწაულობს) წმინდა ნაწილები თქვენი ღვთივდაცული ეპარქიის ფარგლებში განისვენებენ და, ალბათ, სრულ დავიწყებას არიან მიცემულნი.

თქვენს მმართველობაში არსებული ეპარქიის საზღვრებში ადგილობრივი ეკლესიის ნამებულთა, მწყემსთა და მასწავლებელთა უდიდესი ღვაწლის შედეგად, მართლმადიდებლობამ საბოლოოდ გაიმარჯვა III-IV სს-ებში, ხოლო V ს-ში აყვავდა მხარეში, სადაც ეპისკოპოსთა შორის იყვნენ ფაზისის, ანუ ფოთის, ეპისკოპოსი თევდორე და პეტრონიის (ციხისძირის) ეპისკოპოსი იოანე, რომლებიც V მსოფლიო კრების აქტებს ასე აწერდნენ ხელს: „მე, ფაზისის უღირსმა ეპისკოპოსმა სამეგრელოდან თევდორე, დავადგინე და ხელი

მოვანერე“; „მე, პეტრონიის უღირსმა ეპისკოპოსმა სამეგრელოდან იოანე, დავადგინე და ხელი მოვანერე.“

ამგვარად, ჯერ კიდევ VI ს-ში ორივე – ყოფილი გურიისა და სამეგრელოს – ეპარქიას, რომელთაგან 1885 წ. შეიქმნა ერთი – გურია-სამეგრელოს ეპარქია, თავისი წარმომადგენლები ჰყავდა მსოფლიო საეკლესიო კრებაზე ზემოთ მოხსენიებული ეპისკოპოსების სახით: ფოთის – თევდორესი და ციხისძირისა – პეტრონიისა – იოანესი.

მართალია, შემდეგში აღმოსავლეთ სანაპიროს ზღვით დაფარვისა და ამ ორივე ქალაქის წალეკვის გამო ფოთის კათედრა გაუქმდა, ხოლო მისი წმინდა ხატები და სხვა ღირსშესანიშნაობები გადატანილ იქნა ქუთაისში, სადაც საკათედრო ტაძარს დღემდე ამშვენებს ყოფილი ფოთის კათედრის ცნობილი ხატი, ე. წ. პალიასტომის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი, მაგრამ მართლმადიდებლური ქრისტიანული ეკლესია ძლიერდებოდა და ვითარდებოდა, დამშვენებული შესანიშნავი ტაძრებითა და მონასტრებით. მას უხდებოდა სისხლისმღვრელი შეტაკებების მოგერიება ადამიანის მოდგმის ყოველგვარ საშინელებათაგან, ყურანის მოძღვრების გავრცელებული გამავრცელებლებისაგან (არაბები, თურქები, სელჩუკები, თათრები, ოსმალები), ვიდრე XV ს-ში კონსტანტინოპოლი, ეს მართლმადიდებლური ქრისტიანობის ძლიერების გასაღები აღმოსავლეთში, არ დაეცა მეჰმედ II-ის მახვილის ქვეშ, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ეს ქრისტიანული ქალაქების დედა თურქებმა დაიპყრეს და დიდებული ბიზანტიის ნაფერფლარზე ოტომანთა სამეფო დამკვიდრდა, რომელმაც აღმოსავლეთის ყველა მართლმადიდებლური სამეფო შთანთქა, ამ მხარის ქრისტიანი მოსახლეობა 3 1/2 საუკუნის განმავლობაში იცავდა მამათა რწმენას განუწყვეტელ და უთანასწორო ბრძოლაში მაჰმადიანთა ურდოების წინააღმდეგ, რომლებმაც თავიანთი ხომალდებით გადაფარეს შავი ზღვა და შიშის ზარს სცემდნენ გურიისა და სამეგრელოს ზღვისპირა და საზღვრისპირა ნაწილებს. მთელი მოსახლეობის 2/3-ზე მეტი დაიღუპა ამ გმირულ ბრძოლაში მართლმადიდებლობის დასაცავად. ქრისტეს მხედართა რიგები შეთხელდა, მაგრამ ცოცხლად გადარჩენილ ქრისტიანთა მცირე ნაწილმა მოასწრო მართლმადიდებლობის წმინდა აღმის მიტანა XIX ს-ის ზღურბლამდე და მისი გადაცემა მართლმადიდებელი დიდი რუსი ხალხის ხელში, რომელიც განგებამ ბოლო უამს მოავ-

ლინა აღმოსავლეთში მართლმადიდებლობის დასაცავად და აღსადგენად, ჯვრის აღსამართად ნახევარმთვარეზე! გურიისა და სამეგრელოს თავადაზნაურობამ მთელი თავისი ძალაუფლება ერთდროულად დაუქვემდებარა ამ დიდებული იდეის გამტარებელ რუს თვითმპყრობლებს, შეუერთდა ქრისტეს მოყვარე რუსეთის არმიის მუდმივ მოქმედ რაზმებს და ძლევამოსილ რუს მეომართა რიგებში გმირულად ღვრიდა სისხლს ქრისტიანული იდეის გასამარჯვებლად.

რუსეთ-თურქეთის უკანასკნელი ომის შემდეგ უძველესი მართლმადიდებლური საქართველოს თითქმის ყველა კუთხე, რომელიც ლამის მთელი საუკუნის განმავლობაში მიტაცებული ჰქონდა ოტომანთა იმპერიას, მახვილის ძალით შეუერთდა ვრცელ მართლმადიდებელ იმპერიას, მაგრამ, ვაგლახ, უკვე მაჰმადიანობაზე მოქცეული. ესენია: ბათუმის ოლქი, ართვინის ოლქი, ოზურგეთის მაზრა. 1885 წელს ამ ოლქებისა და გურიისა და სამეგრელოს გაუქმებული საეპისკოპოსო კათედრების გაერთიანებით დაარსდა დღევანდელი გურია-სამეგრელოს ახალი ეპარქია. დადგა ამ მხარის მშვიდობიანი აყვავების პერიოდი.

ამ ახალი ეპარქიის პირველმა ეპისკოპოსმა, ყოვლადუსამღვდელოესმა გრიგოლმა, მთელი თავისი ძალ-ღონე მოახმარა ახალი ეპარქიის მოწყობას, მისი საუკუნეობრივი ჭრილობების მოშუშებას, მაგრამ ჩვენი ჭრილობები იმდენად მრავალრიცხოვანი და სერიოზულია, რომ ეპარქიის მოწყობისთვის თავდადებული ყოვლადუსამღვდელოესობა გრიგოლის დანყებული საქმის ბოლომდე მისაყვანად საჭიროა გამოცდილი და დაუღალავი მკურნალი, რადგან ამჟამად ეპარქიაში არ არსებობს მმართველობისთვის საჭირო არც ერთი მტკიცედ ჩამოყალიბებული დანესებულება.

განგებამ იწება, რომ თქვენი ყოვლადუსამღვდელოესობის სახით ჩვენთან მოველინა გამოცდილი, ახალგაზრდა, ჯან-ღონითა და ენერგიით სავსე, საღვთისმეტყველო და საერო მეცნიერებებში ღრმად გაცნობიერებული, საყოფაცხოვრებო საკითხებში გარკვეული, ბუნებრივი ნიჭით უხვად დაჯილდოებული ადამიანი, რომლის მიუკერძოებლობა და ზნეობრივი სინმინდე, მასზე დაქვემდებარებული ადამიანების მიმართ შემწყნარებლობა, ყველა გაჭირვებულთან გულთბილი დამოკიდებულება, ალერსიანი, თვინიერი და მორჩილი ხასიათი, დამახასიათებელი თქვენი ყოვლადუსამღვდელოესობისათვის, ყველასთვის კარგადაა ცნობილი.

მომავლის ნათელი იმედებითა და სასოებით შემყურენი ვესალმებით, მეუფეო, თქვენს აღსაყდრებას წმინდა მოციქულის, ანდრია პირველწოდებულის, მიერ დაარსებულ საეპისკოპოსო კათედრაზე, რომელიც თქვენი ყოვლადუსამღვდელოესობის მმართველობით ისევ ავა შინაგანი მოწყობისა და სამწყსოს რწმენასა და ზნეობრიობაში ძლიერების ადრინდელ სიმაღლეზე და ეკლესიის წიაღში დაბრუნებისკენ მოუწოდებს ჩვენს ყოფილ ერთმორწმუნე ძმებს, რომლებიც მახვილის ძალით არიან მოქცეულნი მაჰმადიანობაზე და დღემდე ინარჩუნებენ მართლმადიდებლური ქრისტიანული ჩვეულებების პატივისცემას. ჩემი მხრივ, თავს ვალდებულად ვთვლი, დაგარწმუნოთ, რომ ადგილობრივ სამღვდელოებაში (რომელიც, მართალია, არ ბრწყინავს სამეცნიერო ხარისხებით) თქვენ გყავთ ბევრი მორჩილი და საქმიანი თანაშემწე, რომელთაც შესწევთ უნარი, გატაცებით მიიღონ მონაწილეობა ყველა კეთილ წამოწყებაში, როდესაც სათავეში ჰყავთ ბრძენი და გონიერი მმართველი.

[1898]

### ვასილ კარბელაშვილისადმი №3 (31)

25 აპრ. 99.

სასურველო ძმაო და მამაო  
ვასილ!

გულითადს მადლობას გიძღვნი წერილებისათვის. ღმერთმა შენი მეგობრობა და კეთილი გული ნუ მომიშალოს. გადარეულის სიყვარულით მოვიკითხავ ერთად თქვენს პატივცემულ ოჯახობას მარიამ თეოფანესასულითათურთ (sic).

ეს მოსე კოდაშვილი, ამ ბარათის მომტანი, ჩამოვიდა აქ და თან არ ჩამოიტანა ის ქალაქდები ხელშეკრულობისა და სხვანი, რომელნიც მას აქვს ჩემგან მიცემულნი, სადაც შტრაფები და სხვანი მიწერია, თუ ვინიცობაა მას ის მამული არ

დამტკიცე. ახლა ცოლის სახელობაზე დამტკიცებას მთხოვს და უსათუოდ მოუხდება იმ ქალაქების და მიწის გეგმის (план) ჩამოტანა. ეს სხვანაირი კაცია და მასთან საქმის დაჭერა ისე არ შეიძლება, თუ ჩემი ქალაქლები არ დამიბრუნა, რამე ხათაბალაში გამრევს.

ეზოვის და მარრის წიგნები აქ არ იშოვება და არ ვიცი, ველირსები თუ არა მათს წაკითხვას. ახლა ექსარხოსს ველით და ამისთვის ფაცა-ფუცში ვართ, ამაღამ უნდა ფოთში ჩავიდე და იქიდან მარტვილში.

ეპისკოპოზი ალექსანდრე ჩემთან აშლილია ლეონიდის ჩაგონებით, როგორც ჩემი კეთილისმდომნი მარწმუნებენ. რა უნდა ან რა ინტერესი აქვს ჩემთან ლეონიდეს, მე არ ვიცი, ამას-კი ვხედავ, ჩემს დაბრკოლებას სცდილობს. ეს აშკარაა იქიდანაც, რომ მან ნება მისცა მოსე ჯანაშვილს ის უწმანური<sup>1</sup> ნაჯღაბნები გამოეცა მუზეუმის სახელით, რომელსაც ჰქვია მუზეუმის აღწერა, და ჩემს პიროვნებას ავის თვალთ შეეხო. ვერ მომიცლია, თორემ საჩივარს ვაპირობ მაგ აღწერილობაზე.

С-пет. Ведомост-ებში ნაიკითხავდით რაც საქართველოზე არის დაწერილი. ერთი წერილიც ამოწერილია ჩემის Отчет-ის\* დამატებიდამ..

ცოლი ავით მყავდა, შვილებიც. ამდენი წვალეა-ტანჯვა არა წელს არ გამომივლია. ღვთის გულისთვის თქვენს ლოცვა-წირვას ნუ მოგვაკლებ, ღმერთმან მოგაგოსთ მაგიერი ასწილ და ცოლშვილების<sup>2</sup> ბედნიერებას შეგასწროს და დაგატკბოს, ჩემო ტკბილო და მამულის მოსიყვარულო ხუცესო ვასილი. პოლიევკტო და ყველა ჩვენი საზოგადო ნაცნობები დამიკოცნე[.]<sup>3</sup>

შენი მარად ძმა  
თედო

\* ანგარიშის



## თედო სახოკიასაღმი №7 (32)

ძვირფასო თედო!<sup>1</sup> მადლობელი ვარ მოლოცვისათვის. სად იყავ არ ვიცოდით. ალექსანდრე ნიკიტინიც გკითხულობდა. თფილისში ორჯერ ვიყავ. ეს ორი დღეა ავად ვარ გაციების-გამო და დროზე ვერ მოგწერე. ერთი გამოიარე-და!

ელენემ და ბავშვებმა დიდის სიყვარულით მოგილოცეს ახალწელიწადი და გისურვებს მალე ცოლის შერთვა, შენთან ბევრი დანაშაული მაქვს, მაგრამ გავსწორდებით. თედო

[1900 წლის იანვრის II ნახევრამდე]

## პირიონ საკაბლიშვილისაღმი №1 (33)

ქრისტე აღსდგა!<sup>1</sup>

მარჯვენ-მარცხულისა თქვენისა სასოებით ამბორის-მყოფელი მოგილოცავთ ბრწყინვალე ქრისტეს აღდგომას და ვინატრი, რომ აღდგომილმა ყოვლად შემძლებელმა ღმერთმა ხორციელ ქმნას და აღადგინოს ყოველნი თქვენნი ზენაარნი მისწრაფებანი სასახელოდ თქვენდა და სასარგებლოდ მრავალ-ტანჯულის, წამებულის, ჯვარცმულის და კინლა დაფლულ-განხრწნილის ივერიის ეკლესია-სარწმუნოებისა. განამრავლენ უფალმან დღენი და წელნი თქვენნი, მოწყალეო მეუფეო, მრავალჟამიერ!

თევდორე ჟორდანია.

[1900 წლის 9 აპრილი]

## მოსე ჯანაშვილისადმი №2 (34)

1 ნოემბერი 1900 წ.  
ქუთაისით.

ძმაო მოსე გიორგის ძევ!

უდიადესს მადლობას გიძღვნით რომ უნუგემოდ არ დამტოვეთ ამ აუტანელს ქირში და განსაცდელში: განუსაზღვრელია და ცეცხლებ შემწველი ჩემი მწუხარება!

მწუხარე თევდორე ჟორდანიას

## ვასილ კარბელაშვილისადმი №4 (35)

3 ნოემბ 1900 წ.  
ქუთაისით.

სანატრელო ძმაო და მამაო  
ბასილ და მარიამ თეოფანეს ასულო!

ვაამე რა ცეცხლი წამეკიდა! დამექცა სახლი, დამიობლდენ შვილუკები, დავობლდი და დავეცი<sup>1</sup> სულით! ამისთანა სიკვდილი არ გაგონილა: სიცოცხლით სავსე ჯანიანი არსება გადაცვლილა სულ 12-15 საათის ავანთყოფობის შემდეგ შეუწევნელად, უნუგემოდ, უეცრად, ჩემდა დაუსწრებლად მამის ხელში!.. დავილუპე!! ათასი ლახვარი ისე ვერ დამკოდდა, როგორც ეს ამბავი. ვაამე ჩემს თავს, რას მოვესწარი!.. როჟბიცკის განგებ კაცი გავუგზავნე, ბლალოჩინი ტატიევი, დიდად ეწყინებოდა.

მადლობელი ვარ რომ ამ ჭირს და ცეცხლში ყოფნის დროს თქვენი ნუგეში არ მომაკლეთ, ღმერთი იყოს მიმგებელი თქვენი!

უიმედოდ მწუხარე  
ქვრივი თევდორე ჟორდანიას

## კირიონ საკაბლიშვილისადმი №2 (36)

5 ივნისი 1901 წ.  
ქუთაისით.

სასურველო მღვდელმთავარო კირიონ!

ეს-ეს არის სოფლებიდან ჩამოველ და თქვენი წერილი დამხვდა. ბავშვები წასასლველად მომზადებულან და ყოვლისფერი ორს ოთახში დაულაგებიათ, აურევ დაურევიათ. ბევრი ვეძებე, მაგრამ სემინარიის არხივებიდან ამოწერილი ცნობები ვერ ვიპოვე, სად ჩააგდეს ვინ იცის. მეტი დრო არა მაქვს, რადგან დღესვე, ერთის საათის შემდეგ, გზას უნდა გავუდგეთ, ბავშვები გორში მიმყავს და იქიდან ბერშუეთში. ხვალვე უკან უნდა დავბრუნდე, რომ 7 ივნისიდან 17 მდე ეგზამენებს უნდა დავესწრო. ამისგამო მომიტევეთ, რომ გაჩხრეკას ჩემის ქალღმერთისას ვერ შევსძლებ ახლა და იმ საბუთებს მთლად მოგართმევთ როდესაც გეახლებით თფილისში ამ თვის დამლევს.

ღმერთმან თქვენი განათლებული ღვაწლი ჩვენს დაქვეითებულს მწერლობას და ისტორია-ეროვნობას ნუ მოაკლავს. დღეგრძელ ბრძანდებოდეთ! ჭეშმარიტად მიხარის და დანუგეშებით ვარ, როდესაც წარმოვიდგენ და მოვისხენებ<sup>1</sup> თქვენს აღგზნებულ პატრიოტულ<sup>2</sup> გრძნობათა. ვაიმე რომ აქამომდე ვერ გიცნობდით! მრწამს, რომ ღრმა კვალს დას-

ტოვებთ ჩვენს ბედკრულს ცხოვრებაში და ღმერთმან გად-  
ლეგრძელოთ!

ფოთელები მზათ არიან თქვენის წერილისაებრ ასი  
თუმანი გადასდონ თქვენის აზრის განსახორციელებლად.

წალენჯიხის<sup>3</sup> საყდარი სავსე აღმოჩნდა ძველ ქართულ  
ტანისამოსიან მხატრობებით და ვინ იცის ეგების ვინმე შეა-  
გულიანოთ გადმოხატოს, რომ ტიატრებისთვის მაინც ძველ  
ჩაცმულობის მოყვარეთა თვალ-ყური<sup>4</sup> დაიჭირონ<sup>5</sup> და კაცი  
გამოგზავნონ. ინგრევა და იშლება მხატრობა: თუ მალე არ  
მიეშველნენ, მერე ათიათასი მილიონებიც დახარჯონ ვერ  
ალადგენენ, საუკუნოდ დაგვეკარგება!

თქვენის მეუფების  
უმდაბლესი მონა და  
მოსამსახურე  
თევდორე ჟორდანიას.

### კირიონ საკაბლიშვილისადმი №3 (37)

6 ფებერვალი 1902 წ.

თქვენო მეუფებავ,  
უსაყვარელესო მღვდელთმთავარო  
ჩვენო ნუგეშო კირიონ!

ვერიკა! იმ ერთს ბიბლიოტეკას, რომელზედაც მოგახ-  
სენებდით პირადად, კლიტე აუხსენი და ერთის მეგობრის  
საშვალეებით სამი ხელთნაწერი მიჩვენეს. იმათში ერთი აღ-  
მოჩნდა დიდი ხელნაწერი<sup>1</sup> უდიადესის ყურადღების ღირსი. ეს  
გახლავთ სამოციქულოს განმარტება, მე XIII საუკ. ხელნაწე-  
რი. ორგან ტექსტში, ტექსტისავე ხელით გრძელი წარწერა  
აქვს, რომლისაგან აღმოჩნდა, რომ ეს თარგმანი ეკუთნის და-

უმრომელს მწერალს ეფრემ მცირეს! ხელნაწერი სულ ორის დღითა მომიტანეს, ვერ დავტკბი ისე უკანვე წაიღეს: რომ არ დამენებებინა სხვებსაც არ მიჩვენებდნენ და ამიტომ დავმორჩილდი, თორემ ჯვარს რომ ვეცვეთ მაინც არ დავანებებდი,<sup>2</sup> ისრე ძვირფასია ის დიადი ხელნაწერი!

ცდას არ დავაკლებ, რომ სხვა ხელნაწერებიც ვიშოვო იმავე წიგნთსაცავისა. ვინ იცის რა არ აღმოჩნდეს! მართლა: აღმოვაჩინე იმავე ხელნაწერებში ეფრემ მცირისგან შედგენილი სვიმონ ლოლოთეის ცხოვრება! (დიალ!). მე რომ მოგახსენეთ იოანე პეტრინის საფილოსოფოსო მსჯელობანი დიოლოგონის<sup>3</sup> „კავშირზე“ იმავე ბიბლიოტეკასთან იპოვება, მაგრამ ალექსანდრე ახლა ფულს არ იძლევა, რომ ის წიგნი შევიძინოთ, ერთად-ერთი ცალია, რომელიც იოანე ორბელიანმა დაკარგულად აღიარა და სომხურიდამ გადათარგმნა. თქვენის შთაგონებით ეგებ გაბედოს ალექსანდრემ და რა კარგი იქნება მოსწერდეთ!

სხვა ჩემო მწყალობელო ბატონო მღვდელთმთავარო, ნუთუ ისე დამტოვებთ, რომ ამ სიბერის დროს სამსახურის გათავებაზე მიღწევილს ხელს არ აღმიპყრობთ? ჩემი სათხოვარი მარტო ის გახლავთ რაც ამის წინა წერილში მოგახსენეთ შესახებ действительный<sup>4</sup> Статс Советник-ობისა,\* რააცა ფაქტსა<sup>5</sup> ჭირია, რომ მღვდლობა მივიღო. განზრახვა ჩემი არის – მღვდლის ხარისხით პენსიის დამსახურების შემდეგ თფილისში თქვენის დახმარებით ადვილად ვიშოვნი ცოტაოდენ სახსარსა რომ ვიცხოვრო და მარტო საისტორიო შრომას მივსცე თავი თქვენის წინამძღოლობით.<sup>6</sup> თქვენთვის ჩამიბარებია ჩემი შემდეგი ბედი და თქვენ იცით.

თქვენის მეუფების უმდაბლესი მოსამსახურე  
თევდორე ჟორდანი

P.S. აქ რომ ქვეყანა აირივ-დაირია, ახლა ისევ დან-  
ყნარდა! დიდება შენდა ღმერთო! ან არევა რა იყო და ან თუ  
ასარევი იყო რამ დაანყნარა ნეტავი?

წყეულმა პოლიევკტომ სულ დამივინყა და არა ვიცი  
რა რა ხდება თფილისში. სულ ორი დღეა რაც უკეთ გავხდი,  
ძალიან<sup>7</sup> ავად გახლდით იფულენც-უფულენციით. ბავშვი ავად  
მყავს მეოთხე (სოსო). მართლა – ბავშვებმა დიდი მადლობა  
მოგწერეს კამფეტებისათვის, მაგრამ მადლობის ბარათი გი-  
გოსგან დანერილი არ მოიწონა ფელიკომ, მოუვიდათ უთან-  
ხმოება და ამასობაში აქამდი დარჩა, თუმცა მაინც ჰფიქრო-  
ბენ როგორმე მორიგდენ და ეპისტოლე მოგართვან.

ზიზლით ვკითხულობ „ცნობის ფურცელში“ გალაშქრე-  
ბას წინააღმდეგ სახალხო ჩვეულებათა!

\* ნამდვილი სამოქალაქო მრჩევლობის შესახებ

## კირიონ საპაბლიშვილისადმი №4 (38)

9 თებერვალი 1902 წ  
ქუთაისით.

თქვენო მეუფებავ  
ბრწყინვალეო მღვდელმთავარო  
კირიონ!

უმწვერვალესს მადლობას მოგახსენებთ ოციტუმნით  
შემწეობისათვის, რომელსაცა მე არ მოველოდი და არცა აზ-  
რად მომივიდოდა. ღმერთმა მოგაგოსთ მაგიერი! მე უსასყიდ-  
ლოდ მუშაობას ჩვეულ ვარ და საკმაოდ დაჯილდოვებული  
ვიყავ თქვენის კეთილის გრძნობით და გულუხვობით;  
მრცხვენია, რომ გაჭირვებაში მყოფმა თქვენი ჩემთვის დღეს

ფრიად ძვირფასი საჩუქარი უნდა<sup>1</sup> მივიღო. ღმერთმან გადა-  
გიხადოთ!

მეორე და უმთავრესი ჯილდო თქვენი, რომლითაც მე ხელი აღმიპყარით და აღმადგინეთ არის ის, რომ სამუდამოთ თფილისში დამასახლეთ მე და ჩემი ბიჭუკები. უთქვენოდ მე ერთ მტკაველს მიწასაც ვერ ვიყიდდი, არათუ სამოსახლოსა. საუკუნო სახსოვარი დამიტოვეთ მე და ჩემს შვილებს! კურთხეულ იყოს სახელი თქვენი! გარნა ყველაზე უძვირფასესი ჩემთვის ის არის, რომ ჩემმა მცირედმა შრომამ თქვენს გულში მცირედი მაინც ადგილი მომცა და ეს ხომ ჩემთვის დაუფასებელია! თქვენ ეგების ამას არად აგდებთ, ხოლო მე ჭეშმარიტად მზა ვიყავ და ვარ ყოველი თქვენი ბრძანება აღვასრულო შეძლებისაებრ მარტო იმ ანგარიშით, რომ თქვენის მფარველობის იმედი მომეცეს.

დღეს, როდესაც მე ცოლისაგან ობლად დავრჩი ქვეყანაზე გულშემატკივარი არა მყავს და ჭეშმარიტს მოგახსენებთ – ღვთის გარეშე თქვენ ზედა დამიცს ყოველი სასოება. ჩემი მტრები უთქვენოდ გამთელავენ სიბერის დროს და ჩემს შვილებს ულუკმაპუროდ დამიგდებენ. თქვენ რომ ჩემთვის ხელი არ გამოიღოთ მაინც ისიც დიდი ძალაა ჩემთვის, რომ თქვენი იმედით გაძლიერებული უფრო მედგრად ვიქნები. ღმერთმა სამსახური თუ გამათავებინა და თფილისში ბინა ვიშოვე, მაშინ ნახავთ, რომ მე ღირსი ვყოფილვარ თქვენის მფარველობისა და ხელის აღპყრობისა. მე ბევრს არას დავეძებ, ოღონდ შვილები დავზარდო და მაშრომონ.

ამ დღეებში ვიშოვნი ოცს თუმანს, რომელიც თქვენ მომთხოვეთ და მოგართმევთ. უკანასკნელ კიდე ნება მიბოძეთ მადლობის ნიშნად მარჯვნივ-მარცხენეთა გეამბოროთ და ვისურვო თქვენი მრავალჟამიერობით ნაყოფიერი ცხოვრება-მოღვაწეობა.

თქვენის მეუფების  
უკანასკნელი მონა

თევდორე ჟორდანია.

P.S. მძიმედ ავად ვიყავ. მე მოვრჩი და ახლა ორი ბავშვი ერთად ავად გამიხდენ. სიმამრი ბერშუეტს წავიდა და ხვალ მეც უნდა სოფლებში გავიქცე. ავათმყოფები უპატრონოდ უნდა დავყარო! ასეთია ჩემი მდგომარეობა!

ჭეშმარიტად ფასდაუდებელია ის სამოციქულოს განმარტება, რომელზედაც მოგწერეთ; მაგრამ მისი შოვნა სანამ პატრონი ცოცხალია შეუძლებელია ვგონებ თუ არ რომელიმე ხერხით. აქ პოლეა საჭირო და დაუფასებელი.

### **კირიონ საკაბლიშვილისადმი №5 (39)**

1902 წ. 16 ოკტომბრ  
ქუთაისით.

თქვენო მეუფებავ  
უმონყალესო მღვდელთ-მთავარო  
გულისა და გონებისაგან განუშორებლო კირიონ!

ვეამბორები რა თქვენთა მაკურთხეველ და მონყალე მარჯვენ-მარცხენეთა ვისურვებ თქვენს დღეგრძელობითს ცხოვრებას და გამარჯვებას. ვწუხვარ, რომ ვერ ველირსე თქვენს ხილვასა: მთელი ზაფხული ოთხ აგვისტომდი კურსები მქონდა და იოტისოდენა მოცლა არ მქონდა, ხოლო კურსების გათავეების უმალ ჩემი სიმამრი<sup>1</sup> მძიმე-ავადყოფი შეიქნა და ის ვერ დავტოვე იმ თვის დამლევამდი. ცოტახნობით თფილისში საქმისთვის ორჯერ ჩაველ და თქვენ არ ბრძანდებოდით, ზოგმა მითხრეს ნიქოზში არისო, სხვამ – ხვედურეთშიო და ზოგმაც კისლოვოდსკშიო. სეკდემბრის თვეში აქ ფოთში ისეთი აყალ-მაყალი ამიტყდა სოვეტთან და ეპისკოპოზ ალექსანდრესთან, რომ დღემდი ამ აყალ-მაყალს უნდები,



სულ თავს დამასხდენ, ყოველის უფლებისაგან გამაშიშვლეს და მე იძულებული შევიქენი რადგან დამაბეზლეს მეც პასუხი მივეც და ექსარხმა ახლა ვოსტორგოვი გამოგზავნა ფოთში. რითი გათავდება საქმე არ ვიცი, მაგრამ მე რომ ალექსანდრე ფოთში არ დამაყენებს ის-კი ცხადია. ფეხები გაუსივდა და ყველა იმის ნატვრაში არიან იქნება ღმერთმან იპრიანოს და თავისთან წაიყვანოსო, კათედრა დასცალოსო... თუ ეს მალე არ მოხდა ჩემი აქიდან გაყვანა გათავებული საქმეა.

თქვენი წასლვა ისე მოხდა, რომ ვერავინ გავიგეთ, თორემ პატივისცემით გაგაცილებდენ ბევრნი აქაურებნი, რომელნიც თქვენნი მოსავნი არიან. მე თფილისში ორი დღე გიცდიდი, რადგან მითხრეს თქვენ უნდა ჩამობრძანებულიყავით, მაგრამ არ ჩამობრძანდით და მე მეტი იქ გაჩერება არ შემეძლო.

ვაჟ ჩვენს უბედურებას, რომ თქვენის ხელით აღზრდილი და განმდიდრებული მუზეუმი მტარვალს ჩაუვარდა და დღეს მასე ფარფაშებს!

მე თქვენ იმდენი მონყალება მიყავით მინის ჩუქებით, რომ საუკუნოთ თქვენი ყმა უნდა ვიყო. თუ არ თქვენით, მე ამის ყიდვას არასდროს ვერ მოვახერხებ[დი],<sup>2</sup> ის თქვენი ნაჩუქარია, და ღმერთმან შემაძლებინოს მაგიერის გადახდა! იკურთხოს თქვენი სახელი უკუნისამდე! ჩემი შვილები საუკუნოდ თქვენი მლოცავნი იქნებიან. დანარჩენ ფულსაც უსათუოდ მოგაწოდებდი ამდენ ხანს, მაგრამ პური ვერ გავყიდე და ფრიად გაჭირვებული ვარ.

თქვენის მეუფების უკანასკნელი მონა  
თევდორე ჟორდანი.

## კირიონ საკაბლიშვილისადმი №6 (40)

10 ივნისი 1903 წ.  
სოფელ ბანძიდან  
(სამეგრელო).

თქვენო მეუფეზავ,  
უძვირფასესო მეუფეო  
უმონყალესო მღ[ვ]დელთ-მთავარო<sup>1</sup>  
კირიონ!

აღფრთოვანებულის გრძნობით მოგილოცავთ თქვენს ნარმატებით ორიოლის სათვითმმართველო კათედრაზე დაბრძანებას. ამიერითგან კურთხეულ და დიდებულ ჰყოს სახელი თქვენი სამშობლოსთვის და სამშობლო მწერლობისათვის. მთელი ქვეყანა გახარებულია და ნუგეშინისცემული ესრეთის თქვენის ბედნიერებით. მე გვიანლა გავიგე ეს ამბავი, რადგან სოფლებში დავეხეტებოდი და როდესაც დავბრუნდი არ ვიცოდი სად მიმენერა თქვენთვის მოლოცვის დეპეშა – ხერსონში თუ ორიოლში. ამიტომ მომიტევეთ.

აპრილის უკანასკნელ რიცხვებში კრება გვქონდა თფილისში ყველა ეპარქიის მეთვალყურეთა. ღვთის მადლით სამეგრელოში ქართულ ენის საქმე კარგად გარიგდა. ჩემმა საბუთიანობამ ვოსტორგოვიცკი დააფიქრა და ყველა[მ]<sup>2</sup> ხელი მოაწერეს საზოგადო დადგენილობას, რომლის ძალით ქართულ ენას სამეგრელოს სკოლებში ისეთივე ადგილი ეჭირება, როგორც უჭირავს საქართველოს სხვა ნაწილებში. ნახდა ალექსანდრე ეპისკოპოსის ნამოქმედარი! წყეულიყოს მისი სახელი ლევან ეპისკოპოსითურთ,<sup>3</sup> რომელმაც უკანასკნელ მთლად თავი შეირცხვინა იმით, რომ ქალაქი შეუტანია ობერპროკურორთან – ქუთაისის სემინარია დაიხუროსო!! დიდად აშფოთებულია საზოგადოება. –

ახლა აქ სამღვდელოების კრება იყო, რომელსაც მეც დავესწარ. კრებამ განდევნა ერთი რუსის მღვდელი პრონიცკი, რომელმაც დიდი შეურაცხყოფა მიაყენა მთელს სამღვდელოებას, ოქმი შეადგინა ამაზე და დიმიტრის წარუდგინა დასამტკიცებლად. გარდა ამისა რადგან დიმიტრიმ ნება არ მისცა სასულიერო სასწავლებელში ქართულ მწერლობითის ენის შემოღებაზე, რომელიც ამ დროებაში განდევნილია, კერძო მსჯელობა იქონია იმაზე და თვისი ოქმი ყველა მღვდლებისაგან ხელმოწერილი პირდაპირ ობერპროკურორს გაუგზავნა<sup>4</sup> ფრიადის პროტესტით. ეს გარემოება გაუგია ვოსტორგოვს, გადმოფრინდა ჩვენკენ, შექმნა ყვირილი და ვაება, მე სოფლებში ვიყავ და საბედნიეროდ ვერ მიპოვა, მაგრამ უ[ე]ზდის<sup>5</sup> მეთვალყურენი, რომელნიც მეთაურობდენ ამ საქმეში, წარუდგენია დასათხოვნად, აგრეთვე ყველა სკოლის მეუფროსე მღვდელნი, რომელნიც მეთაურობდენ და ხელი უწერიათ. ამაზე დიმიტრი და ვოსტორგოვს დადგენილობაც უქმნიათ. ჯერ არც ერთი არ მინახავს, მაგრამ ხმა დადის, ვითომ მეც დამითხოვონ როგორც ვითომდა უჩინარად წამქეზებელი მღვდლებისა. დავილუპები, რომ ეხლა გამაგდონ. ჩემი შვილი ახლა გადავიდა მერვეში; ერთის წლის შემდეგ<sup>6</sup> კურსი უნდა გაათავოს მეორემ, ორნივე უნდა უნივერსიტეტში გავგზავნო და ხომ დაილუპნენ, თუ მე მარტო პენსიაზე დამტოვეს! შიშით ფოთში ვერ ჩავსულვარ, რომ შესაზარი ამბავი არ გავაგონო ჩემს ყურებს. – ფოთში აღმოჩნდა<sup>7</sup> ბევრნი „საქმენი საგმირონი“ ჩაჩანიძისა და ალექსანდრესნი. ფული გაუფლანგავთ, ხოლო ფოთის საკათედრო საყდრისთვის შეგროვილი ორასი ათას მანეთი ჯერაც კარგად არ იციან, თუ სად ინახება. თურმე ნუ იტყვიოთ, იმ ფულებით კენჭაობდენ და სავაჭრო ოპერაციებს აკეთებდენ!

ჩემი პასუხი ალექსანდრე ეპისკოპოზის წერილზე, რომელმაც უარყო, ვითომ ქართულ ენის განდევნაში სამეგრელო სკოლებიდან<sup>8</sup> მას მონაწილეობა არ მიეღოს და ვითომ ჩემგან მოგონილი იყოს, არ დამიბეჭდეს გაზეთებმა. ამიტომ მე იძუ-

ლებული შევიქენი დამებეჭდა იგი წლიურ ანგარიშში – ოფიციალურ გამოცემაში. ახლაც უარს იტყვის?!

ახლა ერთს სათხოვარს მოგახსენებ, იმედი მაქვს უსათუოდ შემისრულებთ, რად[გან]<sup>9</sup> ერთის თქვენის ბრძანების მეტი არა სჭირია რა მისს შესრულებას. სემინარია რომ დაიხურა, მოგეხსენებათ, მრავალი ყმანვილები სკოლის გარეშე დარჩნენ. ამათში მარტო სამოცს მისცეს ნება თფილისის სემინარიაში შესვლისა, იმათშიც უმეტესად რუსებ-ბერძნებსა. სხვათა შორის სკოლის გარეშე დარჩნენ თქვენის კარგის შეგირდის და<sup>10</sup> ნაცნობის ნადეჟდა კეკელიას<sup>11</sup> ორი<sup>12</sup> ძმები, რომელთაგან უფროსი მეექვსე კლასში გადადიოდა, ხოლო მეორე – მეოთხეში. ახლა თქვენმა ნაშაგირდალმა ნადეჟდა კეკელიამ და მისმა მამამ საოსტატო საეკლესიო სკოლის გამგემ მთხოვეს მომენერა თქვენთვის ეს ბარათი და მეთხოვა შველა. მე იმედი მაქვს თქვენ უბრძანებთ თქვენს ხელქვეითს რეკტორს ის ორი ყმანვილი მიიღონ ან ეგზამენით შემდეგს კლასებში და ან უეგზამენოდ იმავე კლასებში. ხოლო სარჩოსთვის არ შეგანუხებენ – თვისი სარჩო ექნებათ, ოღონდ მიაღებინეთ. თფილისში ამათი გაგზავნა შეუძლებელი გახდა ზემო აღწერილ გარემოებათა მიზეზით, რადგან მამა ამათი, ბლალორჩინა ანტონ კეკელია, ერთი მოთავეთაგანი იყო სინოდში ზემოხსენებულ საჩივრის გაგზავნისა შესახებ ქართულ მწერლობითის ენის ხელახლად შემოღებისა სამეგრელოს<sup>13</sup> სასულიერო სასწავლებელში. ახლა ამ კეკელიას უნდა წაართვან გამგეობა **ВТОРКЛАСНИ**\* სკოლისა და ბლალორჩინობაც, და რასაკვირველია მისს შვილებს თფილისის სემინარიაში ვოსტორგოვი არ მიაღებინებს, ხოლო თუ როგორმე მიიღებს – გამოაყრვეინებს. აქ მარტო თქვენი მღვდელთმთავრული შემწეობა იხსნის ჭირისაგან ქართულ ენისათვის თავგამოდებულს კეკელიას. აღსდევინ მეუფეო ხელისაღპყრობად მამულის მოყვარეთა. სხვათაცა ბევრს თქვენკენ უჭირავთ თვალები მებრძოლთა ენისათვის იმედით, რომ განწირულ მდგომარეობაში თქვენ მიიღებთ მათ თქვენს ეპარქიაში. ამათგან მე დამავა-

ლეს მომენერა თქვენთვის თქვენს ეპარქიაში მღვდლის ადგილებზე გადაყვანა ორმა დიდად ნიჭიერმა ახალგაზდა სტუდენტ-მღვდლებმა (იმათში ბობოხიძე ორატორია, ხოლო ჯოხთაბერიძე – ჩინებული კანცელიარისტი), რომელნიც „ბუნტის“ სათავეში იდგნენ და დღეს ყველა თანამდებობისაგან აშიშვლებენ. ორნივე ცხოვრობენ ზუგდიდში: პირველი გახლავთ **ВТОРОКЛАССН** სკოლის გამგე მღ. ივანე ბობოხიძე, ხოლო მეორე ზუგდიდის უეზდის სკოლების<sup>14</sup> მეთვალყურე ტროფიმე ჯოხთაბერიძე. ეგების ინებოთ ამათი ნუგეშინისცემა და ამიტომ გწერთ მათს ვინაობას<sup>15</sup>.

ხოლო ჩემი სათხოვარი გახლავთ იმავე ორ კეკელიეზის თქვენს სემინარიაში განწესება. გევედრებით თქვენი პასუხი მოაწერინოთ შემდეგის ადრესით: **В Новосенаки, благочинному священнику Антонію Кекелія в селеніе Бандза.**\*\*

თქვენის მეუფების ფერხთა მტკვერი  
თევდორე ჟორდანიანი.

\* მეორე კლასის

\*\* ახალი სენაკი, ბლალოჩინ მღვდელს ანტონ კეკელიას სოფელ ბანძში.

## **კირიონ საკაბლიშვილისადმი №7 (41)**

11 თებერვალი 1904 წ.  
ქუთაისით.

თქვენო მეუფებავ,  
სასიქადულო მღვდელთ-მთავარო მონყალეო ჩემო კირიონ!

ბედისგან დაჩაგრულ-დაძაბუნებულს, თითქმის გულგატეხილს ჩვენის უიდეალო-უძლურ-ურწმუნო-ყოყოჩა ინტე-

ლიგენციისაგან და პირადთა მტერთაგან, რომელთაც უკანასკნელ ჟამს მომიცვეს მე „ძალღებრ მრავალ“, დღეს ისევ სული ჩამიდგა თქვენმა წერილმა გაზეთს „ივერიაში“ (11 თებერ.) შესახებ ქართულის ენისა. კურთხეულ იყოს სახელი თქვენი! ღმერთმან შეგაძლებინოს თქვენის რიხიანის სიტყვით ჩვენი ჩაძინებული გზა-დაკარგული ინტელიგენცია, მამულის მგმობარნი და მეტიჩარნი, პატრიოტულ საქმისდა მოგებრუნებინოს. ამინ იყავნ! მაგრამ, ვაჰ ჩემდა, იმედი მცირეა...

მე იმდენად დამჩაგრეს თქვენს შემდეგ, რომ თქვენი მონყალებანიც დამავინწყეს ან უკეთ რომ ვთქვა, თქვენთან მადლობის წერილის დაწერა დამავინწყეს, თორემ რაც თქვენ ჩემზე მონყალევა მოიღეთ სამოსახლო მიწის ჩუქებით იმის დავინწყება არც ჩემგან და არც ჩემ შვილებისაგან შეუძლებელია. ორჯერ გაახელით წერილი, მაგრამ მოგივიდათ თუარა არ ვიცი, რადგან БАПТА-ში გავგზავნე, და რადგან პასუხს ვერ ველირსე (ან რად ველოდი!), ვიფიქრე, ალბათ თქვენი გულიც შეარყიეს ჩემმა მტრებმა-მეთქი, და უიმედობას თავი მივეც...

მე ესლაც იმ აზრზე ვარ, რომ რაც ჩვენმა მეჭორებმა სწერეს და მიმოაჭორეს მას შემდეგ ადვილად შეგეცვლებოდათ ჩემზე აზრი, რადგან ჩემი პასუხი ერთიც არ დაბეჭდეს,<sup>1</sup> ხოლო ჩემის მტრებისა ბუქ-ნალარით გამოაქუხეს. ნათქვამია, ქვეყანამ თუ შემოგძახოს ბრმა ხარო – „ბრმა ვარო“ უნდა უთხრაო. მეც ავიღე და გავჩუმდი, დეე ბრმა ვიყო! გარნა ღმერთმა მრავალი ათასი ჩემისთანა თავდადებით<sup>2</sup> და ერთგულად<sup>3</sup> მოსამსახურე „ბრმანი“ მისცეს ჩვენს ბედკრულს სამშობლოს, რომლის შვილობის ღირსნი არ არიან აწინდელნი მჩხავანა კაცუნები<sup>4</sup> ბულვარისტები!

თქვენ ღვთის მაცხოვრის წარმომადგენელნი ბრძანდებით ქვეყანაზე და იცოდე როგორც ღვთისწინ სიმართლეს მოგახსენებ, რომ სამეგრელოში ქართულ ენის მოსპობას რომ მაბრალევენ არათუ სრული სიცრუევა, არამედ ამ საქმეში ჩემი თავგანწირვა გმირობამდი ავიდა, გარნა ვაჰ ჩვენ, ერთი მხედარი ლაშქრობას ვერ გასწევს, ხოლო ფოთში მე მარტო

მამულის მოლალატენი ვნახე, ნამდვილნი მოლალატენი, რომელნიც სულ უბრალო ანგარიშით საქვეყნო საქმეს ძირს უთხრიან!.. ნეტავი ეს ჩემის თვალთ არ მენახა მაინც!! უპირატესი მგმობარი აღმოჩნდა ის, რომელსაც მე უმეტესად ვეთყვანებოდი ვითარცა ბურჯს – ნიკოლაძე! არ იფიქრო, ღალატობა მათი იქნა შეცდომით, არა, განზრახვით გაგვყიდეს!

განა არ ვიცი, რომ<sup>5</sup> თქვენ ამას არ დაიჯერებთ და ვერც შეგიძლიათ დაიჯეროთ, მაგრამ ცხოველ არს ღმერთი – სიმართლეა; ხოლო მე თუ გნებავთ თქვენც ქვით ჩამქოლეთ, მაინც ხომ ჩაქოლილი ვარ და ყველასგან განკიცხულ-განგდებული და მეტს აბა რას დამაკლებთ. მე მთელი ქვეყნისა კიცხვისაც<sup>6</sup> არ მეშინია, რადგან შიგ გულში სვინიდისი მინათებს და მამხნეებს, როდესაც თქვენ ყველანი დამცინით, მტანჯავთ. ხშირად მახსენდება ტანჯული სიმართლისათვის ქრისტე ჩემი უფალი. აბა მე როგორ უნდა გავბედო ჩემი თავი მას შევაფარდო, მაგრამ მამულის წინ მე ისე უმანკო ვარ, როგორც ქრისტე იყო წმიდა ყოველს ცოდვისაგან. ცოდვები ბევრი მახლავს და გულთამხილავი იყოს შემდობელი, გარნა მამულის წინაშე არცა ერთი, არც ნახევარი. ეს ჭეშმარიტებათა ჭეშმარიტებაა იცოდეთ!

აღექსანდრეს ეპისკოპოსობას რომ ყოველი ბოროტება მოყვა და რომ მალე არ აებარებინათ უარესიც მოყვებოდა ამაზე არას დაიჯერებთ და ამიტომ ვდუმ...

მაგრამ ქართულ ენის განდევნის შესახებ ორიოდ სიტყვას მოგახსენებთ.

დიდხანია, რაც დაიწყეს ლაპარაკი, რომ რაკი სამინისტრო სკოლებიდან სამეგრელოში ქართული ეს ათიოდე წელიწადია განდევნილი არისო, უსათუოდ საეკლესიო სკოლებიდანაც უნდა იქნეს განდევნილიო. კერძო საუბარში და საზოგადო ლაპარაკშიც მე იმდენად თავდადებით დავიცევ ქართულ ენის ინტერესი, რომ მონინააღმდეგენი დადგნენ იმ აზრზე, ხუცური უსათუოდ დარჩესო, ხოლო მხედრულის სწავლება შემოკლდესო, „დედა-ენა“ ნუ იქნებაო და პატარა სა-

ხელმძღვანელო დაინეროსო, რომელიც სიტყვიერად მე მომანდეს. მაგრამ განა საქმით ამას მე ვიზამდი? მდუმარებითმა ბრძოლამ მოწინააღმდეგე გააჩერა, მაგრამ ჩემდა გაუგებრად სინოდისთვის დაუმტკიცებინებიათ ახალი პროგრამა, რომელშიც „მეორე ტიპის“ პროგრამით (უქართულენოდ) სწავლება უნდა შემოღებულ იყოს იმ სკოლებში, რომელნიც გახსნილნი არიან ქართულ ენის არამცოდნე ხალხთა შორის.<sup>7</sup> აქ მეგრელებზე და მეგრულ ენაზე ლაპარაკი არ არის, ოღონდ იგულისხმება. ვოსტორგოვმა ეს პროგრამა გამოუგზავნა ჩვენს სოვეტს და ითხოვა ეცნობებინა, რომელი სკოლები გურია-სამეგრელოს ეპარქიისა უნდა იქნენ შერიცხულნი „მეორე ტიპში“ (უქართულენოდ)<sup>8</sup> და რომელი პირველში. ეპისკოპოსს ალექსანდრეს დიდხანი იყო ეჩიჩინებოდენ თევდორე გააგდე და შენი ნათესავი მოიყვანეო მის ადგილზე, რამდენჯერმე მოინდომა ჩემი დათხოვა, მაგრამ რაკი გაიგო უსინოდოდ არ იქნებოდა – ვერ გაბედა მით უმეტეს, როდესაც მეც მაგრად დავუდექ და მისს მრჩევლებს – ჩაჩანიძეს და თოხაძეს – დიდად დავემუქრე. ამ ეპარქიის მჭამლებმა მოქრთამებმა და გამცემლებმა<sup>9</sup> ახლათ თავი ამოყვეს მაშინ, როდესაც ეს კითხვა დაიბადა სოვეტში. იფიქრეს: მოდი, თევდორეს მოვთხოვოთ ამაზე თვისი აზრი შემოიტანოს წერილობით. ის უსათუოდ<sup>10</sup> პატრიოტულ აზრს გამოსთქვამსო და მაშინ რუსებს მივსცეთ ხელშიო. ეს მათი<sup>11</sup> გეგმა მე არ ვიცოდი, მერე გვიან გავიგე. სხდომაზე თოხაძემ (თავმჯდომარემ) დაინიჟა შენი აზრი წერილობით შემოიტანეო და მხოლოდ მაშინ ვიქონიებთო ამაზე მსჯელობას. მე მოვახსენე: სრულიად საჭირო არ არის სოვეტმა ახლა ვრცელი აზრი გამოთქვას, რადგან სამეგრელოზე სიტყვაც არ არის ნათქვამი არც ახალ პროგრამაში არც მოწერილობაში. მოვახსენე: ახლა მივუგოთ, ყველა ეპარქიის სკოლები პირველ რიგს ეკუთნიანთქო. – მაშინ თფილისიდან დაგვიბრუნებენ კითხვას: სამეგრელოს სკოლები რომელ „ტიპს“ უნდა ეკუთნებოდნენო? ამაზე ჩვენ მოკლედვე მივუგოთ: სამეგრელოს სკოლებიც პირველს ხარისხს ეკუთნი-



ანთქო. მაშინ თფილისიდან რისხვითი ქალაქი მოგვივა: არა, სტყუით, მეგრელები ქართველნი არ არიან, ქართული არ ეს-  
მით, იქაურ სკოლიდან ქართული განიდევენოსო. მაშინ ამ  
მცირე ფარგალში მოქცეულ მტრებს საშინლად დავამარ-  
ცხებთ, გადაუშლით რა მთელს ლექსიკონს და გრამმატიკას  
ქართულ-მეგრულისას და სრული ოფიციალური<sup>12</sup> გამარჯვე-  
ბა დაგვრჩება მეთქი. მაგრამ თოხაძე-ჩაჩანს საქმე კი არ უნ-  
დოდათ, არამედ ჩემი გახვევა, რომ გავეცეთ როგორც პატ-  
რიოტი და მომთხოვეს პასუხი. მე მოვახსენე: რადგან პასუხს  
თხოულობენ არა ეპარხიის მეთვალყურესაგან არამედ სოვე-  
ტისაგან, ამიტომ სოვეტმა უნდა მისცეს პასუხი და არა მე,  
რათა არამკითხე მოამბე არ გამტყიპონ მეთქი,<sup>13</sup> ხოლო მე  
როგორც ერთი მწევრთაგანი სოვეტისა თქვენთან ერთად  
მსჯელობაში მონაწილეობას ვიღებ, თუ გნებავთ და მომან-  
დობთ კიდევ დავწერ სოვეტის მაგიერს მოხსენებას, რომელ-  
საც მეც სხვა მწევრებთან ხელს მოვანერ მეთქი. და მარ-  
თლაც დავწერე ვრცელი მოხსენება სოვეტის სახელით. მაგ-  
რამ ჩაჩან-თოხაძ-ნიკოლაძემ მათის კუდებითურთ სულ სხვა  
უნდოდათ და მომთხოვეს, უსათუოდ შენის სახელით უნდა  
შემოიტანოო. ამაზე მე უარი განვაცხადე: როდესაც სოვეტს  
ჰკითხავენ მეთვალყურემ რომ პასუხი გასცეს ის არამკითხე  
მოამბე<sup>14</sup> იქნება, რომელიც უნდა მიტყიპონ და მიაგდონ...

ასე გახლდა საქმე, როდესაც, 25 აპრილს, ექსარხოსი  
გვეწვია ფოთში. მეორე დღეს, 26 აპ., ჩვენი ახალი თავმჯდო-  
მარე თალაკვაძე დაიბარეს, მეც თან გავყევ, მივედით ალექ-  
სანდრეს სასახლეში. ვოსტორგოვი, ექსარხი და ალექსანდრე  
ერთად იდგნენ და გამოგვიცხადეს: თქვენ რომ (სოვეტს) კით-  
ხვა გაქვთ სამეგრელო სკოლების შესახებ იმაზე ანი მსჯელო-  
ბა ნუ გექნებათო, რადგან ჩვენ თვითონ გადავწყვიტეთო.  
თქვენ მხოლოდ სია გამოგვიგზავნეთო სამეგრელოს სკოლე-  
ბისა. ამ საუბარს ჩვენს გარდა ნიკოლაძეც დაესწრო (ბო-  
ლოს). სადილზე კიდევ ექსარხოსმა იხმარა ფრაზა: поэтому  
вопросу мы с пр.[еосвященством] Александром уже согласились.\*

ცხადი იყო, რომ ალექსანდრე დაუთანხმებიათ და როგორც საგულისხმებელია ოქმიც შეუდგენიათ. კითხვა სოვეტში მოისპო. სია გაეგზავნა. მოიწერეს ახალ პროგრამით ასწავლეთო. მეც ყრუდ მომწერეს. მე სამჯერ თფილისში ვიყავ, შევაგონე, არ შეიძლება ასრულება მეთქი, მი[ზე]ში<sup>15</sup> – ათიათასი!.... გავაჩერე საქმე, რომელიც დღესაც ჩემგან (და არა სხვისგან) გაჩერებულია და ჩემზე კბილებს აღრჭენენ ქართულ ენის მტერნი... ქართული ენა ჩვენში ისე ისწავლება, როგორც ახლამდი ყოფილა.

ნეტავ თქვენი თავი მანახა, რომ ცოტა რამ წვრილმანებიც, რომელიც არ დაინერება, გადმომეცა!..

ალექსანდრე რომ სწერს ვითომ მე ექსარხის სადილობის დროს ცუდად მოვქცეულვიყავ, სრული სიცრუევა. სადილის დროს მე მარტო ორი კითხვა მომცეს: ერთი ნიკოლაძემ მუნჯურ მეტოდის (sic) შესახებ და მეორე მიქაბერიძემ – მეგრელები ქართველნი არიან თუ არაო. ორივე კითხვაზე მე ისეთი პასუხი მივეც, რომელიც დიად მოსანონი იყო ყველა მამულის მოყვარეთათვის. სხვა არა უკითხავთ რა და მიკვირს, რამ აღძრა ალექსანდრე ან რას იგულისხმებს იგი ვითომ მე საწინააღმდეგო რამ მეთქვას. წყეულ იყოს ქვეყნის და სამშობლოს მოღალატე, ენის მჩაგრველი შვილითიშვილამდე! ხოლო მამულის მოყვარულთა მდევენელნი ტარტაროზთა წიად განასვენოს უფალმა და მსჯავრმა საღმრთომან ამინ, ამინ, ამინ!

მე „ივერიაში“ გავგზავნე წერილი ამაზე და აკაკუნეს წინააღმდეგ. გარნა მაგ უნამუსოებმა არ დაბეჭდეს! ამისთანა ბარბაროსობას მაინც არ მოველოდი მე თვით დაუძინებელ მტერთაგან.

ახლა რალა მოგახსენო იმის მეტი, რომ მაპატიეთ ამდენ ყბედობისთვის. იქნება თქვენ არც-კი წაიკითხოთ ამდენი ნაჯღაბნი, გარნა მე მაინც გული უნდა დავიჯერო და ამდენ ხნის უნახავ-გამოულაპარაკებელს წინ ჩემი დარდები დავსთხოო. ვიცი, ჩემს სიტყვებს მაინც არ დაუჯერებთ, მაგრამ

ჩემთვის სულ ერთია ახლა, მე მაინც მომიძულეთ, ამომიგდეთ, გამათახსირეთ, წამახდინეთ<sup>16</sup> და გიხაროდენ!

ამას წინად ლეონიდან გახლდი, ვითხოვე, მუზეუმი დავაარსოთ მეთქი. ამაზე ისე გამირი[ს]ხდა, რომ პირიდან ცეცხლს ჰყრიდა: пока я жив – не будет музея-ო!<sup>\*\*</sup> გადაირია, რა-და-რა არ წარმოსთქვა!.. დიდება შენდა უფალო! სწორედ с одного поля ягоды!<sup>\*\*\*</sup> ისიც კაპეიკების მდევნელი ყოფილა ბიძასავით და მამულისშვილობას მხოლოდ მოლორებით იჩემებენ, რათა კაპეიკები მეტი შეაგროვონ და ცბიერობა არ შეუტყონ.

ის დაბადება ხომ დაიკარგა და დაიკარგა, რომლის ფასი ერთ არ ითქმის. ახლა გავიგე მაგის გვარი ხელნაწერი ერთს კერძო კაცს აქვსო და დიდი ცდა მაქვს, არას ვზოგავ, რომ ხელში ჩავიგდო და არასგზით არ მივცე, რაც უნდა დამიჯდეს. ღვთის მადლით пятилетка<sup>\*\*\*\*</sup> ხომ გამოვიტანე 2.900 მანეთი! ბევრნი შევიჩინე და ვნახოთ; ხოლო თვით ის ხელნაწერები, რომელნიც მე ქრონიკაში მაქვს აღწერილი ჯერ ვერ ვიპოვე, ვგონებ განგებ დაამალვინა ჩვენგან ლეონიძემა, რათა მუზეუმში არ წაგვეღო.

ერთი დიდი ხელნაწერი ვიყიდე ძვირად, მაგრამ მართლა კარგია, რომელშიც ახალი ცნობებია შესახებ ეფრემ მცირისა. სამოციქულოს განმარტებაა და სხვა. ბე მივეცი პატრონ[ს]<sup>17</sup> წიგნს დაგიბრუნებ მეთქი თერთმეტი თუმანი და წიგნი შევინარჩუნე, დამეკარგა მეთქი – ევროპაში გაგზანულია მეთქი და სხ. კიდე ელის პატრონი! ასი თუმანი მაინც ღირს. დავით დადიანის ბიბლიოტეკა რომ გაუცარცავთ იქიდან ყოფილა ყველა ზემოხსენებული წიგნები წაღებული და მეტად საიდუმლოდ აქვთ, არავის უცხადებენ, რომ ოჯახში აღმოვაჩინე.

სეკდემბერს ღვთით სამსახურს ვათავებ. საშვალეა რომ მქონდეს შვილების აღზრდისა, დაგიმტკიცებდით რამდენი შრომა შემიძლია ჩვენის ისტორიის და მწერლობის გამოსაკვლეველად!<sup>18</sup> მაგრამ ეს ტრაბახობა მომიტევეთ. ახლა

ადგილ-მამულს ვედავები ხაზინას და თუ მოვიგე გავყიდი, ეგებ ღმერთმა შემადლებინოს ჩემის იდეალების მცირედ მაინც განხორციელება.

დიდის სიყვარულით მოგიკითხავთ ჩემი სიმამრი, რომელიც ახლა უქეიფოდ არის. შვილები გეანბორებიან – ყველანი კარგად არია[ნ]<sup>19</sup> და ერთის გარდა ყველანი სწავლობენ. უფროსი ხომ პირველად მიდის, მეორე – ბეჯითია და სვინი-დისით აღსავსე, მესამე – ეშმაკი, მაგრამ ნიჭიერი, მეოთხე ტეტიია განა ფრიად ნიჭიერი აუჩქარებელი, მეხუთე ქალია, ახლა დაიწყო სწავლა.

ღმერთმა თქვენი კეთილი გული ნუ მოაკლოს ჩემს დაობლებულს ოჯახობას, ხოლო თქვენგან მოღებული მონყალე-ბა დაუფინყარია ჩემთვის. მრავალ წელიწადს ბედნიერად გაცხოვროთ სასიქადულოდ ქვეყნისა, ნათელად სამშობლოსა და მონყალედ ჩემდა!

თქვენის მეუფების უკანასკნელი მონა და მოსამსახურე,  
მტერთა და მოძულეთაგან დაძაბუნებული  
თევდორე ჟორდანი

[ხელნაწერის XII გვერდის მარცხენა არშიის მთელ სიგრძეზე  
მინაწერია:]

ეს წერილი შეინახეთ, რომ გამამტყუნოთ ამით იმ შემთხვევაში, თუ საქმე წინააღმდეგს აღმოაჩენს ამისას. ყობია-აკაკუნეს და ორთავ კოჭლებს (ანტონ-სოფრომ), მკელობელთა ხორციით და<sup>20</sup> სულით, ნუ დაუჯერებთ!

\* ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ უკვე შევთანხმდით მის ყოვლადუსამღვდელოესობა ალექსანდრესთან.

\*\* სანამ ცოცხალი ვარ – მუზეუმი არ იქნება-ო.

\*\*\* ერთი ჯურისანი არიან

\*\*\*\* ხუთწლიანი

## პირიონ საკაბლიშვილისადმი №8 (42)

27 მარტს 1904 წ

ქუთაისით.

ქრისტე აღსდგა!

თქვენს მაკურთხეველთ და მონყალეთა მარჯვენ-მარ-  
ცხენეთა ვეამბორები რა, მოვითხოვ მათგან კურთხევასა და  
შენდობას: ზეცათა მეუფემან აღდგომილმა ქრისტემან განამ-  
რავლნეს და აკურთხნენ წელნი და დღენი თქვენნი მრავალ-  
ჟამიერ.

უპირველეს ყოვლისა მადლობას დავამხოზ თქვენთ  
ფერხთა ქვეშ, რომ წერილი მალირსეთ, ხოლო შემდეგ შენდო-  
ბას გამოვითხოვ, რომ ამდენს ხანს პასუხი არ მოგწერეთ. მი-  
ზეზი ამისი შემდეგი გარემოებაა: ჩემი წიგნი „ისტორიული  
საბუთებ[ი]“<sup>1</sup> ქართლ-კახეთის მონასტერ-ეკლესიებისა“ გამოს-  
ცა ალექსანდრე ეპისკოპოსმა, და წარმოიდგინეთ<sup>2</sup> სასყიდლად  
შრომისათვის ერთი წიგნიც არ მომცა, უბრალო მადლობაც  
არ მითხრა, ბოროტებად გადამიხადა! ვიცოდი, არ დაიჯერებ-  
დი, რომ ერთი წიგნიც-კი არ მომეძებნებოდა ჩემის შრომისა  
და ამიტომ ყოველი ღონე ვიღონე სადმე მეშოვნა, მაგრამ  
ბიბლიოტეკებში არსად გამოჩნდა, ხოლო კერძო კაცებს ვერა-  
ვის ვუპოვე აქაურებში. ამიტომ მომიტევეთ და კვალად შე-  
მინდევით, რომ მიუხედავად თქვენის ბრძანებისა მე ვერ გიგ-  
ზავნით ჩემს წიგნაკს. თვით მე ერთი ცალი მაქვს კორრექტუ-  
რათაგან შემდგარი<sup>3</sup> უწინასიტყვაოდ, ცალკე ფურცლებად,  
რომელიც თქვენ არ გამოგადგებათ.

იკითხავთ, სად არის ის წიგნიო? სჯობია თვით ალექ-  
სანდრეს ჰკითხოთ. და ლეონიდს, რომელნიც მარტო საჩვენ-  
ებლად ჰბეჭდავენ<sup>4</sup> ქართულ წიგნებს, რომ პატრიოტობის  
სახელი მოიხვეჭონ კაპეიკების მოსახვეჭად, ხოლო გული მა-  
თი პატრიოტობისაგან შორს არს...

რაც შეეხება ჩემს საქციელს, რომელიც თქვენ დაახასიათეთ ფრიად დაახლოვებით ჭეშმარიტებასთან,<sup>5</sup> მე უნდა მხოლოდ ორიოდ სიტყვა მოგახსენოთ. თქვენ მწერთ: ნუ გეწყინებათ, ხასიათის სისუსტე გჭირთო და სხ. ესე იგი თუმცა გულით პატრიოტი ხარო<sup>6</sup>, გარნა სიმამაცე გაკლიაო. ამაზე უნდა მოგახსენოთ, რომ მე ცოდვით აღსავსე ვარ და ღმერთს მარად ვევედრები, რომ ყოვლად მონყალემან შემინდოს მე ცოდვანი. მაგრამ სამშობლოს წინ მე არც ერთი ცოდვა არა მაქვს, არცა ნახევარი და არცა ნატამალი!<sup>7</sup> არ იფიქროთ, ვითომ თქვენი სიტყვა მწყენოდა ან მწყინს რაც უნდა სასტიკი და უსამართლო იქნეს, მაგრამ მეც ნება მომეცით აგრეთვე სასტიკად მოგახსენოთ, რომ ყველანი მოლორებულნი არიან: ვინც ჰფიქრობენ, ვითომ მე შიშით ანუ ხასიათის სისუსტით ვისმე ოდესმე რასმე დაუთმობდე ან დამეთმო შესახებ სამშობლოს ენისა<sup>8</sup> და საზოგადოდ სამშობლო-საქვეყნო ინტერესისა. ცხოველ არს უფალი და იგივე არს მწე ჩემი, რომ მართო აქ ამ ფარგალში ვარ მე ძლიერი,<sup>9</sup> შეურყეველი, მედგარი, გაუტეხელი და უკანასკნელ წერტილამდე მებრძოლი უშიშარი... აჰა რამდენი საკვებური სიტყვები, გარნა ყველა მართალი, თუმცა თქვენ და თქვენზე უფრო თითქმის ყველა ქართველი კაციც ამაში სრული ეჭვი გაქვთ, აქ ჩემი არ გჯერათ. ვერც დაიჯერებთ, ამიტომ რომ ჩემს ქცევას თუ გარეგნულად უყურებთ უსათუოდ ამ აზრს გამოიტანთ, მით უმეტეს, რომ თვით მე მართო ამ ფარგალში ვარ გულჩახვეული, არვის ვენდობი, არავის სრულს ჩემს მოქმედებას არ დავანახებ. ამიტომ როგორ უნდა დაგენდუროთ ან თქვენ ან სხვათა, რომ ჩემზე მოქმედებაზე ეჭვი გებადებათ. როგორ დაგიმალოთ, რომ ხშირად მე თვითონ განგებ მინდა ეჭვი დაუბადო თანამოდმე პატრიოტს, რადგან ცხოვრებამ დამარწმუნა, რომ ჩვენს კაცს ვერას გაანდობ: ან განგებ გაგცემს ან-და წამოიყრანტალებს და კარგად მოსაზრებულს საქმეს ჩაგინგრევს.

არც მწყენია, არც თავს ვიმართლებ, არც მინდა ვისიმე ქება-დიდება, გარნა თუ თქვენ გსურთ ჩემგან თქმულის

საბუთიანობა იპოვოთ რასაჭიროა ან ჩემი ფიცი ან სხვისი გძელი ლაპარაკი – თვით საქმეს მიჰხედეთ<sup>10</sup> და ყოვლიფერს დაინახავთ. ხე ნაყოფთაგან იცნობების, ხოლო გული კაცისა საქმეთაგან. თუ წრფელის თვალთ შეხედავთ ჩემს ნამოქმედარს უსათუოდ დარწმუნდებით, რომ არა ვტყუევი... მართალია, ცხადად, აშკარად მოქმედება არ მეტყობა, მაგრამ რა ვქნათ რომ დღევანდელ გარემოებაში ესრეთი სახე მოქმედებისა აღმოჩნდა უმეტესად ნაყოფიერად<sup>11</sup> დასაცველად არა ხოლო თავისის თავისა არამედ სამშობლო ინტერესებისა უმეტესად. ყოველი აშკარა მოქმედება ხელქეითთ კაცთა მავნებელი შეიქნა, არათუ მარგებელ. აშკარად და ცხადად მოქმედება უნდა ეტვირთნა საზოგადოებას, მაგრამ სად არის საზოგადოება? განა საქართველოში ეძებთ ჭეშმარიტ პატრიოტულ წრეთა?! მე მხოლოდ ვხედავ თავმოყვარეობით გაბერილ მებულვარე-მოარშიყე-მემთვრალე-მეჭორე გვამთა, რომელნიც ენითა მხოლოდ ადიდებენ სამშობლოს, ხოლო გული მათი შორს არს... თქვენ მეცნიერებითა და გამოცდილებით აღჭურვილთ კარგათ გესმით ეს, მხოლოდ ჩემს მოქმედების შესახებ არა გაქვთ ჭეშმარიტი წარმოდგენა ჩემისავე ბრალით და მიზეზით, და თუ დღეს ამაზე სიტყვით შეგანუხეთ თქვენმა ლმობიერმა საყვედურმა მათქმევინა. ღმერთმა თქვენი თავი მიცოცხლოს. დეე, თქვენ კარგად ბრძანდებოდეთ, ხოლო მე დამქოლონ პატრიოტობის სახელით ქვეყნის მჭამელ თავმოყვარე კატებმა! ქრისტეც ჯვარს აცვეს, გარნა აღდგა! მრწამს, რომ სიკვდილიც თუ მინერია მე მაგ მჩხავანა-კატებისაგან, მაინც ოდესმე ვინმე განწმედს<sup>12</sup> ჩემს სახელს იმ ჭუჭყისაგან, რომელიც შემომაკრეს მე მწვირიან ბულვარის-ტებმა.

სხვა აქაურობის რალა მოგახსენოთ: სემინარია დაკეტეს სრულიად, უჩიტლები დაითხოვეს. უჩილიშირიდან (ქუთაისის სასულიერო) შვიდი ქართველი დაითხოვეს (ღამბაშიძე, გაფრინდაშვილი, გორგაძე, დათაშვილი და სხ.). სამეგრელოს და ოზურგეთის სასწავლებლებიდან ამდენივე იქნება დათ-

ხოვნილი, მაგრამ ჯერ ქალაღდს არ აჩენენ. ჩვენ ქართველნი კაცად არ მივაჩნევართ!! გაგონილა ამისთანა უგუნურობა! დიდი აღელვებაა, და რა მითქმა-მოთქმაა ამის შესახებ ძნელი გასაგონია! სწორედ ჭკუაზე შეიშალნენ რუსის ჩინოვნიკები, რომ მეგობრებს იორგულებენ. ეს ხელმწიფის მოლაღატობაა! ღმერთმა თუ ხელი მომიმართა და ნელში გავიმართე სამსახურის შესრულების შემდეგ იმედი მაქვს ფრიად ძლიერი ბროშურა (ნიგნაკი) გამოვცე რუსულად რუსებისთვის, რათა თვალით დავანახო რა დიადს უგუნურობას სჩადიან ზოგი ჩინოვნიკები კარიერისტები კერძო ინტერესისთვის და მაღალ მთავრობას სასტიკად აღორებენ, ძირს უთხრიან და ჩვენც გვავენებენ! ვნახოთ!

რუს-იაპონიის ომიანობაზე აქ სულ სხვებრ სჯიან. ხალხში ფრიად დაეცა სარწმუნოება. გიმნაზიამ და ყველა სხვა სასწავლებლებმა პირი შეკრეს და 1-3 თებერვალში ბუნტი ქნეს. ქალების ყველა სკოლებიც ერივნენ, მათ შორის საეპარქიო სასულიერო საქალებო სკოლაღაც! (sic)

თქვენის მეუფების უკანასკნელი მონა  
თევღორე ჟორღანია.

P.S. ჩემი სეკდემბრიდან სამსახურიდან გადაყენება ჩემს ახალ მთავრობას გაღანყვეტიღად მიაჩნიათ. მხოლოდ ღვთისა ღამრჩენია იმედი. იყავნ ნება მისი!

თეღო



## პირიონ საკაბლიშვილისადმი №9 (43)

1904 წ. 4 სექტემბ  
ქუთაისიდან.

თქვენო მეუფებავ,  
სანეტარო მღვდელთმთავარო  
კირიონ!

ჩემისთანა უიღბლო კაცი ქვეყნად არ დაბადებულა ვგონებ: თქვენ რომ საქართველოში მობრძანებულ ხარ მე ავად ვინეკ სოფელ ბერშოეთში და ჩემი სიმამრიც მძიმე ავადმყოფი გახლდათ, და ამიტომ თქვენის პირის ნახვას ვერ ველირსე, რომ მადლობა მაინც შემეწირა პირადად იმ კეთილისათვის, რომელიც მე მიყავით და თფილისის მოქალაქე-დაც გამხადეთ.

მე დიდი დევნა გამოვიარე ალექსანდრესგან და მის დაახლოვებულ მოქრთამეთაგან, რომელთაც ქართული ენაც-კი გაჰყიდეს სამეგრელოში. მაგრამ ღმერთი შემენია და მათი ნამოქმედარი გავაუქმე, ხოლო უკანასკნელ თლათ მოვსპე მანისის კრების დროს, როცა ეპარქიალურ მეთვალყურეთა<sup>1</sup> კრებამ იცნო, რომ სამეგრელოში ქართულს ისეთივე ადგილი ეჭიროსო, როგორც ქართლ-კახ-იმერეთშიო. მორჩა და გათავდა.

ამ ბარათის მომტანი გახლავთ სტუდენტი იურევის<sup>2</sup> უნივერსიტეტისა – კონსტანტინე ფოცხვერაშვილი, ფრიად ნიჭიერი მოტრფიალე ჩვენის საერო სიმღერისა და საეკლესიო გალობისა. შარშან ამან რომ კონცერტი გამართა ქუთაისში ყველა გაგვაკვირვა, ასამდი მომღერალნი გამოიყვანა და აღტაცებაში მოგვიყვანა მაყურებელნი, ისე ხელოვნურად გადაუღია ნოტებზე<sup>3</sup> ჩვენი უბრალო სიმღერები, ევროპიულად დაუმშვენებია მუსიკით, უმეტესად სკრიპკის ორკესტრით, თვით მისის ნოტებით უკრავდენ სრულიად ქართულ ხმებს. მაგრამ

ეს კაცი მეტად ღარიბია, ისე რომ ერთი წელიწადი გაუცდა საშვალეების უქუნლობისაგამო. ახლა მე ვურჩიე თქვენ შეგვარდნოდან (sic), ვიცი თქვენი უხვი ბუნება და ჯიბე დაუცარიე[ლე]ბელი;<sup>4</sup> შეეჭველია ამ კაცს თუ ხელს მოუმართავთ დიდს ღვანლს დასდებს საქართველოს მუსიკას და სიმღერგალობას.

თქვენის მეუფების უმდაბლესი მონა  
თევდორე ჟორდანია

### **ნიკომ ტარსაიქისაღვი №1 (44)**

Поражен известием. Господь да утешит Вас. Сожалею, что по причине болезни не могу лично присутствовать на похоронах, высылаю вместо себя старшаго моего сына. Не предавайтесь безутешному горю.

Убитый<sup>1</sup> горем, зять Ваш  
Θεοδორ ჟორდანია.<sup>2</sup>

25 дек. 1904 г.  
Кутаис.

### **ნიკომ ტარსაიქისაღვი №1 (44)**

შეძრწუნებული ვარ ამბით. ღმერთმა მოგცეთ ნუგეში. ვწუხვარ, რომ ავადმყოფობის გამო პირადად ვერ ვესწრები დაკრძალვას, ჩემ მაგივრად ვაგზავნი ჩემს უფროს ვაჟს. ნუ დანებდებით გაუნელებელ დარდს.

დარდით განადგურებული, თქვენი სიძე  
თევდორე ჟორდანია.

25 დეკ. 1904 წ.  
ქუთაისით.

## ბაზეთ „ცნობის ფურცლის“ რედაქციისადმი №1 (45)

წერილი რედაქციისადმი<sup>1</sup>  
(პასუხად ბ. ი. ფანცხავას).

ჩემთან პირადის ანგარიშებით დაბნელებულმა მტრებ-  
მა იმდენი ჭორი დამიყარეს, რომ დრო არის ოთხ-ხუთის  
წლის<sup>2</sup> „ნაჩურჩულარებს“ ერთად თავი მოვუყარო და გეენიას  
მივსცე, მით უმეტეს, რომ დრო დაგვიდგა სანატრელი, რო-  
დესაც მზის სხივმან მართალი უნდა გაანათლოს, ხოლო ბნე-  
ლეთს შეჩვეულები დააბრმავოს, დასწვას. როგორც-კი ამ სა-  
ნეტარო დროს დადგომა ვიგრძენ, მაშინვე „ივერიის“ რედაქ-  
ტორს,<sup>3</sup> 17 თებერვლით,<sup>4</sup> წერილი გავუგზავნე დასაბეჭდათ,  
რომელშიც ყველას გამოვუცხადე: ვისაც ჩემზე „მეჩურჩულე-  
თაგან“ ცუდი ხმები გაგეგონოსთ ყველა ცხადად<sup>5</sup> საქვეყნოდ  
გამოსთქვით-მეთქი და თვით „მეჩურჩულენიც“ უშიშრად გა-  
მოვიდნენ, რადგან აფიციალურს სასჯელს არ მივსცემ-მეთ-  
ქი.<sup>6</sup> უკანასკნელი ვადაც დაუდე 9 მარტი, საზღვარი ზამთრი-  
სა<sup>7</sup> და გაზაფხულისა.<sup>8</sup>

არც რედაქციამ დამიბეჭდა წერილი და არც არავინ  
გამოვიდა.

[1905 წლის 26 თებერვლის შემდეგ]

## კირიონ საკაბლიშვილისადმი №10 (46)

12 სექტემბერი 1905 წ.  
ქუთაისით.

თქვენო მეუფებაო  
საყვარელო და სასურველო მღვდელთმთავარო  
სანატრელო კირიონ!

იმდენი საგოდებელი და სატირელი მაქვს, რომ იერემიას ცრემლებიც არ მეყოფა. მე, რომელმაც თავი შევსწირე ქართულის ენის და ერის ერთგულებას, მოლალატედ გამოცხადეს ამ ერისა, ამ ერისა!! გამოცხადება არაფერია, საქმე იმაშია, რომ ჩემს გასამართლებელს წერილებს არ მიბეჭდავენ, ვერც ცენზურის კომიტეტის ბრძანებამ გასჭრა, მაინც არ დამიბეჭდეს და ახლა იმ პირობით ნება გამოვიტანე დაბეჭდვისა, თუ ოცდაოთხ<sup>1</sup> თუმანს წარვუდგენ „ცნ-ფ“ რედაქციას! ამისთანა „დერჟიმორღობა“ არ გამიგონია. წარმოიდგინე იმ წერილსაც არ ბეჭდავენ, სადაც მე საქმის გასარჩევად მედიატორებს ვნიშნავ!! სიზმრად ვარ თუ ცხადად არ ვიცი. ლამის ჭკუიდან შევიშალო.

მე კარგად ვიცი ვისკენ აქვთ კუდეები ჩემს მტრებს და რა უბედურება მომელის მე ოქროპირიძეებისაგან, მაგრამ უძლური ვარ, თუ ძლიერებამ ღვთისამ და თქვენმა გულკეთილობამ არ დამიცვეს. როგორც ცის ვარსკვლავი ლამის სიბნელეში ისე ანათებს თქვენი სახელი ჩემს დაბნელებულს შენუხებულს, ყველასგან დაჩაგრულ-განკიცხულს სულს. თუ სავსებით ვერ დამცეს ამ კაცებმა, ეს თქვენის იმედითა და სიმართლის გრძნობით... მკვლელები შემოჩენილი მყავს!

თქვენ გაიგებდით, რომ ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი ესტატე ლამბაშიძე გულგახეთქით მოკვდა, როგორც-კი გაიგო ტიხომიროვის რევიზიის სამწუხარო ამბავი. დაურჩა უნუგეშოდ შვიდი შვილი, თითქმის ულუკ-

მა-პუროდ, რადგან გარდა დაგირავებული სახლისა და ნახევარის<sup>2</sup> პენსიისა საცხოვრებელი არა აბადიათ-რა. ახლა ამათი დედა შემომიჩნდა, გაუგონია თქვენი გულკეთილობა,<sup>3</sup> არ მასვენებს, უსათუოდ კირონთან მიმინერე ჩემი ამბავიო, ის გულკეთილიაო და ლეონიდს არაგავსო, შემინყნარებსო; ეგების ეს ჩემი შვილი, რომელმაც შარშანწინ კურსი დაამთავრა და დღეს ჟენევაში სწავლობს (ალექსანდრე ესტატეს ძე ღამბაშიძე), თავისს მფარველობის ქვეშე მიიღოსო, რომ სახსარი არა მაქვსო ამ ნიჭიერ ყმანვილ კაცს<sup>4</sup> სწავლის გზა მივსცეო. ცხარე ცრემლით შემომტიროდა. მეც ვერ გაუძეულ და ეს არის გნერთ, როგორც სულმა წმიდამ შთაგაგონოსთ ის იქმნეს. „უხვსა მორჩილებს ყოველი“ – ეს ხომ თქვენი დევიზია. ღმერთმა თქვენი კათალიკოზობა გამაგონოს.

ვნუხვარ, რომ ახლავე მომწყვიტეს ამ ბარათს, არ მანერინებენ, კრება გვაქვს და მიწვევენ.

ღმერთო, ღირსი გამხადე თქვენის ნახვისა!

თქვენი უმდაბლესი მონა და  
მოსამსახურე, თქვენის იმედით  
სულდგმული თევდორე ჟორდანი

## **გიორგი ჟორდანიასადმი №1 (47)**

ჩემო იმედო, ჩემო გოგრა!

ნინოს ამბავმა დიდად დამალონა იმიტომ-კი არა, რომ ის შენზე უფროსი უნდა იყოს და ღარიბიც არის,<sup>1</sup> არამედ უმთავრესად იმ მოსაზრებამ დამაძმარა, რომ შენი გული-გონება დატყვევებულია მისდამი გრძნობით, შენ დამონებული ხარ, შეკრულ-შებოჭილი, შენ არასგზით „მეცნიერი“ არ იქნები, სწავლას გულს ვერ დაუდებ, ნახდები ან მაჩანჩალა გამოხვალ, თუმცა მაინც<sup>2</sup> „დიპლომიანი მაჩანჩალა“. ეს ასეა და

სხვა რიგ არ შეიძლება. მართალია დიპლომიანს მაჩანჩალასაც დიდი ფასი ექნება, კარგს ლუკმას იშოვის და ხშირად ამისთანები უფრო ბედნიერადაც და ფულიანადაც დროს მოსჭამენ, მაგრამ შენს ნიჭიერებას მაჩანჩლობა არ შეშვენიის – და ეს მანუხებს. ის ჭია რომ გულში არ გაგეჩინა შენთვის სჯობდა...

მე, შვილო, აბა რა თოფ-ზარბაზნით შემოძლია დაგიშალო: რაც გინდა იმას იზამ. დღემდის, სანამ ჭიას გაიჩენდი, რჩევა რომ<sup>3</sup> მოგეთხოვა, ჩემს რჩევას გაიგონებდი, საქმეს რიგიანად, საფუძვლიანად დავინყებდი შენდა სასარგებლოდ,<sup>4</sup> როგორც შენთვის სამჯობინარი იყო; დღეს-კი ყოვლიფერი გაგითავებია უჩემოთ, თვითონვე მწერ – ჩემს გადანყვეტილობას ვერა ძალა ვერ დაშლისო, და მაშასადამე რჩევას-კი არ მთხოვ (თვალთმაქცობ!),<sup>5</sup> არამედ ნებადართვას მიბრძანებ საშინელის მუქართ... ან ნება-დართვა რა საჭიროა ჩემგან: შენ თვითონ მიხვდები (და მეც ხშირად მითქვამს შენთვის), რომ როგორც-კი კურს შეასრულებ შენ სრულიად თავისუფალი იქნები<sup>6</sup> ჩემგან და როგორც გინდა ისე მოიქცევი, მით უმეტეს ამისთანა ოჯახურს საქმეში. მაშინ<sup>7</sup> დალოცვილი იქნები ჩემგანაც და ღვთისაგანაც, ოღონდ უნამუსო ან უღმერთო ადამიანს არ ნაანყდე, რომელიც შენც წაგახდენს და თავისთავსაც<sup>8</sup> ლაფს გადაისხამს. კურსის შესრულების შემდეგ მე შენი დამშლელი არა ვარ და არც ვიქნები, თუ-კი ზნეობრივი სახე შენგან არჩეულისა მართლა იმისთანაა, როგორც შენს გონებას ეხატება.

მანამდინ-კი გულშიც არ გაივლო, რომ ჩემგან ცოლის შერთვის დასტური მიიღო. ეს არას გზით არ იქნება – იცოდე.<sup>9</sup> მთელი შენი გრძნობა-გონება მოიკრიფე რომ მეცნიერების მორევეში იცურავო, ხოლო თუ ნინო მართლა გინათებს გრძნობათა, მისი სახელი ვარსკ[ვ]ლავებ<sup>10</sup> ნინ წაიმძღვანე მეცნიერების გზის მაჩვენებელად,<sup>11</sup> განმამხნეველად.

ვიცი, რომ ათიათასჯერ დაიფიცებ, მე ასეთი ვარ და ისეთი, მე ჩემს სიტყვას ვერ შევცვლიო, მე ქარაფშუტა არა ვარო, მე ხასიათის კაცი ვარო, მაგრამ რამდენად უფრო მეტს

ჰფიქრობ შენს ძალაზე იცოდე იმდენად უფრო სუსტი ხარ; ფიცით კი არ უნდა დაამტკიცო, საქმით! შენ ჯერ იზრდები, ესე იგი იცვლები:<sup>12</sup> შენი გრძნობაც გამოიცვლება, გონებაც გაგიფართოვდება, უფრო შორს განსჭვრეტი; რაც ახლა ბრწყინვალედ მიგაჩნია, ის შენს გონებას ოთხის წლის შემდეგ ვინ იცის რა სახით მოეჩვენება, და ამიტომ გირჩევ „მტკიცე სიტყვას“ ნუ ვის მისცემ და ნურც ვისგანმე თხოულობ.<sup>13</sup>

ამ შემთხვევაში დახედე თვით ნინოს, რა ფრთხილად და ჭკვიანად მოქცეულა: პირში გითხრა ის, რაც მეც მოგწერე, ვერ დაგენდობიო, ბალლი ხარო, ცვალებადიო. ახლა მისი დედის სიტყვები გასინჯე რა ბრძნულება: „ოთხის წლის შემდეგ თუ შენ არ შეიცვლები ეს აქ დაგხვდებაო“.<sup>14</sup> ჭეშმარიტად ისიც დიდი მსხვერპლი შეუწირავთ ახალგამომცხვარ სტუდენტისთვის, რომ დაგპირებიან ოთხის წლის მოცდას! მაგრამ განა შეიძლება დაპირებამ ვისმე დააჭერინოს გრძნობა? ათასი რომ შენ წინას დაჰპირდე<sup>15</sup> და ნინო[ც]<sup>16</sup> შენ დაგპირდეს შეიძლება შენც და წინაც უეცარმა გრძნობის ქარ-ბუქმა გაგიტაცოთ...<sup>17</sup> მაშ მტკიცე სიტყვას ერიდე, და თუ მაინცდამაინც მისცემ – იცოდე, საშიშარს საეჭვო<sup>18</sup> მდგომარეობაში ვარდები და ნინოსაც აგდებ.

მე შენზე უფრო ნაკლებ<sup>19</sup> ნდობა მაქვს, ვიდრე შენს არჩეულზე: შენს გულში<sup>20</sup> არა-კეთილშობლური<sup>21</sup> ძარღვებიც ურევია, ბევრჯერ დამინახვებია შენთვის ეს ძარღვები და ახლაც მაყვედრი, რათ დაგიძახე შენ<sup>22</sup> „მომავალი პროხვოსტი“. ღმერთმა მაშოროს რომ მე შენ მართლა „პროხვოსტებში“ გრევედე, მაგრამ მაინც მეშინია, რომ შენს ბუნებაში ბარტყობს რაღაც არა-კეთილშობლიური,<sup>23</sup> რომელმაც შეიძლება ნინო მსხვერპლად შეიწიროს. შენ რომ „ეგოისტი“<sup>24</sup> ხარ: დღეს ნინო მოგწონს და ეტრფი, ხვალ სხვას უკეთესს ნახავ და ეგოისტურის ანგარიშით, რათქმა უნდა, უკეთესს მოსჭიდებ ხელს. აი, ამისიც მეშინიან. კარგად ჩაიხედე გულში,<sup>25</sup> და „მტკიცე სიტყვით“ ეცადე არავინ მოატყუილო მომავალში.

განა არ ვიცი, რომ აქაც შენ შემომფიცავ, მე ამისთანა ვარო, მაგრამ გახსოვდეს:<sup>26</sup> ფიცი ადვილია – საქმე ძნელი. როცა ფიცს გასტეხავ მაშინაც შენი სოფისტიური გონება გამონახავს თავის გასამართლებელ-გასაძვრენ ხვრელს...<sup>27</sup> მერე „სერთუკიანების“ ფიცი!!<sup>28</sup> ახალ მოდურ „ბარიშნების“ ფიციც გამიწყრეს! თუ დასანდობია, კიდე ნინოს დედის ფიცი, მაგრამ იმას შენთვის ფიცი არ მიუცია და, თითქმის, არც სიტყვა, პატიოსანი სიტყვა. ამაებს იმიტომ-კი არ გწერ, რომ გული აგიცრუ[ო],<sup>29</sup> არამედ იმისთვის, რომ საქმეს უფრო ღრმად ჩაგახედო, რომ თავი არ დაი[ლუ]პო<sup>30</sup> ან სხვა არ დალუპო. გრძობათა ღელვას არასგზით თავი არ მისცე, თორემ დაილუპები, ნამდვილად ნახდები: შენი გრძობა-გონება მეცნიერებას შესწირე მთლად, ის გაიხადე მიზნად ცხოვრებისა, ხოლო თუ ნინოს გონებიდან ვერ მოიშორებ, გონებას მაინც ნუ დაუმორჩილებ ოცნებას...<sup>31</sup>

რა საკვირველია ჩემგან იმ ოჯახის მამამთილობით შესლვა არ ვარგა, ამას შენც მიხვდები; ხოლო გაცნობა შეიძლება, თუ მარჯვე დრო და ადგილი ვნახე.

შვილო, ახლა ჩემი გული სავსეა მწუხარებით: ჭიკჭიკოს პაპიროსის ნევა დაუნყია, ხოლო ამ ცოდვამ ფულების „შოვა“ დაანყებინა უკანონო გზით. ეს გარემოება შექრამ გაამჟღავნა. ჭიკა გაგვებუტა, შინ არ<sup>32</sup> შემოვიდა. მეორე დღეს ძლივს ძალად შემოვათრიეთ; მაგრამ ორის დღის შემდეგ, გუშინწინ, გაპარულა სადღაც და დღეს მესამე დღეა არ სად სჩანს. უსათუოდ ბერშოეთში ნავიდოდა. მაგრამ ვაჟთუ სხვაგან დაიკარგა!! ერთი ბარათი მოსწერე პაპას ჭიკას გადასაცემად: შეაგონე, თავი არ დაილუპოს, ყოველივე მოითმინოს ატესტატის მიღებამდე და სხ. აბა შენ იცი! სხვა ბავშვებსაც მოსწერდე ხოლმე დარიგებას.<sup>33</sup>

ფული 25 მანეთი გაგიგზავნე. ახლა კიდე 15 მ. გიგზავნი. როცა მომწერ კიდე მოგაწოდებ, ოღონდ ფლანგვა არ დაინყო, გაჭირვებით იცხოვრე; თუ გაჭირვება არ ნახე შენ-



თვისვე არ ვარგა, მაგრამ ავათმყოფობის დროს ნურას მოიკლებ.<sup>34</sup>

ძალიან დაჩაგრული ვარ. ჩემს ჩამოსლვამდე დადიშქელიანი მომკვდარა და ხუთას მანეთამდე მაზე<sup>35</sup> დარჩენილი ვალი გვეკარგება. ღმერთმა იცის ვექსილით როდის მოხერხდება ამოგება!

შაქრია არ დადგა, შინ გავაგზავნე.<sup>36</sup> ახლა დროებით პელას დედა გურული ქალი საჭმელებს გვიმზადებს. ბავშვები ხშირად გიგონებენ. ელისაბედი სულ შენზე დარდობს და ადვოკატად გიდგება.

შენი მამა

P.S. ფიზიკა-მატემატიკური<sup>37</sup> ფაკულტეტი ძალიან მომწონს, თუკი მართლა შეისწავლი. ადგილსაც მაშინვე იშოვი და წყნარი, ადვილი სამსახური გექნება, გემრიელი ლუკმა. დოკტორობა ძალღური სამსახურია.

ამასთან გიგზავნი ნინოს სურათს; ხოლო შენი „რომანი“ (წერილი) ნინოს მინდა გავუგზავნო... მაგრამ ჯერ დავეუცდი შემდეგს შენს წერილს.

[არა უგვიანეს 1905 წლის 1 ოქტომბრისა]

## კირიონ საკაბლიშვილისადმი №11 (48)

ჩვენო ნუგეშო და იმედო,  
ძვირფასო მღვდელთმთავარო  
მონყალეო მამაო კირიონ!

ღმერთმა ხომ იცის, რომ თუმცა თქვენთან მიწერ-მონერა არა მაქვს (რადგან თქვენგანაც ბარათი არ მომსლვია), მაგრამ სულით და გულით მუდამ თქვენთან ვარ. მე წრეულს

ისეთს ცეცხლში ჩამაგდეს ოქროპირიძეების მეოხეთ, რომ უნდა მომილოცოთ, რომ ჯერ კიდე ცოცხალი დავლოლიალებ ამ ნუთი-სოფელში: ქვეყანა ცილისნამებით აამსეს და გადამკიდეს, რომ ჩემის სახელის აღდგენა ან შეუძლებელია! გაზეთებიც ისე შეკრეს, რომ დღესაც არ არის დაბეჭდილი ჩემი უმთავრესი სტატიები, როგორც „ცნობის ფურცელს“ ძალად გამოვაცხადებინე (4 აგვისტოს).

ახლა ლეონიდმა მომანდო სინოდის ცირკულიარზე (№8) პასუხი დამეწერა. მთელი ორი თვე თავაუღებელი ვსწავლობდი საეკლესიო კანონებს, ქართული დიდი „სჯულისკანონიც“ შევისწავლე ამ კითხვების საუკეთესოდ გამოსარკვევად, რუსულს კანონებს შეეუდარე (ქართული<sup>1</sup> უფრო ვრცელი და ნმიდა აღმოჩნდა) და მერე ხელი მივყავ საქმეს. მართალია პასუხი სულ 19 გვერდს შეიცავს, მაგრამ შრომა დიდია. წარმოიდგინე ჩემი გაკვირვება, რომ ლეონიდმა უბრალო მადლობაც არ მითხრა, დაბეჭდვაც მომანდო<sup>2</sup> უსასყიდლოდვე (ავტოკეფალიაკი ჩემის ხარჯით დავბეჭდე), არა თუ მადლობა – ერთი ცალიც არ მომცა იმ «ОТВЕТ»-ებისა. პირიქით, ბეჭდვის დროს შევნიშნე, რომ მე 15 გვერდში (სადაც მე საერო კაცების მონაწილეობის დასამტკიცებლად მსოფლიო კრებებში ჩემს ძველს ნაწერებს ვუთითებ, Чтенія в Обществе Люб. дух. просв. Июнь и Сент.) ჩემი გვარიც<sup>3</sup> ამოეშალა (ალბათ იმიტომ, რომ ეს გვარიც კი ეჯავრება, არათუ მე თვითონ), ხოლო გოგებაშვილისთვის ჩემის ავტოკეფალიიდან ცნობები მიენოდებინა, რომელნიც მან დიდის ამბით Возрождение-ში გამოაქუხა გაბერილ-გაბრტყელებულად და რათქმა უნდა სიცრუებით შემკულად... ესეები მე დიდათ ვინყინე და მაშინვე მივსწერე ლეონიდს. წარმოიდგინე, მან პასუხიც არ გამცა და არც ჩემი ნახვა მოიწადინა. ამიტომ მე, გაჯავრებულმა, ავიღე და სადაც მან ჩემი გვარი ნაშალა, იქ განგებ დავსვი «СМ. Мою статью»... \* და სტრიქონ ქვეშეც შენიშნვა გავუკეთე, რომლისაგან სჩანს, რომ ეს სტატია მე მეკუთნის (გვ. 15). გარდა

ამისა თვით ავტოკეფალიასაც შენიშნვა მივეც, რომლი[ს]განაც<sup>4</sup> იგივე არის საგულისხმებელი (გვ. 5). ამითი მე მას სახსარი<sup>5</sup> წავართვი,<sup>6</sup> ავტორობა იმ დოკლადისა მე წამართვას და თვითონ მიითვისოს, ან სხვას მიათვისოს (მაგ. გოგებაშვილს). მაშ რა უნდა მექნა ამისთანა უმადურთან?<sup>7</sup> რა კაცებს გადავეკიდე!! ისიც იქონიე სახეში, რომ თვითონ ორიგინალიც ხელში მაქვს სტამბიდან წამოვიღე იმავე მიზნით.

ახლავე ორივე ჩემს<sup>8</sup> შრომას თქვენ გიგზავნით და ძალიან დაგიმადლებთ, თუ სადმე გადააბუჭდვინებთ ჩემის სახელით. დააკვირდით, რომ ჩემი დოკლადი ფრიად ორიგინალურია. ანტონ ვოლინცის ეპისკოპოსის პროექტები ამ ჩემ პროექტით სულ დარღვეულია და საზოგადოთ პატრიარქებზე და მიტროპოლიტების უფლებაზე რუსეთის მწერლობაში<sup>9</sup> დამყარებული აზრი ჩემის დოკლადით გაცუდებულია. გარდა ამისა, თვითონ კათალიკოზობა საქართველოჲსა ისეთს კანონზეა დამყარებული (Ефес. проово 8), რომლის შერყევა ყოვლად შეუძლებელია (იხ. დოკლადის 17-18 გვერდი), თუ გულისხმიერად დააკვირდებით.

იმედი მაქვს ორიოდე სიტყვებს არ დაიშურებთ და მომწერთ. ის მაინც მაცნობეთ, მიიღეთ თუ არა ჩემი დოკლადი. მე, როგორც ვატყობ, ლეონიდთან ვერ გავძლებ, ყოველდღე გაუბედურებას მოველი მისის ხელიდან, და მარტო იმისი იმედი მაქვს, რომ თქვენ გაერევით ჩემს საქმეში და მისის უსამართლოებიდან გამომიხსნით. მეტად სახელი გაუტყდა ლეონიდსაც და ვგონებ ვერც მან იხეიროს, მაგრამ ჩემგან დანერილ დოკლადებით ახლა ისევ სახელს გაიკეთებს და აქაურობასაც თავს მოაწონებს. იქაც, როცა საეკლესიო<sup>10</sup> კრება იქნება რუსეთში, დიალაც თავს მოიწონებს სხვისის ხელით დანერილ დოკლადით, მე-კი დევნის მეტი არა მელის რა ამ შრომისთვის. თქვენც უეჭველად იქნებით იმ კრებაზე და რაკი ეს ამბავი გეცოდინებათ, შესაფერს ზომებს მიიღებთ...

გებრალეობდეთ ჩემი თავი და გახსოვდეთ, რომ თქვენს მეტი მე დამცველი და შემბრალებელი არა მყავს სა-

ქართველოში, ისე გადამკიდეს ქვეყანა ოქროპირიძეებმა. ეს გახსოვდეთ და ამ მოხუცებულობის დროს დამიცევით მტრებისგან, უსამართლო დევნისაგან.

თქვენის მეუფების უმდაბლესი მონა და ამხანაგყოფილი თვე-  
ლორე ჟორდანია

12 ნოემბ. 1905 წ

ქუთაისით.

P.S. ეს-ეს არის გავიგონე, ვითომ ლეონიდს უბრძანებია ის 15 გვერდი, საცა ჩემი შენიშვნაა, ხელახლა გადაბეჭდონ შეცვლილად და ისე ჩააკერონ დოკლადში. თუ ეს მოახდინა, თქვენ ჩანებებულ-ჩაკერებულს<sup>11</sup> იცნობთ და მიხვდებით, მართალს ვამბობ თუ არა. მერე რა საჭირო იყო ეს ოინები?!

თედო

\* იხ. ჩემი სტატია

ბასბოკები, შინიშინები,  
კომენტარები

## ექსპისაფის

წინამდებარე ტომის სამეცნიერო აპარატი წარმოდგენილია კომენტარებით, პირთა და გეოგრაფიულ სახელთა ანოტირებული საძიებლებით, ლექსიკონითა და ენობრივი მიმოხილვით.

გამოცემაში ბოლომდეა დაცული ავტორისეული ორთოგრაფია, პუნქტუაცია და აბზაცები (გარდა იმ შემთხვევებისა, სადაც კალმისმიერი ლაფსუსები დაფიქსირდა). ტექსტებში არსებული ენობრივად გაუმართავი ფრაზები ავტორისეულია და ჩვენ ისინი, რა თქმა უნდა, არ ჩაგვისწორებია. ნათქვამი თანაბრად ეხება როგორც ქართულ, ისე რუსულ წერილებს.

კომენტარებს წინ უძღვის პასპორტები, სადაც მკითხველი მიიღებს სრულ ინფორმაციას წერილის შესახებ. ეს ინფორმაცია განაწილებულია შემდეგ რუბრიკებში:

1. **ავტოგრაფი:** აქ ვიგებთ, რა სახითაა წერილი ჩვენამდე მოღწეული – ავტოგრაფით, თუ მისი ასლით, სად და რა ნომრით ინახება. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი აღნიშნული გვაქვს C ლიტერით, ცენტრალური არქივი – A, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი – L, ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი – Z, ხოლო ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი – K ლიტერით;

2. **თარიღი და ადგილი:** აქ მოცემულია ავტორის მიერ მითითებული თარიღი და წერილის გამოგზავნის ადგილი. ავტორის მიერ წერილის დაუთარიღებლობის შემთხვევაში, სამეცნიერო აპარატს არ ახლავს მოცემული რუბრიკა;

3. **ხელმოწერა:** რუბრიკა შეიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, წერილი ხელმოწერილია თუ არა. თუ წერილი ხელმოუწერელია, მოცემული რუბრიკა პასპორტს არ ერთვის;

4. **ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** აქ მკითხველი

გაეცნობა ავტორის ადრესატისადმი დამოკიდებულებას: როგორ მიმართავს მას, რას უწოდებს და ა. შ.

**5. ავტოგრაფის აღწერილობა:** რუბრიკა გვანვდის ცნობას იმის შესახებ, თუ რა სახის, რა ზომისა და ფერის ქალაღღზეა ბარათი დაწერილი; ტექსტის გარდა, კიდევ რა ინფორმაციას შეიცავს ხელნაწერი, დაზიანებულია თუ არა ის და ა. შ., ანუ, როგორია ტექსტის დღევანდელი მდგომარეობა;

**6. ადრესატის მისამართი:** აქ მოცემულია ადრესატის ადგილსამყოფელი. რუბრიკა წერილის პასპორტში იმ შემთხვევაშია წარმოდგენილი, თუ მისამართი ავტორის მიერაა დასახელებული. გარკვეულ შემთხვევებში მისამართი მითითებულია ავტორთა მიერ, გარკვეულ შემთხვევებში კი ის წლების მიხედვით ადრესატთა მოღვაწეობის გათვალისწინებით, აგრეთვე საანალიზო თუ სხვა წერილებში დასახელებული ფაქტებისა და მოვლენების ურთიერთშეჯერებით აღვადგინეთ.

საპასპორტე რუბრიკებს მოსდევს წერილის შესახებ ინფორმაციის შემცველი შემდეგი რუბრიკები:

**1. შენიშვნები:** აქ აღწუსებულია კალმისმიერი შეცდომები, ტექსტის ენობრივი ლაფსუსები, ჩამატებები თუ გადაშლილი ადგილები. ტექსტში მოცემული ნუმერაცია სწორედ შენიშვნებზე მიგვითითებს;

**2. პირველი პუბლიკაცია:** აქ ვიგებთ, პირველად რომელ გამომცემლობაში და როდის დაიბეჭდა წერილი, გამოცემის რომელ გვერდებზეა იგი განთავსებული და ა. შ.

**3. დათარიღება:** რუბრიკაში, ფაქტების ანალიზის საფუძველზე, მოცემულია წერილის დაწერის სავარაუდო თარიღი და დასაბუთებულია მისი საფუძველი. წინამდებარე გამომცემაში დათარიღებულია 61 წერილი: აქედან 42 ზაქარია ჭიჭინაძის, ხოლო 19 – თევდორე ჟორდანიასი.

სამეცნიერო აპარატის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს კომენტარები, სადაც ამა თუ იმ ფაქტისა თუ მოვლენის ასახსნელად ბევრი ახალი მასალაა მოხმობილი.

თითოეული საკომენტარო ფრაზა დამონმებულია

გვერდისა და სტრიქონის მითითებით. სტრიქონების ნომრები ათვლილია სათაურის ჩაუთვლელად. შესაბამისად, მკითხველმა მისთვის საჭირო ინფორმაცია ამის გათვალისწინებით უნდა მოძებნოს. მაგ., თუ რომელიმე გვერდი იწყება სათაურის აღნიშვნით, ვთქვათ, მარი ბროსესადმი №1 (1) (გვ. 14), პირველი სტრიქონი ამ გვერდზე იქნება „მონყალეო ხემნიფევ“ და ა. შ., ანუ, რომლითაც იწყება უშუალოდ წერილი.

კომენტარების შემდეგ გამოცემას ერთვის პირთა და გეოგრაფიულ სახელთა ანოტირებული საძიებლები, რომლებიც ანბანურ რიგზეა დალაგებული და მკითხველს საშუალებას აძლევს, მისთვის სასურველი პიროვნება თუ გეოგრაფიული სახელი მითითებულ გვერდებზე მოძებნოს.

ანბანურ რიგში ჯერ გვარია წარმოდგენილი, შემდეგ სახელი და მამის სახელი, მაგ., **არაბიძე ალექსანდრე დიმიტრის ძე, ბარტენევი პეტრე ივანეს ძე** და სხვ. თუ მამის სახელი ცნობილი არ არის, მაშინ მარტო გვარი და სახელია მოცემული. თუ პიროვნება უფრო ზეწოდებით ან სოციალური სტატუსითაა ცნობილი, ვიდრე სახელითა და გვარით, საძიებელში სწორედ ამ ზეწოდებით ან სოციალური სტატუსით არის გატანილი, მაგ., გიორგი მთანმინდელი, ეფრემ მცირე, დავით აღმაშენებელი, შოთა რუსთაველი, იოანე ოქროპირი, სიმონ კანანელი, შიო მღვიმელი და სხვ.

ქალი პიროვნებები წარმოდგენილნი არიან ქალიშვილობის გვარით, რომლის გვერდითაც დეფისის შემდეგ მეუღლის გვარია დაფიქსირებული, მაგ., **მამაცაშვილი-ბაქრაძისა ანეტა (ანნა) იოსების ასული, ჩიჯავაძე-კარბელაშვილისა მარიამ თეოფილეს ასული.**

საძიებლებში პირთა სახელებს გვერდები იმ შემთხვევებშიც აქვს მითითებული, როცა ისინი საზოგადო სახელებით არის მოცემული, როგორცაა, მაგ., „შვილი“, „და“, „ძმა“, „სიძე“, „რძალი“ და ა. შ. და ცნობილია, ვისზეა საუბარი. მაგ.: „თქვენი გაზეთის №3533-ში დაბეჭდილი იყო მისი უდიდებულესობის, ან განსვენებული არქეოლოგის, დ. ბაქრაძის, ქვრივის წერილი.“ ამ შემთხვევაში საძიებელში გვერდები მითითე-



ბული აქვს როგორც დიმიტრი ბაქრაძეს, ისე მის ქვრივს – ანეტა მამაცაშვილ-ბაქრაძისას. მეორე მაგალითი: „სიმაშირი ბერშუეთს წავიდა“ (გვ. 207). რადგან ვიცით, რომ თევდორე ყორდანიას სიმაშირი დავით ტარსაიძეა, საძიებელში მასთან გვერდი გვაქვს აღნიშნული.

საძიებელში გვერდები არა გვაქვს დაფიქსირებული იმ შემთხვევებში, როცა პიროვნება საზოგადო სახელით არის მოხსენიებული და არ არის ნათელი, ვისზეა საუბარი, ან როდესაც მთელი ოჯახია მოხსენიებული და არ ჩანს, ოჯახის რომელი წევრები იგულისხმება, მაგ., „ალტყინებულის სიყვარულით მოგილოცავ თქვენ და თქვენს ოჯახობას“ (182); ანდა, როდესაც საზოგადო სახელი განზოგადებული მნიშვნელობით არის გამოყენებული, მაგ., „საუკუნო სახსოვარი დამიტოვეთ მე და ჩემს შვილებს“ (206); „ჩემი მტრები უთქვენოდ გამთელავენ სიბერის დროს და ჩემს შვილებს ულუკმაპუროდ დამიგდებენ“ (იქვე); ასევე, როდესაც საზოგადო სახელის გამოყენებით პიროვნების მდგომარეობაა გადმოცემული, მაგ., „დღეს, როდესაც მე ცოლისაგან ობლად დავრჩი ქვეყანაზე გულშემატკივარი არა მყავს“ (იქვე).

საძიებელში წარმოდგენილია წერილების ადრესატთა ანოტაციებიც. გვერდები კი იმ შემთხვევებში აქვთ მითითებული, თუ ისინი სხვა პირთათვის გაგზავნილ წერილებში არიან მოხსენიებულნი.

ანოტაციები არ ახლავს მოციქულების, წინასწარმეტყველებისა და ბიბლიური პერსონაჟების სახელებს.

გეოგრაფიული სახელები ანოტირებულ საძიებელში გატანილია ტექსტური მონაცემით და სწორი დასახელება წარმოდგენილია ფრჩხილებში. თუ სახელი ერთზე მეტი ვარიანტით არის წერილებში დასახელებული, საძიებელში ასახულია ყველა ვარიანტი, რომლებიც ერთმანეთისაგან პარალელური ხაზებით არის გამოყოფილი, ხოლო ფრჩხილებში მითითებულია სწორი დასახელება. თუ ერთზე მეტი ვარიანტით წერილებში მოცემულია ცნობილი გეოგრაფიული სახელი, მაშინ ფრჩხილებში სწორი დასახელება აღარ არის გატანილი,

მაგ.; თბილისი // თფილისი.

საძიებელში ანოტაციები არა აქვს დართული საქართველოს ქალაქებსა (განურჩევლად მათი სიდიდე-სიპატარავისა) და მხარეებს (მაგ., კახეთს, გურიას, იმერეთს, ფშავს, ხევსურეთს, აჭარას, აფხაზეთსა და ა. შ.). მათ მხოლოდ გვერდები აქვთ აღნიშნული.

გეოგრაფიულ სახელს გვერდები ეთითება იმ შემთხვევებშიც, თუ ის წერილის დაწერის ადგილია.

საძიებლების შემდეგ გამოცემაში წარმოდგენილია წერილების ენობრივი მიმოხილვა და ლექსიკონი. იმის გათვალისწინებით, რომ წინამდებარე გამოცემაში თვედორე ჟორდანას ეპისტოლური მემკვიდრეობის მხოლოდ ნაწილია დაბეჭდილი, მისი წერილების ენობრივ მიმოხილვას მკითხველს შევთავაზებთ მომდევნო (III) ტომში. ამ ეტაპზე კი მხოლოდ ზაქარია ჭიჭინაძის წერილების ენობრივი ანალიზით შემოვიფარგლებით.

ჟანრის სპეციფიკის გათვალისწინებით, ლექსიკონში, გარდა ლიტერატურულისა, სასაუბრო ფორმები, რუსიციზმები და უცხო წარმომავლობის სიტყვებიცაა ახსნილი. სალექსიკონო მასალა წარმოდგენილია ტექსტური ფორმებით, რომლებიც გარკვეულ შემთხვევაში არ ემთხვევა სალიტერატურო ფორმებს.

ხშირად ლექსიკონში მოცემულ სიტყვას განმარტება არ სჭირდება, მაგ., „ბიბლიოტეკა“, „ბროშიურა“, „ეგზემპლარი“, „არხივი“, „ალარასფერი“ და სხვ., მაგრამ ისინი მაინც არის ასახული ლექსიკონში ავტორთათვის დამახასიათებელი ორთოგრაფიული ჩვევებისა თუ სასაუბრო ფორმების სრულად წარმოჩენის მიზნით.

ვარიანტული სალექსიკონო ერთეულები წარმოდგენილია ერთმანეთის გვერდით, თუ მათ შორის მინიმალური ბგერითი სხვაობაა, და გაყოფილია პარალელური ხაზებით. მათ გვერდები მითითებული აქვთ რიგის მიხედვით, რომლებიც ასევე პარალელური ხაზებითაა ერთმანეთისაგან გამიჯნული. მაგ., **ამას წინედ // ამას წინეთ // ამასწინეთ** – ამას წი-

ნათ 48,11 // 14,5; 31,16; 34,25; 72,4 // 19,6. აღნიშნული გვერდების თითოეული სვეტი შეესაბამება სალექსიკონო ერთეულების კონკრეტულ სვეტს რიგითობის დაცვით.

გამოცემას დართული აქვს ადრესატთა ცხრილი, სადაც დაფიქსირებულია ყველა ადრესატი და მათდამი გაგზავნილი წერილების რაოდენობა.

სარჩევში წერილებს, ადრესატების გარდა, მითითებული აქვთ ნომრებიც და თარიღიც, მაგ., „მარი ბროსესადმი №1 (1) 1880, 26 თებერვალი.“ თუ წერილი უთარიღოა, მაშინ აღდგენილი თარიღი კვადრატულ ფრჩხილებშია მოთავსებული, მაგ., ანტონ ფურცელაძისადმი №1 (10) [1890, 14 ოქტომბერი]. თუ წერილი ავტორის მიერ დათარიღებულია თვისა და რიცხვის ჩვენებით, ხოლო წელი დადგენილია კვლევის შედეგად, მაშინ წელი კვადრატულ ფრჩხილებშია ჩასმული, ხოლო თვე და რიცხვი მის გარეთაა დაწერილი, მაგ., „სოფრომ მალობლიშვილისადმი №1 (2) [1883], 13 მაისი.“ თუ წერილი ავტორის მიერ დათარიღებულია ისევ თვისა და რიცხვის ჩვენებით, ოღონდ კვლევის შედეგად აღდგენილი წელი გვიჩვენებს არა კონკრეტულ, არამედ ზღვრულ თარიღს, მაშინ ზემო შემთხვევისგან განსხვავების მიზნით, ასეთი წერილები მოცემულია შემდეგი სახით: „ეგნატე იოსელიანისადმი №5 (48) [1919 წლის] 14 იანვრამდე.“ 14 იანვრის ფრჩხილებს გარეთ გატანა მიანიშნებს რომ იგი ავტორისეულია და წერილი დაწერილია 1919 წლის ჩათვლით რომელიმე 14 იანვარს. ეს შეიძლებოდა ყოფილიყო 1918 წლის 14 იანვარი, 1913 წლის 14 იანვარი და ა. შ.

თითოეულ საქმიან შენიშვნას სამეცნიერო ჯგუფი დიდი მადლიერებით მიიღებს და გაითვალისწინებს შემდგომი მუშაობისას.

ქეთევან გიგაშვილი

## ზაქარია ჭიჭინაძის წიგნები

### მარი ბროსესადმი №1 (1) გვ.: 14-15

**ავტოგრაფი:** C, მარი ბროსეს არქივი, №153 (ძველი S 4797/8).

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, და-  
ლაქავებული, საშუალო ფორმატის ორი ფურცელი, I ფურ-  
ცლის ზომა: 21,4X13,1 სმ.; II ფურცლის ზომა: 21,5X13,2 სმ.  
შესრულებულია შავი მელნით, რომლითაც მთლიანად დაჟან-  
გულია ხელნაწერი.

**თარიღი და ადგილი:** „1880 წელსა 26 თებერ. ქ. თბილის[ი].“

**ხელმოწერა:** „თქვენი კეთილის მოსურნე და სიცოცხლის  
მნატვრელი ერთგული მონა მოსამსახურე და ღრმად პატივის  
მცემელი ზაქარია ჭიჭინაძე.“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „მონყალეო ხემწიფევ, პა-  
ტივცემულო ბროსევ!“

**ადრესატის მისამართი:** ადრესატი პეტერბურგის მცნიერებათა  
აკადემიის წევრი იყო და ამავე ქალაქში ცხოვრობდა. შესაბა-  
მისად, წერილი **პეტერბურგში** უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ხელნაწერის ხელმარცხნივ, მიმართვის პირველ  
და მეორე სტრიქონებს შუა, ადრესატის ხელით მინაწერია:

«Отв. 14 апр. 1880»; 2. ავტორი ხშირად აკლებს ასოებს სიტყ-  
ვებში. ზოგჯერ ეს გამოწვეულია გადაბმით: ასოები ხშირად

ისეა გადაბმული, რომ მათ შორის ზოგიერთი ასო დაკარგუ-  
ლია. ჩვენ გამოტოვებულ ასოებს კვადრატულ ფრჩხილებში

აღვადგენთ; 3. „1“-ისა და „2“-ის შემდეგ ავტორს მძიმეები  
უნერია, ხოლო „3“-ისა და „4“-ის შემდეგ არაფერი. ჩვენ

ყველგან წერტილს ვწერთ; 4. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 5.  
ხელნაწერშია „შეგრუებას“; 6. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 7.

ისე წერია, რომ იკითხება „არაულებს“; 8. „ბიოგრაფიას შეი-  
ცავს“ ხაზგასმულია ავტორის მიერ. ამასთან, ავტორს უწერია

„შეიცვავს“; 9. ხაზგასმულია ავტორის მიერ. მოცემული აქვს  
ბრჭყალების გარეშე; 10. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 11.

ხელნაწერში წერია „იქონიებს“; 12. ხელნაწერში კითხვის ნიშანი წერია „მოძიანდებით“ ზმნის შემდეგ, რაც ამახინჯებდა აზრს.

**პირველი პუბლიკაცია:** მარი ბროსე, პირადი მიმოწერა, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ეთერ ქავთარაძემ, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბ., 2016, გვ.: 320-321.

წერილის ადრესატია ფრანგი ორიენტალისტი და ქართველოლოგი – მარი ფელისიტე ბროსე.

გვ.: 14,3. „აკადემიისაგან გამოგზავნილი“ – საუბარია პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიაზე, რადგან მარი ბროსე 1838 წლიდან იყო ამ აკადემიის წევრი.

გვ.: 14,6-7. „გეოგრაფია“ – 2. „ნალკოტი“. 3. თან სატარებელი ლოცვანი, 4. საქრისტიანო მოძღვრება და „კატეხიზმოსი“ – სავარაუდოდ, იგულისხმება 1877 წელს გამოცემული წიგნები: „მოკლე გეოგრაფია ფიზიკებრივი, მოქალაქებრივ და ისტორიებრივ სასოფლო სკოლებისათვის“, „ნალკოტი ლოცვათა, რომელი შეიცავს თავის შორის სხვა და სხვა რჩეულთა და ფრიად სახმართა ლოცვათა“ და 1871 წელს ერმალოზ ვასილის ძე რაზმაზოვის მიერ შედგენილი „შემოკლებული მართლ-მადიდებელი კატეხისმოსი“. თან სატარებელ ლოცვებში შეიძლება იგულისხმებოდეს 1878 წელს ხელაძის სტამბაში დაბეჭდილი „ლოცვანი“, რომლის სიგრძე-სიგანი იყო 11 და 8 სმ.

გვ.: 14,9-11. „წმ. ნინოს... დიმიტრი ბაქრაძისა და გრ. ორბელიანის ლექსებს“ – იგულისხმება 1880 წლის დასაწყისში გამოცემული წიგნები: დიმიტრი ბაქრაძის „მირიან მეფე და წმინდა ნინო“ და ზაქარია ჭიჭინაძის „თავადის გრ. ორბელიანის ლექსები“.

გვ.: 14,13-14. „ამ ჟამად იბეჭდება ბაგრატი მეოთხე და ვახტანგ მეექვსე“ – დიმიტრი ბაქრაძის წიგნი „საქართველოს მეფე ბაგრატი მეოთხე 1027-1072“ 1880 წელსვე გამოვიდა, მაგრამ ვახტანგ მეექვსის შესახებ წიგნი იმ პერიოდში არ დაბეჭდილა.

გვ.: 14,25. „გიორგი მთანმინდელის გადასწორებულს“ – საუბარია მე-11 საუკუნეში ათონის ივერთა მონასტრის წინამძღოლის, ცნობილი სასულიერო და საზოგადო მოღვაწის, გიორგი მთანმინდელის მიერ თარგმნილ „სახარებაზე“.

გვ.: 15,9-12. „დროებაში“ დაიბეჭდა შარშან და შარშან წინ, როგორც ხოსრო თურმანიძეზე და იმის „როსტომიანზე“ შაჰ ნამე და იოვანე ხახულელზე“ – „ზ. მთანმინდელის“ ფსევდონიმით ზაქარია ჭიჭინაძის სტატია „როსტომიანი. „შაჰ-ნამე“ ‘Chah Name’ მართლაც დაიბეჭდა „დროებაში“ 1879 წელს, მაგრამ მანამდე, 1877 წელს, ფსევდონიმით – „მ-ლი, ზ“ გამოქვეყნდა „გრიგოლ რჩეულოვის“ და არა იოვანე ხახულელის ბიოგრაფია.

გვ.: 15,23. „უფ. ტაბიძე სად იმყოფება? – სავარაუდოდ, საუბარია მესტამბესა და კალიგრაფ სვიმონ ტაბიძეზე, რომელიც დავით ჩუბინაშვილთან ერთად მუშაობდა „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემაზე.

## სოფრომ მგალობლიშვილისადმი №1 (2) გვ. 16

**ავტოგრაფი:** L, №15911-ბ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, დალაქავებული, მელნით დასვრილი, ცალხაზიანი რვეულის ფურცელი, ზომა: 13X10,5 სმ. შესრულებულია მუქი შავი მელნით.

**თარიღი და ადგილი:** „13 მაისს.“

**ხელმოწერა:** „თქვენი პატივის მცემელი ზ. ჭიჭინაძე.“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ძვირფასო სოფრონ!“

**ადრესატის მისამართი:** ადრესატის ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ 1873 წლიდან 1893 წლამდე ის გორის სასულიერო სასწავლებელში ქართული და რუსული ენების მასწავლებლად მსახურობდა. წერილიც, სავარაუდოდ, გორში უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ერთი „ა“ გამორჩენილია.

**დათარილება:** წერილის მიხედვით, რომელსაც „13 მაისს“ აწერია, ზაქარია ჭიჭინაძე სოფრომ მგალობლიშვილს გამოსაცემად სთხოვს პატარა ზომის მოთხრობას. ასევე ირკვევა, რომ სოფრომს თავისი მოთხრობა „ლამის მეხრე ცეცო“ ჯერ დასრულებული არა აქვს („თუ „ცეცო“ს ძალიან არ გააგძელებ ესეც შეიძლება რომ გამოვსცე“). პატარა ზომის მოთხრობა, რომელიც ზაქარია ჭიჭინაძემ 1887 წელს „ლამის მეხრე ცეცოს“ დაბეჭდვამდე გამოუცა სოფრომ მგალობლიშვილს, იყო „დედა მაია“ 1883 წელს. შესაბამისად, **ბარათიც 1883 წლის 13 მაისს უნდა იყოს დანერილი.**

წერილის ადრესატია ქართველი მწერალი და პიბლიცისტი – სოფრომ ზაქარიას ძე მგალობლიშვილი.

გვ.: 16,4. „ალი“ს ტოლა“ – საუბარია 1883 წელს ზაქარია ჭიჭინაძის მიერ გამოცემულ ნიკო ლომოურის მოთხრობაზე.

გვ.: 16,9-10. „ცეცო“ს... შეიძლება რომ გამოვსცე“ – საუბარია სოფრომ მგალობლიშვილის მოთხრობაზე „ლამის მეხრე ცეცო“, რომელიც ცოტა მოგვიანებით, 1887 წელს, გამოუცა ზაქარია ჭიჭინაძემ.

### **ალექსანდრე ოქროპირიძისადმი №1 (3) გვ.: 16-19**

**ავტოგრაფი:** C, ალექსანდრე ოქროპირიძის არქივი, №1603.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** ცისფერი, გახუნებული, საშუალო ფორმატის ორი ცალხაზიანი ფურცელი, ზომა: 20,3X13 სმ. შესრულებულია შავი მელნით, რომლითაც მთლიანად დაჟანგულია ხელნაწერი.

**თარიღი და ადგილი:** „27 მაისს, 1883 წ.“ / „27 მაისს, 1883 წ. ქ. ტფილისს.“

**ხელმოწერა:** „თქვენი პატივის მცემელი და წერილის მნატვრელი, მორჩილი მსახური ზაქარია ჭიჭინაძე.“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „თქვენო უსამღვდელოე-

სობავ, ყველასაგან პატივცემულო ალექსანდრე!“

**ადრესატის მისამართი:** 1882-1885 წლებში ალექსანდრე ოქროპირიძე გურიის ეპარქიის მღვდელმთავრის თანამდებობაზე მსახურობდა. ტექსტში ისე ჩანს, თითქოს ის საქართველოდან შორს ყოფილიყოს გადახვენილი, რაც მისი ბიოგრაფიული მონაცემებით არ დასტურდება. როგორც ჩანს, ზაქარია ჭიჭინაძემ მისი გორის ეპარქიიდან გურიაში გადასვლა მძიმედ განიცადა და გურია უცხო მხარედ წარმოისახა, ხოლო მისი ნასვლა – გადახვეწა. იგი წერს: „თქვენი მოქმედება და მრავალ-ნაირი მეცადინეობა თუმცა ჩვენის მხრიდან გარდახვენილია უცხო მხარისკენ, თუმცა თქვენს მამობრივს საუბარს ველარ ვსმენულობთ ხოლმე“ / „ჩვენის ქვეყნისთვის დიდი სავალალებელია თქვენი აქედგან გარდახვეწა.“ 1882 წლიდან ეპარქიის კათედრა **ოზურგეთში** იყო და წერილიც, შესაბამისად, აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ხელნაწერშია „უსამღვდელოესებავ“; 2. მეორე „ზ“ არ უწერია. რადგანაც აღნიშნული ფაქტი დისიმილაციური დაკარგვის ფონეტიკური პროცესით აიხსნება, ჩვენ არ ვასწორებთ მოცემულ სიტყვას; 3. ხელნაწერშია „უქენჯიდა“; 4. ხელნაწერში „ი“ არ წერია; 5. სიტყვა ჩამატებულია, მის დაბლა გადაშლილია „რომ“; 6. სიტყვა ხაზგასმულია; 7. სიტყვა ჩამატებულია; 8. ჯერ დაუწერია „მოგვწერამთ“ და მერე შეუსწორებია.

წერილის ადრესატია 1882-1885 წლებში გურიის ეპისკოპოსი – ალექსანდრე (ალექსი დავითის ძე) ოქროპირიძე.

გვ.: 17,11. **„ჩვენის მხრიდან გარდახვენილია უცხო მხარისკენ“** – 1882 წელს ალექსანდრე ოქროპირიძე გორის ეპისკოპოსობიდან და ქართლ-კახეთის ეპარქიის ქორეპისკოპოსობიდან გადაიყვანეს გურიის ეპისკოპოსად.

გვ.: 18,30. **„ანტონ პირველისაგან“** – საუბარია ცნობილ სასულიერო და საზოგადო მოღვაწეზე – თეიმურაზ იესეს ძე ბაგრატიონზე.

გვ.: 18,30-31. **„ამ წიგნს სახელად „მარტირია“ ეწოდება“** – საუბარია ანტონ I-ის მიერ შედგენილ მონამეთა მეტაფ-



რასულ თხზულებათა კრებულზე.

გვ.: 19,5-6. „მღვდელს კონჩოვეთან“ – მღვდლის სახელი ნახსენები არ არის და ვინაობა ვერ დგინდება.

გვ.: 19,6. „ჯანაშვილთან, მღებრიევთან“ – სავარაუდოდ, საუბარია ისტორიკოს მოსე ჯანაშვილზე, მღებრიევის სახელი და ვინაობა უცნობია.

გვ.: 19,22-23. „ერთი დიდი წიგნი გამოვა“ – 1883 წელს ზაქარია ჭიჭინაძემ ათამდე წიგნი გამოსცა, რომელთაგან ყველაზე დიდი მოცულობის იყო ნიკო ლომოურის „ალი“. შეიძლება ის იგულისხმებოდეს.

გვ.: 19,23. „საბინის წიგნის საქმე“ – საუბარი უნდა იყოს მიხეილ საბიბის წიგნზე – „საქართველოს სამოთხე“, რომელიც 1882 წელს გამოიცა პეტერბურგში.

#### ალექსანდრე ოქროპირიძისადმი №2 (4) გვ.: 20-21

**ავტოგრაფი:** C, ალექსანდრე ოქროპირიძის არქივი, №1604.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** ცისფერი, გახუნებული, საშუალო ფორმატის ორი ცალხაზიანი ფურცელი, ზომა: 20,2X13 სმ. შესრულებულია შავი მელნით, რომლითაც ალაგ-ალაგ დასვრილია ხელნაწერი. II ფურცლის ზედა და მარჯვენა კიდეები ოდნავ შელახულია. ხელნაწერის I გვერდის ზედა არშიაზე, მიმართვის მალლა, სავარაუდოდ, ადრესატის ხელით, ბაცი შავი მელნით მინაწერია: «1883 г. Юня.» (მეოთხე ციფრი გაურკვეველად წერია, „3“-საც ჰგავს და „8“-საც, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ავტორის მიერ მოცემული თარიღი „1883“ ნათლად იკითხება, ადრესატის მინაწერშიც ეს თარიღია სავარაუდებელი).

**თარიღი და ადგილი:** „5 ივნისს. 1883 წ. ქ. ტფილისს.“<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> ადგილი და თარიღი ავტორს ორჯერ აქვს მითითებული: წერილის თავსა და ბოლოში. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ პირველ შემთხვევაში „5 ივნისთან“ წერტილი წერია, მეორე შემთხვევაში – არა.

**ხელმოწერა:** „სხვაფრივ დავშთები თქვენი მარად მორჩილი და მარად პატივის მცემელი ზაქარია ჭიჭინაძე“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „თქვენო უსამღვდელოე-სობავ, ყველასაგან პატივ-ცემულო ალექსანდრე!“

**ადრესატის მისამართი:** 1882-1885 წლებში ადრესატი გურიის ეპარქიას ხელმძღვანელობდა. 1882 წლის შემდეგ ეპარქიის კათედრა **ოზურგეთში** იყო. აღნიშნულის გათვალისწინებით, წერილი აქ უნდა იყოს გაგზავნილი. ალექსანდრე ოქროპირი-ძის გურიაში მყოფობა ტექსტის შინაარსითაც ჩანს. ავტორი მას სწერს: „ამ ერთი კვირის წინეთ წერილი მოგწერეთ, რომელიც ერთ გურულ ყმანვილ-კაცს გამოვაცანე.“

**შენიშვნები:** 1. საზგასმულია ავტორის მიერ; 2. ხელნაწერშია „უსამღვდელოესებავ“; 3. ამის შემდეგ წერია „წირვის“, რაც ავტორის კალმისმიერი შეცდომაა და ჩვენ ის ამოვიღეთ ტექსტიდან; 4. ხელნაწერშია „სენოდიდამ“; 5. ავტორს „ი“ არ უწერია; 6. ხელნაწერშია „მათაგნი“; 7. ხელნაწერშია „მისაგან“; 8. ავტორი -ე-ზე დაბოლოებულ სახელებს ზოგჯერ კვეცს -ებ-იან მრავლობითში; 9. ხელნაწერშია „მღვდელი“.

წერილის ადრესატია 1882-1885 წლებში გურიის ეპისკოპოსი – ალექსანდრე (ალექსი დავითის ძე) ოქროპირიძე.

გვ.: 20,8-9. „**საბა სულხან ორბელიანის ლექსიკონს ერისთავი აჩქარებს**“ – საუბარია 1884 წელს გამოცემულ წიგნზე „ქართული ლექსიკონი“ და მის გამომცემელ რაფიელ დავითის ძე ერისთავზე.

გვ.: 20,14-15. „**ფრანგის (პატრი) მღვდელი იოვანე (ვინმე მესხი „დროება“ში გვარამაძე**“ – საუბარია ქართველ სასულიერო პირზე, მწერალსა და საზოგადო მოღვაწეზე – ივანე პავლეს ძე გვარამაძეზე, რომელიც იმ დროს „ვინმე მესხის“ ფსევდონიმით ბეჭდავდა გაზეთ „დროებაში“.

გვ.: 20,22-23. „**სომხის კათოლიკეები ქართულს ენაზე წირვა ლოცვის ნებას არ აძლევენ**“ – რუსეთის იმპერიამ საქართველოდან კათოლიკე მღვდლები განდევნა და კათოლიკურ ეკლესიაში ლათინური ტიპიკონი აკრძალა, რის შემდეგაც სომხები ცდილობდნენ სომხური ტიპიკონის დანერგვას.

გვ.: 20,25. „**დღეს რომში ორი გამოჩენილი ბერია წასული პაპის-კარზე**“ – ამ დროს რომის პაპი იყო ლეო XIII (ერისკაცობაში ვინჩენცო ჯოაკინო პეჩი).

გვ.: 21,4. „**ალექსანდრიაშია წასული მღვდელი ნასყიდოვი**“ – სავარაუდოდ, საუბარია კათოლიკე ბერ ათანასე ნასყიდაშვილზე, რომელიც ეგვიპტიდან ქართველ კათოლიკეთა სხვა ცენტრში – მონტობანში (საფრანგეთი) გადავიდა.

გვ.: 21,6. „**ბაქრაძე ბათუმისკენ გიხლათ**“ – სავარაუდოდ, საუბარია ისტორიკოს დიმიტრი ზაქარიას ძე ბაქრაძეზე.

გვ.: 21,9. „**ამ ახალმა ეპისკოპოზმა**“ – სავარაუდოდ, საუბარია ეპისკოპოს იოსებზე (ივან ივანეს ძე ჩეპიგოვსკიზე), რომელიც იმ დროს განაგებდა ქართლ-კახეთის ეპარქიას.

გვ.: 21,9-10. „**ლაფი დაესხა მაკარის**“ – საუბარი უნდა იყოს არქიმანდრიტ მაკარიზე – მიხეილ დიონისეს ძე მატათაშვილზე, რომელიც იყო საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის წევრი.

გვ.: 21,10-11. „**თქვენი მყოფობა არ ისურვეს აქა**“ – 1882 წელს ალექსანდრე ოქროპირიძე გორის ეპისკოპოსობიდან და ქართლ-კახეთის ეპარქიის ქორეპისკოპოსობიდან გადაიყვანეს გურიის ეპისკოპოსად.

გვ.: 21,17-18. „**ძველი წიგნი მომიტანეს კიდევ სულხან საბა ორბელიანისა, სახელად „სწავლა კიდობანთა**“ – ასეთი წიგნი XIX საუკუნეში არ გამოცემულა, მაგრამ შეიძლება ზაქარია ჭიჭინაძე გულისხმობდა იმ თხზულებას, რომელიც 1963 წელს დაიბეჭდა სულხან-საბა ორბელიანის თხზულებათა მე-3 ტომში სათაურით: „სწავლანი თქმულებანი სულხან-საბა ორბელიანის მიერ, საქრისტიანო მოძღვრება“.

გვ.: 21,20. „**ანტონ კათოლიკოზის „მარტირიკის**“ – საუბარია ანტონ I-ის მიერ შედგენილ მოწამეთა მეტაფრასულ თხზულებათა კრებულზე.

## ალექსანდრე ოქროპირიძისადმი №3 (5) გვ. 22

**ავტოგრაფი:** C, ალექსანდრე ოქროპირიძის არქივი, №1606.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** თეთრი ფერის, გახუნებული, ალაგ-ალაგ დალაქავებული, დასვრილი, სქელი ქალაღდი, ზომა: 21X13,5 სმ. შესრულებულია შავი მელნით. ხელნაწერის II გვერდზე რუსული ტექსტი წერია, რომელიც გადაშლილია, ხოლო IV გვერდზე ქართული ტექსტია შავი ფანქრით მიწერილი.

**თარიღი და ადგილი:** „2 ს. აგვისტოს.“

**ხელმოწერა:** „თქვენი პატივის მცემელი ზაქარია ჭიჭინაძე“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „თქვენო უსამღვდელოესობავ, პატივცემულო ალექსანდრე!“

**ადრესატის მისამართი:** 1882-1885 წლებში ადრესატი გურიის ეპარქიას ხელმძღვანელობდა. 1882 წლის შემდეგ ეპარქიის კათედრა **ოზურგეთში** იყო. აღნიშნულის გათვალისწინებით, წერილი აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ტექსტში კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული ასოები ავტორს არ უწერია; 2. ხელნაწერშია „დავიდ“.

**დათარიღება:** წერილში, რომელსაც „2 აგვისტო“ აწერია, ნათქვამია, რომ წინა დღით გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნდა სტატია ალექსანდრე ეპისკოპოსის არაჩვეულებრივ ინიციატივაზე. რამდენადაც ეს სტატია დაიბეჭდა **1884 წლის 1 აგვისტოს, წერილს ვათარიღებთ ამავე წლის 2 აგვისტოთი.**

გვ.: 22,4-5. „სტატია[ა] დაბეჭდილი, შესახებ თქვენის კეთილის განძრახვისა“ – საუბარია 1884 წლის 1 აგვისტოს „დროებაში“ გამოქვეყნებულ გრიგოლ ყიფშიძის სტატიაზე, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ალექსანდრე ეპისკოპოსის ფინანსური მხარდაჭერით გამოიცემოდა ანტონ კათალიკოსის გრამატიკა, რაფიელ ერისთავის რედაქციით.

გვ.: 22,8. „ამ ბარათის მომტანმა“ – პირის სახელი და გვარი არ ჩანს და ვინაობა ვერ დგინდება. როგორც ჩანს, ამ პირის კუთვნილება იყო ანტონ კათალიკოსის „გრამატიკის“ ხელნაწერი.

გვ.: 22,17. „**იამბიკონი, ნიკოლოზ თფილელისა**“ – საუბარია XVII-XVIII საუკუნეების ქართველი სახელმწიფო და სასულიერო მოღვაწის, ნიკოლოზ თბილელის, იამბიკოს ფორმის ლექსებზე.

გვ.: 22,18. „**ხმა მონანულისა, დავით ბატონიშვილისა**“ – საუბარია XVIII-XIX საუკუნეების ქართველი მწერლისა და მეცნიერის ნაშრომზე.

გვ.: 22,19. „**გრდემლი, არსენ კათალიკოზისა**“ – „გრდემლი“ არის ბესარიონ კათალიკოსის (ბარათაშვილ-ორბელიშვილის) თხზულება და არა არსენისა.

გვ.: 22,20. „**დარღვევა მაჰმადიანთა, იაკობ შემოქმედის მიტრაჰ**“ – საუბარია იაკობ დუმბაძის (იაკობ სამებელი / იაკობ შემოქმედელი) მიერ გალექსილ ბაგრატ მუხრანბატონის თხზულებაზე – „უსჯულოს მოჰამადისა და ქრისტიანეთ გაბასება“.

გვ.: 22,21. „**ანტონ კათალიკოზის**“ – საუბარია ცნობილ სასულიერო და საზოგადო მოღვაწეზე – თეიმურაზ იესეს ძე ბაგრატიონზე.

## **სოფრომ მაგლობლიშვილისადმი №2 (6) გვ.: 23-24**

**ავტოგრაფი:** L, №15912-ბ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, დალაქავებული, დასვრილი ქალაღი, ზომა: 20,5X13 სმ. შესრულებულია შავი მელნით. ხელნაწერის კიდევები დაზიანებულია, ქვედა კიდე პატარა ადგილას ამოხეულია.

**თარიღი და ადგილი:** „30 დეკემბერს.“

**ხელმოწერა:** „თქვენი პატივის მცემელი ზ. ჭიჭინაძე.“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ძვირფასო სოფრონ!“

**ადრესატის მისამართი:** ადრესატის ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ 1873 წლიდან 1893 წლამდე ის გორის სასულიერო სასწავლებელში ქართული და რუსული ენების მასწავლებლად

მსახურობდა. წერილშიც ჩანს მისი გორთან კავშირი. ავტორი მას სწერს: „გორელებს ერთი საყვედური უნდა მოგცეთ... თქვენ ე. ი. გორელები“... აღნიშნულის გათვალისწინებით, წერილი, სავარაუდოდ, **გორში** უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ანალოგიურ სიტყვებს ხშირად ასეთი ორთოგრაფიით წარმოადგენენ ამ პერიოდის ავტორები; 2. ამის შემდეგ გადაშლილია „და“ კავშირი; 3. ხელნაწერშია „ახალად“.

**დათარილება:** წერილიდან ჩანს, რომ ჟურნალ „ნობათში“ გამოქვეყნდა სოფრომ მგალობლიშვილის რაღაც მოთხრობა. ასევე ირკვევა, რომ ზაქარია ჭიჭინაძეს ახალგამოცემული აქვს წიგნი „ევგენი ევგენიჩ ზანზალოვი“. რამდენადაც სოფრომ მგალობლიშვილმა ნობათში პირველი მოთხრობა 1884 წელს გამოაქვეყნა და ხსენებული წიგნიც **1884 წელს გამოვიდა, ბარათიც ამ წელს უნდა იყოს დაწერილი.**

გვ.: 23,3. „**თქვენმა მოთხრობამ „ნობათი“ ერთი ათად დაამშვენა**“ – აქ უნდა იგულისხმებოდეს ჟურნალი „ნობათი“ და მასში 1884 წელს გამოქვეყნებული სოფრომ მგალობლიშვილის მოთხრობა „ყაყიტას ქურდი“.

გვ.: 23,10. „**მოთხრობა „ცეცოზე“ გწერდი**“ – საუბარია ადრესატის მოთხრობაზე „ლამის მეხრე ცეცო“.

გვ.: 23,15. „**ანტონ ფურცელაძის მეორე წიგნი**“ – სავარაუდოდ, საუბარია ანტონ ფურცელაძის თხზულებათა ორტომეულის მეორე წიგნზე, რომელიც 1884 წელს გამოსცა ზაქარია ჭიჭინაძემ.

გვ.: 23,17-18. „**კომედია „ევგენი ევგენიჩ ზანზალოვს“** – საუბარია გრიგოლ იაკობიძის (ცერცვაძის) ოთხმოქმედებიან კომედიაზე „ევგენი ევგენიჩ ზანზალოვი“, რომელიც 1884 წელს გამოსცა ზაქარია ჭიჭინაძემ.

გვ.: 23,22. „**გრიგორი ცერცვაძე**“ – საუბარია გრიგოლ იაკობის ძე ცერცვაძეზე, რომელიც წერდა „იაკობიძის“ ფსევდონიმით.

## დავით კარიჭაშვილისადმი №1 (7) გვ. 24

**ავტოგრაფი:** L, №4534-ბ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, დალაქავებული, ერთი ცალხაზიანი ფურცელი, ზომა: 20,6X12,9 სმ. შესრულებულია შავი მელნით.

**თარიღი და ადგილი:** „20 აგვისტო.“

**ხელმოწერა:** „თქვენი პატივის მცემელი ზ. ჭიჭინაძე“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ჩემო დათიკო!“

**ადრესატის მისამართი:** წერილის უთარილობის გამო ჭირს ადრესატის ადგილსამყოფლის დაზუსტება. მისი ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ საქართველოში დაბრუნებისთანავე, 1886 წელს, იგი თბილისის სათავადაზნაურო სკოლაში მიიწვიეს ფრანგული ენის მასწავლებლად. მალევე ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლაში განაგრძო პედაგოგიური საქმიანობა. „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადების“ მდივნად დანიშვნის დროიდან, 1891 წლიდან, თბილისში დაბრუნდა მეუღლესთან ერთად. 1895 წლიდან 1915 წლამდე თბილისის ქართულ გიმნაზიაში ასწავლიდა ქართულსა და ფრანგულ ენებს.<sup>2</sup>

**დათარიღება:** ტექსტიდან ჩანს, რომ ზაქარია ჭიჭინაძე საქართველოშია დაბრუნებული და სკოლაში მსახურობს. ამიტომ იგი დაწერილი უნდა იყოს 1885 წლის შემდეგ.

წერილის ადრესატია ქართველი ისტორიკოსი – დავით გიორგის ძე კარიჭაშვილი.

გვ.: 24,13-14. „**მონაფე არჩილ მაჭავარიანი**“ – დამატებითი ცნობები მის შესახებ არ მოგვეპოვება.

გვ.: 24,14. „**აპრილში დედა მოუკვდა**“ – არჩილ მაჭავარიანის დედის სახელი და გვარი უცნობია.

---

<sup>2</sup> კარიჭაშვილი, ლ., მსახურება ღვთისა და ერისა, დავით კარიჭაშვილის ღვაწლი, ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება, „ჩვენი მწერლობა“, თბ., 2013.

## დავით კარიჭაშვილისადმი №2 (8) გვ. 25

**ავტოგრაფი:** L, №4536-ბ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, დალაქავებული, ერთი ცალხაზიანი ფურცელი, ზომა: 19,5X13 სმ. შესრულებულია მოყავისფრო მელნით, რომლითაც ალაგ-ალაგ დასვრილია ხელნაწერი. ამასთან, მისი მარცხენა კიდე შელახულია.

**თარიღი და ადგილი:** „12 დეკ.“

**ხელმოწერა:** „თქვენი პატივის მცემელი ზ. ჭიჭინაძე“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „პატივცემულო დათიკო!“

**ადრესატის მისამართი:** წერილის უთარილობის გამო ჭირს ადრესატის ადგილსამყოფლის დაზუსტება. ტექსტის შინაარსიდან ირკვევა, რომ ადრესატი „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ საქმიანობასთან არის დაკავშირებული, რომელშიც იგი 1887 წლიდან ჩაება. მალე მან ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლაში პედაგოგად დაიწყო მუშაობა, სადაც 1891 წლამდე დარჩა. „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მდივნად დანიშნვის დროიდან, 1891 წლიდან, თბილისში დაბრუნდა მეუღლესთან ერთად.<sup>3</sup>

**შენიშვნები:** 1. ფორმა ფსევდოგრამატიზებული დაწერილობის ნიმუშია და ამიტომ უცვლელად ვტოვებთ.

**დათარიღება:** ტექსტში ნახსენებია მოწაფე მაჭავარიანი, რომელსაც ზაქარია ჭიჭინაძე დავით კარიჭაშვილთან ატანს წერილს და მისგან წიგნების სიის წამოღებას ავალებს. ეს პირი 20 აგვისტოს ბარათშიც არის ნახსენები, მაგრამ არ ჩანს, რომ დავით კარიჭაშვილს მანამდე შეხვედროდეს („თქვენს სკოლაში ეგ ზამენს იჭერს მოწაფე არჩილ მაჭავარიანი... ჩემი დგმურის შვილია“). მართალია, წელი არც ერთ ბარათთან მითითებული არ არის, მაგრამ 12 დეკემბრის წერილი ქრონოლოგიურად 20 აგვისტოსაზე უფრო გვიანდელი უნდა იყოს და **მას ვათარიღებთ 1885 წლის შემდეგ, რომელიმე 12 დეკემბრით.**

<sup>3</sup> კარიჭაშვილი, ლ., დასახელებული ნაშრომი.



გვ.: 25,8. „**მონაფე მაჭავარიანს გამოატანედ**“ – სავარაუდოდ, საუბარია 20 აგვისტოს წერილში ნახსენებ მონაფე არჩილ მაჭავარიანზე.

### **სოფრომ მგალობლიშვილისადმი №3 (9) გვ.: 25-26**

**ავტოგრაფი:** L, №15913-ბ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, ცალხაზიანი რვეულის ფურცელი, ზომა: 20,5X13 სმ. შესრულებულია შავი მელნით.

**თარიღი და ადგილი:** „23 მაისი.“

**ხელმოწერა:** „თქვენი პატივის მცემელი ზ. ჭიჭინაძე“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ჩემგან გულით პატივცემულო ძმაო სოფრომ!“

**ადრესატის მისამართი:** ადრესატის ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ 1873 წლიდან 1893 წლამდე ის გორის სასულიერო სასწავლებელში ქართული და რუსული ენების მასწავლებლად მსახურობდა. წერილიც, სავარაუდოდ, **გორში** უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ხელნაწერშია „ისდება“.

**დათარიღება:** რამდენადაც წერილიდან ჩანს, რომ ზაქარია ჭიჭინაძეს სოფრომ მგალობლიშვილის ერთზე მეტი წიგნი უნდა ჰქონდეს გამოცემული, მან კი სულ ორი წიგნი გამოუცა და, მათ შორის, მეორე – „ლამის მეხრე ცეცო“ – 1887 წელს, ბარათზე კი მიწერილია 23 მაისი, **იგი დაწერილი უნდა იყოს ან 1887, ან რომელიმე მომდევნო წლის 23 მაისს.**

გვ.: 25,19. „**დედა მაია**“ სულ აღარ მაქვს“ – საუბარია სოფრომ მგალობლიშვილის მოთხრობაზე „დედა მაია“, რომელიც 1883 წელს გამოსცა ზაქარია ჭიჭინაძემ.

გვ.: 25,21. „**ბარათის მომტანი ნიკო ნადიბაძე**“ – დამატებითი ცნობები ამ პირის შესახებ ვერ მოვიპოვეთ.

## ანტონ ფურცელაძისადმი №1 (10) გვ. 26

**ავტოგრაფი:** L, №28818 / №21 // №027157 / №28, 2r.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, გაცრეცილი ფურცელი, ზომა: 22X17,8 სმ. შესრულებულია შავი ფანქრით. ხელნაწერის კიდეები შელახული და შეხეულია.

**ხელმოწერა:** „თქვენი სიცოცხლის მნატვრელი ზაქარია“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ჩვენო ძვირფასო ანტონ!“

**ადრესატის მისამართი:** ამ პერიოდში ადრესატი **თბილისში** ცხოვრობდა და წერილიც, სავარაუდოდ, აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. წერილის თავში ადრესატის მინაწერია: „ზაქარია ჭიჭინაძეს წიგნი“.

**დათარილება:** 1890 წლის 11 ოქტომბერს სათავადაზნაურო ბანკის შენობაში ნიკოლოზ დიასამიძემ თავში დაჭრა ანტონ ფურცელაძე. წინამდებარე წერილიდან ჩანს ის მხარდაჭერა და თანადგომა, რასაც საზოგადოება იჩენდა დაზარალებულის მიმართ ამ შემზარავი ფაქტის შემდეგ. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ ბარათი მომხდარიდან მალევე უნდა იყოს დანერილი. რამდენადაც მასში ნათქვამია, რომ კვირა დღეა, 11 ოქტომბრის მომდევნო კვირა კი **1890 წელს იყო 14 ოქტომბერს**, იგი ამ დღეს უნდა იყოს დანერილი. ამას ადასტურებს 15 ოქტომბრის წერილიც, რომელშიც ნათქვამია: „კვირას გიახელი თქვენთან“.

## ანტონ ფურცელაძისადმი №2 (11) გვ. 27

**ავტოგრაფი:** L, №28818 / №20 // №027157 / №27, 1r.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, დალაქავებული, ცალხაზიანი რვეულის ფურცელი, ზომა: 21,5X13,7 სმ. შესრულებულია შავი მელნით.

**თარიღი და ადგილი:** „15 ოქტომბერს.“

**ხელმოწერა:** „მარადის თქვენი პატივის მცემელი და თქვენი სიცოცხლის მნატვრელი ზ. ჭიჭინაძე“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ყველა ქართველისაგან დიდათ პატივსაცემო ბატონო ანტონ!“

**ადრესატის მისამართი:** ამ პერიოდში ადრესატი **თბილისში** ცხოვრობდა და წერილიც, სავარაუდოდ, აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. წერილის თავში ადრესატის ხელით, შავი მელნით მინაწერია: „ზ. ჭიჭინაძეს წიგნი ჩემს დაჭრაზედ“; 2. ავტოგრაფში „ნჯ“ ბგერათმომდევრობაა.

**დათარილება:** წერილიდან, რომელსაც აწერია „15 ოქტომბერს“, ჩანს, რომ ანტონ ფურცელაძე ფიზიკურად ცუდად არის („თქვენი სიცოცხლის მნატვრელი“) და ამის მიზეზი უნდა იყოს დიასამიძე („ბევრნი ისე არიან ამისაგან აღელვებულნი, რომ დიასამიძე სადმე ნახონ, სულ ნაჭერ ნაჭერ აქცევენ“). 1890 წლის 11 ოქტომბერს ნიკოლოზ დავითის ძე დიასამიძემ საბანკო საქმეებთან დაკავშირებული პოლემიკის გამო ბანკის შენობაში თავში დანის დარტყმით დაჭრა ანტონ ფურცელაძე. შესაბამისად, **ბარათი 1890 წლის 15 ოქტომბერს უნდა იყოს დაწერილი.**

გვ.: 27,7-8. „**კვირას გაიხელი თქვენთან**“ – ბარათის დაწერის წელს 15 ოქტომბერი ორშაბათი იყო. შესაბამისად, ზაქარია ჭიჭინაძე ანტონ ფურცელაძის სანახავად 14 ოქტომბერს მისულა.

გვ.: 27,13. „**ნესტორის პირით შეგვატყობინე**“ – სავარაუდოდ, საუბარია ანტონ ფურცელაძის ნათესავზე.

გვ.: 27,16. „**დიასამიძე სადმე ნახონ**“ – საუბარია ნიკოლოზ დავითის ძე დიასამიძეზე, რომელმაც დანით დაჭრა ანტონ ფურცელაძე.

## სოფრომ მაგლობლიშვილისადმი №4 (12) გვ. 28

**ავტოგრაფი:** L, 15914-ბ, 1რ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, დალაქავებული, დასვრილი, ცალბაზიანი ფურცელი, ზომა: 20,5X13 სმ. შესრულებულია შავი მელნით.

**თარიღი და ადგილი:** „4 ივნისს.“

**ხელმოწერა:** „თქვენი მარადის პატივის მცემელი ზ. ჭიჭინაძე“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ძვირფასო სოფრომ!“

**ადრესატის მისამართი:** ადრესატის ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ 1873 წლიდან 1893 წლამდე ის გორის სასულიერო სასწავლებელში ქართული და რუსული ენების მასწავლებლად მსახურობდა. წერილიც, სავარაუდოდ, **გორში** უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ჩვენთვის უცნობია, რას ნიშნავს „5. მ“.

**დათარიღება:** რამდენადაც წერილიდან, რომელსაც მიწერილი აქვს „4 ივნისს“, ჩანს, რომ იმ თვის ბოლოს ავტორი შავშეთსა და იმერხევში მიემგზავრება, 1895 წლის ივლისსა და აგვისტოში კი გაზეთ „ივერიაში“ ქვეყნდება ზაქარია ჭიჭინაძის სტატიები იმერხევის (12 ივლისი) და შავშეთის (31 აგვისტო) შესახებ, ვფიქრობთ, **ბარათი 1895 წლის 4 ივნისს უნდა იყოს დაწერილი.**

წერილის ადრესატია წიგნის მაღაზიის მეპატრონე და გამომცემელი – ალექსანდრე დიმიტრის ძე არაბიძე, რომელმაც 1897 წელს გამოსცა ზაქარია ჭიჭინაძის მიერ მომზადებული ორი წიგნი: „აკაკი“ და „ნიკო ნიკოლაძე (ცხოვრება და მოღვაწეობა)“.

გვ.: 28,14. **„ტულუშისაც გამოძირთვით“** – სახელი არ არის მითითებული და დამატებითი ცნობების მოპოვება ვერ ხერხდება.

## ალექსანდრე ოქროპირიძისადმი №4 (13) გვ.: 28-29

**ავტოგრაფი:** C, ალექსანდრე ოქროპირიძის არქივი, №1605.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, დაჭმუჭნული, ორი ცალზახიანი ფურცელი, ზომა: 21X13,5 სმ. ხელნაწერს ეტყობა სამკუთხედი ნაკეცების კვალი.

**თარიღი და ადგილი:** „1 დეკემბერს. 1895 წ. ქ. ტფილისს.“

**ხელმოწერა:** „მარადის თქვენი ლოცვა კურთხევის და სიცოცხლის მნატვრელი ზ. ჭიჭინაძე.“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ყველა ქართველთაგან უღრმესად პატივცემულო და ქართველო ერის მამავ ალექსანდრე!“

**ადრესატის მისამართი:** 1886-1898 წლებში ადრესატი გორის ეპისკოპოსისა და ქართლ-კახეთის ეპარქიის ქორეპისკოპოსის თანამდებობებზე მსახურობდა. რთული სათქმელია, წერილი სად არის გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1-5. კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული ასოები ავტორს გამორჩენილი აქვს; 6. ხელნაწერშია „დავიდ“.

გვ.: 28,22. „ამ ბარათის მომტანი“ – პიროვნების არც სახელია ნახსენები და არც გვარი. ვიცით მხოლოდ, რომ სემინარიიდან არის გარიცხული.

## ალექსანდრე არაბიძისადმი №1 (14) გვ. 29

**ავტოგრაფი:** L, 5392-ბ, 1r.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული ფურცელი, ზომა: 17,5X16,5 სმ. შესრულებულია შავი მელნით.

**ხელმოწერა:** „ზ. ჭ.“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ჩემო ძვირფასო ალექსანდრე!“

**ადრესატის მისამართი:** 1894-1897 წლებში ადრესატი ზესტაფონში საგამომცემლო საქმეს უძღვებოდა და წერილიც, სავარაუდოდ, აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ხელნაწერში იკითხება „ვინყებს“; 2. გაკრული ხელით აქვს დაწერილი და არც „ი“ ჩანს კარგად და არც „უ“. **დათარილება:** რამდენადაც წერილის მიხედვით ნიკოლოზ დიასამიძე ცოცხალია, ბარათი დაწერილი უნდა იყოს მის მკვლელობამდე, **1897 წლის 13 აგვისტომდე.**

გვ.: 29,14. **„უნდა ნახო დიასამიძე“** – სავარაუდოდ, საუბარია ქველმოქმედ და საზოგადო მოღვაწე ნიკოლოზ დავითის ძე დიასამიძეზე. ამაზე მიგვანიშნებს ფრაზა: „მე მისი იმედებით წიგნების გამოცემას ვინყებ“.

### **ალექსანდრე ხახანაშვილისადმი №1 (15) გვ. 30**

**ავტოგრაფი:** C, ალექსანდრე ხახანაშვილის არქივი, №729.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, საშუალო ფორმატის ერთი ცალხაზიანი ფურცელი, ზომა: 21X13 სმ. დაწერილია შავი მელნით. ხელნაწერი ძალიან დაზიანებულია: გვერდები დიდ ფართობზეა ჩახეული.

**თარიღი და ადგილი:** „15 სექტემბერს 1898 წ. ქ. ტფილისს.“

**ხელმოწერა:** „შენი ძმა და მეგობარი ზ. ჭიჭინაძე“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ძვირფასო ძმაო სანდრო!“

**ადრესატის მისამართი:** ამ პერიოდში ადრესატი ქართულ ენასა და ლიტერატურაში კითხულობდა ლექციებს ლაზარევის აღმოსავლური ენების ინსტიტუტში, რომელიც მდებარეობდა **მოსკოვში.** წერილიც, სავარაუდოდ, აქ უნდა იყოს გაგზავნილი. მისი რუსეთში მყოფობას ადასტურებს ავტორის ფრაზა: „მიხა პეტერბურგს **მოდის** და იქმნება რამე ეშველოს“, სადაც გამოყენებულია „მოდის“ ფორმა და არა „მიდის“.

**შენიშვნები:** 1. ეს სიტყვა ორჯერ უწერია.

გვ.: 30,1-2. **„ძვირფასო ძმაო სანდრო“** – წერილის ადრესატია ქართველი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე – ალექსანდრე სოლომონის ძე ხახანაშვილი.

გვ.: 30,9-10. **„შენი ორივე წიგნი სიამოვნებით გადავიკითხე“** – სავარაუდოდ, საუბარია 1895-1897 წლებში ალექსანდრე

ხახანაშვილის მიერ გამოცემულ ტომებზე სათაურით – «Очерки по истории грузинской словесности», რომელთაგან ერთში საუბარი იყო ხალხურ ეპოსსა და აპოკრიფებზე და მეორეში – ძველ ქართულ მწერლობაზე.

გვ.: 30,11-12. **„ცაგარელს უნდა გაეკეთებინა“** – საუბარია ენათმეცნიერსა და ისტორიკოს ალექსანდრე თომას ძე ცაგარელზე.

გვ.: 30,13-14. **„გიგზავნი გორელს პატრს ტულუკანთ დავითას“** – საუბარი უნდა იყოს ზაქარია ჭიჭინაძის მიერ 1898 წელს გამოცემულ წიგნზე – „უმთავრესი მიზეზი საქართველოს მიმართ რომის ყურადღებისა, გორელი პატრი ტულუკანთ დავითა“.

გვ.: 30,14. **„მარის წერილს უნერ“** – საუბარია ენათმეცნიერ ნიკოლოზ იაკობის ძე მარზე.

გვ.: 30,18. **„მიხა პეტერბურგს მოდის“** – სავარაუდოდ, საუბარია მესტამბე მიხეილ სპირიდონის ძე გაჩეჩილაძეზე, რადგან სახელით „მიხა“ ზაქარია ჭიჭინაძის წერილებში ის არის ხოლმე მოხსენიებული.

## ეგნატე იოსელიანისადმი №1 (16) გვ. 31

**ავტოგრაფი:** L, №3027-ბ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, დალაქავებული, ცალხაზიანი რვეულის ფურცელი, ზომა: 21X13,3 სმ. შესრულებულია შავი მელნით. ხელნაწერი დაზიანებულია: მისი კიდეები შელახული და შეხეულია.

**თარიღი და ადგილი:** „28 მარტს 1899 წ. ქ. ტფილისს“

**ხელმოწერა:** „მარადის თქვენი პატივის მცემელი ზ. ჭიჭინაძე“  
**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ძვირფასო ძმაო ეგნატე!“  
**ადრესატის მისამართი:** ადრესატი **თბილისში** ცხოვრობდა და მოღვაწეობდა და წერილიც, შესაბამისად, აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული ადგილი მოხეულია; 2. ხელნაწერში აქ კალმისმიერი შეცდომაა: „ყ“-ს ნაცვლად წერია „კ“; 3. ჯერ დაუნერია „ჩემს“ და „ს“ წაშლია; 4. ხელნაწერშია „აბეჩშიკის“.

გვ.: 31,7. **„ბარათის მომტანი ისაკა მაისურაძე“** – დამატებითი ცნობები ამ პირის შესახებ ვერ მოვიპოვეთ.

გვ.: 31,14. **„ბაქრაძის ცნობა“** – სავარაუდოდ, საუბარია ისტორიკოს დიმიტრი ზაქარიას ძე ბაქრაძეზე.

### **ეგნატე იოსელიანისადმი №2 (17) გვ. 32**

**ავტოგრაფი:** L, 3089-ბ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, დალაქავებული, ცალხაზიანი რვეულის ფურცელი, ზომა: 21X13,3 სმ. შესრულებულია მუქი შავი მელნით.

**თარიღი და ადგილი:** „23 მაისს 1899 წ. ქ. თფილისს“

**ხელმოწერა:** „თქვენი პატივის მცემელი ზ. ჭიჭინაძე“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ძვირფასო ეგნატე!“

**ადრესატის მისამართი:** ადრესატი **თბილისში** ცხოვრობდა და მოღვაწეობდა და წერილიც, შესაბამისად, აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. „გე“ მარცვალ ავტორს გამოტოვებული აქვს.

გვ.: 32,2. **„ამ ბარათის მომტანს“** – პიროვნება მითითებული არ არის.

### **კონსტანტინე მამაცაშვილისადმი №1 (18) გვ.: 32-33**

**ავტოგრაფი:** L, 5408-ბ, 1რ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, ცალხაზიანი ფურცელი, ზომა: 21X13 სმ. დაწერილია შავი მელნით. ლიტერატურის მუზეუმშივე ინახება ამ წერილის ას-



ლი (5408), შესრულებული ლურჯი მელნით არასტანდარტულ, ცალხაზიან ფურცელზე, რომელსაც ვერტიკალურად შავი ზოლები ჩამოსდევს. ასეთივე მელნითა და ამავე ხელით მარცხენა მხარეს წერია „საქ. სახ. ლიტ. მუზ.“ ამავე ხელით ზემოთ წერია „პირი“. ფურცელს კიდეები შეღახული აქვს.

**თარიღი და ადგილი:** „ნ ივნისს 1899 წ. ქ. თფილისს“

**ხელმოწერა:** „მარადის თქვენი ღრმად პატივის მცემელი ზ. ფიჭინაძე“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ყველა ქართველთაგან დიდათ პატივცემულო კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე!“

**ადრესატის მისამართი:** წერილის დაწერის დროს ადრესატი თბილისში მოღვაწეობდა, რაც ტექსტის შინაარსითაც იკვეთება. ავტორი მას სწერს: „აჭარიდამ ორი ქართველი მოლა ჩამოვიდა, დიასამიძე და გეგიძე, მოსწავლეები არიან, აქედამ სახლში ვეღარ ბრუნდებიან, გზის ფული არა აქვსთ, ეგება ორი სამ[ი] მანათი ხელი გაუმართოთ.“ აღნიშნულის გათვალისწინებით, ბარათი გაგზავნილია **თბილისში**.

**შენიშვნები:** 1. ხელნაწერში „ი“ არ წერია; 2. ხელნაწერის მეორე მხარეს ადრესატის პასუხი წერია მუქი შავი მელნით, რომლითაც დასვრილია ფურცელი: „რაც შეიძლებოდა მივეცი შემწეობა ფულით. თქვენი მარად პატივისმცემელი კონსტანტინე მამაცოვი. NB. უკაცრავათ რომ ასრე გწერთ, ჩემის ავათმყოფობის გამო 1899 წელს 6 ივნისს.“

წერილის ადრესატია ცნობილი ქართველი სამხედრო და საზოგადო მოღვაწე – კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე მამაცაშვილი.

გვ.: 32,14-15. „**ორი ქართველი მოლა ჩამოვიდა, დიასამიძე და გეგიძე**“ – სახელები უცნობია და დამატებითი ინფორმაციის მოძიება ვერ ხერხდება.

## მიხეილ გაჩეჩილაძისადმი №1 (19) გვ. 33

**ავტოგრაფი:** L, №20594-ბ // სლმ: №015909<sub>1</sub>.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, დალაქავებული, დასვრილი, ცალხაზიანი რვეულის ფურცელი, ზომა: 20X12,8 სმ. შესრულებულია შავი მელნით. ხელნაწერის შუა ზოლი ვერტიკალურად საკმაოდ შელახულია, რის გამოც ამ ადგილას ასოები გაბაცებულია და ზოგან არც ჩანს. შელახული და შეხეულია ზედა და მარჯვენა კიდეებიც. ხელნაწერი რესტავრირებულია.

**თარიღი და ადგილი:** „24 თებერვ. 1900 წ. ქ. თფილისს“

**ხელმოწერა:** „თქვენი პატივის მცემელი ზ. ჭიჭინაძე“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ძვირფასო მიხა!“

**ადრესატის მისამართი:** მიხეილ გაჩეჩილაძეს **ზესტაფონში** სტამბა ჰქონდა გამართული და წიგნებს გამოსცემდა. წერილიც, სავარაუდოდ, აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. სიტყვის შუა სამი ასო არ ირჩევა; 2. ავტორი ხშირად „ა“-სა და „ი“-ს ერთნაირად წერს; 3. „მთ“ არ ჩანს და აღვადგინეთ.

წერილის ადრესატია მესტამბე – მიხეილ სპირიდონის ძე გაჩეჩილაძე.

გვ.: 33,11-12. „**ყიფიანმა 400 მ. მომი[...]**ვა“ – გაურკვეველია, რომელი ყიფიანია ნაგულისხმევი.

გვ.: 33,14. „**ვახ. ღამბაშიძეს შეეკითხე**“ – საუბარია ზესტაფონელ ექიმ ვახტანგ დავითის ძე ღამბაშიძეზე.

გვ.: 33,14-16. „**თუ „კრებულში“ პავლე შაჰყულიანი იბეჭდება, ან ქართული ჟურნალ-გაზეთების ისტორია**“ – საუბარია ქართველ კათოლიკეთა არქიმანდრიტ პავლე შაჰყულიანსა (ჭილიმუზაშვილზე) და ჟურნალ „აკაკის კრებულზე“, რომლის 1900 წლის მეორე ნომერში მართლაც დაიბეჭდა ზაქარია ჭიჭინაძის წერილი – „ისტორია ქართულ გაზეთების და ჟურნალების გამოცემისა 1817-1900“. რაც შეეხება მის ტექსტს – „ქართველთ კათოლიკეთა არქიმანდრიტი პავლე შაჰყულიანი (ჭილიმუზაშვილი) 1769-1855“ – „აკაკის კრებულში“ არ და-

ბეჭდილა, 1904 წელს გამოვიდა ცალკე წიგნად.

გვ.: 33,19. „**იმედოვის ძმა**“ – სავარაუდოდ, საუბარია მწერალსა და პუბლიცისტ იოსებ ზაქარიას ძე იმედაშვილსა და მის ძმაზე.

## **მიხეილ გაჩეჩილაძისადმი №2 (20) გვ.: 34-35**

**ავტოგრაფი:** L, №20594 // სლმ: №015909<sub>2</sub>.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, დალაქავებული, ორი დამოუკიდებელი ფურცელი, ზომა: 21,5X17,5 სმ. შესრულებულია შავი მელნით. ხელნაწერი დაზიანებულია: კიდეები მოცვეთილი და ალაგ-ალაგ შეხეულია. რესტავრირებულია.

**თარიღი და ადგილი:** „6 მარტს. 1900 წ. ქ. თფილისს“

**ხელმოწერა:** „თქვენი პატივის მცემელი ზ. ჭიჭინაძე“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ძვირფასო მისა!“

**ადრესატის მისამართი:** მიხეილ გაჩეჩილაძეს **ზესტაფონში** სტამბა ჰქონდა გამართული და წიგნებს გამოსცემდა. წერილიც, სავარაუდოდ, აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ხელნაწერში აქ წერტილი არ წერია; 2. ბრჭყალები კითხვის ნიშნის ნინ უწერია; 3. ჯერ „შენი“ დაუწერია და მერე გადაუშლია.

გვ.: 34,8. „**თამარ მეფის სამკაული**“ – საუბარია 1899 წელს ზაქარია ჭიჭინაძის მიერ გამოცემულ იოსებ დავითის ძე ციციშვილის წიგნზე – „თამარ დედოფლის სამკაული“.

გვ.: 34,9. „**ხელოსნები**“ – საუბარია 1896 წელს ზაქარია ჭიჭინაძის მიერ გამოცემულ ივანე დოღმაზაშვილის ლექსების კრებულზე, სერიით – „ხელოსნების ნაწერი ლექსები“.

გვ.: 34,10. „**ქართლის ცხოვრება**“ – საუბარია 1897 წელს ზაქარია ჭიჭინაძის მიერ გამოცემულ წიგნზე – „ქართლის ცხოვრება – დასაბამითგან მეათცხრამეტე საუკუნემდის“.

გვ.: 34,13. „**ისტორია სტამბისა**“ – საუბარია 1900 წელს ზაქარია ჭიჭინაძის მიერ მომზადებულ და გამოცემულ წიგ-

ნზე – „ისტორია ქართულის სტამბისა და წიგნების ბეჭდვისა, 1626-1900“.

გვ.: 34,10-18. **„ბეჟანეიშვილს... წერეთელს... ხეთერელს“** – სავარაუდოდ, საუბარია წიგნების მალაზიების მეპატრონეებსა და წიგნების გამავრცელებლებზე.

გვ.: 34,28. **„ლამბაშიძეს და შენ“** – სავარაუდოდ, საუბარია წიგნების გამომცემელ და მესტამბე, დეკანოზ დავით ლამბაშიძესა და წერილის ადრესატზე.

გვ.: 34,29-30. **„მელექსე მიხეილ გორდაძეს გამოვატანე“** – საუბარია თელაველ პოეტ მიხეილ გორდაძეზე, რომელიც ძველი წიგნების გამოცემაზეც მუშაობდა.

გვ.: 35,1. **„იმედოვს მამა დაეკარგა“** – შესაძლოა, საუბარი იყოს ქართველი მწერლისა და გამომცემლის, იოსებ იმედაშვილის, ძმასა და მამაზე – ზაქარია იმედაშვილზე.

გვ.: 35,5. **„თავის ძმასთან ველარ მოდის“** – სავარაუდოდ, იგულისხმება მწერალი და პუბლიცისტი იოსებ იმედაშვილი, რომლის დედა გვარად ჭიჭინაძე და, სავარაუდოდ, ზაქარია ჭიჭინაძის ნათესავი იყო.

### **მიხეილ გაჩეჩილაძისადმი №3 (21) გვ.: 35-36**

**ავტოგრაფი:** L, სლმ: 015909<sub>4</sub>.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, დალაქავებული ქაღალდი, ზომა: 21X13,5 სმ. შესრულებულია შავი მელნით. ხელნაწერი შელახულია: კიდეები მოცვეთილი და შეხეული აქვს. რესტავრირებულია.

**თარიღი და ადგილი:** „13 მარტს.“

**ხელმოწერა:** „თქვენი სიკეთის მოსურნე ზ. ჭიჭინაძე“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ჩემო ძვირფასო მიხეილ!“

**ადრესატის მისამართი:** მიხეილ გაჩეჩილაძეს **ზესტაფონში** სტამბა ჰქონდა გამართული და წიგნებს გამოსცემდა. წერილიც, სავარაუდოდ, აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**დათარილება:** ამავე ადრესატისადმი 1900 წლის 6 მარტს გაგზავნილ ბარათს თან ახლავს წიგნების სია და თხოვნა: „ეხლა გიგზავნი შემდეგ წიგნებს და იმედია ვალს დამდებთ და კუთვნილებებისამებრ გარდასცემთ“. წინამდებარე უთარილო ბარათში კი, რომელსაც „13 მარტს“ აწერია, ვკითხულობთ: „ალექსანდრე არაბიძე თუ მანდ არის, დამდე ვალი და სთხოვე, რომ სია შემიდგინოს იმ წიგნების რასაც ეგ ჩემზედ სთვლის“. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ ეს ბარათიც იმავე 1900 წლის 13 მარტს უნდა იყოს დანერილი.

გვ.: 35,16-17. „წიაღსა აბრამისას მივეცი საქმენი ჩემნი“ – ავტორი ალეგორიულად უნდა ამბობდეს, რომ საქმე შეწყვიტა.

გვ.: 35,21-22. „ალექსანდრე არაბიძე თუ მანდ არის“ – საუბარია ალექსანდრე დიმიტრის ძე არაბიძეზე.

### **კირილე ლორთქიფანიძისადმი №1 (22) გვ.: 36-37**

**ავტოგრაფი:** K, კირილე ლორთქიფანიძის ლიტერატურული არქივი №2173, დოკუმენტი №1032 (2173/1032), 1r-v.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, დალაქავებული, ჭვირნიშნიანი სანერი ქალაღი, ზომა: 21X13 სმ. ჰორიზონტალურად ეტყობა ნაკეცი შუახაზი. შესრულებულია შავი მელნით, რომლითაც დასვრილი და გაჟღენთილია ხელნაწერი.

**თარიღი და ადგილი:** „20 სექტემბერს.“

**ხელმოწერა:** „მარადის თქვენი პატივის მცემელი ზ. ჭიჭინაძე“  
**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „დიდათ პატივცემულო და საუკუნოთ ჩემგან დაუვიწყარო ბატონო კირილ ბეჟანის ძე!“

**ადრესატის მისამართი:** ამ პერიოდში ადრესატი ქუთაისში მოღვაწეობდა, რაც ტექსტიდანაც ჩანს: ავტორი მას თედო სახოკიასთვის დახმარების მიზნით გამრეკელთან შუამდგომლობას სთხოვს, რომელიც ასევე ქუთაისთან კონტექსტშია

ნახსენები: „ეხლა უთხრეს, რომ შენი თხოვნა ქუთაისშია გაგზავნილი გამრეკელთან და იმაზეა დამოკიდებული შენი ბედი და უბედობა.“ / „თქვენ შესახებ ამ ყმანვილისთვის ეთქვათ, რომ ქუთაისში კირილე ლორთქიფანიძე იცნობს გამრეკელსაო.“ აღნიშნულის გათვალისწინებით, ბარათი **ქუთაისშია** გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. სიტყვა „გამო“ ჩასწორებულია; 2. ასეა; 3. სიტყვა ხაზგასმულია. ამასთან, ავტორს „ა“ არ უწერია და ჩვენ აღვადგინეთ, რადგან ამის გარეშე აზრი დაუშვებელია; 4. ავტორს „ე“ არ უწერია.

**დათარიღება:** შინაარსიდან ჩანს, რომ ამ დროს თედო სახოკიას გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს არა მხოლოდ თარგმანები, არამედ წერილები აფხაზეთის შესახებაც. მეორე წერილი სოხუმის შესახებ თევდორე ჟორდანიამ „ცნობის ფურცელში“ გამოაქვეყნა 1899 წლის 12 ოქტომბერს. შესაბამისად, ბარათი, რომელსაც „20 სექტემბერს“ აწერია, **დანერვილი უნდა იყოს 1900 ან მომდევნო წლების 20 სექტემბერს.**

წერილის ადრესატია ქართველი მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე – კირილე ბეჟანის ძე ლორთქიფანიძე.

გვ.: 36,19. **„ბ. თევდორო სახოკია[ა]“** – საუბარია ქართველ მწერალზე, მთარგმნელსა და ეთნოგრაფზე – თედო ტიმოთეს ძე სახოკიაზე.

გვ.: 36,21-22. **„ტიხიევს აფხაზეთში ადგილი სთხოვა“** – სავარაუდოდ, საუბარია სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს მმართველზე კავკასიაში – ივან ივანეს ძე ტიხიევზე.

გვ.: 36,23. **„ქუთაისშია გაგზავნილი გამრეკელთან“** – შესაძლოა, საუბარი იყოს ჭიათურის მრეწველთა ასოციაციის თავმჯდომარეზე – ალექსანდრე გამრეკელზე.

გვ.: 37,11-12. **„ვუჩინოს იცნობთ კარგათ“** – საუბარი უნდა იყოს იმხანად კავკასიაში მოღვაწე ცნობილ აგრონომზე – ანატოლი იაგორის ძე ვუჩინოზე.

## აკაკი წერეთლისადმი №1 (23) გვ.: 37-38

**ავტოგრაფი:** C, აკაკი წერეთლის არქივი, №710.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, დალაქავებული, საშუალო ფორმატის ერთი ცალხაზიანი ფურცელი, ზომა: 21X13 სმ. დაწერილია შავი მელნით.

**თარიღი და ადგილი:** „14 მარტს 1901 წ. ქ. თფილისს“

**ხელმოწერა:** „მარადის თქვენი პატივის მცემელი ზ. ჭიჭინაძე“  
**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ჩვენი ტომის მნათობო აკაკი!“

**ადრესატის მისამართი:** ადრესატი ქუთაისში ცხოვრობდა და წერილიც, სავარაუდოდ, აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

გვ.: 37,19. „ჩვენი ტომის მნათობო აკაკი“ – წერილის ადრესატია ცნობილი ქართველი პოეტი – აკაკი როსტომის ძე წერეთელი.

გვ.: 37,20-21. „რაფიელ ისარლოვმა... მოგართვათ“ – საუბარია ქართველ საზოგადო მოღვაწეზე – რაფიელ პეტრეს ძე ისარლიშვილზე და, სავარაუდოდ, 1900 წლის პარიზის მსოფლიო გამოფენასთან დაკავშირებით მის მიერ ფრანგულ ენაზე გამოცემულ ალექსანდრე ხახანაშვილის „საქართველოს ისტორიაზე“.

გვ.: 37,24. „გიგოსაც ბოდიშს სთხოვს“ – გვარი არ წერია და პირის იდენტიფიცირება ვერ ხერხდება.

გვ.: 38,4. „მე და სოსიკო გამოვსცემთ“ – სავარაუდოდ, საუბარია ჟურნალ „აკაკის კრებულზე“, რომელიც 1901 წლამდე გამოდიოდა. უნდა იგულისხმებოდეს ფოლკლორისტი, საზოგადო მოღვაწე და წიგნების გამომცემელი – იოსებ მერკვილაძე.

## ეგნატე იოსელიანისადმი №3 (24) გვ. 38

**ავტოგრაფი:** L, №3026-ბ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, დალაქავებული, ცალხაზიანი რვეულის ფურცელი, ზომა: 21X13,3 სმ. შესრულებულია შავი მელნით. ხელნაწერის კიდეები ოდნავ მოცვეთილია.

**თარიღი და ადგილი:** „13 იანვარს 1902 წ. ქ. თფილისს.“

**ხელმოწერა:** „თქვენი პატივის მცემელი ზ. ჭიჭინაძე“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ძვირფასო ძმავო და მეგობარო ეგნატე!“

**ადრესატის მისამართი:** ადრესატი **თბილისში** ცხოვრობდა და მოღვაწეობდა და წერილიც, შესაბამისად, აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ხელნაწერში იკითხება „მოლაპარაკეობა“.

გვ.: 38,16-17. „**მიხეილ ქეშელაშვილს და გიორგი მჭედლიშვილს**“ – დამატებითი ცნობები ამ პირთა შესახებ ვერ მოვიპოვეთ.

## მოსე ჯანაშვილისადმი №1 (25) გვ. 39

**ავტოგრაფი:** L, №21865-ბ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, დალაქავებული ქაღალდი, ზომა: 20X13 სმ. შესრულებულია შავი მელნით. მარცხენა ზედა კუთხეში წითელი ფანქრით დახრილად აწერია „ზ. ჭიჭინაძე“.

**თარიღი და ადგილი:** „1 თებერვალს.“

**ხელმოწერა:** „თქვენი პატივის მცემელი ზაქ. ჭიჭინაძე“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ძვირფასო მოსე!“

**ადრესატის მისამართი:** წერილის დაწერის სავარაუდო პერიოდში ადრესატი საეკლესიო მუზეუმში მსახურობდა და ბარათიც, სავარაუდოდ, **თბილისში** უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ხელნაწერშია „სებასტიანოშია.“



**დათარილება:** წერილში საუბარია მიხეილ თამარაშვილზე და მოხსენიებული ბიოგრაფიული ფაქტების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ იგი საქართველოდან უკვე განდევნილია რომში, სადაც არის „სემენარიაში თუ სალაცა სასულიერო კოლეგიაში მღვთის მეტყველების მასწავლებლათ“. გამოქვეყნებული აქვს სტატიები, მაგრამ აპირებს წიგნების გამოცემას. მიხეილ თამარაშვილმა 1894 წელს დაამთავრა რომის სასულიერო აკადემია და იქვე განაგრძო მასწავლებლად მუშაობა. ამ პერიოდში მას გამოქვეყნებული ჰქონდა არაერთი სტატია ფრანგულ ენაზე, პირველი წიგნი კი გამოვიდა 1902 წელს – „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდგან ვიდრე XX საუკუნემდე“. შესაბამისად, **ბარათი 1894-1902 წლებში რომელიმე 1 თებერვალს უნდა იყოს დაწერილი.**

წერილის ადრესატია ქართველი ისტორიკოსი, ეთნოგრაფი და სასულიერო მოღვაწე – მოსე გიორგის ძე ჯანაშვილი.

გვ.: 39,3. „**კათოლიკის ბერი მიხეილ თამარაშვილი**“ – საუბარია ცნობილ სასულიერო პირსა და საზოგადო მოღვაწეზე – ალექსანდრე პეტრეს ძე თამარაშვილზე. იგი კათოლიკურ ოჯახში დაიბადა და რომის კათოლიკური ეკლესიის აბატი გახდა.

გვ.: 39,9. „**სებასტიანოშია**“ – საუბარია რომის წმინდა სებასტიანის ტაძარზე – *Sancti Sebastiani extra muros*.

### კონსტანტინე ლვამიჩავასადმი №1 (26) გვ.: 39-40

**ავტოგრაფი:** L, 5476-ბ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, დალაქავებული, ცალხაზიანი რვეულის ფურცელი, ზომა: 22X13 სმ. შესრულებულია მუქი შავი მელნით. ხელნაწერის მარცხენა და ქვედა კიდეები შელახულია.

**ხელმოწერა:** „თქვენი პატივის მცემელი ზაქ. ჭიჭინაძე“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ჩემო ძვირფასო კონი!“

**ადრესატის მისამართი:** წერილში ავტორი ადრესატს თუთუნის ქარხნის ყოფილი მუშის შვილისთვის დახმარების განცეას სთხოვს, რაც გვავარაუდებინებს, რომ ბარათი **თბილისში** უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ამ სიტყვაში ავტორი ხშირად აკლებს „ა“ ხმოვანს; გარდა ამისა, ტექსტში კვადრატულ ფრჩხილებში მოთავსებული ასოები თუ სასვენი ნიშნები ავტორს არ უწერია.

**დათარილება:** ტექსტის შინაარსიდან ჩანს, რომ მასში ნახსენები ევსევი თამბაქოს ქარხანაში მუშაობდა 50 წლის განმავლობაში. რამდენადაც თბილისში თამბაქოს პირველი ქარხნები 1852 წელს გაიხსნა, ბარათი სულ ცოტა **1902 წლის შემდეგ უნდა იყოს დაწერილი.**

წერილის ადრესატია კონსტანტინე ღვამიჩავა, რომელიც, სავარაუდოდ, რომელიღაც სასწავლებელში მუშაობდა.

გვ.: 39,19-20. „**ნინო ევსევის მეუღლე... ქალი ვერა**“ – უცნობია ევსევის, ნინოსა და ვერას გვარი და დამატებითი ცნობების მოძიება ვერ ხერხდება.

## ალექსანდრე არაბიძისადმი №2 (27) გვ.: 40-41

**ავტოგრაფი:** L, 5394-ბ, 1r.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, დალაქავებული, საშუალო ფორმატის ქაღალდი, ზომა: 18X14 სმ. შესრულებულია შავი მელნით. ხელნაწერს კიდევები მოცვეთილი და შეხეული აქვს.

**თარიღი და ადგილი:** „18 დეკემ.“

**ხელმოწერა:** „თქვენი პატივის მცემელი ზ. ჭ.“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ჩემო ძვირფასო სანდრო!“

**ადრესატის მისამართი:** როგორც წერილის შინაარსიდან ირკვევა, ავტორმა ადრესატს ჟურნალების ეგზემპლარები მიუტანა და სანაცვლოდ თანხა მოითხოვა, რაც მათ ტერიტორიულ სიახლოვეზე მიგვითითებს. აღნიშნულის გათვალისწინე-

ბით, წერილი გაგზავნილი უნდა იყოს **თბილისში**.

**დათარილება:** წერილში, რომელსაც „18 დეკემ.“ აწერია, ნახსენებია ჟურნალ „მოგზაურის“ 1903 წლის ნომრები და სულ ოთხი წლის ეგზემპლარები. ამდენად, საუბარი უნდა იყოს 1901-1904 წლებში გამოშვებულ ყოველთვიურ ისტორიულ, არქეოლოგიურ და გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიულ ჟურნალზე, რომელშიც ზაქარია ჭიჭინაძე თანამშრომლობდა. შესაბამისად. **ბარათი 1904 წლის შემდეგ უნდა იყოს დანერილი, რომელიმე 18 დეკემბერს.**

### **გიორგი ზდანოვიჩისადმი №1 (28) გვ. 41-43**

**ავტოგრაფი:** K, გიორგი ზდანოვიჩის (მაიაშვილი) არქივი, №6416, დოკუმენტი №1914 (6416/1914), 1r-v, 2r.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, დალაქავებული, ორი ცალხაზიანი ფურცელი, ზომა: 21X12,9 სმ. შესრულებულია შავი მელნით, რომელიც გაჟონილია ფურცელში. ხელნაწერის ქვედა კიდე მოცვეთილია.

**თარიღი და ადგილი:** „20 ივლისი. 1907 წ. თფილისი.“

**ხელმოწერა:** „მარადის თქვენი პატივის მცემელი ზ. ჭიჭინაძე“  
**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ჩემგან გულით პატივცემულო გიორგი ფელიქსისძე!“

**ადრესატის მისამართი:** 1907 წელს ადრესატი რუსეთის სახელმწიფო საბჭოს მეორე სათათბიროს ამომრჩეველად აირჩიეს და პეტერბურგში გაემგზავრა. ამ სიახლეზე წერილშიც არის მინიშნებული: „ყველა მათ აქეთკენ გულს დასწყდათ თქვენგან სამსახურიდამ გასვლა, თავის დანებება.“ აღნიშნულის გათვალისწინებით, ბარათი **პეტერბურგში** უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ხელნაწერში „ი“ არ წერია; 2. ხელნაწერში შემოკლებით წერია „რაისა“; 3. ხელნაწერშია „თქვენგან მიერ“. როგორც ჩანს, ჯერ დანერა „თქვენგან“, მერე უკეთესად

ჩათვალა „თქვენ მიერ“, ამიტომ დაწერა „მიერ“, მაგრამ წინა სიტყვასთან „გან“ თანდებულის წაშლა გამორჩა.

წერილის ადრესატია ქართველი ეკონომისტი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი და ჟურნალისტი – გიორგი ფელიქსის ძე ზდანოვიჩი (ფსევდ. მაიაშვილი).

გვ.: 41,7-8. **„თქვენგან სამსახურიდამ გასვლა“** – 1907 წელს გიორგი ზდანოვიჩი აირჩიეს რუსეთის სახელმწიფო საბჭოს მეორე სათათბიროს ამომრჩევლად და გაემგზავრა პეტერბურგში, რის გამოც თანამშრომლობა შეწყვიტა ქართულ ჟურნალ-გაზეთებთან.

გვ.: 41,24. **„ტუნის წიგნი წავიკითხე“** – ამ პერიოდში სერიების სახით გამოდიოდა ალფრედ ტუნის წიგნები სათაურით: «История революционного движения в России».

გვ.: 41,25-26. **„თქვენი სიტყვის ერთი პატარა შესანიშნავი ადგილი“** – საუბარია ალფონს ტუნის მიერ 1904 წელს გამოქვეყნებულ წიგნზე – «История революционного движения в России», რომელშიც ერთ თავად არის შეტანილი ზდანოვიჩის ტექსტი: «из речи Здановича».

გვ.: 41-42. **„ასევე წავიკითხე მესამე წიგნი, მოკლე ბიოგრაფია თქვენი სხვებთან ერთად დაბეჭდილი“** – სავარაუდოდ, საუბარია წიგნის – «История революционного движения в России» – 1903 წლის გამოცემაზე, რომელშიც განხილულია სოციალისტ-რევოლუციონერთა მოღვაწეობა.

## **გიორგი ზდანოვიჩისადმი №2 (29) გვ.: 43-45**

**ავტოგრაფი:** K, გიორგი ზდანოვიჩის (მაიაშვილი) არქივი, №6416, დოკუმენტი №1916 (6416/1916), 1r-v, 2r.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** ყვითელი ფერის, გახუნებული, დალაქავებული, ორი ცალხაზიანი ფურცელი, ზომა: 21X13 სმ. შესრულებულია შავი მელნით.

**თარიღი და ადგილი:** „5 ივნისი 1909 წ. თფილისი.“

**ხელმოწერა:** „მარადის თქვენი პატივის მცემელი ზ. ჭიჭინაძე“  
**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ჩემგან გულით პატივცემულო გიორგი ფელიქსისძე!“

**ადრესატის მისამართი:** ამ პერიოდში ადრესატი ქუთაისსა და ქიათურაში მოღვაწეობდა. წერილის შინაარსით ირკვევა, რომ ავტორი ქუთაისში მგზავრობას გეგმავდა და გიორგი ზდანოვიჩისგან ფულად შემწეობას ითხოვდა: „ქუთაისის გუბერნიაში 850 კაცზედ მეტი ყოფილა აჭარელ[ი] სტრაჟნიკები. მათში „ყურანი“ ბევრს დაურიგე, კითხვა ბევრმა ისწავლა ახლა ამ ისტორიის და სხვა წიგნების ბეჭდვა და მგზავრობაც მიხდება მათკენ. ამიტომ დაგავალებთ, რომ ამ მგზავრობის დროს, მომიხერხოთ როგორმე და 50 მ. მომცეთ“ / „იმედია, რომ ამ მგზავრობისთვის მაგ დავალებას შემისრულებთ და 50 მ. მომცემთ სახსარს მგზავრობისას, მალე წამოვალ მანდეთ.“ აღნიშნულის გათვალისწინებით, წერილი გაგზავნილი უნდა იყოს **ქუთაისში**.

**შენიშვნები:** 1. ავტორს „ი“ არ უწერია; 2. ხელნაწერშია „თითოცას“. აქ შეიძლებოდა ისიც გვეფიქრა, რომ ავტორმა ჩაიფიქრა დაეწერა „თითო ცალს“, სადაც „ლ“ თანხმოვანი გამოორჩა, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ სიტყვა ერთად წერია და „ას“ ასოები გადაბმულია, რაც „ლ“ თანხმოვნის გამოორჩენას საეჭვოს ხდის, ვფიქრობთ, რომ ავტორის სურვილი იყო დაეწერა „თითოსაც“, მაგრამ კალმისმიერი შეცდომა დაუშვა; 3. „1907“-ის შემდეგ გადახაზულია ასო „წ“; 4. სიტყვა ძნელად ირჩევა.

გვ.: 43,20-21. **„მოკლე ისტორია „მუსულმან ქართველთ საქართველოსი“** – საუბარია ზაქარია ჭიჭინაძის მიერ 1909 წელს გამოცემულ წიგნზე – „მუსულმან ქართველთ საქართველო“.

გვ.: 44,14. **„ბაქრაძეს და სხვათა“** – სავარაუდოდ, იგულისხმება დიმიტრი ბაქრაძე.

გვ.: 44,15. **„ქართული სტამბის ისტორია“ მიტომ დავბეჭდე“** – სავარაუდოდ, იგულისხმება 1909 წელს გამოცემული

ნიგნი – „ისტორია ქართული სტამბისა და ნიგნის ბეჭდვისა 1709-1909. მეფე ვახტანგ მეექვსე“.

გვ.: 44,16-17. **„ვახ. მეფემ თფილისში პირველად ქართული სტამბა გახსნა“** – საუბარია ვახტანგ მეექვსესა და მის მიერ დაარსებულ ქართულ სტამბაზე.

გვ.: 45,4-5. **„ეხლა მანკი, ვიდრე ეგზარხი გახლდათ“** – ამ დროისთვის საქართველოს ეგზარქოსი იყო არქიეპისკოპოსი ნიკონი, ნიკოლოზ ანდრიას ძე სოფიელი.

### **ანტონ ფურცელაძისადმი №3 (30) გვ. 46**

**ავტოგრაფი:** L, №28818 / №22 // №027157 / №29, 3r.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული ქალაქი, ზომა: 14,5X20 სმ. შესრულებულია შავი მელნით.

**თარიღი და ადგილი:** „12 სექტ.“

**ხელმოწერა:** „თქვენი პატივის მცემელი ზ. ჭიჭინაძე“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ბატონო ანტონ ნიკოლოზისძე!“

**ადრესატის მისამართი:** ამ პერიოდში ავტორი თბილისში ცხოვრობდა და წერილიც, სავარაუდოდ, აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. „მ“ არ უწერია.

**დათარიღება:** წერილიდან, რომელსაც „12 სექტ.“ აწერია, ჩანს, რომ ანტონ ფურცელაძის ირგვლივ პრესაში ცხარე კამათი იყო გამართული („წავიკითხე ყველა ის წერილები და კიცხვანი, სადაც გეხებოდა თქვენ“) და მის წინააღმდეგ ამხედრებულნი არიან ცნობილი ადამიანები („ცნობილი გვამნი გახლავან თქვენი მწერლობის გამობაში“). ასეთი აურზაური და ცხარე პოლემიკა მოჰყვა სათავადაზნაურო ბანკის კრებაზე 1909 წლის 5 ივლისს ანტონ ფურცელაძის გამოსვლას. პოლემიკაში ჩართული იყო გაზეთები: „ზაკავკაზი“, „ტიფლისკი ლისტოკი“ (23 ივლისი), „დროება“ (№164), „გუშაგი“, „ჩანგი“ (№19, 23, 24, 26 ივლისი), „ივერია“ (27 ივლ.) და ანტონ

ფურცელადის წინააღმდეგ მართლაც გამოდიოდნენ ცნობილი ადამიანები. მართალია, ეს პოლემიკა, ძირითადად, ივლისში მიმდინარეობდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ბარათი ზაქარია ჭიჭინაძის მიერ ამ სტატიების გაცნობისთანავე არ არის დაწერილი („სახლში ვერ მოგისწარით, თუმც რამდენჯერმე ვიყავ“). ამიტომ, ვფიქრობთ, რომ **ბარათი 1909 წლის 12 სექტემბერს უნდა იყოს დაწერილი.**

გვ.: 46,5. **„გკიცხავენ, გმოხენ თქვენს შრომას“** – ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა ვალერიან გუნია.

### **მიხეილ გაჩეჩილაძისადმი №4 (31) გვ. 47**

**ავტოგრაფი:** L, №20594-ს // სლმ: №015909<sub>3</sub> 4r.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, დალაქავებული ქალაღდი, ზომა: 18,7X15,8 სმ. შესრულებულია შავი მელნით, რომელიც II გვერდზეა გაჟონილი. ხელნაწერი საკმაოდ დაზიანებულია: კიდეები მოცვეთილია, ზედა მარცხენა კუთხე მოხეულია.

**თარიღი და ადგილი:** „22 მარტი. 1911 წ. თფილისი.“

**ხელმოწერა:** „თქვენი პატივის მცემელი ზ. ჭ.“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „პატივცემულო მიხეილ სპირიდონისძე!“

**ადრესატის მისამართი:** ხელნაწერის მეორე გვერდზე ადრესატის ვინაობა წერია მისამართის მითითების გარეშე: „მიხეილ სპირიდონისძე გაჩეჩილაძეს“. რამდენადაც მიხეილ გაჩეჩილაძეს **ზესტაფონში** სტამბა ჰქონდა გამართული და წიგნებს გამოსცემდა, წერილი, სავარაუდოდ, აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

წერილის ადრესატია ზესტაფონში (იმჟამად დაბა ყვირილა) სტამბის მეპატრონე და წიგნების გამომცემელი – მიხეილ სპირიდონის ძე გაჩეჩილაძე.

გვ.: 47,2-3. **„ჩარკვიანმა ასე დააბრუნა“** – საუბარია ქართველ გამომცემელსა და საზოგადო მოღვაწეზე – გრიგოლ ჩარკვიანზე.

გვ.: 47,8. „იგი ნ. ზარიძეს ვათხოვე“ – სავარაუდოდ, საუბარია მიხეილ ანდრიას ძე ზარიძის ძმაზე.

გვ.: 47,9-10. „მის ძმას მიჰყიდეთ“ – სავარაუდოდ, საუბარია გამომცემელ მიხეილ ანდრიას ძე ზარიძეზე.

გვ.: 47,10-11. „ქალვაჟიანი მე უკეთ მაქვს“ – საუბარია ქართულ ხალხურ თხზულებაზე, რომელსაც მიმონერის ფორმა აქვს.

### ეგნატე იოსელიანისადმი №4 (32) გვ. 48

**ავტოგრაფი:** L, №3025-ხ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, მელნით დაწინკლული ცალხაზიანი ქალაღი, ზომა: 21X13,3 სმ. შესრულებულია შავი მელნით. ხელნაწერის ზედა და ქვედა კიდეები შელახულია.

**თარიღი და ადგილი:** „30 ივლისი.“

**ხელმოწერა:** „თქვენი პატივის მცემელი ზაქ. ჭიჭინაძე“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ძვირფასო ძმაო ეგნატე!“

**ადრესატის მისამართი:** ადრესატი თბილისში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. წერილის შინაარსითაც ირკვევა, რომ ავტორი მასთან შინ მიდიოდა და წიგნებს უტოვებდა ხოლმე: „ამას წინედ [„]დავითიანი“ და მეორე წიგნი მოგიტანე, შინ დაგიტოვე, უეჭველია მიიღებდი. თუ არ მიგიღია აი ეხლა ინებეთ.“ აღნიშნულის გათვალისწინებით, ბარათი **თბილისში** უნდა იყოს გაგზავნილი.

**დათარიღება:** წერილში, რომელიც 30 ივლისით არის დათარიღებული, ნახსენებია, რომ ავტორმა მალე უნდა განახორციელოს „დიდმოურავის“ მეორე გამოცემა. საუბარი უნდა იყოს ანტონ ფურცელაძის წიგნზე – „ბრძოლა საქართველოს მოსასპობად და საქართველოს შესაერთებლად ანუ გიორგი სააკაძე და მისი დრო“, რომელსაც ზაქარია ჭიჭინაძე სხვა წერილებშიც „დიდმოურავად“ ან „მოურავად“ მოიხსენიებს. 1911 წელს ანტონ ფურცელაძემ განახორციელა მისი მეორე გამო-



ცემა. შესაბამისად, **ბარათს ვათარილებთ 1911 წლის 30 ივლისით.**

გვ.: 48,4-5. **„ცაგარელს ის სიტყვები არ უნდა მოეყვანა“** – საუბარია ენათმეცნიერსა და ისტორიკოს ალექსანდრე თომას ძე ცაგარელზე.

გვ.: 48,5-6. **„ლავროვი და მოლემოტი“** – შესაძლოა, საუბარი იყოს ფილოსოფოსებზე: პეტრე ლავრის ძე ლავროვსა და იაკობ მოლემოტზე. ლავროვი აკრიტიკებდა მოლემოტის ვულგარულ მატერიალიზმს.

გვ.: 48,11. **„[„დავითიანი“... მოგიტანე“** – სავარაუდოდ, საუბარია დავით გურამიშვილის თხზულებაზე.

გვ.: 48,13. **„დიდმოურავის“ ახალ გამოცემას ვბეჭდავ“** – საუბარია ანტონ ფურცელაძის წიგნზე – „ბრძოლა საქართველოს მოსასპობად და საქართველოს შესაერთებლად ანუ გიორგი სააკაძე და მისი დრო“.

#### **ანტონ ფურცელაძისადმი №4 (33) გვ.: 48-50**

**ავტოგრაფი:** L, №7433-ბ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, ლაქებით დანიწკლული ქაღალდი, ზომა: 21X19 სმ. შესრულებულია შავი მელნით ფურცლის ორივე მხარეს. მეორე მხარე შუაზეა გაყოფილი და ტექსტი ცალ-ცალკე წერია.

**თარიღი და ადგილი:** „25 აგვისტო.“

**ხელმოწერა:** „თქვენი პატივის მცემელი ზ. ჭიჭინაძე“ // „იგივე“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ძვირფასო ძმაო ანტონ!“

**ადრესატის მისამართი:** 1911 წლიდან ადრესატი საცხოვრებლად შიდა ქართლის სოფელ არბოში იყო გადასული. წერილის წინაარსითაც ირკვევა, რომ ის უკვე აღარ ცხოვრობს თბილისში. ავტორი მას სწერს: „ქალაქში ახალი საყურადღებო არაფერია. მალე მოგივათ კორექტურა. იასონი მანდეთ წამოვიდა.“ აღნიშნულის გათვალისწინებით, ბარათი **არბოში**

უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. „მ“ არ ნერია და „ჩა“ ზმნისწინი და საწყისის დარჩენილი ნაწილი ცალ-ცალკე ნერია; 2. „რ“-ს ნაცვლად შეცდომით „ბ“ დაუნერია, შემდეგ ისე ჩაუმატებია „რ“, რომ „ბ“ აღარ ნაუშლია; 3. ასეა (ფსევდოგრამატიზებული დაწერილობის ნიმუში); 4. ხელნაწერში აქ ნერტილი არ ნერია; 5. ხელნაწერშია „კორექტორა“; 6. გაზეთს ერქვა „ბათუმის გაზეთი“. ავტორს ბრჭყალები არასწორად აქვს გამოყენებული.

**დათარილება:** წერილის მიხედვით, რომელსაც „25 აგვისტო“ აწერია, ზაქარია ჭიჭინაძე ბეჭდავს ანტონ ფურცელაძის წიგნს, რომელიც მანამდეც იყო გამოცემული („ახალი დაბეჭდილი ძველის ნამდვილი პირი იყოს“) და ახსენებს ფურცელაძის აზრს ირბახის მიერ გვარის გამოცვლასთან დაკავშირებით. რამდენადაც ამის შესახებ საუბარია ანტონ ფურცელაძის წიგნში – „ბრძოლა საქართველოს მოსასპობად და საქართველოს შესაერთებლად ანუ გიორგი სააკაძე და მისი დრო“, საუბარი უნდა იყოს 1911 წელს ანტონ ფურცელაძის მიერ განხორციელებულ ამ წიგნის მეორე გამოცემაზე. შესაბამისად, **ბარათს ვათარილებთ 1911 წლის 25 აგვისტოთი.**

გვ.: 49,16. „იასონმა სულ 200 მ. მოიტანა“ – გაურკვეველია, რომელ იასონზეა საუბარი.

გვ.: 49,20. „ირბახის გვარის გამოცვლაზედ“ – საუბარი უნდა იყოს XVI-XVII საუკუნეების ცნობილ ქართველ მოღვაწეზე – ნიკოლოზ ჩოლოყაშვილზე, რომელიც განათლების მისაღებად იტალიაში გაემგზავრა, ბერად აღიკვეცა და იწოდა ნიკიფორე ირბახად.

გვ.: 49,21-22. „გამოიცვალა გვარი თამარაშვილმა და თამარათი დაირქვა“ – საუბარია ცნობილ სასულიერო პირსა და საზოგადო მოღვაწეზე – მიხეილ (ერისკაცობაში ალექსანდრე) პეტრეს ძე თამარაშვილზე.

გვ.: 49,30-31. „ვახტანგს არაფერი ეშველა“ – გაურკვეველია, რომელ ვახტანგზეა საუბარი.

გვ.: 49,32. „მარი მაისევნას“ – სავარაუდოდ, საუბარია ანტონ ფურცელაძის მეუღლეზე.

გვ.: 50,4. „ბათუმის ქართულ“ გაზეთში – 1911 წლის 15 ივლისიდან ბათუმში გამოდიოდა ყოველდღიური პოლიტიკურ-საზოგადოებრივი და ლიტერატურული გაზეთი „ბათუმის გაზეთი“. მისი გამომცემელ-რედაქტორი იყო ნ. ხომერიკი.

გვ.: 50,4-5. „მოურავის“ შესახებ კაი განცხადება იბეჭდება – საუბარია ამავე წიგნზე – „ბრძოლა საქართველოს მოსასპობად და საქართველოს შესაერთებლად ანუ გიორგი სააკაძე და მისი დრო“, რომელსაც ზაქარია ჭიჭინაძე სხვა წერილშიც მოკლედ „მოურავად“ ან „დიდ მოურავად“ იხსენიებს („მესამედ გამოვსცემ მოურავს მალე“).

### ანტონ ფურცელაძისადმი №5 (34) გვ.: 50-51

**ავტოგრაფი:** L, №7432-ს.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, ალაგ-ალაგ დალაქავებული ცალხაზიანი რვეულის ფურცელი, ზომა: 21X19 სმ. შესრულებულია შავი მელნით.

**თარიღი და ადგილი:** „23 თებერ.“

**ხელმოწერა:** „თქვენი პატივის მცემელი ზ. ჭიჭინაძე“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ბატონო ანტონ ნიკოლოზისძე!“

**ადრესატის მისამართი:** 1911 წლიდან ადრესატი საცხოვრებლად შიდა ქართლის სოფელ არბოში იყო გადასული და წერილიც, სავარაუდოდ, აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ფსევდოგრაფიზებული დაწერილობის ნიმუში.

**დათარიღება:** წერილს აწერია „23 თებერ.“ შინაარსიდან ჩანს, რომ რალაცის მეორე გამოცემა ხელმოწერით განხორციელდა, ფული შეჭამეს („ფული სხვებმა შეჭამეს და მეკი წიგნები უნდა დავარიგო“) და ტირაჟი უცებ გაიფანტა („ეს მეორე გამოცემა ცოტა არის, მალე დაიფანტება“). ამიტომ ზაქარია ჭიჭინაძეს სურს მესამე გამოცემის მალევე განხორციელება („მესამე გამოცემასაც მალე გამოვსცემ“). ანტონ ფურცელაძისადმი 1911 წლის 25 აგვისტოს წერილიდან და წიგნის –

„ბრძოლა საქართველოს მოსასპობად და საქართველოს შესაერთებლად ანუ გიორგი სააკაძე და მისი დრო“ – 1911 წლის გამოცემისთვის ზაქარია ჭიჭინაძის მიერ დართული განცხადებიდან („ხელის მომწერი იყო 600-სი. ამათგან მხოლოდ 300 მან. შემოვიდა, დანარჩენი სხვადასხვა პირებმა შეინარჩუნეს, წიგნები კი ყველას უნდა დაურიგდეს, ასე რომ, წიგნები გასაყიდათ ერთობ ცოტალა რჩება“) ჩანს, რომ საუბარი უნდა იყოს სწორედ ამ გამოცემაზე. რამდენადაც შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ეს ბარათი ქრონოლოგიურად 1911 წლის 25 აგვისტოს წერილზე უფრო გვიანდელი უნდა იყოს, **მას ვათარილებთ 1912 წლის 23 თებერვლით.**

გვ.: 50,11. „ეს მეორე გამოცემა“ – საუბარია წიგნზე – „ბრძოლა საქართველოს მოსასპობად და საქართველოს შესაერთებლად ანუ გიორგი სააკაძე და მისი დრო“

### **კირილე ლორთქიფანიძისადმი №2 (35) გვ. 51**

**ავტოგრაფი:** K, კირილე ლორთქიფანიძის ლიტერატურული არქივი №2173, დოკუმენტი №1031 (2173/1031), 1r.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** თეთრი ფერის, გახუნებული, დალაქავებული სანერი ქალაღდი, ზომა: 21X13,5 სმ. შესრულებულია შავი მელნით. ფურცელი ჩახეულია მარჯვენა კიდის შუა ნაწილში.

**თარიღი და ადგილი:** „5 აპრილი 1913 წ. თფილისი“

**ხელმოწერა:** „დავშთები თქვენ[ი] კარგად ბრძანების მონატრე ზაქ. ჭიჭინაძე“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ჩემგან გულით პატივცემულო ძვირფასო ძმაო კირილ ბეჟანისძე!“

**ადრესატის მისამართი:** ამ პერიოდში ადრესატი ქუთაისში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, რაც ტექსტიდანაც ჩანს. ავტორი მას სწერს: „ამ თვის 20-ს შემდეგ, ქუთაისში ჩამოვალ

და მაშინ ახლად მოგიხდებათ სიის შედგენა.“ აღნიშნულის გათვალისწინებით, ბარათი **ქუთაისშია** გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ანალოგიურ სიტყვებს ხშირად ამგვარი ორ-თოგრაფიით წარმოადგენენ ამ პერიოდის ავტორები; 2. ავტორს „ი“ არ უწერია.

წერილის ადრესატია ქართველი მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე – კირილე ბეჟანის ძე ლორთქიფანიძე.

გვ.: 51,7. **„მომბის“ სია დაკვარგე** – სავარაუდოდ, იგულისხმება ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სამეცნიერო და ლიტერატურული ჟურნალი, რომელიც გამოდიოდა 1894-1905 წლებში.

გვ.: 51,7. **„რაც ციხიდან გამოველ“** – ჩვენთვის ცნობილია, რომ ზაქარია ჭიჭინაძე დაკავებული იყო თითქმის ერთი თვით 1911 წელს, მაგრამ 1913 წლის დაკავების შესახებ ინფორმაცია არ მოგვეპოვება.

### კირილე ლორთქიფანიძისადმი №3 (36) გვ. 52

**ავტოგრაფი:** K, კირილე ლორთქიფანიძის ლიტერატურული არქივი №2173, დოკუმენტი №1030 (2173/1030), 1r.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** თეთრი ფერის, გახუნებული, ოდნავ დალაქავებული სანერი ქაღალდი, ზომა: 21X13,5 სმ. შესრულებულია შავი მელნით.

**თარიღი და ადგილი:** „8 სექტ.“

**ხელმოწერა:** „მარადის თქვენი პატივის მცემელი ზაქ. ჭიჭინაძე“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „დიდათ პატივცემულო კირილე ბეჟანისძე!“

**ადრესატის მისამართი:** ამ პერიოდში ადრესატი **ქუთაისში** ცხოვრობდა და მოღვაწეობდა და წერილიც აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** სიტყვა „გამოგიგზავნით“ წინადადებაში მეორდება ორჯერ.

**დათარილება:** ამავე ადრესატისადმი გაგზავნილი წერილი, რომელშიც ჟურნალ „მოამბის“ სიაზეა საუბარი, 1913 წლის 5 აპრილით არის დათარიღებული. რადგან ამ ბარათს თარიღად მხოლოდ 8 სექტემბერი აწერია, ვფიქრობთ, ისიც **1913 წელს უნდა იყოს დაწერილი.**

გვ.: 52,3. „სადაც „მოამბის“ ნომრები აქვს“ – სავარაუდოდ, იგულისხმება ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სამეცნიერო და ლიტერატურული ჟურნალი, რომელიც გამოდიოდა 1894-1905 წლებში.

### ალექსანდრე არაბიძისადმი №3 (37) გვ. 52

**ავტოგრაფი:** L, 5390-ბ, 1r.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** შესრულებულია საქართველოს მთავრობის სტამბის სატიტულო ფურცელზე შავი მელნით, ზომა: 26,5X19,5 სმ. კიდები შელახული აქვს.

**ხელმოწერა:** „ზაქარია.“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ჩემო ალექსანდრე!“

**ადრესატის მისამართი:** ამ პერიოდში ადრესატი **პეტერბურგში** ცხოვრობდა და წერილიც, სავარაუდოდ, აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ფრჩხილებში ინიციალები უნდა იყოს მითითებული. კარგად არ იკითხება, გაკრული ხელით წერია. შეიძლება წავიკითხოთ, როგორც „თ. გ“ ან, როგორც „დ. გ“.

**დათარილება:** წერილი უთარიღოა, მაგრამ საქართველოს მთავრობის სტამბის სატიტულო ფურცელზე, რომელზედაც ტექსტია დაწერილი, წლის აღმნიშვნელ გრაფაში დაბეჭდილია 191 წელი, რაც ნიშნავს, რომ ის დაწერილი უნდა იყოს 1910-1919 წლებში. წერილში საუბარია ვახუშტი ბატონიშვილის საქართველოს გეოგრაფიის გამოცემაზე. ცნობილია, რომ ზაქა-

რია ჭიჭინაძემ 1913 წელს გამოსცა „საქართველოს ცხოვრება 1469-1800-მდე ბატონიშვილის ვახუშტის მიერ“. აღნიშნულის გათვალისწინებით, **ბარათი დაწერილი უნდა იყოს არა უადრეს 1913 წლისა.**

გვ.: 52,15. „(თ. გ)“ – გაურკვეველია, ვისი ინიციალებია.

გვ.: 52,16. **„ვახუშტის გეოგრაფიის გამოცემა“** – საუბარია ქართველ ისტორიკოს ვახუშტი ვახტანგ VI-ის ძე ბაგრატიონსა და მის წიგნზე „საქართველოს გეოგრაფია“, რომელიც 1904 წელს მართლაც გამოსცა მოსე ჯანაშვილმა.

### **დავით კარიჭაშვილისადმი №3 (38) გვ.: 53-54**

**ავტოგრაფი:** L, №4535-ბ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, მართკუთხედუჯრედიანი, დალაქავებული ქალაღდი, ზომა: 20,8X12,6 სმ. შესრულებულია შავი მელნით, რომლითაც ალაგ-ალაგ დასვრილია ხელნაწერი.

**თარიღი და ადგილი:** „16 იანვარი 1914 წ, თფ.“

**ხელმოწერა:** „თქვენი პატივის მცემელი ზაქ. ჭიჭინაძე“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ჩემგან გულით პატივცემულო ძვირფასო დათიკო!“

**ადრესატის მისამართი:** ამ პერიოდში დავით კარიჭაშვილი თბილისში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. შესაბამისად, წერილიც აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ხელნაწერში ამის მომდევნო სიტყვები ახალი სტრიქონიდან იწყება, რაც აზრს წყვეტს. ეს ხარვეზი გამოცემაში გავასწორეთ; 2. ხელნაწერშია „მოსწავლეს“; 3. ავტორს სჩვევია ასოების, ზოგჯერ მარცვლების დაკლება; 4. ხელნაწერშია „მოსწავლია“; 5. ხელნაწერში ჩანს ასო „ს“-ს წინამავალ „ი“ ასოსთან გადაბმის დასაწყისი ნაწილი, რომელიც ხელნაწერის კიდეზეა განწყვეტილი. შესაძლოა, აქ ფურცელს მარჯვენა კიდე მცირეზე ჩამოჭრილი ჰქონდეს. ამას გვავარა-

უდებიანებს ის, რომ, ჯერ ერთი, „სი“ ახალ სტრიქონზე არ არის გადმოტანილი და, მეორეც, ძნელი საფიქრებელია, ავტორმა „ს“-ს დაწერა დაიწყო და არ გაითვალისწინა, რომ სტრიქონზე არ დაეტეოდა. 6. ჯერ „3“ დაუწერია და შემდეგ „4“-ად გადაუკეთებია.

გვ.: 53,4-5. **„ვახუშტი მოვრჩი, იმ კვირას გამოვა“** – 1914 წელს არც ვახუშტი ბატონიშვილის რაიმე ტექსტი გამოსულა და არც მის შესახებ, 1913 წელს კი ზაქარია ჭიჭინაძემ გამოსცა „ისტორიული სურათები ვახუშტის ისტორიისა“. რამდენადაც წერილი 1914 წლის 16 იანვარს არის დაწერილი, ვფიქრობთ, ეს წიგნი იგულისხმება, რომელიც გამოსაცემად 1913 წელს გადაეცა და ამიტომ თარიღად ეს წელი აწერია.

გვ.: 53,9. **„ბარათის მომტანი არის ერმოლოზ ვაჩაძე“** – სხვა წერილებიდანაც ჩანს, რომ ამ პიროვნებას წლების განმავლობაში მფარველობდა ზაქარია ჭიჭინაძე.

გვ.: 53,17. **„ოცხელისაგან წერილიც აქვს“** – სავარაუდოდ, იგულისხმება ქართველი პედაგოგი იოსებ ოცხელი.

გვ.: 53,18. **„პ. ყიფიანის წერილი“** – პირის იდენტიფიცირება ვერ ხერხდება.

გვ.: 53,18-19. **„სარაჯიშვილის სტეპენდიას ითხოვს“** – საუბარია დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილის სახელობის სტიპენდიაზე.

### დომინიკა ერისთავისადმი №1 (39) გვ. 54

**ავტოგრაფი:** L, №26741-10.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, დალაქავებული ქალაღდი, ზომა: 21X13,6 სმ. შესრულებულია მუქი შავი მელნით. ტექსტში ხაზგასმებია წითელი ფანქრით. ხელნაწერის მარცხენა კიდე ოდნავ შელახულია.

**თარიღი და ადგილი:** „31 იანვარი“

**ხელმოწერა:** „თქვენი პატივის მცემელი ზაქ. ჭიჭინაძე“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ჩემგან გულით პატივცე-



მულო ძვირფასო დომინიკე!“

**ადრესატის მისამართი:** წერილში ზაქარია ადრესატს ერმოლოზ ვაჩაძისადმი დახმარებას სთხოვს, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ იგი უკვე **თბილისში** მოღვაწეობს და თანამდებობრივად შეუძლია შემწეობის აღმოჩენა. შესაბამისად, წერილი აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ტექსტი, დაწყებული სიტყვებით – „ამ ბარათის“, აბზაცის ბოლომდე წითელი ფანქრით არის ხაზგასმული; 2. ასე ხმარობს ამ სიტყვას; 3. ტექსტი, დაწყებული სიტყვებით – „ერთ დროს“, მონიშნული სიტყვით დამთავრებული, წითელი ფანქრით არს ხაზგასმული.

**დათარილება:** ერმოლოზ ვაჩაძისთვის სტიპენდიის დანიშვნის თხოვნით ზაქარია ჭიჭინაძე დავით კარიჭაშვილსაც მიმართავს 1914 წლის 16 იანვარს. შესაბამისად, წინამდებარე ბარათი, რომელსაც 31 იანვარი აწერია, იმავე **1914 წლის 31 იანვარს უნდა იყოს დაწერილი.**

წერილის ადრესატია ქართველი მწერალი – დომინიკა ზურაბის ასული ერისთავი.

გვ.: 54,10-11. „ამ ბარათის მომტანი ერმოლოზ ვაჩაძე“ – როგორც სხვადასხვა პირისადმი მიწერილი ბარათებიდან ჩანს, ამ პიროვნებას დიდი ხნის განმავლობაში მფარველობდა ზაქარია ჭიჭინაძე.

### პეტრე მირიანაშვილისადმი №1 (40) გვ. 55

**ავტოგრაფი:** L, №5467-ბ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოყვითალო, გახუნებული, დალაცხებული, მელნით დანიწკლული ქალაღი, ზომა: 21X13,5 სმ. შესრულებულია მოყავისფრო მელნით. ხელნაწერის ქვემოთ არის ადრესატის პასუხი, დაწერილი მუქი შავი ფერის მელნით. მიმართვის ფორმაში, სადაც წერია „ზაქარია“, მელანია დაღვენთილი.

**თარიღი და ადგილი:** „13 თებერვალი 1915 წ. თფ.“

**ხელმოწერა:** „თქვენი პატივის მცემელი ზაქ. ჭიჭინაძე“  
**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ძვირფასო პეტრე!“  
**ადრესატის მისამართი:** ადრესატის მინაწერიდან ირკვევა, რომ ის ცხოვრობდა **თბილისში**, მთაწმინდაზე (იხ. მომდევნო რუბრიკა „შენიშვნები“).  
**შენიშვნები:** 1. ამას მოსდევს ადრესატის პასუხი:

„ძვირფასო ზაქარია

მე ვსცხოვრებ მთაწმინდაში Ведзинская №3. ხვალ დილით შინ ვიქმნები შუა დღემდე. თქვენი პატივის მცემელი პეტრე მირიანაშვილი“

წერილის ადრესატია ქართველი პედაგოგი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე – პეტრე გრიგოლის ძე მირიანაშვილი.

### **მიხეილ მაჩაბლისადმი №1 (41) გვ.: 55-56**

**ავტოგრაფი:** C, მიხეილ მაჩაბლის არქივი, №1465.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, დალაქავებული, საშუალო ფორმატის ერთი ცალხაზიანი ფურცელი, ზომა: 21,2X13,6 სმ. დაწერილია შავი მელნით.

**თარიღი და ადგილი:** „8 აგვისტო 1915 წ. თფ.“ / „1915 წ“

**ხელმოწერა:** „მარადის თქვენი პატივის მცემელი ზ. ჭიჭინაძე“  
**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „დიდათ პატივცემულო მიხეილ ვახტანგის ძევ!“

**ადრესატის მისამართი:** ადრესატი **თბილისში** ცხოვრობდა და მოღვაწეობდა და წერილიც აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ავტორის სახელის ინიციალი და გვარი შავი ფანქრით წერია; 2. წელი წითელი გრაფიტის ფანქრით წერია.

გვ.: 55,11-12. „დიდათ პატივცემულო მიხეილ ვახტანგის ძევ“ – წერილის ადრესატია ყვირილაში „წერა-კითხვის გამავ-

რცელებელი საზოგადოების“ რწმუნებული – მიხეილ (მიშო) ვახტანგის ძე მაჩაბელი.

გვ.: 55,13. „ჩემ მიერ დაბეჭდილ ახალ ნიგნს“ – საუბარი უნდა იყოს ზაქარია ჭიჭინაძის მიერ 1915 წელს გამოცემულ ნიგნზე – „ქართველების გამაჰმადიანება ანუ ქართველთა გათართება“.

გვ.: 55,22-23. „გაზეთ „ძმურ სიტყვის“ წერილებს“ – იგულისხმება ომისგან დაზარალებულ აჭარელთა სასარგებლოდ 1915 წლის 15 ივლისს გამოცემული ერთდღიური გაზეთი.

### ალექსანდრე ყიფშიძისადმი №1 (42) გვ.: 56-57

ავტოგრაფი: L, №864-ბ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, დალაქავებული, ერთი ცალხაზიანი ფურცელი, ზომა: 21X13 სმ. შესრულებულია შავი მელნით, რომლითაც ალაგ-ალაგ დასვრილია ხელნაწერი.

**თარიღი და ადგილი:** „18 დეკემბერს.“

**ხელმოწერა:** „თქვენი პატივის მცემელი ზ. ჭიჭინაძე.“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ძვირფასო სანდრო!“

**ადრესატის მისამართი:** წერილში ნახსენებია „კაზიონი“ პალატა („ამას შეუტყვია, რომ კაზიონი პალატაში ერთი ადგილი ყოფილა ამჟამად“), რაც მიგვანიშნებს, რომ ადრესატი ამ პერიოდში სახაზინო პალატაში მსახურობდა. შესაბამისად, წერილი თბილისში უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ხელნაწერში იკითხება „გრიგორიშიმ“.

**დათარიღება:** ბარათს მიწერილი აქვს „18 დეკემბერს“. ალექსანდრე ყიფშიძე გარდაიცვალა 1916 წლის ივნისში. შესაბამისად, წერილი 1915 წლის ჩათვლით რომელიმე 18 დეკემბერს უნდა იყოს დაწერილი.

წერილის ადრესატია ქართველი ისტორიკოსი და პუბლიცისტი – ალექსანდრე თევდორეს ძე ყიფშიძე.

გვ.: 56,22. „**კარგათ იცის ბატ. გრიგორიჩიმ**“ – პიროვნებაზე დამატებითი ინფორმაციის მოძიება ვერ მოხერხდა.

### ექვთიმე თაყაიშვილისადმი №1 (43) გვ. 57

**ავტოგრაფი:** C, ექვთიმე თაყაიშვილის არქივი, №1601.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, დალაქავებული, საშუალო ფორმატის ერთი ცალხაზიანი ფურცელი, ზომა: 20,9X13 სმ. დაწერილია შავი მელნით. ხელნაწერის II გვერდზე შავი მელნით მინაწერია: «№4592. 1911 რ. Апрель.»

**თარიღი და ადგილი:** „5 თებერ“

**ხელმოწერა:** „თქვენი პატივის მცემელი ზაქ. ჭიჭინაძე“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ჩემგან გულით პატივცემულო ძვირფასო ექვთიმე სიმონისძევ!“

**ადრესატის მისამართი:** წერილის შინაარსის გათვალისწინებით, ადრესატის ადგილსამყოფლად **თბილისი** ივარაუდება.

**დათარიღება:** წერილიდან ჩანს, რომ ზაქარია ჭიჭინაძეს სჭირდება რაღაც „ცნობები“ და სურათი სიმონ ლოლობერიძისგან. ვფიქრობთ, ეს მასალები მას დასჭირდებოდა წიგნისთვის – „ნიკოლოზ ბესარიონის ძე ლოლობერიძე და ქართული სტამბა 1627-1913“, რადგან სიმონი იმხანად უკვე გარდაცვლილი ნიკოლოზ ლოლობერიძის ძმა იყო. რამდენადაც ბარათს აწერია 5 თებერვალი, იგი **დაწერილი უნდა იყოს 1916 წლის 5 თებერვალს.**

გვ.: 57,6. „**ძვირფასო ექვთიმე სიმონისძევ**“ – წერილის ადრესატია ცნობილი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე – ექვთიმე სიმონის ძე თაყაიშვილი.

გვ.: 57,11. „**სიმონ ლოლობერიძეს ცნობები**“ – ექვთიმე თაყაიშვილის მოგონებების მიხედვით, მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა სიმონ ბესარიონის ძე ლოლობერიძის ოჯახთან,

რადგან ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლის პერიოდში ამეცადინებდა მის ქალიშვილ ნინოს.

### **კირილე ლორთქიფანიძისადმი №4 (44) გვ.: 58-59**

**ავტოგრაფი:** K, კირილე ლორთქიფანიძის ლიტერატურული არქივი №2173, დოკუმენტი №1033 (2173/1033), 1r-v.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, დალაქავებული, ერთი ცალხაზიანი ფურცელი, ზომა: 21X13,5 სმ. შესრულებულია შავი მელნით. ხელნაწერის ქვედა კიდე ოდნავ შელახულია.

**თარიღი და ადგილი:** „28 თიბათვე 1916 წ. თფილისი“

**ხელმოწერა:** „მარადის თქვენი კარგად ბრძანების მონატრე ზ. ჭიჭინაძე“ / „იგივე თქვენი პატივის მცემელი“ / „იგივე“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ჩემგან გულით პატივცემულო კირილ ბეჟანისძე!“ / „პატივცემულო კირილ ბეჟანისძე!“

**ადრესატის მისამართი:** ამ პერიოდში ადრესატი ქუთაისში მოღვაწეობდა, რაც წერილის შინაარსითაც დასტურდება. ავტორი მას სწერს: „მაღე გნახავთ ქუთაისში.“ აღნიშნულის გათვალისწინებით, ბარათი **ქუთაისშია** გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ჯერ სხვა სიტყვა დაუნერია და მერე გადაუკეთებია; 2. სიტყვა არ ირჩევა. თითქოს იკითხება „სიმპატიური“, მაგრამ კონტექსტისთვის შეუფერებელია; 3. სიტყვა ჩასწორებულია; 4. სიტყვა კარგად არ ირჩევა, სავარაუდოდ, „სურათის“ უნდა იყოს.

წერილის ადრესატია ქართველი მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე – კირილე ბეჟანის ძე ლორთქიფანიძე.

გვ.: 58,6. „ოსეთი ქართულის წიგნებით“ – იგულისხმება 1915 წელს გამოცემული წიგნი – „ოსეთი ქართული წიგნე-

ბით, ზეპირის ამბებით, სახალხო გარდმოცემებით და ძველებურის დარჩენილის ცნობებით“.

გვ.: 58,6-7. „ქართული სტამბა 1627-1915 წლებში“ – სავარაუდოდ, იგულისხმება 1916 წელს გამოცემული წიგნი – „ნიკოლოზ ბესარიონის ძე ლოლობერიძე და ქართული სტამბა 1627-1913 წ.“

გვ.: 58,25. „მომამის“ ნომრები თუ კიდევ გჭირათ“ – სავარაუდოდ, იგულისხმება ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სამეცნიერო და ლიტერატურული ჟურნალი, რომელიც გამოდიოდა 1894-1905 წლებში.

### კირილე ლორთქიფანიძისადმი №5 (45) გვ. 59

**ავტოგრაფი:** K, კირილე ლორთქიფანიძის ლიტერატურული არქივი №2173, დოკუმენტი №1034 (2173/1034), 1r-v.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, ერთი ცალხაზიანი ფურცელი, ზომა: 21X13,2 სმ. შესრულებულია შავი მელნით.

**თარიღი და ადგილი:** „14 აგვისტოს 1916 წ. თფ.“

**ხელმოწერა:** „მარადის თქვენი ღრმად პატივის მცემელი ზ. ჭიჭინაძე“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „დიდად პატივცემულო კირილე ბეჟანისძე!“

**ადრესატის მისამართი:** ამ პერიოდში ადრესატი ქუთაისში მოღვაწეობდა და წერილიც, სავარაუდოდ, აქ არის გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ხელნაწერში აქ სასვენი ნიშანი არ წერია, რაც ართულებს აზრის გაგებას; 2. ხელნაწერშია „გიაამბობსთ“.

გვ.: 59,13. „ბარათის მომტანი ვიქტორ შალამბერიძე“ – წყაროდან ჩანს, რომ ხელოსანია. სხვა დამატებითი ცნობები მის შესახებ არ მოგვეპოვება.

## ალექსანდრე არაბიძისადმი №4 (46) გვ.: 60-61

**ავტოგრაფი:** L, №5397-ბ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული ქალაქი, ზომა: 22X18 სმ. შესრულებულია მუქი შავი მელნით. ხელნაწერს კიდები მოცვეთილი აქვს.

**თარიღი და ადგილი:** „8 ოქტ. 1918 წ. თფ.“

**ხელმოწერა:** „თქვენი პატივის მცემელი ზაქ. ჭიჭინაძე“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ჩემგან გულით პატივცემულ ბატონო ალექსანდრე დიმიტრის ძე!“

**ადრესატის მისამართი:** 1904 წლიდან 1918 წლამდე ადრესატი პეტერბურგში ცხოვრობდა. წერილში ავტორი მას პეტერბურგში წასულ აკაკი ხოშტარიასთან შუამდგომლობას სთხოვს, რომ ეს უკანასკნელი მას ისტორიული წიგნის გამოცემაში დაეხმაროს. აღნიშნული გვაგვარაუდებინებს, რომ ადრესატი ჯერ ისევ პეტერბურგშია და ბარათიც აქ არის გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ხელნაწერში აქ სასვენი ნიშანი არ წერია; 2. ავტორს „ა“ არ უწერია; 3. ბრჭყალები არა აქვს დახურული.

გვ.: 60,5. „ყარამან კიკნაველიძის სიტყვით“ – დამატებითი ცნობები ამ პირის შესახებ ვერ მოვიპოვეთ.

გვ.: 60,8. „ქველ მომქმედს აკაკი ხოშტარიას“ – საუბარია მრეწველსა და ქველმოქმედ აკაკი მეთოდეს ძე ხოშტარიაზე.

გვ.: 60,9-10. „გამომეცა... „ქართველ მაჰმადიანთ ცხოვრება“ – ამ დასათაურების წიგნი ზაქარია ჭიჭინაძეს უკვე ჰქონდა გამოცემული 1916 წელს, მაგრამ, როგორც ჩანს, აქ იგულისხმება ის წერილები, რომლებიც მან 1927 წელს შეიტანა წიგნში: „ოსმალეთის ყოფილი საქართველო და ქართველ მაჰმადიანთა ისტორიის კონსპექტი 1452-1926“.

გვ.: 60,28-29. „მინდა გამოვსცე „სოლომონ ლეონიძის ცხოვრება[“] – ამ წიგნის გამოცემა ზაქარია ჭიჭინაძემ ველარ მოახერხა.

## ალექსანდრე არაბიძისადმი №5 (47) გვ. 61

**ავტოგრაფი:** L, №5399-ბ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მართკუთხედის ფორმის გაყვითლებული, გახუნებული, დალაქავებული ქაღალდი, ზომა: 25,5X8,5 სმ. შესრულებულია შავი მელნით.

**თარიღი და ადგილი:** „30 ნოემბერი 1918 წ.“

**ხელმოწერა:** „თქვენი სიკეთის მონატრე ზ. ჭ.“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ძვირფასო სანდრო!“

**ადრესატის მისამართი:** წერილიდან ვიგებთ, რომ ავტორი ადრესატთან აგზავნის სტამბაში ნამუშევარ კაცს და ატანს წინამდებარე ბარათს, რაც მათ ტერიტორიულ სიახლოვეზე მიანიშნებს: „თუ არ იწყენ, ამ ბარათის მომტანს, დავალება აქვს შენთან და უყავ სიკეთე და მოუსმინე, სტამბაში ნამუშევარია.“ აღნიშნული გვაგვარაუდებინებს, რომ ადრესატი უკვე საქართველოშია ჩამოსული და წერილიც **თბილისშია** გაგზავნილი.

გვ.: 61,12. „**იცის ვერტელჩიკობა**“ – სავარაუდოდ, საუბარია დაკაბადონების ცოდნაზე (Верстальщик).

## ევნატე იოსელიანისადმი №5 (48) გვ. 62

**ავტოგრაფი:** L, №3028-ბ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, დალაქავებული, ცალხაზიანი რვეულის ფურცელი, ზომა: 21X13,3 სმ. შესრულებულია შავი მელნით.

**თარიღი და ადგილი:** „14 იანვარი.“

**ხელმოწერა:** „მარადის თქვენი პატივის მცემელი ზ. ჭიჭინაძე“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ძვირფასო ძმაო ევნატე!“

**ადრესატის მისამართი:** ადრესატი **თბილისში** ცხოვრობდა და მოღვაწეობდა და წერილიც, შესაბამისად, აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. „ი“ არ უწერია; 2. ფსევდოგრამატიზებული და-



წერილობის ნიმუში.

**დათარილება:** წერილს ვათარილებთ ბარათზე მიწერილი თვისა და რიცხვის და ადრესატის გარდაცვალების დროის მიხედვით – **1919 წლის 14 იანვრამდე.**

გვ.: 60,2. „**ბარათის მომტან[ი] მასწავლებელი**“ – პიროვნება მითითებული არ არის.

### **ალექსანდრე არაბიძისადმი №6 (49) გვ.: 62-63**

**ავტოგრაფი:** L, №5398-ბ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული ქალაქი, ზომა: 25,5X16,5 სმ. ქვედა მხარე შელახული და შეხეული აქვს. შესრულებულია შავი მელნით.

**თარიღი და ადგილი:** „5 მაისი, 1919 წ. თფ.“

**ხელმოწერა:** „ზ. ჭიჭინაძე“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ჩემგან გულით პატივცემულო ძვირფასო ალექსანდრე დიმიტრის ძევ!“

**ადრესატის მისამართი:** ამ პერიოდში ადრესატი თბილისში ცხოვრობდა, რაც წინამდებარე წერილიდანაც დასტურდება. მისი შინაარსიდან ვიგებთ, რომ ავტორს მასთან უცხოვრია 4 თვე: „შენ აღმომიჩინე განუსაზღვრელი და დაუფასებელი სიკეთე, ოთხი თვე შემინახე, მასაზრდოვე, მაჭამე, მასვი, ჩამაცვი დამხურე“. აღნიშნულის გათვალისწინებით, ბარათი გაგზავნილი უნდა იყოს **თბილისში.**

**შენიშვნები:** 1. ხელნაწერში აქ წერტილი არ წერია; 2. „ღ“ ტექსტში არ წერია; 3. ხელნაწერში წერია „დაივიწყო“.

გვ.: 62,15. „**ოთხი თვე შემინახე**“ – ზაქარია ჭიჭინაძე 4 თვე ცხოვრობდა ალექსანდრე არაბიძესთან.

## ეგნატე იოსელიანისადმი №6 (50) გვ.: 63-64

**ავტოგრაფი:** L, №3072-ბ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოთეთრო ფერის, გახუნებული, დალაქავებული ქალაღდი, ზომა: 22X17,5 სმ. შესრულებულია შავი მელნით. ქვედა და მარჯვენა კიდეები მოცვეთილი აქვს.

**თარიღი და ადგილი:** „16 მაისი 1919 წ. თფ.“

**ხელმოწერა:** „თქვენი პატივის მცემელი ზაქ. ჭიჭინაძე“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ძვირფასო ძმაო ეგნატე!“

**ადრესატის მისამართი:** ადრესატი **თბილისში** ცხოვრობდა და მოღვაწეობდა და წერილიც აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ძირითადად, ამ ფორმით ხმარობს ამ სიტყვას;  
2. ხელნაწერში აქ წერტილი არ წერია.

გვ.: 63,21-22. „ბარათის მომტანი პარმენ ოქრომჭედ-ლიშვილია“ – დამატებითი ცნობები ამ პირის შესახებ ვერ მოვიპოვეთ.

## ეგნატე იოსელიანისადმი №7 (51) გვ. 64

**ავტოგრაფი:** L, №3076-ბ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, დალაქავებული, მელნით დანინკლული, ცალხაზიანი რვეულის ფურცელი, ზომა: 21X13,3 სმ. შესრულებულია შავი მელნით. ხელნაწერის კიდეები შელახულია.

**თარიღი და ადგილი:** „14 ივნისს.“

**ხელმოწერა:** „თქვენი პატივის მცემელი ზ. ჭიჭინაძე“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ძვირფასო ძმაო ეგნატე!“

**ადრესატის მისამართი:** ადრესატი **თბილისში** ცხოვრობდა და მოღვაწეობდა და წერილიც აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ძირითადად, ამ ფორმით ხმარობს ამ სიტყვას;  
2. ხელნაწერში იკითხება „თეთრაძე“.

**დათარილება:** წერილს ვათარილებთ ბარათზე მიწერილი თვისა და რიცხვის და ადრესატის გარდაცვალების დროის მიხედვით **1919 წლის 14 ივნისამდე.**

გვ.: 64,12-13. „თეთრადის ცნობა ბაქრაძეს გარდასცეთ“ – სავარაუდოდ, საუბარია ისტორიკოს დიმიტრი ზაქარიას ძე ბაქრაძეზე. თეთრადის ვინაობა გაურკვეველია.

### **ალექსანდრე არაბიძისადმი №7 (52) გვ.: 64-65**

**ავტოგრაფი:** L, №5396-ბ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, დალაქავებული ქალაღდი, ზომა: 21X18 სმ. შესრულებულია შავი მელნით. ხელნაწერს მარჯვენა კიდე მოცვეთილი აქვს.

**თარიღი და ადგილი:** „30 აგვისტოს 1919 წ. თფ.“

**ხელმოწერა:** „თქვენი პატივის მცემელი ზ. ჭიჭინაძე“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ჩემო საყვარელო შვილო სანდრო დიმიტრის ძეგ!“

**ადრესატის მისამართი:** ამ პერიოდში ადრესატი **თბილისში** ცხოვრობდა და წერილიც აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. „ცოტა ოდენი ხანი მაცალონ“ ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. ეს სიტყვა გადაუშლია და ზემოდან იგივე სიტყვა ჩაუნწერია.

გვ.: 65,2. „**დასამიძეც გამიმტყუნდა**“ – სავარაუდოდ, საუბარია ნიკოლოზ დავითის ძე დასასამიძეზე.

### **ალექსანდრე არაბიძისადმი №8 (53) გვ.: 65-66**

**ავტოგრაფი:** L, №5400-ბ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** დაწერილია საქართველოს მთავრობის სტამბის სატიტულო ფურცელზე შავი მელნით, ზომა: 13,5X10,8 სმ. წერილი უთარილოა, მაგრამ ფურცლის ზედა მხარეს დაბეჭდილია 191, რაც ნიშნავს, რომ იგი დაწერილი

უნდა იყოს 1910-1919 წლებში.

**ხელმოწერა:** „ზაქ.“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „სანდრო!“

**ადრესატის მისამართი:** ამ პერიოდში ადრესატი თბილისში ცხოვრობდა, რაც წინამდებარე ბარათის შინაარსითაც ირკვევა. ავტორი მას სწერს, რომ ნოტარიუსის შემდეგ მასთან მივა.

**შენიშვნები:** 1. ხელნაწერშია „ნება როვას“; 2. ძალიან გაურკვეველად წერია ეს სიტყვა.

**დათარილება:** ალექსანდრე არაბიძისადმი მიწერილ ბარათში, რომელიც ჩვენ 1919 წლის 27 სექტემბრით დავათარილეთ, ასევე იყო საუბარი ნოტარიუსთან მისვლაზე, ბანკზე და რაღაცის გაყიდვაზე: „ნატარიუსისაგან, დღეს, მივიღე კვიტანცია... ბანკი დაკეტილი იყო, იქ ვერ წარვადგინე. ორშაფათს წარვადგენ, ეხლა შემეძლება გაყიდვა კანონიერათ“. რამდენადაც წინამდებარე წერილის მიხედვით, ზაქარია ჭიჭინაძეს ნოტარიუსისგან ნებართვა ჯერ არა აქვს აღებული, იგი 1919 წლის 27 სექტემბრამდე უნდა იყოს დაწერილი.

### ალექსანდრე არაბიძისადმი №9 (54) გვ. 66

**ავტოგრაფი:** L, №5393-ბ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** შესრულებულია სახელმწიფო სტამბის სატიტულო ფურცელზე შავი ფანქრით, ზომა: 19,5X16,5 სმ.

**ხელმოწერა:** „ზ—ია“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ჩემო სანდრო!“

**ადრესატის მისამართი:** ამ პერიოდში ადრესატი თბილისში ცხოვრობდა და წერილიც აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ხელნაწერში ეს სიტყვა იკითხება, როგორც „კუტარია“. კონტექსტის მიხედვით, ავტორს უნდა ეწეროს „კვიტანცია“.

**დათარილება:** ტექსტის შინაარსის მიხედვით, იგი დაწერილია 27 სექტემბერს. წერილი შესრულებულია სახელმწიფო სტამ-

ბის სატიტულო ფურცელზე, სადაც თარიღის ადგილას და-  
ბეჭდილია „191“ წელი და მეოთხე ციფრი „9“ ხელით აქვს მი-  
წერილი. ამრიგად, **ბარათი დაწერილია 1919 წლის 27 სექტემ-  
ბერს**. დაწერის წელი – 1919 – კვლევითაც დასტურდება, კერ-  
ძოდ, წერილის მიხედვით, 27 სექტემბერი უქმე დღეა. ეს დღე  
უქმე იქნებოდა 1917 წლიდან, როდესაც ქართული კალენდარ-  
ი ახალ სტილზე გადავიდა და ჯვართამაღლების დღესასწა-  
ული 14-ის ნაცვლად დაემთხვა 27 სექტემბერს. 1921 წლიდან,  
კომუნისტების მოსვლის შემდეგ, ბუნებრივია, ათეისტურ სა-  
ხელმწიფოში ეს დღე უქმი აღარ იყო. რამდენადაც წერილი-  
დან ჩანს, რომ ორშაბათამდე ბანკი არ იქნებოდა, სავარაუ-  
დოდ, ეს 27 სექტემბერი შაბათ დღეს უნდა დამთხვეოდა, ასე-  
თი რამ კი მოცემულ ინტერვალში იყო 1919 წელს. 1919 წლის  
15 მაისის წერილითაც ვიგებთ, რომ ამ წელს ზაქარია ჭიჭინა-  
ძე თვეების განმავლობაში ცხოვრობდა ალექსანდრე არაბი-  
ძესთან.

### **დავით ნახუცრიშვილისადმი №1 (55) გვ. 66-67**

**ავტოგრაფი:** L, №8443-ს.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოთეთრო ფერის, გახუნებული,  
დალაქავებული, ერთი ცალხაზიანი ფურცელი, ზომა: 21X13  
სმ. შესრულებულია მუქი შავი მელნით.

**თარიღი და ადგილი:** „24 ივნისი“

**ხელმოწერა:** „თქვენი სიკეთის მოსურნე ზ. ჭიჭინაძე“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ძვირფასო დათიკო!“

**ადრესატის მისამართი:** წერილში ავტორი ადრესატს რეალური  
გიმნაზიის მოსწავლის – ვანო ოქროსანიძისთვის დახმარების  
აღმოჩენას სთხოვს: „იქმნება თქვენში ვისმეს შვილებისათვის  
გაკვეთილები უნდოდეს. ან დროებით, ამ სამ თვეს კერძო  
რამ საწერი საქმენი იქმნეს.“ სიტყვა „თქვენში“, ცხადია, თბი-  
ლისში მცხოვრები ადრესატის კოლეგები ან ახლობლები იგუ-  
ლისხმებიან, რადგან ქალაქგარეთ გიმნაზიის მოსწავლე და,

თანაც, ღარიბი ოჯახის წარმომადგენელი, სამეცადინოდ სიარულს ვერ შეძლებდა. შესაბამისად, წერილი გაგზავნილი უნდა იყოს **თბილისში**.

**შენიშვნები:** 1. ასე ხმარობს ამ სიტყვას.

**დათარილება:** დავით ნახუცრიშვილი, როგორც ჩანს, საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში საპასუხისმგებლო თანამდებობაზე იქნებოდა, რადგან 1918 წელს ის იყო საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საქმეთა მწარმოებელი და მდივნის მოვალეობას ასრულებდა ყველა მნიშვნელოვან სხდომაზე, მათ შორის, დამოუკიდებლობის გამოცხადების დღესაც, 26 მაისს. რამდენადაც ბარათის მიხედვით თბილისის რეალურ გიმნაზიაში სწავლა გრძელდება, ის კი **1921 წელს დაიხურა, ბარათი ამ წლამდე რომელიმე 24 ივნისს უნდა იყოს დაწერილი**.

წერილის ადრესატია ქართველი მწერალი, მთარგმნელი და საზოგადო მოღვაწე – დავით ნახუცრიშვილი.

გვ.: 66,16. „**ვაჩაძეს მეტრიკის საქმე**“ – სხვა წერილების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საუბარია ერმოლოზ ვაჩაძეზე.

გვ.: 66,18. „**ბარათის მომტანი ვანო ოქროსანიძე**“ – პიროვნების შესახებ დამატებითი ცნობები ვერ მოვიპოვეთ.

გვ.: 67,2. „**რეალურ გიმნაზიაში სწავლობს**“ – ეს სახელი სასწავლებელს მხოლოდ 1874 წლამდე ერქვა, მაგრამ, რამდენადაც ბარათში 1875 წლის სხვა ფაქტი წარსულშია მოხსენიებული („1875 წ. დავსწერე“), ცხადია, რომ ამ სახელს წერილის ავტორი მექანიკურად უწოდებს იმხანად უკვე „რეალურ სასწავლებელს“.

## ფილიპე მახარაძისადმი №1 (56) გვ.: 67-68

**ავტოგრაფი:** L, №5406-ბ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, დალაქავებული ქაღალდის ნაგლეჯი, ზომა: 17,5X15 სმ. შესრულებულია მუქი შავი მელნით. არის გადახაზული და ჩამატებული ადგილები. ხელნაწერი დაზიანებულია: ქვედა მხარე შემოხეული აქვს, ზედა კიდე – მოცვეთილი.

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ჩემგან გულით პატივცემულო ძვირფასო ფილიპე!“

**ადრესატის მისამართი:** წერილში ავტორი ადრესატს ალექსანდრე გოკიელისათვის დახმარებას სთხოვს, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ მას ამ დროისათვის მაღალი თანამდებობა ეკავა და ბარათიც გაგზავნილი უნდა იყოს **თბილისში**.

**შენიშვნები:** 1. ამის შემდეგ გადახაზულია „მას“; 2. ორივე ციფრი გადაკეთებულია: „7“-ის ქვეშ იკითხება „5“, ხოლო მეორე „3“-ის ქვეშ – „7“; 3. ეს ციფრიც გადაკეთებულია და რთულად იკითხება; 4. „თხოვნა ეს არის, რომ“ ჩამატებულია, მის ქვემოთ გადაშლილია „ეს არის“; 5. ჩამატებულია; 6. ხელნაწერში ეს სიტყვა ორჯერ წერია; 7. აქ სამი სიტყვა არ ირჩევა; 8. ამის შემდეგ გადახაზულია „არაფერი სხვა შეძლება არა აქვს, ერთ ერთი ეს სახლი არის მისი საცხოვრებელი“; 9. წინადადება დაუმთავრებელია. ამის შემდეგ ხელნაწერი მოხეულია, სადაც შესაძლებელია ერთი სიტყვა წერებულებო.

**დათარილება:** ზუსტი თარიღის განსასაზღვრად ტექსტში რაიმე ხელჩასაჭიდი რეალია არ არის, მაგრამ ჩანს, რომ ფილიპე მახარაძეს მნიშვნელოვანი თანამდებობა უკავია და რომ ქვეყანაში მიწების ჩამორთმევა განხორციელდა. შესაბამისად, **წერილს ვათარილებთ 1921 წლის 25 თებერვლის შემდგომი პერიოდით**.

გვ.: 67,16. „ალექსანდრე გოკიელი არის“ – პირის ვინაობა დაუდგენელია.

## უსუფისადმი №1 (57) გვ.: 68-69

**ავტოგრაფი:** L, №5472-ბ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, დალაქავებული ქალაღდი, ზომა: 20X14 სმ. შესრულებულია შავი მელნით. ხელნაწერის მარცხენა და ქვედა კიდეები შელახულია.

**ხელმოწერა:** „თქვენი პატივის მცემელი ზ. ჭიჭინაძე“ // „იგივე თქვენი პატივის მცემელი.“ // „იგივე თქვენი პატივის მცემელი.“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ჩემგან გულით პატივცემულო ძვირფასო უსუფ!“

**ადრესატის მისამართი:** როგორც წერილის შინაარსით ირკვევა, ადრესატი მთიან აჭარაში ცხოვრობდა და ბარათიც აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**დათარიღება:** რამდენადაც წერილში ნახსენებია გაზეთი „აჭარა“, რომელიც გამოდიოდა **1921 წლის 18 მარტიდან, ბარათი ამ დროის შემდეგ უნდა იყოს დაწერილი.**

წერილის ადრესატია მთიანი აჭარის მკვიდრი („როდისმე მთებში ამოვალ“) უსუფი, რომლის ცხოვრებაზეც სტატიის დაწერას აპირებდა ზაქარია ჭიჭინაძე. ადრესატის გვარი უცნობია და, შესაბამისად, პირის იდენტიფიცირება ვერ ხერხდება.

გვ.: 68,13. „ჩემი წიგნები დაუგმიათ“ – სავარაუდოდ, საუბარი იქნებოდა იმ წიგნებზე, რომლებიც აჭარის ისტორიას ასახავს.

## ვილიპე მახარაძისადმი №2 (58) გვ.: 69-70

**ავტოგრაფი:** L, №5405-ბ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, დალაქავებული ქალაღდი, ზომა: 22X17,5 სმ. შესრულებულია შავი მელნით. არის გადახაზული და ჩამატებული ადგილები.



ხელნაწერს გვერდითი კიდეები მოცვეთილი აქვს.

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ძვირფასო ფილიპ!“

**ადრესატის მისამართი:** 1921 წლის თებერვალში ადრესატი ჯერ საქართველოს რევკომის თავმჯდომარედ დაინიშნა, ხოლო მალევე – საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად და ბარათიც, შესაბამისად, **თბილისში** უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ხელნაწერში აქ წერტილი არ წერია; 2. „რომლებიც იქ“ ჩამატებულია ზემოდან, თუმცა მის დაბლა გადახაზულია „რომლებიც“; 3. „ს“ ავტორს არ უწერია.

**დათარილება:** 1921 წლის 14 ივლისს, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით, დაიწყო წიგნით ვაჭრობის ნაციონალიზაცია და განათლების სახალხო კომისარიატს უფლება მიეცა, რომ წიგნები, რომლებსაც საჭიროდ ჩათვლიდნენ, ბუკინისტებისთვის ჩამოერთმეინათ. რამდენადაც ბარათი ამ ფაქტს ეხმიანება, **მას 1921 წლის 14 ივლისის შემდგომი პერიოდით ვათარილებთ.**

გვ.: 69,23. „**რუსი, პეჩკოვი**“ – საუბარია თბილისელ ბუკინისტზე.

გვ.: 70,1. „**ამ ხარჯის მომატებით**“ – საუბარია იმაზე, რომ კანონის ძალით იმ წიგნებს, რომლებიც მათ შექცენილი ჰქონდათ, სახელმწიფო უფასოდ ჩამოართმევდა.

### ფილიპე მახარაძისადმი №3 (59) გვ.: 70-71

**ავტოგრაფი:** L, №4901-ბ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული ქალაქი, ზომა: 29X23 სმ. შესრულებულია ბაცი შავი მელნით. ხელნაწერის თავში, მარჯვენა მხარეს, წითელი ფანქრით აწერია: „ზ. ჭ-ძის ხელი“. წერილს არც მიმართვა აქვს, არც ხელმოწერა, არც თარიღი, თუმცა ავტორი ადრესატს „ფილიპე-თი“ მიმართავს.

**ადრესატის მისამართი:** 1921 წლის თებერვალში ადრესატი

ჯერ საქართველოს რევკომის თავმჯომარედ დაინიშნა, ხოლო მალევე – საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად. წერილის შინაარსით ირკვევა, რომ ის მთავრობის მეთაურია. ავტორი მას სწერს: „თუ გინდა, მაშინ მთავრობის უფროს მიმართე და ის თუ მოიწინებება, რომ ანგარიში გაუსწორეთო, მაშინ ჩვენ ყველასფერს გადაგხდითო. ამ პირმა პირდაპირ თქვენზედ მომითითა.“ აღნიშნულის გათვალისწინებით, წერილი **თბილისშია** გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ავტორი მოცემულ წერილში ყველგან შეცდომით წერს „ჯლენტს“; 2. ტექსტში ბრჭყალები არ არის გახსნილი.

**დათარილება:** წერილში ნახსენებია 1919 და 1920 წლები, თან იგრძნობა, რომ კომუნისტები ახალმოსულები არიან და ფილიპე მახარაძე ქვეყნის სათავეშია („მთავრობის უფროს მიმართე... პირდაპირ თქვენზედ მომითითა“). რამდენადაც ფილიპე მახარაძე 1921-1923 წლებში იყო საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ვფიქრობთ, ბარათის დაწერა ამ ინტერვალში მოხდებოდა. 1922 წლის თებერვალში ზაქარია ჭიჭინაძეს დიდი იუბილე გადაუხადეს. ვინაიდან ბარათს არ ეტყობა, რომ ახალი მთავრობის მიერ ესოდენ დაფასებული კაცი ითხოვდეს დახმარებას და თან ძნელი დასაჯერებელია, რომ 1919-1920 წლებში ჩაბარებული წიგნების თანხა მფლობელს მთელი წლის განმავლობაში არ მოეთხოვა, **წერილი დაწერილი უნდა იყოს 1921 წელს.**

წერილის ადრესატია ქართველი ბოლშევიკი და პოლიტიკური ფუნქციონერი – ფილიპე ესეს ძე მახარაძე.

გვ.: 70,8. „**გამგე ანტონ ჟლენტი**“ – სავარაუდოდ, საუბარია ანტონ კაცის ძე ჟლენტზე, რომელიც, როგორც ჩანს, იყო რკინიგზელთა პროფესიული კავშირის კულტურის სექციის გამგე.

გვ.: 70,13-14. „**ჩვენი უფროსი ამბობს**“ – უფროსის გვარი ნახსენები არ არის.

გვ.: 70,14-15. „ჩვენ მენშევიკების ვალებს არა ვწყალობთ“ – იგულისხმება ის, რომ წიგნები 1919-1920 წლებში, ანუ საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში, მენშევიკური მთავრობის ხელისუფლებაში ყოფნის დროს იყო ჩაბარებული.

გვ.: 70,16-17. „ვილაცა ხუბოვთან გამგზავნა“ – სახელი მითითებული არ არის და დამატებითი ცნობების მოძიება ვერ ხერხდება.

გვ.: 70,21. „მთავრობის უფროს მიმართ“ – იგულისხმება ფილიპე ესეს ძე მახარაძე.

### ალექსანდრე არაბიძისადმი №10 (60) გვ. 71

**ავტოგრაფი:** L, №5387-ბ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოთეთრო ფერის, გახუნებული, დალაქავებული, დასვრილი ქალაღი, ზომა: 42X29 სმ. შესრულებულია შავი მელნით.

**თარიღი და ადგილი:** „16 თებერვალი 1922 წ. თფილისი.“

**ხელმოწერა:** „ზ. ჭ.“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ჩემო ალექსანდრე დიმიტრისძევ!“

**ადრესატის მისამართი:** ამ პერიოდში ადრესატი თბილისში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, რასაც მისი შინაარსიც ადასტურებს: ავტორი მას მონვევას უტოვებს, სადაც სწერს: „ხვალ, პარასკევს, 6 საათზედ, კრება აქვს დანიშნული სოლოლაკზედ, ხმოტარიას სახლში, არ დაივიწყო და უსათუოთ მოდი.“

**შენიშვნები:** 1. ხელნაწერში იკითხება „ხმოტარია“. რადგანაც არ გამოვრიცხავთ, რომ ავტორი ადრესატს ხუმრობით მოიხსენიებდეს ასე, ფორმას უცვლელად ვტოვებთ. სავარაუდოდ, იგულისხმება ხოშტარია.

წერილის ადრესატია წიგნის მალაზიის მეპატრონე და გამომცემელი – ალექსანდრე დიმიტრის ძე არაბიძე, რომელმაც 1897 წელს გამოსცა ზაქარია ჭიჭინაძის მიერ მომზადე-

ბული ორი წიგნი: „აკაკი“ და „ნიკო ნიკოლაძე (ცხოვრება და მოღვაწეობა)“.

გვ.: 71,12. **„ხმოტარიას სახლში“** – ზაქარია ჭიჭინაძის წერილებში ჩანს საზოგადო მოღვაწე და ქველმოქმედი აკაკი ხოშტარია, რომელსაც ავტორი გამოცემის საქმეში დახმარებისთვის მიმართავდა და მას „ხმოტარიად“ ვერ მოიხსენიებდა. ჭირს პიროვნების იდენტიფიცირება.

## რაჟდენ გვეტაძისადმი №1 (61) გვ. 72

**ავტოგრაფი:** L, №21425-ბ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მონითალო ფერის ქალაღი, ზომა: 22,7X16,5 სმ. შესრულებულია ბაცი ლურჯი მელნით. ზედა მარცხენა მხარეს ბაცი შავი მელნით აწერია: „ზ - ჭიჭინაძე“. ხელნაწერი დაჭმუჭნულია.

**თარიღი და ადგილი:** „28 იანვარი, 1925 წ. თფილისი.“

**ხელმოწერა:** „თქვენი პატივის მცემელი ზაქ. ჭიჭინაძე“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ძვირფასო შვილო რაჟდენ!“

**ადრესატის მისამართი:** წერილში ავტორი ადრესატს აფიშას უგზავნის და გაზეთ „კომუნაში“ ინფორმაციის განთავსებას სთხოვს: „გიგზავნი ერთ აფიშას და გთხოვ, რომ ეხლაც გამოაცხადო გაზეთ „კომუნაში“. პირველი საღამო სენაკში იქმნება.“ გაზეთი „კომუნა“ **სენაკში** გამოდიოდა, რაც ადრესატის იქ ყოფნას გვაგარაუდებინებს.

**შენიშვნები:** 1-2. ხელნაწერში აქ სასვენი ნიშანი არ წერია.

წერილის ადრესატია ქართველი მწერალი და მთარგმნელი – რაჟდენ მათეს ძე გვეტაძე.

გვ.: 72,4-5. **„გაზ. „კომუნაში“ გამოაცხადე“** – გაზეთი „კომუნა“ სენაკში გამოდიოდა 1923 წლიდან.

გვ.: 72,14-15. „**ორი სტუდენტი: გურალია და ნაჭყეპია**“ – სახელები მითითებული არ არის და დამატებითი ცნობების მოძიება ვერ ხერხდება.

### ფილიპე მახარაძისადმი №4 (62) გვ.: 73-74

**ავტორიზებული:** L, №13934-ბ.

**ხელნაწერის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, დალაქავებული, ცალხაზიანი რვეულის ფურცელი, ზომა: 30,7X21,5 სმ. შესრულებულია მუქი შავი მელნით, ლამაზი კალიგრაფიით. ხელნაწერის კიდეები შელახულია.

**თარიღი და ადგილი:** „25 ოქტ, 1925 წ. თფილისი.“

**ხელმოწერა:** „თქვენი პატივის მცემელი ზაქ. ჭიჭინაძე“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ჩემგან გულით პატივცემულო ძვირფასო ფილიპ!“

**ადრესატის მისამართი:** მოცემულ დროს ადრესატი ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობდა და **თბილისში** ცხოვრობდა. შესაბამისად, წერილი აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. 5-ის ზემოთ ლურჯი მელნით წერია „3“, მაგრამ საეჭვოა, რომ ეს ავტორის მიერ იყოს შესწორებული. ზედა მარცხენა კუთხეში ამავე ფერის მელნით მიწერილია ხელნაწერის ძველი ნომერი: №05328.

გვ.: 73,3. „**იოსებ იმედაშვილს შენც იცნობ**“ – საუბარია მწერალსა და პუბლიცისტ იოსებ ზაქარიას ძე იმედაშვილზე.

გვ.: 73,14-15. „**დაბეჭდა სხვათა შორის ერთი შენი წიგნი**“ – 1897 წელს იოსებ იმედაშვილმა გამოსცა ფილიპე მახარაძის კრიტიკული წერილი: „ხალხური პოეზია და ბ-ნი მელიტონ კელენჯერიძე“.

გვ.: 73,15-16. „**შენს კაუცკის წიგნზე ციხეში**“ – საუბარია ფილიპე მახარაძის მიერ თარგმნილ და კომენტირებულ კარლ კაუცკის წიგნზე: „კარლ მარქსის ეკონომიური მოძღვრება“, რომელიც 1911 წელს დაიბეჭდა მეტეხის ციხის სტამბაში.

## ევგენი დვალისადმი №1 (63) გვ.: 74-75

ასლი: L, №5471-ბ.

**ასლის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, დალაქავე-ბული ქალაღდი, ზომა: 19,5X17 სმ. დანერილია წითელი მელ-ნით. ხელმოწერა შესრულებულია მომწვანო ფერის მელნით სხვისი ხელითვე. ხელნაწერის კიდეები მოცვეთილი და შეხეუ-ლია.

**თარიღი და ადგილი:** „30/XI – 1925 წ.“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „მოქ. ევგენი!“

**ადრესატის მისამართი:** ადრესატის ადგილსამყოფელი ვერ დგინდება.

**შენიშვნები:** 1. პირველ სიტყვას ქვეშ ორი ხაზი აქვს გასმუ-ლი, მომდევნო ორს, რომელიც მის ქვეშ წერია – ერთი; 2. ხაზგასმულია; 3. ხელნაწერში ასეა და ჩვენ არ შეეცვალეთ; 4. ამ პერიოდის ტექსტებში ეს სიტყვა ხშირად ამგვარი ორთოგ-რაფიით გამოიყენება; 5-6. ასეა; 7. ამის ქვემოთ, სავარაუ-დოდ, ადრესატის ხელით, მომწვანო ფერის მელნით წერია: „ზ. ჭიჭინაძე“.

წერილის ადრესატია კატორღაში გადასახლებიდან დაბრუნებული ევგენი დვალი, რომელიც თავის თანამზრახ-ველ არჩილ არჩვაძესთან ერთად ცდილობდა ზაქარია ჭიჭინა-ძისთვის სახლის წართმევას.

გვ.: 74,16. „გაზეთ „მუშა“-ს 910 №-ში...“ – ევგენი დვა-ლის ეს წერილი გამოქვეყნდა 1925 წლის 23 ნოემბერს.

გვ.: 74,19-20. „ბროშურა: „ჩემი სიკვტილის სამზადისი, სახლის უფულოთ წართმევის ამბავი და თავგადასავალი“ – ბროშურაში „ჩემი მოკვლის სამზადისი და სახლის დატყუი-ლების ამბავი ანუ ჩემი თავგადასავალი“ ზაქარია ჭიჭინაძე დანვრილებით აღწერს, რა მაქინაციებით უპირებდნენ ევგენი დვალი და არჩილ არჩვაძე სახლის წართმევას.

გვ.: 74,23-24. „მედიატორებათ ვასახელებ: მიხა ჩოდ-რიშვილს, მოსე კვარანცხელიას და მირ. ხუხუნაიშვილს“ – სა-

უბარია მიხეილ იოსების ძე ჩოდრიშვილზე, მოსე მურზაყანის ძე კვარაცხელიასა და მირიან მიხეილის ძე ხუხუნაიშვილზე.

გვ.: 74,25. „რემედასს“ – სასარგებლოთ“ – საუბარია რევოლუციის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო საზოგადოების საქართველოს განყოფილების ყოველთვიურ ჟურნალზე „რემედასი“, რომელიც 1924 წლიდან გამოდიოდა.

### ნიკო ნიკოლაძისადმი №1 (64) გვ.: 75-76

**ავტოგრაფი:** L, №5468-ბ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, ცალხაზიანი რვეულის ფურცელი, ზომა: 21,5X13 სმ. დაწერილია ორივე გვერდზე შავი მელნით.

**თარიღი და ადგილი:** „7 სექტემბერს 1927 წ. ქ. თფილისი“

**ხელმოწერა:** „მარადის თქვენი პატივის მცემელი ზ. ჭიჭინაძე“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ძვირფასო ძმავო და მეგობარო ნიკო იაკობის ძე!“

**ადრესატის მისამართი:** ამ პერიოდში ადრესატი საქართველოში ცხოვრობდა. წერილიდან ირკვევა, რომ ის თბილისში არ არის. ავტორი მას სწერს: „ეს არის ის წიგნი, სადაც შენი შეკრებილი ლაზური ლექსებია. აქ არსად იყ[ი]დება თფილისში და იქმნება მანდ იყოს გასაყიდი.“ ნიკო ნიკოლაძე **დიდი ჯიხაიშიდან** იყო, იქ მამული ჰქონდა და, სავარაუდოდ, წერილიც აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ჩამატებულია ზემოდან, მის დაბლა იგივე სიტყვაა გადაშლილი; 2-3. ამის შემდეგ ნაშლილია „და“ კავშირი; 4. „ო“ გამორჩენილია; 5. მეორე „უ“ არ წერია, მაგრამ ქვემოთ განმეორებით დასახელებულ ამავე გვარში კარგად ჩანს ეს „უ“; 6. ეს სიტყვა გადაუშლია და ზემოდან ისევ ეს სიტყვა მიუწერია; 7. ამის შემდეგ ნაშლილია „და“ კავშირი; 8. აქაც და ქვემოთაც მოცემულ გვარში გამოტოვებულია „ი“ ხმოვანი; 9. „ი“ გამორჩენილია.

წერილის ადრესატი, სავარაუდოდ, უნდა იყოს ნიკოლოზ იაკობის ძე ნიკოლაძე, რომელიც 1920-1924 წლებში საზღვარგარეთ იყო და ამიტომ უნდა იყოს ნახსენები მასთან მიწერ-მონერის არქონა.

გვ.: 75,19-20. „ეს არის მირიან მიხეილისძე ხუხუნაშვილი“ – საუბარია ქართველ მწერალსა და გამომცემელზე. 1925 წელს მან რედაქტირება გაუკეთა ზაქარია ჭიჭინაძის მიერ მომზადებულ წიგნს – „საქართველოს ბატონყმობის ფაქტიური მასალები“.

### იაკობ ჭიჭინაძისადმი №1 (65) გვ.: 76-77

**ავტოგრაფი:** L, №5410-ხ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, ცალხაზიანი რვეულის ფურცელი, ზომა: 21,5X17,5 სმ. შესრულებულია შავი მელნით. არის გადახაზული და ჩამატებული ადგილები. გადაკეცვის ადგილას ხელნაწერი მცირეზე შეხეულია.

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ჩემგან გულით პატივცემულო ძვირფასო იაკობ მიხეილისძევ!“

**ადრესატის მისამართი:** წერილში ავტორი ადრესატს კათოლიკე მღვდლის, შიო ბათმანოვის, საპატიმროდან განთავისუფლებას სთხოვს, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ იაკობ ჭიჭინაშვილს შესაბამისი თანამდებობა ეკავა და ადამიანების დაპატიმრება-განთავისუფლების საკითხებს წყვეტდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ვვარაუდობთ, რომ წერილი გაგზავნილი უნდა იყოს თბილისში.

**შენიშვნები:** 1. ჩამატებულია ზემოდან; 2. ამის შემდეგ გადახაზულია „მღვ.“ 3. ბოლო სამი სიტყვა ჩამატებულია; 4. ამის შემდეგ გადახაზულია „და“ კავშირი; 5. „მ“-სა და „შ“-ს შორის ერთი ასო უწერია ზედმეტად; როგორც ჩანს, სხვა სიტყვის დაწერას აპირებდა, მერე „მშობელი“ დაწერა და იმ ასოს წაშ-



ლა დაავინყდა; 6. გადახაზულია „უფლება“ და მის მაგივრად ეს სიტყვა აქვს ზემოდან ჩანერილი; 7. ჯერ სხვა სიტყვა დაუნერია და მერე „არზად“ გადაუკეთებია, რის გამოც ეს სიტყვა ძნელად იკითხება. 8. ამის შემდეგ გადაშლილია ერთი წინადადება: „მე უნდა მოვსულიყავი მაგრამ დღეს ბათუმში მივდივარ და მიტომ ვერ მოვედი;“ 9. №282-ით დაცულ ფურცელზე განთავსებულია წინა ჭეიშვილის პასუხი: „გულწრფელ სალამს გიძღვნიტ ბატონო ზაქარია, და დიდატ გამადლობტ გახსენებისათვის. სამწუხაროდ მამაჩემი და კარლო სახლში არ არიან, თორემ ისინი საკუთრივ მოგწერდენ წერილს. მოგიკითხათ დედამ და ისინმა (sic) ვინც ეხლა სახლში არ არიან. თქვენი კეთილის მსურველი წინა ჭეიშვილი.“

**დათარიღება:** არსებობს ამ წერილის ორი სხვა ვერსია, რომლებიც თარიღიანი და ხელმოწერილია (იხ. ქვემოთ ორივე ვერსია). მათი თარიღის გათვალისწინებით, წინამდებარე **წერილსაც ვათარიღებტ 1927 წლის 16 ოქტომბრით.**

გვ.: 77,2-3. „**მამის თქვენის მიხეილის**“ – დამატებითი ცნობები პირის შესახებ არ მოგვეპოვება.

გვ.: 77,5-6. „**მღ. შიო ბათმანოვს**“ – საუბარია ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის პატრზე.

გვ.: 77,13. „**ერთგული კაცი ჩეკაში იჯდეს**“ – შიო ბათმანოვი კომუნისტებს ჰყავდატ დაპატიმრებული. როგორც ჩანს, მათ ზაქარია ჭიჭინაძის თხოვნა არ შეინყნარეს და ეს პიროვნება 1937 წლის ოქტომბერ-ნოემბერში 1110 სხვა პატიმართან ერთად დახვრიტეს კარელიაში.

გვ.: 77,22. „**ჩემს დაბეჭდილს ახალ წიგნებს**“ – საუბარია ზაქარია ჭიჭინაძის მიერ 1927 წელს გამოცემულ წიგნებზე: „ოსმალეთის ყოფილი საქართველო და ქართველ მაჰმადიანთა ნაწილი ლაზისტანი“ და „ოსმალეთის ყოფილი საქართველო და ქართველ მაჰმადიანთა ისტორიის კონსპექტი 1452-1926 წლებში“.

ლიტერატურის მუზეუმში 5469-ხ ნომრით (გაყვითლებული, გახუნებული, ალაგ-ალაგ დალაქავებული ქალაქი, ზომა: 21,7X17,5 სმ. შესრულებულია შავი მელნით) დაცულია იაკობ ჭეიშვილისადმი 1927 წლის 16 ოქტომბერს დაწერილი ამავე შინაარსის წერილი, რომელსაც სრულად წარმოვადგენთ:

„ჩემგან გულით პატივცემულო  
ძვირფასო იაკობ მიხეილისძევ!

ჩემო ძვირფასო შვილო, იაკობ მიხეილისძევ! მამის თქვენის სახელის პატივის საცემლათ და მოსაგონრათ, მეც დამდე ვალათ საუკუნოთ, გთხოვ, რომ ჩემი დავალება შეიწყნაროთ ჩემი თხოვნა.

მამაშვილობას ჩემო ძვირფასო იაკობ, თქვენ ნუ დასტოვებთ უყურადღებოთ მღ. შიო ბათმანაშვილს, ქართული ტიბიკონით კურთხეულს, რაც სამაგალითოა ჩვენს ისტორიაში. მე კათოლიკე არა ვარ, მაგრამ საქართველოს კომუნარული მთავრობის პატივისცემა და სიყვარული მავ[ა]ლებს, რომ შიო ბათმანოვი არის უდანაშაულო პირი და მასთან დიდათ პატივის მცემელი და ერთგული პიროვნება საქართველოს კომუნარული მთავრობის ერთგული ქვეშევრდომია, მას საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ არაფერი აქვს ჩადენილი, იგი საქართველოს მთავრობის დიდი ერთგული პიროვნება არის, მას თავდადებით უყვარს ქართველი ერი, საქართველო და ქართული კომუნარული მთავრობა, ასეთი პირი რომ დაპატიმრებული იყოს, ეს ცოდვა იქმნება ჩვენის ქვეყნის პატივისცემის და სამართლიანობის. კათოლიკის მღვდლებს არც აქვთ უფლება, რომ ეკკლესიის გარეშე სხვა საქმეებში და პოლიტიკაში გაერიონ ისე, ეს როგორც ჩვენშია.

ამიტომ დაგვდე ვალათ, დაეხმარე ამ პატიოსან მღვდელს და შენს სასახელოთ, უყავ სიკეთე და გაათავისუფლეთ, იგი თქვენს მორჩილებაში შესული დაბრუნდება უკან და არავის წაიყვანს და ამიერიდამ იქმნება თქვენი ერთგული

და საქართველოს კომუნარული მთავრობის მლოცველი. მე დაუდგები მას თავდებათ, რომ იგი თავის გზაზედ წავა ისევე, როგორც მოვიდა საქართველოში. იმედი მაქვს, რომ ეს დავალება უყურადღებოთ არ დარჩება თქვენს წინაშე.

მარადის თქვენი ღრმად პატივის მცემელი  
ზ. ჭიჭინაძე

16 ოქტომ.  
1927 წ.“

ასევე, ლიტერატურის მუზეუმში 5470-ხ ნომრით (თეთრი, დალაქავებული ქაღალდი, ზომა: 21,5X13 სმ. მარცხენა კიდის ქვედა ნახევარი ჩამოხეული აქვს) ინახება ამავე ადრესატისადმი ამავე დღეს (1927 წლის 16 ოქტომბერი) დაწერილი ამავე შინაარსის წერილი, რომელსაც ასევე სრულად ვთავაზობთ მკითხველს:

„ჩემგან გულით პატივცემულო  
ძვირფასო იაკობ მიხეილისძევ!

ჩემო ძვირფასო შვილო იაკობ მიხეილისძევ! მამის თქვენის სასახელოთ და პატივის საცემლათ, მეც დამდეთ ვალათ საუკუნოთ, გთხოვ სამართლიანობის და კომუნარული მთავრობის სასახელოთ, რომ ჩემი დავალება თქვენგან შეწყნარებულ იქმნეს და უდანაშაულო მღ. შიო ბათმანაშვილი გაანთავისუფლოთ, იგი ისე წავა თავის გზაზედ როგორც ჩამოვიდა.

მე კათოლიკე არა ვარ, მაგრამ მრცხვენნიან ჩემი თავის, ასეთი ერთგული პიროვნება, როგორც არის შიო ბათმანოვი, როგორც მას უყვარს თავისი მშობელი ქვეყანა და იგი დღესასწაულობს საქართველოს კომუნარული მთავრობის დაარსებას და მის აყვავებას, რომ ასეთი პიროვნება დაპატიმრებული იყოს.

კათოლიკის მღვდლებს უფლება არა აქვს პოლიტიკაში ჩარევის და ამიტომ უნდა გაუწყოთ, რომ იგინი არც ერევიან პოლიტიკაში და მაშასადამე ასეთი კაცი რათ უნდა იყოს დაჭერილი. მე დაუდგები თავდებათ, რომ იგი წავა იქითკენ საი-დამაც მოვიდა და მაშასადამე თქვენ რალა უნდა გქონდესთ მასთან სადავო, არაფერი.

ჩემო ძვირფასო იაკობ, ამ დავალებას ნუ დასტოვებ უყურადღებოთ, დაეხმარე შიოს და ნუ დასტოვებ უყურადღებოთ. იგი უვნებლათ წავა იქით, საიდანაც მოვიდა და იქაც იგი იქმნება ყოველთვის საქართველოს კომუნარული მთავრობის გაძლიერების და აყვავების მლოცველი და მონატრე, ცოდვა არის, რომ ასეთი კაცი დაპატიმრებული იყოს. მოგართმევთ ჩემს ახლად დაბეჭდილს ორს წიგნს: ლაზისტანის და აჭარისტანის შესახებ.

თქვენი პატივის მცემელი  
ზ. ჭიჭინაძე

16 ოქტომბერი  
1927 წ.“

### ვასილ სულაძისადმი №1 (66) გვ.: 77-78

**ავტოგრაფი:** L, №5409-ს.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, დალაქავებული, დასვრილი, ცალხაზიანი რვეულის ფურცელი, ზომა: 21X17,5 სმ. შესრულებულია ბაცი შავი მელნით. ხელნაწერის ქვედა ნაწილსა და მეორე გვერდზე მუქი შავი მელნით ადრესატის პასუხია დაწერილი.

**თარიღი და ადგილი:** „3 ნოემბერს.“

**ხელმოწერა:** „თქვენი პატივის მცემელი ზ. ჭიჭინაძე“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ძმაო ვასილი!“

**ადრესატის მისამართი:** ადრესატის პასუხიდან ირკვევა, რომ

მას რამდენჯერმე უცდია ზაქარია ჭიჭინაძისთვის ფულის გადაცემა, მაგრამ ვერ მოუხერხებია, რაც მათ ტერიტორიულ სიახლოვეზე მიანიშნებს. რამდენადაც ავტორი თბილისში ცხოვრობდა, სავარაუდოა, რომ ადრესატიც აქ მოღვაწეობდა და, შესაბამისად, წერილიც **თბილისში** უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ხელნაწერშია „მიჭირდება“; 2. ქვემოთ ადრესატის პასუხია: „ძმაო ზაქარ! შენი წერილის ტონმა ძალიან გამაკვირვა. მე მოგწერე შაბათს: თან დავატრევედი ხოლმე შენთვის ფულს და შემომხარჯა მეთქი, ეხლა თან არა მაქვს და ეს იმას არა ნიშნავდა, რომ მე შენი ფული შევჭამე და არა მაქვს და ვერ მოქცემ მეთქი იმ ოთხს მანეთს, – მე მართლად გთხოვე – ორშაბათს გამომიგზავნე მეთქი კაცი. შენკი მწერ: მეორე წიგნს ვბეჭდავ და 600 მან. მიხდებაო, მერე მე რა? შენ ამით თითქოს მაყუდრიდე, რომ ფული დაგიგვიანე, მაგრამ მე მოვალე არ ვიყავი მომეძებნე და ფული გადმომეცა და შენც პირველად შაფათს გამომიგზავნე კაცი. არ მესმის, ვიმეორებ, შენი წერილის კილო. შენი ვასო სულაძე“

**დათარიღება:** ბარათიდან, რომელსაც აწერია „3 ნოემბერს“, ჩანს, რომ ზაქარია ჭიჭინაძე მოკლე პერიოდში აპირებს მეორე წიგნის გამოცემასაც („მეორე წიგნის ბეჭდვას 600 მ. უნდება“). ორი წიგნი კი მან 1927 წელს დაბეჭდა. შესაბამისად, **ბარათი არა უგვიანეს 1927 წლისა, რომელიმე 3 ნოემბერს უნდა იყოს დაწერილი.**

წერილის ადრესატი, სავარაუდოდ, არის „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ერთ-ერთი წევრი – ვასილ ექვთიმეს ძე სულაძე.

გვ.: 77-78. „**მეორე წიგნის ბეჭდვას**“ – გაურკვეველია, რომელი წიგნის ბეჭდვაზეა საუბარი.

## გიგოსადმი №1 (67) გვ. 78

**ავტოგრაფი:** L, №5473-ბ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, ალაგ-ალაგ დალაქავებული, ცალხაზიანი რვეულის ფურცელი, ზომა: 18X11 სმ. შესრულებულია ლურჯი მელნით. ხელნაწერის მარჯვენა და ქვედა კიდეები შელახული და მოხეულია.

**თარიღი და ადგილი:** „1 იანვარს, 1928 წ.“

**ხელმოწერა:** „ზ. ჭიჭინაძე“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ძმავო გიგო!“

**ადრესატის მისამართი:** წერილის შინაარსით ირკვევა, რომ ავტორი ბათუმშია და ადრესატს კუთვნილ ფულს სთხოვს, რადგან თბილისში დასაბრუნებელი ფული არა აქვს: „მე ბათუმში ვარ და გროში არ მაქვს.. ეს ფული უნდა მიშოვნო შენა. უსათუოთ თორემ წასასვლელი ფული არა მაქვს.“ შესაბამისად, წერილი **ბათუმშია** გაგზავნილი.

წერილის ადრესატი გიგო, რომლის გვარიც უცნობია და პირის იდენტიფიცირება ვერ ხერხდება.

გვ.: 78,9. **„მთავრობამ დაუმტკიცა მათ“** – სავარაუდოდ, საუბარია ევგენი დვალსა და არჩილ არჩვაძეზე.

## ალექსანდრე აბაშელისადმი №1 (68) გვ. 79

**ავტოგრაფი:** L, №23792.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, დალაქავებული, ერთი ცალხაზიანი ფურცელი, ზომა: 21X13,5 სმ. შესრულებულია შავი მელნით. ხელნაწერის ქვედა კიდე ოდნავ შელახულია.

**თარიღი და ადგილი:** „18 იანვარს 1928 წ.“

**ხელმოწერა:** „თქვენი პატივის მცემელი ზ. ჭიჭინაძე“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ჩემგან გულით პატივცემულო ძვირფასო სანდრო (საშა)!“

**ადრესატის მისამართი:** ადრესატი **თბილისში** ცხოვრობდა და

მოღვაწეობდა და წერილიც, სავარაუდოდ, აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. „ბი“ გამორჩენილია.

წერილის ადრესატია ქართველი მწერალი ალექსანდრე (ისაკ) ბესარიონის ძე ჩოჩია (ფსევდ. აბაშელი).

გვ.: 79,3. **„ტერენტი გრანელის შენახვით“** – საუბარია ცნობილ ქართველ პოეტ ტერენტი სამსონის ძე კვიციანი-ზე (ფსევდ. გრანელი).

### ვანოსადმი №1 (69) გვ. 80

**ავტოგრაფი:** L, №5474-ს.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, ალაგ-ალაგ დალაქავებული, დასვრილი, ცალხაზიანი რვეულის ფურცელი, ზომა: 21X13,5 სმ. შესრულებულია შავი მელნით.

**თარიღი და ადგილი:** „21 იანვარი 1928 წ.“

**ხელმოწერა:** „თქვენი პატივის მცემელი ზ. ჭიჭინაძე“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ჩემგან გულით პატივცემულო ძვირფასო ვანო!“

**ადრესატის მისამართი:** წინამდებარე წერილში ავტორი ადრესატს თბილისელი ხელოსნის – პავლე ჯანაშვილისთვის კუთვნილი გასამრჯელოს მიღებაში დახმარებას სთხოვს, რაც გვავარაუდებინებს, რომ ადრესატი საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობდა ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურში და წერილიც, შესაბამისად, **თბილისში** უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ამ სიტყვას ტექსტში ყველგან აკლია „ა“ ხმოვანი; 2. ხელნაწერში იკითხება „მუშასის“.

წერილის ადრესატია ვანო, რომლის გვარიც ნახსენები არ არის. სავარაუდოდ, იგი უნდა იყოს თანამდებობის პირი ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურში, რომელიც აშენდა 1927 წელს.

გვ.: 80,6-7. „ჩემი მეზობელი, პავლე ჯანაშვილი“ – ამ ხელოსნის შესახებ დამატებითი ცნობები არ მოგვეპოვება.

## ფილიპე მახარაძისადმი №5 (70) გვ.: 81-82

**ავტოგრაფი:** L, №5407-ს.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, და-  
ლაქავებული ქალაღი, ზომა: 22X13,5 სმ. შესრულებულია  
შავი მეღნიტით. არის გადახაზული და ჩამატებული ადგილები.

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ძვირფასო ფილიპე!“

**ადრესატის მისამართი:** ადრესატი ამ პერიოდში ცენტრალური  
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობაზე  
მსახურობდა და წერილიც თბილისში უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ავტორის ხელით არის დაწერილი და ხაზგას-  
მული მის მიერვე; 2. კვადრატულ ფრჩხილებში მოთავსებული  
ასოები აქაც და ქვემოთაც ავტორს არ უწერია; 3. ამის შემ-  
დეგ გადაშლილია სიტყვა „მღვდელი“; 4. ჩამატებულია, მის  
ქვემოთ გადაშლილია „შოშიევი“; 5. ჩამატებულია, მის ქვემოთ  
გადაშლილია: „სადაც ქალაქის“; 6. ასე ხმარობს ამ სიტყვას; 7.  
ამის შემდეგ ნაშლილია სიტყვები: „დაგავალე ამას ამას“.

**დათარიღება:** წერილიდან ჩანს, რომ იგი 31 მარტის შემდეგ  
არის დაწერილი და რომ ამ დღეს გარდაიცვალა სოლომონ  
შოშიაშვილი. შესაბამისად, ამ პირის გარდაცვალების დროის  
გათვალისწინებით, ბარათს ვათარიღებთ ასე: **1928 წლის 31  
მარტის შემდეგ.**

გვ.: 81,10. „სოლომონ შოშიაშვილი“ – ჩუღურეთის  
წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის დეკანოზი 1900-1928 წლებში.

გვ.: 82,2-3. „ცაკის“ თავმჯდომარე, პატივცემულ ფი-  
ლიპე მახარაძეს“ – ფილიპე მახარაძე ცენტრალური აღმასრუ-  
ლებელი კომიტეტის თავმჯდომარე იყო 1922 წლიდან.

გვ.: 82,4-5. „მაშინ აკაკი მენაბდე“ – საუბარი უნდა  
იყოს ფილიპე მახარაძის თანამშრომელზე. შესაძლოა, ეს ის  
აკაკი მენაბდე იყოს, რომელიც მუშაობდა მანქანა-ტრაქტორ-



თა სადგურის პოლიტგანყოფილების უფროსად და რომელსაც მოგვიანებით ბრალი დასდეს ტროცკიზმსა და მავნებლობაში.

### **მალაქია ტოროშელიძისადმი №1 (71) გვ. 82**

**ავტოგრაფი:** L, №5475-ბ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, დალაქავებული, დასვრილი, ცალხაზიანი რვეულის ფურცელი, ზომა: 21X13,5 სმ. შესრულებულია ლურჯი მელნით. ხელნაწერის მარჯვენა კიდე შუა ადგილას შელახული და შეხეულია.

**თარიღი და ადგილი:** „25 აგვისტოს, 1928 წ. ქ. თფილისი“

**ხელმოწერა:** „მარადის თქვენი პატივის მცემელი ზ. ჭიჭინაძე“  
**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ძვირფასო მალაქი გიორგისძე!“

**ადრესატის მისამართი:** ადრესატი **თბილისში** ცხოვრობდა და მოღვაწეობდა და წერილიც აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ავტორს „ი“ არ უწერია.

წერილის ადრესატი უნდა იყოს პარტიული და საზოგადო მოღვაწე – მალაქია გიორგის ძე ტოროშელიძე.

გვ.: 82,8-9. „ამ კახელი მიქელასათვის ყურადღება მიგიქცევია“ – პიროვნების გვარი უცნობია და გაურკვეველია, რა დახმარება აღმოუჩინა მას ტოროშელიძემ. 1928 წლის სექტემბრიდან ის იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, მაგრამ ვერ გამოვრიცხავთ, რომ მანამდეც ავტორიტეტი ჰქონოდა ამ სასწავლებელში.

### **ალექსანდრე არაბიძისადმი №11 (72) გვ. 83**

**ავტოგრაფი:** L, №5388-ბ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული ქალღი, ზომა: 20X11,5 სმ. შესრულებულია შავი მელნით.

**ხელმოწერა:** „ზ—ია...“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ალექსანდრე!“

**ადრესატის მისამართი:** ხელნაწერის მეორე გვერდზე ადრესატის ვინაობა წერია მისამართის მითითების გარეშე: „ალექსანდრე დიმიტრისძე არაბიძეს“. ამ პერიოდში ალექსანდრე არაბიძე **თბილისში** ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, რაც წერილის შინაარსითაც დასტურდება: ავტორი მას ორშაბათისთვის ქალაქს სთხოვს, რაც მათ ტერიტორიულ სიახლოვეზე მიგვანიშნებს.

**დათარილება:** რამდენადაც აშკარაა, რომ წერილის ავტორს ქალაქი რაღაცის გამოსაცემად უნდა, ზაქარია ჭიჭინაძემ კი ბოლო წიგნი 1928 წელს გამოსცა, ბარათი **1829 წლამდე უნდა იყოს დაწერილი**.

### სიმონ ხუნდაძისადმი №1 (73) გვ: 83-84

**ავტოგრაფი:** L, №28814.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, ცალხაზიანი რვეულის ფურცელი, ზომა: 21X13,7 სმ. შესრულებულია შავი მელნით. ხელნაწერის ზედა კიდე ოდნავ შელახულია.

**თარიღი და ადგილი:** „1 მარტი.“

**ხელმოწერა:** „თქვენი პატივის მცემელი ზ. ჭიჭინაძე“ // „ზ. ჭ.“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ჩემგან გულით პატივცემულო ძვირფასო სიმონ!“ // „ძვირფასო სიმონ!“

**ადრესატის მისამართი:** ამ პერიოდში ადრესატი **თბილისში** ცხოვრობდა და მოღვაწეობდა და წერილიც აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1-2. ხელნაწერში ავტორს უწერია „ანუხსული“. როგორც ჩანს, ეშლება და „სხ“ ბგერათმომდევრობის ნაცვლად წერს „ხს“ ბგერათმომდევრობას.

**დათარილება:** წერილში ნახსენებია სიმონ ხუნდაძის წიგნი, რომელიც გამოსული ყოფილა ორ ტომად („წიგნის II ტომში სწერ“). ასეთი გამოცემა განხორციელდა 1927 წელს. მისი წიგნი „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში“ გამოვიდა ორ ტომად: I – „ბურჟუაზიულ-უტოპიური სოციალიზმი საქართველოში“ და II – „ნაროდნიკული და მარქსისტული სოციალიზმი საქართველოში“. შესაბამისად, ამ წიგნებზე უნდა იყოს საუბარი და, რამდენადაც ორი ტომის გამოცემა ორ თვეში ნაკლებ სავარაუდოა, **ბარათი დაწერილი უნდა იყოს 1928-1931 წლების რომელიმე 1 მარტს.**

წერილის ადრესატია ქართველი ლიტერატურათმცოდნე და ისტორიკოსი – სიმონ ირაკლის ძე ხუნდაძე.

გვ.: 83,12. „**დიგაევის ამბავი**“ – დიგაევი ჩეჩნური გვარია, მაგრამ სახელი ნახსენები არ არის და დამატებითი ცნობების მოძიება ვერ ხერხდება.

გვ.: 84,7-8. „**ლავროვის გაზეთი ვპერიოდი**“ – საუბარია პეტრე ლავროს ძე ლავროვის ხალხოსნურ ჟურნალზე, რომელიც 1873-1877 წლებში გამოდიოდა.

გვ.: 84,8. „**ფილიპე გოგიჩაიშვილს აქვს**“ – საუბარია ქართველ ექიმზე, პუბლიცისტსა და მწერალზე – ფილიპე გაბრიელის ძე გოგიჩაიშვილზე.

### **ალექსანდრე არაბიძისადმი №12 (74) გვ.: 84-85**

**ავტოგრაფი:** L, №5391-ს.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, დალაქავებული ქალაღი, ზომა: 18X15 სმ. შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც ფურცლის მეორე გვერდზეა გადასული. ხელნაწერს ერთი კიდე მოცვეთილი აქვს.

**ხელმოწერა:** „თქვენი პატივის მცემელი ზაქ. ჭიჭინაძე“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ძვირფასო სანდრო!“

**ადრესატის მისამართი:** ხელნაწერის მეორე გვერდზე ადრესატის ვინაობა წერია მისამართის მითითების გარეშე: „სანდრო

დიმიტრისძე ბატ. არაბიძეს“. ამ პერიოდში ალექსანდრე არაბიძე **თბილისში** ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, რაც წერილის შინაარსითაც დასტურდება: ავტორი მას რაიონიდან ქალაქში ჩასული პირისთვის ორი-სამი მანეთის მიცემას სთხოვს, რაც ალექსანდრე არაბიძის **თბილისში** ყოფნას გვაგვარაუდებინებს: „იქმნება ორი, ან სამი მანათი მისცე, შინ წავა, თორემ სამი დღეა პური არ მიჭამნიაო“.

**დათარილება:** ბარათი მოკლეა და დათარილება ვერ ხერხდება. ამიტომ ვათარილებთ ავტორის გარდაცვალების დროით – **1931 წლის 27 დეკემბრამდე**.

### ალექსანდრე არაბიძისადმი №13 (75) გვ. 85

**ავტოგრაფი:** L, №5389-ბ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, დალაქავებული ქაღალდი, ზომა: 21X13,5 სმ. შესრულებულია შავი მელნით, რომლითაც დალაქულია ხელნაწერი.

**ხელმოწერა:** „თქვენი კეთილის მდომელი ზ. ჭ.“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ჩემო ძვირფასო ალექსანდრე!“

**ადრესატის მისამართი:** ხელნაწერის მეორე გვერდზე ადრესატის ვინაობა წერია მისამართის მითითების გარეშე: „ალექსანდრე დიმიტრისძე ბატ. არაბიძეს“. ამ პერიოდში ალექსანდრე არაბიძე **თბილისში** ცხოვრობდა და მოღვაწეობდა და წერილიც აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ასობთან – „თქვენი კეთ“ – ხელნაწერის მეორე გვერდიდან მელანია გამოჟონილი და ისე ჩანს, თითქოს ტექსტის ამ ნაწილს დახრილი ხაზები აქვს ჩამოსმული.

**დათარილება:** ბარათი მოკლეა და დათარილება ვერ ხერხდება. ამიტომ ვათარილებთ ავტორის გარდაცვალების დროით – **1931 წლის 27 დეკემბრამდე**.

გვ.: 85,5. „ჭიჭინაძე შორს არის“ – საუბარია ხელოსანზე, რომლის სახელიც მითითებული არ არის.

გვ.: 85,8. „გვართ ბაგრატ ოქროპირიძეა“ – დამატებითი ცნობები პიროვნების შესახებ ვერ მოვიპოვეთ.

### ალექსანდრე არაბიძისადმი №14 (76) გვ. 86

**ავტოგრაფი:** L, №5395-ხ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, მელნით დალაქავებული, ცალხაზიანი რვეულის ფურცელი, ზომა: 21,5X13,8 სმ. შესრულებულია მოყავისფრო მელნით.

**ხელმოწერა:** „ზ. ქ.“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ჩემო ძვირფასო ალექსანდრე“

**ადრესატის მისამართი:** ხელნაწერის მეორე გვერდზე ადრესატის ვინაობა წერია მისამართის მითითების გარეშე: „ალექსანდრე დიმიტრის ძე არაბიძეს“. ამ პერიოდში ალექსანდრე არაბიძე **თბილისში** ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, რაც წერილის შინაარსითაც დასტურდება: ავტორი საანალიზო ბარათს მასთან ატანს ხელოსან ვანო სტეფანიძეს და იმავე დღეს ნახვას ჰპირდება, რაც ალექსანდრე არაბიძის თბილისში ყოფნას გვაგვარაუდებინებს: „მე გნახავ დღეს, კიდევ ავით ვარ და ის საქმე უნდა მოვრჩეთ.“

**შენიშვნები:** 1. სიტყვა ორი „თ“-თი წერია.

**დათარილება:** ბარათი მოკლეა და დათარილება ვერ ხერხდება. ამიტომ ვათარილებთ ავტორის გარდაცვალების დროით – **1931 წლის 27 დეკემბრამდე**.

გვ.: 86,2. „ბართის მომტანი ვანო სტეფანიძეა“ – საუბარია ხელოსანზე. დამატებითი ცნობები მის შესახებ ვერ მოვიპოვეთ.

## მიმღები კომისიის წევრებისადმი №1 (77) გვ.: 86-87

**ავტოგრაფი:** L, №5511-ბ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, ალაგ-ალაგ დალაქავებული, ცალბაზიანი რვეულის ფურცელი, ზომა: 35X22 სმ. დაწერილია ლურჯი მელნით, რომლითაც ალაგ-ალაგ დასვრილია ხელნაწერი.

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „დიდათ პატივცემულო მიმღებო კომისიის წევრებო!“

**ადრესატის მისამართი:** რამდენადაც წერილი მიმართულია მიმღები კომისიის წევრებისადმი, ის გაგზავნილი უნდა იყოს **თბილისში.**

**შენიშვნები:** 1-2. ავტორს „ი“ არ უწერია; 3. ხელნაწერშია „ენტოგრაფიის“; 4. ხელნაწერში აქ წერტილი არ წერია; 5. ამის შემდეგ ტექსტში გადაშლილია: „ქართლი და კახეთი კი ნამდვილი სპარსეთია და იმერეთი კი საფრანგეთი სწავლა-განათლების მხრივ“.

**დათარილება:** დათარილება ვერ ხერხდება. ამიტომ ვათარილებთ ავტორის გარდაცვალების დროით – **1931 წლის 27 დეკემბრამდე.**

წერილს კონკრეტული ადრესატი არ ჰყავს.

## თეოდორე კორდანას წიგნები

### მოსე ჯანაშვილისადმი №1 (1) გვ. 89

**ავტოგრაფი:** L, №21807-ბ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, დალაქავებული, ორ ადგილას გადანაკეცი ქალაღდი, ზომა: 21,7X13,2 სმ. I გვერდის ზედა შუა მხარეს, წერილის დასაწყისში, მუქი ყავისფერი ფანქრით წერია: „თედო ჟორდ.“, ხოლო II გვერდის ქვედა ნაწილში შავი ფანქრით, ადრესატის ხელით მინაწერია: „თედო ჟორდანიასაგან მივიღე კაკში. მ. ჯ.“ წერილი შესრულებულია შავი მელნით. ხელნაწერის მარცხენა კიდე შელახულია: ალაგ-ალაგ აქვს ჩამოხეული ადგილები.

**თარიღი და ადგილი:** „12 აგვისტო 1880 წელი თფილისი.“

**ხელმოწერა:** „შენი თედო“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „მოსე-ჯან!“

**ადრესატის მისამართი:** წერილში ავტორი ადრესატს ეუბნება: „ეტყობა, შენის ზაქათალის მთა-კლდეტ ტრფიალობამ კიდევე მოგანყინა“. ამასთან, ხელნაწერზე არის მოსე ჯანაშვილის მინაწერი: „თედო ჟორდანიასაგან მივიღე კაკში“, რაც ადასტურებს, რომ ავტორს წერილი კაკში, ანუ **კახში** გაუგზავნია.

**შენიშვნები:** 1. ხელნაწერშია „მრავალ-ფეროვანი“. როგორც ჩანს, ავტორს სხვაგვარად ჰქონდა წინადადების აგება ჩაფიქრებული, მაგრამ გადაიფიქრა და დაწერილის გადაკეთება დაავიწყდა; 2. ჯერ დაუწერია „დააცქერდე“, მერე გადაუშლია და ეს სიტყვა ზემოდან დაუწერია; 3. ხელნაწერშია „ჩვენი“. როგორც ჩანს, წინადადების სხვაგვარად აგებას ფიქრობდა, მაგრამ გადაიფიქრა და ფორმის შესწორება დაავიწყდა; 4. მესამე ასოდ ჯერ დაუწერია „ლ“, მერე „შ“-დ გადაუკეთებია. როგორც ჩანს, „ყ“-დ გადაკეთება აღარ ჩათვალა საჭიროდ, ან გამორჩა; 5. ჩამატებულია.

წერილის ადრესატია ქართველი ისტორიკოსი და ეთ-

ნოგრაფი – მოსე გიორგის ძე ჯანაშვილი.

გვ.: 89,4. „შენის ზაქათალის მთა-კლდეტ ტრფიალობამ“ – მოსე ჯანაშვილი კახში დაიბადა და ზაქათალაში სწავლობდა. 1880 წლის 20 აგვისტოს გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებული წერილიდან კი ჩანს, რომ ამ პერიოდში ის მოგზაურობდა საინგილოში და ზაქათალის მხარეებსაც ეწვია.

გვ.: 89,11-12. „ქორიძის კონცერტით დასტკბე“ – იმჟამინდელი გაზეთების მიხედვით, 1880 წლის ივნის-აგვისტოში ქუთაისში და თბილისის საზაფხულო თეატრში იმართებოდა ფილიმონ ქორიძის კონცერტები.

გვ.: 89,12-13. „კანიკულიც გათავდა“ – უნდა იგულისხმებოდეს სასწავლო არდადეგების დასასრულის მოახლოება.

გვ.: 89,16-17. „ილურიძე რომ სმოტრიტლათ აირჩიეს ოზურგეთში“ – შესაძლოა, საუბარი იყოს მიხეილ ივანეს ძე ილურიძეზე, რომელიც ოზურგეთში „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ აგენტი იყო.

გვ.: 89,18-19. „ობზორი“ დაიკეტა; ნიკოლაძეს დასასჯელად სტავროპოლის გუბერნიაში აგზავნიან“ – ნიკო ნიკოლაძის გაზეთი „ობზორი“ დაიხურა და თავად ნიკოლაძე სტავროპოლში გადაასახლეს 1880 წლის ივლისში. ამის მიზეზი გახდა ის, რომ იმპერატორ ალექსანდრე II-ის გარდაცვალების დღეს მისი გაზეთი სამგლოვიარო შავი არშიის გარეშე გამოვიდა.

## ელენე ტარსაიძისადმი №1 (2) გვ.: 90-93

**ავტოგრაფი:** C, თევდორე ჟორდანიას პირადი არქივი, №533.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** თავ-ბოლონაკლული, გაყვითლებული, გახუნებული ორი ფურცელი. დაწერილია შავი მელნით, რომლითაც დაჟანგულია ფურცლები. ხელნაწერი ძალიან დაზიანებულია: მისი მხოლოდ ნაწილია გადარჩენილი. I ფურცლის თითქმის მესამედი და II ფურცლის ზედა ნაწილი დაკარგულია, შესაბამისად, ტექსტის ფრაზები ერთმანეთთან



დაუკავშირებელია, თუმცა წერილის ძირითადი შინაარსი მაინც გამოკვეთილია. ხელნაწერის სიგანე: 20,2 სმ. სიგრძე არ იზომება. რესტავრირებულია. ტექსტი დუბლირებულია სარესტავრაციო ქაღალდზე.

**ადრესატის მისამართი:** წერილში ავტორი ადრესატს ეუბნება: «Я буду часто посещать Вашу квар[тиру]», რაც იმაზე მეტყველებს, რომ ელენე ტარსაიძე საქართველოში არ იმყოფება და ავტორი მის ბინას მონატრების დასაძლევად მოინახულებს ხშირად. წერილის შინაარსითაც იკვეთება, რომ ადრესატი შორს არის, მაგრამ რთული დასადგენია, სად შეიძლება იყოფილიყო.

**შენიშვნები:** 1. სამი წერტილი ყველგან ავტორისეულია, ხოლო ხუთი წერტილით აღვნიშნავთ დაკარგულ ტექსტს; 2. ხელნაწერშია «Грязной»; 3. კვადრატულ ფრჩხილებში ვსვამთ ავტორის მიერ გამოტოვებულ ასოებს; 4. შენიშვნა ავტორისეულია; 5-6. ამ შემთხვევაში კვადრატულ ფრჩხილებში მოთავსებული ასოები ჩვენ მიერ არის აღდგენილი.

**დათარილება:** ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული საბუთებით დასტურდება, რომ თევდორე ჟორდანიას და ელენე დავითის ასული ტარსაიძე დაქორწინდნენ 1883 წელს. რამდენადაც, წერილის შინაარსიდან გამომდინარე, ისინი ჯერ ერთად არ უნდა ცხოვრობდნენ, მას ვათარილებთ **არა უგვიანეს 1883 წლით.**

გვ.: 90,13. «уступить их г. Тати́еву» – საუბარია პედაგოგ ნიკოლოზ ტატიშვილზე.

გვ.: 91,6. «С Анетою мир заключен» – საუბარი უნდა იყოს ელენე ტარსაიძის ნათესავზე.

გვ.: 91,8-9. «Вашего дядю Александра» – საუბარია დავით ლუარსაბის ძე ტარსაიძის ძმაზე.

გვ.: 91,11-12. «Зедгинидзе передал мне» – პირის სახელი მითითებული არ არის და იდენტიფიცირება ვერ ხერხდება.

გვ.: 93,5-6. «**издание газеты „საქართველო“** – ხუმრობით არის ნათქვამი. ასეთი გაზეთი არ გამოსულა.

გვ.: 93,6. «**Мадам Цхватадзе**» – გვარი ცხვატაძე არ არსებობს და, როგორც ჩანს, ვილაცის მეტსახელია, ან გვარი დამახინჯებულად არის მოცემული.

### **პეტრე ბარტენევისადმი №1 (3) გვ.: 97-98**

**ფოტოპირი:** С, თევდორე ჟორდანის პირადი არქივი, №489.

**თარიღი და ადგილი:** «1 Март. 85 г. г. Тифлис.»

**ხელმოწერა:** «**Θεοδორ Жорданія.**»

**ადრესატის მისამართი:** ამ პერიოდში ადრესატი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა **მოსკოვში** და წერილიც აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. კვადრატულ ფრჩხილებში მოთავსებული ასოები ავტორს არ უწერია; 2. «**Адрес мой**» ხაზგასმულია ავტორის მიერ.

წერილის ადრესატია რუსი ისტორიკოსი და ლიტერატურათმცოდნე – პეტრე ივანეს ძე ბარტენევი.

გვ.: 97,22. «**Вашего журнала**» – პეტრე ბარტენევი იყო დამაარსებელი და გამომცემელი რუსული ჟურნალისა «**Русский архив**».

გვ.: 97,23-24. «**Антон I, архієпископ Владимирскій и католикос Грузіи (XVIII в.)**» – საუბარია ცნობილ მნიგნობარსა და საეკლესიო მოღვაწეზე – ანტონ I (თეიმურაზ) ბაგრატიონზე.

## ნიკო ლომოურისადმი №1 (4) გვ.: 99-100

**ავტოგრაფი:** L, №144-ბ (ძველი 19736-ბ), 330-1.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, ალაგ-ალაგ დალაქავებული ორი ფურცელი, ზომა: 17X10 სმ. შესრულებულია შავი მელნით. ხელნაწერის I გვერდის ზედა მარცხენა მხარეს ორნამენტებით გაფორმებული დიდი რუსული «Ж» ასოა გამოყვანილი ლურჯი ფერით.

**თარიღი და ადგილი:** „10 სექტემბ. 1886 წ.“

**ხელმოწერა:** „შენი თევდორე ჟორდანი“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ნიკა!“

**ადრესატის მისამართი:** 1881 წლიდან ადრესატი გორის სამას-ნავლებლო სემინარიასა და ქალთა პროგიმნაზიაში მუშაობდა მასწავლებლად. ტექსტის შინაარსით ირკვევა, რომ წერილის დანერის დროს ის თბილისში არ იყო. ავტორი მას სწერს: „რამდენჯერ იყავი თფილისში და ერთჯერაც არა მნახე“. იმის გათვალისწინებით, რომ ნიკო ლომოური გორის რაიონის სოფელ **არბოდან** იყო, წერილი, სავარაუდოდ, აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. სიტყვა ჩამატებულია; 2. „ნამიცხია ჭუჭყი“ ჩამატებულია, მის დაბლა გადახაზულია „გადამდგარ ვარ“; 3. ხელნაწერში აქ წერტილი წერია; 4. ფრიად; 5. „ფ~დ ნიჭიერ მასწავლებელზე“ ხაზგასმულია ავტორის მიერ; 6. „და უმეტესად ცნობილს აღმზრდელზე“ ხაზგასმულია ავტორის მიერ; 7. „მადლობით და“ ჩამატებულია, მის დაბლა გადახაზულია „შენი ქების“.

წერილის ადრესატია ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე – ნიკოლოზ იოსების ძე ლომოური.

გვ.: 99,19-20. **„ცუდი დრო მოგველის ჩვენ ამ რევიზიის შემდეგ“** – იგულისხმება რევიზია, რომელიც მოჰყვა 1886 წლის 24 მაისს სემინარიის რექტორ პავლე ჩუდეცკის მკვლელობას.

გვ.: 99,23. „**ლაღივის ბოროტმოქმედებისა**“ – საუბარია თბილისის სასულიერო სემინარიის სტუდენტ იოსებ ლალიაშვილზე, რომელმაც 1886 წლის 24 მაისს ხანჯლით მოკლა სემინარიის რექტორი პავლე ჩუდეცკი.

გვ.: 100,1. „**შარშან დ. ავალოვმა (ჩემმა ნათესავმან) მთხოვა**“ – ნათესავის სახელის მხოლოდ ინიციალი ვიცით და იდენტიფიცირება ვერ ხერხდება.

გვ.: 100,3. „**ალმზრდელი მისის შვილისათვის**“ – შვილის სახელი უცნობია.

გვ.: 100,22. „**მომიკითხე თქვენი მეუღლე**“ – ნიკო ლომოურს ცოლად ჰყავდა სოფიო ალექსის ასული ხუდადოვი.

## თედო სახოკიასადმი №1 (5) გვ.: 101-102

**ავტოგრაფი:** L, თედო სახოკიას არქივი, №11258-ბ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, ალაგ-ალაგ დალაქავებული, მართკუთხედის ფორმის უფრია-ნი რვეულის ერთი ფურცელი, ზომა: 21X13,2 სმ. შესრულებულია შავი მელნით. ხელნაწერი დაზიანებულია: კიდეები მოცვეთილი და მოხეული აქვს.

**თარიღი და ადგილი:** „28 სექდ. 1889.“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „პატივცემულო ძმაო და მეგობარო თედო!“

**ადრესატის მისამართი:** 1889 წლიდან ადრესატი მუშაობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და რთული დასადგენია, წერილი სად არის გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. „(ქ~ე)“ და „(ად~ნ)“ ავტორს სიტყვების ზემოდან აქვს მიწერილი, განსხვავებით სხვა შემთხვევებისგან; 2. კვადრატულ ფრჩხილებში ასოები ავტორს აქვს ჩასმული; 3. „გვერდი 122-123; 120-121“ ჩამატებულია; 4. „(შავდოლბენდით?)“ ჩამატებულია, ამასთან, კითხვის ნიშანი ავტორისაა; 5. სიტყვა არა აქვს დამთავრებული.

**პირველი პუბლიკაცია:** „საისტორიო მოამბე“, №31-32, საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველო, თბ., 1975, გვ. 222.

წერილის ადრესატია ქართველი მწერალი და ეთნოგრაფი – თედო ტიმოტეს ძე სახოკია.

გვ.: 101,10-11. „ერისთავთა აბუსერისძეთა გრიგოლს, გიორგის“ – საუბარია ოპიზის ერისთავებზე: გრიგოლ და გიორგი აბუსერიძეებზე.

გვ.: 101,16-17. „[ბექქენი... ზაქარია“ – სავარაუდოდ, იგულისხმება ბექქენ და ზაქარია აბუსერიძეები.

გვ.: 102,3-4. „შარაძეს... სთხოვეთ“ – საუბარი უნდა იყოს მესტამბე მაქსიმე შარაძეზე.

გვ.: 102,4-5. „ქუთაისში გვიგზავნონ... და არა ბერშოეთში“ – წერილიდან ჩანს, რომ თევდორე ჟორდანია იმჟამად ქუთაისში იმყოფებოდა და არა თავისი მეუღლის მშობლიურ სოფელ ბერშოეთში, სადაც მას ასევე ჰქონდა სახლ-კარი.

### **დომიტრი ბაქრაძისადმი №1 (6) გვ. 102**

**ავტოგრაფი:** C, თევდორე ჟორდანიას პირადი არქივი, №488.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, დალაქავებული, ერთი ცალხაზიანი ფურცელი, ზომა: 20,9X13,5. ხელნაწერის ქვედა კიდეები დაზიანებულია.

**თარიღი და ადგილი:** «27 Дек.»

**ხელმოწერა:** «Почитающий Вас Θεодор Жорданія»

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** «Многоуважаемый Димитрій Захарьевич!»

**ადრესატის მისამართი:** ადრესატი ამ პერიოდში თბილისში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა და წერილიც აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ხელნაწერის ზედა მარცხენა კუთხეში ირიბად მინაწერია ადრესატის მიერ:

«Поздравляю в свою очередь и Вас.

Конечно Вы имеете полное право брать на дом книги для составления Музея. Разрешено 27 дек. 89 г.

Предс. Дм. Бакрадзе

Присылаю обе тор. снимки»<sup>4</sup>

**დათარილება:** მართალია, წერილს მხოლოდ თვე და რიცხვი აწერია, მაგრამ ადრესატის მინაწერიდან ირკვევა, რომ იგი **დანერილია 1889 წელს.**

წერილის ადრესატია ქართველი ისტორიკოსი, არქეოლოგი და ეთნოგრაფი – დიმიტრი ზაქარაძე ბაქრაძე.

გვ.: 102,8. «**Поздравляя Вас с праздником**» – იგულისხმება შობის დღესასწაული.

გვ.: 102,9. «**из Музеума**» – იგულისხმება დიმიტრი ბაქრაძის მიერ სწორედ 1889 წელს დაარსებული თბილისის საეკლესიო მუზეუმი.

### **მიხეილ საბინინისადმი №1 (7) გვ. 103**

**ავტოგრაფი:** С, თევდორე ჟორდანიას პირადი არქივი, №535.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, ალაგ-ალაგ დასერილი, საშუალო ფორმატის ორი ფურცელი, ზომა: 20,9X13 სმ. დანერილია შავი მელნით. ხელნაწერი დაზიანებული და რესტავრირებულია. მისი I გვერდის ზედა მარცხენა მხარეს ორნამენტებით გაფორმებული დიდი რუსული «Ж» ასოა გამოყვანილი ლურჯი ფერით. წერილი შესრულებულია ხელნაწერის I-II გვერდებზე, ხოლო III-IV გვერდებზე დანერილია სასულიერო შინაარსის ტექსტის ფრაგმენტი.

**ხელმოწერა:** «Ваш Жорданія»

---

<sup>4</sup> მეც გილოცავთ. რა თქმა უნდა, სრული უფლება გაქვთ, წაიღოთ წიგნები სახლში მუზეუმის [კატალოგის] შესადგენად. ნება დართულია 27 დეკ. 89 წ. თავმჯდ. დიმ. ბაქრაძე. გიგზავნით ფოტოებს.

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** «Многоуважаемый Михаил Павлович!»

**ადრესატის მისამართი:** ადრესატის ადგილსამყოფლის დადგენა ვერ ხერხდება.

**შენიშვნები:** 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

**დათარილება:** წერილიდან ჩანს, რომ თევდორე ჟორდანიას ვერ გამოქვეყნებული არა აქვს თავისი ნარკვევი ანტონ კათალიკოსის შესახებ («Найдите мне издателя «Каталикоса Антонія I»). მან ამ ნაშრომის «Антоній I, католикос Грузіи и архиеп. Владимирскій и Яропольскій» გამოქვეყნება საქართველოს საეგზარქოსოს ჟურნალში დაიწყო 1891 წლის პირველი ნომრიდან. შესაბამისად, **ბარათი 1891 წლამდე უნდა იყოს დაწერილი.**

გვ.: 103,6-7. «Многоуважаемый Михаил Павлович» – წერილის ადრესატია ხატმწერი და ისტორიკოსი – მიხეილ (გობრონ) პავლეს ძე საბინინი.

გვ.: 103,15. «выдающихся рукописях музея» – სავარაუდოდ, საუბარია 1888 წელს თევდორე ჟორდანიას მონაწილეობით გახსნილ „საქართველოში ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის ძმობასთან არსებულ საეკლესიო განძთსაცავზე“.

## ალექსი გულისაშვილისადმი №1 (8) გვ.: 104-105

**ავტოგრაფი:** L, №7896-ბ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, დალაქავებული ორი ფურცელი, ზომა: 17X11 სმ. შესრულებულია შავი მელნით. ხელნაწერის I გვერდის მარცხენა მხარეს ორნამენტებით გაფორმებული დიდი რუსული «Ж» ასოა გამოყვანილი ლურჯი ფერით. ხელნაწერი ალაგ-ალაგ მელნით არის დასვრილი.

**თარიღი და ადგილი:** „1 დეკემბერს] 91 წ. თფილისით.“

**ხელმოწერა:** „თქვენი თევდორე ჟორდანია“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „დიდად პატივცემულო პატიოსანო მამაო ალექსი!“

**ადრესატის მისამართი:** ხელნაწერის I გვერდზე სხვისი ხელით მინაწერია: „ალექსი (საშა) გულისაშვილს ს. ნინოწმინდაში.“

**შენიშვნები:** 1. ავტორს კვადრატულ ფრჩხილებში მოთავსებული ასოები არ უწერია; ამასთან, თარიღისა და ადგილის ქვემოთ, ხელნაწერის შუაში, სხვისი ხელით, მწვანე ფერის ფანქრით მინაწერია: „ალექსი (საშა) გულისაშვილს ს. ნინოწმინდაში“; ზუსტად ამავე ფანქრით ხელნაწერის ზედა არშიაზე მინერილია: „№361“; 2. „წერილის დაგვიანება“ ჩამატებულია; 3. ასე წერს ავტორი; 4-5. ჩამატებულია; 6. ხელნაწერშია „განმავალობაში“; 7. ჩამატებულია; 8. „თ“-ს მელანი აქვს დასხმული და მისი მხოლოდ ნაწილი ჩანს; 9. სიტყვის მეორემესამე ასოებს მელანი აქვს დასხმული, თუმცა მაინც იკითხება.

გვ.: 104,19-21. „დიდად პატივცემულო პატიოსანო მამაო ალექსი!“ – წერილის ადრესატია დეკანოზი ალექსი ნიკოლოზის ძე გულისაშვილი.

გვ.: 105,1. „თქვენის წერილის კვალიც კი ვერ ვიპოვეთ რედაქციაში“ – მამა ალექსი გულისაშვილი სტატიებს აქვეყნებდა ჯერ „დროებაში“, შემდეგ – „ივერიაში“. რამდენადაც 1889 წელს გამოდიოდა მხოლოდ „ივერია“, რომელთანაც აქტიურად თანამშრომლობდა თევდორე ჟორდანია, საუბარი უნდა იყოს ამ გაზეთში გაგზავნილი წერილის დაკარგვაზე.

გვ.: 105,6. „თქვენგან გამოგზავნილს შაგირდს“ – პიროვნება დასახელებული არ არის და იდენტიფიცირება შეუძლებელია.

გვ.: 105,8-9. „მოიწერეთ ჩვენის ჟურნალისთვის“ – რადგან სასულიერო ასპექტების სტატიაზეა საუბარი, შესაძლოა, იგულისხმებოდეს ჟურნალი „მწყემსი“.

გვ.: 105,23-24. „იანვრიდამ ბეჭდვას შევუდგები საქართველოს ისტორიის მასალებისას“ – თევდორე ჟორდანიას ნიგნის – „ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორი-



ისა“ – პირველი ტომი, როგორც ჩანს, სტამბას გადაეცა 1892 წელს, მაგრამ გამოცემა დაგვიანდა და გარეკანზე 1893 წელი აწერია.

გვ.: 105,26-27. „თქვენის „სულთა მატთანესაგანაც“ – როგორც ჩანს, საუბარია ალექსი გულისაშვილის მიერ მიწოდებულ შემომწირველთა მოსახსენიებლების კრებულზე.

### ნიკო მარისადმი №1 (9) გვ.: 106-108

**ფოტოპირი:** С, თევდორე ჟორდანიას პირადი არქივი, №504.

**თარიღი და ადგილი:** «29 Декабря 1893 г. г. Тифлис»

**ხელმოწერა:** «Ваш слуга покорный Θεодор Жорданія.»

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** «Высокоуважаемый профессор, Г. №№ Мapp!»

**ადრესატის მისამართი:** ამ პერიოდში ადრესატი პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი იყო და წერილიც ამ ქალაქში უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1-2. ჩამატებულია; 3. ამის შემდეგ გადახაზულია ერთი სიტყვა; 4. «и приготовленію к» ჩამატებულია; 5. ამის შემდეგ გადახაზულია ერთი სიტყვა; 6. «особенно изданіем» ჩამატებულია; 7. «на грузинском языке» ხაზგასმულია ავტორის მიერ; 8. «текст документов» ხაზგასმულია ავტორის მიერ; 9. «и» ჩამატებულია; 10. «на грузинском» ხაზგასმულია ავტორის მიერ; 11. «к Вам» ჩამატებულია.

წერილის ადრესატია ენათმეცნიერი, ფილოლოგი და აღმოსავლეთმცოდნე – ნიკოლოზ იაკობის ძე მარი.

გვ.: 106,11. «первую часть моих «Хроники» – საუბარია თევდორე ჟორდანიას 1893 წელს გამოსულ წიგნზე – „ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა“.

გვ.: 108,3-5. «отрывок из Агафангела, история Арсенія об отделении армян.[ской] церкви от грузинской» – საუბარია მე-5 საუკუნის სომეხ ისტორიკოსსა და მის ნაშრომზე და ასევე ქართლის კათალიკოს არსენ საფარელზე.

## ნიკო მარისადმი №2 (10) გვ.: 110-116

**ფოტოპირი:** С, თევდორე ჟორდანის პირადი არქივი, №505.

**თარიღი და ადგილი:** «17 Января 94 г. Тифлис.»

**ხელმოწერა:** «С почтением к Вам Θ. Жорданія»

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** «Милостив[ы]й Государь Николай Яковлевич!»

**ადრესატის მისამართი:** ამ პერიოდში ადრესატი **პეტერბურგის** უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი იყო და წერილიც ამ ქალაქში უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ფრჩხილებში მოთავსებული ნაწილი ჩამატებულია; 2. სიტყვა ჩამატებულია; 3. «рукою самого Ефрема Младшаго» ხაზგასმულია; 4. «никакого сомнения» ხაზგასმულია; 5. სიტყვა ხაზგასმულია წინდებულიანად; 6. ამის შემდეგ, სავარაუდოდ, გადახაზულია «если»; 7. სიტყვა ჩამატებულია, მის დაბლა გადახაზულია «недопускаемых»; 8. სიტყვა ჩამატებულია, მის დაბლა გადაშლილია «он»; 9. სიტყვა ჩამატებულია; 10. «безусловно верить» ხაზგასმულია; 11. «без всякаго измененія» ხაზგასმულია; 12. ტექსტში ყველა სამი წერტილი ავტორისეულია; 13. «отобрана от него» ჩამატებულია; 14. სიტყვა ჩამატებულია; 15. ამის შემდეგ გადახაზულია „მარიამ დედოფ. ქ-ცხრ“; 16. ამ ციფრების წინ სხვა ციფრებიც წერია, მაგრამ არ ირჩევა; 17. «хотя он, Т[акай]швили будто тщательно пересмотрел рукопись Музея» ჩამატებულია; 18. ხელნაწერშია «кататалогე»; 19. «чуть если не на первых местах» ხაზგასმულია; 20. «много раз обманывал и вводил в

заблюжденіе своими ложными уверениями» ხაზგასმულია; 21. «самое внимательное» ჩამატებულია; 22. სიტყვა ხაზგასმულია; 23. «все ошибки» ხაზგასმულია; 24. სიტყვა ხაზგასმულია; 25. «безусловно верное» ხაზგასმულია; 26. «безусловно верно» ხაზგასმულია; 27. «для изданія» ხაზგასმულია.

გვ.: 110,16. «**виновата не моя Хроника**» – საუბარია თევდორე ჟორდანიას 1893 წელს გამოსულ წიგნზე – „ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა“, რადგან მეორე ტომი ამავე გამოცემისა მხოლოდ 1897 წელს დაიბეჭდა.

გვ.: 111,5. «**Письмо Арсенія Католикоса**» – სავარაუდოდ, საუბარია ქართველ საეკლესიო მოღვაწესა და მწერალზე – არსენ I დიდზე.

გვ.: 111,7. «**Отрывок ჰატიმონითისაგან**» – საუბარია მართლმადიდებელ სომეხთა წერილობით მატთანზე.

გვ.: 111,18. «**употреблено „დეინისა“**» – სიტყვა კონტექსტის გარეშეა წერილში მოხმობილი და ძნელი სათქმელია, რას გულისხმობს.

გვ.: 112,4. «**библиотеки Князя Мингрельскаго**» – საუბარი უნდა იყოს სამეგრელოს მთავარ დავით დადიანის მდიდარ ბიბლიოთეკაზე, რომელიც მისმა მემკვიდრეებმა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ გადასცეს.

გვ.: 112,5. «**Ефрема Младшаго, современника Давида Возобновителя**» – საუბარია ეფრემ მცირესა და დავით აღმაშენებელზე.

გვ.: 112,10-11. «**царствование Димитрія I**» – საუბარია საქართველოს მეფე დემეტრე I-ზე.

გვ.: 112,16-17. «**Относительно же Г.[осподин] Такайшвили**» – საუბარია ცნობილ ისტორიკოსზე, ეთნოგრაფსა და საზოგადო მოღვაწეზე – ექვთიმე თაყაიშვილზე.

გვ.: 113,8. «**Хроники Сумбата**» – საუბარი უნდა იყოს ისტორიკოს სუმბატ დავითის ძე ბაგრატიონის ნაშრომზე.

გვ.: 113,9. «**летопись Маріи (მარიამ-დედოფ.)**» – საუბარია ქართლის დედოფალ მარიამ დადიანის ინიციატივით 1633-1646 წლებში გადანერილ „ქართლის ცხოვრებაზე“.

გვ.: 113,11. «**Вахтангом VI<sup>м</sup>**» – საუბარია ქართლის მეფე ვახტანგ VI-ზე.

გვ.: 113,18. «**мысли Бакрадзе, Броссе**» – საუბარია დიმიტრი ბაქრაძესა და მარი ბროსეზე.

გვ.: 113,27. «**ნინოს ცხოვრებისა**» – საუბარია ტექსტზე, რომელშიც წმინდა მოციქულთა სწორ ნინოს მიერ ქართლის გაქრისტიანებაა აღწერილი.

გვ.: 113,29. «**Церковный Музей (которым я заведу)**» – საუბარია თბილისის საეკლესიო მუზეუმზე, რომელსაც 1889-1896 წლებში ხელმძღვანელობდა თევდორე ჟორდანია.

გვ.: 115,9. «**თრდატ**» – სომხეთს ამ სახელის მქონე რამდენიმე მეფე ჰყავდა და, რამდენადაც სიტყვა წყაროში კონტექსტის გარეშეა მოტანილი, ძნელი სათქმელია, რომელზეა საუბარი.

### ნიკო მარისადმი №3 (11) გვ.: 122-127

**ფოტოპირი:** С, თევდორე ჟორდანიას პირადი არქივი, №506.

**თარიღი და ადგილი:** «24 янв. 1894 г. Тифлис»

**ხელმოწერა:** «Θ. Жорданія»

**ადრესატის მისამართი:** ამ პერიოდში ადრესატი **პეტერბურგის** უნივერსიტეტის პრევატ-დოცენტი იყო და ამ ქალაქში ცხოვრობდა, რაც ტექსტის შინაარსითაც დასტურდება: ავტორი მას პეტერბურგის ბიბლიოთეკიდან წიგნების ფასდაკლებით გამოგზავნას სთხოვს: «Если в С. П[етер]бур[г]ских

библиотеках найдутся нижеследующія книги и Вы их потрудитесь распорядиться выслать мне наложенным платежом, то премного обяжете меня».

**შენიშვნები:** 1. ამის შემდეგ ავტორს შედარებები ცხრილის გარეშე აქვს მოცემული. ტექნიკური გამართულობის მიზნით, ჩვენ მათ ცხრილის სახით წარმოვადგენთ; 2. „თ“ და „ნ“ ასოები საზგასმულია ავტორის მიერ; 3-5. საზგასმულია ავტორის მიერ; 6. საზგასმულია ავტორის მიერ. ამასთან, ავტორს ბრჭყალები დახურული არა აქვს; 7. კითხვის ნიშნები ყველგან ავტორისაა; 8. პირველ სიტყვაში „ბ“ და მეორეში – „შ“ საზგასმულია ავტორის მიერ; 9. პირველ სიტყვაში „შ“ და მეორეში – მეორე „ა“ საზგასმულია ავტორის მიერ; 10. ავტორს „ნს“ თანხმონები გამორჩენილი აქვს; 11. დაწერილია ზემოდან, მის ქვემოთ გადაშლილია «исправил»; 12. «никакого основанія» საზგასმულია ავტორის მიერ; 13. ავტორს „1“ ისე აქვს დაწერილი, რომ ბრჭყალებს ჰგავს; აღნიშვნა გამორჩენილი აქვს; 14. «на меня» ჩამატებულია; 15. «расписку его» საზგასმულია ავტორის მიერ; 16. ფრჩხილებში მოთავსებული ტექსტი ჩამატებულია ზემოდან; 17. «целый год слишком» საზგასმულია ავტორის მიერ; 18. «в примеч» ჩამატებულია; 19. საზგასმულია ავტორის მიერ; 20. ჩამატებულია; 21. «до основанія, окончательно» საზგასმულია ავტორის მიერ; 22. «и безповоротно» ჩამატებულია; 23. ფრჩხილებში მოთავსებული ტექსტი ჩამატებულია ზემოდან; 24-25. მონიშნული სიტყვები ჩამატებულია; 26. «наложенным платежом» საზგასმულია ავტორის მიერ; 27. კითხვის ნიშანი ავტორისაა; 28. ჩამატებულია; 29. «ее на имя эконома дух.[овной] Семинаріи» ჩამატებულია; 30. «С-Пбское Импер. Археологич. Общество» ჩამატებულია.

წერილის ადრესატია ენათმეცნიერი, ფილოლოგი და აღმოსავლეთმცოდნე – ნიკოლოზ იაკობის ძე მარი.

გვ.: 122,11-12. «**письма Арсенія Каталикоса**» – საუბარია ქართლის კათალიკოს არსენ საფარელის წერილებზე.

გვ.: 122,12. „**პატიმოთინისაგან**“ – საუბარია მართლმადიდებელ სომეხთა წერილობით მატრიანეზე.

გვ.: 125,7. «**вместо дзინи**» – საუბარია შუა საუკუნეების სომხეთის დედაქალაქზე.

გვ.: 125,12. «**Г-на Т-[აკაი]швили**» – საუბარია ცნობილ ისტორიკოსზე, ეთნოგრაფსა და საზოგადო მოღვაწეზე – ექვთიმე თაყაიშვილზე.

გვ.: 126,6. «**редакції Вахтанга VI**» – საუბარია ქართლის მეფეზე 1703-1714 წლებში.

გვ.: 126,7. «**о Сумбатовской Хронике**» – საუბარია სუმბათ დავითის ძის ნაშრომზე – „ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი“.

გვ.: 126,15-16. «**списал у Д. Бакрадзе**» – საუბარია ქართველ ისტორიკოსსა და ეთნოგრაფ დიმიტრი ბაქრაძეზე.

გვ.: 127,6. «**Исторія Арменіи Каталикоса Йоанна**» – საუბარი უნდა იყოს იოანეს დრასხანაკერტცის წიგნზე – „სომხეთის ისტორია“.

გვ.: 127,7-8. «**Исторія Вардана Великаго**» – საუბარია მე-13 საუკუნის სომეხი ისტორიკოსის, ვარდან არეველცის, წიგნზე.

გვ.: 127,9. «**из библиотеки Еггерса**» – საუბარია შვედ გენერალ, ბარონ იაკობ ფონ ეგერსის ბიბლიოთეკაზე, რომელიც იმპერატორმა ეკატერინე II-მ თავად ეგერსისგან შეიძინა და კადეტთა კორპუსს გადასცა.

გვ.: 127,10-12. «**Е. Такайшвили «Еще один из источников истории Грузии царевича Вахушта»**» – საუბარია ექვთიმე თაყაიშვილის ნაშრომზე ვახუშტი ბატონიშვილის შესახებ.

გვ.: 127,12. «**Описание Гелатскаго монастыря Г. Церетели**» – სავარაუდოდ, გიორგი ექვთიმეს ძე წერეთლის ამ

ორი წიგნიდან ერთ-ერთი იგულისხმება: «О некоторых древностях в Гелатском монастыре» (1882), ან «Полное собрание надписей на стенах и камнях и приписок к рукописям Гелатского монастыря» (1891).

გვ.: 127,13. «**Себеоса Исторія**» – საუბარია მე-7 საუკუნის სომეხი ისტორიკოსის, სებეოსის, წიგნზე – „იმპერატორ ირაკლის ისტორია“.

გვ.: 127,14. «**Экзарх Грузии поручил мне**» – 1892-1898 წლებში საქართველოს ეგზარქოსი იყო ვლადიმირ ბოგოიავლინსკი.

### **ანეტა მამაცაშვილ-ბაქრაძისადმი №1 (12) გვ.: 132-133**

**ასლი:** C, დიმიტრი ბაქრაძის არქივი, №160, 1r-v.

**ასლის აღწერილობა:** ამ ნომრით დიმიტრი ბაქრაძის არქივში დაცულია ანეტასადმი გაგზავნილი ორი წერილის ასლი.

**ხელმოწერა:** „თქვენი პატივის მცემელი თევდორე ჟორდანია.“  
**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „დიდად პატივცემულო ანნა იოსების ასულო!“

**ადრესატის მისამართი:** ადრესატი **თბილისში** ცხოვრობდა და წერილიც აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**დათარილება:** წერილში **1894 წლის 14 მარტი** გასული ჩანს, შესაბამისად, იგი **ამ თარიღის შემდეგ უნდა იყოს დაწერილი.**

გვ.: 132,10-11. „დიდად პატივცემულო ანნა იოსების ასულო“ – წერილის ადრესატია დიმიტრი ზაქარიას ძე ბაქრაძის მეუღლე – ანეტა (ანნა) მამაცაშვილი-ბაქრაძისა.

გვ.: 132,13-14. „დიმიტრი ზაქარიას ძის ბაქრაძის სიკვდილის შემდეგ“ – საუბარია ქართველ ისტორიკოსსა და ეთნოგრაფ დიმიტრი ბაქრაძეზე, რომელიც 1890 წლის 10 თებერვალს გარდაიცვალა.

გვ.: 133,2. „სტატია ანტონ კათალიკოზზე“ – საუბარია ანტონ კათალიკოსის შესახებ დაწერილ ვრცელ ნარკვევზე,

რომელიც 1891-1892 წლებში გამოქვეყნდა ჟურნალში – «Духовный вестник Грузинского Экзархата».

გვ.: 133,4-10. **„შემონუმების დროს დაესწრნენ: გ. იოსელიანი ა. ქუთათელაძე დ. ეპიტაშვილი ნ. მთვა. ა. ნათაძე რ. ჯაჯანაშვილი“** – რამდენადაც პირთა სახელების მხოლოდ ინიციალებია მოცემული, მათი იდენტიფიცირება ვერ ხერხდება.

### **ანეტა მამაცაშვილ-ბაქრაძისადმი №2 (13) გვ.: 133-134**

**ასლი:** C, დიმიტრი ბაქრაძის არქივი, №160, 2r-v.

**ასლის აღწერილობა:** ამ ნომრით დიმიტრი ბაქრაძის არქივში დაცულია ანეტასადმი გაგზავნილი ორი წერილის ასლი.

**თარიღი და ადგილი:** „29 მარტი 1894 წ.“

**ხელმოწერა:** „თქვენი ღრმად პატივის მცემელი თევდორე დავ. ჟორდანიანია.“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „თქვენო აღმატებულებაგ, ანა იოსების ასულო!“

**ადრესატის მისამართი:** ადრესატი **თბილისში** ცხოვრობდა და წერილიც აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

გვ.: 133,17. **„კრებულის გამოგზავნა“** – საუბარია დიმიტრი ბაქრაძის მიერ თევდორე ჟორდანიასთვის ნაჩუქარ ხელნაწერ ისტორიულ კრებულზე.

გვ.: 133,19. **„თქვენის მეუღლის დიმიტრისი“** – საუბარია ქართველ ისტორიკოსსა და ეთნოგრაფ დიმიტრი ბაქრაძეზე.

გვ.: 134,4-12. **„იქ იყვნენ გიორგი იოს. რაჟდენი, მთვარელიშვილი, ალექსი აგლაძე, ქუთათელაძე... დ. ეპიტაშვილი... ა. ნათაძე რ. ჯაჯანაშვილი“** – რამდენადაც პირთა სახელების მხოლოდ ინიციალებია მოცემული, მათი იდენტიფიცირება ვერ ხერხდება.



## გიორგი თუმანიშვილისადმი №1 (14) გვ.: 134-137

**ავტოგრაფი:** C: თევდორე ჟორდანიას პირადი არქივი, №512.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** შავი პირი. გაყვითლებული, გახუნებული, დალაქავებული, დასვრილი ორი ფურცელი, ზომა: 28X21,5 სმ. შესრულებულია ლურჯი მელნით. ხელნაწერი ძალიან დაზიანებულია: ალაგ-ალაგ გახეულია. I გვერდის ქვედა ნახევარში მელანი გადასულია და სიტყვები ძნელად ირჩევა. რესტავრირებული.

**ადრესატის მისამართი:** ადრესატი გაზეთ «Новое Обозрение»-ს მფლობელი და რედაქტორი იყო, რომელიც **თბილისში** გამოდიოდა და წერილიც აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ამის ზემოთ დაუნერია «Едва я» და შემდეგ წაუშლია; 2. ამის შემდეგ ზემოდან ჩაუმატებია და შემდეგ გადაუშლია «Ея превасх.»; 3. ჩამატებულია ზემოდან, მის დაბლა გადაშლილია «решительно»; 4. ამის შემდეგ გადაშლილია «ровно»; 5. «она отвергает» ჩამატებულია; 6. ამის შემდეგ გადაშლილია «ея мужа супр.»; 7. ამის შემდეგ ზემოდან ჩაუმატებია და შემდეგ გადაუშლია «нераз»; 8. სიტყვა ჩამატებულია; 9. ამის შემდეგ გადაშლილია «этой»; 10. ამის შემდეგ გადაშლილია «никогда им»; 11. ამის შემდეგ გადაშლილია დაუმთავრებელი სიტყვა; 12. «она отрезает, что» ჩამატებულია ზემოდან, მის დაბლა გადაშლილია «что я читал ей», ხოლო მის ზემოთ, სავარაუდოდ – «данные»; 13. ხელნაწერი ამ ადგილას გადარეცხილია და სიტყვა არ ჩანს. აღვადგინეთ სავარაუდო სიტყვა; 14. კვადრატულ ფრჩხილებში მოთავსებული ადგილი გადარეცხილია. ამის შემდეგ წაშლილია «прочитал»; 15-16. მონიშნული სიტყვები ჩამატებულია; 17. ამის შემდეგ გადაშლილია «предшествующие»; 18. «ниже сего поименованных» ჩამატებულია; 19. ჩამატებულია, მის წინ კიდევ ერთი სიტყვა წერია, რომელიც არ ირჩევა. დაუმთავრებელი უნდა იყოს. როგორც ჩანს, ავტორს მისი წაშლა დაავინწყდა; 20. ამ ადგი-

ლას ხელნაწერი გადარეცხილია; 21. ამის შემდეგ ხელნაწერი მოხეულია და კვადრატულ ფრჩხილებში მოთავსებული ადგილი აღდგენილია. ამასთან, აბზაცის დასაწყისი ნაწილი ამ სიტყვის ჩათვლით გადახაზულია, თუმცა მომდევნო გვერდზე ტექსტი ლოგიკურად გრძელდება, რის გამოც ამ ნაწილს ვბეჭდავთ; 22. «я совершенно далеко от мысли, чтоны» ჩამატებულია; 23. ამის შემდეგ ზემოდან ჩამატებულია დაუმთავრებელი ფრაზები, რომლებიც შავი ფანქრით წაუშლია; 24. ამის შემდეგ გადაშლილია «я»; 25. ჩამატებულია; 26. ამის შემდეგ, სავარაუდოდ, გადაშლილია «С нутренно»; 27. ამის შემდეგ გადაშლილია «вся»; 28. «печальная история» ჩამატებულია; 29. სიტყვა ჩამატებულია, მის დაბლა გადაშლილია «враж лиц»; 30. ამის ზემოთ გადაშლილია დაუმთავრებელი სიტყვა; 31. ეს აბზაცი კვადრატულ ფრჩხილებშია ჩასმული; 32. «явился к вдове» ჩამატებულია; 33. ამის შემდეგ გადაშლილია «вдове»; 34. სიტყვა ჩამატებულია, ამასთან, ხელნაწერში მას ბოლო ორი ასო აკლია; 35. სიტყვა ჩამატებულია; 36. ჩამატებულია, მის დაბლა გადაშლილია «и»; 37. ჩამატებულია, მის დაბლა გადაშლილია «не против»; 38. ჩამატებულია, მის დაბლა გადაშლილია «окончании печатавшегося на основе»; 39. ამის შემდეგ გადაშლილია «заявил ей, что»; 40. ამის შემდეგ გადახაზულია «не возвратил»; 41. სიტყვა ხაზგასმულია; 42. ამის შემდეგ გადახაზულია «только лишь просила не терять ее»; 43. ჩამატებულია; 44. «известную читателю небылицу» ჩამატებულია; 45. ხაზგასმულია; 46 ეს სიტყვა ჯერ წაუშლია, მაგრამ ქვეშ კლაკნილი ხაზი გაუსვამს აღდგენის ნიშნად; 47. ამის შემდეგ გადახაზულია «выступить за»; 48. ამის შემდეგ გადახაზულია «так как»; 49. ჩამატებულია, მის დაბლა გადაშლილია «подозрению»; 50. ჩამატებულია, მის დაბლა გადაშლილია «припомнить»; 51. ჩამატებულია; 52. ამის შემდეგ გადახაზულია «дело и засвидетельствовать, что»; 53. ჩამატებულია, მის დაბლა გადახაზულია «сборника и выяснением»; 54. ამის

შემდეგ გადახაზულია «у нея»; 55. «у нея часть ея» ჩამატებულია, მის დაბლა გადაშლილია «книгу»; 56. ჩამატებულია; 57. ამის შემდეგ გადახაზულია «на вто»; 58. ამის შემდეგ გადახაზულია «и которое как м в котором указаны страницы моего сборника и»; 59. ამის შემდეგ გადახაზულია «охотно исп в»; 60. ჩამატებულია; 61. «на новой квартире она сличит указанные в моем письме стр.[аницы] с другой частью[...] сборника» ჩამატებულია. ჩამატებულ ნაწილში რამდენიმე სიტყვა არ ირჩევა; 62. ჩამატებულია, მის დაბლა გადაშლილია «дала»; 63. «как я убедился» ჩამატებულია, მის დაბლა გადაშლილია «все»; 64. ამის შემდეგ გადახაზულია «ей»; 65. ამის შემდეგ გადახაზულია «сходить к ней и»; 66. ამის შემდეგ გადახაზულია «указанное письмо с ея»; 67. «требуемое засвидетельствованіе» ჩამატებულია, მის დაბლა გადაშლილია «завереніем»; 68. სიტყვა ჩამატებულია; 69. «вторая часть» ჩამატებულია; 70. სიტყვა ჩამატებულია, მის დაბლა გადაშლილია «рукописи», ხოლო ამ უკანასკნელის შემდეგ – «между ея книгами не»; 71. სიტყვა ჩამატებულია; 72. წინდებული ჩამატებულია, მის დაბლა გადაშლილია «телеграмм»; 73. ამის შემდეგ გადახაზულია «возвратить»; 74. ამის შემდეგ გადახაზულია «попрос»; 75. «для возобновления в память» ჩამატებულია; 76. ჩამატებულია; 77. ამის შემდეგ გადახაზულია «нея», რომლის წინ ავტორს «у» წინდებულის ნაშლა გამოორჩენია; 78. ამის შემდეგ გადახაზულია «совместно при участии ея»; 79. «в присутствій вдовы и» ჩამატებულია; 80. «Ольги Дмитриевны» შავი ფანქრით არის ჩამატებული ზემოდან, მის დაბლა გადაშლილია დაუმთავრებელი სიტყვებისა და ფრაზების შემცველი შემდეგი ტექსტი: «причем обращено было внимание ея их на те собственноручныя приписки Д. Бакрадзе, которыя совершенно опровергали киевету У. К-ова. на пока н на Че страниц, этой части сборника, которыя в цитирует Д.

Бакрадзе в своих трудах. Приэтом За Чем я прочитана была ту самую мою статью, к-ую я напечат. в Н. О. №3522 в разабрал опре иною Клеветы У. К-ова.»; 81. ამის შემდეგ ნაშლილია «как»; 82. სიტყვა ჩამატებულია; 83. ფრაზა – «адресов.[анное] на имя А. I Б., по непонят. мне причины» – ჩამატებულია; 84. ამის ზემოთ ნაშლილია «моего», რომლის წინაც შავი ფანქრით, სავარაუდოდ, შემოკლებით უნდა ეწეროს «Дми-не», რომლის ნაშლაც ავტორს დავინყებია; 85. სიტყვა ჩამატებულია; 86. ამის შემდეგ ნაშლილია «аказалось»; 87. ეს სიტყვა წერია შავი ფანქრით; 88. წერია ზემოდან შავი ფანქრით, მის დაბლა წერია «им», რომელიც ავტორს აღარ ნაუშლია, თუმცა აღარ ივარაუდება; 89. აქ წყდება ტექსტი. იმის გათვალისწინებით, რომ ფურცელზე კიდევ არის ადგილი, სადაც შეიძლება და ტექსტის დანერა, სავარაუდებელია, რომ ავტორმა ის აღარ დაამთავრა და აქ შენტყვიტა წერა.

**დათარიღება:** რამდენადაც წერილიდან ჩანს, რომ თევდორე ჟორდანიას სტატია **1894 წლის 9 აპრილის** „ნოვოე ობოზრენიეში“ უკვე გამოქვეყნებულია, წერილი ამ დროის შემდეგ უნდა იყოს დაწერილი.

გვ.: 134,14-15. **«вдовы пок.[ойнаго] арх.[еолога] Д. З. Бакрадзе»** – საუბარია დიმიტრი ზაქარაიას ძე ბაქრაძესა და მის მეუღლეზე – ანეტა (ანნა) მამაცაშვილ-ბაქრაძისაზე.

გვ.: 134,16. **«М.[ногоуважаемый] Г.[осподин] Г.[лавный] Редактор!»** – წერილის შინაარსიდან გამომდინარე, საუბარი უნდა იყოს გაზეთზე *«Новое Обозрение»*, რომლის მფლობელი და რედაქტორიც 1891-1903 წლებში იყო გიორგი მიხეილის ძე თუმანიშვილი. შესაბამისად, წერილი მისდამი უნდა იყოს გაგზავნილი.

გვ.: 134,17. **«вашей газеты»** – საუბარი უნდა იყოს გაზეთზე *«Новое Обозрение»*.

გვ.: 134,19-20. **«в особой статье моей, напечатанной в «Новом Обоз»** – საუბარია 1894 წლის 8 და 9 აპრილს ავტო-

რის მიერ პლატონ იოსელიანის ბრალდების საპასუხოდ გამოქვეყნებულ წერილზე (იხ. «Новое обозрение», №3535, 3536, 1894 г., გვ. 3).

გვ.: 135,23. «под именем несуществующаго Ушанга Корсикозова» – ამ პირის შესახებ არაფერია ცნობილი.

გვ.: 135,24. «П. Юселиани» – საუბარი უნდა იყოს ისტორიკოს პლატონ იოსელიანზე.

გვ.: 136,28-29. «полковнику Д. Тарсаидзе» – საუბარია ადრესანტის სიმამრ დავით ტარსაიძეზე.

გვ.: 136,32. «полковника Христофора Мамацова» – საუბარია სამხედრო და საზოგადო მოღვაწე ქრისტეფორე (ქაიხოსრო) მამაცაშვილზე.

გვ.: 137,8. «ея дочери Ольги Дмитриевны» – საუბარია ოლღა დიმიტრის ასულ ბაქრაძეზე.

გვ.: 137,14. «Антоня Пурцеладзе» – საუბარია მწერალსა და საზოგადო მოღვაწეზე – ანტონ ნიკოლოზის ძე ფურცელაძეზე.

### პრასკოვია უვაროვასადმი №1 (15) გვ.: 140-148

**ფოტოპირი:** С, პრასკოვია უვაროვას არქივი, №291.

**ხელმოწერა:** «Вашего Сіятельства нижайшій раб Θεодор Жорданія.»

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** «Ваше Сіятельство, высоко чтимая Графиня!»

**ადრესატის მისამართი:** ადრესატი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მოსკოვში და წერილიც, სავარაუდოდ, აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1-4. ხაზგასმულია; 5. «именно в 908 г.» ჩამატებულია; 6. სიტყვა ხაზგასმულია; 7. სიტყვა ჩამატებულია; 8. სიტყვა ხაზგასმულია; 9. «большаго собора» ხაზგასმულია; 10-

12. მონიშნული სიტყვები ხაზგასმულია; 13-15; მონიშნული სიტყვები ჩამატებულია; 16. «возобновителем Мцхетского храма» ხაზგასმულია; 17. «Никорцминдский Храм» ხაზგასმულია; 18. «без всякаго сомненія» ხაზგასმულია; 19. «второй раз» ხაზგასმულია; 20-21. მონიშნული სიტყვები ჩამატებულია; 22. «Вам самые» ჩამატებულია; 23. ხაზგასმულია; 24. ამის შემდეგ გადაშლილია «требуется»; 25. ჩამატებულია; 26-27. ხაზგასმულია; 28. «совершенно ясная» ჩამატებულია; 29. «Геоργія, Мровельскаго» ხაზგასმულია; 30. «XI в.» ჩამატებულია; 31. ფრჩხილებში მოთავსებული სიტყვა ჩამატებულია; 32. სიტყვა ხაზგასმულია; 33. «газете» დაწერილია ზემოდან, მის ქვემოთ გადაშლილია «Тиф»; 34. ამ ადგილას ხელნაწერზე მელანია დაღვენთილი და კვადრატულ ფრჩხილებში მოთავსებული ასოების მხოლოდ მცირე ნაწილები ჩანს; 35. «в груз. тексте» ჩამატებულია; 36. სიტყვა ჩამატებულია; 37. ფრჩხილებში მოთავსებული ნაწილი ჩამატებულია; 38. სიტყვა ხაზგასმულია; 39. «второй раз» ხაზგასმულია; 40. ფრჩხილებში მოთავსებული ქართული სიტყვები ჩამატებულია; 41-42. ბრჭყალებში მოთავსებული ტექსტი ხაზგასმულია; 43. სიტყვა ჩამატებულია; 44. ამ ადგილას მელანია დაღვენთილი და სიტყვა კარგად არ ჩანს; სავარაუდოდ, უნდა იყოს «Сев. дверь»; 45. სიტყვა ხაზგასმულია; 46. სიტყვა ჩამატებულია; 47. «для предполагаемой» ჩამატებულია; 48. სიტყვა ხაზგასმულია; 49. «города Шемахи» ხაზგასმულია; 50. სიტყვა ჩამატებულია; 51. «в XIII в.» ჩამატებულია.

**დათარილება:** თევდორე ჟორდანიამ წიგნის – „ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა“ – პირველი ნაწილი გამოსცა 1893 წლის დასაწყისში, მეორე კი – 1897 წელს. ამ წერილში მოკლედ მიაწინებებს ამ წიგნის სათაურზე სიტყვით «Хроники» და პირდაპირ უთითებს გვერდებს. მეორე ნაწილი რომ უკვე გამოსული ყოფილიყო, ასე არ მოიქცეოდა. გარდა ამისა, ამავე ადრესატისადმი 1895 წლის

ნერილში მეტი სიახლოვე იგრძნობა. ამიტომ საანალიზო **ნერილს ვათარილებთ 1893 წლის დასაწყისიდან 1895 წლის 25 სექტემბრამდე პერიოდით.**

ნერილის ადრესატია ცნობილი რუსი მეცნიერი, არქეოლოგი და ისტორიკოსი – პრასკოვია უვაროვა.

გვ.: 140,14. **«драгоценный подарок»** – სავარაუდოდ, საუბარია ადრესატის მიერ 1902 წელს გამოცემულ წიგნზე – **«Архитектурные памятники Юго-Западного края».**

გვ.: 141,5-6. **«Поливанов не нашел»** – საუბარია ევგენი დიმიტრის ძე პოლივანოვზე.

გვ.: 141,15. **«Абхазского царя Леона»** – საუბარია აფხაზეთის მეფე ლეონ III-ზე.

გვ.: 142,2. **«Григорія Моквеля... Магдзნიезде»** – საუბარია მოქვის პირველ ეპისკოპოს გრიგოლ მაგძნისძეზე, რომელიც მოღვაწეობდა მე-12 საუკუნეში.

გვ.: 142,7-8. **«царем Багратом III»** – საუბარია გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს პირველ მეფეზე, რომელიც მეფობდა 975-1014 წლებში.

გვ.: 142,8. **«царем Георгіем»** – საუბარია აფხაზეთის მეფე გიორგი II-ზე.

გვ.: 142,9. **«собранных мною «Хроники»** – საუბარია თევდორე ჟორდანას წიგნზე – „ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა“, რომლის პირველი ტომი გამოვიდა 1893 წელს.

გვ.: 142,15. **«у Броссе и Дюбуа»** – საუბარია ფრანგ ორიენტალისტსა და ქართველოლოგ მარი ფელისიტე ბროსესა და შვეიცარიელ სიძველეთა მკვლევარსა და გეოლოგ მარი ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეზე.

გვ.: 142,23. **«Тигвскій храм»** – საუბარია შიდა ქართლის სოფელ თიღვაში მდებარე ტაძარზე.

გვ.: 142,23-24. **«Тамарою, дочерью Давида Возобновителя»** – საუბარია დავით აღმაშენებლის უფროს ქალიშვილზე.

გვ.: 142,26. «**Ширванскаго царя Агсартана**» – წერილის ავტორი დავით აღმაშენებლის უფროსი ქალიშვილის, თამარის, ქმრად შეცდომით მოიხსენიებს აღსართანს. თამარის ქმარი იყო აფრიდუნ შირვანშაჰის ძე – მანუჩაჰ III.

გვ.: 143,4. «**Каталикоса Мелхиседека**» – საუბარია მელქისედეკ I-ზე – საქართველოს კათალიკოს-პატრიარქზე 1010-1033 წლებში.

გვ.: 143,7-8. «**при Вахтанге Горгасале**» – საუბარია ქართლის მეფე ვახტანგ I-ზე.

გვ.: 143,9. «**построен Баграмом IV**» – საუბარია იმერეთის მეფე ალექსანდრე III-ის ძეზე.

გვ.: 143,17. «**эпископа Мануила**» – საუბარია ნიკონ-წმინდის ეპისკოპოს მანუილზე, რომელიც, თევდორე ჟორდანიას აზრით, გვარად ჩხეტიძე იყო.

გვ.: 143,19. «**св. Николая Чудотворца**» – საუბარია ქრისტიანული ეკლესიის წმინდანზე – ნიკოლოზ საკვირველ-მოქმედზე.

გვ.: 143,20-21. «**сказано у Д. Пурцеладзе**» – საუბარია ქართველ ისტორიკოს დიმიტრი პეტრეს ძე ფურცელაძეზე.

გვ.: 144,18. „**სული გიორგი მროველ ეპისკოპოზისაჲ**“ – საუბარია მე-11 საუკუნეში მოღვაწე რუისის ეპისკოპოს გიორგიზე.

გვ.: 144,21-22. «**Руисский еп.[ископ] Антоній**» – საუბარია მე-10 საუკუნეში მოღვაწე მროველ ეპისკოპოს ანტონზე.

გვ.: 144,22-23. «**У А. С. Хаханова**» – საუბარია ისტორიკოსსა და ქართველოლოგ ალექსანდრე ხახანაშვილზე.

გვ.: 144,25. «**Я, Кирилл, в мире... Кахабер**» – საუბარია რაჭის ერისთავ რატი ბაღვაშის ძეზე.

გვ.: 144,26-27. «**Эристава над Эриставами Рати**» – საუბარია რაჭის პირველ ერისთავ რატი ბაღვაშზე.



გვ.: 145,1. «Т[акаи]-швили в его «Трех Хрониках» – საუბარია ექვთიმე თაყაიშვილის მიერ 1890 წელს გამოცემულ ნიგნზე.

გვ.: 145,3-4. «имя атабека «Мзечабука» – საუბარია მე-16 საუკუნეში სამცხე-საათაბაგოს ათაბაგ მზეჭაბუკ ყვარყვარე II-ის ძეზე.

გვ.: 145,9-10. «Тамару... сестру ея, Елену» – საუბარია მე-16 საუკუნის სამცხე-საათაბაგოს ათაბაგ მზეჭაბუკის დეებზე – თამარ და ელენე ჯაყელებზე.

გვ.: 145,17. «Роинов ездил» – საუბარია პირველ ქართველ ფოტოგრაფ ალექსანდრე როინაშვილზე.

გვ.: 146,3. «Св. Симеона» – საუბარია წმინდა სვიმეონ მესვეტეზე.

გვ.: 146,3. «Св. Шю и Евагрія» – საუბარია VI საუკუნის II ნახევრის საეკლესიო მოღვაწეებზე – შიო მღვიმელსა და ევაგრეზე.

გვ.: 147,6-7. «Зедазенской крепости» – 1101 წელს დავით აღმაშენებელმა გაანადგურა ზედაზნის ციხეში თავშეფარებულ თურქ-სელჩუკთა და კახეთის მეფის, კვირიკეს, ლაშქარი.

გვ.: 147,10. «Цромскаго и Самтависскаго Храмов» – წრომი შიდა ქართლში მდებარეობს, სამთავისი კი – ამჟამინდელ კასპის მუნიციპალიტეტში.

გვ.: 147,22-23. «Шемахи, столицы тогдашняго Ширванскаго царства при царице Тамаре» – შირვანის სამეფო თამარ მეფის დროს საქართველოს დაქვემდებარებაში იყო.

### პრასკოვია უვაროვასადმი №2 (16) გვ.: 155-157

ფოტოპირი: С, პრასკოვია უვაროვას არქივი, №292.

თარიღი და ადგილი: «25 Сентября 1895 г. Тифлис.»

**ხელმოწერა:** «С глубочайшим уваженіем и преданностью имею честь быть слугою Вашего Сіятельства Ст.[атскій] Сов.[етник] Θεодор Жорданія.»

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** «Ваше Сіятельство!»

**ადრესატის მისამართი:** ადრესატი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა **მოსკოვში** და წერილიც, სავარაუდოდ, აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1-3. მონიშნული სიტყვები ხაზგასმულია ავტორის მიერ; 4. ჩამატებულია; 5. «о неспособности мой» ხაზგასმულია ავტორის მიერ; 6-7. მონიშნული სიტყვები ხაზგასმულია ავტორის მიერ; 8. «спеціальныя средства» ხაზგასმულია ავტორის მიერ.

გვ.: 155,22. «**фотографом Роиновым**» – საუბარია პირველ ქართველ ფოტოგრაფ ალექსანდრე როინაშვილზე.

გვ.: 155,27. «**Экзарха Грузіи Евсевія**» – საუბარია საქართველოს ეგზარქოს ევსევი ილინსკიზე.

გვ.: 156,5. «**при Католикосе Фаворе**» – საუბარია მე-7 საუკუნის კათალიკოს თაბორზე.

გვ.: 156,7. «**Стефаноса II<sup>го</sup> Ипатоса**» – საუბარია მე-7 საუკუნის ერისმთავარ სტეფანოზ II ვიპატოსზე.

გვ.: 156,12. «**Академиком Броссе**» – საუბარია ფრანგ ორიენტალისტსა და ქართველოლოგზე – მარი ფელისიტი ბროსეზე.

გვ.: 156,17-18. «**изданных мною «Хрониках»** (стр. 178) – საუბარია თევდორე ჟორდანის 1893 წელს გამოსულ წიგნზე – „ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა“.

გვ.: 157,3. «**на имя Экзарха Грузіи**» – 1892-1898 წლებში საქართველოს ეგზარქოსი იყო ვლადიმირ ბოგოიავლინსკი.

გვ.: 157,9. «**например г. Вейденбаум**» – საუბარია ეთნოგრაფზე, არქეოლოგსა და ისტორიკოს ევგენი ვეიდენბაუმზე.

### პეტრე ბარტენევისადმი №2 (17) გვ. 160

**ფოტოპირი:** С, თევდორე ჟორდანის პირადი არქივი, №490.

**თარიღი და ადგილი:** «30 Сент. 1895 г. г. Тифлис»

**ხელმოწერა:** «Готовый к услугам Θεодор Жорданія.»

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** «Милостивый Государь, Г. Редактор!»

**ადრესატის მისამართი:** ამ პერიოდში ადრესატი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა **მოსკოვში** და წერილიც აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ამ ადგილას მელანია დაღვენთილი და დახურული ბრჭყალები არ ჩანს; 2. ხელნაწერში იკითხება «осталось»; 3. «Адрес мой» ხაზგასმულია.

წერილის ადრესატია რუსი ისტორიკოსი და ლიტერატურათმცოდნე – პეტრე ივანეს ძე ბარტენევი.

გვ.: 160,3-4. «**Милостивый Государь, Г. Редактор**» – წერილის ადრესატია ჟურნალ «Русский архив»-ის რედაქტორი – პეტრე ივანეს ძე ბარტენევი.

გვ.: 160,7. «**Г-н Николай Дадіанов**» – სავარაუდოდ, საუბარია ისტორიკოს ნიკოლოზ გიორგის ძე დადიანზე.

გვ.: 160,13. «**предводителя дворянства Горійскаго уезда Д. Сулханова**» – ამ დროს გორის თავადაზნაურობის წინამძღოლი იყო ივანე დავითის ძე სულხანიშვილი. როგორც ჩანს, ავტორს გამორჩა პიროვნების სახელის ინიციალის მითითება.

## ექვთიმე თაყაიშვილისადმი №1 (18) გვ.: 161-162

**ავტოგრაფი:** C, ექვთიმე თაყაიშვილის არქივი, №1594.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, დალაქავებული, საშუალო ფორმატის ერთი უჯრიანი ფურცელი, ზომა: 20,8X13,3 სმ. დაწერილია შავი მელნით.

**ხელმოწერა:** „თქვენი თევდორე ჟორდანია“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ბ. ევთიმე!“

**ადრესატის მისამართი:** წერილში ავტორი ადრესატს მუზეუმიდან წაღებული გუჯრების დაბრუნებას სთხოვს რევიზიის მოლოდინში, რაც ადასტურებს, რომ თევდორე ჟორდანია ჯერ ისევ მუზეუმის ხელმძღვანელია. ის ამ თანამდებობაზე მუშაონდა 1889-1896 წლებში. ამ პერიოდში ადრესატი **თბილისში** ცხოვრობდა და მოღვაწეობდა და წერილიც, შესაბამისად, აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**დათარიღება:** წერილის შინაარსიდან ჩანს, რომ თევდორე ჟორდანიას ექვთიმე თაყაიშვილისთვის სამუშაოდ გაუტანებია ძველი გუჯრები. მას ამის გაკეთება შეეძლო თბილისის საეკლესიო მუზეუმის ხელმძღვანელის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში. თედო სახოკიასადმი 1896 წლის 6 ნოემბრის წერილში ავტორი დევნასა და ათვალწუნებაზე საუბრობს და მაღლიერებას გამოხატავს ადრესატის მიმართ მისი მხრიდან გამოჩენილი თანაგრძნობის გამო: „დიდად გმადლობ თანაგრძნობისა და თანაძმობისათვის. დიდად ვნუგეშობ, რომ ამ ყველასგან დევნულობისა და ათვალწუნების დროს შენისთანა მეგობრები აქა-იქ თითო ოროლა გამომიჩნდენ და მამხნეებენ.“ ამავე წერილიდან, რომელიც უკვე ქუთაისიდან არის გაგზავნილი და არა თბილისიდან, ვიგებთ, რომ თევდორე ჟორდანია ოჯახთან ერთად ქუთაისშია დაბინავებული: „გიგო აქ გადმოვიყვანე და პირველ შეგირდად მიდის ჯერჯერობით. ფელიკოც პანსიონში მივაბარე. ძალიან გაგვიჭირდა აქ გადმობინავება და დიდძალი ვალი დამედვა.“

ვასილ კარბელაშვილისადმი 1896 წლის 7 ნოემბრის წერილში ჩანს, რომ თევდორეს ვინმე ელიევისთვის უცნობე-

ბია მუზეუმის გადაბარების თაობაზე: „მუზეუმის შესახებ მე არავისთვის არ მიმიწერია, მხოლოდ ელიევს ვაცნობე დღეს, პასუხად მისის წერილისა, რომ დამიბარეთ და მუზეუმი ჩემგან ჩაიბარეთ მეთქი.“

იმის გათვალისწინებით, რომ წინამდებარე წერილის მიხედვით თევდორე ჟორდანიას ჯერ ისევ მუზეუმის გამგეა და წინ ელის განთავისუფლების, თბილისიდან ქუთაისში გადაბარების, შვილებისთვის სასწავლებლის შეცვლის პროცესები, რასაც მინიმუმ ერთი თვე მაინც დასჭირდებოდა, წინამდებარე წერილი დაწერილი უნდა იყოს **არა უგვიანეს 1896 წლის სექტემბრისა.**

გვ.: 161,20. **„ბ. ევთიმე“** – წერილის ადრესატია ცნობილი ისტორიკოსი, ეთნოგრაფი და საზოგადო მოღვაწე – ექვთიმე თაყაიშვილი.

### **თედო სახოკიასადმი №2 (19) გვ.: 162-165**

**ავტოგრაფი:** L, თედო სახოკიას არქივი, №11254-ბ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, გაჭუჭყიანებული, ორი ცალხაზიანი ფურცელი, ზომა: 21X13,2 სმ. გადაბმის ადგილას, ქვედა მხრიდან, ხელნაწერი ოდნავ შეხეულია. შესრულებულია შავი მელნით.

**თარიღი და ადგილი:** „ნ ნოემბერს 96 წ. ქუთაისით.“

**ხელმოწერა:** „შენი პატივისმცემელი თევდორე ჟორდანიას.“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „პატივცემულო ძმაო თედოტე!“

**ადრესატის მისამართი:** ადრესატის ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ 1896-1898 წლებში ის დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობდა, მაგრამ, რადგან ავტორმა მისი ზუსტი ადგილსამყოფელი არ იცის („არ ვიცი ახლა სადახარ, რადგან ილორში გამგზავრებას იწერები და დარწმუნებული არავარ, რომ ეს ბარათი მოგივიდეს“), სავარაუდებელია, რომ

ბარათი **თბილისში** იყოს გაგზავნილი, სადაც თედო სახოკია მოღვაწეობდა.

**შენიშვნები:** 1-2. ჩამატებულია; 3. ავტორი ამ სიტყვას ასე ხმარობს; 4. ხელნაწერშია „ქემები“. კითხვის ნიშანი ავტორისაა; 5. ამ სახელის ქვეშ ჯვრის ნიშანი (†) დაუსვამს და მერე წაშლია; 6. კითხვის ნიშანი ავტორისაა; 7. ქვედა ნაწილი ავტორს ხელნაწერის ქვედა მარცხენა სივრცეში უწერია, „ზურაბიდან“ ისარი მარცხენა მხარეს არის მიმართული. 8. „(თანა?)“ ჩამატებულია; 9. „(თანას?)“ ჩამატებულია; 10. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 11. წმიდა; სიტყვა ჩამატებულია; 12. ასე უწერია; 13. ამის შემდეგ გადახაზულია „შემინ“.

**პირველი პუბლიკაცია:** „საისტორიო მოამბე“, 31-32, საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველო, თბ., 1975, გვ.: 171-173.

გვ.: 162,22-23. „ქრონიკების“ მეორე წიგნის“ – იგულისხმება თევდორე ჟორდანიას წიგნის – „ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა“ – მეორე ტომი, რომელიც 1897 წელს გამოიცა.

გვ.: 163,9-10. „ლიხინის ფეშხუმზე წარწერილი სოლომონ შარვაშიძე“ – საუბარია აფხაზეთის სოფელ ლიხინში ნაპოვნ ფეშხუმზე გაკეთებულ წარწერაზე, რომელშიც მოხსენიებულია სოლომონ შარვაშიძე. ის სათავეში ედგა ვამეხ დადიანის ჯარს ლიპარი დადიანის წინააღმდეგ.

გვ.: 163,11-12. „მეფესა (და) დადიანს წინა გავიმარჯვეთ“ – სავარაუდოდ, საუბარია იმერეთის მეფე ალექსანდრე III-სა (მეფობდა 1639-1660 წლებში) და ვამეყ III დადიანზე (მთავრობდა 1658-1660/1662 წლებში).

გვ.: 163,12. „გურიელს და ლიპარი დადიანზედა“ – გურიელის სახელი უცნობია, ლიპარი / ლიპარიტ დადიანი კი იყო სამეგრელოს მთავრის, ლევან II-ის, ძმისწული და მისი ტახტის პრეტენდენტი.

გვ.: 163,13. „Rap. ბროსესი VIII“ – იგულისხმება მარი ფელისიტე ბროსეს მოხსენება.

გვ.: 163,14. „მოხსენებულია სოლომონის ძე არზაყან“ –

საუბარია არზაყან სოლომონის ძე შარვაშიძეზე.

გვ.: 163,15. „**შარვაშიძენი სოუსტან და ძე მისი სავარე-ნი**“ – საუბარი უნდა იყოს სუსტან (სუსტარ) შარვაშიძესა და მის ვაჟ სარეხზე (სორეხზე).

გვ.: 163,15-16. „**ლიპარიტ I დადიანობდა**“ – საუბარია ლიპარიტ I დადიანის სამეგრელოს მთავრობის პერიოდზე.

გვ.: 163,16. „**ლიპარიტ II**“ – საუბარია ლიპარიტ II და-დიანსა და მის მიერ სამეგრელოს მთავრობის პერიოდზე.

გვ.: 163,19. „**მამია დადიანმა და მამია გურიელმა**“ – სა-უბარია ოდიშის მთავარ მამია III დადიანზე, ლიპარიტ II-ის ძე-ზე, და გურიის მთავარ მამია I გურიელზე

გვ.: 163,20. „**1533 წელს ჩხუბი აუტყეხეს აბხაზთა და ჯიქ-თა**“ – ამ ლაშქრობაში მამია დადიანი და მამია გურიელი იბ-რძოდნენ იმერეთის მეფე ბაგრატ III-სთან ერთად.

გვ.: 163,25. „**ყვაპუ შარვაშიძე**“ – საუბარია აფხაზეთის მთავრის, ზეგნაყ შარვაშიძის, უმცროს ვაჟზე.

გვ.: 163,26. „**ყვაპუსძე ქერექიმი**“ – წერილის მიხედვით ქერექიმი ყვაპუს ძეა, სხვა წყაროების მიხედვით კი – ძმაა.

გვ.: 164,1. „**ლევან, – ზურაბ, – ქელიმბეგ, – ბექირბეგ**“ – საუბარია ლევან, ზურაბ, ქელიმ-ბეგ და ბექირ-ბეგ შარვაში-ძეებზე.

გვ.: 164,3. „**საფარ-ბეგ (იგივე გიორგი), ბათალ, ჰასან, ასლან**“ – საუბარია ქელიმ-ბეგ შარვაშიძის ვაჟებზე.

გვ.: 164,5. „**ალიბეგ ანუ გიორგი, სოსლანბეგ**“ – საუბა-რია ბექირ-ბეგ შარვაშიძის ვაჟებზე.

გვ.: 164,7. „**გრიგოლ**“ – ალი-ბეგ შარვაშიძის შვილები, შარვაშიძეთა გენეალოგიის მიხედვით, დიმიტრი და მიხეილი არიან.

გვ.: 164,9. „**სელეზნევის და ზუბოვის გამოკვლევანი**“ – საუბარი უნდა იყოს მიხეილ სელეზნიოვის 1847-50 წლებში გამოცემულ სამტომეულზე – «Руководство к познанию Кавказа» და პლატონ პავლეს ძე ზუბოვის ნაშრომებზე კავკა-სიის შესახებ, რომლებსაც აქვეყნებდა 1834 წლიდან.

გვ.: 164,10. „აკტებში ბევრი რამ მოიპოვება“ – უნდა იგულისხმებოდეს ტომეულები: «Акты собранные Кавказскою археографическою комиссиею».

გვ.: 164,11. „ნიკო დადიანის მატიანე“ – სავარაუდოდ, იგულისხმება ნიკოლოზ დავითის ძე დადიანის ნაშრომი: „იმერეთის მეფის დიდ სოლომონ I-ის მატიანე“.

გვ.: 164,13. „ხელნაწერი საბინინსა აქვს“ – უნდა იგულისხმებოდეს სასულიერო მოღვაწე, ხატმწერი და ისტორიკოსი – მიხეილ (გობრონ) პავლეს ძე საბინინი.

გვ.: 164,14-15. „ალექსანდრე ეპისკოპოსმა გამოსცა“ – საუბარია თევდორე ჟორდანიას წიგნზე – „ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა და „ძეგლი“ ვაჰხანის ქვაბთა“, რომელიც გამოიცა 1896 წელს იმჟამად ქართლ-კახეთის ქორეპისკოპოს ალექსანდრე დავითის ძე ოქროპირიძის მხარდაჭერით.

გვ.: 164,18. „ჩემის „ქრონიკებისაგან“ დღეს დაბეჭდილია“ – იგულისხმება თევდორე ჟორდანიას წიგნის – „ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა“ – მეორე ტომის დასაბეჭდად გამზადება.

გვ.: 165,10. „გიგო აქ გადმოვიყვანე“ – საუბარია ადრესანტის ვაჟზე – გიორგი ჟორდანიასზე.

გვ.: 165,11. „ფელიკოც პანსიონში მივაბარე“ – საუბარია ადრესანტის ვაჟზე – თევდორე თევდორეს ძე ჟორდანიასზე.

გვ.: 165,11-12. „გაგვიჭირდა აქ გადმობინავება“ – საუბარი უნდა იყოს საცხოვრებლად ქუთაისში გადასვლაზე.

გვ.: 165,15-16. „შენი წიგნაკი „წა ეკატირინეს ცხოვრება“ – იგულისხმება 1896 წელს „უდაბურ წყალ-წმიდის ძმობის“ მიერ გამოცემული პატარა წიგნი.



## ვასილ კარბელაშვილისადმი №1 (20) გვ.: 166-168

**ავტოგრაფი:** C, ვასილ კარბელაშვილის არქივი, №561.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, დალაქავებული, საშუალო ფორმატის ორი ცალხაზიანი ფურცელი, ზომა: 21,1X13,3 სმ. დაწერილია შავი მელნით. ხელნაწერის I გვერდის ზედა მხარეს, სავარაუდოდ, არქივარიუსის ხელით, ფონდის ნომრის გარდა, მინერილია: „Qd 6570“.

**თარიღი და ადგილი:** „7 ნოემბერს 1896 წ. ქუთაისით.“

**ხელმოწერა:** „შენი პატივისმცემელი თედო“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ძვირფასო მამაო ბასილ!“

**ადრესატის მისამართი:** ამ პერიოდში ადრესატი თბილისში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა და წერილიც, შესაბამისად, აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ამის შემდეგ გადახაზულია: „და თუ ვერამ დაამშვიდოს“.

გვ.: 166,10. „**მუზეუმის შესახებ**“ – საუბარია თბილისის საეკლესიო მუზეუმზე, რომელსაც 1889-1896 წლებში ხელმძღვანელობდა თევდორე ჟორდანიას.

გვ.: 166,11. „**ელიევს ვაცნობე**“ – პირის სახელი ნახსენები არ არის და იდენტიფიცირება ვერ ხერხდება.

გვ.: 166,15. „**თქვენის ძმის პოლესი**“ – იგულისხმება პოლიევქტოს კარბელაშვილი.

გვ.: 166,19. „**მარიამ თეოფანისასული**“ – საუბარია ადრესატის მეუღლეზე – მარიამ ჩიჯავაძე-კარბელაშვილისაზე.

გვ.: 166,21. „**მწყსნე იგინი კვერთხითა რკინისათა**“ – ციტატა მოხმობილია დავითის ფსალმუნიდან 2.9.

გვ.: 166,24-25. „**მადამ ჩამომიგდო ოთახში**“ – გაურკვეველია, ვისზეა საუბარი.

გვ.: 166,26. „**სოსო მისის მეუღლით**“ – იგულისხმება ადრესატის ცოლისძმა – იოსებ ჩიჯავაძე და მისი მეუღლე.

გვ.: 166,28-29. „**შალიკოს... თამროც... ელიზბარითურთ**“ – საუბარია ვასილ კარბელაშვილის შვილებზე.

გვ.: 166-167. „ახალ შექმნილი თქვენი ვაჟი (ზოგმა სთქვა ქალიო)“ – საუბარი უნდა იყოს ადრესატის მომდევნო შვილზე – ნინოზე.

გვ.: 167,1-2. „როუბიცკიმ... მომცა“ – საუბარი უნდა იყოს თბილისში მცხოვრებ სტანისლავ ნერბერტის ძე როუბიცკიზე.

გვ.: 167,19-20. „საძაგლისშვილს... დაუფარავს“ – სავარაუდოდ, საუბარია ეპისკოპოს კირიონ (გიორგი იერონიმეს ძე) საძაგლიშვილზე.

გვ.: 168,1. „ქრონიკებისა“ მარტო სამი ფორმა“ – საუბარია თევდორე ჟორდანას წიგნზე – „ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა“, რომლის მეორე ტომი 1897 წელს გამოიცა.

გვ.: 168,6-7. „გიორგი ჩაგუნავა და დავით დავითაშვილი ძმითურთ“ – სავარაუდოდ, საუბარია თბილისის სასულიერო სემინარიის პედაგოგ, მღვდელ გიორგი ჩაგუნავასა და შემდგომში საკათალიკოსო საბჭოს მდივან დავით ალექსის ძე დავითაშვილზე (დავიდოვი), მისი ძმის სახელი კი არ წერია და იდენტიფიცირება ვერ ხერხდება.

გვ.: 168,7. „საშა ყიფშიძეს გრიგოლითურთ“ – საუბარია ალექსანდრე და გრიგოლ ყიფშიძეებზე.

გვ.: 168,11. „სტეპკოს და ყიფშიძეებს“ – სავარაუდოდ, საუბარია სტეფანე ჭრელაშვილზე, გრიგოლ და ალექსანდრე ყიფშიძეებზე.

გვ.: 168,13. „ელენემ თვისის შვილებით“ – საუბარია ადრესანტის მეუღლე ელენე დავითის ასულ ტარსაიძესა და მის შვილებზე.

გვ.: 168,13-14. „გიგო პირველი შაგირდია“ – საუბარია ადრესანტის ვაჟ გიორგიზე.

გვ.: 168,17-18. „ვალერიან გუნიას გადაეცი... გაზეთი მიგზავნოს“ – სავარაუდოდ, საუბარია გაზეთ „ცნობის ფურცელზე“, რომლის რედაქტორ-გამომცემელიც 1896-1899 წლებში იყო ვალერიან გუნია.

## თედო სახოკიასადმი №3 (21) გვ.: 168-169

**ავტოგრაფი:** L, თედო სახოკიას არქივი. №11278-ბ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, ალაგ-ალაგ დალაქავებული, პატარა ფორმატის სავიზიტო ბარათი, ზომა: 7,3X4,5 სმ. დაწერილია შავი მელნით. ხელნაწერის სატიტულო გვერდის ზედა მხარეს, შუაში, შავი ფერით გამოსახულია სამეფო გვირგვინი, რომლის ქვემოთ შავი ბეჭდური ასოებით წერია: «Θεοδωρ Δαβιδович Жорданія», ხოლო მის ქვემოთ წერილის დამამთავრებელი ნაწილია მოთავსებული.

**ხელმოწერა:** „თედო“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ბატონო თეოდოტ!“

**ადრესატის მისამართი:** წერილის შინაარსით ადრესატის თბილისთან კავშირი იკვეთება. ავტორი მას სწერს: „კორრექტურას თვალ-ყური ადევნეთ და დააჩქარებინეთ.“ / „ცნობის ფურცელს“ გამოაგზავნიე დაპირებული საქართველოს კალენდარი“.

**შენიშვნები:** 1. ავტორი აბზაცით არ იწყებს წერილს; 2. ამის შემდეგ გადახაზულია „დი“; 3. ჩამატებულია.

**პირველი პუბლიკაცია:** „საისტორიო მოამბე“, 31-32, საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველო, თბ., 1975, გვ. 181.

**დათარიღება:** წერილიდან ჩანს, რომ 1896 წელს ადრესანტს „ცნობის ფურცლის“ გამომცემლობისთვის გადაუხდია „საქართველოს კალენდრის“ თანხა. რამდენადაც მომდევნო წლის კალენდარი წინა წელს მზადდებოდა და მომდევნო წლის დასაწყისში გამოიცემოდა, საუბარი უნდა იყოს 1897 წლის „საქართველოს კალენდარზე“. 1897 წლის 20 იანვარს „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომ „კალენდარი“ დაბეჭდილი იყო და იმავე დღიდან დაურიგდებოდა ხელმომწერებს. შესაბამისად, წერილი, რომელშიც უორდანია ითხოვს წიგნის მიწოდებას, 1897 წლის 20 იანვრის შემდეგ უნდა იყოს დაწერილი.

გვ.: 168,21. „კორრექტურას თვალ-ყური ადევნეთ“ – საუბარია თევდორე ჟორდანიას წიგნის – „ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა“ – მეორე ტომზე, რომელიც 1897 წელს გამოიცა.

გვ.: 168-169. „შეატანიო მაქსიმეს“ – თევდორე ჟორდანიას „ქრონიკებს“ ბეჭდავდა მესტამბე მაქსიმე შარაძე.

გვ.: 169,1-2. „მუხრანბატონს არ ვაწყენით“ – თევდორე ჟორდანიას „ქრონიკების“ გამოცემას ფინანსურად უზრუნველყოფდა კონსტანტინე ივანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელი.

გვ.: 169,3-4. „ცნობის ფურცელს“ გამოაგზავნიე დაპირებული საქართველოს კალენდარი“ – საუბარია გაზეთ „ცნობის ფურცელზე“ და წიგნზე – „საქართველოს კალენდარი“. ორივე მათგანს გამოსცემდა ვალერიან გუნია.

### ალექსანდრე ყიფშიძისადმი №1 (22) გვ.: 169-171

**ავტოგრაფი:** L, №864-ბ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, ალაგ-ალაგ დალაქავებული, ორი ცალხაზიანი ფურცელი, ზომა: 21X13 სმ. შესრულებულია შავი მელნით. ფურცლების გადაბმის ადგილას, ზემოთაც და ქვემოთაც, ხელნაწერი ოდნავ შეხეულია.

**თარიღი და ადგილი:** «Кутаис. Гагаринский переул., д. Сидава №56.»

**ხელმოწერა:** „შენი ყურმოჭრილი ყმა-მეგობარი თევდორე ჟორდანია.“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „სასურველო და საყვარელ-სატრფიალო ძმა-მეგობარო ბატონო ალექსანდრე.“

**ადრესატის მისამართი:** წერილის შინაარსით ირკვევა, რომ ადრესატს ლიტერატურულ-მეცნიერული მუშაობა დაუწყია და „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ საქმიანობაშიცაა ჩართული („ათასი ენა რომ მქონდეს, მაინც ვერ

გამოვთქვამ იმ უდიადეს სიხარულს, რომელიც დაიბადა ჩემში იმ დღიდან, როდესაც ჩვენს სამწერლობო და საზოგადოებრივს ასპარეზზე გიხილე შენ / „მე იმედი მაქვს შენი და ბასილ კარბელოვისაც, რომელსაც ვაცნობე ჩემი აზრი, რომ „წერა-კითხვის საზოგადოებიდან“, გინა სხვა წყაროდან იშოვით რვეულ-ნიგნებს“), რაც გვაგვარაუდებინებს, რომ იგი უკვე **თბილისში** მოღვაწეობდა და წერილიც აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. ჩამატებულია, მის დაბლა გადაშლილია „დადგა“; 3. ბოლო ორი ასო ავტორს გადაბმული აქვს და ბოლო „თ“ კარგად არ იკვეთება; 4. ჩამატებულია; 5. ამის შემდეგ გადახაზულია „პირდ“; 6. ჩამატებულია.

**დათარიღება:** უთარილო წერილის მიხედვით, თევდორე ჟორდანიას „ქრონიკების“ მეორე ტომი ჯერ გამოსული არ არის („შემდეგის ტომის დაბეჭდვა მე აქ ქუთაისში უნდა გადმოვიტანო... დაბეჭდილია 430 გვერდი და ამდენი სხვაც იქნება“). იმდროინდელ პრესაში პირველი გამომხაურება ამ ნიგნზე გამოქვეყნდა **1897 წლის 31 ივლისს**, სათაურით „ახალი ნიგნი“. შესაბამისად, ბარათი ამ თარიღამდე უნდა იყოს დაწერილი.

გვ.: 169,22-23. „**ბულვარ-ბაშურ ბატონებს**“ – ასე ხუმრობით მოიხსენიებს ქუჩის თავებს, ცრუ მეცნიერებს (მისი აზრით).

გვ.: 170,10. „**პირველს თქვენს საისტორიო შრომაში**“ – შესაძლოა, საუბარი იყოს ალექსანდრე ყიფშიძის მიერ გაზეთ „ივერიაში“ 1892 წლის 19 იანვარს გამოქვეყნებულ წერილზე – „იმპერატორი პავლე I და მისი მანიფესტი 18 იანვარს 1801 წელს“.

გვ.: 170,21. „**ქრონიკების“ ბეჭდვა**“ – საუბარია თევდორე ჟორდანიას ნიგნის – „ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა“ – მეორე ტომზე, რომელიც 1897 წელს გამოიცა.

გვ.: 170,23. „**კონიას დამითანხმებ**“ – თევდორე ჟორდანიას „ქრონიკების“ გამოცემას ფინანსურად უზრუნველყოფდა

კონსტანტინე ივანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელი და ის უნდა იგულისხმებოდეს.

გვ.: 171,4-5. „**ბასილ კარბელოვისაც**“ – სავარაუდოდ, საუბარია მომღერალზე, საეკლესიო და საზოგადო მოღვაწეზე – ვასილ გრიგოლის ძე კარბელაშვილზე.

გვ.: 171,19. „**გიგა გარდი-გარდმომიკოცნე**“ – საუბარია ადრესატის ძმაზე – გრიგოლ ყიფშიძეზე.

### **თედო სახოკიასადმი №4 (23) გვ.: 172-174**

**ავტოგრაფი:** L, თედო სახოკიას არქივი, №11256-ბ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, ალაგ-ალაგ დალაქავებული, ორი მართკუთხედუჯრედიანი ფურცელი, ზომა: 21X13,2 სმ. შესრულებულია შავი მელნით. ხელნაწერი დაზიანებულია: კიდეები მოცვეთილი და ალაგ-ალაგ შეხეულია.

**თარიღი და ადგილი:** „24 ოკტომბერ[ს] 97 ფოთი.“

**ხელმოწერა:** „შენი თედო“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ძმაო და მეგობარო თედო!“

**ადრესატის მისამართი:** ამ პერიოდში ადრესატი **თბილისში** ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, რაც წერილის შინაარსითაც დასტურდება. ავტორი მას სწერს: თუ „ყობია“ (გოგებაშვილი) მართლა შერიგებულია, სთხოვე რომ უსასყიდლოდ დაგვითმოს წერა-კითხ. საზოგადოებამ „კოკორი“ და „დედაენა“, „Рус. Слово“.

**შენიშვნები:** 1. სიტყვა დამთავრებული არა აქვს; 2. ჩამატებულია; 3. ხელნაწერშია „საუკეთოსს“; 4. ხელნაწერშია „კეთილ-შობლიურის“; 5. ამის შემდეგ გადაშლილია „ხოლო“; 6. „კარგი რამ“ ჩამატებულია, მის დაბლა გადაშლილია „კეთილი“; 7. ჯერ დაუნერია „მონაღვანს“, მერე „ს“ გადაუშლია; 8-9. მონიშნული სიტყვები ჩამატებულია; 10. ჩამატებულია. ამასთან, ხელნაწერშია „შემთხვეთის“; 11. ხაზგასმულია ავტორის მიერ;

12. „ჩოხოსანი, ქუდოსანი“ ჩამატებულია; 13. ჩამატებულია; 14. ჯერ დაუნერია „მეიდანის“, მერე გადაუკეთებია.

**პირველი პუბლიკაცია:** „საისტორიო მოამბე“, 31-32, საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველო, თბ., 1975, გვ.: 199-200.

გვ.: 172,10-11. **„თქვენდა სანინალმდეგო ფელეტონისა“** – სავარაუდოდ, საუბარია „კვალის“ 1897 წლის 25-ე ნომერში მიტროფანე ლალიძის მიერ გამოქვეყნებულ წერილზე: „რეცენზია ნიგნზე: სახოკია, თ. რუსულ-ქართული ლექსიკონი“, რომელსაც თედო სახოკია „ცნობის ფურცელში“ 6 ივნისს გამოეხმაურა წერილით: „წრეს-გადასულ მწერლობის გამო“ (პასუხად „კვალის“ რედაქტორს) და 21 ივნისს – წერილით „ულმობელი კრიტიკა“.

გვ.: 173,19. **„ვახუშტი უწოდს“** – საუბარია ქართველ გეოგრაფსა და ისტორიკოს ვახუშტი ბატონიშვილზე / ბაგრატიონზე.

გვ.: 174,5-6. **„დაბრკოლება გვაქვს ლევიციკისგან“** – საუბარია ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორ ფილიპ ზაქარიას ძე ლევიციკიზე.

გვ.: 174,8-9. **„ყოზია“ (გოგებაშვილი)** – საუბარია იაკობ გოგებაშვილზე.

გვ.: 174,20-21. **„საზოგადოებას“ ესეც არ შეუძლია“** – საუბარია „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაზე“.

#### ნიკო მარისადმი №4 (24) გვ.: 174-175

**ფოტოპირი:** C, თევდორე ჟორდანიას პირადი არქივი, №507.

**ფოტოპირის აღწერილობა:** ღია ბარათი. მასზე დასმულია პეტერბურგის ფოსტის ორი შტამპი, რომელზე აღნიშნული თარიღიც არის 1897 წლის 11 ნოემბერი.

წერილი ბოლონაკლულია. სავარაუდოდ, ის გრძელდებოდა სხვა ბარათზე, რომელიც დაიკარგა.

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** «Милостивый Государь Николай Яковлевич!»

**ადრესატის მისამართი:** ადრესატი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა **პეტერბურგში**. ღია ბარათზე დატანებული შტამპებითაც დასტურდება, რომ წერილი აქ არის გაგზავნილი. ბარათზევე წერია ადრესატის ვინაობა და მისამართი: «Его высокоблагородию Николаю Яковлевичу Г-ну Марру. Rue d. l. Sublime Porte, 46, Arakhel Totslean.»»

**შენიშვნები:** 1. აქ წყდება ტექსტი. ხელნაწერის დანარჩენი ნაწილი დაკარგულია.

**დათარილება:** როგორც ღია ბარათიდან ირკვევა, წერილი პეტერბურგში ჩასულია 1897 წლის 11 ნოემბერს. სხვა ბარათებიდან ვიცით, რომ წერილობითი გზავნილების მოსკოვში ჩასვლას მინიმუმ 6 დღე სჭირდებოდა. მინიმუმ იგივე დრო იქნებოდა საჭირო პეტერბურგში ჩასასვლელად. აღნიშნულის გათვალისწინებით, **საანალიზო ბარათი 1897 წლის 5 ნოემბრამდე უნდა იყოს დანერგილი.**

## თედო სახოკიასადმი №5 (25) გვ.: 176-178

**ავტოგრაფი:** L, თედო სახოკიას არქივი, №11255-ბ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, გაჭუჭყიანებული, ორი მართკუთხედუჯრედიანი ფურცელი, ზომა: 21X13,2 სმ. შესრულებულია შავი მელნით. გადაკეცვის ადგილი ქვედა მხრიდან და მარჯვენა ქვედა კიდე შეხეულია.

**თარიღი და ადგილი:** „1897.“

**ხელმოწერა:** „თედო“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ჩვენო დიდი იმედო ბ. თედო!“

**ადრესატის მისამართი:** ამ პერიოდში ადრესატი **თბილისში**



ცხოვრობდა და მოღვაწეობდა და წერილიც, სავარაუდოდ, აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ჩამატებულია; 2. ფრჩხილებში მოთავსებული სიტყვები ჩამატებულია; 3. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 4. სიტყვა ჩამატებულია, ამასთან, „დ“ გამორჩენილი აქვს; 5. ბოლო ასო უფრო „თ“-ს ჰგავს, რაც კალმისმიერი შეცდომა უნდა იყოს; 6. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 7. ხელნაწერში „ცარიელი სახელია“ ერთად წერია; 8. ამის შემდეგ გადაშლილია „და“; 9. ავტორი ატრიბუტულ მსაზღვრელს, ძირითადად, ფუძის სახით წარმოადგენს; 10. ჩამატებულია; 11. ასე ხმარობს ამ სიტყვას; 12. ჩამატებულია; 13. ავტორი ხშირად ამ ფორმით იყენებს ამ სიტყვას.

**პირველი პუბლიკაცია:** „საისტორიო მოამბე“, 31-32, საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველო, თბ., 1975, გვ.: 203-204.

**დათარიღება:** წერილს აწერია 1897 წელი. შინაარსიდან ჩანს, რომ შობის დღესასწაული მოახლოებულია. შესაბამისად, იგი **1897 წლის 25 დეკემბრამდე უნდა იყოს დაწერილი.**

გვ.: 176,12. „გიორგი ჩაგუნავას“ – სავარაუდოდ, საუბარი უნდა იყოს თბილისის სასულიერო სემინარიის პედაგოგზე, მღვდელ გიორგი ჩაგუნავაზე.

გვ.: 176,15. „დამივიწყეს, მაგ., „ძმათა ყიფშიძეთა“ – სავარაუდოდ, საუბარია გრიგოლ და ალექსანდრე ყიფშიძეებზე.

გვ.: 176,17. „გოგებაშვილი თუ არ ცრუობს“ – საუბარია იაკობ გოგებაშვილზე.

გვ.: 177,9-10. „თუ გაჭირდეს „სტეპკაც“ – შესაძლოა, იგულისხმებოდეს სტეფანე ჭრელაშვილი.

გვ.: 177,12. „დ. კარიჭაშვილი წაგაკითხებს“ – საუბარია დავით გიორგის ძე კარიჭაშვილზე.

გვ.: 177,12-13. „დათიკოსაც სთხოვე“ – სავარაუდოდ, აქაც იგულისხმება დავით კარიჭაშვილი.

გვ.: 177,23. „ნასიძისგან არც ქება მიამება“ – საუბარია ყურნალისტ მიხეილ ნასიძეზე.

გვ.: 177,24-25. „უსვინ[დ]ისო „კრიტიკა“ დასწერა ჩემს

**გრამატიკულ შრომაზე** – მიხეილ ნასიძემ 1893 წლის მაისში გაზეთ „ივერიაში“ ვრცელი კრიტიკული სტატია გამოაქვეყნა თევდორე ჟორდანიას გრამატიკაზე, სათაურით: „წერილი რედაქციის მიმართ“.

გვ.: 178,4-5. **„ძნელი ყოფილა „ნაბლიდატლობა“** – 1896 წელს თევდორე ჟორდანია დანიშნეს გურია-სამეგრელოს საეპარქიო სკოლების მეთვალყურედ.

გვ.: 178,8-9. **„გიგო საუცხოოდ სწავლობს, ფელიკო-კი მიჯაგლავობს“** – საუბარია ადრესანტის ვაჟებზე – გიორგისა და თევდორეზე.

გვ.: 178,11-12. **„დავით ლუარსაბოვიჩი გაგვებუტა და ახლა ვგონებ თფილისში იქნება როჟბიცკისთან“** – სავარაუდოდ, საუბარია ადრესანტის სიმამრზე – დავით ლუარსაბის ძე ტარსაიძესა და სტანისლავ ნერბერტის ძე როჟბიცკიზე.

გვ.: 178,15. **„შენი „სტატია“ ჯერ არ წამიკითხავს „მომამბეში“** – 1897 წელს თედო სახოკიამ ჟურნალ „მომამბეში“ რამდენიმე სტატია გამოაქვეყნა, მაგრამ აქ, სავარაუდოდ, საუბარი იქნება ბოლო სტატიაზე, რომელიც მე-11 და მე-12 ნომრებში გამოაქვეყნა, სათაურით: „გურია, აჭარა“.

გვ.: 178,16-17. **„ჩემი გაზეთური შენიშვნა იერუსალიმის ქართველთაგან ხმლით აღებაზე“** – იგულისხმება 1893 წელს გაზეთ „ივერიაში“ თევდორე ჟორდანიას მიერ გამოქვეყნებული სტატია – „მოკლე ცნობანი ქართველთა მონასტრებზე აღმოსავლეთში და ხმლით აღება იერუსალიმის ქალაქისა ქართველთაგან 1527 წელს“.

გვ.: 178,17-18. **„ცაგარლის ნანერების ძალით“** – საუბარი უნდა იყოს ქართველი ენათმეცნიერისა და ქართველოლოგის, ალექსანდრე ცაგარელის, პუბლიკაციებზე ჟურნალ „მწყემსში“ სათაურით – „საქართველოს ძველი დროის ნაშთები წმინდა ქვეყნებში და სინას მთაზე“.

**ავტოგრაფი:** L, №356-ბ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, ალაგ-ალაგ დალაქავებული, გაჭუჭყიანებული, ორი ცალხაზიანი ფურცელი, ზომა: 21X13 სმ. შესრულებულია მუქი შავი მელნით. | გვერდის ზედა ნაწილში, შუა ადგილას, ლურჯი მელნით თავ-ბოლოშემოკეცილი გრაგნილია დახატული, რომელშიც რუსული ბეჭდური ასოებით, ლურჯი მელნითვე წერია: «ТИШЕ ЕДЕШЬ, ДАЛЬШЕ НУДЕШЬ.» ხელნაწერი გადაკეცვის ადგილებში ზემოდანაც და ქვემოდანაც მცირეზე შეხეულია.

**ხელმოწერა:** „შენი თედო“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „საშაჯან!“

**ადრესატის მისამართი:** წერილის შინაარსით ირკვევა, რომ ადრესატს ლიტერატურულ-მეცნიერული მუშაობა დაუწყია და „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ საქმიანობაშიცაა ჩართული („სამეგრელოში ოთხმოცზე მეტი ახალი შკოლა გაგხსენი, მაგრამ იმ იმედით, რომ რვეულებს, კალმებს, და წიგნებს წერა-კითხვის საზოგადოება მუქთად მოგვანოდებს მეთქი... ჩაყვირე იმ ყრუებს და უგულ-უსულო-უსვინიდისოებს მოგვეშველენ“), რაც გვაჯარაუდებინებს, რომ იგი უკვე **თბილისში** ცხოვრობდა და წერილიც აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. ამის შემდეგ ნაშლილია „გადმოწერილს“; 3. „სეტყვა“ ჩამატებულია; 4. „ცისსარტყლისა, მეხისა“ ჩამატებულია; 5. ჩამატებულია. მის დაბლა გადაშლილია „აღწერილობა“; 6. ჩამატებულია; 7. ხელნაწერშია „შენიშვნა“; 8. კნიაზთა; 9. „ქართლისა კათოლიკოზთა“ ხაზგასმულია ავტორის მიერ; 10. ამის შემდეგ გადაშლილია „და“; 11. ამის შემდეგ გადაშლილია „გზა ვი ის“; 12. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 13. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 14. ჯერ სხვა სიტყვა დაუწყია და შემდეგ გადაუკეთებია; 15. ამის შემდეგ გადაშლილია „ეს“; 16. ამის შემდეგ გადაშლილია „არ“; 17. ჩამატებულია; 18. ამის გვერდით კვადრატულ

ფრჩხილებში, სავარაუდოდ, სხვისი ხელით, შავი ფანქრით მიწერილია „ჟორდანია“; 19. ხელნაწერში წერია „57-50“, მაგრამ ალოგიკურია, როგორც ჩანს, უნდა დაეწერა „57-58, ან 57-59“. 20. „ოთხმოცზე მეტი ახალი შკოლა“ ხაზგასმულია ავტორის მიერ; 21. ჩამატებულია.

**დათარილება:** წერილის მიხედვით, თევდორე ჟორდანიას მონაწილეობით სამეგრელოში 80-ზე მეტი სკოლა გაიხსნა („სამეგრელოში ოთხმოცზე მეტი ახალი შკოლა გავხსენი“). 1897 წლის 24 ოქტომბერს თედო სახოკიასთავის გაგზავნილი ბარათის მიხედვით კი იმ დროს ახალგახსნილი სკოლების რაოდენობა 50-ს არ აღემატებოდა („ჩემს მოსლვამდი ითვლებოდა 93 სკოლა. ახლა ითვლება 143 სკოლა და სეკდემბრიდან კიდევ ოციოდე მოემატა“). 1897 წლის 24 ოქტომბრის წერილის მიხედვით, ადრესანტს იმედი ჰქონდა, რომ ამ სკოლებს „წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ წიგნებითა და სასკოლო მასალებით დაეხმარებოდა („უსასყიდლოდ დაგვითმოს წერაკითხ. საზოგადოებამ „კოკორი“ და „დედაენა“, „Рус. Слово“, რვეულებიც რამდენიც შეიძლება“), უთარილო წერილში კი ვკითხულობთ: „ჩემი იმედი და დაპირება თითქმის გაცრუვდა. მარტო დედა-ენა მოგვივიდა“. ამ ორი ფაქტის საფუძველზე უთარილო ბარათი 1897 წლის 24 ოქტომბრის შემდეგ არის დაწერილი, მაგრამ, რამდენადაც შობის დღესასწაული წარსულ დროშია ნახსენები: „საშობაოთ გელოდით სახოკიასთან ერთად – ესეც არ იქნა“, მას ვათარილებთ **1897 წლის 25 დეკემბრის შემდგომი პერიოდით.**

გვ.: 179,11. „მეფის იმამყულისხანის ხელით“ – სავარაუდოდ, საუბარია დავით II იმამყული-ხანზე, რომელიც კახეთში მეფობდა 1703-1722 წლებში.

გვ.: 179,17-18. „ვახტანგ გორგასლანის მიერ“ – საუბარია V საუკუნის II ნახევარში მოღვაწე ქართლის მეფე ვახტანგ I-ზე.

გვ.: 179,28-29. „თქვენი „ჩლენი“ აქიმოვი“ – საუბარია სახელმწიფო სამინათმოქმედო ბანკის კავკასიის განყოფილების წევრსა და შემფასებელზე – ნიკოლოზ ზაქარიას ძე აკი-

მოვზე, რომელმაც 1896 წელს გამოაქვეყნა წიგნი: «Пояснения помещика селения Глдани Тифлисского уезда».

გვ.: 180,12-13. **„იმ უნამუსო „ცილისმწამებლთა“** – საუბარი უნდა იყოს 1894 წელს პლატონ იოსელიანის ხელნაწერის დაკარგვასთან დაკავშირებით თევდორე ჟორდანიას დანაშაულებზე.

გვ.: 180,26. **„ახალი ჩემი თანამდებობა“** – 1896 წელს თევდორე ჟორდანია დანიშნეს გურია-სამეგრელოს საეპარქიო სკოლების მეთვალყურედ.

გვ.: 180,28-29. **„მესამე ტომი ჩემის ქრონიკისა“** – საუბარია თევდორე ჟორდანიას წიგნზე – „ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა“, რომლის მეორე ტომი 1897 წელს გამოიცა.

გვ.: 180,31. **„შენ და გიგას ახალწელიწადი მოგილოცეთ“** – იგულისხმება ადრესატის ძმა გრიგოლი.

გვ.: 180,32. **„სახოკიასთან ერთად“** – საუბარია მწერალსა და საზოგადო მოღვაწეზე – თედო ტიმოთეს ძე სახოკიაზე.

გვ.: 181,20. **„მუნჯურმა მეთოდმა“** – 1890-იანი წლებიდან საქართველოს სკოლებში ინერგებოდა რუსული ენის სწავლების მეთოდი, რომელიც უგულვებლყოფდა დედაენის გამოყენებას.

გვ.: 182,4. **„ეპისკოპოსს ხელი მოვწერინე“** – 1898 წლის 20 მარტიდან 1903 წლის 4 ნოემბრამდე გურია-სამეგრელოს ეპარქიის მმართველი იყო ალექსანდრე ოქროპირიძე. მანამდე კი ეპისკოპოსი იყო გრიგოლ დადიანი. რადგან წერილის დაწერის ზუსტი თარიღი არ ვიცით, რთული სათქმელია, რომელი ეპისკოპოსი იგულისხმება.

გვ.: 182,5. **„საბლერმა მადლობა მოგწერა“** – საუბარი უნდა იყოს რუსეთის იმპერიის სენატორზე – ვლადიმერ კარლოს ძე საბლერზე.

## ვასილ კარბელაშვილისადმი №2 (27) გვ.: 182-183

**ავტოგრაფი:** C, ვასილ კარბელაშვილის არქივი, №565.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, დალაქავებული, პატარა ფორმატის სავიზიტო ბარათი, ერთი ფურცელი, ზომა: 9,6X5,7 სმ. დაწერილია შავი მელნით. წერილის ზედა მარჯვენა მხარეს, მიმართვის ქვეშ, სავარაუდოდ, არქივარიუსის ხელით მიწერილია: „Qd 6578“.

ბარათის სატიტულო გვერდის შუაში დიდი რუსული ბეჭდური ასოებით წერია: «Θεοδωρ Давидович Жорданія», ხოლო ქვედა მხარეს – «Наблюдатель церковно-приходских школ Гурійско-Мингрельской Епархіи.»

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „დაუვიწყარო მამაო და ძმაო ბასილიოს!“

**ადრესატის მისამართი:** ამ პერიოდში ადრესატი თბილისში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა და წერილიც, შესაბამისად, აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ხელნაწერშია „თქვენი გალობას“; როგორც ჩანს, სხვა წინადადების დაწერას აპირებდა, მაგრამ აზრი შეიცვალა და სიტყვის ფორმის ჩასწორება გამორჩა; 2. ამის შემდეგ გადახაზულია „და არა“; 3. ხელნაწერშია „მიციური“; 4. ამის შემდეგ გადახაზულია „მე შე“.

**დათარილება:** წერილიდან ჩანს, რომ ძმები კარბელაშვილებიდან ერთ-ერთს ახალგამოცემული უნდა ჰქონდეს წიგნი ქართული გალობის შესახებ. პირველი ასეთი წიგნი დაბეჭდა ვასილ კარბელაშვილმა 1897 წელს. რამდენადაც წერილი უკვე დამდგარი ახალი წლის მილოცვით იწყება, იგი 1898 წლის იანვრის პირველ რიცხვებამდე არ უნდა იყოს დაწერილი და ვათარილებთ მისი შემდგომი პერიოდით.

გვ.: 182,12. „თქვენს ოჯახობას შალიკოთურთ“ – იგულისხმება ადრესატის მეუღლე – მარიამ ჩიჯავაძე-კარბელაშვილისა და ვაჟი შალვა.

გვ.: 182,16. „პოლემ მომწერა“ – საუბარია ადრესატის ძმაზე – პოლიევქტოს კარბელაშვილზე.

გვ.: 182,20. „ვასილ ეწერება თუ პოლიევქტოს“ – 1897 წელს ქართლ-კახურ გალობაზე პირველად წიგნი გამოსცა ვასილ კარბელაშვილმა (მეორე ნაწილი გამოვიდა 1898 წელს), 1898 წელს კი პოლიევქტოსმა დაბეჭდა „ქართული საერო და სასულიერო კილოები“.

გვ.: 182,24-25. „მარიამ თეოფანეს ასულს“ – იგულისხმება ადრესატის მეუღლე – მარიამ ჩიჯავაძე-კარბელაშვილისა.

გვ.: 182,26-27. „მამა იოსებ ჩიჯავაძეს მეუღლითურთ“ – იგულისხმება ადრესატის ცოლისძმა იოსებ ჩიჯავაძე, მაგრამ მეუღლის ვინაობა ვერ დავადგინეთ.

### ალექსანდრე ყიფშიძისადმი №3 (28) გვ.: 183-185

**ავტოგრაფი:** L, №880-ბ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, საკმაოდ დალაქავებული, ორი ცალხაზიანი ფურცელი, ზომა: 21X13 სმ. ხელნაწერის ზედა ნაწილში მართკუთხედის ფორმის, მარცხენა მხრიდან ეტრატის მსგავსად კუთხეაკეცილი ნახატია ლურჯი მელნით, რომლის სივრცეშიც ასევე ლურჯი მელნით ბეჭდურად წერია: «ЛИШНЕЕ ГОВОРИТЬ, СЕБЕ ВРЕДИТЬ.» დაწერილია შავი მელნით. ხელნაწერი საკმაოდ დაზიანებულია: ფურცლების გადაბმის ზედა და ქვედა ნაწილები შელახული და შეხეულია.

**ხელმოწერა:** „შენი ღრმად პატივისმცემელი ძმა და მეგობარი თევდორე ჟორდანიას.“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „სასურველო ძმაო და მეგობარო ალექსანდრე!“

**ადრესატის მისამართი:** ავტორი ადრესატს ბოზოთის სკოლისათვის შემწეობის აღმოჩენას სთხოვს („გთხოვ მიიღოთ „პო-

პეჩიტლობა“ ბომბოთის სკოლისა“ / „თქვენი მფარველობა და მზრუნველობა იმაში უნდა გამოიხატოს, რომ საკმარის რვეულები, წიგნები და სხვა სამასწავლო ნივთები უშოვოთ სკოლას“), რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ პერიოდში ალექსანდრე ყიფშიძე „ნერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობაში“ იყო ჩართული და **თბილისში** მოღვაწეობდა.

**შენიშვნები:** 1. ხელნაწერშია «Имущевами»; 2. „99 გვერდი“ ჩამატებულია; 3. «Книга Гудягаров» ჩამატებულია; 4-6. ჩამატებულია; 7. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 8. ხელნაწერში სიტყვის მეორე-მესამე ასოებზე მელანია დაღვენთილი და მათი მხოლოდ ნაწილი ჩანს.

**დათარილება:** წინამდებარე უთარილო ბარათში ვკითხულობთ: „იმედი მაქვს თხოვნას არ გამიცუდებ და „მზრუნველობას“ ბომბოთის სკოლისას იკისრებთ და პასუხს მიბოძებთ“. თედო სახოკიასთვის 1898 წლის 30 ოქტომბერს გაგზავნილი წერილიდან კი ჩანს, რომ ამ დროისთვის ალექსანდრე ყიფშიძე უკვე ოფიციალურად იყო ამ სკოლის მზრუნველი („საშა ყიფშიძე... მზრუნველია ბომბოთის სკოლისა... ეს სკოლა მის სახელობაზეა გახსნილი“). შესაბამისად, უთარილო **ბარათი დაწერილი უნდა იყოს 1898 წლის 30 ოქტომბრამდე.**

გვ.: 184,2-3. „**მესამე ტომი თუ ვერ დავბეჭდე**“ – საუბარია თევდორე ჟორდანიას წიგნზე – „ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა“, რომლის მეორე ტომი 1897 წელს გამოიცა. მესამე ტომის გამოცემას ავტორი ვერ მოესწრო. იგი დაიბეჭდა 1967 წელს.

გვ.: 184,7. „**აკაკის („აკაკუნეს“)** და **მარის ცილობა**“ – იგულისხმება ნიკო მარსა და აკაკი წერეთელს შორის 1898 წელს გამართული პოლემიკა სომხეთისა და საქართველოს ისტორიის საკითხებზე.

გვ.: 184,22-23. „**ალექსანდრე ეპისკოპოსის ხელში**“ – საუბარია გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად 1898 წელს დანიშნულ ალექსანდრე (ალექსი დავითის ძე) ოქროპირიძეზე.



გვ.: 184,26. „პოპეჩიტლობა“ ბომბოთის სკოლისა“ – საუბარია მარტვილის რაიონის სოფელ ბომბოთის სკოლის მზრუნველობაზე.

გვ.: 184,27-28. «учителю діакону Силвестру Жорданія» – პირის შესახებ დამატებითი ინფორმაცია არ მოგვეპოვება.

### თედო სახოკიასადმი №6 (29) გვ.: 185-190

**ავტოგრაფი:** L, თედო სახოკიას არქივი, №11257-ბ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, გაჭუჭყიანებული ორი ფურცელი, ზომა: 18X11 სმ. შესრულებულია შავი მელნით. | გვერდის მარცხენა მხარეს ორნამენტებით გაფორმებული დიდი რუსული «Ж» ასოა გამოყვანილი წითელი ფერით. ხელნაწერი ფურცლების გადაბმის ადგილას ოდნავ შეხეულია.

**თარიღი და ადგილი:** „30 ღვინობისთვე 1898 წ.“

**ხელმოწერა:** „შენი თედო“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „სასურველო ძმაო თედოტ!“

**ადრესატის მისამართი:** 1898-1900 წლებში ადრესატი სოხუმში ცხოვრობდა, რაც წერილის შინაარსითაც იკვეთება. ავტორი მას სწერს: „გეშინოდეს, სოხუმიდან ეპისკოპოსმა ეტაფით არ გაგისტუმროს“. ამავე დროს, საანალიზო ბარათში ავტორი მოიკითხავს თბილისში მცხოვრებ და მოღვაწე პირებს: „ყიფშიძეები, კარბელიშვილები, ჭრელაანთი მომიკითხე, ყობია გოგებაშვილს უთხარ, რომელიც რომ Р–Слово დაგვპირდა ასი ცალი იმას სამასი სხვა დაადვას და გამომიგზავნოს.“ როგორც ჩანს, ამ პერიოდში ადრესატი თბილისში იყო და წერილიც აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ხელნაწერშია „ვერაფრათ“; 2. „კასპიდან ექვს ვერსტზე“ ჩამატებულია; 3. „წითელი მონასტერი“ ჩამატებუ-

ლია; 4. „პანანა ნიგნაკში“ ჩამატებულია; 5. „უნდა“ ჩამატებულია; 6. წმიდა; 7. „ეს“ ჩამატებულია; 8. ფრაზა, დანყებული სიტყვებით – „გვონებ ბროსეს“, დამთავრებული მონიშნული სიტყვით, ჩამატებულია; 9. ჯერ დაუნერია „მთხვოს“, მერე „ს“ წაუშლია; 10. „ბოლოს დროს“ ჩამატებულია; 11. ამის შემდეგ გადახაზულია „არიან“; 12. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 13. ჩამატებულია; 14. ჩამატებულია; 15. ამის შემდეგ გადახაზულია „საქმე“; 15. ფრჩხილებში მოთავსებული ტექსტი ჩამატებულია; 16. ბოლო წინადადება ჩამატებულია აბზაცებს შორის დარჩენილ თავისუფალ ადგილას; 17. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 18. ამის შემდეგ გადაშლილია „საერო“; 19. „ცნობის ფურცელში“ ჩამატებულია; 20. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 21. ხელნაწერშია „საზოგადოებასთან“; 22. ჯერ დაუნერია „მოსეს“, მერე „ს“ წაუშლია.

**პირველი პუბლიკაცია:** „საისტორიო მოამბე“, 31-32, საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველო, თბ., 1975, გვ.: 224-227.

გვ.: 185,17-18. **„ელენემ მიაბზო შენი ამბავი“** – საუბარია ადრესანტის მეუღლეზე – ელენე დავითის ასულ ტარსაიძეზე.

გვ.: 185,19. **„ბავშვებს აციებთ“** – საუბარია თევდორე ჟორდანიას შვილებზე.

გვ.: 185,1. **„პლატონ იოსელიანს რომ აუნერია“** – საუბარია ისტორიკოს პლატონ ეგნატეს ძე იოსელიანზე.

გვ.: 185,1-2. **„პანანა ნიგნაკში: «Сваты[н]я Мамеба»** – საუბარია პლატონ იოსელიანის მიერ 1870 წელს გამოცემულ პატარა ნიგნზე.

გვ.: 185,3. **„წა თათეს“** – საუბარია თორმეტთაგან ერთ-ერთ ასურელ მამაზე – თადეოზ სტეფანწმინდელზე, იგივე თათე მამებელზე, რომელიც VI საუკუნის შუა წლებში მოღვაწეობდა.

გვ.: 185,5. **„ქარუმიძეს დაუტოვე“** – სავარაუდოდ, საუბარია მხურვალეთში მცხოვრებ ილია ქარუმიძეზე.

გვ.: 185,6. **„ბროსეს მოხსენებული აქვს“** – საუბარია

ფრანგ ორიენტალისტსა და ქართველოლოგზე – მარი ფელი-სიტე ბროსეზე.

გვ.: 185,6-7. **„ჩემს პირველს ქრონიკებშიც“** – საუბარია თევდორე ჟორდანის მიერ 1893 წელს გამოცემულ წიგნზე – „ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა“.

გვ.: 185,9-10. **„მდივანისთვის ადესაში რომ ტემების გაგზავნას მთხოვ“** – შესაძლოა, საუბარი იყოს იმხანად ოდესის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტ სვიმონ გურგენის ძე მდივანზე.

გვ.: 186,14-15. **„მოამბეს“... შენი ბოლოს დროს „სტატიები“** – 1898 წელს თედო სახოკიამ ჟურნალ „მოამბეში“ გამოაქვეყნა სტატია – „სამრევლო სკოლები გურია-სამეგრელოს ეპარქიაში“ და ვრცელი ნაშრომი – „გურია, აჭარა: მგზავრის წერილები“.

გვ.: 186,21. **„ჩვენის „ბულვარბაშებისა“** – ასე ხუმრობით მოიხსენიებს ქუჩის თავებს, ცრუ მეცნიერებს.

გვ.: 187,1-2. **„მეგრელთათვის ქართულ წირვა-ლოცვის შემოღება“** – საუბარია რუსეთის ხელისუფლების ხელშეწყობით წახალისებულ მცდელობაზე, რომ სამეგრელოს ტერიტორიაზე წირვა-ლოცვა მეგრულად წარმოებულიყო.

გვ.: 187,6. **„გრიგოლ გავისტუმრეთ“** – საუბარია გურია-სამეგრელოს ყოფილ ეპისკოპოს გრიგოლ დადიანზე, რომელიც 1898 წლის 20 მარტს გადააყენეს ამ თანამდებობიდან და გადაიყვანეს მოსკოვში სინოდალური კანტორის წევრად.

გვ.: 187,6-7. **„ალექსანდრემ ლამის ჩვენ გაგვისტუმროს“** – საუბარია გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად 1898 წელს დანიშნულ ალექსანდრე (ალექსი დავითის ძე) ოქროპირიძეზე.

გვ.: 187,9-10. **„კოჭლს სოფრომ მგალობლიშვილს“** – საუბარია ქართველ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეზე – სოფრომ ზაქარიას ძე მგალობლიშვილზე, რომელიც 1897 წლიდან მსახურობდა თბილისის სინოდალურ კანტორაში. იგი წერდა ფსევდონიმით „კოჭლი სოფრომა“.

გვ.: 187,18-19. **„რევიზორად მე და ხოფერია დაგვნიშნა“**

– სავარაუდოდ, საუბარია ალექსანდრე (სანდრო) ხოფერიაზე.

გვ.: 188,13. „სენაკში ძიმისტარიშვილს გაუგზავნონ“ – საუბარი უნდა იყოს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სენაკის განყოფილების კვაუთის ბიბლიოთეკის მზრუნველზე, მღვდელ ილია ძიმისტარიშვილზე.

გვ.: 188,15. „საშა ყიფშიძე ჰნახო“ – საუბარია ისტორიკოსსა და საზოგადო მოღვაწეზე – ალექსანდრე თევდორეს ძე ყიფშიძეზე.

გვ.: 188,15-16. „მზრუნველია ბობოთის სკოლისა“ – საუბარია მარტვილის რაიონის სოფელ ბობოთზე.

გვ.: 188,26. „კრება ქართულ ანდაზებისა“ – თედო სახოკიამ ეს წიგნი კი შეადგინა, მაგრამ გამოცემა ვერ მოასწრო. ის დაიბეჭდა 1967 წელს სათაურით: „ქართული ანდაზები“.

გვ.: 189,4. „ტასო ისევ ფოთშია“ – გაურკვეველია, რომელ ტასოზეა საუბარი.

გვ.: 189,6-7. „მოსიკო ჯანაშვილს „აღმოუჩენია“ – საუბარია ისტორიკოს მოსე გიორგის ძე ჯანაშვილზე.

გვ.: 189,9-10. „ექსარხოსს უბრძანებია მისი დაბეჭდვა“ – 1898 წლის 21 თებერვლიდან ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ეგზარქოსი იყო ფლავიან (ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე) გოროდეცი.

გვ.: 189,15-16. „მისი „საქართველოს ისტორიაზე“ – მოსე ჯანაშვილმა „საქართველოს ისტორია“ წიგნად გამოსცა 1894 წელს.

გვ.: 189,17-18. „გიგა ყიფშიძემ დაამტკიცა, ბარათაშვილიდამ სიტყვა-სიტყვით ეთარგმნა“ – საუბარია ქართველ პუბლიცისტსა და საზოგადო მოღვაწეზე – გრიგოლ ყიფშიძეზე, რომელმაც 1884 წელს ჟურნალ „ივერიაში“ გამოქვეყნებულ „შინაური მიმოხილვის მაგიერში“ დაასაბუთა, რომ მოსე ჯანაშვილის მიერ 1884 წელს გამოცემული „საქართველოს მოკლე ისტორიის“ დიდი ნაწილი გადმოღებული იყო სულხან ბარათაშვილის მიერ 1863 წელს „საქართველოს მოამბეში“ რამ-

დენიმე ნაწილად გამოქვეყნებული „საქართველოს ისტორიიდან“, რომელიც რუსულიდან ითარგმნა და 1865 წელს რუსულ ენაზე წიგნადაც გამოიცა.

გვ.: 189,18-19. **„მეორე ნაწილი – „გოლოვინის ისტორიიდან“** – საუბარია ალექსეი პეტრეს ძე გოლოვინის წიგნზე: «Историческое обозрение Грузии», რომელიც 1864 წელს გამოიცა.

გვ.: 189,25. **„ყიფშიძეები, კარბელიშვილები, ჭრელანთი მომიკითხე“** – სავარაუდოდ, საუბარი უნდა იყოს გრიგოლ და ალექსანდრე ყიფშიძეებზე, ვასილ და პოლიევქტოს კარბელიშვილებზე და სტეფანე თევდორეს ძე ჭრელაშვილის ოჯახზე.

გვ.: 189,26. **„ყოზია გოგებაშვილს უთხარ“** – საუბარია ცნობილ ქართველ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეზე – იაკობ გოგებაშვილზე.

გვ.: 190,4-5. **„ჯანაშვილის მიერ საეკლესიო მუზეუმის (რუსულ-ქართულად) აღწერილობას“** – საუბარი უნდა იყოს მოსე ჯანაშვილის მიერ 1898 წელს გამოცემულ წიგნზე: «Устав. История. Каталог книг. Реестр сигелей и гуджар / Тифлисское церк. древлехранилище».

გვ.: 190,10. **«Священнику Зосиму Жордания»** – საუბარი უნდა იყოს მარტვილის ეკლესიის მღვდელ ზოსიმე ჟორდანიასზე, რომელიც 1899 წელს არქიმანდრიტად აკურთხეს და გურიამი შემოქმედის ეკლესიის წინამძღვრად გადაიყვანეს.

### **ალექსანდრე ოქროპირიძისადმი №1 (30) გვ.: 190-194**

**ავტოგრაფი:** C, თევდორე ჟორდანიას პირადი არქივი, №494.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, დალაქავებული, ჭუჭყიანი, ორი წყვილი ცალხაზიანი ფურცელი, ზომა: 28X21,9 სმ. ხელნაწერზე არის პარაზიტული ლაქები. ყველა ფურცელი მოცვეთილი და დახეულია.

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** «Ваше Преосвященство!»

**ადრესატის მისამართი:** 1898 წელს ადრესატი გურია-სამეგრელოს ეპარქიის მღვდელმთავრად დაინიშნა, რაც ტექსტიდანაც დასტურდება. ავტორი მას სწერს: «Гурийско-Мингрельская епархія, в управленіе котораго Вы вступаете» ეპარქიის კათედრა **ფოთში** იყო განთავსებული და წერილიც, სავარაუდოდ, აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ჩამატებულია; 2. ფრჩხილებში მოთავსებული ტექსტი ჩამატებულია; 3. ამის შემდეგ გადახაზულია ორი სიტყვა; 4. ჩამატებულია; 5. ამის შემდეგ გადახაზულია ერთი სიტყვა; 6. ამის შემდეგ გადახაზულია სამი სიტყვა; 7. სიტყვა ჩამატებულია; 8. ამის შემდეგ გადახაზულია ერთი სიტყვა; 8. «вселенскаго учителя и» ჩამატებულია; 10. ამის შემდეგ გადახაზულია «положеній»; 11. «Фазскій или» ჩამატებულია; 12. ფრჩხილებში მოთავსებული სიტყვა ჩამატებულია; 13-14. სიტყვა ჩამატებულია; 15. ფრჩხილებში მოთავსებული სიტყვა ჩამატებულია; 16. ამის მომდევნო ტექსტი «Икона Богоматери, но»-ის ჩათვლით, ჩამატებულია მარცხენა არიდან; 17. ამის შემდეგ გადახაზულია ორი სიტყვა; 18. ამის შემდეგ გადახაზულია «с тех пор»; 19-22. ამის შემდეგ გადახაზულია ერთი სიტყვა; 23. ჩამატებულია ზემოდან, მის დაბლა გადაშლილია «Христіанство»; 24. «в живых» ჩამატებულია; 25-26. სიტყვა ჩამატებულია; 27-28. ამის შემდეგ გადახაზულია ორი სიტყვა; 29-31. ამის შემდეგ გადახაზულია ერთი სიტყვა; 32. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 33. «процветанія края» ხაზგასმულია ავტორის მიერ; 34. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 35. სიტყვა ჩამატებულია; 36. ამის შემდეგ გადახაზულია ორი სიტყვა; 37. ამის შემდეგ გადახაზულია ერთი სიტყვა; 38. «сіе время» ჩამატებულია; 39. სიტყვა ჩამატებულია.

**დათარილება:** წერილის მიხედვით ირკვევა, რომ მისი ადრესატი გურია-სამეგრელოს ეპარქიის წინამძღოლად დაინიშნა პირველი ეპისკოპოსის, გრიგოლ დადიანის, შემდეგ. ეს უკანასკნელი ეპარქიას მართავდა 1886-1898 წლებში, ხოლო მეო-

რე ეპისკოპოსი, ალექსანდრე ოქროპირიძე, აღსაყდრდა 1898 წელს. აღნიშნულის გათვალისწინებით, **ბარათი დაწერილი უნდა იყოს 1898 წელს.**

წერილის ადრესატია 1898-1903 წლებში გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი – ალექსანდრე ოქროპირიძე.

გვ.: 190,19. **«Самодержца нашего Государя Императора»** – ამ დროს რუსეთის იმპერატორი იყო ნიკოლოზ II.

გვ.: 190,20. **«Свв. Апостолами Петром и Андреем»** – იგულისხმება პეტრე მოციქული და მისი ძმა – ანდრია პირველწოდებული.

გვ.: 191,3. **«Понтійская церковь»** – საუბარია კონსტანტინოპოლის ეკლესიის ეპარქიაზე.

გვ.: 191,8-9. **«Гермоген еп. Мингрельс.[кїй]»** – გაურკვეველია, რომელ ეპისკოპოს გერმოგენზეა საუბარი.

გვ.: 191,9-10. **«Ап.[остолом] Симоном Кананитом»** – საუბარია იესო ქრისტეს ერთ-ერთ მოციქულზე.

გვ.: 191,11. **«св. Климента мученика»** – საუბარი უნდა იყოს კლიმენტი რომაელზე.

გვ.: 191,17-18. **«Свв. Іоанн Златоуст и Максим Исповедник»** – იოანე ღვთისმეტყველი და მაქსიმე აღმსარებელი ქრისტეს მქადაგებლები იყვნენ.

გვ.: 191,20. **«сорока Севастійских мучеников»** – საუბარია ქრისტიანობისთვის წამებულ 40 სებასტიელ აღმსარებელზე.

გვ.: 191,28-29. **«Фазскїй или Потїйскїй епископ Θεодор»** – საუბარია სამეგრელოს ეპისკოპოს თეოდორეზე, რომელიც მონაწილეობდა ნიკეის 787 წლის მსოფლიო საეკლესიო კრებაში.

გვ.: 191,29-30. **«Петронїйскїй (Цихидзирскїй) еп.[ископ] Іоанн»** – საუბარია გურიის ეპისკოპოს იოანეზე,

რომელიც მონაწილეობდა ნიკეის 787 წლის მსოფლიო საეკლესიო კრებაში.

გვ.: 192,20. «под мечом Магомета II<sup>го</sup>» – საუბარია ოსმალეთის იმპერიის სულთან მეჰმედ II ფათიჰზე.

გვ.: 193,23. «Преосвященнейший Григорій» – 1886 წლიდან 1898-მდე გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი იყო გრიგოლ (გიორგი) ელიზბარის ძე დადიანი.

### ვასილ კარბელაშვილისადმი №3 (31) გვ.: 198-199

**ავტოგრაფი:** C, ვასილ კარბელაშვილის არქივი, №562.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, დალაქავებული, საშუალო ფორმატის ორი ცალხაზიანი ფურცელი, ზომა: 20,7X12,9 სმ. დაწერილია შავი მელნით. ხელნაწერის I გვერდის ზედა მხარეს, სავარაუდოდ, არქივარიუსის ხელით, ფონდის ნომრის გარდა, მიწერილია: „Qd 6517“.

**თარიღი და ადგილი:** „25 აპრ. 99.“

**ხელმოწერა:** „შენი მარად ძმა თედო“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „სასურველო ძმაო და მამაო ვასილ!“

**ადრესატის მისამართი:** ამ პერიოდში ადრესატი თბილისში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა და წერილიც, შესაბამისად, აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ამის შემდეგ გადაშლილია „ამბები“; 2. ჯერ დაუწერია „ცოლშვილის“ და მერე ჩაუსწორებია; 3. ხელნაწერში აქ წერტილი არ წერია.

გვ.: 198,23. „მარიამ თეოფანესასულითათურთ“ – საუბარია ადრესატის მეუღლეზე – მარიამ თეოფანეს ასულ ჩიჯავაძე-კარბელაშვილისაზე.

გვ.: 198,24. „ეს მოსე კოდაშვილი“ – საუბარი უნდა იყოს თევდორე ჟორდანიას მამულის შემსყიდველზე, რომლის შესახებაც დამატებითი ინფორმაცია არ მოგვეპოვება.



გვ.: 199,6. „**ეზოვის და მარრის წიგნები**“ – საუბარი უნდა იყოს სომეხ ისტორიკოს გერასიმ არტემის ძე ეზიანის მიერ 1898 წელს გამოცემულ წიგნზე – «Сношения Петра Великого с Армянским Народом», რომელშიც მიკერძოებულადაა განხილული სომხეთისა და საქართველოს ისტორია, მაგრამ აღმოსავლეთმცოდნე ნიკო მარის რომელ წიგნებს გულისხმობს, ძნელი სათქმელია.

გვ.: 199,7-8. „**ახლა ექსარხოსს ველით**“ – 1899 წელს საქართველოს ეგზარქოსი იყო ფლავიანე (ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე) გოროდეცკი.

გვ.: 199,10-11. „**ეპისკოპოზი ალექსანდრე... ლეონიდის ჩაგონებით**“ – საუბარია ეპისკოპოს ალექსანდრე (ალექსი) დავითის ძე ოქროპირიძესა და ეპისკოპოს ლეონიდე (ლონგინოზ) სოლომონის ძე ოქროპირიძეზე.

გვ.: 199,14. „**მისცა მოსე ჯანაშვილს**“ – საუბარია ისტორიკოს მოსე გიორგის ძე ჯანაშვილზე.

გვ.: 199,22. „**ცოლი ავათ მყავდა**“ – საუბარია ადრესანტის მეუღლეზე – ელენე დავითის ასულ ტარსაიძეზე.

გვ.: 199,27-28. „**პოლიევქტო... დამიკოცნე**“ – იგულისხმება პოლიევქტოს კარბელაშვილი.

### **თედო სახოკიასაძე №7 (32) გვ. 200**

**ავტოგრაფი:** L, №11262-ბ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, პატარა ფორმატის სავიზიტო ბარათი, ზომა: 9,5X5,6 სმ. დაწერილია შავი მელნით. ბარათის სატიტულო გვერდზე რუსული ბეჭდური ასოებით წერია: «Теодор Давидович Жордания Наблюдатель церковных школ Гурійско-Мингрельской Епархіи.»

**ხელმოწერა:** „თედო“

**ადრესატისაღმი მიმართვის ფორმა:** „ძვირფასო თედო!“

**ადრესატის მისამართი:** 1898-1900 წლებში ადრესატი სოხუმში ცხოვრობდა, თუმცა წერილში მისი **თბილისში** მყოფობა ივარაუდება და წერილიც, სავარაუდოდ, აქ უნდა იყოს გაგზავნილი. ავტორი მას სწერს: „სად იყავ არ ვიცოდით. ალექსანდრე ნიკიტინიც გკითხულობდა. თფილისში ორჯერ ვიყავ.“

**შენიშვნები:** 1. ავტორი აბზაცით არ იწყებს წერილს.

**დათარილება:** წერილში ნახსენებია ავტორის მეუღლე ელენე ტარსაიძე-ჟორდანიასი, რომელიც გარდაიცვალა 1900 წლის ოქტომბერში. ტექსტში თევდორე ჟორდანიას ადრესატს ახალ წელს ულოცავს. სავარაუდოდ, იგი დაწერილი უნდა იყოს 1900 წლის იანვრის II ნახევრამდე.

გვ.: 200,2. „**ალექსანდრე ნიკიტინიც გკითხულობდა**“ – საუბარია პუბლიცისტსა და მთარგმნელზე, გაზეთ „ივერიის“ თანამშრომელ ალექსანდრე ნიკიტინზე.

გვ.: 200,5. „**ელენემ და ბავშვებმა**“ – საუბარია ადრესატის მეუღლეზე – ელენე დავითის ასულ ტარსაიძეზე და მათ შვილებზე: თამარზე, თევდორეზე, ერეკლეზე, გიორგიზე, კონსტანტინესა და იოსებზე.

გვ.: 200,6. „**გისურვებს მალე ცოლის შერთვა**“ – თედო სახოკიას ამ დროს ცოლი არ ჰყავდა. ის დაქორწინდა ნადე კეკელიაზე 1906 წელს.

### **კირიონ საძაგლიშვილისადმი №1 (33) გვ. 200**

**ავტოგრაფი:** C, კირიონ საძაგლიშვილის პირადი არქივი, №999.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, ალაგ-ალაგ დალაქავებული, პატარა ფორმატის სავიზიტო ბარათი, ზომა: 9,7X6 სმ. დაწერილია შავი მელნით. ხელნაწერის I გვერდის ზედა მარჯვენა კუთხეში, სავარაუდოდ, ადრესატის ხელით, შავი ფანქრით მიწერილია თარიღი: „1900/IV“. ბარათის სატიტულო გვერდზე რუსული ბეჭდური ასოებით წე-

რია: «Θεοδორ Давидович Жорданія Наблюдатель церковно-приходских школ Гурійско-Мингрельской Епархіи.»

**ხელმოწერა:** „თევდორე ჟორდანია.“

**ადრესატის მისამართი:** 1898-1901 წლებში კირიონი ალავერდის ეპისკოპოსის თანამდებობაზე მუშაობდა და წერილიც, სავარაუდოდ, კახეთში, **ალავერდის ეპარქიაში**, უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ავტორს ეს სიტყვები ტექსტთან შედარებით დიდი ასოებით უწერია.

**დათარილება:** ხელნაწერის I გვერდზე, სავარაუდოდ, ადრესატის ხელით მიწერილია თარიღი: „1900/IV“. შინაარსიდან ჩანს, რომ იგი აღდგომა დღეს არის დაწერილი, **1900 წელს კი აღდგომა ძველი სტილით 9 აპრილს იყო**. შესაბამისად, წერილსაც ასე ვათარილებთ.

გვ.: 200,17-18. „**მონყალეო მეუფეო**“ – წერილის ადრესატია ეპისკოპოსი კირიონ (გიორგი) იერონიმეს ძე საძაგლიშვილი.

## მოსე ჯანაშვილისადმი №2 (34) გვ. 201

**ავტოგრაფი:** L, №21808-ბ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოთეთრო ფერის, გახუნებული, დალაქავებული, ორფურცლიანი სამგლოვიარო ქაღალდი, ზომა: 21X13,2. ტექსტი დაწერილია ხელნაწერის I გვერდზე, რომელსაც ყველა მხრიდან შავი კანტი გასდევს, ხოლო ზედა მხარეს, შუაში, დახატულია შავი ფერის სასახლე, რომლის ზედა მარცხენა მხარეს დახრილად, წითელი ფანქრით მიწერილია: „თ. ჟორდანია“. შესრულებულია შავი მელნით.

**თარიღი და ადგილი:** „1 ნოემბერი 1900 წ. ქუთაისით.“

**ხელმოწერა:** „მწუხარე თევდორე ჟორდანია“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ძმაო მოსე გიორგის ძე!“

**ადრესატის მისამართი:** ამ პერიოდში ადრესატი **თბილისში** ცხოვრობდა და მოღვაწეობდა და წერილიც, სავარაუდოდ, აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

წერილის ადრესატია ისტორიკოსი მოსე გიორგის ძე ჯანაშვილი.

გვ.: 201,5. „ამ აუტანელს ჭირში“ – 1900 წელს თევდორე ჟორდანიას გარდაეცვალა მეუღლე – ელენე ტარსაიძე-ჟორდანიასი.

### **ვასილ კარბელაშვილისადმი №4 (35) გვ.: 201-202**

**ავტოგრაფი:** C, ვასილ კარბელაშვილის არქივი, №563.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** მოთეთრო ფერის, გახუნებული, დალაქავებული, ორფურცლიანი სამგლოვიარო ქალაღდი, ზომა: 20,9X13,2. ტექსტი დაწერილია ხელნაწერის I გვერდზე, რომელსაც ყველა მხრიდან შავი კანტი გასდევს, ხოლო ზედა მხარეს, შუაში, დახატულია შავი ფერის სასახლე. დაწერილია შავი მელნით. აქვე, ზედა მარცხენა მხარეს, სავარაუდოდ, არქივარიუსის ხელით, ფონდის ნომრის გარდა, მიწერილია: „Qd 6519“.

**თარიღი და ადგილი:** „3 ნოემბ 1900 წ. ქუთაისით.“

**ხელმოწერა:** „უიმედოდ მწუხარე ქვრივი თევდორე ჟორდანიას“  
**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „სანატრელო ძმაო და მამაო ბასილ და მარიამ თეოფანეს ასულო!“

**ადრესატის მისამართი:** ამ პერიოდში ადრესატი **თბილისში** ცხოვრობდა და მოღვაწეობდა და წერილიც, შესაბამისად, აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. „და დავეცი“ ჩამატებულია.

გვ.: 201,10-11. „სანატრელო ძმაო და მამაო ბასილ და მარიამ თეოფანეს ასულო“ – წერილის ადრესატები არიან ვასილ კარბელაშვილი და მისი მეუღლე – მარიამ ჩიჯავაძე-კარბელაშვილისა.

გვ.: 201,12. „დამექცა სახლი“ – გულისხმობს, რომ

გარდაეცვალა მეუღლე – ელენე დავითის ასული ტარსაიძე.

გვ.: 201,16-17. „მამის ხელში“ – გულისხმობს მეუღლის მამას – დავით ტარსაიძეს.

გვ.: 201,18-19. „როუბიციკის... გაუფზავნე“ – საუბარი უნდა იყოს თბილისში მცხოვრებ სტანისლავ ნერბერტის ძე როუბიციკიზე.

გვ.: 201,19. „ბლალორინი ტატიევი“ – ტატიშვილის სახელი ნახსენები არ არის და იდენტიფიცირება ვერ ხერხდება.

### კირიონ საძაგლიშვილისადმი №2 (36) გვ.: 202-203

**ავტოგრაფი:** C, კირიონ საძაგლიშვილის პირადი არქივი, №1000.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, ალაგ-ალაგ დალაქავებული, საშუალო ფორმატის ორი თხელი, ცალხაზიანი ფურცელი, ზომა: 21X13,1 სმ. დაწერილია შავი მელნით. | გვერდი ოდნავ შეხეულია.

**თარიღი და ადგილი:** „5 ივნისი 1901 წ. ქუთაისით.“

**ხელმოწერა:** „თქვენის მეუფების უმდაბლესი მონა და მოსამსახურე თევდორე ჟორდანი.“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „სასურველო მღვდელმთავარო კირიონ!“

**ადრესატის მისამართი:** წერილის შინაარსით ირკვევა, რომ ის გაგზავნილია **თბილისში**. ავტორი ადრესატს სწერს: „იმ საბუთებს მთლად მოგართმევთ როდესაც გეახლებით თფილისში ამ თვის დამლევს“.

**შენიშვნები:** 1. „და მოვისხენებ“ ჩამატებულია; 2. ხელნაწერშია „პატრიოტიულ“; 3. სიტყვა ხაზგასმულია. ამასთან, ხელნაწერშია „ნელენჯიხის“; 4. „თვალ“ ჩამატებულია; 5. ხელნაწერშია „დააიჭირონ“.

გვ.: 202,12. „სემინარიის არხივებიდამ ამოწერილი ცნობები“ – გაურკვეველია, რა ცნობების მიწოდება სთხოვა ადრესატმა.

გვ.: 203,5. „ნალენჯიხის საყდარი“ – საუბარი უნდა იყოს ფერისცვალების ტაძარზე, რომელიც ექვთიმე თაყაიშვილმა X-XI საუკუნეების ძეგლად მიიჩნია.

### კირიონ სადაგლიშვილისადმი №3 (37) გვ.: 203-205

**ავტოგრაფი:** C, კირიონ სადაგლიშვილის პირადი არქივი, №1001.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, ალაგ-ალაგ დალაქავებული, დიდი ფორმატის ორი თხელი, ცალხაზიანი ფურცელი, ზომა: 28,2X21,9 სმ. დაწერილია შავი მელნით. ხელნაწერი დაზიანებულია: გადაკეცვის ადგილას შეხეულია.

**თარიღი და ადგილი:** „ნ ფებერვალი 1902 წ.“

**ხელმოწერა:** „თქვენის მეუფების უმდაბლესი მოსამსახურე თევდორე ჟორდანიანა“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „თქვენო მეუფებავ, უსაყვარელესო მღვდელთმთავარო ჩვენო ნუგეშო კირიონ!“

**ადრესატის მისამართი:** 1902 წელს კირიონი გადაიყვანეს კამენეც-პოდოლსკის ეპარქიაში (უკრაინა). წერილის შინაარსით ირკვევა, რომ ის ჯერ კიდევ საქართველოში მოღვაწეობს. მისი ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ 1901 წელს ის გორის ეპისკოპოსისა და ქართლ-კახეთის ეპარქიის პირველი ქორეპისკოპოსის თანამდებობაზე დაინიშნა. რადგანაც ბარათში საუბარია მისი მხრიდან ავტორის შვილების ტკბილესით დასაჩუქრების თაობაზე („ბავშვებმა დიდი მადლობა მოგწერეს კამფეტებისათვის“), რაც მას შეიძლებოდა გაეკეთებინა ტერიტორიული სიახლოვის პირობებში, ავტორი კი შვილებთან ერთად გორის მუნიციპალიტეტში ცხოვრობდა, უფრო სავარაუდოა, რომ საანალიზო წერილი **გორის ეპარქიაში** იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. „დიდი ხელნაწერი“ ჩამატებულია; 2. ავტორს „ბე“ მარცვალი არ უწერია; 3. სიტყვა ჩამატებულია; 4. ხელ-

ნაწერში სიტყვა არასწორად წერია: იკითხება «действавий»; 5. ფრიადსა; 6. ხელნაწერშია „წინამძღომლობით“; 7. ხელნაწერშია „ძალიან“.

გვ.: 204,1. **„დაუშრომელს მწერალს ეფრემ მცირეს“** – საუბარია XI საუკუნის ცნობილ ქართველ მთარგმნელსა და საეკლესიო მოღვაწეზე.

გვ.: 204,9. **„სვიმონ ლოლოთეტის ცხოვრება“** – საუბარია X საუკუნის მწერალსა და სასულიერო მოღვაწეზე და მისი თხზულების – „მოსახსენებელი მცირე სვიმეონისათვის ლოლოთეტისა, თხრობაი მიზეზთა ამათ საკითხავთა თარგმანისათვის“ – ეფრემ მცირისეულ თარგმანზე.

გვ.: 204,10-11. **„იოანე პეტრინის... დიოლოგონის „კავშირზე“** – საუბარია XI-XII საუკუნეების ქართველ ფილოსოფოს იოანე პეტრინზე და VI საუკუნის რომის პაპის, გრიგოლ დიოლოლოსის, ნაშრომზე – „საუბრები ანუ დიალოგები იტალიელ მამათა ცხოვრებასა და სასწაულზე“. ასევე შეიძლება, რომ „კავშირში“ იგულისხმებოდეს პროკლე დიადოხოსის „კავშირნი ღვთისმეტყველებითნი“.

გვ.: 204,12. **„ალექსანდრე ახლა ფულს არ იძლევა“** – სავარაუდოდ, უნდა იგულისხმებოდეს 1898-1903 წლებში გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ალექსანდრე ოქროპირიძე.

გვ.: 204,13-14. **„იოანე ორბელიანმა დაკარგულად აღიარა და სომხურიდამ გადათარგმნა“** – საუბარია ქართლის სახელთუხუცეს იოანე დავითის ძე ორბელიანზე, რომელიც ძალიან დიდ ყურადღებას აქცევდა ძველი ხელნაწერების თარგმნასა და გავრცელებას.

გვ.: 205,4. **„პოლიევქტომ სულ დამივინყა“** – სავარაუდოდ, საუბარია პოლიევქტოს კარბელაშვილზე.

გვ.: 205,6-7. **„ბავშვი ავად მყავს მეოთხე (სოსო)“** – საუბარია ადრესანტის ვაჟ იოსებ ჟორდანიანზე.

გვ.: 205,8-9. **„გიგოსგან დანერილი არ მოიწონა ფელიკომ“** – საუბარია ადრესანტის ვაჟებზე – გიორგისა და თევდორეზე.

გვ.: 205,12-13. „ცნობის ფურცელში“ გალაშქრებას წინააღმდეგ სახალხო ჩვეულებათა“ – სავარაუდოდ, გულისხმობს დიმიტრი ნადირაძის მიერ 2 თებერვალს გამოქვეყნებულ წერილს – „კახეთ-ქიზიყის დამლუპველი ზნე-ჩვეულება“.

### კირიონ საძაგლიშვილისადმი №4 (38) გვ.: 205-207

**ავტოგრაფი:** C, კირიონ საძაგლიშვილის პირადი არქივი, №1002.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, ალაგ-ალაგ დალაქავებული, საშუალო ფორმატის ორი თხელი, ცალხაზიანი ფურცელი, ზომა: 21X13,2 სმ. დაწერილია შავი მელნით.

**თარიღი და ადგილი:** „9 თებერვალი 1902 წ ქუთაისით.“

**ხელმოწერა:** „თქვენის მეუფების უკანასკნელი მონა თევდორე ყორდანია.“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „თქვენო მეუფებაგ ბრწყინვალეო მღვდელმთავარო კირიონ!“

**ადრესატის მისამართი:** 1902 წელს კირიონი გადაიყვანეს კამენეც-პოდოლსკის ეპარქიაში (უკრაინა). წერილის შინაარსით ირკვევა, რომ ის ჯერ კიდევ საქართველოში მოღვაწეობს. მისი ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ 1901 წელს ის გორის ეპისკოპოსისა და ქართლ-კახეთის ეპარქიის პირველი ქორეპისკოპოსის თანამდებობაზე დაინიშნა. რადგანაც ბარათში საუბარია მისი მხრიდან ავტორისთვის ოცი თუმნის ჩუქებისა („უმწვერვალეს მადლობას მოგახსენებთ ოცი თუმნით შემწეობისათვის“) და ადრესატისთვის ამავე რაოდენობის თანხის მიცემის („ამ დღეებში ვიშოვნი ოცს თუმანს, რომელიც თქვენ მომთხოვეთ და მოგართმევთ“) თაობაზე, რაც მათ შეიძლებოდა გაეკეთებინათ ტერიტორიული სიახლოვის პირობებში, ავტორი კი შვილებთან ერთად გორის მუნიციპალიტეტში ცხოვრობდა, უფრო სავარაუდოა, რომ საანალიზო წერილი გორის ეპარქიაში იყოს გაგზავნილი.



**შენიშვნები:** 1. სიტყვა ჩამატებულია.

გვ.: 206,15. „**ცოლისაგან ობლად დავრჩი**“ – გულის-სმობს, რომ გარდაეცვალა მეუღლე – ელენე დავითის ასული ტარსაიძე.

გვ.: 207,3. „**სიმამრი ბერშუეთს წავიდა**“ – გულისსმობს მეუღლის მამას – დავით ტარსაიძეს.

გვ.: 207,9. „**პოლელა საქირო**“ – სავარაუდოდ, გულის-სმობს პოლიექტოს კარბელაშვილს.

### **კირიონ საძაგლიშვილისადმი №5 (39) გვ.: 207-208**

**ავტოგრაფი:** C, კირიონ საძაგლიშვილის პირადი არქივი, №1003.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, ალაგ-ალაგ დალაქავებული, დიდი ფორმატის ერთი თხელი, ცალხაზიანი ფურცელი, ზომა: 28,1X21,8 სმ. დაწერილია შავი მელნით. ხელნაწერი დაზიანებული და რესტავრირებულია.

**თარიღი და ადგილი:** „1902 წ. 16 ოქდომბრ ქუთიასით.“

**ხელმოწერა:** „თქვენის მეუფების უკანასკნელი მონა თევდორე ჟორდანია.“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „თქვენო მეუფებაჲ უმონ-ყალესო მღვდელთ-მთავარო გულისა და გონებისაგან განუ-შორებელო კირიონ!“

**ადრესატის მისამართი:** წერილის შინაარსით ირკვევა, რომ ადრესატი უკვე გამგზავრებულია საქართველოდან: „თქვენი წასლვა ისე მოხდა, რომ ვერავინ გავიგეთ, თორემ პატივის-ცემით გაგაცილებდენ ბევრნი აქაურებნი, რომელნიც თქვენნი მოსავნი არიან“. მისი ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ 1902 წელს ის გადაიყვანეს **კამენეც-პოდოლსკის ეპარქიაში (უკრაინა)**. 1904 წლის 11 თებერვლის წერილში ავტორი კირიონს ეუბნება, რომ ორჯერ გაუგზავნა წერილი ბალტაში: „ორჯერ გაახელით წერილი, მაგრამ მოგივიდათ თუარა არ ვიცი, რადგან Балта-ში გავგზავნე“. კირიონის საქართველოდან გამ-

გზავრების პერიოდიდან აღნიშნულ თარიღამდე (1904 წლის 11 თებერვლამდე) თევდორე ჟორდანიას მართლაც 2 წერილი აქვს გაგზავნილი მისთვის: წინამდებარე და 1903 წლის 10 ივნისით დათარიღებული. შესაბამისად, ეს წერილი ავტორს **ბალტაში** უნდა ჰქონდეს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ხელნაწერშია „სიმამარი“; 2. ავტორს „დ“ გამორჩენილი აქვს.

გვ.: 207,20. **„ჩემი სიმამრი“** – გულისხმობს მეუღლის მამას – დავით ტარსაიძეს.

გვ.: 207,25-26. **„ეპისკოპოზ ალექსანდრესთან“** – იგულისხმება 1898-1903 წლებში გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ალექსანდრე ოქროპირიძე.

გვ.: 208,3. **„ექსარხმა ახლა ვოსტორგოვი გამოგზავნა“** – 1901-1905 წლებში საქართველოს ეგზარქოსი იყო ალექსეი ალექსეის ძე ოპოცკი. აქვე საუბარია არქიმანდრიტ ივან ივანეს ძე ვოსტორგოვზე, რომელიც 1900 წლიდან იყო სამრევლო სკოლების ზედამხედველი.

გვ.: 208,16. **„მუზეუმი მტარვალს ჩაუვარდა“** – საუბარია თბილისის საეკლესიო მუზეუმზე, რომელსაც თევდორე ჟორდანიას შემდეგ მოსე ჯანაშვილი ხელმძღვანელობდა.

### **კირიონ საძაგლიშვილისადმი №6 (40) გვ.: 209-212**

**ავტოგრაფი:** C, კირიონ საძაგლიშვილის პირადი არქივი, №1004.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, ალაგ-ალაგ დალაქავებული, საშუალო ფორმატის ოთხი (ორი წყვილი) თხელი, ცალხაზიანი ფურცელი, ზომა: 20,9X13 სმ. დანერილია მუქი შავი მელნით, რომლის ნაჟღენთებიც არის ხელნაწერზე.

**თარიღი და ადგილი:** „10 ივნისი 1903 წ. სოფელ ბანძიდან (სამეგრელო).“

**ხელმოწერა:** „თქვენის მეუფების ფერხთა მტვერი თევდორე ჟორდანია.“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „თქვენი მეუფებავ, უძვირფასესო მეუფეო უმონყალესო მლ[ვ]დელთ-მთავარო კირიონ!“

**ადრესატის მისამართი:** წერილის შინაარსით ირკვევა, რომ ადრესატი უკვე **ორიოლის ეპარქიაშია** (დღევანდელი რუსეთის ფედერაცია) გადაყვანილი: „აღფრთოვანებულის გრძნობით მოგილოცავთ თქვენს წარმატებით ორიოლის სათვითმმართველო კათედრაზე დაბრძანებას.“ აქვე ამასაც სწერს: „არ ვიცოდი სად მიმეწერა თქვენთვის მოლოცვის დეპეშა – ხერსონში თუ ორიოლში. ამიტომ მომიტევეთ“. 1904 წლის 11 თებერვლის წერილში ავტორი კირიონს ეუბნება, რომ ორჯერ გაუგზავნა წერილი ბალტაში: „ორჯერ გაახელით წერილი, მაგრამ მოგივიდათ თუარა არ ვიცი, რადგან Бапта-ში გავგზავნე“. კირიონის საქართველოდან გამგზავრების პერიოდისა და აღნიშნულ თარიღამდე (1904 წლის 11 თებერვლამდე) თევდორე ჟორდანიას მართლაც 2 წერილი აქვს გაგზავნილი მისთვის: წინამდებარე და 1902 წლის 16 ოქტომბრით დათარიღებული. შესაბამისად, ეს წერილი ავტორს **ბალტაში** უნდა ჰქონდეს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ავტორი ამ სიტყვას „ვ“-ს გარეშე არ ხმარობს. აქ გამორჩენილი აქვს და ჩვენ აღვადგინეთ; 2. ავტორს „მ“ არ უწერია; 3. ხელნაწერშია „ეპისკოპოსისითურთ“; 4. ხელნაწერშია „გაუგზავნი“; 5. ავტორს „ე“ გამორჩენილი აქვს; 6. ამის შემდეგ გადახაზულია „იმის“; 7. სიტყვა ჩამატებულია; 8. „სამეგრელო სკოლებიდან“ ჩამატებულია; 9. სიტყვა დაუმთავრებელია: მართო „რად“ წერია; 10. „შეგირდის და“ ჩამატებულია; 11. ხელნაწერშია „კეკელიის“; 12-14. მონიშნული სიტყვები ჩამატებულია; 15. ავტორს „ს“ გამორჩენილი აქვს.

გვ.: 209,9. **„ორიოლის სათვითმმართველო კათედრაზე“** – საუბარია ეპისკოპოს კირიონის გადაყვანაზე რუსეთის ორიოლის ეპარქიაში.

გვ.: 209,15-16. **„ხერსონში თუ ორიოლში“** – მანამდე ეპისკოპოსი კირიონი ხერსონის ეპარქიაში მსახურობდა.

გვ.: 209,20. **„ვოსტორგოვიცკი დააფიქრა“** – საუბარია არქიმანდრიტ ივან ივანეს ძე ვოსტორგოვზე, რომელიც 1900 წლიდან იყო სამრევლო სკოლების ზედამხედველი.

გვ.: 209,24. **„ალექსანდრე ეპისკოპოსის ნამოქმედარი“** – იგულისხმება 1898-1903 წლებში გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ალექსანდრე ოქროპირიძე.

გვ.: 209,25. **„ლევან ეპისკოპოსითურთ“** – საუბარი უნდა იყოს ეპისკოპოს ლეონიდე ოქროპირიძეზე, რადგან 1898-1918 წლებში ის იყო გორის, იმერეთისა და გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი.

გვ.: 210,2-3. **„რუსის მღვდელი პრონიცკი“** – სახელი უცნობია და პირის იდენტიფიცირება ვერ ხერხდება.

გვ.: 210,4. **„დიმიტრის წარუდგინა“** – საუბარი უნდა იყოს ეპისკოპოს დიმიტრი (დავით) ილიას ძე აბაშიძეზე, რომელიც 1903-1905 წლებში იყო გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი.

გვ.: 210,9. **„ობერპროკურორს გაუგზავნა“** – 1880-1905 წლებში რუსეთის სინოდის ობერპროკურორი იყო კონსტანტინ პეტრეს ძე პობედონოსცევი.

გვ.: 210,19-21. **„ჩემი შვილი ახლა გადავიდა მერვეში; ერთის წლის შემდეგ კურსი უნდა გაათავოს მეორემ“** – იგულისხმება ავტორის შვილები – თეოდორე და გიორგი.

გვ.: 210,24-25. **„საქმენი საგმირონი ჩაჩანიძისა“** – პირის სახელი ნახსენები არ არის და იდენტიფიცირება ვერ ხერხდება.

გვ.: 211,10. **„ნადეჟდა კეკელიას ორი ძმები“** – საუბარია დეკანოზ ანტონ კეკელიას შვილებზე: მიხეილსა და სამუელზე.

გვ.: 211,21. **„ბლალოჩინა ანტონ კეკელია“** – საუბარია დეკანოზ ანტონ კეკელიაზე.

გვ.: 212,3-4. **„ბობოხიძე ორატორია, ხოლო ჯოხთაბერიძე“** – შესაძლოა, საუბარი იყოს მღვდელ ივანე დავითის ძე ბობოხიძეზე, რომელიც 1919 წელს მუშაობდა ფოთის უმაღლეს-დანყებითი სასწავლებლის ისტორიის მასწავლებლად და

რომელიც 1937 წელს დახვრიტეს. ტროფიმე გიორგის ძე ჯოხთაბერიძე 1919 წლიდან სოხუმის ტაძრის წინამძღვრად მსახურობდა.

### **კირიონ საძაგლიშვილისადმი №7 (41) გვ.: 212-219**

**ავტოგრაფი:** C, კირიონ საძაგლიშვილის პირადი არქივი, №1005.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, ალაგ-ალაგ დალაქავებული, საშუალო ფორმატის ექვსი (სამი წყვილი) თხელი ფურცელი (12 გვერდი), ზომა: 20,9X13,2 სმ. დაწერილია მუქი შავი მელნით, რომლის ნაჟღენთებიც არის ხელნაწერზე. ხელნაწერის I გვერდის ზედა მარცხენა კუთხეში ადრესატის ხელით, შავი მელნით, დახრილად მინაწერია: „მივ. 18 190[4] წ.“ ბოლო ციფრი გაურკვეველად წერია, მაგრამ ბართი თარიღიანია და „4“ ჩვენ აღვადგინეთ.

**თარიღი და ადგილი:** „11 თებერვალი 1904 წ. ქუთაისით.“

**ხელმოწერა:** „თქვენის მეუფების უკანასკნელი მონა და მოსამსახურე, მტერთა და მოძულეთაგან დაძაბუნებული თევდორე ჟორდანი“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „თქვენო მეუფებავ, სასიქადულო მღვდელთ-მთავარო მოწყალეო ჩემო კირიონ!“

**ადრესატის მისამართი:** ამ პერიოდში ადრესატი ორიოლის ეპარქიაში (დღევანდელი რუსეთის ფედერაცია) მსახურობდა, თუმცა, როგორც წინამდებარე წერილიდან ირკვევა, ავტორი მას წერილებს უკრაინის ქალაქ ბალტაში უგზავნიდა: „ორჯერ გაახელით წერილი, მაგრამ მოგივიდათ თუარა არ ვიცი, რადგან Балта-ში გავგზავნე“. ეს ციტატა მეტყველებს იმაზეც, რომ წინამდებარე წერილის მისამართი ბალტა აღარ არის და ის, სავარაუდოდ, ქალაქ ორიოლში უნდა იყოს გავგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. „ჩემი პასუხი ერთიც არ დაბეჭდეს“ ხაზგასმულია; 2-3. მონიშნული სიტყვები ხაზგასმულია; 4-6. მონიშნული სიტყვები ჩამატებულია; 7. ფრაზა, დაწყებული სიტყვებით

– „მეორე ტიპის“, დამთავრებული მონიშნული სიტყვით – ხაზგასმულია; 8. ფრჩხილებში მოთავსებული სიტყვა ჩამატებულია; 9. ამის შემდეგ გადახაზულია „მაშინ“; 10. სიტყვა ჩამატებულია; 11. ამის შემდეგ გადახაზულია „პლა“; 12. სიტყვა ჩამატებულია; 13. „რათა არამკითხე მოამბე არ გამტყობონ მეთქი“ ჩამატებულია, მის დაბლა გადაშლილია: „როდესაც მე მკითხავენ მაშინ მე მივცემ პასუხს“; 14. ხელნაწერშია „მეამბე“; 15. „ზე“ მარცვალ ავტორს არ უწერია; 16. სიტყვა ჩამატებულია; 17-19. ავტორს კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული ასოები არ უწერია; 20. „ხორციტ და“ ჩამატებულია.

გვ.: 213,3-4. **„თქვენმა წერილმა გაზეთს „ივერიაში“ (11 თებერ.)“** – საუბარია წერილზე – „უცხო სიტყვების ხმარება ქართულს ენაში“.

გვ.: 213,15. **„Багრა-ში გავგზავნე“** – შესაძლოა, საუბარი იყოს უკრაინის ქალაქ ბალტაზე.

გვ.: 214,3-5. **„უპირატესი მგმობარი... ნიკოლაძე“** – სავარაუდოდ, საუბარია მწერალსა და საზოგადო მოღვაწეზე – ნიკო ნიკოლაძეზე.

გვ.: 214,21. **„ალექსანდრეს ეპისკოპოსობას“** – საუბარია ეპისკოპოს ალექსანდრე ოქროპირიძეზე.

გვ.: 215,9. **„ვოსტორგოვმა... გამოუგზავნა“** – საუბარია არქიმანდრიტ ივან ივანეს ძე ვოსტორგოვზე.

გვ.: 215,17. **„მისს მრჩეველებს – ჩაჩანიძეს და თოსაძეს“** – სახელები ნახსენები არ არის და პირთა იდენტიფიცირება ვერ ხერხდება.

გვ.: 216,23-24. **„ექსარხოის გვენჯია ფოთში“** – 1901-1905 წლებში საქართველოს ეგზარქოსი იყო ალექსეი ალექსეის ძე ოპოცკი.

გვ.: 216,24-25. **„ახალი თავმჯდომარე თალაკვაძე“** – სახელი ნახსენები არ არის და პირის იდენტიფიცირება ვერ ხერხდება.

გვ.: 217,15. **„მეორე მიქაბერიძემ“** – სახელი ნახსენები არ არის და პირის იდენტიფიცირება ვერ ხერხდება.

გვ.: 218,3. „ლეონიდთან გახლდი“ – საუბარია ეპისკოპოს ლეონიდე ოქროპირიძეზე.

გვ.: 218,7-8. „ყოფილა ბიძასავით“ – ეპისკოპოსი ლეონიდე ოქროპირიძე იყო ეპისკოპოს ალექსანდრე ოქროპირიძის ძმისშვილი.

გვ.: 218,21-22. „შესახებ ეფრემ მცირისა“ – საუბარია XI საუკუნის ცნობილ ქართველ მთარგმნელსა და საეკლესიო მოღვაწეზე.

გვ.: 218,26. „დავით დადიანის ბიბლიოტეკა“ – საუბარია სამეგრელოს მთავარ დავით ლევანის ძე დადიანის ბიბლიოთეკაზე.

გვ.: 219,4. „მოგიკითხავთ ჩემი სიმამრი“ – გულისხმობს მეუღლის მამას – დავით ტარსაიძეს.

გვ.: 219,5-9. „შვილები გეანბორებიან... უფროსი ხომ პირველად მიდის, მეორე – ბეჯითია და სვინიდისით აღსავსე, მესამე – ეშმაკი, მაგრამ ნიჭიერი, მეოთხე ტეტიაა განა ფრიად ნიჭიერი აუჩქარებელი, მეხუთე ქალია“ – საუბარია გიორგი, თევდორე, ერეკლე, იოსებ და თამარ ჟორდანიებზე.

გვ.: 219,22-23. „ყოზია-აკაკუნეს“ – ასე მოიხსენიებს მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს – იაკობ გოგებაშვილს.

გვ.: 219,23. „ორთავ კოჭლებს (ანტონ-სოფრომ)“ – სავარაუდოდ, საუბარია ანტონ ფურცელაძესა და სოფრომ მგალობლიშვილზე.

### **კირიონ საძაგლიშვილისადმი №8 (42) გვ.: 220-223**

**ავტოგრაფი:** C, კირიონ საძაგლიშვილის პირადი არქივი, №1006.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, ალაგ-ალაგ დალაქავებული, დიდი ფორმატის ორი თხელი ფურცელი, ზომა: 27X21,3 სმ. დაწერილია შავი მელნით. ხელნაწერი რესტავრირებულია.

**თარიღი და ადგილი:** „27 მარტს 1904 წ ქუთაისით.“

**ხელმოწერა:** „თქვენის მეუფების უკანასკნელი მონა თევდორე ჟორდანია.“ / „თედო“

**ადრესატის მისამართი:** ამ პერიოდში ადრესატი ორიოლის ეპარქიაში (დღევანდელი რუსეთის ფედერაცია) მსახურობდა, თუმცა, როგორც 1904 წლის 11 თებერვლის წერილიდან ირკვევა, ავტორი მას წერილებს უკრაინის ქალაქ ბალტაში უგზავნიდა: „ორჯერ გაახელით წერილი, მაგრამ მოგივიდათ თუარა არ ვიცი, რადგან Балта-ში გავგზავნე“. ეს ციტატა მეტყველებს იმაზეც, რომ 1904 წლის 11 თებერვლით დათარიღებული და წინამდებარე წერილის მისამართი ბალტა აღარ არის და ის, სავარაუდოდ, ქალაქ **ორიოლში** უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. კვადრატულ ფრჩხილებში ვათავსებთ ტექსტში ავტორის მიერ გამორჩენილ ასოებს; 2. ამის შემდეგ გადახაზულია „ნაცი“; 3. „კორეკტურათაგან შემდგარი“ ხაზგასმულია; 4. „მარტო საჩვენებლად ჰბეჭდავენ“ ხაზგასმულია; 5. ამის შემდეგ გადახაზულია დაუმთავრებელი სიტყვა; 6. სიტყვა ხაზგასმულია; 7. ფრაზა – „სამშობლოს წინ მე არც ერთი ცოდვა არა მაქვს, არცა ნახევარი და არცა ნატამალი!“ – ხაზგასმულია; 8. ფრაზა, დაწყებული სიტყვებით – „ყველანი მოლორებულნი“, დამთავრებული სიტყვებით – „სამშობლოს ენისა“ ხაზგასმულია; 9. „მარტო აქ ამ ფარგალში ვარ მე ძლიერი“ ხაზგასმულია; 10. „თვით საქმეს მიჰხედეთ“ ხაზგასმულია; 11. „ესრეთი სახე მოქმედებისა აღმოჩნდა უმეტესად ნაყოფიერად“ ხაზგასმულია; 12. სიტყვა ჩამატებულია, მის დაბლა გადაშლილია „აღადგენს“.

გვ.: 220,13-14. **„გამოსცა ალექსანდრე ეპისკოპოსმა“** – საუბარია ეპისკოპოს ალექსანდრე ოქროპირიძეზე.

გვ.: 220,25-26. **„ალექსანდრეს ჰკითხოთ. და ლეონიდს“** – საუბარია ეპისკოპოსებზე – ალექსანდრე და ლეონიდე ოქროპირიძეებზე.

გვ.: 222,31-32. **„ღამბაშიძე, გაფრინდაშვილი, გორგაძე, დათაშვილი“** – საუბარია ესტატე ღამბაშიძეზე და, სავარაუ-



დოდ, დეკანოზ იოაკიმ იოსების ძე გორგაძეზე, მაგრამ სხვა პირთა იდენტიფიცირება ვერ ხერხდება.

### **კირიონ საძაგლიშვილისადმი №9 (43) გვ.: 224-225**

**ავტოგრაფი:** C, კირიონ საძაგლიშვილის პირადი არქივი, №1007.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, ალაგ-ალაგ დალაქავებული, დიდი ფორმატის ორი თხელი ფურცელი, ზომა: 27X21,2 სმ. დაწერილია შავი მელნით. ხელნაწერი რესტავრირებულია.

**თარიღი და ადგილი:** „1904 წ. 4 სექტემბ ქუთაისიდან.“

**ხელმოწერა:** „თქვენის მეუფების უმდაბლესი მონა თევდორე ჟორდანი“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „თქვენო მეუფებავ, სანეტარო მღვდელთმთავარო კირიონ!“

**ადრესატის მისამართი:** წერილის შინაარსით ირკვევა, რომ ადრესატი საქართველოში ყოფილა ჩამოსული, მაგრამ ავტორს ავადმყოფობის გამო მისი ნახვა ვერ მოუხერხებია: „თქვენ რომ საქართველოში მობრძანებულ ხარ მე ავად ვინექ სოფელ ბერშოეთში და ჩემი სიმამრიც მძიმე ავთმყოფი გახლდათ, და ამიტომ თქვენის პირის ნახვას ვერ ველირსე“. ამ ფაქტის გამო გამოთქმული სინანული („ჩემისთანა უიღბლო კაცი ქვეყნად არ დაბადებულა ვგონებ“) მეტყველებს იმაზე, რომ წერილის დაწერის დროს კირიონი უკვე გამგზავრებული იყო საქართველოდან და ავტორს მისი ნახვის საშუალება აღარ ჰქონდა. ამ პერიოდში ადრესატი **ორიოლის ეპარქიაში** (დღევანდელი რუსეთის ფედერაცია) მსახურობდა და წერილიც, სავარაუდოდ, ამ ქალაქში უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ხელნაწერში „ლ“ არ წერია; 2. ჩამატებულია შავი ფანქრით, მის დაბლა გადაშლილია „ოდესის“; 3. ხელნაწერშია „ნატობზე“; 4. ხელნაწერში „ლე“ მარცვალი არ წერია.

გვ.: 224,8. „ჩემი სიმამრიც“ – საუბარია დავით ტარსაი-  
დიძეზე.

გვ.: 224,13. „გამოვიარე ალექსანდრესგან“ – საუბარია  
ეპისკოპოს ალექსანდრე ოქროპირიძეზე.

გვ.: 224,21-22. „იურევის უნივერსიტეტისა – კონსტან-  
ტინე ფოცხვერაშვილი“ – საუბარია ესტონეთის ამჟამინდელ  
ქალაქ ტარტუს უნივერსიტეტზე და ქართველ კომპოზიტორ-  
ზე, დირიჟორსა და ლოტბარზე – კონსტანტინე (კოტე) გიორ-  
გის ძე ფოცხვერაშვილზე.

### ნიკო ტარსაიძისადმი №1 (44) გვ. 225

ავტოგრაფი: L, №26385-33-ბ.

ავტოგრაფის აღწერილობა: გაყვითლებული, გახუნებული ერ-  
თი ფურცელი, ზომა: 21X13 სმ. ხელნაწერს ერთი მხრის ქვე-  
და კუთხე მცირეზე მოკვეცილი აქვს. შესრულებულია შავი  
მელნით. წერილის I გვერდზე განთავსებულია დავით ტარსაი-  
ძის წერილი ნიკო ტარსაიძისადმი:

„26<sup>ლ</sup> Декабря

ძვირფასო საყვარელო კოლა!

შენმა ტელეგრამამ უფრო მომიღო ბოლო, უიმისოთაც  
ვინე ქ ლოგინში და ახლა უფრო ავათ გავხდი, ნეტავ აქამდინ  
მომკვდარვიყავ და გიგოს უბედურება არ გამეგონა, ვაი ჩემს  
სიცოცხლეს, რომ ამ დღეს შევესწარ, – მაგას უნდა ეტირნა  
ჩემს სიკვდილზედ და ახლა მე უნდა ვიტურო მანამ ცოცხალი  
ვარ. –

შენი საუკუნ[ო]დ ბიძა დავით ტარსაიძე“

ამის ქვემოთ შავი ფანქრით მინერილია „დავით ტარსაიძე“, ხოლო მის დაბლა იწყება თევდორე ჟორდანას წერილი, რომელიც მეორე გვერდზე მთავრდება.

**თარიღი და ადგილი:** «25 дек. 1904 г. Кутаис.»

**ხელმოწერა:** «Убитый горем, зять Ваш Θεодор Жорданія.»

**ადრესატის მისამართი:** ოფთალმოლოგი გიორგი ტარსაიძე თბილისში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. მისი სამძიმრის წერილიც აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ბოლო ორი ასო შემოკლებით უწერია; 2. ამის დაბლა შავი ფანქრით მინერილია: „თედო ჟორდანია“.

წერილის ადრესატია თევდორე ჟორდანას ცოლის ბიძაშვილი, იურისტი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ტარსაიძე.

გვ.: 225,9. «Поражен известіем» – 1904 წლის 24 დეკემბერს გარდაიცვალა ადრესატის ძმა, ცნობილი ოფთალმოლოგი – გიორგი ალექსანდრეს ძე ტარსაიძე.

გვ.: 225,11. «старшаго моего сына» – თევდორე ჟორდანას უფროსი ვაჟი იყო გიორგი.

## გაზეთ „ცნობის ფურცლის“ რედაქციისადმი №1 (45) გვ. 226

**ავტოგრაფი:** L, №11261-ბ.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, დალაქავებული, ერთი ცალხაზიანი ფურცელი, ზომა: 22X15,5 სმ. შესრულებულია შავი მელნით. ხელნაწერი დაზიანებულია: კიდევები მოცვეთილი და ყველა კუთხიდან მოხეული აქვს, განსაკუთრებით ქვედა მარჯვენა კუთხე.

**ადრესატის მისამართი:** გაზეთი „ცნობის ფურცელი“ გამოდიოდა თბილისში და წერილიც აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. „წერილი რედაქციისადმი“ ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. ამის შემდეგ გადახაზულია „ნაჭურვი“; 3. ამის შემდეგ გადახაზულია „წერილით ვსთხოვე“; 4. ჩამატებულია; 5. ამის შემდეგ გადახაზულია „და ქვეყნის“; 6. „მეთქი“ ჩამა-

ტებულია; მის შემდეგ გადახაზულია „გარდა სვი უკანას“; 7. სიტყვა ჩამატებულია; 8. ამის შემდეგ გადახაზულია „და“.

**დათარილება:** რამდენადაც წერილში ნახსენებია ახალგამოქვეყნებული სტატია, რომელიც „ცნობის ფურცელში“ 1905 წლის 26 თებერვალს დაიბეჭდა, წერილი ამ თარიღის შემდეგ უნდა იყოს დაწერილი.

გვ.: 226,6. „პასუხად ბ. ი. ფანცხავას – საუბარია იაკობ ფანცხავას მიერ 1905 წლის 26 თებერვალს გაზეთ „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებულ წერილზე – „წერილი რედაქციის მიმართ“, რომელშიც საუბარი იყო თევდორე ჟორდანიასა და სამსონ ფირცხალავას კამათზე გურია-სამეგრელოს სამრევლო სკოლებთან დაკავშირებით.

გვ.: 226,13-14. „ივერიის“ რედაქტორს“ – ამ დროს „ივერიის“ რედაქტორი იყო ალექსანდრე სარაჯიშვილი.

### კირიონ საძაგლიშვილისადმი №10 (46) გვ.: 227-228

**ავტოგრაფი:** C, კირიონ საძაგლიშვილის პირადი არქივი, №1008.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, ალაგ-ალაგ დალაქავებული, დიდი ფორმატის ორი თხელი ფურცელი, ზომა: 27X21,2 სმ. დაწერილია შავი მელნით. ხელნაწერი რესტავრირებულია.

**თარიღი და ადგილი:** „12 სექტემბერი 1905 წ. ქუთაისით.“

**ხელმოწერა:** „თქვენი უმდაბლესი მონა და მოსამსახურე, თქვენის იმედით სულდგმული თევდორე ჟორდანიას“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „თქვენო მეუფეზაო საყვარელო და სასურველო მღვდელთმთავარო სანატრელო კირიონ!“

**ადრესატის მისამართი:** ამ პერიოდში ადრესატი ორიოლის ეპარქიაში (დღევანდელი რუსეთის ფედერაცია) მსახურობდა და წერილიც, სავარაუდოდ, ამ ქალაქში უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. სიტყვა ხაზგასმულია; 2. ხელნაწერშია „ნახევარიის“; 3. ამის შემდეგ გადახაზულია „დღედაღამე“; 4. ჯერ დაუნერია „ნიჭიერის ყმანვილ კაცის“, შემდეგ „კაცის“ გადაუკეთებია „კაცს“ ფორმად და „ნიჭიერის“ ფორმის შეცვლა გამორჩენია.

გვ.: 227,6-7. **„იერემიას ცრემლებიც არ მეყოფა“** – იგულისხმება ბიბლიური წინასწარმეტყველ იერემიას მიერ ძველი წელთაღრიცხვით VI საუკუნეში დანერილი ტექსტი „იერემიას გოდება“, რომლის მიზეზიც იყო ქალდეველთა მიერ იერუსალიმის დაპყრობა და მისი იძულებითი წასვლა ეგვიპტეში.

გვ.: 227,19. **„მომელის მე ოქროპირიძეებისაგან“** – იგულისხმება ეპისკოპოსები ალექსანდრე და ლეონიდე ოქროპირიძეები.

გვ.: 227,27-28. **„ესტატე ღამბაშიძე გულგახეთქით მოკვდა“** – საუბარია პედაგოგზე, რომელიც ქუთაისის სასულიერო სემინარიაში ბერძნულ ენას ასწავლიდა და სამსახურიდან გაათავისუფლეს.

გვ.: 227,28. **„ტიხომიროვის რევიზიის“** – სავარაუდოდ, საუბარია დიმიტრი ივანეს ძე ტიხომიროვზე.

გვ.: 227,29. **„დაურჩა უნუგემოდ შვიდი შვილი“** – მისი ორი ვაჟი – ლევან და დიმიტრი ღამბაშიძეები 1937 წელს დახვრიტეს კომუნისტებმა.

გვ.: 228,2-3. **„ამათი დედა შემომიჩნდა“** – ესტატეს მეუღლე იყო ნათელა მესხი-ღამბაშიძისა.

გვ.: 228,5. **„ლეონიდს არაგავსო“** – საუბარია ეპისკოპოს ლეონიდე ოქროპირიძეზე.

გვ.: 228,7-8. **„დღეს ჟენევაში სწავლობს (ალექსანდრე ესტატეს ძე ღამბაშიძე)“** – დამატებითი ცნობები პირის შესახებ არ მოგვეპოვება.

გვ.: 228,12. **„უხვსა მორჩილებს ყოველი“** – ციტატა არის „ვეფხისტყაოსნიდან“.

## გიორგი ჟორდანიასადმი №1 (47) გვ.: 228-232

**ავტოგრაფი:** A, გიორგი თევდორეს ძე ჟორდანიას პირადი არქივი, №1813, ანაწერი 1, საქმე №329 (ძველი №17, შეიცავს 45 ფურცელს), 1r-v, 2r-v.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, დალაქავებული, ორი მართკუთხედუჯრედიანი ფურცელი, ზომა: 28,5X23,5 სმ. ხელნაწერი დაზიანებულია: პირველი ფურცლის ბოლოს, შუა ნაწილში, და გვერდითა კიდეზე ჩახეულია. ფურცლები რესტავრირებულია. შესრულებულია შავი მელნით, რომლითაც დაჟანგულია ხელნაწერი. წერილის მარცხენა ველზე გაკეთებულია შენიშვნები და სიგრიძივი ხაზები ცისფერი ფანქრით. ამავე ფანქრითვე ხელნაწერის I გვერდის ზედა არშიაზე, მიმართვის ზემოთ, სავარაუდოდ, ადრესატის ხელითვე თარიღია მინერილი: «19 7/X 05». «05»-ის შემდეგ, სავარაუდოდ, რუსული ასო «П» წერია, რომელსაც გაკრული ხელით მოსდევს გაურკვეველი ასოები. სავარაუდოდ, ეს უნდა იყოს «Получено»-ის პირველი ასო.

**ხელმოწერა:** „შენი მამა“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ჩემო იმედო, ჩემო გოგრა!“

**ადრესატის მისამართი:** წერილის შინაარისადნ ირკვევა, რომ ადრესატი უკვე მოსკოვშია წასული და ბარათიც აქ უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. წერილის მარცხენა კიდეზე წინადადებასთან – „უფროსი უნდა იყოს და ღარიბიც არის“ – ცისფერი ფანქრით სიგრიძივი ხაზია ჩამოსმული; 2-3. მონიშნული სიტყვები ჩამატებულია; 4. წინადადებას – „გინდა იმას იზამ... შენდა სასარგებლოდ“ – ცისფერი ხაზი აქვს ჩამოსმული სიგრიძივად წერილის მარცხენა ველზე; 5. ავტორს „ქ“ გამორჩენილი აქვს; 6. „სრულიად თავისუფალი იქნები“ – ხაზგასმულია ავტორის მიერ; 7. სიტყვა ჩამატებულია; 8. სტრიქონებთან, სადაც წერია: „იქნები ჩემგანაც... და თავისთავსაც“ – ცისფერი ხაზია

ჩამოსმული სიგრძივად წერილის მარცხენა ველზე; 9. წინადადებასთან – „მანამდინ-კი გულშიც... იცოდე“ – ცისფერი ხაზია ჩამოსმული სიგრძივად წერილის მარცხენა ველზე; 10. ავტორს „ე“ გამორჩენილი აქვს; 11. ამის შემდეგ გადახაზულია „არას გზით“; 12. „იცვლები“ ხაზგასმულია ავტორის მიერ. იმავე სიტყვასთან გვერდით, მარცხენა ველზე, სამი სტრიქონის ფარგლებში, სიგრძივად ცისფერი ფანქრით ხაზია ჩამოსმული და გაკრული ხელით მიწერილია „იზრდები“; 13. წინადადებას – „გირჩევ „მტკიცე სიტყვას“ ნუ ვის მისცემ და ნურც ვისგანმე თხოულობ“ – ერთი ხაზი აქვს გასმული ავტორის მიერ, ხოლო სიტყვას „გირჩევ“ – ორი. ეს წინადადება წერილის მარცხენა ველზე მონიშნულია ცისფერი სიგრძივი ხაზით; 14. ხელნაწერშია „დაგხვდებააო“; 15. სტრიქონები, სადაც წერია – „შეუწირავთ ახალგამომცხვარ... წინას დაჰპირდე“ – წერილის მარცხენა ველზე მონიშნულია ცისფერი სიგრძივი ხაზით; 16. ხელნაწერშია „წინონ“. ლოგიკურად უნდა იყოს „წინოც“; 17. ამის შემდეგ ნაშლილია „გრძნობათა ღელვას ნუ“ („უ“ სანახევროდ წერია, არ დაუმთავრებია); 18. სიტყვა ჩამატებულია; 19. ამ სიტყვას ასეთი ფორმით ხმარობს; 20. ამის შემდეგ გადახაზულია სიტყვა „ცუდი“; 21. ასეა; 22. სტრიქონები, სადაც წერია: „გულში არა-კეთილშობლური... დაგიძახე შენ“ – მარცხენა ველზე ცისფერი ფანქრით არის მინიშნული; აქვე მინაწერია: «уничтожил»; 23. ასე ხმარობს ამ სიტყვას; 24. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 25. სტრიქონები, სადაც წერია – „შენ რომ „ეგოისტი“ ხარ... ჩაიხედე გულში“ – მარცხენა ველზე სიგრძივი ცისფერი ხაზით არის მონიშნული და გაკრული ხელით, ცისფერი ფანქრით მინაწერია: „არამც-და-არამც“; 26. სიტყვა ჩამატებულია; 27. წინადადება – „გახსოვდეს: ფიცი... ხვრელს“ – მარცხენა ველზე სიგრძივი ცისფერი ხაზით არის მონიშნული და გაკრული ხელით, ცისფერი ფანქრით მინაწერია: „არ გავამართლებ ჩემს თავს“; 28. ამის შემდეგ გადაშლილია „არც“; 29. სტრიქონები, სადაც წერია – „გამიწყრეს! თუ დასანდობია... გული აგიცრუ[ო]“ – მარცხენა ველზე სიგრძივი ცისფერი ხაზით არის

მონიშნული და გაკრული ხელით, ცისფერი ფანქრით მინანქრია: „არც მითხოვია“; ამასთან, სიტყვაში „აგიცრუო“, ბოლო ხმოვანი მთლიანად გადასულია და არ ჩანს; 30. ამ სიტყვაშიც ფრჩხილებში ჩასმული ასოები გადასულია; 31. სტრიქონები, სადაც წერია – „შესწირე მთლად... ნუ დაუმორჩილებ ოცნებას...“ – მარცხენა ველზე სიგრძივი ცისფერი ხაზით არის მონიშნული და გაკრული ხელით, ცისფერი ფანქრით მინანქრია: „თუ ჩამეთვლება ვნახავ, რომ მდიდარნი არა ყოფილან. არც მომგონებია“; 32. სტრიქონები, სადაც წერია – „შვილო, ახლა... შინ არ“ – მარცხენა ველზე სიგრძივი ცისფერი ხაზით არის მონიშნული და გაკრული ხელით, ცისფერი ფანქრით მინანქრია: „[მართალია?]“ რუსული სიტყვა არ იკითხება, რადგან წერილის რესტავრაციის დროს რამდენიმე ასო გადაწებებულია; 33. სტრიქონები, სადაც წერია – „დაიკარგა!! ერთი ბარათი... მოსწერდე ხოლმე დარიგებას“ – მარცხენა ველზე სიგრძივი ცისფერი ხაზით არის მონიშნული და გაკრული ხელით, ცისფერი ფანქრით მინანქრია: «Сделай»; 34. ეს აბზაცი მარცხენა ველზე სიგრძივი ცისფერი ხაზით არის მონიშნული და გაკრული ხელით, ცისფერი ფანქრით მინანქრია: „...[რა] ვცხოვრობ“. წინა სიტყვა გადაფარულია რესტავრაციის დროს გადანებებული ფურცლით; 35. ასეა; 36. ხელნაწერში იკითხება „გავაგზავნა“; 37. ამ სიტყვას ხშირად რუსული ორთოგრაფიით წარმოადგენს.

**დათარილება:** მართალია, წერილი უთარილოა, მაგრამ ადრესატის მიერ ხელნაწერის ი გვერდზე აღნიშნულია მისი მიღების დრო: „19 7/X 05“. იმის გათვალისწინებით, რომ მოსკოვში წერილობითი გზავნილების ჩასვლას მინიმუმ 6 დღე მაინც სჭირდებოდა, წინამდებარე **ბარათი დანერილი უნდა იყოს არა უგვიანეს 1905 წლის 1 ოქტომბრისა.**

გვ.: 228,21. „**წინოს ამბავმა დიდად დამალონა**“ – საუბარი უნდა იყოს შემდგომში ადრესატის მიუღწევე – წინო ქუმსიშვილზე.

გვ.: 230,11-12. „**მისი დედის სიტყვები**“ – საუბარია წინო ქუმსიშვილის დედაზე – თამარ გარაყანიძე-ქუმსიშვილისაზე.



გვ.: 231,19-20. „ჭიკჭიკოს პაპიროსის წევა დაუნყია“ – საუბარია ადრესანტის ვაჟზე – ერეკლეზე.

გვ.: 231,21-22. „შაქრიამ გაამჟღავნა“ – სავარაუდოდ, საუბარია შაქრო ზაუტაშვილზე.

გვ.: 231,26. „ბარათი მოსწერე პაპას“ – საუბარია ადრესანტის სიმამრზე – დავით ლუარსაბის ძე ტარსაიძეზე.

გვ.: 232,3-4. „დადიშქელიანი მომკვდარა“ – პირის სახელი მითითებული არ არის და ვინაობა ვერ დგინდება.

გვ.: 232,8. „პელას დედა გურული ქალი“ – სავარაუდოდ, საუბარია შაქრო ზაუტაშვილის დედაზე – პელაგიასა და ბეზიაზე.

გვ.: 232,9. „ელისაბედი სულ შენზე დარდობს“ – საუბარი უნდა იყოს თევდორე ჟორდანიას მეუღლის ბიძაშვილის, გიორგი ტარსაიძის, მეუღლეზე, იმხანად ქვრივ ელისაბედ ნიკოლოზის ასულ ერისთავ-ტარსაიძისაზე, რომელიც, როგორც ჩანს, ძალიან ეხმარებოდა წვრილშვილიან თევდორე ჟორდანიას შვილების გაზრდაში.

### კირიონ საძაგლიშვილისადმი №11 (48) გვ.: 232-235

**ავტოგრაფი:** C, კირიონ საძაგლიშვილის პირადი არქივი, №1009.

**ავტოგრაფის აღწერილობა:** გაყვითლებული, გახუნებული, ალაგ-ალაგ დალაქავებული, დიდი ფორმატის ორი თხელი, ცალხაზიანი ფურცელი, ზომა: 27,8X21,8 სმ. დაწერილია შავი მელნით. ხელნაწერი კიდეზე შეხეულია.

**თარიღი და ადგილი:** „12 ნოემბ. 1905 წ ქუთაისით.“

**ხელმოწერა:** „თქვენის მეუფების უმდაბლესი მონა და ამხანაგყოფილი თევდორე ჟორდანიას“

**ადრესატისადმი მიმართვის ფორმა:** „ჩვენო ნუგეშო და იმედო, ძვირფასო მღვდელთმთავარო მოწყალეო მამაო კირიონ!“

**ადრესატის მისამართი:** ამ პერიოდში ადრესატი **ორიოლის ეპარქიაში** (დღევანდელი რუსეთის ფედერაცია) მსახურობდა

და წერილიც, სავარაუდოდ, ამ ქალაქში უნდა იყოს გაგზავნილი.

**შენიშვნები:** 1. ამის შემდეგ ერთი სიტყვა წერია, რომელიც შეიძლება ნავიკითხვით, როგორც „შოხს“ / „შახს“ / „შიხს“. როგორც ჩანს, ასოები შეეშალა, დაავიწყდა მისი ნაშლა და სხვა სიტყვით გააგრძელა წერა; 2. ხელნაწერშია „მომომანდო“; 3. ამ სიტყვით იწყება მეორე გვერდი. წინა გვერდზე დაუწერია „გვა“, ადგილი არ ჰყოფნია და მეორე გვერდზე კი არ გაუგრძელებია სიტყვა, არამედ ხელახლა დაუწერია; 4. ავტორს „ს“ გამორჩენილი აქვს; 5. სიტყვა ჩამატებულია, მის დაბლა გადაშლილია „უფლება“; 6. ამის შემდეგ გადაშლილია „ჩემი“; 7. ხელნაწერში წერია ასე: „უმაღურ კთან?“; 8. სიტყვა ჩამატებულია; 9. „რუსეთის მწერლობაში“ ჩამატებულია; 10. სიტყვა ჩამატებულია; 11. „ჩანებებულ“ ჩამატებულია.

გვ.: 233,1. **„ოქროპირიძეების მეოხეთ“** – იგულისხმება ეპისკოპოსები – ალექსანდრე და ლეონიდე ოქროპირიძეები.

გვ.: 233,8. **„ლეონიდმა მომანდო“** – საუბარია ეპისკოპოს ლეონიდე ოქროპირიძეზე.

გვ.: 233,16-17. **„ავტოკეფალიაკი ჩემის ხარჯით დავბეჭდე“** – შესაძლოა, იგულისხმებოდეს 1905 წელს გამოცემული წიგნი – Ф. Жордания, «Краткия историческия сведения об автокефалии Грузинской Церкви».

გვ.: 233,23-24. **„გოგებაშვილისთვის... მიეწოდებინა“** – საუბარია ცნობილ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეზე – იაკობ გოგებაშვილზე.

გვ.: 234,11. **„ანტონ ვოლინცის ეპისკოპოსის პროექტები“** – სავარაუდოდ, საუბარი უნდა იყოს ანტონი ხრაპოვიცკიზე, რომელიც 1902 წლიდან იყო ვოლინისა და ჟიტომირის ეპარქიის ეპისკოპოსი.

გვ.: 234,16. **«Ефес. провово»** – შესაძლოა, საუბარი იყოს ეფესელთა მიმართ პავლე მოციქულის ეპისტოლეზე.

გვ.: 234,27-28. **„როცა საეკლესიო კრება იქნება რუსეთში“** – საუბარია სინოდის კრებაზე, რომელსაც ლეონიდე ოქ-

როპირიძე უნდა დასწრებოდა.

გვ.: 234,30. „თქვენც უეჭველად იქნებით იმ კრებაზე“ –  
ეპისკოპოსი კირიონ საძაგლიშვილი მართლაც ესწრებოდა სი-  
ნოდის ამ კრებას ლეონიდე ოქროპირიძესთან ერთად.

## ბირთა ანოტირებული საძიებელი

**აბაშელი ალექსანდრე ბესარიონის ძე (1884-1954)** – იგივე ალექსანდრე (ისაკ) ჩოჩია. პოეტი და მწერალი. წერილის ადრესატი.

**აბაშიძე დიმიტრი (დავით) ილიას ძე (1867-1943/44)** – საეკლესიო და საზოგადო მოღვაწე, არქივისკოპოსი, თბილისის სასულიერო სემინარიის პედაგოგი, ინსპექტორი, 1902 წლიდან ალავერდის ეპისკოპოსი, 1903 წლიდან – გურია-სამეგრელოსი, 1905 წლიდან – ბალტის, 1906 წლიდან – თურქმენეთისა და ტაშკენტის, 1912 წლიდან – თავრიზისა და სიმფეროპოლის არქივისკოპოსი. 210

**აბუსერისძე აბუსერ იოანეს ძე (XI ს.)** – არტანუჯის ერისთავი 1046-1047 წლებში, ანისის გამგებელი, ბაგრატ IV-ის ერთგული თანამებრძოლი. 101

**აბუსერისძე ბეშქენი** – ეს პიროვნება აბუსერისძეთა გენეალოგიაში არ ჩანს. 101

**აბუსერისძე გიორგი** – ეს პიროვნება აბუსერისძეთა გენეალოგიაში არ ჩანს. 101

**აბუსერისძე გრიგოლ აბუსერის ძე** – XI ს-ის საქართველოს პოლიტიკური მოღვაწე, არტანუჯისა და ხიხათ (აჭარის) ერისთავთ-ერისთავი. ბაგრატ IV-ის მოკავშირე ლიპარიტ ბაღვაშთან ბრძოლაში. 101

**აბუსერისძე ზაქარია** – პროზაიკოსის, ჰიმნოგრაფის, მწიგნობრისა და ასტრონომის, აბუსერისძე ტბელის (დაახლოებით 1190-1240), და ბაგულის შვილი. 101

**აგათანგელოსი** (V-VI სს.) – სომეხი ისტორიკოსი, ავტორი წიგნისა – „სომეხთა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევის ისტორია“. 108

**აგლაძე ალექსი** – პიროვნება დაუდგენელია. 134

**ავალოვი დ.** – თევდორე ჟორდანიას ნათესავი. 100

**აკიმოვი ნიკოლოზ ზაქარიას ძე** – სახელმწიფო სამინათმოქმედო ბანკის კავკასიის განყოფილების წევრი. 179, 180

**ალექსანდრე III (-1660)** – იმერეთის მეფე 1639-1660 წლებში. გიორგი III-ის უფროსი ვაჟი. ფეოდალური ანარქიის მოწინააღმდეგე. თავის სიმამრ თეიმურაზ I-თან ერთად იბრძოდა ირანის აგრესიის წინააღმდეგ. 1651 წელს ხელი მოაწერა მოსკოვის ხელმწიფის ერთგულების წიგნს. 163

**ანდრია მოციქული (პირველწოდებული)** – 190, 191, 194

**ანეტა** – სავარაუდოდ, თევდორე ჟორდანიას მეუღლის, ელენე დავითის ასულ ტარსაიძის, ნათესავი. 91

**ანტონი** – ანტონ მროველ ეპისკოპოსი, რუისის ეპისკოპოსი X ს-ის შემდეგ. 144

**ანტონ I (1720-1788)** – იგივე ბაგრატიონი თეიმურაზ იესეს ძე. მეცნიერი, მწერალი, აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი 1744 წლიდან, ევროპული ორიენტაციის მომხრე. დიდი ღვაწლი მიუძღვის ფიზიკის ქართული ტერმინოლოგიის დადგენაში, აგრეთვე თბილისისა (1755) და თელავის (1782) სე-

მინარიების დაარსებაში. 18, 19, 21, 22, 97, 133, 135

**არაბიძე ალექსანდრე დიმიტრის ძე (1878-1937)** – ხელოვნების მუშაკი, ჰუმანიტარი, გამომცემელი, თეატრალური მოღვაწე, ზესტაფონის პირველი კულტურულ-პოლიტიკური ფგუფის წევრი. 35, 83, 85, 86, 103  
წერილების ადრესატი.

**არეველცი ვარდანი (1198-1271)** – XIII ს-ის სომეხი ისტორიკოსი, გეოგრაფი, ფილოსოფოსი და მთარგმნელი, მრავალი სკოლისა და მონასტრის დამაარსებელი. 127

**არსენ I დიდი (820/830-877/887)** – საეკლესიო მოღვაწე და მწერალი, კათალიკოსი. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმინდანი. 22, 111

**არსენ საფარელი** – შუა საუკუნეების სასულიერო პირი, ქართლის კათალიკოსი, ავტორი ტრაქტატისა – „განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა“. 108, 122

**აღსართანი (XII ს)** – ახსითან I, შირვანშაჰი 1160-1197 წლებში. საქართველოს მეფის, გიორგი III-ის, დისშვილი. 142

**ბაგრატ III (960-1014)** – გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე 975-1014 წლებში, გურგენ მეფეთა მეფისა და გურანდუხტ დედოფლის შვილი, ტაოს მეფის, დავით III კურაპალატის, შვილობილი და აღზრდილი. 142

**ბაგრატ IV (1018/20-1072)** – საქართველოს მეფე 1027-1072 წლებში. იბრძოდა საქართველოს საბოლოოდ გასაერთიანებლად და უცხოელთა ბატონობისაგან მის დააცავად. 143, 185

**ბაგრატიონი (ბატონიშვილი) დავითი (1767-1819)** – მეცნიერი, მწერალი, გენერალ-მაიორი. 1803 წელს ქართლ-კახეთის სამეფო ოჯახის სხვა წევრებთან ერთად გადაასახლეს პეტერბურგში, სადაც ფართო ლიტერატურულ-სამეცნიერო მოღვაწეობას მიჰყო ხელი. წვლილი მიუძღვის ქართული სამართლის დარგის განვითარების საქმეში. 22

**ბაგრატიონი (ბატონიშვილი) ვახუშტი (1696-1757)** – გამოჩენილი გეოგრაფი, ისტორიკოსი და კარტოგრაფი. ავტორი სამეცნიერო თხზულებისა – „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. ქართლის მეფე ვახტანგ VI-ის უკანონო შვილი. 52, 53, 127, 173

**ბაგრატიონი სუმბატ დავითის ძე** – XI ს-ის პირველი ნახევრის ისტორიკოსი, ავტორი ისტორიული ქრონიკისა – „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა...“. 113, 126

**ბაგრატიონ-მუხრანელი კონსტანტინე იოანეს ძე (1779-1842)** – თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი, პოლკოვნიკი, სახლთუხუცესი. იოანე მუხრანბატონისა და ერეკლე II-ის ასულის, ქეთევანის, უფროსი ვაჟი. რუსული ორიენტაციის მომხრე. მისი გუბერნიის მარშლად არჩევის დროს ალექსანდრე ჭავჭავაძემ ღიად დააფიქსირა თავისი უარყოფითი პოზიცია მისი კანდიდატურის მიმართ. 169, 170

**ბათმანოვი (ბათმანაშვილი) შიო (ალიოზი)** – საზოგადო მოღვაწე. სტამბოლის ქართველ მამათა მონასტერში აღზრდილი და მისი წინამძღვარი. ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის პატრი. დახვრიტეს 1937 წელს კარელიაში. 77

**ბარათაშვილი სულხან გერმანოზის ძე (1821-1866)** – ისტორიკოსი. მის ნაშრომში „საქართველოს ისტორია“ ქვეყნის წარსული განხილულია მსოფლიო ისტორიის ფონზე. მან პირველმა დაყო საქართველოს ისტორია სამ პერიოდად: ძველი, შუა საუკუნეები და ახალი, რომლის ქრონოლოგიური ჩარჩოები შეესაბამება მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციის ყველაზე გავრცელებულ ვარიანტს. 189

**ბარტენევი პეტრე ივანეს ძე (1829-1912)** – რუსი ისტორიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, არქეოგრაფი და ბიბლიოფილი, ისტორიული ჟურნალის – „რუსული არქივის“ – დამფუძნებელი და გამომცემელი. წერილების ადრესატი.

**ბაქრაძე დიმიტრი (1826-1890)** – ისტორიკოსი, არქეოლოგი და ეთნოგრაფი, კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საზოგადოების დამფუძნებელი და თავმჯდომარე, საქართველოს ისტორიის დამხმარე მეცნიერული დარგის, პალეოგრაფიის, ფუძემდებელი, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. 14, 21, 31, 44, 64, 113, 126, 132, 133, 134, 135, 136, 137  
წერილის ადრესატი.

**ბაქრაძე ზაქარია** – ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძის მამა. მღვდელი. 132



**ბაქრაძე ოლა დიმიტრის ასული** – ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძისა და ანეტა მამაცაშვილ-ბაქრაძის ქალიშვილი. 137

**ბეჟანიშვილი** – სავარაუდოდ, წიგნების გამავრცელებელი და წიგნების მალაზიის მეპატრონე. 34

**ბობოხიძე ივანე დავითის ძე (-1937)** – საეკლესიო პირი, მღვდელი, ზუგდიდისა და ფოთის სასწავლებლების ისტორიის პედაგოგი, სკოლის გამგე. დახვრიტეს 1937 წელს. 212

**ბოგოიაველენსკი ვლადიმერი** (ერისკაცობაში ვასილი ნიკიფორეს ძე) (1848-1918) – რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმთავარი, საქართველოს ეგზარქოსი 1892-1898 წლებში. 1918 წელს მოკლეს კომუნისტებმა. 127, 157

**ბროსე მარი (ფელისიტე) (1802-1880)** – ფრანგი აღმოსავლეთმცოდნე და ქართველოლოგი, ევროპაში მეცნიერული ქართველოლოგიის ფუძემდებელი, 1838 წლიდან პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრი ქართულ-სომხური ფილოლოგიის განხრით. 1847-1848 წლებში იმოგზაურა საქართველოში და აქ შეკრებილი ეპიგრაფიკული, ნუმიზმატიკური, დოკუმენტური და სხვა მასალა პეტერბურგში სამ წიგნად გამოაქვეყნა. 113, 142, 145, 156, 163, 186 წერილის ადრესატი

**გამრეკელი ალექსანდრე** – ჭიათურის მრეწველთა ასოციაციის თავმჯდომარე. 36, 37

**გარაყანიძე-ქუმსიშვილისა თამარ იასონის ასული (1869-1955)**  
– თევდორე ჟორდანიას მძახალი, მისი უფროსი  
ვაჟის, გიორგის, სიდედრი. 230, 231

**გაფრინდაშვილი** – ქუთაისის სასულიერო სემინარიის პედაგო-  
გი. 222

**გაჩეჩილაძე მიხეილ სპირიდონის ძე (1877-1958)** – გამომცემე-  
ლი, მესტამბე, ბუკინისტი. 30, 47  
ნერილების ადრესატი.

**გეგიძე** – პიროვნება დაუდგენელია. 32

**გერმოგენი** – სამეგრელოს ეპისკოპოსი. 191

**გვარამაძე ივანე პავლეს ძე (1831-1912)** – კათოლიკე სასული-  
ერო პირი, ისტორიკოსი, პუბლიცისტი, ეთნოგრა-  
ფი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე, სამცხე-ჯა-  
ვახეთის ქართველთა პატრიოტული მოძრაობის  
ერთ-ერთი ლიდერი. 20, 21

**გვეტაძე რაჟდენ მათეს ძე (1897-1952)** – მწერალი, მთარგმნე-  
ლი და საზოგადო მოღვაწე. იყო გაზეთ „კომუნის-  
ტის“ ლამის რედაქტორი, ჟურნალ „დროშის“ რე-  
დაქტორი, მწერალთა კავშირის გამომცემლობის –  
„საბჭოთა მწერალი“ – დირექტორის მოადგილე,  
დირექტორი.  
ნერილის ადრესატი.

**გიგო** – პიროვნება დაუდგენელია. 37

**გიგო** – პიროვნება დაუდგენელია.  
ნერილის ადრესატი.

**გიორგი II** – აფხაზთა მეფე 922-957 წლებში. კონსტანტინე III-ის ძე, გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის, ბაგრატ III-ის, პაპა. 142

**გიორგი მთანმინდელი (1009-1065)** – სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, მწერალი, მთარგმნელი, ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვარი, საზღვარგარეთ ქართველთა სამეცნიერო-ლიტერატურული მოღვაწეობის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანი. 14

**გიორგი მროველი** – რუისის ტაძრის განმაახლებელი და ეპისკოპოსი XI ს-ში. 144

**გოგებაშვილი იაკობ სიმონის ძე (1840-1912)** – პუბლიცისტი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და მისი აქტიური წევრი, „დედა ენისა“ და „ბუნების კარის“ ავტორი. 174, 176, 189, 190, 219, 233, 234

**გოგიჩაიშვილი ფილიპე გაბრიელის ძე (1872-1950)** – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი და პროფესორი, ლაიფციგის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პუბლიცისტი, გაზეთ „ივერიის“ რედაქტორი 1905-1906 წლებში, მინისტრი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობაში. 84

**გოკიელი ალექსანდრე** – შოვში მცხოვრები. 67

**გოლოვინი ალექსეი პეტრეს ძე** – ავტორი ნიგნისა – «Историческое обозрение Грузии», რომელიც 1864 წელს გამოიცა. 189

**გორგაძე იოაკიმ იოსების ძე (1870-1936)** – სასულიერო პირი. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ნამდვილი წევრი. ქუთაისის სასულიერო სემინარიის პედაგოგი. 222

**გორდაძე მიხეილი (1860-1919)** (ფსევდონიმი – მიხეილ აბულაძე) – თელაველი მუშა-მგოსანი. გამოცემული აქვს 2 კრებული: „სამშობლო ანუ ლექსთა კრება“ (1881) და „ლექსნი“ (1893). 34

**გოროდეცი ფლავიან (ნიკოლოზ) ნიკოლოზის ძე (1840-1915)** – რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ეპისკოპოსი, კიევის მიტროპოლიტი, საეკლესიო მწერალი. დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. სხვადასხვა დროს მსახურობდა სხვადასხვა ეკლესიაში. 1898 წლის 21 თებერვლიდან იყო ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ეგზარქოსი. 189, 199

**გრანელი ტერენტი (1897-1934)** – ნამდვილი გვარი კვირკველია. პოეტი. მუშაობდა რკინიგზაზე, გაზეთების რედაქციებში. სწავლობდა შალვა ნუცუბიძის მიერ თბილისის უნივერსიტეტთან დაარსებულ „ნუცუბიძის კურსებზე“. გამოცემულია მისი ლექსების კრებულები: „სამგლოვიარო ხაზები“, „სულიდან საფლავები“, „Memento mori“, „ტერენტი გრანელი“ და სხვ. 79

**გრიგორიჩი** – პიროვნება დაუდგენელია. 56

**გულისაშვილი ალექსი (1861-1951)** – საზოგადო მოღვაწე, არქეოლოგი, პუბლიცისტი, სასულიერო პირი. წერილის ადრესატი.

**გუნია ვალერიან ლევანის ძე (1862-1938)** – დრამატურგი, კრიტიკოსი, რეჟისორი, მსახიობი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი. 1896-1899 წლებში გაზეთ „ცნობის ფურცლის“ რედაქტორ-გამომცემელი. 168

**გურალია** – სტუდენტი. 72

**გურიელი მამია I (-1534)** – გურიის მთავარი 1512-1534 წლებში, გიორგი I გურიელის ძე. მისი და იმერეთის მეფე ბაგრატ III-ის აქტიურობით 1520 წელს ქართლისა და კახეთის სამეფოებს შორის ზავი გაფორმდა, რითაც საქართველო სამ თანასწორუფლებიან სამეფოდ გაიყო. 63

**დადიანი გრიგოლი (1824-1907)** – ერისკაცობაში გიორგი ელიზბარის ძე დადიანი. 1849 წელს ბერად აღიკვეცა. 1862 წელს ილუმენის ნოდება მიენიჭა. სხვადასხვა დროს მსახურობდა სხვადასხვა ტაძარში. 1886-1898 წლებში იყო გურია-სამეგრელოს ეპარქიის პირველი ეპისკოპოსი. 1898 წელს მოსკოვში გაიწვიეს სინოდის კანტორის წევრად. 187, 193

**დადიანი დავით ლევანის ძე (1813-1853)** – სამეგრელოს მთავრის, ლევან V-ის, ძე, სამეგრელოს მთავარი 1846-1853 წლებში, გენერალ-მაიორი. მიღებული ჰქონდა ევროპული განათლება. 112, 218

**დადიანი ლიპარიტ I** – საქართველოს სამეფოს ერისთავთ-ერისთავი და ოდიშის ერისთავი 1414-1470 წლებში, მანდატურთუხუცესი. 63

**დადიანი ლიპარიტ II** – ერისთავთ-ერისთავი და ოდიშის ერისთავი 1482-1512 წლებში. 63

**დადიანი ლიპარიტ III** – ოდიშის მთავარი 1657-1658 წლებში, ლევან II დადიანის ძმის, იესეს, ვაჟი. ლევან II-ის გარდაცვალების შემდეგ გახდა ოდიშის მთავარი. იმერთა მეფე ალექსანდრე III-მ ის გადააყენა და მთავრად დასვა ვამეყ III დადიანი. ლიპარიტმა ვერ შეძლო ტახტის დაბრუნება და ოსმალეთში გადაიხვეწა. 163

**დადიანი მამია III** – ერისთავთ-ერისთავი და ოდიშის ერისთავი 1512-1533 წლებში. 63

**დადიანი მარიამ მანუჩარის ასული (1599/1609-1684)** – ქართლის მეფის როსტომ ბაგრატიონის (ხოსრო მირზას) მეუღლე, სამეგრელოს მთავარ ლევან II-ის და. მისი თაოსნობით 1633-1646 წლებში გადაწერილ იქნა „ქართლის ცხოვრების“ კრებული (მარიამისეული „ქართლის ცხოვრება“). 113

**დადიანი ნიკო დავითის ძე (1847-1903)** – სამეგრელოს მთავარ დავით დადიანისა და ეკატერინე ჭავჭავაძის შვილი, სამეგრელოს უკანასკნელი მთავარი, გენერალ-მაიორი, რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის მონაწილე. მისი კანდიდატურა განიხილებოდა ბულგარეთის მთავრად. თავისი ბიბლიოთეკა უანდერძა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“. 164

**დადიანი ნიკოლოზ გიორგის ძე (1780-1834)** – ისტორიკოსი, მწერალი, მსაჯული, დიპლომატი, გენერალ-მაიორი. თანამედროვეთა და შთამომავალთაგან „დიდნიკოდ“ წოდებული. 160

**დადიშქელიანი** – პიროვნება დაუდგენელია. 232

**დავით აღმაშენებელი (1073-1125)** – საქართველოს ლეგენდარული მეფე 1089-1125 წლებში. გიორგი II-ის ძე. 112, 142, 147

**დავითაშვილი დავით ალექსის ძე** – სასულიერო პირი, საკათალიკოსო საბჭოს მდივანი, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ნამდვილი წევრი. 168

**დავითაშვილი** – სასულიერო პირის, დავით ალექსის ძე დავითაშვილის, ძმა. 168

**დათაშვილი** – ქუთაისის სასულიერო სემინარიის პედაგოგი. 222

**დემეტრე I (1093-1156)** – საქართველოს მეფე 1125-1156 წლებში, დავით აღმაშენებლის უფროსი ვაჟი და მემკვიდრე. 112

**დვალი ევგენი (1876/1880-)** – ზეინკალი, რევოლუციონერი, აგიტატორ-პროპაგანდისტი, მუშა-პოეტი. 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ სახლ-კარი გადაუნვეს, დააპატიმრეს, შემდეგ გადაასახლეს ციმბირში, საიდანაც გაიქცა და 4-წლიანი კატორღა მიესაჯა. 1917 წლის რევოლუციის შემდეგ შექ-

მნა შოთა რუსთაველის სახელობის პარტია საკუთარი დროშით. საკუთარი სიით მონაწილეობდა საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში. წერილის ადრესატი.

**დიასამიძე** – პიროვნება დაუდგენელია. 32

**დიასამიძე ნიკოლოზ დავითის ძე (1845-1897)** – თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წევრი. მის სახლში იმართებოდა ლიტერატურული ღონისძიებები, ე.წ. „ორშაბათები“. 27, 29, 65

**დიგაევი** – პიროვნება დაუდგენელია. 83

**დიოლოლოსი გრიგოლი (VI ს-ის II ნახევარი)** – წმინდა გრიგოლი. რომის პაპი, „დიდად“ წოდებული. 204

**დიუბუა დე მონპერე მარი-ფრედერიკ (1798-1850)** – შვეიცარიელი მოგზაური, სიძველეთა მკვლევარი და გეოლოგი, ნევშატელის აკადემიის პროფესორი, საქართველოს გეოლოგიის პირველი მკვლევარი. 1831-1834 წლებში იმოგზაურა შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე, ყირიმსა და ამიერკავკასიაში, რომლის შედეგები გამოაქვეყნა 1839-1845 წლებში ექსტომიან ნაშრომში. 142

**დრასხანაკერტცი იოანეს** – IX-X საუკუნეების სომეხი ისტორიკოსი, 897-929 წლებში სომხეთის კათალიკოსი. ავტორი შრომებისა – „სომეხი მამამთავრების რიგი“ და „სომხეთის ისტორია“. 127



**დუმბაძე იაკობი** (იაკობ სამებელი / იაკობ შემოქმედელი) (- 1713) – საეკლესიო მოღვაწე, პოეტი, შემოქმედის მიტროპოლიტი 1647-1658 წლებში. 22

**ეგერსი ფონ იაკობ** (1704-1773) – შვედი გენერალი და სამხედრო მწერალი. 127

**ევაგრე** – VI საუკუნის II ნახევრის საეკლესიო მოღვაწე, შიომღვიმის მონასტრის წინამძღვარი. ერისკაცობაში – ციხედიდის მთავარი, ქართლის სპასპეტი. 146

**ევსევი** – პიროვნება დაუდგენელია. 39

**ეზიანი გერასიმე არტემის ძე** (1835-1905) – სომეხი ისტორიკოსი. 199

**ელიევი** – პიროვნება დაუდგენელია. 166

**ეპიტაშვილი დ.** – პიროვნება დაუდგენელია. 133, 134

**ერისთავი დომინიკა ზურაბის ასული** (1864-1929) – მწერალი, პოეტი, ჟურნალისტი, პირველი ქართველი კორექტორი ქალი, ქართველ ქალთა საზოგადოების ერთ-ერთი პირველი დამაარსებელი. წერილის ადრესატი.

**ერისთავი რაფიელ დავითის ძე** (1824-1901) – მწერალი, ეთნოგრაფი, ლექსიკოგრაფი, საზოგადო მოღვაწე. მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“, ქართული მუზეუმისა და პროფესიული თეატრის დაარსების საქმეში. იყო „ვეფხისტყაოსანის“ ტექსტის დამდგენი კომისიის შექმნის ერთ-ერთი ინი-

ციატორი და წევრი. პირველმა მან გამოსცა სულხან-საბა ორბელიანის ქართული ლექსიკონი. 20

**ერისთავი-ტარსაიძისა ელისაბედ ნიკოლოზის ასული (1874-1926)** – თევდორე ჟორდანიას მეუღლის, ელენე ტარსაიძის, ბიძაშვილის, გიორგი ტარსაიძის, მეუღლე. ელენეს გარდაცვალების შემდეგ თევდორეს შვილების გაზრდაში ეხმარებოდა. 232

**ეფრემ მცირე (XI საუკუნე)** – გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწე, მწერალი, მთარგმნელი, ფილოლოგი, ფილოსოფოსი. 112, 113, 204, 218

**ვამეყ III დადიანი** – ოდიშის მთავარი 1658-1660/1662 წლებში. გიორგი ლიპარტიანის ძე. იმერეთის მეფის, ალექსანდრე III-ის, დახმარებით ხელში ჩაიგდო ოდიშის სამთავრო ტახტი და დადიანის ტიტული. 163

**ვანო** – ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის თანამდებობის პირი.  
წერილის ადრესატი.

**ვაჩაძე ერმოლოზი** – პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი. რაჭველი ხელოსნის შვილი. მფარველობდა ზაქარია ჭიჭინაძე. 53, 54, 66

**ვახტანგ გორგასალი (442-502)** – ქართლის ლეგენდარული მეფე ვახტანგ I, მირდატის (მითრიდატე VII-ის) ძე. ქვეყნის კონსოლიდაციისა და დამოუკიდებლობის აღდგენისათვის მებრძოლი. ქართულ ეკლესიას მოუპოვა ავტოკეფალია. შერაცხულია წმინდანად. 143, 179

**ვახტანგი** – პიროვნება დაუდგენელია. 49, 50

**ვახტანგ VI (1675-1737)** – ქართლის გამგებელი (ჯანიშინი) 1703-1714 წლებში, ქართლის მეფე 1716-1724 წლებში. გიორგი XI-ის ძმის, ლევანის, შვილი, სულხან-საბა ორბელიანის აღზრდილი. მისი მეფობა გამოირჩეოდა ქვეყნის კულტურული აღორძინებით. 44, 113, 126

**ვეიდენბაუმი ევგენი (1845-1918)** – არქეოლოგი, ისტორიკოსი, კავკასიოლოგი, საზოგადო მოღვაწე, ლიტერატურის ისტორიის მკვლევარი, რედაქტორი. 1881 წელს დავით ბაქრაძესთან ერთად დააარსა კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოება, იყო მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილების ერთ-ერთი დამფუძნებელი. 157

**ვერა ვესევის ასული** – პიროვნება დაუდგენელია. 39

**ვოსტორგოვი ივანე ივანეს ძე (1864-1918)** – არქიმანდრიტი, საეკლესიო მწერალი, მისიონერი, 1900 წლიდან სამრევლო სკოლების ზედამხედველი. გამოირჩეოდა ანტიქართული და რეაქციული შეხედულებებით. 208, 209, 210, 211, 215, 216

**ვუჩინო ანატოლი იაგორის ძე** – ცნობილი აგრონომი, ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი. 37

**ზარიძე მიხეილ ანდრიას ძე** – გამომცემელი. 47

**ზარიძე ნ. ანდრიას ძე** – გამომცემელ მიხეილ ზარიძის ძმა. 47

**ზაუტაშვილი პელაგია** – თევდორე ჟორდანიას ოჯახის ახლობელი გლეხი, შაქრო ზაუტაშვილის დედა. 232

**ზაუტაშვილი შაქრო** – თევდორე ჟორდანიას ოჯახის ახლობელი გლეხი. 231, 232

**ზდნოვიჩი გიორგი ფელიქსის ძე (1855-1917)** (ფსევდონიმი – მაიაშვილი) – კრიტიკოსი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი, ეკონომისტი და საზოგადო მოღვაწე. წერილების ადრესატი.

**ზედგინიძე** – პიროვნება დაუდგენელია. 91

**ზუბოვი პლატონ პავლეს ძე (1796-1857)** – რუსი სამხედრო ისტორიკოსი, მწერალი, ბელეტრისტი, პოეტი, გამომცემელი, ოფიცერი. მონაწილეობდა სხვადასხვა ომში რუსეთის მონაწილეობით. 164

**თაბორი** – საქართველოს კათალიკოსი ადარნასე ერისმთავრის დროს, დაახლოებით VII ს-ის დასაწყისში. 156

**თადეოზ სტეფანწმინდელი** – თათე მამებელი, VI ს-ის შუა წლებში მოღვაწე ერთ-ერთი ათცამეტ ასურელ მამათაგანი, სტეფანწმინდის მონასტრის დამაარსებელი. 186

**თალაკვაძე** – პიროვნება დაუდგენელია. 216

**თამარაშვილი მიხეილ პეტრეს ძე (1858-1911)** – ერისკაცობაში ალექსანდრე პეტრეს ძე თამარაშვილი. მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, რომის კათოლიკური ეკლესიის აბატი, თეოლოგიის დოქტორი. 39, 49

**თამარი** (-1161 წლის შემდეგ) – დავით აღმაშენებლის ასული, შირვანშაჰ მანუჩარ III-ის ცოლყოფილი. დაქვრივების შემდეგ დაბრუნდა საქართველოში და ააშენა თიღვის ტაძარი, იქვე აღიკვეცა მონაზვნად თომას სახელით 1152 წელს. 142

**თამარი** – საქართველოს ლეგენდარული მეფე 1178/79-1207/-1210 წლებში. გიორგი III-ის ასული. 34, 147

**თაყაიშვილი ექვთიმე სიმონის ძე** (1862-1953) – გამოჩენილი ისტორიკოსი, არქეოლოგი და საზოგადო მოღვაწე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, ქართული ეროვნული განძის მოჭირნახულე უცხოეთში, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული. 112, 113, 114, 116, 125, 126, 127, 145

წერილების ადრესატი.

**თბილელი ნიკოლოზი** (1672-1732) – მწერალი, სახელმწიფო და სასულიერო მოღვაწე. ეწეოდა მრავალმხრივ კულტურულ-ლიტერატურულ და სამეცნიერო საქმიანობას. დაწერილი აქვს საგალობლები, იამბიკოები და სხვა. წვლილი მიუძღვის ძველი ქართული ხელნაწერების აღდგენა-გამრავლების საქმეში. აქტიურად იყო ჩართული საგამომცემლო საქმიანობაშიც. 22

**თეთრაძე** – პიროვნება დაუდგენელია. 64

**თეოდორე** – ფაზისის (ფოთის) ეპისკოპოსი VI ს-ში. კონსტანტინოპოლის მეხუთე საეკლესიო კრების მონაწილე. 191, 192

**თოხაძე** – პიროვნება დაუდგენელია. 215, 216

**თუმანიშვილი გიორგი მიხეილის ძე (1854-1920)** – პუბლიცისტი, გამომცემელი, საზოგადო მოღვაწე. გაზეთ «Новое Обозрение»-ს მესაკუთრე და რედაქტორი. 1878-1879 წლებში გამოსცემდა ქართულ „ალმანახს“. დააარსა საგამომცემლო ამხანაგობა, რომელიც აქვეყნებდა ქართველ პოეტთა თხზულებებს. წერილის ადრესატი.

**თურმანიძე ხოსრო** – XVI-XVII საუკუნეების პოეტი, „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების – „როსტომიანის“ ერთ-ერთი მთარგმნელი. სვიმონ მეფის დავალებით სპარსულიდან თარგმნა „ბარზუნამეს“ შემცველი ტექსტი. გალექსა მისი 972 სტროფი. 15

**იასონი** – პიროვნება დაუდგენელია. 49, 50

**იერემია (ძვ.წ. VI ს.)** – ბიბლიური წინასწარმეტყველი. 227

**ილინსკი ევსევი (ერისკაცობაში ალექსი) ალექსის ძე (1809-1879)** – მთავარეპისკოპოსი, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმთავარი. საქართველოს ეგზარქოსი 1858-1877 წლებში. 155

**ილურიძე მიხეილ ივანეს ძე** – „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წევრი 1886-1888 წლებში. 89

**იმამყულიხანი (-1722)** – დავით II, კახეთის მეფე 1703-1722 წლებში, ერეკლე I-ის ძე. 179

**იმედოვი (იმედაშვილი) ზაქარია** – საზოგადო მოღვაწის, იოსებ იმედაშვილის, მამა. 35

**იმედოვი (იმედაშვილი) იოსებ ზაქარიას ძე (1876-1952)** – კრიტიკოსი, მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წევრი. 33, 35, 73

**იმედოვი (იმედაშვილი)** – იოსებ ზაქარიას ძე იმედოვის (იმედაშვილის) ძმა. 33, 35

**იოანე** – პეტრას (ციხისძირის) ეპისკოპოსი V ს-ში. 191, 192

**იოანე ნათლისმცემელი** –185

**იოანე ოქროპირი (დაახლ. 349-407)** – დიდი ბიზანტიელი ქრისტიანული მოღვაწე, „ეკლესიის მამათაგანი“, მწერალი, ორატორი. კონსტანტინოპოლის პატრიარქი 398 წლიდან. 191

**იოსელიანი გ.** – პიროვნება დაუდგენელია. 133, 134

**იოსელიანი ეგნატე ონისიმეს ძე (1843-1926)** – სოფლის მეურნეობის მუშაკი, ხალხოსან-რევოლუციონერი. წერილების ადრესატი.

**იოსელიანი პლატონ ეგნატეს ძე (1809-1875)** – ისტორიკოსი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე. თბილისის სემინარიის პედაგოგი, გაზეთ „ზაკავკაზსკი ვესტნიკის“ რედაქტორი. მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის ძეგ-

ლების შესწავლისა და გამოცემის საქმეში. 136, 186

**ისარლოვი (ისარლიშვილი) რაფიელ პეტრეს ძე (1843-1918)** – საზოგადო მოღვაწე. თბილისის გიმნაზიის კურსდამთავრებული და ევროპული უმაღლესი განათლების მქონე. 1900 წელს პარიზის მსოფლიო გამოფენის ქართული განყოფილების ხელმძღვანელი. პარიზში ქართულ ენაზე გამოსცა ალექსანდრე ხანაშვილის „საქართველოს ისტორია“. 37

**კარბელოვი (კარბელაშვილი) ელიზბარ ვასილის ძე (-1937)** – საეკლესიო და საზოგადო მოღვაწის, ვასილ კარბელაშვილის, შვილი. რეპრესირებული. 166

**კარბელოვი (კარბელაშვილი) ვასილ გრიგოლის ძე (1853-1936)** – ეპისკოპოსი სტეფანე, ბოდბისა და ალავერდის ეპისკოპოსი, მეცენატი, საზოგადო მოღვაწე, მომღერალი, საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების წევრ-კორესპონდენტი. 171, 182, 189 წერილების ადრესატი.

**კარბელოვი (კარბელაშვილი) თამარ ვასილის ასული** – თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის მასწავლებელი, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი“, საეკლესიო და საზოგადო მოღვაწის, ვასილ კარბელაშვილის, ქალიშვილი. 166

**კარბელოვი (კარბელაშვილი) ნინო ვასილის ასული (1896-)** – საეკლესიო და საზოგადო მოღვაწის, ვასილ კარბელაშვილის, ქალიშვილი. 167



**კარბელოვი (კარბელაშვილი) პოლიევქტოს გრიგოლის ძე (1855-1936)** – ისტორიკოსი, მუსიკოსი, მწერალი, სასულიერო პირი. 166, 182, 189, 199, 205, 207

**კარბელოვი (კარბელაშვილი) შალვა ვასილის ძე (1892-1937)** – ინჟინერ-მექანიკოსი, საეკლესიო და საზოგადო მოღვაწის, ვასილ კარბელაშვილის, შვილი, რეპრესირებული. 166, 182

**კარიჭაშვილი დავით გიორგის ძე (1862-1927)** – მწერალი, რუსთველოლოგი, ისტორიკოსი, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მდივანი, 177 წერილების ადრესატი.

**კაუცკი კარლ იოჰან (1854-1938)** – მარქსიზმის თეორეტიკოსი, ფილოსოფოსი, ჟურნალისტი, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და მეორე სოციალისტური ინტერნაციონალის ლიდერი. 1920 წლის სექტემბერ-დეკემბერში იმყოფებოდა საქართველოში, მხარს უჭერდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას ქვეყნის შიგნით და ემიგრაციაში ყოფნის დროს. 73

**კახაბერისძე კირილე (ერისკაცობაში კახაბერ) რაჭის ძე** – რაჭის ერისთავთ-ერისთავი 1021-1031 წლებში. 144

**კახაბერისძე რატი ბაღვაშის ძე (-1021)** – პოლიტიკური მოღვაწე, რაჭის პირველი ერისთავი 989-1021 წლებში, ბაღვაშთა მეორე შტოს წარმომადგენელი, კახაბერისძეთა – რაჭის საერისთავო საგვარეულოს – დამაარსებელი. 144

**კახაბერისძე რატი კახაბერის ძე** – რაჭის ერისთავთ-ერისთავი  
1031-1088 წლებში. 144

**კეკელია ანტონ იოანეს ძე (1855-1920)** – სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, ბლალორჩინი, პატრიარქების – ამბროსი ხელაიასა და კირიონ საძაგლიშვილის – მეგობარი. გაიზარდა მღვდლის ოჯახში. გამოირჩეოდა ქველმოქმედებით. ეწეოდა ფართო კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას სენაკის მაზრაში. მის საბლალორჩინოში დაარსდა 15-ზე მეტი სამრევლო სკოლა. 1896 წელს მისი ინიციატივით სოფ. ბანძაში გაიხსნა მაღალი საფეხურის ორკლასიანი სკოლა, რომელსაც თვითონ განაგებდა სიკვდილამდე და სადაც ასწავლიდა საღმრთო რწმუნებს, ფრანგულსა და მათემატიკას. მისი ინიციატივით, ბანძაშივე გაიხსნა საქალებო სკოლა, ბანკი, ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება, საავადმყოფო, დაარსდა სასამართლო. მჭიდრო მეგობრობა და თანამშრომლობა აკავშირებდა ბანძელ ებრაელებთან. დაკრძალულია სოფელ ბანძაში. 211, 212

**კეკელია მიხეილ (მიხა) ანტონის ძე (1882-1961)** – საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, მათემატიკოსი, საეკლესიო და საზოგადო მოღვაწის, დეკანოზ ანტონ კეკელიას, ვაჟი, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წევრი. დაამთავრა ქუთაისისა და ნოვოჩერკასკის სასულიერო სემინარიები. სწავლობდა ოდესის უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტზე (1906-1910). პედაგოგიური საქმიანობა დაიწყო 1912 წლიდან კიწიის ორკლასიან სამასწავლებლო სკოლაში. ასწავლიდა სამტრედიის, სენაკისა და ბანძის სკოლებშიც მათემატიკას, რუსულსა და მუსიკას.

ენეოდა საქველმოქმედო საქმიანობას. მუშაობდა მათემატიკის სწავლების მეთოდის საკითხებზე. 1953 წელს გამოიცა მისი წიგნი – „ბრტყელი სამკუთხედების ფართობათა ცხრილი“. განისვენებს ბანდაში, საგვარეულო სასაფლაოზე. 211, 212

**კეკელია ნადეჟდა (ნადე) ანტონის ასული (1880-1918)** – საეკლესიო და საზოგადო მოღვაწის, დეკანოზ ანტონ კეკელიას, ქალიშვილი; ცნობილი საზოგადო მოღვაწის, თედო სახოკიას, მეუღლე. სწავლობდა თბილისის ეპარქიალურ სასწავლებელში. იყო ბანძის ორკლასიანი საეკლესიო სკოლის მასწავლებელი. გარდაიცვალა ქლექით. დაკრძალვაზე გამოსათხოვარი სიტყვით გამოვიდა ჭყონდიდის ეპისკოპოსი ამბროსი. განისვენებს ბანდაში, საგვარეულო სასაფლაოზე. 211

**კეკელია სამუელ ანტონის ძე (1884-1962)** – ცნობილი ექიმი და საზოგადო მოღვაწე, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სენაკის განყოფილების ხელმძღვანელი, საეკლესიო და საზოგადო მოღვაწის, დეკანოზ ანტონ კეკელიას, ვაჟი. სწავლობდა ქუთაისის სასულიერო სემინარიაში. დაამთავრა ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი სტომატოლოგიის მიმართულებით. ახალსენაკში შექმნა სცენის მოყვარულთა დასი. თეატრალური წარმოდგენებით მიღებული შემოსავლით ენეოდა ქველმოქმედებას. იყო სენაკის მაზრის ჯანმრთელობის განყოფილების მდივანი, ქ. ცხაკაიას (სენაკის) რკინიგზის პოლიკლინიკის ექიმი. დაკრძალულია სენაკში. 211, 212

**კვარაცხელია მოსე მურზაყანის ძე** – „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წამდვილი წევრი 1916 წლიდან. 74

**კიკნაველიძე ყარამან** – პიროვნება დაუდგენელია. 60

**კლიმენტი რომაელი** – რომის მესამე ეპისკოპოსი 92-101 წლებში. 191

**კოდაშვილი მოსე** – თევდორე ჟორდანიას მამულის მყიდველი. 198

**კონჩოევი** – მღვდელი. 19

**კორსიკოზოვი უშანგი** – თევდორე ჟორდანიას წინააღმდეგ გამოქვეყნებული წერილის ავტორი, მისივე განცხადებით, არარსებული, ანონიმი პირი. 135, 136

**ლავროვი პეტრე ლავრის ძე (1823-1900)** – რუსი სოციოლოგი, ფილოსოფოსი, პუბლიცისტი, ისტორიკოსი, რევოლუციონერი, ხალხოსნობის ერთ-ერთი იდეოლოგი. 48, 84

**ლალევი (ლალაშვილი) იოსები (1866-1913)** – ცარიზმის წინააღმდეგ მებრძოლი. თბილისის სასულიერო სემინარიიდან გარიცხული მოსწავლე, რომელმაც 1886 წელს მოკლა სემინარიის რექტორი, რეაქციონერი ა. ჩუდეცკი. გადაასახლეს სახალინზე, საიდანაც ჯერ იაპონიაში გაიქცა, შემდეგ კი ამერიკაში. 99

**ლევცივი ფილიპ ზაქარიას ძე** – ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორი. 174

**ლეო XIII (1810-1903)** – რომის პაპი 1878-1903 წლებში. ერისკაცობაში ვინჩენცო ჯოაკინო პეჩი. იყო კერძო საკუთრებისა და კლასების არსებობის მომხრე. 20

**ლეონ III** – „აფხაზთა სამეფოს“ (დასავლეთ საქართველოს) მეფე დაახლოებით 957-967 წლებში. გიორგი II-ის შვილი. 141

**ლიონიძე სოლომონ ანდრიას ძე (1754-1811)** – მწიგნობარი, დიპლომატი, სახელმწიფო მოღვაწე, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის აქტიური მებრძოლი. 60

**ლომოური ნიკო იოსების ძე (1852-1915)** – მწერალი და პედაგოგი. მისი მოთხრობების მთავარი თემაა ბატონყმობის გადავარდნის შემდეგდროინდელი ქართული სოფლის ყოფა. წერილის ადრესატი.

**ლორთქიფანიძე კირილე ბეჟანის ძე (1839-1919)** – მწერალი, საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, მთარგმნელი, კრიტიკოსი. წერდა რომანტიული ხასიათის ლექსებს. თარგმნა რუსული და ევროპული პოეზიისა და პროზის არაერთი ნაწარმოები. 37  
წერილების ადრესატი.

**მაგძნისძე გრიგოლი** – მოქვის საეპისკოპოსოს პირველი მთავარეპისკოპოსი (XII ს.). 142

**მაისურაძე ისაკა** – პიროვნება დაუდგენელია. 31

**მამაცაშვილი-ბაქრაძის ანეტა (ანა) იოსების ასული (1836/37-1911)** – ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძის მეუღლე, გენერალ-მაიორისა და საზოგადო მოღვაწის, იოსებ მამაცაშვილის, ასული. 134, 135, 136, 137

წერილების ადრესატი.

**მამაცაშვილი კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე (1818-1900)** – საზოგადო მოღვაწე, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის ერთ-ერთი დამაარსებელი, სათავადაზნაურო ბანკის საზედამხედველო კომიტეტის თავმჯდომარე, ლიტერატორი, რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი, იოსებ მამაცაშვილის უმცროსი ძმა. წერილის ადრესატი.

**მამაცაშვილი ქაიხოსრო (ქრისტეფორე) კონსტანტინეს ძე (1839-1909)** – გენერალ-მაიორი, რუსეთ-თურქეთის ომის მონაწილე. მსახურობდა კავკასიის სამხედრო ოლქში. 136

**მარი მაისეევნა** – ანტონ ფურცელაძის მეუღლე. 49

**მარი ნიკო იაკობის ძე (1865-1934)** – ენათმეცნიერი, ფილოლოგი, აღმოსავლეთმცოდნე, არქეოლოგი, ისტორიკოსი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, რუსთველოლოგიის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის, ფუძემდებელი. 30, 175, 184, 199 წერილების ადრესატი.

**მატათაშვილი მიხეილ დიონისეს ძე (1824-1892)** – 1850 წელს ბერად აღკვეცის შემდეგ ეწოდა მაკარი. 1857 წელს მიენიჭა არქიმანდრიტის წოდება. სხვადასხვა დროს იყო ბოდბის წმინდა ნინოს სახელობის მონასტრის (1857 წლიდან), ხირსის მონასტრის (1859), სიღნაღის ტაძრის (1862), იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტრის (1864) წინამძღვა-

რი. 1868 წელს აირჩიეს საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის წევრად. 21

**მაქსიმე აღმსარებელი (580-662)** – დიდი ბიზანტიელი ქრისტიანული მოღვაწე, „ეკლესიის მამათაგანი“, მრავალმხრივი განათლების მქონე, წმინდანი. 191

**მაჩაბელი მიხეილ (მიშო) ვახტანგის ძე (1858-1927)** – საზოგადო მოღვაწე, ჟურნალისტი, მოსკოვის პირველი ქართული სათვისტომოს ერთ-ერთი დამაარსებელი, 1887-1892 წლებში თბილისის საქალაქო საბჭოს ხმოსანი, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი. 56  
წერილის ადრესატი.

**მაჭავარიანი არჩილი** – თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის მოსწავლე. 24, 25

**მახარაძე ფილიპე იესეს ძე (1868-1941)** – ბოლშევიკი, რევოლუციონერი და საბჭოთა პარტიული მოღვაწე, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსიისა და ოკუპაციის ერთ-ერთი შემოქმედი, საქართველოს რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე. 82  
წერილების ადრესატი.

**მგალობლიშვილი სოფრომ ზაქარაის ძე (1851-1925)** – მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. სხვადასხვა დროს იყო გაზეთების – „ჩვენი დროებისა“ და „თემის“ – რედაქტორი. მის შემოქმედებაში აისახა ქართველი გლეხობის ცხოვრება ბატონყმობის გადავარდნის წინა პერიოდიდან რეაქციის ხანამდე. 187, 219

წერილების ადრესატი.

**მდივანი სვიმონ (სოსიკო) გურგენის ძე (1876-1937)** – ქიმიკოსი, პოლიტიკოსი და დიპლომატი, საქართველოს ეროვნული ინტერესების დამცველი, სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი და ბათუმის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე. ქართული პარლამენტის წევრი. პირველი ელჩი სომხეთის რესპუბლიკაში. 1921 წელს გადასახლდა საფრანგეთში, სადაც გარდაიცვალა. დაკრძალულია ლევილში. 186

**მელქისედეკ I** – საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი 1010-1033 წლებში. მართლმადიდებელი ეკლესიის პირველი საჭეთმპყრობელი, რომელიც ატარებდა „საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის“ ტიტულს. მის დროს აშენდა სვეტიცხოველი. 143

**მენაბდე აკაკი** – სავარაუდოდ, ფილიპე მახარაძის თანამშრომელი. მანქანა-ტრაქტორთა სადგურის პოლიტიკან-ყოფილების უფროსი. მოგვიანებით ბრალი დასდეს ტროცკიზმსა და მავნებლობაში. 82

**მერკვილაძე იოსები (1854-1934)** – საზოგადო მოღვაწე, ფოლკლორისტი, წიგნების გამომცემელი, გამომცემლობა „ცოდნისა“ და ამავე სახელწოდების წიგნების მალაზიის მფლობელი, გაზეთ „სავაჭრო გზის“ რედაქტორ-გამომცემელი. 38

**მესხი-ლამბაშიძის ნათელა** – ქუთაისის სასულიერო სემინარიის ბერძნული ენის პედაგოგის, ესტატე ლამბაშიძის, მეუღლე. ჰყავდა 7 შვილი. 228



**მეჰმედ II** (1432-1481) – ოსმალეთის იმპერიის მეშვიდე სულ-  
თანი, რომელიც იწოდება ფათიჰად (დამპყრობ-  
ლად) კონსტანტინოპოლისა და სხვა მთელი რიგი  
ტერიტორიების დაპყრობის გამო. 192

**მთვარელიშვილი ნ.** – პიროვნება დაუდგენელია. 133, 134

**მირიანაშვილი პეტრე გრიგოლის ძე** (1860-1940) – ეთნოლოგი,  
კრიტიკოსი, პედაგოგი, ჟურნალისტი, ფოლკლო-  
რისტი.  
ნერილის ადრესატი.

**მიქაბერიძე** – პიროვნება დაუდგენელია. 217

**მიქელა** – კახელი ახალგაზრდა. მფარველობდა ზაქარია ჭიჭი-  
ნაძე. 82

**მოლეშოტი იაკობი** (1822-1893) – გერმანელი ფილოსოფოსი,  
ფიზიოლოგი, ვულგარული მატერიალიზმის წარმო-  
მადგენელი. 48

**მღებრიევი** – ვინაობა დაუდგენელია. 19

**მჭედლიშვილი გიორგი** – პიროვნება დაუდგენელია. 38

**ნადიბაძე ნიკო** – თელავის სასულიერო სასწავლებლის მოს-  
წავლე. 25

**ნათაძე ა.** – პიროვნება დაუდგენელია. 133, 134

**ნასიძე მიხეილ დიმიტრის ძე** (1859-1935) – მკვლევარი, კრი-  
ტიკოსი, იურისტი, პედაგოგი. 177

**ნასყიდოვი (ნასყიდაშვილი) ათანასე** – საზღვარგარეთ, ეგვიპტესა და საფრანგეთში, მოღვაწე ქართველი კათოლიკე ბერი. 21

**ნაჭყებია** – სტუდენტი. 72

**ნახუცრიშვილი დავით (დათიკო) (1874-1932)** – მწერალი, მთარგმნელი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საქმეთა მწარმოებელი. წერილის ადრესატი.

**ნესტორი** – სავარაუდოდ, ანტონ ფურცელაძის ნათესავი. 27

**ნიკიტინი ალექსანდრე** – პუბლიცისტი, მთარგმნელი, გაზეთ „ივერიის“ თანამშრომელი. 200

**ნიკოლაძე ნიკო იაკობის ძე (1843-1928)** – საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, პოლიტიკოსი, მეორე დასის ერთ-ერთი დამაარსებელი, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და საპატიო თავმჯდომარე, თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის ერთ-ერთი დამაარსებელი, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, ქალაქ ფოთის თავი. 89, 214, 216, 217 წერილის ადრესატი.

**ნიკოლოზ II (1868-1918)** – რუსეთის ბოლო იმპერატორი (1894-1917), იმპერატორ ალექსანდრე III-ის შვილი, პოლონეთის მეფე, ფინეთის დიდი ჰერცოგი. ის და მისი ოჯახის წევრები 1918 წელს ბოლშევიკებმა დახვრიტეს. 190

**ნიკოლოზ საკვირველმოქმედი (257-351)** – მირონ-ლუკიის მთავარეპისკოპოსი, ქრისტიანული ეკლესიის წმინდანი. 143

**ნინო** – ევსევის მეუღლე. პიროვნება დაუდგენელია. 39

**ობოცკი ალექსი ალექსის ძე (1837-1915)** – მთვარეპისკოპოსი ალექსი, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმთავარი, საქართველოს ეგზარქოსი 1901-1905 წლებში. 208, 216, 217

**ორბელიანი გრიგოლ დიმიტრის (ზურაბის) ძე (1804-1883)** – პოეტი, საზოგადო და სამხედრო მოღვაწე, რუსეთის არმიის გენერალი. მონაწილეობას იღებდა კავკასიის დამორჩილების საომარ ოპერაციებში. 14

**ორბელიანი იოანე დავითის ძე (1765-1808)** – ორბელიანთა სახლის უფროსი, ქართლის მეფის სახლთუხუცესი. რუსეთთან შეერთების შემდეგ შევიდა რუსეთის სამსახურში და მიიღო გენერალ-მაიორის წოდება. 204

**ორბელიანი სულხან-საბა (1658-1725)** – მწერალი, მეცნიერი, ლექსიკოგრაფი, დიპლომატი, პოლიტიკოსი, საქართველოს ევროპული ორიენტაციის აქტიური მომხრე. 20, 21

**ოქრომჭელიშვილი პარმენი** – თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი. 63

**ოქროპირიძე ალექსანდრე (ალექსი) დავითის ძე (1824-1907)** – ეპისკოპოსი ალექსანდრე, ერისკაცობაში ალექსი დავითის ძე. საეკლესიო და საზოგადო მოღვაწე.

1845 წელს ბერად აღიკვეცა. 1856 წელს არქიმანდრიტის ხარისხში ამაღლდა, 1862 წელს – ეპისკოპოსის. სხვადასხვა დროს მართავდა სხვადასხვა ეპარქიას. 164, 184, 187, 199, 204, 207, 208, 209, 210, 214, 215, 216, 217, 218, 220, 224, 227, 233, 235

წერილების ადრესატი.

**ოქროპირიძე ბაგრატი** – ხელოსანი. 85

**ოქროპირიძე ლეონიდე** (1861-1921) – ერისკაცობაში ლონგინოზ სოლომონის ძე. სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი 1919-1921 წლებში. 199, 209, 218, 220, 227, 228, 233, 234, 235

**ოქროსანიძე ვანო** – რუსეთში დაბადებული და გაზრდილი. რეალური გიმნაზიის მოსწავლე. 66, 67

**ოცხელი იოსები** (1865-1919) – პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. ქუთაისის ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის დირექტორი. მისი ინიციატივით დაარსდა ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტი. 53

**პეტრე მოციქული** – 190, 191

**პეტრინი იოანე** (XI-XII სს.) – ფილოსოფოსი, სქოლასტიკოსი. მოღვაწეობდა პეტრინონის მონასტერში. იყო გელათის აკადემიის ხელმძღვანელი. განათლება მიიღო კონსტანტინოპოლის მანგანის აკადემიაში. 204

**პეჩკოვი** – თბილისელი ბუკინისტი. 69

**პობედონოსცევი კონსტანტინე პეტრეს ძე (1827-1907)** – რუსი სახელმწიფო მოღვაწე, სამართალმცოდნე, მწერალი, მთარგმნელი, ეკლესიის ისტორიკოსი, პროფესორი, საიდუმლო მრჩეველი. 1880-1905 წლებში რუსეთის სინოდის ობერპროკურორი. სახელმწიფო საბჭოს წევრი. ცარისტული ავტოკრატიის მხარდამჭერი. 209, 210

**პოლივანოვი ევგენი დიმიტრის ძე (1891-1938)** – საბჭოთა ენათმეცნიერი, ორიენტალისტი და პოლიგლოტი. რეპრესირებული 1937 წელს. 141

**პრონიცკი** – რუსი მღვდელი. 210

**ჟორდანია გიორგი თევდორეს ძე (1885-1935)** – მწერალი, საზოგადო მოღვაწე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის დირექტორი. თევდორე ჟორდანიას შვილი. 165, 168, 178, 205, 210, 219, 225  
წერილის ადრესატი.

**ჟორდანია დავითი** – ისტორიკოს თევდორე ჟორდანიას მამა. მღვდელი, სოფელ მარტვილის მკვიდრი. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ბერად აღიკვეცა ათანასეს სახელით. აფხაზეთში ეწეოდა ქრისტიანულ მისიონერულ საქმიანობას. 141

**ჟორდანია ერეკლე თევდორეს ძე (-1918)** – თევდორე ჟორდანიას შვილი. საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის დავალებით ანტიცარისტულ პროპაგანდას ეწეოდა ქართველ ტყვეებში. პირველი მსოფლიო ომის დროს ტყვედ ჩაუვარდა ავსტრიელებს. შინაურობაში „ჭიკოს“ / „ჭიკჭიკოს“ ეძახდნენ. 219, 231

**ჟორდანია ზოსიმე (1831-)** – სასულიერო პირი სოფელ მარტვილიდან. მეუღლის გარდაცვალებიდან 1 წელში ბერად აღიკვეცა ნიკოლოზის სახელით. 1899 წლის სექტემბერში აყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში ფოთის საკათედრო ტაძარში. 190

**ჟორდანია თამარ თევდორეს ასული** – თევდორე ჟორდანიას ქალიშვილი. 219

**ჟორდანია თევდორე დავითის ძე (1854-1916)** – ისტორიკოსი, არქეოლოგი, ფილოლოგი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე. 1875 წელს დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია, 1889 წელს – მოსკოვის სასულიერო აკადემია. მუშაობდა პედაგოგად თბილისის სასულიერო სასწავლებელში, იყო თბილისის საეკლესიო მუზეუმის გამგე, გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამრევლო სკოლების მეთვალყურე, სამრევლო სკოლების მასწავლებელთა კურსების ინსპექტორი, „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წევრი. დიდი წვლილი მიუძღვის ძველი ქართული ხელნაწერების შეგროვება-შესწავლისა და პოპულარიზაციის საქმეში. მუშაობდა „ქართლის ცხოვრების“ შედგენილობისა და ავტორების ვინაობის დადგენის მიმართულებით. აღსანიშნავია მისი „ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა“, რომელიც 3 ტომად არის დაბეჭდილი. 98, 102, 115, 160, 168, 177, 215

**ჟორდანია თევდორე (ფელიკო) თევდორეს ძე** – თევდორე ჟორდანიას შვილი. 165, 178, 205, 210, 219

**ჟორდანია იოსებ თევდორეს ძე (1895-1967)** – გამოჩენილი მეან-გინეკოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, საბჭოთა კავშირის მთავარი გინეკოლოგი,

ქალის ფიზიოლოგიური და პათოლოგიური სამედიცინო კვლევითი ინსტიტუტის დამაარსებელი თბილისში. თავი შესწირა პატარა უცხოელი გოგონას გადარჩენას, რომელსაც თავისი მაშველი რგოლი გადასცა. თევდორე ჟორდანიას შვილი. 205, 219

**ჟორდანია სილვესტერი** – დიაკვანი, ბობოთის სკოლის პედაგოგი. 184

**ჟღენტი ანტონ კაცის ძე** – „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ თბილისის განყოფილების მუდმივი წევრი 1917-1921 წლებში, რკინიგზელთა პროფესიული კავშირის კულტურის სექციის გამგე. 70

**რაჟდენი** – პიროვნება დაუდგენელია. 134

**როინოვი (როინიშვილი) ალექსანდრე სოლომონის ძე** (1846-1898) – პირველი ქართველი პროფესიონალი ფოტოგრაფი, ფილანთროპი, ქართული კულტურის მოამაგე, საზოგადო მოღვაწე. თბილისში გახსნილი ჰქონდა საკუთარი ფოტო-სახელოსნო. მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და ფოტოების გადაღებასთან ერთად კრებდა ეთნოგრაფიულ და ნუმიზმატიკურ მასალას. 1887 წლიდან, ქართული ეროვნული კულტურის პოპულარიზაციის მიზნით, მოძრავი მუზეუმის გამოფენებს მართავდა მოსკოვში, პეტროგრადში, თემირხანშურაში (ბუინაქსკში), ასტრახანში, რომელიც მოიცავდა არქეოლოგიურ, ეთნოგრაფიულ და ნუმიზმატიკურ მასალებს. მისი ქონება, თავისივე ანდერძის თანახმად, გადაეცა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“. 145, 147, 155

**როჟბიცი სტანისლავ ნერბერტის ძე** – თბილისში მცხოვრები რუსი მწერალი. თევდორე ჟორდანიას ახლობელი. 167, 178, 201

**საბინინი მიხეილ (გობრონ) პავლეს ძე (1840-1900)** – ბერი, ხატმწერი, ქართული ეკლესიის ისტორიკოსი. სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემიის თავისუფალი მსმენელი, რომლის დამთავრების შემდეგ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „საქართველოს ეკლესიის ისტორია VI საუკუნის ბოლომდე“. 19, 164  
ნერილის ადრესატი.

**საბლერი ვლადიმერ კარლოს ძე (1845-1929)** – იურისტი, სახელმწიფო საბჭოს წევრი, რუსეთის იმპერიის სენატორი. 182

**სარაჯიშვილი ალექსანდრე (1851-1914)** (ფსევდონიმი – რიშ-ბაბა) – საზოგადო მოღვაწე, მკვლევარი, ჟურნალისტი, კრიტიკოსი, მთარგმნელი. სწავლობდა პეტერბურგის, ყაზანის, კიევის, ჟენევის უნივერსიტეტებში. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობის წევრი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი და მისი მუზეუმ-ნიგნთსაცავის გამგე. თანამშრომლობდა გამოცემებთან: „დროება“, „მოამბე“. 1901-1902 წლებში რედაქტორობდა გაზეთ „ივერიას“. 1884 წელს ილია ჭავჭავაძესა და პეტრე უმიკაშვილთან ერთად გამოსცა „ვისრამიანი“. 226

**სარაჯიშვილი დავით ზაქარიას ძე (1848-1911)** – ქიმიისა და ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, მრეწველი,



ქველმოქმედი, საზოგადო მოღვაწე, ქართული კონიაკის წარმოების ფუძემდებელი. 53, 54

**საძაგლიშვილი კირიონ (გიორგი) იერონიმეს ძე (1855-1918)** – კირიონ II, სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, ისტორიკოსი, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი 1917-1918 წლებში. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმინდანი. 167, 228 წერილების ადრესატი.

**სახოკია თევდორე (თედო) ტიმოთეს ძე (1868-1956)** – მწერალი, მთარგმნელი, ეთნოგრაფი, ლექსიკოგრაფი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე. სწავლობდა ჟენევისა და პარიზის სორბონის უნივერსიტეტებში. იყო საფრანგეთში მცხოვრები ქართველების არალეგალურ გაზეთ „საქართველოს“ თანარედაქტორი. ასევე თანამშრომლობდა სხვადასხვა გაზეთთან. გამოსცა ქართული ანდაზები და ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი. 36, 180 წერილების ადრესატი.

**სებოსი** – VII ს-ის სომეხი ისტორიკოსი, ავტორი ნაშრომისა – „იმპერატორ ირაკლის ისტორია“. 127

**სელეზნიოვი მიხეილი** – არტილერიის შტაბს-კაპიტანი, კავკასიის ომის მონაწილე. სამსახურებრივი მიზნით ხშირად მოგზაურობდა კავკასიის ცენტრალურ და დასავლეთ მხარეებში. ავტორია გამოკვლევებისა: «Руководство к познанию Кавказа» (1847-1850) და «О католиках и прочем духовенстве, религиозных его понятиях и обрядах» (1850). 164

**სვიმონ მესვეტე** – იგივე სვიმონ მესვეტე უმცროსი, საკვირ-  
ველთმოქმედი, არქიმანდრიტი (521-597). მარ-  
თლმადიდებელი ეკლესიის წმინდანი. 146

**სვიმონ ლოლოთეტი** (X ს-ის მეორე ნახევარი) – ბიზანტიელი  
ისტორიკოსი, სახელმწიფო მოღვაწე, მართლმადი-  
დებელი ეკლესიის წმინდანი. 204

**სიმონ კანანელი** – 191

**სოფიელი (სოფიისკი) ნიკონი (ნიკოლოზ ანდრიას ძე)** (1861-  
1908) – რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის  
მღვდელმთავარი. სხვადასხვა დროს ეკავა სხვადას-  
ხვა საეპისკოპოსო კათედრა. 1906 წელს დაინიშნა  
ქართლისა და კახეთის მთავარეპისკოპოსად, უწ-  
მინდესი სინოდის წევრად და საქართველოს ეგ-  
ზარქოსად. 45

**სტეფანიძე ვანო** – დურგალი. 86

**სტეფანოს II** – ადარნასე I-ის ძე, კახეთის ერისმთავარი და  
ქართლის მთავარი 639-663 წლებში, მცხეთის  
ჯვრის ეკლესიის მშენებლობის დამსრულებელი.  
156

**სულაძე ვასილი** – „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავ-  
რცელებელი საზოგადოების“ ბათუმის ორგანიზა-  
ციის წევრი 1910-1927 წლებში.  
წერილის ადრესატი.

**სულხანოვი (სულხანიშვილი) ივანე დავითის ძე** – გორის მაზ-  
რის მარშალი და წინამძღოლი. 160

**ტაბიძე სვიმონ** – მესტამბე-გამომცემელი, კალიგრაფი, პოეტი. მოღვაწეობდა პეტერბურგში. თანამშრომლობდა თეიმურაზ გიორგის ძე ბაგრატიონთან, რომლის დავალებითაც არაერთი ძველი ქართული ხელნაწერი გადაუნერია. 1841 წელს დაბეჭდა მ. ბროსეს, ზ. ფალავანდიშვილისა და დ ჩუბინაშვილის მიერ რედაქტირებული „ვეფხისტყაოსანი“. გარდაიცვალა მე-19 საუკუნის 80-იან წლებში პეტერბურგში. 15

**ტარსაიძე ალექსანდრე ლუარსაბის ძე** – თევდორე ჟორდანიას სიმამრის ძმა. 91

**ტარსაიძე დავით ლუარსაბის ძე** – პოლკოვნიკი, თევდორე ჟორდანიას სიმამრი. 136, 178, 201, 207, 219, 224, 231

**ტარსაიძე ნიკო ალექსანდრეს ძე (1855-1917)** – იურისტი, თეატრალური მოღვაწე, 1901 წლიდან თბილისის საოლქო სასამართლოს წევრი. 225  
წერილის ადრესატი.

**ტარსაიძე-ჟორდანიასი ელენე დავითის ასული (-1900)** – თევდორე ჟორდანიას მეუღლე, პოლკოვნიკ დავით ტარსაიძის ქალიშვილი. 93, 168, 185, 189, 199, 200, 201  
წერილის ადრესატი.

**ტასო** – პიროვნება დაუდგენელია. 189

**ტატიევი** – ბლალოჩინი. 201

**ტატიევი (ტატიშვილი) ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე** – პედაგოგი, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ქუთაისის განყოფილების წევრი. 90

**ტიხეევი ივანე ივანეს ძე (1837-1902)** – სახელმწიფო ქონების სამინისტროს მმართველი კავკასიაში. 36

**ტიხომიროვი დიმიტრი ივანეს ძე (1844-1915)** – პედაგოგი, გამომცემელი და რედაქტორი. 227

**ტოროშელიძე მალაქია გიორგის ძე (1880-1937)** – საზოგადო და პარტიული მოღვაწე, ჟენევის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებული, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი. სხვადასხვა დროს იყო უმაღლეს პარტიულ და სახელმწიფო თანამდებობებზე. 1937 წელს დახვრიტეს. წერილის ადრესატი.

**ტულუკაშვილი დავითი (1702-1734)** – სულხან-საბა ორბელიანის თაოსნობით რომში სასწვლებლად გაგზავნილი გორელი ახალგაზრდა, რომელმაც სწავლის დამთავრების შემდეგ, 1732 წელს, საჯაროდ დაიცვა დისერტაცია ფილოსოფიაში. 1733 წელს ეკურთხა მღვდლად. რომში განაახლა ქართული სტამბა. 30

**ტუნი ალფონს (1853-1886)** – გერმანელი სწავლული და ეკონომისტი, ბაზელისა და ფრაიბურგის უნივერსიტეტების პროფესორი. 41

**ტულუში** – პიროვნება დაუდგენელია. 28

**უვაროვა პრასკოვია სერგეის ასული (1840-1924)** – რუსი მეცნიერი, ისტორიკოსი და არქეოლოგი. მრავალი რუსული უნივერსიტეტისა და ისტორიული საზოგადოების საპატიო წევრი. წერილების ადრესატი.

**უსუფი** – პიროვნება დაუდგენელია. წერილის ადრესატი.

**ფანცხავა იაკობი (1867-1955)** – სახელმწიფო მოღვაწე, კრიტიკოსი, მწერალი, პუბლიცისტი, მთარგმნელი. 226

**ფოცხვერაშვილი კონსტანტინე (კოტე) გიორგის ძე (1880-1959)** – კომპოზიტორი, დირიჟორი და ლოტბარი. საქართველოს ყოფილი სახელმწიფო ჰიმნის – „დიდებას“ ავტორი. 224

**ფურცელაძე ანტონ ნიკოლოზის ძე (1839-1913)** – მწერალი, პოეტი, მთარგმნელი, პუბლიცისტი, ფილოსოფოსი. 1867 წლიდან ფაქტობრივად რედაქტორობდა ჟურნალ „ცისკარს“, 1869 წლიდან იყო ჟურნალ „მნათობის“, ხოლო შემდეგ „გუთნის დედის“ ხელმძღვანელი. იდგა უტოპიური სოციალიზმის პოზიციებზე. 23, 137, 219 წერილების ადრესატი.

**ფურცელაძე დიმიტრი პეტრეს ძე (1825-1891)** – ისტორიკოსი, თბილისის სასულიერო სემინარიის პროფესორი. კავკასიის მეფისნაცვალთან განაგებდა კავკასიაში ქრისტიანობის გამავრცელებელი საზოგადოების საქმეებს. იყო კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე. 143

**ქარუმიძე ილია** – სოფელ მხურვალეთის მცხოვრები. 186

**ქეშელაშვილი მიხეილი** – პიროვნება დაუდგენელია. 38

**ქორიძე ფილიმონ იესეს ძე (1829-1911)** – ქართული საოპერო ხელოვნების ერთ-ერთი ფუძემდებელი, პირველი ქართველი პროფესიონალი მომღერალი, ქართული სახალხო გუნდების ორგანიზატორი და ლოტბარი, ფოლკლორისტი, ქართული მრავალხმიანობის ნოტებზე პირველი გადამტანი. 89

**ქუთათელაძე ა.** – პიროვნება დაუდგენელია. 133, 134

**ქუმისიშვილი ნინო ილიას ასული (1885-1947)** – თევდორე ჟორდანიას უფროსი შვილის, გიორგის, მეუღლე. ცნობილი ისტორიკოსის, გივი ჟორდანიას, დედა. 228, 229, 230, 231, 232

**ღამბაშიძე ალექსანდრე ესტატეს ძე** – ქუთაისის სასულიერო სემინარიის ბერძნული ენის პედაგოგის, ესტატეს, ვაჟი, ჟენევის უნივერსიტეტის სტუდენტი. 228

**ღამბაშიძე დავით ბესარიონის ძე (1840-1912)** – სასულიერო პირი, წიგნების გამომცემელი და მესტამბე, „წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წამდვილი წევრი. სხვადასხვა დროს მოღვაწეობდა შროშის წმინდა გიორგის, დანაეთის წმინდა გიორგის, ცხრანწყაროს წმინდა გიორგის, ყვირილას წმინდა იოანე ნათლისმცემლისა და სხვა ეკლესიებში. 1883-1910 წლებში მისი რედაქტორობით გამოდიოდა ჟურნალი „მწყემსი“. 34

**ღამბაშიძე ესტატე დარისპანის (დავითის) ძე (1852-1904)** – ქუთაისის სასულიერო სემინარიის ბერძნული ენის პედაგოგი. ჰყავდა 7 შვილი. მისი ორი შვილი –

ლევან (1900-1938) და დიმიტრი (1889-1937) ლამბა-შიძეები დახვრიტეს დიდი ტერორის წლებში კონტრტერორისტული და ჯაშუშური საქმიანობის ბრალდებით. 222, 227

**ლამბაშიძე ვახტანგ დავითის ძე (1872-1951)** – ექიმი და საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, ქართულ ენაზე პირველი სამედიცინო ჟურნალის – „ქართული სამკურნალო ფურცელი“ (1908) – რედაქტორ-გამომცემელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰიგიენის კათედრის ხელმძღვანელი, პარიზის ქართული სათვისტომოს მეორე თავმჯდომარე. 33

**ღვამიჩავა კონსტანტინე** – თბილისის ერთ-ერთი სასწავლებლის მასწავლებელი.  
წერილის ადრესატი.

**ლოლობერიძე სიმონ ბესარიონის ძე** – ქუთაისის გიმნაზიის მასწავლებელი, „კოლეჟსკი სოვეტნიკი“, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი. 57

**ყიფიანი** – პიროვნება დაუდგენელია. 33

**ყიფიანი პ.** – პიროვნება დაუდგენელია. 53

**ყიფშიძე ალექსანდრე თევდორეს ძე (1862-1916)** (ფსევდონიმი – ფრონელი) – ისტორიკოსი, პუბლიცისტი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე. 168, 176, 177, 188, 189  
წერილების ადრესატი.

**ყიფშიძე გრიგოლ თევდორეს ძე (1858-1921)** (ფსევდონიმი – გ. გოდორია) – კრიტიკოსი, მთარგმნელი, მწერალი,

პუბლიცისტი, ჟურნალისტი, პედაგოგი. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წევრი. 168, 171, 176, 177, 180, 189

**შალამბერიძე ვიქტორი** – ხელოსანი. მფარველობდა ზაქარია ჭიჭინაძე. 59

**შარაძე მაქსიმე (1859-1908)** – საზოგადო მოღვაწე. მის მიერ 1890 წელს დაარსებულ სტამბაში – „მაქსიმე შარაძე და ამხანაგობა“ – იბეჭდებოდა გაზეთები: „ივერია“, „ცნობის ფურცელი“ და სხვ. ქართული საგალობლების შემკრები და გამომცემელი. 102, 169

**შარვაშიძე არზაყან სოლომონის ძე** – სოლომონ I-ის ძე, აფხაზეთის მთავარი 1510-იან წლებში. 163

**შარვაშიძე ასლან (ასლან-ბეი) ქეილაშ აჰმედ-ბეის ძე** – აფხაზეთის მთავარი 1808-1810 წლებში. ტახტს დაეუფლა მამის მოკვლის შემდეგ. იბრძოდა რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ. გარდაიცვალა ოსმალეთში.

**შარვაშიძე ბათალ-ბეგი (ბათალ-ბეი შარვაშიძე-ჩაჩბა)** – ქელეშბეის ვაჟი. სამოღვაწეო ასპარეზზე ჩანს 1842 წლამდე. 1821 წელს ძმებთან, თაირ-ბეისთან და როსტომ-ბეისთან, ერთად გამოდიოდა დედინაცვლის, რაზია ხანუმისა, და აფხაზეთის მმართველის, თამარ დადიანის (კაცია II დადიანის ქალიშვილი), წინააღმდეგ. მოგვიანებით გადავიდა ოსმალეთში. 164

**შარვაშიძე ბექირ-ბეგი (ბექირ-ბეი)** – შირვან-ბეი შარვაშიძის ვაჟი. აბჟუის მფლობელი. დაბადებისა და გარდაც-



ვალეზის თარიღი უცნობია (დაახ. 1734-1781 წ. შემდეგ). 164

**შარვაშიძე ზურაბი** – აფხაზეთის მთავარი დაახლოებით 1770-1780 წლებში. აფხაზეთის მთავარ ჰამიდის (ლევანის) ვაჟი. 1771 წელს აუჯანყდა ოსმალეთს და სოხუმიდან გააძევა ოსმალეთის გარნიზონი სამურზაყანოს მმართველ ლევან შარვაშიძესთან ერთად. რუხის ბრძოლაში (1779) დამარცხდა ოსმალეთის რაზმებთან ერთად იმერეთ-გურიისა და სამეგრელოს გაერთიანებული რაზმების წინააღმდეგ ბრძოლაში. 1780 წელს ოსმალეთის დახმარებით ტახტიდან ჩამოაგდო მისმა ძმისშვილმა ქელემ-ბეი შარვაშიძემ, რომელმაც აფხაზეთის სამთავრო ტახტი დაიკავა და თავისი ძალაუფლება მთელ აფხაზეთზე განავრცო. 164

**შარვაშიძე ლევან ხუტუნიაძე** – სამურზაყანოს მფლობელი XVIII საუკუნის II ნახევარში (არა უგვიანეს 1814 წლისა). მონაწილეობდა 1768-1774 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომში რუსეთის მხარეზე. სურდა სამურზაყანოს რუსეთის მფარველობის ქვეშ შეყვანა, რისთვისაც თხოვნით მიმართა გენერალ ტოტლებენს. 164

**შარვაშიძე რუსტანი (როსტომ-ბეი)** – ქელემ-ბეი შარვაშიძის ვაჟი. მოკლა ხიმკეროსო მარშალიამ. 164

**შარვაშიძე სარეხ (სორეხ) სუსტანის (სუსტარის) ძე** – აფხაზეთის მთავარი 1665-1684 წლებში. 163

**შარვაშიძე საფარ-ალი-ბეგ ქეილამ აჰმედ-ბეის ძე** – ნათლობაში გიორგი II (1780-1821). აფხაზეთის მთავარი

1810-1821 წლებში. 1809 წელს ხელი მოაწერა რუსეთის ქვეშევრდომობის სათხოვარ პუნქტებს. ასლან ბეის სოხუმიდან გაძევების შემდეგ, 1810 წელს, რუსეთის მთავრობამ აფხაზეთის მთავრად დაამტკიცა და სამთავროს ავტონომია მიანიჭა. 164

**შარვაშიძე სოლომონი** – აფხაზეთის მთავარი 1491-1495 წლებში. 163

**შარვაშიძე (შერვაშიძე) სოლომონ პუტოს (ფუთო) ძე** (XVII ს.) – აფხაზეთის მთავარი სოლომონ II. სამეგრელოს მთავარ ლევან II-ის პირველი ცოლის ძმა. 163

**შარვაშიძე სოსლან-ბეგი (შერვაშიძე-ჩაჩბა)** – ბექირ-ბეგის ვაჟი, აბჟუის მფლობელი, გენერალ-მაიორი. დაიღუპა 1812 წელს ბათუმის ოპერაციის დროს. 164

**შარვაშიძე სუსტან (სუსტარ) სეტემანის (თეიმურაზის) ძე** – აფხაზეთის მთავარი 1650-1665 წლებში. 163

**შარვაშიძე ქელიმბ-ბეგი (ქელიმ-ბეგი)** – იგივე ქეილაშ (ქელეშ-ბეი) აჰმედ-ბეი, მანუჩარ შარვაშიძის (სულეიმან ფაშას) ვაჟი. სოხუმის ფაშა. მართავდა აფხაზეთის სამთავროს 1781-1808 წლებში. ოსმალეთის მხარდაჭერით ტახტიდან ჩამოაგდო ბიძა – ზურაბ შარვაშიძე. აწარმოებდა საომარ მოქმედებებს სამეგრელოს სამთავროს წინააღმდეგ. ძალაუფლების შესანარჩუნებლად ცდილობდა აფხაზეთის რუსეთის მფარველობის ქვეშ შეყვანას. მოკლულ იქნა შეთქმულთა მიერ 1808 წელს. 163

**შარვაშიძე ქერქეიმი** – სამურზაყანოს მფლობელის, ყვაპუ ზეგნაყის ძე შარვაშიძის, ვაჟი. 163

**შარვაშიძე ყვაპუ** – სამურზაყანოს მფლობელი 1680-1704 წლებში, აფხაზეთის მთავარ ზეგნაყის ვაჟი. 163

**შარვაშიძე ჰასან-ბეგი (ჰასან-ბეი შარვაშიძე-ჩაჩბა)** – გუმისთის მფლობელი, მთავარ ქელემ-ბეის მესამე შვილი. დაბადებისა და გარდაცვალების თარიღი უცნობია. ისლამის აღმსარებელი და პროოსმალური ორიენტაციის მომხრე. სამოღვაწეო ასპარეზზე ჩანს 1802-1837 წლებში. ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში უარი თქვა ტახტის მემკვიდრეობაზე და მფლობელობაში მიიღო გუმისთის ტერიტორია (მოგვიანებით სოხუმის ოლქი). დიდი პოპულარობით სარგებლობდა ხალხში. 164

**შაჰყულიანი (ჭილიმუზაშვილი) პავლე (1769-1855)** – ქართველ კათოლიკეთა არქიმანდრიტი. 33

**შიო მღვიმელი** – VI საუკუნის II ნახევრის საეკლესიო მოღვაწე, ერთ-ერთი ასურელი მამა, შიომღვიმის მონასტრის დამაარსებელი. 146

**შოთა რუსთაველი** – სახელგანთქმული პოეტი და მოაზროვნე. 173

**შოშიაშვილი სოლომონი** – ჩუღურეთის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის დეკანოზი 1900-1928 წლებში. 81

**ჩაგუნავა გიორგი (1850-1907)** – მღვდელი, თბილისის სასულიერო სემინარიის პედაგოგი. 168, 176, 178

**ჩარკვიანი გრიგოლ ვასილის ძე** – გამომცემელი და საზოგადო მოღვაწე, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ თბილისის განყოფილების

ვილების მუდმივი წევრი, თბილისში ქართული წიგნის მაღაზიის პირველი მფლობელი. 47

**ჩაჩანიძე** – პიროვნება დაუდგენელია. 210, 215, 216

**ჩეპიგოვსკი ივანე ივანეს ძე (1821-1890)** – სხვადასხვა დროს იყო რუსეთის, ვლადიკავკაზის ეპარქიების წინამძღვარი. 1847 წელს დაინიშნა თელავის სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორად, 1854 წელს – თბილისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორად. 1869 წელს აირჩიეს საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის წევრად, 1875 წელს – ქართლისა და კახეთის ეპარქიის ვიკარად. 21

**ჩიჯავაძე იოსებ თეოფილეს ძე (1867-1929)** – სასულიერო პირი, დეკანოზი, ავტოკეფალისტი, კათალიკოს-პატრიარქ კირიონის პირადი მდივანი. მისი რედაქტორობით გამოსულმა გაზეთმა „სიტყვამ“ და ჟურნალმა „სვეტიცხოველმა“ დიდი როლი შეასრულეს ავტოკეფალური იდეების პროპაგანდის, სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური საკითხის დემოკრატიული პოზიციიდან გამუქებისა და ამ საკითხებში მრევლის გათვითცნობიერების საქმეში. 166, 182, 183

**ჩიჯავაძე-კარბელაშვილისა მარიამ თეოფილეს ასული** – ვასილ კარბელაშვილის მეუღლე, ცნობილი საეკლესიო მოღვაწისა და ავტოკეფალისტის, იოსებ ჩიჯავაძის, და. 166, 182, 198

**ჩოდრიშვილი მიხეილი (1853-1929)** – მუშა, პოლიტიკური ლიდერი. რევოლუციური იდეების პროპაგანდისტი. აწყობდა არალეგალურ კრებებს, ავრცელებდა არალეგალურ ლიტერატურას, 1919-1920 წლებში

იყო დაპატიმრებული. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აირჩიეს საქართველოს სახალხო კომისარიატის კოლეგიისა და საქართველოს რევოლუციური ტრიბუნალის წევრად, „რემედასის“ საქართველოს ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარედ, საქართველოს სსრ და ამიერკავკასიის სფსრ-ს ცენტრალური კომიტეტის წევრად. 74

**ჩოლოყაშვილი ნიკოლოზ ომანის ძე (1585-1658)** – ნიკიფორე ირბახი. სასულიერო და პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი, მწიგნობარი, პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნის ერთ-ერთი გამომცემელი. 49

**ჩხეტიძე მანუილი** – ნიკორწმინდის ეპისკოპოსი XVII ს-ის II ნახევარში. 143

**ცაგარელი ალექსანდრე ანტონის (თომას) ძე (1844-1929)** – ენათმეცნიერი, ისტორიკოსი, ფილოსოფოსი, პალეოგრაფი, არქეოგრაფი, პუბლიცისტი, ლიტერატურის კრიტიკოსი, პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართული სიტყვიერების კათედრის დოცენტი, პირველი ქართველი მეცნიერი, რომელიც სპეციალურად, ქართველოლოგიური მიზნებით ეწვია ახლო აღმოსავლეთს, შეისწავლა ევროპისა და რუსეთის არქივებში დაცული მასალა საქართველოს შესახებ. 30, 48, 178

**ცერცვაძე გრიგოლ იაკობის ძე** – მწერალი, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წევრი. 23

**ძიმისტარიშვილი ილია** – მღვდელი, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სე-

ნაკის განყოფილების კვაუთის ბიბლიოთეკის  
მზრუნველი. 188

**წერეთელი** – სავარაუდოდ, წიგნების გამავრცელებელი და  
წიგნების მალაზიის მეპატრონე. 34

**წერეთელი აკაკი როსტომის ძე (1840-1915)** – პოეტი, მწერალი,  
პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, საქართვე-  
ლოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის  
ერთ-ერთი ლიდერი. 184  
წერილის ადრესატი.

**წერეთელი გიორგი ექვთიმეს ძე (1842-1900)** – საზოგადო მოღ-  
ვაწე, მწერალი, დრამატურგი, კრიტიკოსი, ჟურნა-  
ლისტი, პედაგოგი, ფოლკლორისტი, „თერგდალე-  
ულთა“ ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი.  
127

**წმინდა ნინო** – კაბადოკიელი ქალწული. 14, 103, 112, 113

**ჭეიშვილი იაკობ მიხეილის ძე** – საბჭოთა ფუნქციონერი.  
წერილის ადრესატი.

**ჭეიშვილი მიხეილი** – საბჭოთა ფუნქციონერის, იაკობ ჭეიშვი-  
ლის, მამა. 77

**ჭიჭინაძე** – ხელოსანი. 85

**ჭიჭინაძე ზაქარია (1854-1931)** (ფსევდონიმი – მთაწმინდელი) –  
საზოგადო მოღვაწე, ისტორიკოსი, მკვლევარი,  
მწერალი და გამომცემელი. მნიშვნელოვანი ღვაწ-  
ლი დასდო ქართული ხელნაწერების შეგროვებისა  
და წიგნების გავრცელების საქმეს, განსაკუთრე-  
ბით აჭარასა და სამხრეთ საქართველოში. 72

**ჭრელაშვილი სტეფანე თევდორე ძე (1857-1917)** (ლიტერატურული ფსევდონიმები: „სანოსა“, „ტატალა“) – პუბლიცისტი, რევოლუციონერ-ხალხოსანი, თბილისის ფუნიკულიორის პირველი დირექტორი. 168, 177, 189

**ხახანოვი (ხახანაშვილი) ალექსანდრე სოლომონის ძე (1864-1912)** – ფილოლოგი, ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე, მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი. 144, 145  
ნერილის ადრესატი.

**ხახუღელი იოანე** – X-XI სს. სასულიერო მოღვაწე, კალიგრაფი და მთარგმნელი, ეპისკოპოსი, ბაგრატ III-ის თანამედროვე. გამოიჩინა მჭევრმეტყველებით, რის გამოც „ოქროპირი“ უწოდეს. მსახურობდა ჯერ ბოლნისის, შემდეგ ხახულის ეპისკოპოსად. 1019 წლიდან დამკვიდრდა ათონის მთაზე. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანი. 15

**ხეთერელი** – სავარაუდოდ, წიგნების გამავრცელებელი და წიგნების მალაზიის მეპატრონე. 34

**ხოფერია ალექსანდრე (სანდრო) გიორგის ძე** – რევიზორი. 187

**ხოშტარია აკაკი მეთოდეს ძე (1873-1932)** – საზოგადო მოღვაწე და ქველმოქმედი, ფინანსისტი, მრეწველი, პეტერბურგის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის კურსდამთავრებული, მსხვილი სამრეწველო კომპანიების მფლობელი. მისი საქმიანობის ძირითად ასპარეზს წარმოადგენდა სამხრეთ კავკასია, თურქეთი და ირანის ჩრდილო რაიონები. თავისი საქმი-

ანობის მასშტაბებიდან გამომდინარე, ხშირად მოიხსენიებდნენ, როგორც „ირანის უგვირგვინო შაჰს“ და „საქართველოსა და ირანის მნიშვნელოვანი ნაწილის ფაქტობრივ მფლობელს“. 60

**ხრაპოვიცკი ანტონი (1863-1936)** – ერობაში ალექსეი პავლეს ძე. კიევისა და გალიციის მიტროპოლიტი, საზღვარგარეთ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის დამაარსებელი. 1887 წლიდან პეტერბურგის სასულიერო აკადემიის დოცენტის მოვალეობის შემსრულებელი, 1890 წლიდან – პეტერბურგის სასულიერო სემინარიის რექტორი, 1891 წლიდან მოსკოვის სასულიერო აკადემიის რექტორი, 1902 წლიდან ვოლინისა და ჟიტომირის ეპარქიის ეპისკოპოსი. რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოს წევრი. 234

**ხუბოვი** – პიროვნება დაუდგენელია. 70

**ხუდადოვი-ლომოურისა სოფიო ალექსის ასული** – მწერლისა და პედაგოგის, ნიკო ლომოურის (1852-1915), მეუღლე, ექიმის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის, ნიკოლოზ (ნიკო) ხუდადოვის (1850-1907), და. დაიბადა გორში, სომხური წარმოშობის ოჯახში. 100

**ხუნდაძე სიმონ ირაკლის ძე (1897-1933)** – ლიტერატურათმცოდნე, ისტორიკოსი, სოციოლოგი, ჟურნალისტი, ქართველ სოციალ-ფედერალისტთა ერთ-ერთი ლიდერი. წერილის ადრესატი.

**ხუხუნაიშვილი მირიან მიხეილის ძე** – ლანჩხუთელი მწერალი და გამომცემელი. 74, 75, 76



**ჯანაშვილი მოსე გიორგის ძე (1855-1934)** – საზოგადო მოღვაწე, ისტორიკოსი, ენათმეცნიერი, ეთნოგრაფი, პუბლიცისტი, პედაგოგი. 19, 189, 190, 199  
წერილების ადრესატი

**ჯანაშვილი პავლე** – მეთონე, ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის მუშა. 80

**ჯაყელი დედისიმედი (XVI ს.)** – სამცხის ათაბაგის, ყვარყვარე II-ის, მეუღლე, მზეჭაბუკის დედა. 145

**ჯაყელი ელენე ყვარყვარეს ასული** – სამცხის ათაბაგის, ყვარყვარე II-ის, ქალიშვილი, მზეჭაბუკის და. 145

**ჯაყელი თამარ ყვარყვარეს ასული** – სამცხის ათაბაგის, ყვარყვარე II-ის, ქალიშვილი, მზეჭაბუკის და. 145

**ჯაყელი მზეჭაბუკ ყვარყვარეს ძე (-1516)** – სამცხე-საათაბაგოს ათაბაგი 1500-1515 წლებში, ყვარყვარე II-ის ძე. 1515 წელს ჩამოშორდა პოლიტიკურ ასპარეზს და ბერად აღიკვეცა იაკობის სახელით. 145

**ჯაჯანაშვილი რ.** – პიროვნება დაუდგენელია. 133, 134

**ჯოხთაბერიძე ტროფიმე გიორგის ძე** – პედაგოგი, სოხუმის ტაძრის წინამძღვარი, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ზუგდიდის განყოფილების გამგეობის თავმჯდომარე, ზუგდიდის ოლქის სკოლების მეთვალყურე. 212

## ეოგრაფიულ სახელთა ანოტირებული საძიებელი

აბაშა – 72

**ათონი** – ქალაქი და კურორტი კოლხეთის დაბლობზე, შავი ზღვის სანაპიროზე, გუდაუთის მუნიციპალიტეტში. 156

**ალექსანდრია** – ელინისტური სამყაროს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქალაქი ეგვიპტეში. 21

**ამიერკავკასია** – მომდინარეობს რუსული „ზაკავკაზიე“-დან და ნიშნავს კავკასიონის ქედს მიღმა არსებულს, რაც რუსეთის ხედვას ასახავს. დღეს ფართოდ გამოიყენება უფრო ნეიტრალური ტერმინი – „სამხრეთ კავკასია“. პოლიტიკურად იგი მოიცავს სამ დამოუკიდებელ სახელმწიფოს – საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს. 92

**ართვინის ოლქი** – ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული რუსეთის იმპერიაში. დღეს თურქეთის რესპუბლიკის საზღვრებშია. 193

**აფრიკა** – ატლანტისა და ინდოეთის ოკეანეებით, ხმელთაშუა და წითელი ზღვებით შემოსაზღვრული კონტინენტი. 178

აფხაზეთი – 36, 37, 141, 164, 191

აჭარა – 32, 101, 148

ახალციხე – 21

**ბათუმი** – 21, 72, 78, 89

**ბათუმის ოლქი** – ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული რუსეთის იმპერიაში. შეიქმნა 1878 წელს. მისი დიდი ნაწილი 1921 წლიდან თურქეთს ეკუთვნის. 191, 193

**ბალტა** – ქალაქი ოდესის ოლქში (უკრაინა). 213

**ბანძა** – სოფელი მარტვილის მუნიციპალიტეტში. 209, 212

**ბეთანია** – სოფელი წყნეთის სიახლოვეს. ცნობილია XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე აგებული მონასტრით. 24

**ბერშოეთი // ბერშუეთი (ბერშუეთი)** – სოფელი გორის მუნიციპალიტეტში, მდინარე ბერშუეთის ნაპირებზე. 102, 202, 207, 224, 231

**ბიზანტია** – გვიანი ანტიკური ხანისა და შუა საუკუნეების პერიოდის ბერძნულენოვანი (ძირითადად) სახელმწიფო რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში. დედაქალაქი – კონსტანტინოპოლი. დაეცა 1453 წელს ოსმალების მიერ კონსტანტინოპოლის აღების შედეგად. 192

**ბიჭვინტა (ბიჭვინთა)** – დაბა-კურორტი აფხაზეთში, გაგრის მუნიციპალიტეტში. 163

**ბომბოთი (ბობოთი)** – სოფელი მარტვილის მუნიციპალიტეტში (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე). 184, 185, 188

**გელათი** – სოფელი იმერეთის მხარეში, ტყიბულის მუნიციპალიტეტში. ცნობილია XII ს-ში აგებული ტაძრითა და შუა საუკუნეების ქართული სასულიერო სასწავლებლით – გელათის აკადემიით. 142

**გლდანი** – აქ: სავარაუდოდ, კახეთის სამეფოს ერთ-ერთი ისტორიული რეგიონი. 180

**გორი** – 202

**გორის მაზრა** – რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული. სხვადასხვა დროს შედიოდა სხვადასხვა გუბერნიის (საქართველოს, საქართველო-იმერეთის, ტფილისის) შემადგენლობაში. 160

**გურია** – 81, 190, 192, 193, 215

**დვინი** – შუა საუკუნეების სომხეთის დედაქალაქი. 125

**ევროპა** – აზიასთან ერთად ქმნის ევრაზიის კონტინენტს. 218

**ვალე** – ქალაქი ახალციხის მუნიციპალიტეტში. 144

**ზაქათალა** – ზაქათალის რაიონის ადმინისტრაციული ცენტრი აზერბაიჯანის რესპუბლიკის ჩრდილო-დასავლეთით. 1918-1921 წლებში იყო საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში შემავალი ზაქათალის ავტონომიური ოლქის ცენტრი. 1921 წელს, საბჭოთა რუსეთის მითითებით, კავკასიელმა კომუნისტებმა ქალაქი ზაქათალა, თავის ოლქთან ერთად, საქართველოს უკანონოდ ჩამოაჭრეს და აზერბაიჯანს გადასცეს. 89

**ზედაზენი** – მთა საგურამოს ქედზე, მცხეთის მუნიციპალიტეტში. 147, 155

**ზუგდიდი** – 72, 212

**თბილისი // თფილისი // ტფილისი** – 15, 18, 19, 20, 21, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 35, 38, 43, 44, 45, 47, 49, 51, 54, 55, 56, 58, 59, 60, 61, 63, 64, 65, 67, 68, 71, 72, 74, 76, 80, 82, 84, 89, 93, 97, 99, 104, 106, 110, 115, 122, 155, 160, 176, 177, 178, 180, 183, 200, 202, 204, 205, 206, 207, 208, 209, 211, 215, 216, 217, 224

**თელავი** – 26

**თიღვა** – შიდა ქართლის ერთ-ერთი უძველესი სოფელი. ოკუპირებულია რუსეთის მიერ. 142, 145

**თურქეთი** – ევრაზიის სახელმწიფო მცირე აზიის ნახევარკუნძულზე. 193

**იაპონია** – კუნძულოვანი სახელმწიფო აღმოსავლეთ აზიაში. დედაქალაქი – ტოკიო. 223

**იერუსალიმი** – ისრაელის სახელმწიფოს დედაქალაქი. 178

**ივერია** – გვიანდელი და შუა საუკუნეების ახალი და უახლესი დროის ქართულ წყაროებსა და ლიტერატურაში „ივერია“ იხმარება მთელი საქართველოს აღსანიშნავად. ამასთან, აღმოსავლეთ საქართველოს უწოდებენ ზემო ივერიას, ხოლო დასავლეთ საქართველოს – ქვემო ივერიას. სიტყვა მომდინარეობს „იბერია“-დან. 14, 82, 103, 200

**ილორი** – სოფელი აფხაზეთში, ოჩამჩირის რაიონში. 165

**იმერეთი** – 65, 87, 143, 224

**იმერხევი** – ტერიტორიული რეგიონი ისტორიულ შავშეთში. ამჟამად მოქცეულია თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე. 28

**იტალია** – საპარლამენტო რესპუბლიკა სამხრეთ-დასავლეთ ევროპაში. დედაქალაქი – რომი. 49

**იურევი** – ქალაქ ტარტუს ძველი სახელწოდება (ესტონეთი). 224

**კასპი** – 185

**კახეთი** – 31, 87, 220, 224

**კისლოვოდსკი** – ქალაქი სტავროპოლის მხარეში (რუსეთის ფედერაცია). 207

**კონსტანტინოპოლი** – ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქი (ქალაქის ძველი ბერძნული სახელი იყო ბიზანტიუმი). შუა საუკუნეების განმავლობაში უდიდესი და უმდიდრესი ქალაქი ევროპაში, რის გამოც „ქალაქთა დედოფალი“ შეარქვეს. დღევანდელი სტამბული. 124, 192

**ლესურის ხეობა** (მდინარე ლესურის ხეობა) – მდებარეობს მცხეთა-თიანეთისა და შიდა ქართლის მხარეებში. ადმინისტრაციულად მოქცეულია კასპისა და ახალგორის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე. 185

**ლიხინი (ლიხნი)** – ისტორიული სოფელი გუდაუთის მუნიციპალიტეტში. 163

**მარტვილი** – 142, 184, 191, 199

**მოსკოვი** – რუსეთის ფედერაციის დედაქალაქი. სხვადასხვა დროს იყო მოსკოვის დიდი სამთავროს, რუსეთის სამეფოს, რუსეთის იმპერიის, საბჭოთა რუსეთის, საბჭოთა კავშირის დედაქალაქი. 24, 68, 69

**მოქვი** – სოფელი ოჩამჩირის მუნიციპალიტეტში. ცნობილია X ს-ში აგებული ტაძრით. 141

**მტკვარი** – ამიერკავკასიის უდიდესი მდინარე. სათავეს იღებს თურქეთში და ერთვის კასპიის ზღვას აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. 156

**მუხროვანი** – აქ: სოფელი ქვემო ქართლის მხარის გარდაბნის მუნიციპალიტეტში. 136

**მცხეთა** – 113

**ნიკორწმინდა** – სოფელი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარის ამბროლაურის მუნიციპალიტეტში. ცნობილია XI ს-ის დასაწყისში აგებული ტაძრით. 143

**ნიქოზი** – სოფელი გორის მუნიციპალიტეტში. ზემო ნიქოზისა და ქვემო ნიქოზის ძველი სახელწოდება. 207

**ნოვოსენაკი (ახალი სენაკი)** – დღევანდელი სენაკის ძველი სახელწოდება. 212

**ოდესა** – ქალაქი უკრაინაში, შავი ზღვის სანაპიროზე. 186, 187

**ოზურგეთი** – 89, 222

**ოზურგეთის მაზრა** – ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული რუსეთის იმპერიაში. შეიქმნა 1840 წელს. 1930

ნელს დაიყო ოზურგეთის, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის რაიონებად. 193

**ორიოლი** – ქალაქი ორიოლის ოლქში (რუსეთის ფედერაცია). გაშენებულია მდინარე ოკაზე. 209

**ოსეთი** – ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა. შედის რუსეთის ფედერაციაში. დედაქალაქი – ვლადიკავკაზი. 58

**ოსმალი // ოსმალეთი** – იგივე ოსმალეთის იმპერია. არსებობდა 1299-1923 წლებში. ხშირად მოიხსენიებოდა აგრეთვე, როგორც „თურქეთის იმპერია“. მისი ძლევამოსილების პერიოდში, XVI-XVII საუკუნეებში, იმპერიის ტერიტორია მოიცავდა ანატოლიას, ახლო აღმოსავლეთს, ჩრდ. აფრიკის ნაწილს, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისა და კავკასიის მნიშვნელოვან ნაწილს. 44

**ოტომანთა იმპერია** – იგივე ოსმალეთის // თურქეთის იმპერია. 192, 193

**პალიასტომი** – ტბა ქალაქ ფოთთან. ადმინისტრაციულად მოქცეულია ხობისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე. 192

**პეტერბურგი // სანკტ-პეტერბურგი** – ქალაქი ჩრდილოეთ ევროპაში, რუსეთის ფედერაციის ჩრდილო-დასავლეთით. 1712-1728 და 1732-1918 წლებში იყო რუსეთის დედაქალაქი. 1914-1924 წლებში ერქვა პეტროგრადი, 1924-1991 წლებში – ლენინგრადი. პეტერბურგთანაა დაკავშირებული ქართული კულტურის განვითარების გარკვეული პერიოდი. XVIII საუკუნის 30-იანი წლებიდან აქ დაიწყო ქართველთა ინტენსიური კულტურულ-მეცნიერული მოღვაწეობა. XIX საუკუნის შუა წლებში პეტერბურგის უნივერსიტეტი ერთ-ერთ ყველაზე



მნიშვნელოვან საგანმანათლებლო კერას წარმოადგენდა ქართველთათვის. 30, 45, 54, 60, 127

**პეტრონია // პეტრონისი (პეტრა)** – ისტორიული ციხე-ქალაქი ეგრისის სამეფოში, დღევანდელი სოფელ ციხისძირის ტერიტორიაზე. 535 წელს იუსტინიანეს ბრძანებით იოანე სტრატეგოსს აუშენებია ციხე პეტრა, საიდანაც მომდინარეობს სოფლის სახელწოდება. 191, 192

**პოლტავა** – ქალაქი უკრაინაში. 29

**პონტო** – ელინისტური სამეფო შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე ძვ. წ. 302-64 წლებში. 191

**ყენევა** – ქალაქი შვეიცარიაში. 228

**რაჭა** – 185

**რომი** – იტალიისა და ლაციოს რეგიონის დედაქალაქი. მდებარეობს აპენინის ნახევარკუნძულის ცენტრალურ-დასავლეთ ნაწილში. 20, 39, 44

**რუისი** – სოფელი ქარელის მუნიციპალიტეტში (შიდა ქართლი). 144

**რუსეთი** – მსოფლიოს უდიდესი ქვეყანა, ფლობს აღმოსავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ აზიის უდიდეს ნაწილს. პირველი რუსული სახელმწიფო იყო კიევის რუსეთი. შემდეგ შეიქმნა რუსეთის სამეფო, რომელიც პეტრე დიდის დროს იმპერიად გამოცხადდა. იმპერია შეცვალა საბჭოთა კავშირმა. ეს უკანასკნელი 1992 წელს დაიშალა. 67, 83, 84, 182, 193, 223, 234

**რუსთავი** – 179

**რუხი** – სოფელი ზუგდიდის მუნიციპალიტეტში (სამეგრელოსა და ზემო სვანეთის მხარე). 163

**სამეგრელო** – 167, 170, 171, 181, 184, 185, 188, 190, 191, 192, 193, 209, 210, 211, 213, 214, 215, 216, 222, 224

**სამთავისი** – სოფელი კასპის მუნიციპალიტეტში (შიდა ქართლი). 142, 147, 156

**სამტრედია** – 72

**საფრანგეთი** – დასავლეთ ევროპის ქვეყანა. რუსეთისა და უკრაინის შემდეგ ერთ-ერთი უდიდესია ევროპულ ქვეყნებს შორის. დედაქალაქი – პარიზი. 87

**საქართველო** – 14, 15, 17, 18, 21, 29, 39, 52, 60, 63, 69, 75, 77, 82, 83, 92, 105, 106, 107, 127, 135, 140, 147, 155, 156, 157, 169, 189, 193, 199, 209, 222, 224, 225, 234, 235

**სენაკი** – 72, 188

**სოლოლაკი** – თბილისის ერთ-ერთი უძველესი უბანი. 71, 115

**სომხეთი** – სახელმწიფო სამხრეთ კავკასიის მთიანეთში. ესაზღვრება საქართველო, აზერბაიჯანი, თურქეთი, ირანი. ქვეყნის დიდი ნაწილი შედიოდა ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში. დედაქალაქი – ერევანი. 111, 112, 114, 116, 127

**სოხუმი** – 187

**სპარსეთი** – იგივე ირანი. დედაქალაქი – თეირანი. სახელწოდება „ირანი“ იხმარებოდა სასანიანთა სახელმწიფოს ძირითადი ნაწილის აღსანიშნავად. ირანელები თავიანთ ქვეყანას ამ სახელით მოიხსენიებდნენ, ევროპელებმა კი სპარსეთი შეარქვეს ცენტრალური ოლქის ფარსის, ანუ პარსის, სახელის მიხედვით. 1935 წელს ქვეყნის ხელისუფლებამ მსოფლიოს სახელმწიფოებს მიმართა, რათა იგი მოეხსენიებინათ, როგორც ირანი. 60, 87

**სტავროპოლის გუბერნია** – რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული 1847-1917 წლებში. შეიქმნა ნიკოლოზ I-ის ბრძანებით. ადმინისტრაციული ცენტრი – სტავროპოლი. 89

**ფაზისი** – საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქი. დღევანდელი ფოთი. 191

**ფოთი** – 72, 172, 173, 187, 189, 190, 191, 192, 199, 207, 208, 210, 213, 216

**ქართლი** – 87, 112, 113, 126, 179, 220, 224

**ქუთაისი** – 33, 36, 37, 51, 57, 58, 72, 101, 102, 142, 162, 165, 166, 168, 170, 171, 177, 185, 190, 192, 201, 202, 205, 207, 209, 212, 220, 222, 224, 225, 227, 235

**ქუთაისის გუბერნია** – რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული 1846-1917 წლებში. 43

**ყვარელი** – 63

**შავი ზღვა** – ევრაზიის ერთ-ერთი ყველაზე წყალუბვი სივრცე. 191, 192

**შავშეთი** – მხარე ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. ისტორიული მესხეთის ნაწილი. ამჟამად მოქცეულია თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე. 28, 44, 101

**შემახა** – აზერბაიჯანის დედაქალაქი 1858 წლამდე. თურქმანჩაის ხელშეკრულების შემდეგ დადგინდა ამჟამინდელი საზღვარი აზერბაიჯანსა და ირანს შორის, რითაც ბოლო მოეღო სახანოების მმართველობას. 1858 წლის მიწისძვრის შედეგად დედაქალაქი შამახადან ბაქოში გადაიტანეს. 147

**შირვანი** – ისტორიული ქვეყანა აზერბაიჯანის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროზე. შეადგენდა კავკასიის ალბანეთის ნაწილს. 1124-1239 წლებში შირვანი საქართველოს სამეფოს პოლიტიკური გავლენის ქვეშ იყო მოქცეული. საქართველოში მონღოლთა ბატონობის შედეგად შირვანი საქართველოს სამეფოს ჩამოსცილდა. 147

**ჩულურეთი** – თბილისის ერთ-ერთი ძველი უბანი. 81

**ციხისძირი** – სოფელი შავი ზღვის სანაპიროზე, ქობულეთის მუნიციპალიტეტში. მის ტერიტორიაზე მდებარეობდა ეგრისის სამეფოს უძველესი ციხე-ქალაქი პეტრა. 191, 192

**წალენჯიხა** – 203

**წრომი** – სოფელი შიდა ქართლის მხარის ხაშურის მუნიციპალიტეტში. 147, 156

**ჭიათურა** – 34

**ჭოროხი** – მდინარე საქართველოსა და თურქეთში. მიედინება აჭარის ტერიტორიაზე. სათავეს იღებს ოქუს-ბადადალის მთებში. ბათუმთან უერთდება შავ ზღვას. 148

**ხაშური** – 72

**ხერსონესი** – ბერძნული ქალაქ-სახელმწიფო ძვ. წ. V საუკუნეში. 191

**ხერსონი** – ქალაქი სამხრეთ უკრაინაში, ხერსონის ოლქის დედაქალაქი. 209

**ხვედურეთი** – სოფელი ქარელის მუნიციპალიტეტში. ზემო ხვედურეთისა და ქვემო ხვედურეთის ძველი სახელწოდება. 207

**ხიხათა** – მთა რაჭის ქედზე. ტერიტორიულად მოქცეულია ონისა და საჩხერის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე. 101

**ხონი** – 72, 184

**ხულო** – თვითმმართველი ერთეული აჭარაში. 68

## ზაქარია ჭიჭინაძის წერტილების ძირითადი ენობრივი თავისებურებები

ზაქარია ჭიჭინაძე (1853-1931) „ქართველ მეცნიერ-ისტორიკოსთა ეპისტოლური მემკვიდრეობის“ I ტომში შესულ ავტორთა – პლატონ იოსელიანისა (1809-1875) და დიმიტრი ბაქრაძის (1826-1890) – შესაბამისად შვილიშვილთა და შვილთა თაობას განეკუთვნება. პლატონ იოსელიანის დაბადების წელს ის დაახლოებით ორი თაობით, ხოლო დიმიტრი ბაქრაძის დაბადების წელს დაახლოებით ერთი თაობით ჩამორჩება. მე-19 საუკუნის სასაუბრო ენაზე დაკვირვება (და ამის საშუალებას გვაძლევს სწორედ პირადი წერილები) სხვადასხვა თაობის წარმომადგენელთა ხელიდან გამოსული მასალის მიხედვით, ვფიქრობთ, ძვირფას მასალას მოგვცემს ქართული ენის ისტორიისათვის.

წინამდებარე კვლევის ობიექტს წარმოადგენს ზაქარია ჭიჭინაძის ეპისტოლური მემკვიდრეობა, რომელიც 77 წერილს მოიცავს. მათი ქრონოლოგიური ჩარჩო ფარავს 1880-1931 წლებს. თავიდანვე აღვნიშნავთ, რომ ენობრივად წერილები საკმაოდ მოიკოჭლებს. აქ უხვად შევხვდებით სინტაქსურად გაუმართავ ფრაზებს, ტავტოლოგიის მაგალითებს, ერთმანეთთან ენობრივად არასწორად დაკავშირებულ სიტყვებსა თუ ფრაზებს და ა. შ., რაც ავტორის დაბალ წერით კულტურაზე მიგვანიშნებს. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ავტორი წერილებს ჯერ შავად წერდა, წერის პროცესში წინადადების ყალიბს ცვლიდა ისე, რომ უკვე დანერგულს არ შლიდა გადათეთრების იმედით, მაგრამ ადრესატამდე მისული წერილები (რასაც ხელნაწერზე მათი ან მათი ოჯახის წევრების მინაწერები ადასტურებს) ამ ვარაუდს გამოგვარიცხინებს. როგორც ჩანს, ავტორი ყურადღებას არ აქცევდა წერილის ენობრივ მხარეს, მისთვის მთავარი იყო არა ფორმა, არამედ შინაარსი, ანუ სათქმელი, რომელსაც ის წერილებში გადმოსცემდა.

ეს სათქმელი კი წერილების აბსოლუტური უმრავლესობისთვის საერთოა – ეს არის ამა თუ იმ პირისადმი რო-

მელიმე წიგნის გამოცემაში ხელშეწყობის, ან სხვათათვის დახმარების თხოვნა: ვისთვის სამუშაოს ითხოვს, ვისთვის – ციხიდან განთავისუფლებას, ვისთვის – სტიპენდიას, ვისთვის – ფულად შემწეობას, ვისთვის – წიგნებს, ვისთვის – რას და ვისთვის – რას. ამ დროს თვითონ უკიდურესად უჭირს, ხშირად იცვლის ნაქირავებ ბინებს, ფეხსაცმელი დახეული აცვია და შიგ წყალი შესდის, წაღების დასახსნელი ფული კი არა აქვს, ერთი ოთახის მეტი არ გააჩნია, ისიც ნაქირავები და ისეთი, „შიგ ძალი არ შეიგდება“. სტუმარი თუ მიუვა, თვითონ იატაკზე უნდა დაწვეს, დედაქალაქიდან თუ წავა, უკან დასაბრუნებელი ფული უნდა ისესხოს, ან მოვალეს თანხის დაბრუნება მოსთხოვოს, მაინც სხვების დარდი აქვს, მათთვის აწუხებს თანამდებობის პირებს. თხოვნას რამდენჯერმე იმეორებს ერთსა და იმავე წერილში, თან ადრესატებს ანამუხებს – „მეტი თხოვნა თქვენთან / შენთან საჭირო არ არისო“.

ეს განმეორებითი თხოვნები ამძიმებს წერილის ენას და ტექსტს მოსაბეზრებელს, ძნელად მოსასმენს ხდის. ფრაზას – „შენთან ერთი დავალება მაქვს და იმედია, რომ ამ დავალებას უყურადღებოთ არ დასტოვებთ“ – უხვად შევხვდებით ზაქარია ჭიჭინაძის წერილებში. თხოვნის შემცველი ტექსტების გარდა, ავტორს სხვა ფრაზების გამოორებაც ახასიათებს. მაგ., ანტონ ფურცელაძეს სწერს: „გაძლევ პატიოსან სიტყვას, რომ მესამედ მალე გამოვსცემ, მხოლოდ ეს გამოვიდეს. გამოსვლის შემდეგ ნახეთ ეს წიგნი, გადიკითხეთ, გინდ მიუმატეთ და ისე გამოვსცემ, როგორც თქვენ ისურვებთ. ჩემზედ ცუდს ნურას ფიქრობთ, ამით სტყუვდებით, მე თქვენი არაფერი შური მაქვს, ამიტომ გიგზავნი თქვენ ერთ წიგნს გადამინჯეთ, გაასწორედ, მიტომ რომ უნდა გამოვსცე. გიმეორებ კვალად, რომ მესამედ გამოვსცემ მოურავს მალე.“ კირილე ლორთქიფანიძეს კი სწერს: „მაშინათვე გადავარჩევ და გაახლებთ უსათუოდ. ეს გახდა მიზეზი, ამ ათი დღის განმავლობაში უსათუოდ გამოგიგზავნით სხვა ახალ წიგნებთან ერთად გამოგიგზავნით.“

წერილების ენობრივ ანალიზს ორთოგრაფიის მიმოხილ-

ვით დავინყებთ. ამ მხრივ, ისევე როგორც მე-19 საუკუნის სხვა ანალოგიურ ტექსტებში, არაერთგვაროვანი სურათი გვაქვს. ერთი და იგივე ლექსიკური მონაცემი ხშირად სხვადასხვა დაწერილობით დასტურდება. ტექსტებში ჩვენ ბოლომდე დავიცავით ავტორისეული ორთოგრაფია. ეს ეხება როგორც კომპოზიტიური აგებულების სიტყვებს, ისე უცხოენოვან, განსაკუთრებით კი რუსული ენიდან ან რუსულის გზით შემოსულ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც უმეტესად რუსული ორთოგრაფიით არის მოცემული: ბიბლიოტეკა, არხივი, არხეოლოგიური, რეკტორი, აკტი, დოკტორობა და ა. შ.

ჩვენს წერილებში ხშირად შევხვდებით კომპოზიტთა ასეთ დაწერილობებს: „აქეთ იქით“; „წერა კითხვაც იცის“; „საადგილ მამულო სამართველოს“; „მით მომცეთ ღონის ძიება“; „თქვენი კაცთ მოყვარე გული“; „ერთათ ერთ ჩემს თხოვნას.“ „შენი ცოლშვილის სადღეგრძელოთ.“ „გონება გახსნილები ჰყვანდესთ“; „ხუთ ნაირი წიგნი“; „სხვა ფრივ დავშთები“; „სხვა ფრივაც შესანიშნავი მოსწავლეა“; შდრ.: „სხვაფრივ მენატრება თქვენი მშვიდობით ყოფნა“.

ამ პერიოდის ტექსტებში კი ნაწილაკი ენკლიტიკის სახით ხშირად მიეზმის წინამავალ სიტყვას. „ცალიკი“; „დიდის მონწნებითკი.“ ამ შემთხვევაშიც გამოცემაში შენარჩუნებულია ავტორისეული ორთოგრაფია.

რიგობითი რიცხვითი სახელების ჩაწერა არაბული თუ რომაული ციფრებით არ მიჰყვება ერთიან წესებს. მაგ., არაბულ ციფრს რიგობითობის გამოსახატავად შეიძლება არ ახლდეს სათანადო აფიქსი: „თელავის სასულიერო სასწავლებლის 4 კლასის მოწაფე“; „ამ ბარათის მომტანი სემენარიის 5 კლასელია“. ან პირიქით: რომაულ ციფრს ერთვოდეს რიგობითობის მანარმოებელი პრეფიქსი, თანაც, დეფისის გარეშე, მაგ.: „მე XVIII საუკუნეში ჩემს გუჯრებში სჩანან ძმები.“

არსებითი სახელი ეკლესია ძველი ქართულის ორთოგრაფიას მიჰყვება და ორი კ-თი წარმოდგება: „ეკკლესიის დეკანოზი“; „ეკკლესიაში მსახურებდა“.

**ფონეტიკური პროცესებიდან** გამოვყოფთ:



**ბგერის დაკარგვას** თანხმოვანთკომპლექსებში:

**ლმნ > მნ:** „მონყალეო ხემნიფევ.“

**ბრძ > ბძ:** „არხე[ო]ლოგიურს სიეზდზე ხომ არ მობძანდებით?“ „დაე ბძანდებოდენ ასე.“

**გრძ > გძ:** „თუ „ცეცო“ს ძალიან არ გააგძელებ“; „თქვენი მშვიდობით ყოფნა და დღეგძელობა“; შდრ.: „შენი კარგათ ყოფნა და დღეგრძელობა.“

**ზრდ > ზდ:** „სამადლოთ იზდება“; „ქართული წიგნებით აღზდილი“; „ახალგაზდებს ხელი მისცე“;

**ვშვ > ვშ:** „იაშიკია სავსე საბავშვო წიგნებით“; „საბავშვო წიგნები და სხვანი.“

ანლაუტში ხშირად იკარგება **მ** თანხმოვანი: „ჩემი დგმურის შვილია“; „აქა დგას, ჩემს სახლში დგმურათ“; „გონი რუსულში“; „ღმერთმა შვიდობა მიანიჭოთ“.

იკარგება **ვ** თანხმოვანი:

თანხმოვანსა და ხმოვანს შორის პოზიციაში: „გაჭირებულ ყმანვილკაცის“; „ძალიან გაჭირებაში იმყოფება“.

ხშირია ორი ერთნაირი თანხმოვნოდან ერთის დაკარგვა, რაც დისიმილაციის ნიადაგზე აიხსნება:

**თთ > თ:** „თვით ამათვის შეადგენს დიდს საჭიროებას“;

**მმ > მ:** „ჩვენს „წერა-კითხვის სამართველოში“; „იმედი მაქვს, შენიც მართებს მე“; „მე თხოვნით მომართეს“. ბოლო ორ მაგალითში დაკარგულია | ობიექტური პირის ნიშანი **მ**.

**სს > ს:** „პირველათ ხაშურში გავმართე, მის მერე ქუთაის“; ამ მაგალითში დაკარგულია მიცემითი ბრუნვის ნიშანი.

დისიმილაციის მიზეზითვე იკარგება | სუბიექტური პირის ნიშანი ბაგისმიერი ბგერის წინ: „შეგროებას შეუდექი“; „ეხლა წიგნების ბეჭდვას შეუდეგი“; შდრ.: „მეც უარი ვერ ვუთხარი.“

გამოვლინდება აგრეთვე ამავე პირის ნიშნის დაკარგვის ფაქტები ანლაუტში თანხმოვნ(ებ)ის წინ: „დღეის შემდეგ თავისუფლდები“; „უმეტეს აქეთ იქით მგზავრობდი“.

იკარგება რაოდენობით რიცხვით სახელზე დართული -**ვე** ნაწილაკის ხმოვნითი ელემენტი: „მოგართმევთ **ორივ** ამ წიგნის თითო ცალს თავაზით“.

ხმოვნის წინ იკარგება **გადა** ზმნისწინის ბოლოკიდური ხმოვანი: „შენ შენი ვალი ჩემს წინაშე **გადიხადე**“; „ეხლავე **გადიხდის**, დანარჩენსაც დროზე **გადიხდის**“; „ფულიც **გადუდვიათ**“; „**გადიკითხეთ**“.

ბოლო მარცვლის ხარჯზე სიტყვათა შემოკლების შემთხვევები გვაქვს შემდეგ მაგალითებში: „**გენაცვა** ყველა ეს წიგნები დროით გარდაეცით“; „შენ **გენაცვა**“; „აქამდის ფული ვერ **მივე**“; „ნება **მივე** ჩემს თავს“.

იკარგება **რგ** თანხმოვანთმიმდევრობა ზედსართავ სახელში „**კარგი**“: „**კაი** სტამბაში დაიბეჭდება და **კაი** ქალაღზედ.“

ბგერის დაკარგვის სასპირისპიროდ, ტექსტებში შეინიშნება ამა თუ იმ ბგერის შენარჩუნების ტენდენცია ისეთ შემთხვევებში, სადაც დღეს ის უკვე დაკარგულია. მაგ., ზაქარია ჭიჭინაძე **ვ** თანხმოვანს ინარჩუნებს **თავ** ფუძის შემცველ ნაწარმოებ სიტყვებში: „ამის თავოსნობით არის გაკეთებული“; „ჩვენში ასეთი თავობა გაჩნდებოდა“.

**რ** თანხმოვანია შენარჩუნებული საურთიერთო ნაცვალსახელის ფუძეში: „არეულია **ერთმანერთში**“.

კომპოზიტი დაცულია ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის **ს** ელემენტი **შ** თანხმოვნის წინ: „მამულისშვილობას.“

მრავლობითობის -**თ** სუფიქსი შენარჩუნებულია სიტყვაში **ტანსაცმელი**: „ცუდათ მეცვა **ტანთსაცმელი**.“ ასევე მოქმედებითი ბრუნვის ნიშნის **თ** ელემენტს ვხვდებით სიტყვაში **ხელნაწერი**: „მოვიპოვეთ ერთი **ხელთნაწერი** წიგნი“; „**ხელთნაწერის** ჩამატება“; „**რაც ხელთნაწერია** დამატება“.

**ქმნა** ზმნა გვიჩვენებს **მ** თანხმოვანს ისეთ შემთხვევებში, სადაც დღეს, ჩვეულებრივ, **ქნა** გამოიყენება: „თუ თქვენი სურვილი **იქმნება**“; „თუ ამის წინა[ა]ლმდეგი არ **იქმნებით**“; „**გამოცემა** მეტის მეტი სუფთა **იქმნება**.“

ტექსტებში ხშირია **ბგერის განვითარების** შემთხვევები.

ძირითადად, ეს **ვ** და **მ** თანხმოვნებს შეეხება: „დაახლოვებით კი არა“; „დაახლოვებული და გონება გახსნილები ჰყვანდესთ“; „თუთუნის ქარხანაში მუშავობდა“; კურტს ქვეშ მუშავობს“; „მსწავლულთ ნაწერებთა“; „თავის შრომის მხვედრს“; „წერა-კითხვის მწვერნი“; „საზოგადოების მწვერთ სთხოვე“ და სხვ.

**მ** თანხმოვანს ვხვდებით სიტყვაში **საზღვარი ზ** თანხმოვნის წინ: „სამზღვარ გარეთ ყოფილი“; „მოსამზღვრე მეზობლები.“

**ვ** თანხმოვანი ენაცვლება **უ** ხმოვანს თანხმოვანსა და ხმოვანს შორის პოზიციაში: „გაითქვას იაფ საშვალეებით“.

კუმშვა-კვეცის ფონეტიკური პროცესის ნაწილში აღსანიშნავია შემდეგი:

-**ე** ხმოვანზე დაბოლოებული არსებითი სახელები **-ებ-**იან მრავლობითში ზოგჯერ ერთ **ე**-ს იკვეცენ: „ქართველ **კათოლიკების** საქმის შესახებ არის ჩამოსული, სომხის **კათოლიკები** ქართულს ენაზე წირვა ლოცვის ნებას არ აძლევენ“; მისგან ამ **დღებში** მივიღეთ წერილი“; „ამ **დღებში** ერთი ძველი წიგნი მომიტანეს კიდევ“. შდრ.: „მისგან ამ **დღეებში** მივიღეთ წერილი“.

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი **რაღაცა -ებ-**იან მრავლობითში უკვეცელი ფორმით არის მოცემული: „ულაპარაკნიათ თქვენზედ **რაღაცაები**.“ ნაცვალსახელები **ეს, ის -ებ-**იანი მრავლობითის ირიბ ბრუნვებში ფუძისეულ ხმოვანს არ იკვეცენ: „სულ **ამაებში** ჩავყარე“; „**იმაებთან** ერთათ მოგართმევთ“.

**ასიმილაცია** ცოცხალ სასაუბრო მეტყველებაში ფართოდ გავრცელებული ფონეტიკური მოვლენაა. რამდენადაც წერილები ასეთ მეტყველებას ეყრდნობა, ამ პროცესის ამსახველი ფაქტები ხშირია ტექსტებში. ზოგიერთი ასეთი ფაქტი სალიტერატურო ენაშიც აისახა (**ით-გან > იდ-გან**).

კონტაქტური ასიმილაციის მაგალითებია:

**ღტ > ხტ**: „საზოგადოება **ახტაცებაში** მოვიდა.“ შდრ.: „დიდის **აღტაცებით** ისმენდენ“; „**აღტაცებულ** ვიყავ“;

**ლს > ხს:** „ბაირახს და იარალს“. როგორც ვხედავთ, მეორე მაგალითში ასიმილაცია არ ხდება.

**ხდ > ხთ:** „ბოდის მოხთას“.

**თგ > დგ:** „რომიდგან, კათოლიკის ბერი მიხეილ თამარაშვილი ისტორიულს წიგნებს ითხოვს“; „ვინაიდგან ვიცოდი საქმის ვითარება“; „ვინაიდგან იცით კარგად ყოველივე“.

დისტანციური ასიმილაციის მაგალითებია:

**ს-ჯ > შ-ჯ:** „გადაშინჯეთ, გაასწოროდ“; „სხვებიც მაქვს გადაშინჯული“; „სია გადაშინჯეთ“.

**შ-ბ > შ-ფ:** „ორშაფათს წარვადგენ“; „მომიხერხე ორშაფათს.“

ხმოვნის ასიმილაციის შედეგია **გამო** ზმნისწინში **ო** ხმოვნის **ა**-თი შეცვლა: „**გამამირთვი** და მომე ჩემი ოხრები“; „წიგნი უნდა **გამამეგზავნა**“. ხმოვანთა ასიმილაციასთან გვაქვს საქმე შემდეგ მაგალითშიც: „ნამუშავარი მიიღოს“; „სტამბაში ნამუშავარია“.

ზემოთ ბგერის დაკარგვის ფონეტიკურ მოვლენაზე საუბრისას შევეხეთ **დისიმილაციასაც**, როგორც გარკვეულ შემთხვევებში ბგერის დაკარგვის გამომწვევ მიზეზს. დისიმილაციური დაკარგვის გარდა, წერილებში ვხვდებით კონტაქტური დისიმილაციის ნიმუშებსაც.

თანხმოვანთა კონტაქტური დისიმილაციის მაგალითია:

**ფშ > შშ:** „ქე[ი]შშიაც.“

ხმოვანთა დისიმილაციის ნიმუშებია:

„ბაქრაძე ბათუმისკენ **გიახლა**თ“; „ამ დღე[ე]ში **გიახლებით**“.

წერილებში დასტურდება მეტათეზისის ფონეტიკური პროცესის ამსახველი ფაქტებიც.

საურთიერთო მეტათეზისის ნიმუშებია:

„ობლობამ წელს **ძრიელ** შეარყია მისი საქმე“; „**ძრიელ** ლატაკია.“

სუბსტიტუციის ნიმუშებია:

**ზ>ძ:** „**განძრახ** მოველ თქვენსას“; „თქვენის კეთილის **განძრახვისა**“; „ისეთი **განძრახვა** აქვს“.

აუსლაუტში ყრუვდება ვითარებითი ბრუნვის ნიშნის თანხმონითი ელემენტი: „გამოიცემა სუფთათ, კოხტათ“; „სახალხოთ კი გამოდგეს“; „დამითმოთ გამოსაცემათ“; შდრ.: „გამოსაცემად ხელის მონერა გავმართე“.

-ვა კომპლექსის -ო-თი ჩანაცვლების შემთხვევა გვაქვს შემდეგ მაგალითებში: „სირცხვილიც არის, რომ შენ ამაში ფული გამოგართოთ“; „მე რომ ლოგინი წავართო“; „გლახებს უთქომთ“.

**მორფოლოგიის სფეროდან** აღსანიშნავია შემდეგი:

გვხვდება II პირის ნაცვალსახელის თანდებულობის მოქმედებითის ფორმა: „**თქვენ[ი]დამ** დაკლებულს წიგნებს.“

III პირის ნაცვალსახელი მრავლობითი რიცხვის ირიბ ბრუნვებში -თან-იანის პარალელურად -ებ-იან წარმოებასაც გვიჩვენებს: „ესენი დაიბეჭდება თუ არა **ამებსაც** მოგართმევთ“; „სულ **ამაებში** ჩავყარე“.

პირდაპირი წყობის თანხმონიშნავი მსაზღვრელი საზღვრულს ხშირად სრულად ეთანხმება მიცემით და ნათესაობით ბრუნვებში: „**თქვენ[ი]დამ** დაკლებულს წიგნებს“; „წინანდელს მწერლებზე“; „**თქვენგან** დანერილს ფრანცუზულს წიგნებში“; „**არხე[ო]ლოგიურს** სიეზდზე“; „**დიდის** გულის მოდგ[ი]ნებით“; „**თქვენის** კარგის საქმეების მცოდნე“.

გვაქვს ხმონიშნავი მსაზღვრელის მიცემით ბრუნვაში საზღვრულთან სრული შეთანხმების მაგალითიც: „ამ მოკლეს ხანში.“

ამის საპირისპიროდ, არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ატრიბუტული მსაზღვრელი სახელობითში, მოთხრობითში, ნათესაობითსა და მოქმედებითში ფუძის სახით არის წარმოდგენილი: „**მის** გავრცელება“; „**მის** გახსენება“; „რათა **მის** დახმარებით გამოვსცე“; „აღარ იყო საჭირო **ისეთ** ხალხმა სვა“; „**ასეთ** წერილის მონერას“; „**გაჭირებულ** ყმანვილკაცის“; „**ქართველ** სპარსელების შესახებ“; „**იაფ** საშვალებით“; „**ჩემ** მხრით ორს თუმანს შემწეობად იმედოვნებდე“ და სხვ.

მოქმედებით ბრუნვაში მდგარ საზღვრულს ატრიბუტული მსაზღვრელი ნათესაობითის ფორმითაც შეეწყობა:

„ყვავილიანის ასობით“; „თქვენის საქმით“; „ერთის თხოვნით“; „შემდეგის... წიგნებით“.

სახელი გავრცობილი სახით შეიძლება წინადადების ბოლოსაც დადასტურდეს: „ბიბლიოტეკების „კატალოგები“ ივერი[ის] მონატრისაცა და სხვა და სხვა კერძო პირებისაცა“; „რომლის შესახებ უფ. დ. ბაქრაძემაც იცის და კავშირიც აქვს ჩემთანა.“ „წინანდელს მწერლებზე მე ვერაფერი შევიტყვე, ვერც საქართველოს ისტორიებიდამა; ვერც გუჯრებიდამა, ვერც ეკლესიების ნაწერებიდამა.“

თანდებულთა ხმარებასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს შემდეგი:

მიცემით ბრუნვაში შემორჩენილია **-ზედ** თანდებული: „ბინაზედ“; „მასზედ“.

მოქმედებით ბრუნვაში ხშირად იხმარება **-დამ** თანდებული (სადაც **-დ** მიღებულია **თგ>დგ>დ** ფონეტიკური პროცესების შედეგად): „წინანდელს მწერლებზე მე ვერაფერი შევიტყვე, ვერც საქართველოს ისტორიებიდამა; ვერც გუჯრებიდამა, ვერც ეკლესიების ნაწერებიდამა“.

ამავე ბრუნვასთან დაცულია **-გან** თანდებულიც: „რომიდგან, კათოლიკის ბერი მიხეილ თამარაშვილი ისტორიულს წიგნებს ითხოვს.“

**-გან** თანდებული დაერთვის ადგილის ზმნიზედასაც: „აქედგან გაძევებულია“; „თქვენი აქედგან გარდახვენა“.

ერთ შემთხვევაში თანდებული **შესახებ** სახელობითი ბრუნვის ნიშანს დაირთავს, რითაც კარგავს თავის პირვანდელ მნიშვნელობას და ზედსართავ სახელს უახლოვდება: „საქართველოს შესახები წიგნები.“

დროის ზმნიზედა **წინათ** წარმოდგენილია **წინეთ** ვარიანტის სახით: „რომლებიც ამას **წინეთ** გამოგიგზავნეთ“; „ამ ორი წლის **წინეთ**“; „ამ ერთი კვირის **წინეთ** წერილი მოგწერეთ“.

დროის ზმნიზედა **მაშინვე** მოცემულია **მაშინათვე** ფორმით: „**მაშინათვე** გადავარჩევ“; „**მაშინათვე** გამოგიგზავნით“.

ზმნის მორფოლოგიის სფეროში, განსახილველი ტექსტები, რომელთა ნაწილი მე-20 ს-ის პირველი ათწლეულებშია დაწერილი, მიჰყვება მე-19 ს-ის ანალოგიურ ტექსტებს, კერძოდ:

ხშირია პირის ნიშანთა უფუნქციო გამოყენების ნიმუშები. მაგალითად:

ერთპირიან ზმნებთან თავს იჩენს **ს-** პრეფიქსი: „სჩანს, რომ ჩვენში მხედრული მეცამეტეში შემოუღიათ“; „იტალიაში სცხოვრებენ“; „დღეს ერთს საქმეზე სდგას“; შდრ.: „აქა დგას“.

**ს-** პრეფიქსი ორპირიანი გარდამავალი ზმნების III პირის ფორმებშიც აქტიურად გამოიყენება: „ესეც შეიძლება რომ გამოვსცე“; „სია შემიდგინოს იმ წიგნების რასაც ეგ ჩემზედ სთვლის“.

ორ- და სამპირიან ზმნებთან ხშირია **-ვს** პირის ნიშანთა კომბინაცია: „შენს ადრეს მივსწერ“; „ეს საქართველოს გეოგრაფია უნდა გამოვსცე და ამიტომ ვსთხოვ დახმარებას.“

ზოგჯერ ზმნაში ირიბი ობიექტის მრავლობითობის აღმნიშვნელი **-თ** სუფიქსის წინ დაცულია III სუბიექტური პირის ნიშანი **-ს**: „სურვილი გაქვსთ შეძენის“; „ჩემი წიგნების თუ რამე გაქვსთ.“

პირის ნიშანთა უფუნქციო გამოყენების საპირისპიროდ შეინიშნება პირის ნიშანთა დაკარგვის ფაქტი, კერძოდ, III ირიბობიექტური პირის ნიშანი არ არის წარმოდგენილი შემდეგ მაგალითებში: „იმერეთი გავს საფრანგეთს... ქართლი და კახეთი... გავს ნამდვილ სპარსეთს.“

უწყვეტელსა და წყვეტილში III სუბიექტური პირისა და რიცხვის ნიშნად გამოყენებულია **-ენ** სუფიქსი **-ნენ** სუფიქსის პარალელურად: „რომელნიც ხანდისხან ბოროტად და უკადრისად ხმარობდენ თქვენს სახელს“; „თქვენს წინ აღმოსწინდენ ზოგიერთები“; **-ნენ** და **-ენ** მორფემები შეიძლება მონაცვლეობდნენ ერთ ფრაზაშიც: „რისთვის გაიქცნენ და მერე... კაცი გამოეგზავნათ... ხომ არ იცით, თუ ის 800 კომლი რათ გაიქცენ“.

ქონა ზმნა უწყვეტელში პრეფიქსულ წარმოებას გამო-  
ავლენს: „არც მოლოდინი **მაქვნდა**“; „რის იმედიც **გვაქვნდა**“;  
„არაფერი ვალი **მაქვნდა**“; „მათ ჩემზედ დაკარგვის შიში არ  
**აქვნდესთ**“.

**ყავ** ფუძეს I სერიის მწკრივებში ენაცლება **ყვან** ფუძე:  
„გონება გახსნილები **ჰყვანდესთ**.“

ტექსტებში ვხვდებით თემის ნიშანთა მონაცვლეობის  
შემთხვევებს: **-ობ** თემის ნიშანი ცვლის **-ებ** თემის ნიშანს:  
„თქვენ წარსულს წინ ვერ გაუსწრობენ“; „კვლავ აპირობს...  
მუშაობას“.

ან პირიქით, **-ებ** ცვლის **-ობ**-ს: „იტალიაში სცხოვრებენ.“

**-ავ** თემის ნიშნის ნაცვლად გამოყენებულია **-ამ** თემის  
ნიშანი: „ამიტომ გწირამ განუსაზღვრელ მადლობას.“

დასტურდება საპირისპირო მოვლენაც, როცა **-ამ** თე-  
მის ნიშნის ნაცვლად ნახმარია **-ავ** თემის ნიშანი: „დიდს მად-  
ლსკი უზავთ“.

ფუძემონაცვლე ზმნასთან **-ავ** თემის ნიშანია გამოყე-  
ნებული: „მე შეგიკრებავთ ყოველივეს.“

იგივე თემის ნიშანი გვხვდება უთემისნიშნო ზმნასთან  
სწორი ფორმის გვერდით ერთ წინადადებაში: „მაშინ **დავსწერ**  
ასე თუ არა და თქვენ როგორც მოისურვებთ ისე **დავწერავ**.“

I თურმეობითში **-ავ** თემის ნიშანს ენაცვლება **-ია** და-  
ბოლოება: „თუ არ შეგიკრებიათ და თუ სურვილი გაქვსთ შე-  
ძენის, გთხოვთ მაცნობოთ და მე შეგიკრებავთ“.

ტექსტებში გვხვდება ფსევდოგრამატიზებული დაწე-  
რილობის ნიმუშებიც, კერძოდ, აუსლაუტში სუბიექტის ან  
ობიექტის მრავლობითობა გამოხატულია **-დ** მორფემით, ნაც-  
ვლად **-თ** მორფემისა: „თუ კიდევ გინდათ ისიც მიუმატედ და  
ამავ მოწაფე მაჭავარიანს გამოატანედ“; „თქვენ რომ ირბახის  
გვარის გამოცვლაზედ ლაპარაკობდ“; „რომელიც მე დამინიშ-  
ნედ“; „რა დაგემართად ასე გაზარმაცებისთვის“; „ლაპარაკი  
ჰქონიად“; „კაი ოჯახი ჰქონიად“;

**-დ** თავს იჩენს ზნიზედაშიც: „ამას წინედ“.

**ე**- პრეფიქსიანი დინამიკური ვნებითის გვარის ზმნა II



თურმეობითში მეშველზმნიან წარმოებას გვიჩვენებს, ნაცვლად ორგანულისა, რაც დღეს ზოგიერთ დიალექტში შეინიშნება: „ისე შევწუხდი, რომ თქვენ **დაგმართვიყოთ** რამე, მე მას შემდეგ სულ სხვა საქმეზე უნდა გადავსულიყავ.“

აღწერილი ფორმით შეიძლება მოქმედებითი გვარის ზმნის შინაარსიც გადმოიცეს: „რომელიც თქვენ თითქმის თქვენის სახელის მოუწერლობის გამო **დავინწყებულ ჰყავით.**“

-ია დაბოლოებიანი სტატიკური ზმნები -იან დაბოლოებასაც გამოავლენენ: „მე არ **შემიძლიან**“; „ვუჩინოსაც **შეუძლიან** რამე“.

ზაქარია ჭიჭინაძე იყენებს **გჭირდება** ზმნის სტატიკური ვნებითი გვარის ფორმას: „მომამის“ ნომრები თუ კიდევ **გჭირიათ**; „მას **სჭირია** შაბამანი“; „ერთი შენი წიგნი ძრიელ **მჭირია**“; „ბევრი **არამჭირია** რა“.

**სვლა** ზმნა აორისტში **ველ** ფუძით არის მოცემული: „შინ **წაველ**“; „განძრახ **მოველ** თქვენსას“.

**უნდა** ზმნა დინამიკური ვნებითი გვარის ფორმასაც გვიჩვენებს ანმეოს მწკრივში: „მეორე წიგნის ბეჭდვას **600 მ. უნდება.**“

**ვისმენ** ფორმის ნაცვლად გამოყენებულია **ვსმენულობ**, რომელსაც პირველ ფორმასთან შედარებით უფრო დინამიური შინაარსი ახლავს: „თქვენს მამობრივს საუბარს **ველარ ვსმენულობთ**“.

ვხვდებით ოთხპირიანი ზმნის გამოყენების ნიმუშებს: „ტულუშისაც **გამომირთვით**“; „**გამამირთვი** და მომე ჩემი ოხრები.“

**დალა** ზმნის წარსული დროის ვნებითი გვარის მიმღეობა -**ულ** სუფიქსით არის ნაწარმოები და ძირიც გაშლილი ფუძით არის მოცემული: „**დალალული** თქვენთან ვერ დავრჩი.“

**ბეჭდვა** ზმნის მომავალი დროის ვნებითი გვარის მიმღეობად გამოყენებულია **დასაბეჭდავით** და არა **დასაბეჭდად**: „**დასაბეჭდავით** მოამზადებთ.“

გვხვდება **ხსოვნა** ზმნის საშუალო გვარის მიმღეობა: „მუდამ ვიყო მისი **მახსოვარი**“.

გამოიყენება ამავე ზმნის მოქმედებითი გვარის მიმღეობური ფორმაც: „შენი სიკეთის **დამხსომებელი**“; „თქვენი კეთილი დავალების **დამხსომებელი**“.

სინტაქსის სფეროდან გამოსაყოფია შეთანხმების საკითხები:

მხოლოდით რიცხვში მდგარ ქვემდებარეს ზმნა-შემასმენელი ზოგჯერ მრავლობითი რიცხვის ფორმით შეეწყობა: „უმალლესმა **მთავრობამკი** ამის მიზეზებიც არ **იციოდენ**“.

მრავლობითის ფორმით არის მოცემული უთვლადი რაოდენობითი რიცხვითი სახელით გადმოცემული ქვემდებარე და მასთან შეწყობილი შედგენილი შემასმენლის სახელადი და ზმნური ნაწილები: „**ბევრნი** ისე **არიან** ამისაგან **აღელვებულნი**.“

კრებითი სახელით გადმოცემული ირიბი დამატებაც ზმნა-შემასმენელს მრავლობით რიცხვში შეიწყობს: „თქვენი ნახვა **უნდათ** ძრიელ ბევრს **ხალხს**.“

ზოგჯერ მრავლობითში მდგარ ირიბ დამატებას ზმნა-შემასმენელი რიცხვში არ ეთანხმება: „კათოლიკის **მღვდლებს** უფლება **არა აქვს** პოლიტიკაში ჩარევის“; შდრ.: „კათოლიკეთა **მღვდლებს** არა **აქვსთ** ნება პოლიტიკაში ჩარევის“.

-**ნარ**-იან მრავლობითში მდგარ საზღვრულთან ატრიბუტული მსაზღვრელი მხოლოდობითის ფორმით არის წარმოდგენილი: „ამგვარი **ხელოვნური ნაწარმოებნი** ერთობ იშვიათად იბეჭდებიან“.

ატრიბუტული მსაზღვრელის ფუნქციით გამოყენებულ რაოდენობით რიცხვით სახელთან და განსაზღვრებით ნაცვალსახელთან საზღვრული ზოგჯერ მრავლობითის ფორმით არის მოცემული: „გვსურს **ყველა ქართველებს** თქვენი სიცოცხლე და დღეგრძელობა“; „მე წავიკითხე **ყველა** ის **წერილები** და **კიცხვანი**.“ ამასთან, როგორც ვხედავთ, აქ ორი ერთგვარი წევრიდან ერთი მრავლობითის **-ებ**-იან წარმოებას გვიჩვენებს, მეორე – **-ნარ**-იანს.

ე- პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნით გადმოცემული შემასმენელი ერთ შემთხვევაში ქვემდებარეს მოთხრობით ბრუნვაში მართავს: „აკაკი **ხოშტარიამ** ეგება რამით **დაძებმაროს**.“

**მეტი**-ს წინ სახელი მიცემით ბრუნვაში დგას **ზე** თანდებულის გარეშე: „ბერშუეთიდან ვერა მივიღე რა **შვიდთუმანს მეტი**.“

ზაქარია ჭიჭინაძესთან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხშირია ენობრივად გაუმართავი თუ მოუნესრიგებელი წინადადებები და ფრაზები. მაგ., მარი ბროსეს სწერს: „დიდის გულის მოდგ[ი]ნებით გთხოვ აგრეთვე, რომ ამ შრომის შესახებ მომწეროთ თქვენი აზრი, როგორც საქართველოს ისტორიის მცოდნე აკადემიის წევრი და სრულიად დამფუძნებელი და საძირკვლის ჩამყრელი საქართველოს ისტორიისა.“ მოცემული რთული წინადადების სტრუქტურა მოითხოვს, რომ „წევრი“, „დამფუძნებელი“ და „ჩამყრელი“ მოთხრობით ბრუნვაში იდგეს, ნაცვლად სახელობითისა.

სინტაქსურად გაუმართავი წინადადების სხვა ნიმუშია: „ეგება ორი სამ[ი] მანათი ხელი გაუმართოთ“.

ავტორი ადრესატისადმი მიმართვისას არცთუ იშვიათად ერთმანეთთან ანაცვლებს „თქვენობით“ და „შენობით“ ფორმებს: „**შენი** ნახვა სულით და გულით მენატრება, მაგრამ მგზავრობაში ვიყავ, ვერ მოვახერხე **თქვენი** ნახვა, მალეკი გნახავთ. ეხლა **შენთან** ერ[თი] დასავალბელი საქმე მაქვს და იმეღია, რომ ეს დავალბება **თქვენს** წინაშე უყურადღებოთ არ დაშობა.“

შეიძლება ორი ერთგვარი წევრიდან თანდებული პირველ წევრს დაერთოს და არა მეორეს: „შავშეთში და იმერხევს მივდივარ.“

**გულის დაწყვეტის** ფრაზეოლოგიურ გამოთქმაში **გული** შეიძლება მოცემული იყოს როგორც სახელობითი, ისე მიცემითის ფორმით: „**გული დამწყდა** თქვენი განძრახვის გამო“; „ყველა მათ აქეთკენ **გულს დასწყდათ** თქვენგან“.

ლექსიკის ნაწილში გვერდს ვერ ავუვლით მოჭარბე-

ბულ რუსიციზმებს. ტექსტებში უხვად არის გაბნეული ბარბარიზმები, რაც ამ დროის ცოცხალი სასაუბრო მეტყველების ერთ-ერთი მკვეთრად გამოხატული თავისებურებაა. მაგალითები: **სიეზდი**, **ეგზამენი**, **იაშიკი**, **კვიტანცია**, **კუშეტკა** და სხვ.

წერილებში უხვად ვხვდებით დიალექტურ ფორმებს: „ყველასფერი“, „საცალა“, „ამოდოლა“, „მანდეთ“ და სხვ.

იხმარება არქაული ფორმებიც: „უყურადღებოთ არ დაშთება“; „წიგნები მაქვს დაშთენილი“.

გვხვდება საინტერესო ფრაზეოლოგიური გამონათქვამებიც. ზაქარია ჭიჭინაძე მიხეილ გაჩეჩილაძეს სწერს: „ჩემი საქმე მორჩა. წიგნები ავკრიფე და **ნიალსა აბრამისას მივეცი საქმენი ჩემნი**. დღეის შემდეგ თავისუფლდები. **კარგა ჩავჯექ, ე.ი. კარგა ვიკბინე ნეკზედ...**“ პირველი იდიომატური გამოთქმა მიანიშნებს საქმის დამთავრების შემდეგ მოსვენებით მდგომარეობაზე. მეორე კი, სავარაუდოდ, ცრურწმენასთან უნდა იყოს კავშირში: „ნეკზე კბენა“ ცუდი შემთხვევებისგან თავდაცვას უნდა ნიშნავდეს.

„გამოცდის ჩაბარება“ ამ პერიოდის ტექსტებში ხშირად გადმოიცემა შესიტყვებებით: „გამოცდის დაჭერა“ // „ეგზამენის დაჭერა“: „ამ ქალის შვილი ქალი ვერა ევსევის ასული, **გამოცდას იჭერდა**“; „თქვენს სკოლაში **ეგზამენს იჭერს** მონაფე არჩილ მაჭავარიანი.“

„გიცნობთ“ ფორმას ენაცვლება კონსტრუქცია „თქვენი ცნობა აქვს“: „ვისაც თქვენი ცნობა აქვს.“

ზაქარია ჭიჭინაძის წერილები, მიუხედავად ავტორის არასათანადო წერიითი კულტურისა, ენობრივი თვალსაზრისით საინტერესო მოვლენებს შეიცავს და, რაც მთავარია, წარმოდგენას გვიქმნის იმ პერიოდის ცოცხალი სასაუბრო მეტყველების თავისებურებების შესახებ, რომელშიც ის ცხოვრობდა და მოღვაწეობდა.

ქეთევან გიგაშვილი  
მზია გიგაშვილი

## ლექსიკონი

- აბეშჩიკი** [რუს. *ошездчик*] – მცველი, მეთვალყურე 31,11; 31,20.
- ადრესი** [ფრანგ.] – მისამართი 28,18; 39,11; 168,1; 171,24; 184,27; 190,10; 212,13.
- აკტი** [ლათ.] (აქტი) – სხვადასხვა ხასიათის ოფიციალური დოკუმენტი 164,10.
- ამას წინედ // ამას წინეთ // ამასწინეთ** – ამას წინათ 48,11 // 14,5; 31,16; 34,25; 72,4 // 19,6.
- ამოდოლა** – ამხელა 33,12.
- არა-აფიციალურად** – არაოფიციალურად 171,13-14.
- არასფერი** – არაფერი 69,21; 70,20; 75,9.
- არზა** – წერილობითი თხოვნა 77,18.
- არხეოლოგიური** – არქეოლოგიური 14,27; 15,23-24; 22,10.
- არხივი** [ლათ.] – არქივი 179,8; 202,12.
- ასრე** – ასე 178,19.
- ატეისტი** – ათეისტი 167,3.
- ატსტავკა** [რუს. *отставка*] – სამსახურიდან გადადგომა, სამსახურიდან გადაყენება 184,4.
- აფიციალური** [ლათ.] – ოფიციალური 226,18.
- აფხაზელი** – აფხაზი 36,19-20.
- აქედან** – აქედან 187,32; 208,8.
- აქითობას** – აქეთ გამოვლისას 165,7.
- ალარასფერი** – აღარაფერი 75,9.
- ბარიშნა** [რუს. *барышня*] – ბოიარინის ქალიშვილი 231,5.
- ბიბლიოტეკა** [ბერძ.] – ბიბლიოთეკა 14,18; 203,20; 204,11; 218,26; 220,19.
- ბიჭი** – აქ: მოსამსახურე 53,15
- ბიჭუკანა** – ბიჭუნა 178,7.
- ბლადოჩინი** [რუს. *благочинный*] – მართლმადიდებლურ ეკლესიაში მღვდლის ადმინისტრაციული თანამდებობა 187,8-9; 201,19; 211,21; 211,24.

**ბრმობა** – სიბრმავე 189-190.  
**ბროშიურა** [ფრანგ.] – ბროშურა 74,19.  
**ბულვარბაში** – ბულვარის, ქუჩის თავი (დაცინვით) 186,21.  
**ბულვარ-ბაშური** – ბულვარისთვის, ქუჩისთვის დამახასიათებელი (დაცინვით) 169,22-23.  
**ბულვარისტი** – ბულვარის, ქუჩის თავი (დაცინვით) 213,27; 222,27-28.  
**გამოცდის დაჭერა** – გამოცდის ჩაბარება 39,21.  
**განძრახ** – განზრახ 26,19.  
**განძრახვა** – განზრახვა 22,5; 22,13; 41,9.  
**გარნა** – მაგრამ 123,11; 206,8; 213,23; 213,32; 214,18; 217,26; 217,31; 221,5; 221,19; 221,33; 222,24.  
**გარჯა** – აქ: ვინმესთვის ზედმეტი ტვირთის დაკისრება, ზედმეტი შრომის განევიწება (ნუ გამრჯით) 162,10.  
**გასყიდვა** – გაყიდვა 59,6-7; 69,14.  
**გასწრობა** – გასწრება 46,14.  
**გემნაზია** – გიმნაზია 54,19; 67,2.  
**გვამი** – აქ: ადამიანი 46,17-18; 163,5; 169,21; 170,8; 222,15.  
**გულის მოდგინებით** – გულმოდგინედ 15,17.  
**გულნაკლე** – გულნაკლული 166,22.  
**დადგენილობა** – დადგენილება 187,21; 209,21; 210,16.  
**დადროვება** – დროის მიცემა (დამადროვეთ – დრო მომეცით) 132,28.  
**დანაპირი** – დანაპირები 183,9.  
**დანაშთი** – დარჩენილი 184,5.  
**დანუგეშებით** – იმედიანად 202,24.  
**დაღალული** – დაღლილი 26,17.  
**დაშთენა** – დარჩენა 31,6.  
**დაშთენილი** – დარჩენილი 35,24.  
**დგმური** – მდგმური 24,14; 81,14; 85,7.  
**დევენული** – დევნილი 170,27.  
**დევენულობა** – დევნა 163,2.  
**დერჟიმორდობა** [რუს. держиморда] – საუბ. აქ: დაუნდობლობა, აბუჩად აგდება 227,14.

- დიაღობა** – სიდიადე 177,8.
- დინჯიანობა** – სიდინჯე 172,7.
- დოკლადი** [რუს. доклад] – მოხსენება 234,3; 234,10; 234,14; 234,17; 234,20-21; 234,26; 234,29; 235,10.
- დოქტორობა** [ლათ.] – დოქტორობა 232,19-20.
- დოლბენდი** – დოლბანდი, თხელი, რბილი ქსოვილი 101,28.
- დონოსი** [донец] – აქ: დასმენის, დაბეზლების შემცველი წერილი 174,6.
- ეგზამენი** [ლათ.] – გამოცდა 24,16; 202,16; 211,16; 211,17.
- ეგზამენის დაჭერა** – გამოცდის ჩაბარება 24,13; 105,8.
- ეგზარხი** – ეგზარქოსი, ავტოკეფალიას მოკლებული ეკლესიის მღვდელმთავარი 45,4-5.
- ეგზემპლიარი** – ეგზემპლარი, ერთგვაროვანი საგნების ერთეული, ცალეული 14,9; 20,11.
- ევროპიელი** – ევროპელი 173,17-18.
- ევროპიულად** – ევროპულად 224,27.
- ერთჯერაც** – ერთხელაც 99,4.
- ესრეთი** – ესეთი 180,15; 188,2; 209,12; 222,7.
- ეტაფი** – ეტაპი, რევოლუციამდ. გადასახლებაში გაგზავნილ პატიმართა მგზავრობის წესი 187,4.
- ექსარხი** – იხ. ეგზარხი 208,3; 216,26; 217,12.
- ექსარხოსი** – იხ. ეგზარხი 189,9; 199,7; 216,23; 216,32.
- ვერსტი** (ვერსი) [რუს. верста] – სიგრძის ერთეული 185,20.
- ვერტელნიკობა** [რუს. верстальщик – დაკაბადონებელი მუშა] – დაკაბადონება 61,12.
- ვექსილი** [გერმ. რუსული ენის გზით] – იგივე თამასუქი, საგანგებო ხელწერილი გარკვეულ ვადაში ვალის გადახდის შესახებ 232,5.
- ზემორე** – ზემო 17,3.
- თავაზი** – თავაზიანობა 76,6.
- თავაზით** – თავაზიანად 58,13; 72,16.
- თავობა** – თაობა 42,31.
- თავსმჯდომარე** – თავმჯდომარე 82,2.

**თანაძმობა** – ძმობის განევა 163,1.  
**იდეია** [ბერძ.] – იდეა 73,9.  
**იდეიური** – იდეური 73,7-8.  
**ინჩი** [სომხ] – რამე 186,26.  
**ისრე** – ისე 204,5.  
**ისრეთი** – ისეთი 101,27; 172,26.  
**იფულენც-უფულენცია** [იტალ. influenza] – იგივეა, რაც გრიპი 205,6.  
**კაზიონი** [რუს. казѣнный] – სახაზინო 56,21.  
**კაზნაჩეისტვო** [რუს. казначейство] – საგუბერნიო ხაზინა 168,16.  
**კალოში** [ფრანგ. რუსული ენის გზით] – რეზინის პირფართი, დაბალი ფეხსაცმელი 79,16.  
**კანიკული** [რუს. каникулы] – არდადეგები 89,12.  
**კაპეიკი** [რუს. копейка] – კაპიკი, რუსული ფულის ერთეული 78,13; 218,7; 218,9; 220,28.  
**კარანდაში** [რუს. карандаш] – ფანქარი 179,22.  
**კაცთა მოყვარე** – კაცთმოყვარე 17,1-2; 21,22-23.  
**კეთილი** – სიკეთე (თავის ძირითად მნიშვნელობასთან ერთად) 224,10-11.  
**კვალად** – კვლავ 41,10; 50,24; 220,20.  
**კვიტანცია** [იტალ. რუსული ენის გზით] – ქვითარი 49,17; 66,5; 70,9.  
**კიტრიკანი** – კრიტიკოსი (დაცინვით) 173,3-4; 173,31.  
**კიტრიკანობა** – კრიტიკა (დაცინვით) 172,8.  
**კლიაზნური** [რუს. князник] – შარიანი 167,31.  
**კლიშე** [ფრანგ. cliché] – ლითონის ან ხის ფირფიტა, ზედ ამოკვეთილი რელიეფური გამოსახულებით 47,6; 47,8-9; 47,9; 47,12.  
**კნიაზი** [რუს. князь] – თავადი 179,23; 179,24-25.  
**კორრექტურა** [ლათ.] – სტამბაში აწყობილი ტექსტის გასწორება 168,21; 220,22-23.  
**კრიტიკანი** – კრიტიკოსი (დაცინვით) 172,12.



**კურტი** (კურტანი) – ძვ. საზურგული – ზურგით ტვირთის საზიდად 40,4.

**კუშეტკა** [ფრანგ. რუსული ენის გზით] – ხის საწოლი, ტახტი 79,8.

**ლეგიონი** [ლათ. legio] – ლეგიონი. აქ: ძალიან ბევრი, უამრავი 177,29.

**მაგალითებრ** – აქ: მაგალითად 42,9.

**მადლობითი** – მადლიერება 169,14.

**მანდეთ** – მაგეთ 34,4; 35,4; 44,21; 45,21-22; 49,29.

**მარცხული** – მარცხენა 200,10.

**მასხარული** – მასხრული 46,15.

**მალაღფრასოვანი** – მალაღფარდოვანი 177,1.

**მაშინათვე** – მაშინვე 14,8; 52,6.

**მასხოვარი** – ხსოვნის მატარებელი 63,7.

**მებულვარე** – ბულვარის, ქუჩის თავი (დაცინვით) 222,15.

**მეკლიაუზე** – შარის მომდები, შარიანი 167,12.

**მემთვრალე** – მთვრალი 222,15.

**მეცადინეობა** – მცდელობა 17,10; 105,25; 187,2.

**მიმგებელი** – სამაგიეროს მიმზღველი 202,2-3.

**მოკმაზმული** – მოკაზმული 89,9.

**მონატრე** – მნატვრელი 51,12; 58,16; 61,13.

**მოსავი** – მოიმედე 208,11.

**მოსამზღვრე** – მოსაზღვრე 44,25.

**მონაღმართებითი** – მუყაითი, ბეჯითი 17,20-21.

**მონკიპულმოკაზმული** – მორთული 186,22.

**მოხუცება** – მოხუცებულობა 75,23.

**მრთელი** – მთელი 89,15.

**მსწავლული** – სწავლული 48,7.

**მწვერი** – წვერი 105,4; 171,8; 188,4; 216,13; 216,16.

**მწვირიანი** – სულიერ ლაფში, ჭუჭყში ამოსვრილი ადამიანი 222,27.

**მხვედრი** – კუთვნილი 80,13.

**ნაბლიდატლობა** [რუს. наблюдатель] – მეთვალყურეობა, დამკვირვებლობა 178,5.

**ნაკვეთი** – აქ: ნაწილი 173,21.  
**ნაკლე** – ნაკლებად, ნაკლები, ნაკლოვანი 163,22; 164,8; 230,22.  
**ნაკლულ** – აქ: ნაკლებად 101,23.  
**ნაკლულევალება** – ნაკლებობა, სიმცირე 174,18.  
**ნამეტნავად** – განსაკუთრებით, მეტის-მეტად 86,21.  
**ნამეტურ** – ნამეტანი 43,22.  
**ნამუშავარი** – ნამუშევარი 61,11; 80,18.  
**ნებადართვა** – ნებართვა 229,13.  
**ნელ-ნელობა** – საქმის ნელა სვლა 170,22.  
**ნივთიერად** – მატერიალურად 62,17  
**ნივთიერი** – მატერიალური 74,4.  
**ოზორი** [რუს. озор] – დათვალიერება 89,18.  
**ოზმა** – ქალაქის საზომი ერთეული მეტრული ზომების შე-  
 მოღებამდე. უდრიდა 480 ფურცელს. 83,2.  
**ოკრუჟნი** [რუს. окружный] – საოლქო 179,7-8.  
**პატრი** [ლათ.] – კათოლიკე მღვდელი 20,14; 30,13.  
**პირად-პირადად** – პირისპირ, პირადად 89,27.  
**პლანი** [ლათ.] – გეგმა 171,1.  
**პოპეჩიტლობა** [რუს. попечитель] – მზრუნველობა 184,26.  
**პოჟოლუსტა** [რუს. пожалуѣста] – გეთაყვა 190,2-3.  
**პოტიალი** – ბოდიალი, უაზროდ ტრიალი 170,7.  
**პროგრესისტი** – პროგრესის მომხრე 73,4.  
**პროგრესიულად** – პროგრესულად 73,8.  
**პროგრესიული** – პროგრესული 74,2.  
**პროხვოსტი** [რუს. прохвост] – არამზადა 230,25; 230,26.  
**რაოდენთამე** – რამდენიმე 171,2.  
**რალაცაები** – რალაცები 45,3.  
**რექტორი** [ლათ.] – რექტორი 105,2; 211,16.  
**საგრძნობელი** – საგრძნობი 18,10; 87,3.  
**საეროვნო** – საერო 186,11.  
**სავადი** – ნუსხა 165,1; 165,3.  
**სავალალებელი** – სავალალო 18,20.

**საკვეხური** – საკვეხნი 221,19.  
**საკლიაუზოდ** [რუს. князник შარისტავეი] – საშაროდ 167,13;  
 171,9.  
**სამართლებრი** – აქ: სამართლიანი 41,20.  
**სამასწავლო** – სასწავლო 184,32.  
**სამზღვარ გარეთ** – საზღვარგარეთ 36,20.  
**სამოსწავლო** – სასწავლო 173,34.  
**სამყუდრო** – სამყოფელი 173,16.  
**სამჯობინარი** – უმჯობესი 229,10.  
**სასყიდელი** – საყიდი 168,22.  
**საქალებო** – ქალთა 223,17.  
**სამშვალება** – საშუალება 74,26; 173,8; 177,20; 188,8-9; 203,22;  
 218,30; 225,2.  
**საშიშარი** – საშიში 230,20.  
**საცა** – სადაც 65,3; 235,9.  
**საცალა** – სადღაც 25,17; 25,20; 39,9-10.  
**საცნაურ ქმნა** – გამომჟღავნება, გამოაშკარავება, დადასტუ-  
 რება 178,20.  
**სახეში მიღება** – მხედველობაში მიღება 101,13-14.  
**სახეში ქონა // ყოლა** – მხედველობაში ქონა // ყოლა 234,6 //  
 17,27.  
**სეკრეტარი** [ლათ.] – მდივანი 187,28.  
**სემენარია** – სემინარია 28,22; 29,1; 36,20; 39,9; 56,17; 62,5;  
 81,20.  
**სერთუკი** [ფრანგ.] – მამაკაცის ძველებური, წელში გამოყვანი-  
 ლი გრძელი ტანსაცმელი 231,5.  
**სვინდისი** – სინდისი 177,30; 214,12; 219,7-8.  
**სიეზდი** [რუს. сезд] – ყრილობა 14,27; 15,24.  
**სიმრთელე** – ჯანმრთელობა 182,13.  
**სიცრუვე** – სიცრუე 213,31; 217,13.  
**სკრიპკა** [რუს. скрипка] – ვიოლინო 224,28.  
**სმენულობა** – მოსმენა 17,12.  
**სმოტრიტელი** [რუს. смотритель] – ზედამხედველი 89,17.

**სოვეტი** [რუს. совет] – აქ: საბჭო 207,25; 215,10; 215,20; 215,27; 216,10-11; 216,13; 216,15; 216,17; 216,20; 216,27; 217,2.

**სოფისტიური** – ცრუ, ყალბი 231,3.

**სტალიარი** [რუს. столяр] – დურგალი 86,2.

**სტარი** [რუს. старый] – საუბ. ბებრუხანა 48,8.

**სტარში** [რუს. старший] – უფროსი 66,5.

**სტრაჟნიკი** [რუს. стражник] – რევოლუციამდელ რუსეთში: დაბალი ჩინის სოფლის პოლიციელი 43,24.

**სუდი** [რუს. суд] – სასამართლო 179,8.

**სუსუნტ შანკირი (სუსუნატი** - მიკრობით გამოწვეული ერთ-ერთი ვენერული დაავადება; **შანკრი** – წყლული, გამკვრივებული ქსოვილი სასქესო ორგანიზე) – ვენერული დაავადება 35,4.

**სყიდვა** – შესყიდვა, ყიდვა 132,25.

**სხვაფრივ // სხვა ფრივ** – სხვა მხრივ 19,26; 21,27; 59,20 // 51,11; 53,15-16.

**ტანთსაცმელი** – ტანსაცმელი 27,9.

**ტარტაროზი [ბერძნ.]** – ეშმაკი, მაცდური, ავი სული 217,22.

**ტემა [ბერძ.]** – თემა 186,9; 186,11.

**ტიატრი** – თეატრი 203,7.

**ტრფიალობა** – ტრფიალი 89,4.

**უკანასკნელ** – უკანასკნელად, ბოლოს 60,12; 73,19; 206,27; 209,25; 224,16.

**უმეტეს** – უმეტესად, ძირითადად 25,2; 105,21; 170,17.

**უსვინდისო** – უსინდისო 181,19.

**უჩილიშჩა** [რუს. училище] – სასწავლებელი 89,20; 105,7; 222,30.

**უჩიტელი** [რუს. учитель] – მასწავლებელი 222,30.

**ფარფაში** – პარპაში 208,17.

**ფეშუმი** – თეფში, ეკლესიაში წმინდა ნაწილების დასასვენებელი ჭურჭელი 163,9.

**ფიცხელი** – აქ: საჩქარო, სწრაფი 187,18.

**ფოჩთა** [ფრანგ.] – ფოსტა 184,27.  
**ფრანცუზული** – ფრანგული 15,13-14.  
**ქველ მოქმედი** – ქველმოქმედი 60,8.  
**ქვეშე** – ქვეშ 178,19; 228,8; 233,31.  
**ქუთათური** – აქ: ქუთაისელი 38,5.  
**ყბადალება** – სალაპარაკოდ, მითქმა-მოთქმის საგნად გახდომა 178,21.  
**ყველასფერი** – ყველაფერი 70,22; 75,6-7; 76,4; 85,6; 86,3.  
**ყვლეფია** – მოტყუებით ან ძალმომრეობით წამრთმევი 23,21.  
**ყოველისფერი // ყოველის ფერი** – ყველაფერი 76,2-3 // 63,11.  
**ყოვლისფრით** – ყოველმხრივ, ყველანაირად 16,5.  
**ყოვლიფერი // ყოვლისფერი** – ყველაფერი 222,2; 229,10 // 162,3-4; 202,10-11.  
**შაგირდი** – შეგირდი 105,6; 168,14; 173,34.  
**შაკვისეია** [რუს. кисея თხელი, გამჭვირვალე ქსოვილი] – შაკვისეა, შავი, თხელი, გამჭვირვალე ქსოვილი 101,28.  
**შარლატნობა** – გაიძვერობა 186,27.  
**შესახები** – შესახებ 39,12.  
**შესმენილი** – აქ: გაგებული 41,17.  
**შეუძლო** – აქ: უძლური, უქონელი 80,9; 80,14.  
**შეშის კაცუნა** – უმოქმედო, უგრძნობი კაცი 177,6.  
**შექლება** – აქ: ფინანსური, მატერიალური შესაძლებლობა 53,12; 67,25; 69,22; 79,16.  
**შკაფი** [გერმ.] – კარადა 179,4.  
**შკოლა** [ბერძ. σχολῆ; რუს. школа] – სკოლა 165,17; 167,8; 176,18; 181,14.  
**შტრაფი** [რუს. штраф] – ჯარიმა, დაჯარიმება 198,26-27.  
**შტუკა** [რუს. штука] – ოინი, ამბავი, საქმე 166,24.  
**ჩამოტანა** – აქ: ჩამოყვანა 168,12.  
**ჩამოტვირთული** – აქ: ტვირთად დაწოლილი, დამოკიდებული 28,6.  
**ჩემდამო** – ჩემდამი 177,15.  
**ჩლენი** [რუს. член] – წევრი 21,10; 179,28-29.

**ძალითადრი** – ძლიერი 169-170.  
**ძრიელ** – ძლიერ 24,15; 26,1; 26,4; 26,16-17; 27,12; 30,5-6;  
34,3; 38,1; 42,17; 62,19; 76,14; 78,2.  
**ნალა** – მალალყელიანი, ქუსლიანი ფეხსაცმელი 40,20.  
**ნახდენა** – გაფუჭება 209,23; 228,26; 231,12.  
**ნინეთ** – წინათ 15,1; 20,5; 30,11.  
**წლობით** – აქ: წლით (ორი წლობით) 89,20.  
**წრეულს** – წლეულს 100,7; 168,19; 232,30.  
**წყურვილებით** – მწყურვალედ, დიდი სურვილით 172,26.  
**ჭარხალუა** – სავარაუდოდ, წითური (დაცინვით) 21,11.  
**ხაშმიანი** – ჭაობის ორთქლით გაჟღენთილი 89,24.  
**ხელთნანერი** – ხელნანერი 18,28-29; 49,1; 49,11; 49,14; 203,22.  
**ხელის აღპყრობა** – დახმარების ხელის განვდენა, შემწეობის აღმოჩენა 206,24; 211,30.  
**ხელის გამოღება** – დახმარების ხელის განვდენა, შემწეობის აღმოჩენა 206,19-20.  
**ხელოვნური** – აქ: მაღალი დონის, ხელოვნების ნიმუში 23,5-6.  
**ჯაგლაგი** (მიჯაგლაგობს) – აქ: ცუდად სწავლა 178,8-9.  
**ჯირკის კაცი** – უმოქმედო, უგრძნობი კაცი 177,2.  
**ჰაზრი** – აზრი 17,5.  
**ჰარამზადული** – არამზადული 46,7.

ზაქარია ჭიჭინაძის წიგნების აღრესაქთა ცხრილი

| აღრესაქტი                     | №  |
|-------------------------------|----|
| ალექსანდრე არაბიძისადმი       | 14 |
| ეგნატე იოსელიანისადმი         | 7  |
| კირილე ლორთქიფანიძისადმი      | 5  |
| ფილიპე მახარაძისადმი          | 5  |
| ანტონ ფურცელაძისადმი          | 5  |
| მიხეილ გაჩეჩილაძისადმი        | 4  |
| სოფრომ მგალობლიშვილისადმი     | 4  |
| ალექსანდრე ოქროპირიძისადმი    | 4  |
| დავით კარიჭაშვილისადმი        | 3  |
| გიორგი ზდანოვიჩისადმი         | 2  |
| ალექსანდრე აბაშელისადმი       | 1  |
| მარი ბროსესადმი               | 1  |
| რაჟდენ გვეტაძისადმი           | 1  |
| გიგოსადმი                     | 1  |
| ევგენი დვალისადმი             | 1  |
| დომინიკა ერისთავისადმი        | 1  |
| ვანოსადმი                     | 1  |
| ექვთიმე თაყაიშვილისადმი       | 1  |
| მიხეილ მაჩაბლისადმი           | 1  |
| კონსტანტინე მამაცაშვილისადმი  | 1  |
| პეტრე მირიანაშვილისადმი       | 1  |
| მიმღები კომისიის წევრებისადმი | 1  |
| დავით ნახუცრიშვილისადმი       | 1  |
| ნიკო ნიკოლაძისადმი            | 1  |
| ვასილ სულაძისადმი             | 1  |
| მალაქია ტოროშელიძისადმი       | 1  |
| უსუფისადმი                    | 1  |

|                             |           |
|-----------------------------|-----------|
| კონსტანტინე ღვამიჩავასადმი  | 1         |
| ალექსანდრე ყიფშიძისადმი     | 1         |
| აკაკი წერეთლისადმი          | 1         |
| იაკობ ჭეიშვილისადმი         | 1 (3)     |
| სიმონ ხუნდაძისადმი          | 1         |
| ალექსანდრე ხახანაშვილისადმი | 1         |
| მოსე ჯანაშვილისადმი         | 1         |
| <b>სულ</b>                  | <b>77</b> |

**თვედორე კორღანას წერილების აღრესატთა ცხრილი**

| <b>აღრესატი</b>                      | <b>№</b>  |
|--------------------------------------|-----------|
| კირიონ საძაგლიშვილისადმი             | 11        |
| თედო სახოკიასადმი                    | 7         |
| ვასილ კარბელაშვილისადმი              | 4         |
| ნიკო მარისადმი                       | 4         |
| ალექსანდრე ყიფშიძისადმი              | 3         |
| პეტრე ბარტენევისადმი                 | 2         |
| ანეტა მამაცაშვილ-ბაქრაძისადმი        | 2         |
| პრასკოვია უვაროვასადმი               | 2         |
| მოსე ჯანაშვილისადმი                  | 2         |
| დიმიტრი ბაქრაძისადმი                 | 1         |
| გაზეთ „ცნობის ფურცლის“ რედაქციისადმი | 1         |
| ალექსი გულისაშვილისადმი              | 1         |
| ექვთიმე თაყაიშვილისადმი              | 1         |
| მიხეილ თუმანიშვილისადმი              | 1         |
| ნიკო ლომოურისადმი                    | 1         |
| ალექსანდრე ოქროპირიძისადმი           | 1         |
| გიორგი ჟორდანიასადმი                 | 1         |
| მიხეილ საბინინისადმი                 | 1         |
| ელენე ტარსაიძისადმი                  | 1         |
| ნიკო ტარსაიძისადმი                   | 1         |
| <b>სულ</b>                           | <b>48</b> |



## საზმეო

შესავალი .....6

### ზაქარია ჭაჭინაძის წიგნები

|   |    |
|---|----|
| მარი ბროსესადმი №1 (1) 1880, 26 თებერვალი .....                                   | 14 |
| სოფრომ მგალობლიშვილისადმი №1 (2) [1883], 13 მაისი .....                           | 16 |
| ალექსანდრე ოქროპირიძისადმი №1 (3) 1883, 27 მაისი.....                             | 16 |
| ალექსანდრე ოქროპირიძისადმი №2 (4) 1883, 5 ივნისი.....                             | 20 |
| ალექსანდრე ოქროპირიძისადმი №3 (5) [1884], 2 აგვისტო .....                         | 22 |
| სოფრომ მგალობლიშვილისადმი №2 (6) [1884], 30 დეკემბერი...                          | 23 |
| დავით კარიჭაშვილისადმი №1 (7) [1885 წლის შემდეგ],<br>20 აგვისტო.....              | 24 |
| დავით კარიჭაშვილისადმი №2 (8) [1885 წლის შემდეგ],<br>12 დეკემბერი .....           | 25 |
| სოფრომ მგალობლიშვილისადმი №3 (9) [1887, ან მის შემდეგ],<br>23 მაისი.....          | 25 |
| ანტონ ფურცელაძისადმი №1 (10) [1890, 14 ოქტომბერი] .....                           | 26 |
| ანტონ ფურცელაძისადმი №2 (11) [1890], 15 ოქტომბერი .....                           | 27 |
| სოფრომ მგალობლიშვილისადმი №4 (12) [1895], 4 ივნისი .....                          | 28 |
| ალექსანდრე ოქროპირიძისადმი №4 (13) 1895, 1 დეკემბერი .....                        | 28 |
| ალექსანდრე არაბიძისადმი №1 (14) [1897 წლის<br>13 აგვისტომდე].....                 | 29 |
| ალექსანდრე ხახანაშვილისადმი №1 (15) 1898, 15 სექტემბერი..                         | 30 |
| ეგნატე იოსელიანისადმი №1 (16) 1899, 28 მარტი .....                                | 31 |
| ეგნატე იოსელიანისადმი №2 (17) 1899, 23 მაისი.....                                 | 32 |
| კონსტანტინე მამაცაშვილისადმი №1 (18) 1899, 6 ივნისი .....                         | 32 |
| მიხეილ გაჩეჩილაძისადმი №1 (19) 1900, 24 თებერვალი .....                           | 33 |
| მიხეილ გაჩეჩილაძისადმი №2 (20) 1900, 6 მარტი.....                                 | 34 |
| მიხეილ გაჩეჩილაძისადმი №3 (21) [1900], 13 მარტი .....                             | 35 |
| კირილე ლორთქიფანიძისადმი №1 (22) [1900, ან მომდევნო<br>წლები], 20 სექტემბერი..... | 36 |
| აკაკი წერეთლისადმი №1 (23) 1901, 14 მარტი .....                                   | 37 |
| ეგნატე იოსელიანისადმი №3 (24) 1902, 13 იანვარი .....                              | 38 |
| მოსე ჯანაშვილისადმი №1 (25) [1894-1902], 1 თებერვალი .....                        | 39 |

|   |    |
|---|----|
| კონსტანტინე ღვამიჩავასადმი №1 (26) [1902 წლის შემდეგ] .....                 | 39 |
| ალექსანდრე არაბიძისადმი №2 (27) [1904 წლის შემდეგ], 18<br>დეკემბერი .....   | 40 |
| გიორგი ზდანოვიჩისადმი №1 (28) 1907, 20 ივლისი .....                         | 41 |
| გიორგი ზდანოვიჩისადმი №2 (29) 1909, 5 ივნისი .....                          | 43 |
| ანტონ ფურცელაძისადმი №3 (30) [1909], 12 სექტემბერი .....                    | 46 |
| მიხეილ გაჩეჩილაძისადმი №4 (31) 1911, 22 მარტი .....                         | 47 |
| ეგნატე იოსელიანისადმი №4 (32) [1911], 30 ივლისი .....                       | 48 |
| ანტონ ფურცელაძისადმი №4 (33) [1911], 25 აგვისტო .....                       | 48 |
| ანტონ ფურცელაძისადმი №5 (34) [1912], 23 თებერვალი .....                     | 50 |
| კირილე ლორთქიფანიძისადმი №2 (35) 1913, 5 აპრილი .....                       | 51 |
| კირილე ლორთქიფანიძისადმი №3 (36) [1913], 8 სექტემბერი .....                 | 52 |
| ალექსანდრე არაბიძისადმი №3 (37) [არა უადრეს 1913 წლისა] ..                  | 52 |
| დავით კარიჭაშვილისადმი №3 (38) 1914, 16 იანვარი .....                       | 53 |
| დომინიკა ერისთავისადმი №1 (39) [1914], 31 იანვარი .....                     | 54 |
| პეტრე მირიანაშვილისადმი №1 (40) 1915, 13 თებერვალი .....                    | 55 |
| მიხეილ მაჩაბლისადმი №1 (41) 1915, 8 აგვისტო .....                           | 55 |
| ალექსანდრე ყიფშიძისადმი №1 (42) [1915 წლის ჩათვლით], 18<br>დეკემბერი) ..... | 56 |
| ექვთიმე თაყაიშვილისადმი №1 (43) [1916], 5 თებერვალი) .....                  | 57 |
| კირილე ლორთქიფანიძისადმი №4 (44) 1916, 28 ივნისი .....                      | 58 |
| კირილე ლორთქიფანიძისადმი №5 (45) 1916, 14 აგვისტო .....                     | 59 |
| ალექსანდრე არაბიძისადმი №4 (46) 1918, 8 ოქტომბერი .....                     | 60 |
| ალექსანდრე არაბიძისადმი №5 (47) 1918, 30 ნოემბერი .....                     | 61 |
| ეგნატე იოსელიანისადმი №5 (48) [1919 წლის] 14 იანვრამდე .....                | 62 |
| ალექსანდრე არაბიძისადმი №6 (49) 1919, 5 მაისი .....                         | 62 |
| ეგნატე იოსელიანისადმი №6 (50) 1919, 16 მაისი .....                          | 63 |
| ეგნატე იოსელიანისადმი №7 (51) [1919 წლის] 14 ივნისამდე .....                | 64 |
| ალექსანდრე არაბიძისადმი №7 (52) 1919, 30 აგვისტო .....                      | 64 |
| ალექსანდრე არაბიძისადმი №8 (53) [1919 წლის<br>27 სექტემბრამდე] .....        | 65 |
| ალექსანდრე არაბიძისადმი №9 (54) [1919, 27 სექტემბერი] .....                 | 66 |
| დავით ნახუცრიშვილისადმი №1 (55) [1921] წლის<br>24 ივნისამდე .....           | 66 |
| ფილიპე მახარაძისადმი №1 (56) [1921 წლის 25 თებერვლის<br>შემდეგ] .....       | 67 |
| უსუფისადმი №1 (57) [1921 წლის 18 მარტის შემდეგ] .....                       | 68 |

|  |    |
|--|----|
| ფილიპე მახარაძისადმი №2 (58) [1921 წლის 14 ივლისის<br>შემდეგ].....       | 69 |
| ფილიპე მახარაძისადმი №3 (59) [1921] .....                                | 70 |
| ალექსანდრე არაბიძისადმი №10 (60) 1922, 16 თებერვალი.....                 | 71 |
| რაჟდენ გვეტაძისადმი №1 (61) 1925, 28 იანვარი .....                       | 72 |
| ფილიპე მახარაძისადმი №4 (62) 1925, 25 ოქტომბერი.....                     | 73 |
| ევგენი დვალისადმი №1 (63) 1925, 30 ნოემბერი .....                        | 74 |
| ნიკო ნიკოლაძისადმი №1 (64) 1927, 7 სექტემბერი.....                       | 75 |
| იაკობ ჭიჭიშვილისადმი №1 (65) [1927, 16 ოქტომბერი].....                   | 76 |
| ვასილ სულაძისადმი №1 (66) [არა უგვიანეს 1927 წლისა],<br>3 ნოემბერი.....  | 77 |
| გიგოსადმი №1 (67) (1928, 1 იანვარი.....                                  | 78 |
| ალექსანდრე აბაშელისადმი №1 (68) 1928, 18 იანვარი .....                   | 79 |
| ვანოსადმი №1 (69) (1928, 21 იანვარი.....                                 | 80 |
| ფილიპე მახარაძისადმი №5 (70) [1928 წლის 31 მარტის<br>შემდეგ].....        | 81 |
| მალაქია ტოროშელიძისადმი №1 (71) 1928, 25 აგვისტო.....                    | 82 |
| ალექსანდრე არაბიძისადმი №11 (72) [1929 წლამდე].....                      | 83 |
| სიმონ ხუნდაძისადმი №1 (73) [1928-1931], 1 მარტი .....                    | 83 |
| ალექსანდრე არაბიძისადმი №12 (74) [1931 წლის<br>27 დეკემბრამდე].....      | 84 |
| ალექსანდრე არაბიძისადმი №13 (75) [1931 წლის<br>27 დეკემბრამდე].....      | 85 |
| ალექსანდრე არაბიძისადმი №14 (76) [1931 წლის<br>27 დეკემბრამდე].....      | 86 |
| მიმღები კომისიის წევრებისადმი №1 (77) [1931 წლის<br>27 დეკემბრამდე]..... | 86 |

### **უკლორე კორღანაძის წიგნები**

|   |    |
|---|----|
| მოსე ჯანაშვილისადმი №1 (1) 1880, 12 აგვისტო.....                              | 89 |
| ელენე ტარსაიძისადმი №1 (2) [არა უგვიანეს 1883 წლისა]<br>(რუსული ტექსტი).....  | 90 |
| ელენე ტარსაიძისადმი №1 (2) [არა უგვიანეს 1883 წლისა]<br>(ქართული ტექსტი)..... | 94 |
| პეტრე ბარტენევისადმი №1 (3) 1885, 1 მარტი (რუსული<br>ტექსტი) .....            | 97 |

|  |     |
|--|-----|
| პეტრე ბარტენევისადმი №1 (3) 1885, 1 მარტი<br>(ქართული ტექსტი).....   | 98  |
| ნიკო ლომოურისადმი №1 (4) 1886, 10 სექტემბერი .....   | 99  |
| თედო სახოკიასადმი №1 (5) 1889, 28 სექტემბერი.....  | 101 |
| დიმიტრი ბაქრაძისადმი №1 (6) [1889], 27 დეკემბერი<br>(რუსული ტექსტი).....                                   | 102 |
| დიმიტრი ბაქრაძისადმი №1 (6) [1889], 27 დეკემბერი<br>(ქართული ტექსტი).....                                  | 102 |
| მიხეილ საბინინისადმი №1 (7) [1891 წლამდე]<br>(რუსული ტექსტი).....  | 103 |
| მიხეილ საბინინისადმი №1 (7) [1891 წლამდე]<br>(ქართული ტექსტი).....   | 104 |
| ალექსი გულისაშვილისადმი №1 (8) 1891, 1 დეკემბერი.....  | 104 |
| ნიკო მარისადმი №1 (9) 1893, 29 დეკემბერი<br>(რუსული ტექსტი).....   | 106 |
| ნიკო მარისადმი №1 (9) 1893, 29 დეკემბერი<br>(ქართული ტექსტი).....  | 108 |
| ნიკო მარისადმი №2 (10) 1894, 17 იანვარი (რუსული ტექსტი) ..   | 110 |
| ნიკო მარისადმი №2 (10) 1894, 17 იანვარი<br>(ქართული ტექსტი).....   | 116 |
| ნიკო მარისადმი №3 (11) 1894, 24 იანვარი (რუსული ტექსტი) ..   | 122 |
| ნიკო მარისადმი №3 (11) 1894, 24 იანვარი<br>(ქართული ტექსტი).....   | 127 |
| ანეტა მამაცაშვილ-ბაქრაძისადმი №1 (12) [1894 წლის<br>14 მარტის შემდეგ] .....                                | 132 |
| ანეტა მამაცაშვილ-ბაქრაძისადმი №2 (13) 1894, 29 მარტი .....   | 133 |
| გიორგი თუმანიშვილისადმი №1 (14) [1894 წლის 9 აპრილის<br>შემდეგ] (რუსული ტექსტი) .....                      | 134 |
| გიორგი თუმანიშვილისადმი №1 (14) [1894 წლის 9 აპრილის<br>შემდეგ] (ქართული ტექსტი).....                      | 137 |
| პრასკოვია უვაროვასადმი №1 (15) [1893 წლის დასაწყისიდან<br>1895 წლის 25 სექტემბრამდე] (რუსული ტექსტი) ..... | 140 |
| პრასკოვია უვაროვასადმი №1 (15) [1893 წლის დასაწყისიდან<br>1895 წლის 25 სექტემბრამდე] (ქართული ტექსტი)..... | 148 |
| პრასკოვია უვაროვასადმი №2 (16) 1895, 25 სექტემბერი<br>(რუსული ტექსტი).....                                 | 155 |
| პრასკოვია უვაროვასადმი №2 (16) 1895, 25 სექტემბერი   |     |

|   |     |
|---|-----|
| (ქართული ტექსტი).....   | 157 |
| პეტრე ბარტენევისადმი №2 (17) 1895, 30 სექტემბერი<br>(რუსული ტექსტი).....              | 160 |
| პეტრე ბარტენევისადმი №2 (17) 1895, 30 სექტემბერი<br>(ქართული ტექსტი).....             | 161 |
| ექვთიმე თაყაიშვილისადმი №1 (18) [არა უგვიანეს 1896 წლის<br>სექტემბრისა].....          | 161 |
| თედო სახოკიასადმი №2 (19) 1896, 6 ნოემბერი .....                                      | 162 |
| ვასილ კარბელაშვილისადმი №1 (20) 1896, 7 ნოემბერი.....                                 | 166 |
| თედო სახოკიასადმი №3 (21) [1897 წლის 20 იანვრის შემდეგ]...                            | 168 |
| ალექსანდრე ყიფშიძისადმი №1 (22) [1897 წლის<br>31 ივლისამდე] .....                     | 169 |
| თედო სახოკიასადმი №4 (23) 1897, 24 ოქტომბერი .....                                    | 172 |
| ნიკო მარისადმი №4 (24) [1897 წლის 5 ნოემბრამდე]<br>(რუსული ტექსტი).....               | 174 |
| ნიკო მარისადმი №4 (24) [1897 წლის 5 ნოემბრამდე]<br>(ქართული ტექსტი).....              | 175 |
| თედო სახოკიასადმი №5 (25) 1897 [25 დეკემბრამდე].....                                  | 176 |
| ალექსანდრე ყიფშიძისადმი №2 (26) [1897 წლის 25 დეკემბრის<br>შემდეგ].....               | 179 |
| ვასილ კარბელაშვილისადმი №2 (27) [1898 წლის იანვრის<br>პირველი რიცხვების შემდეგ] ..... | 182 |
| ალექსანდრე ყიფშიძისადმი №3 (28) [1898 წლის<br>30 ოქტომბრამდე].....                    | 183 |
| თედო სახოკიასადმი №6 (29) 1898, 30 ოქტომბერი .....                                    | 185 |
| ალექსანდრე ოქროპირიძისადმი №1 (30) [1898]<br>(რუსული ტექსტი).....                     | 190 |
| ალექსანდრე ოქროპირიძისადმი №1 (30) (1898)<br>(ქართული ტექსტი).....                    | 194 |
| ვასილ კარბელაშვილისადმი №3 (31) 1899, 25 აპრილი .....                                 | 198 |
| თედო სახოკიასადმი №7 (32) [1900 წლის იანვრის II<br>ნახევრამდე].....                   | 200 |
| კირიონ საძაგლიშვილისადმი №1 (33) [1900 წლის 9 აპრილი].....                            | 200 |
| მოსე ჯანაშვილისადმი №2 (34) 1900, 1 ნოემბერი .....                                    | 201 |
| ვასილ კარბელაშვილისადმი №4 (35) 1900, 3 ნოემბერი .....                                | 201 |
| კირიონ საძაგლიშვილისადმი №2 (36) 1901, 5 ივნისი.....                                  | 202 |
| კირიონ საძაგლიშვილისადმი №3 (37) 1902, 6 თებერვალი.....                               | 203 |

|  |     |
|--|-----|
| კირიონ საძაგლიშვილისადმი №4 (38) 1902, 9 თებერვალი.....                              | 205 |
| კირიონ საძაგლიშვილისადმი №5 (39) 1902, 16 ოქტომბერი.....                             | 207 |
| კირიონ საძაგლიშვილისადმი №6 (40) 1903, 10 ივნისი.....                                | 209 |
| კირიონ საძაგლიშვილისადმი №7 (41) 1904, 11 თებერვალი.....                             | 212 |
| კირიონ საძაგლიშვილისადმი №8 (42) 1904, 27 მარტი.....                                 | 220 |
| კირიონ საძაგლიშვილისადმი №9 (43) 1904, 4 სექტემბერი.....                             | 224 |
| ნიკო ტარსაიძისადმი №1 (44) 1904, 25 დეკემბერი<br>(რუსული ტექსტი).....                | 225 |
| ნიკო ტარსაიძისადმი №1 (44) 1904, 25 დეკემბერი<br>(ქართული ტექსტი).....               | 225 |
| გაზეთ „ცნობის ფურცლის“ რედაქციისადმი №1 (45)<br>[1905 წლის 26 თებერვლის შემდეგ]..... | 226 |
| კირიონ საძაგლიშვილისადმი №10 (46) 1905, 12 სექტემბერი.....                           | 227 |
| გიორგი ჟორდანიასადმი №1 (47) [არა უგვიანეს 1905 წლის<br>1 ოქტომბრისა].....           | 228 |
| კირიონ საძაგლიშვილისადმი №11 (48) 1905, 12 ნოემბერი.....                             | 232 |
| პასპორტები, შენიშვნები, კომენტარები.....   | 235 |
| ტექსტისათვის.....  | 236 |
| ზაქარია ჭიჭინაძის წერილების სამეცნიერო აპარატი.....                                  | 243 |
| თევდორე ჟორდანიას წერილების სამეცნიერო აპარატი.....                                  | 326 |
| პირთა ანოტირებული საძიებელი.....   | 411 |
| გეოგრაფიულ სახელთა ანოტირებული საძიებელი.....  | 465 |
| ზაქარია ჭიჭინაძის წერილების ძირითადი ენობრივი<br>თავისებურებები.....                 | 477 |
| ლექსიკონი.....   | 492 |
| ზაქარია ჭიჭინაძის წერილების ადრესატთა ცხრილი.....                                    | 502 |
| თევდორე ჟორდანიას წერილების ადრესატთა ცხრილი.....                                    | 503 |
| სარჩევი.....   | 504 |



## გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. ჰოლიბაოვსკაიას №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: [universal505@ymail.com](mailto:universal505@ymail.com); [gamomcemlobauniversali@gmail.com](mailto:gamomcemlobauniversali@gmail.com)

